ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

716
1968 /4

XIII

საქართველოს დამოუკიდებლობა

საქართველოს დამფუძნებელი კრება,—არჩეული პირდაპირი, თანასწორი, საყოველთაო, ფარული და პროპორციონალური საარჩევნო სისტემით ორიეე სქესის მოქალაქეთა მიერ,—თავის პირველსავე სხდომაზე, 1919 წ. მარტის 12-ს, ქვეყნისა და ისტორიის წინაშე აღიარებს, რომ ის საკუთარი იღებს და ადასტურებს საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიერ 1918 წ მაისის 26-ს, ნაშუადღევის 5 ს და 10 წ თბილისში გამოცხადებულს საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ აქტს:

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

„ბრაუნ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო

„მეთორმეტე საუკუნის დასასრულს ეოველ მხრით მტრისაგან შეკუნწროებული საქართველო თავისი ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი კალდებულ იყო საქართველო კარგად მტრისაგან დაეცვა

„რუსეთის დიდი რევოლიუციის მსვლელობამ რუსეთში იმეთი მინაკანი წეობილება შეკქმნა, რომ მთელი საობარი ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსეთ ეარმეც დახტოდა ამიერკავკასია

„დარჩნენ რა თვისი ძალდონის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერკავკასიამ თვით იგვეს თავს საკუთარი საქმეების კეთილად და პატრონობა და შეკავშირი ორგანოებიც შეკქმნეს, მაგრამ კარგად ძალია ზედგაკვლენო ამიერკავკასიის ერთა შეკავრთებელი კავშირი დაირღვა და მაი ამიერკავკასიის პოლიტიკური თელა-ნრეც დაიშალა.

„ქართველი ერის ღიეკანდელი მეგობარობა საეილებლად მოითხოვს რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შეკქმნას. მისი საშეალებით კარგად ძალის მიერ დაპერობისაგან თავი კადეიარნოს და დამოუკიდებელ კანონიერების მეკიეე საუეაკელი ადგეს.

„ამისდა თანახმად საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წლის ნოემბრის 22-ს არჩეული საქართველოს ეროვნულ ერიდობის მიერ, ღიეს აცხადებს:

1) ამიერიდან საქართველოს ხალხი სუფერენულ ეელმწიფოთა მეტარებელია და საქართველო სრულეფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა

2) დამოუკიდებელ საქართველოს პოლიტიკური ეორმა—დემოკრატიული რეპუბლიკაა

3) საერთაშორისო ურთიერთობაში საქართველო მეზობელი ნეიტრალური სახელმწიფოა

4) საქართველოს დემოკრატიული რეპუბლიკის სურს საერთაშორისო ურთიერთობის ეველა წევრთან კეთილმეზობლური კანონეობლება დამყარონს, კანონიერებითი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერეთან

5) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველყოფს ეველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს კანონიერებად ეროვნებისა სარწმუნოებისა ხოციალურ მდგომარეობისა და სქესისა

6) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა კანონიერების თავისუფალ ასპარეზს კაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ეველა ერს.

7) დამფუძნებელ კრების შეკრებამდე მთელის საქართველოს მართვა-კანონობის საქმეს ეძღვება ეროვნული სამჯო, რომელიც შეკსებული იქნება ეროვნულ ემერესაბამა წარმომადგენლებით, და დროებით მოსაზრობა ეასეხისმგებელია საბჭოს წინაშე.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

1918 — 1968

ეროვნული
ბიბლიოთეკა



XIII

KAVKASSIONI

Recueil littéraire

(en Géorgien)

პარიზი

1968

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის ოცდაათი წლის თავზე

1917 — 1967

ნაკვეთი ნარკვევიდან: „ქართული ეკლესია“; დაიბეჭდა უკრაინულ ჟურნალში „ოვიდ», 1955 წ.

... ადვილად გასაგებია, მუსულმანური ზღუდით გარშემოვლებული და მაჰმადიანური მძლავრობით მეტისმეტად შეწუხებული ქართული სამღვდელოება ქართველ მეფეებს მხარში ედგა ქრისტიანულ რუსეთთან კავშირის დაჭერის საქმეში და თვითონაც რუსულ ეკლესიასთან ურთიერთობას იკავებდა. სამღვდელო პირები აჩქარებდნენ მეფეებს რუსეთის მფარველობა მიეღოთ; ისინი ამით ქრისტიანობის დაცვასა და საქართველოს გადარჩენასაც მოელოდნენ. ტფილელი მიტროპოლიტი, ძე ამილახორისა, ათანასე გააგზავნეს რუსეთს დიდ ხელმწიფესთან, მიართვეს „ფეშქაში“ და არზა ხვეწნისა — „აობრდა ქართლი უსჯულოსაგან, შეიბილწა მონასტერი და დაიჩაგრა ქრისტიანობა. ვეევედრებით შენს ხელმწიფობას და სიმაღლეს, გვიხსნა უსჯულოს ხელთაგან და ვაქო ხელმწიფება და სიმაღლე შენი»-ო. ეს იყო დიდი ჭირისა და ტანჯვათა ამოძახილი, რაც რუსეთის ხელმწიფეს უნდა შეესმინა.

ქართლ-კახეთისა და რუსეთის ხელშეკრულების ძალით — 1783 წ. — საქართველოს ეკლესია დამოუკიდებელი უნდა დარჩენილიყო; მაგრამ რუსეთის მთავრობამ არ ინება თავისი სიტყვა აღესრულებინა და ქართლ-კახეთის სამეფოს მოსპობის შემდეგ ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობაც მოშალა. 10 ივნისს 1811 წელს კათოლიკოსი ანტონ მეორე რუსეთის მთავრობამ გადააყენა და რუსეთს გადააგზავნა, სადაც იგი ნიჟნი-ნოვგოროდში 1827 წელს გარდაიცვალა. ხოლო კათოლიკოსის ნაცვლად რუსეთმა დააყენა მცხეთა-ქართლის მიტროპოლიტი, რომელიც რუსეთის სინოდის წევრი უნდა ყოფილიყო. იგი იწოდებოდა „საქართველოს ეგზარხოსად».

პირველი ეგზარხოსი იყო ქართველი, ვარლამ ერისთავი — 1811--1817 — და მას შემდეგ ქართულ ეკლესიას ქართველი სასულიერო პირი მეთაურად აღარ ღირსებია...

1814 წ. იმერეთის კათოლიკოსობა გააუქმეს და იმავ წ. შეჰქმნეს „გრუზინო-იმერეტინსკაია სინოდალნაია კონტორა“, ხოლო 1818 წ. დააწესეს ორი ეპარქია, სახელით — „ქაროლ-კახეთისა და იმერეთ-სამეგრელო-გურიისა“, ხოლო უკანასკნელად არსებობდა „გრუზინო-იმერეტინსკაია სინოდალნაია კონტორა“, ეგზარხოსის მეთაურობით, რომელშიც შედიოდა ოთხი ეპარქია: 1. ქართლის, 2. იმერეთის, 3. გურია-სამეგრელოსი, 4. სოხუმის. ამ ეპარქიებს ეპისკოპოსები მართავდნენ.

რუსულ სინოდზე დამორჩილებული ათას შვიდასზე მეტი ქართული საყდარი შექმნილ ვითარებას არ ურიგდებოდა; სამღვდელო პირები რუსეთის წინააღმდეგ ხალხის აჯანყებებში მონაწილეობდნენ, ხან აშკარა, ხან მალულ ბრძოლას ეწევოდნენ. ქუთაისში რუსებმა დაატყვევეს ქართველი მიტროპოლიტი დოსითეოს ქუთათელი და ეპისკოპოსი ექვთიმე გელათელი, რომლებიც რუსეთისაკენ გაისტუმრეს და გზაში დაახრჩვეს და ყოვლად მსარტივად და უცერემონიოდ სადღაც ანანურთან მიწაში ჩააგდეს.

რუსი ეგზარხოსი ფეოფილაქტეს სიტყვით, ქართულ ეკლესიებში რუსეთის უწმიდეს სინოდს მხოლოდ მაშინ იხსენიებდნენ, როცა საყდარში რუს მოხელეებს შენიშნავდნენ და სწორედ ქართული ეკლესიის მიერ დამოუკიდებლობის დაკარგვაში უნდა ვეძიოთ მიზეზი ამ მხარეში მომხდარ ყველა პერიოდულ მღელვარებისაო. რუსის მთავრობა ყველა იმ მღვდელს სჯიდა, ვინც რუსეთის სინოდს არ ურიგდებოდა და საქმე იქამდე მივიდა, რომ ქართულმა თავადაზნაურობამ და გლეხობამ ერთხმად რუსის მთავრობას პროტესტი განუცხადეს და თავიანთ მიმართვაში ხალხმა სწორათ იწინასწარმეტყველა, თუ რა ბედი მოელოდა საქართველოს ეკლესიას და კულტურას რუსეთის ხელში. ამ ხსენებულ მიმართვაში ნათქვამი იყო

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

– „მრავალი ტაძარი დაიქცევა, პატიოსანსა და ყოვლადქებულ ხატებსა და ჯვრებს გაიტაცებენ, საყდრებს მოაკლდებათ მათგანვე აღზრდილი და მათთვის შემავედრებელი მოძღვარნი; ქართველები განშორებულ იქმნებიან თავის მღვდელთავართა კურთხევისაგან... უკეთუ არ შეხებულა რჯული ბრმად მყოფ ებრაელთა, რჯული სომეხთა და კათოლიკეთა, რისთვის ჩვენ უნდა შევადგენდეთ გამონაკლისს? თუ ამ დროთა შინა, როდესაც ჩვენ ალაროინიელთა (მაჰმადიანთა) ხელქვეით ვიმყოფებოდით, არვინ ეხებოდა ჩვენ მტკიცე რწმენას და არც ამ გვარ მწუხარებას გვაყენებდნენ, მაშ რაღა დავაშავეთ ამ ჟამად, რომ გვტაცებენ ამ შეჩვეულ მღვდელ-მთავრებს, ტაძრებსა და მღვდლებს?..“.

რუსეთის მთავრობამ ქართულ ეკლესიას ჩამოართვა მისი საკუთარი ქონება, რომლის ფასი ას მილიონ ოქროს მანეთზე მეტი იყო და ქართველი მღვდლებიც რომ მორჩილებაში ჰყოლოდა, მათ სახელმწიფო ჯამაგირი დაუნინა.; რუსის მოხელეებმა გაძარცვეს ქართული ტაძრებისა და ხატთა ძვირფასი სამკაულები. იპარავდნენ ხატებსა და საეკლესიო ნივთებს, ოქრო-ვერცხლს და თვალთა პატიოსანთ (ძვირფას ქვებს)..

რუსებმა აკრძალეს ეკლესიებში ქართულ ენაზე წირვა-ლოცვა; მის ნაცვლად მღვდლებს უბრძანეს მათთვის გაუგებარ სლავიანურ ენაზე მღვდელმსახურების შესრულებელება. შემდეგ აკრძალეს ქართული გალობა, რომელიც რუსებმა „თხის ბღავილად“ მონათლეს და რუსული გალობა შემოიღეს.

ძველი ქართული უძვირფასესი არქიტექტურა, ხუროთმოძღვრების მსოფლიო მნიშვნელობის ნიმუშები უპატრონოდ ნადგურდებოდა და იღუპებოდა მოუვლელობით, ვინაიდან ქართულ ეკლესიას თავისი საკუთარი სახსარი არ გააჩნდა, რათა მისთვის მოევლო და ეპატრონა. ბოლოს, თვით რუსმა მთავარეპისკოპოსმა პლატონმა, მას შემდეგ, რაც იგი ქართული ეკლესიის მდგომარეობას გაეცნო პირდაპირ ჩათვალა იგი ტრაგიზმით აღსავსედ და განადგურებისაკენ მიმავალად.

რუსული პოლიტიკის ამ გამარუსებელ და გამაპარტახებელ ზომებს ქართული სამღვდელოება ბრძოლით შეხვდა. ბევრი მღვდელი შეეწირა ამ ამბავს. მაგრამ რუსეთმა მაინც ვერ შესძლო სავსებით ის ზომები გაეტარებინა, რომელიც მას სასურველად მიაჩნდა.

„ნუ თუ მთავრობის უუწმიდეს მოვალეობას არ შეადგენს, — სწერდა ილია ჭავჭავაძე, — რომ ერს იმისთანა მოძღვრები მოუმზადოს, რომელთაც ღონისძიება ჰქონდეთ სამწყოსს გააგებინონ რამე და თითონაც სამწყსო გაიგონ. მოძღვარის ფარხმალი ენაა“-ო. და ამ ენას, ქართულ ენას, ეკლესიას არ აძლევდნენ...

ქართული ეკლესია, რომელიც რუსულ სინოდზე იყო დამორჩილებული, თავის საკუთარ მზრუნველ ხელსა და საკუთარ თანხებს მოკლებული იყო, ნელ-ნელა დაეცა და ქართული გალობაც კი მოისპო ეკლესიებში. 1859 წელში, ერთ-ერთი „ძლის პირის“ წიგნაკზე ვიღაც ქართველს ფ. კ.-ს წაუწერია: — „ვითარ არ იმწუხრო სულო ჩემო, ოდესცა იხილო დავარდნა ყურთათვისა სასიამოვნოისა ქართულისა გალობისა! და ნეტარ ხართ კაცნო, რომელნი, თუმცა არ გასძღეთ სმენითა მისითა, არამედ ისმინეთ მაინცა წყობაი და სისრულე ძვირად დასაკარგავისა ქართული გალობისა! მიეცეს მაგიერი არა მსურველსა შენსა, ტკბილო საზრდოვ სულისაო, გალობავ“. ფ. კ.

ეს უკანასკნელი სიტყვა არის წყევლა-კრულვა რუსეთისა, რომელმაც არ ისურვა სულის ტკბილი საზრდო — ქართული გალობა!.

მაგრამ ქართულმა სამღვდელოებამ მაინც აღადგინა ქართული გალობა. წმიდა ნინოს მონასტრის წინამძღვარმა, არქიმანდრიტმა მაკარიმ, 1862 წელს, შეადგინა მგალობელთა გუნდი და 1863 წელს იქ უკვე გაისმოდა ქართული გალობა, რომლის შესახებ დიმიტრი ყიფიანი თვით მაკარის სწერდა: — „სული ჩემი დასტკბა, რა ვისმინე გალობა ჩვენი ძველებური“-ო.

მალე თბილისის სემინარიაშიც მოეწყო მგალობელთა გუნდი და თბილისის სიონის ტაძარში კვლავ გაისმა ქართული გალობა. არქიმანდრიტმა მაკარიმ, ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ქიქოძემ), ეპისკოპოსმა ალექსანდრემ (დადიანმა), მღვდელმა კარბელაშვილმა და სხვებმაც დიდი ღვაწლი დასდეს ქართული ეკლესიისა და გალობის აღდგენა-განვითარებას. 1897 წ. დაარსებულ იქმნა „ქართული გალობის აღმდგენი კომიტეტი“, დაიწყო გალობათა ნოტებზე გადატანა და ბეჭდვაც. ყველაფერ ამას ქართული სამღვდელოება აკეთებდა კერძო სახსრებით. ამის შესახებ იყო, რომ მღვდელი კარბელაშვილი 1898 წელში სწერდა: — „დანარჩენი ნოტებიც ელიან ნოტებზე დაწერასა. იმედია, რომ ყოვლად უსამღვდელოესი ეპისკოპოსი ალექსანდრე დაამთავრებს ამ საქვეყნო საქმესა, ნოტებზე დაწერილს დააბეჭდვინებს და დასაწერს დააწერინებს და არ დაუკარგავს ქართველობასა ძველ მამა-პაპურ გალობასა, როგორც მზრუნველი და ჭირისუფალი ჩვენის ძველი სულიერი დიდების დაკვისა და აღდგენისა“-ო.

ქართულ სამღვდელოებას ბრძოლა არ შეუწყვეტია ერთი წუთითაც გამარუსებელი პოლიტიკის წინააღმდეგ, მიუხედავად იმისა, რომ ამ ბრძოლას დიდი მსხვერპლი მოსდევდა. ეს ბრძოლა თბილისის სასულიერო სემინარიაშიც გადადის და დიდ მღელვარებას იწვევს მოწაფეთა შორის. სემინარიის მოსწავლეებმა გაფიცვაც კი გამოაცხადეს და სხვა მოთხოვნილებათა შორის ქართული ენისა და ქართული გალობის აღდგენაც მოითხოვეს. 1885 წელს მოწაფე სილიბისტრო ჯიბლაძემ სცემა სემინარიის დირექტორს ჩუდნიცკის. შემდეგ წელს (1886 წ.) ეს დირექტორი მოჰკლა მოსწავლე ლალიაშვილმა. ხოლო ამის გამო საქართველოს რუსმა ეგზარხოსმა პავლემ ქართველი ერი ანათემას მისცა. თბილისის გუბერნიის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავადაზნაურთა მარშალმა დიმიტრი ყიფიანმა ამის გამო სასტიკი პროტესტი განაცხადა და ეგზარხოსს მოთხოვა საქართველო დაეტოვებინა: — თქვენ ვეღარ დარჩებით იმ ხალხის მღვდელმთავარი, რომელიც თქვენ ანათემას მიეცითო! — ამის საპასუხოდ რუსეთის მთავრობამ, მის წინაშე დამსახურებული, დიმიტრი ყიფიანი რუსეთს გადაასახლა, სადაც იგი რუსის აგენტებმა მოჰკლეს. მოკლულის გვამი საქართველოში ჩამოასვენეს და მისი დასაფლავება თბილისში, იყო დიდი ეროვნული დემონსტრაცია რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ (1887 წ.).

მაგრამ მთავრობის მკაცრი ზომები თავისთავად დიდ წინააღმდეგობას იწვევდა და სასწავლებლებში მღელვარება არ წყნარდებოდა. 1889 წელს თბილისის სასულიერო სემინარიაში მოხდა გაფიცვა და მოსწავლეებმა მოითხოვეს საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების გარდა, რაც მთავარი იყო — ქართული ენის, მწერლობის და ისტორიის შემოღება. ეს ეროვნული მოძრაობა მოახლოვებულ 1905 წლის რევოლუციის წინ, თანდათან იზრდებოდა.

ქართველმა მღვდლებმა ისარგებლეს 1905 წლის რევოლუციით და მოითხოვეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. 1906 წელში იმპერატორ ნიკოლოზ მეორის ბრძანებით, ეს საკითხი უნდა გადასცემოდა განსახილველად სრულიად რუსეთის სამღვდელოების ყრილობას, მაგრამ წინასწარმა თათბირმა უარჰყო იგი.

არამც თუ ავტოკეფალიის საკითხი, არამედ ქართული ენის შემოღების საკითხი იდგა მწვავედ. ქართულმა სამღვდელოებამ კვლავ მოითხოვა ქართული ენისა და ქართული გალობის შემოღება სასწავლებლებში და ეკლესიებში. ამის გამო ეგზარხოსი, ნიკონი 1908 წელს, იანვრის 20ს სწერდა წმიდა სინოდის თავმჯდომარე მიტროპოლიტ ანტონს: — საქართველოს სამღვდელოებამ დაადგინა: სემინარიებში და სასულიერო სასწავლებლებში საღვთისმეტყველო საგნების სწავლება შემოიღოს ქართულ ენაზე, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება... მათ თუ ამისი ნება მიეცემათ, მაშინ უნდა წაერთვას სემინარიას შემწეობა ხაზინიდან. რაკი სწავლებას ეროვნულ ენაზე შემოიღებენ, მათ უნდა ჩამოერთვას ის უფლებებიც, რომელიც აქამდე მოსწავლეებს ჰქონდათ მინიჭებული, სანამ სემინარია რუსული იყო. მაშინ ქართველები ჩადენილი საქციელის გამო მონანიებითა და ცრემლთა დენით შეწყალებისათვის, უარს განაცხადებენ თავის ეროვნულ პრეტენზიებზე და ხვეწნით მოგვმართავენ დავუბრუნოთ ის, რაც ჰქონდათ. თავაზიანობა მათთან, ქართველებთან, არა ღირს-ო.

ამის საპასუხოდ, ეგზარხოსი ნიკონი მოჰკლეს თბილისში 1908 წელსვე. ვინ მოჰკლა იგი, ეს გამოურკვეველი დარჩა.

ნიკონის მაგიერ დაინიშნა ისევ რუსი ეგზარხოსი ინოკენტი. ქართველმა სამღვდელოებამ მას ეს დანიშვნა მიულოცა და იმედი გამოთქვა, რომ ქართული ეკლესიის საკითხი სასურველად გადაწყდებაო.

საქართველოს ეკლესიის ახალი ეგზარხოსის პასუხი იყო: — მე ვცნობ რუსეთის ეკლესიას, ხოლო არა ვცნობ საქართველოს ეკლესიას-ო.

ინოკენტის მოადგილემ, ალექსიმ 1913 წელში ქართველების მიერ ავტოკეფალიის მოთხოვნა „ქართველი ავტოკეფალისტური ინტელიგენციის ფანტასტიურ ბოდვად" მონათლა, ხოლო შემდეგმა ეგზარხოსმა პლატონმა გადამალა და არ წარუდგინა კავკასიის მეფისნაცვალს, ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს ქართველთა სამღვდელოების მოთხოვნა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ.

ეს იყო უკვე პირველი დიდი ომის ხანა, რომელსაც მოჰყვა დიდი რევოლუცია. იმპერატორის ტახტი დაინგრა და თან მიჰყვა რუსული სინოდიც.

რევოლუციის პირველსავე დღეებში მოხდა საქართველოს სამღვდელოების დიდი ყრილობა, რომელმაც საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა გამოაცხადა, **12 მარტს 1917 წელში. პირველად ასი წლის შემდეგ საქართველოს კათოლიკოსად არჩეულ იქმნა ქართველი სამღვდელოების მეთაური — კათოლიკოსი კირიონი** (1917 — 1918 წ.წ.). და ქართული ეკლესია შეუდგა თავისი ცხოვრების წოწყობასა და დალაგებას, რომელიც მას აღარ დასცალდა.

საქართველოს დამოუკიდებელმა დემოკრატიულმა რესპუბლიკამ თავისი საკანონმდებლო დაწესებულების დადგენილებით ეკლესიისა და სახელმწიფოს ერთმანეთისაგან ჩამოშორება გამოაცხადა და სარწმუნოების სრული თავისუფლება აღიარა. მაგრამ მალე, 1921 წლის თებერვალ-მარტში მოსკოვის ბოლშევიკურმა ჯარებმა გადალახეს საქართველოს რესპუბლიკის საზღვრები და საქართველოს რესპუბლიკა დაიპყრეს. ამგვარად, საქართველოს ეკლესია და მისი მთავარიც, კათოლიკოსი ბოლშევიკურ ხელისუფლებაში აღმოჩნდა... და დაიწყო კიდევ უფრო მძაფრი და მძიმე ბრძოლა, ვიდრე ეს ცარისტული რუსეთის დროს სწარმოებდა.

აღსანიშნავია, ბოლშევიკებს ეკლესიისათვის პირველად ხელი არ უხლიათ, რადგანაც ხალხის დიდ წინააღმდეგობას მოელოდნენ და დასაწყისში ამას ანგარიშს უწევდნენ. ოღონდ მალე დაიწყო ქართული ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლა, ჯერ პარტიული გზით, ქადაგებითა და უღმრთოთა ორგანიზაციების დაარსებით. კომუნისტებს, რასაკვირველია, ეკრძალებოდათ ეკლესიებში სიარული; მაგრამ ხალხი, რომელიც ქალაქად ეკლესიაში მცირედ დადიოდა, ახლა მიაწყდა წირვა-ლოცვას და ქართული ტაძრები, განსაკუთრებით თბილისში, მუდამ გატენილი იყო. ეს იყო მისი ერთგვარი დემონსტრაცია ბოლშევიკების წინააღმდეგ. და ამ დიდმა ეროვნულმა დემონსტრაციამ ისეთი დიდი გავლენა მოახდინა თვით ბოლშევიკებზე, რომ ისინი იძულებული იყვნენ ნათვლა, ჯვრისწერა მალულად მიე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოთ. ამ ნიადაგზე პარტიამ მკაცრი ზომებიც იხმარა და თვითონ ბოლშევიკებს სდევნიდა. შემდეგ მთავრობის და პარტიის ბრძანებით დაიწყეს ეკლესიების ნგრევა ან მათი სახალხო კლუბად გადაკეთება, მღვდლების დაჭერა და გადასახლება. მღვდლებს ძალით კრეჭდნენ, — ხალხი მათ მალავდა.

ქართველი მღვდლები ბრძოლით შეხვდნენ ბოლშევიკურ ველურობას და მათ ქართველი ხალხის აჯანყებაში მოსკოვის წინააღმდეგ მხურვალე მონაწილეობა მიიღეს იარაღით ხელში. ზოგგან თვით ხელმძღვანელობდნენ ბრძოლას, როგორც ეს წარსულში ხდებოდა. ამ აჯანყებას განსაკუთრებით 1924 წელში, ბევრი სასულიერო პირი შეეწირა და ბევრი მათგანიც დაიღუპა..

არავინ უნდა დაივიწყოს კათოლიკოსის სიტყვა, რომელიც მან ჯალათებს უთხრა:

— სული ჩემი ღმერთს, გული ჩემი — სამშობლოს, ხოლო მძორი ჩემი — თქვენ, ჯალათებო!

1922 წელს გენუის კონფერენციაზე საქართველოს კათოლიკოსმა მალულად გადააგზავნა მემორანდუმი ქართველი ხალხისა და სამღვდელოების, საქართველოს ეკლესიის მდგომარეობის შესახებ; თხოვდა გენუის კონფერენციაზე მონაწილე სახელმწიფოებს ქართველი ხალხის უბედურებისავის ყურადღება მიექციათ...

ქართველი მღვდელი ქართველ ხალხთან ერთად იბრძოდა წარსულში და ეს ტრადიცია დღემდე არის დაცული.

მძიმე არის და სისხლიანი ეს ბრძოლა, რადგან დღეს ქართულ ეკლესიას ებრძვის სატანა... მაგრამ სატანა ერთ დღეს ხომ უნდა დამარცხდეს!.

რ. ბეთანელი

უნივერსიტეტის დაარსების 50 წლის შესრულების თავზე მოწვეული ყრილობა პარიზში —

მოწვევის ბარათი:

საფრანგეთში მყოფ:

ქართველ ლტოლვილთა სათვისტომოს გამგეობა, ქართველ მწერალთა და ჟურნალისტთა კავშირის გამგეობა და თანამგრძნობ ქართველ მეცნიერთა და მწერალთა საპატიო მომწვევი კომიტეტი

გთხოვთ დაესწროთ

საჯარო საზეიმო კრებას

თბილისის უნივერსიტეტის

50 წლის აღსანიშნავად (1918 — 1968)

კვირას, 14 იანვარს 1968 წ. სრულ 15ს, 30, „მიუზე სოსიალ"-ის დიდ დარბაზში, 5, რ. ლას-კაზ, მეტრო: სოლფერინო.

ლტოლვილობაში მყოფ ქართველ მეცნიერთა და მწერალთა მომწვევი საპატიო კომიტეტი:

ბ-ნი ნოე ცინცაძე, განათლების ყოფ. მინისტრი დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული მთავრობისა

ბუენოს აირესი: ქ-ნი თამარ გოგოლაშვილი-პაპავასი — მწერალი-ჟურნალისტი..

რომი: ბ. პროფ. შალვა ბერიძე — ლიტ. დოქტორი, „ვ.ტ."-ს იტალიურ ენაზე მთარგმნელი.

ბერლინი: ბ. კირილე ვეკუა — ფილოსოფიის დოქტორი, ქიმიის მეცნიერი.

ვაშინგტონი: ბ. პროფესორი კირილე თუმანიშვილი — ფილოსოფიის დოქტორი, ისტორიის პროფესორი ჯორჯტაუნის უნივერსიტეტში. მრავალი ისტორიული შრომის ავტორი.

სან ფრანსისკო: ბ. ალ. მანველიშვილი — ისტორიკოსი, მრავალი ისტორიული შრომის ავტორი (მათ წორის ფრანგულ ენაზე — საქართველოს ისტორიისა).

ნიუ იორკი: ბ. პროფესორი გიორგი ნაკაშიძე — სამართლის მეცნიერების დოქტორი, ფილოსოფიის დოქტორი.

პარიზი: ბ. ვიქტორ ნოზაძე — ფილოსოფიის დოქტორი, რუსთველოლოგი და მწერალი.

ბუენოს აირეს: ბ. ლეონიდე ჭეიშვილი — დოქტორი-ინჟენერი, დეპარტამენტის დირექტორი არგენტინის მინერალოგიის ინსტიტუტში.

პროგრამა

სიტყვა კრების საპატიო თავმჯდომარის ბ. ნოე ცინცაძის.

ბ-ნი მედეა ღამბაშიძე — თბილისის უნივერსიტეტის გახსნის დღე (ფურცელი დღიურიდან).

ბ. ალ. მანველიშვილი — თბილისის უნივერსიტეტი.

ბ. სევერიან ჭირაქაძე — ძარღვი საქართველოისა

ბ. შალვა კალანდაძე — მოგონება. .

ბ. ელისე პატარიძე — მოგონებები.

ბ. გიორგი ნაკაშიძე — თბილისის უნივერსიტეტი.

ბ. ლევ. ტიტვინიძე — მოგონებანი თბილისის უნივერსიტეტზე.

ბ. ნიკოლოზ ყურულაშვილი ფიქრები თბილისის უნივერსიტეტზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული უნივერსიტეტის დაარსების 50 წლის თავზე პარიზში

1918 — 1968

ლ. ზურაბიშვილი

ქალბატონებო და ბატონებო,

ძვირფასნო თანამემამულენო,

გახსნილად ვაცხადებ ამ საჯარო საზეიმო სხდომას, რომელიც თბილისის უნივერსიტეტის 50 წლის თავის აღნიშვნას მივუძღვენით.

(ეს კვირა დღე დაემთხვა თავისით, უცაბედად, მაგრამ მოხდენილად, საქართველოს განმანათლებელის, წმიდა ნინოს დღესასწაულს...)

ნება მიბოძეთ, ვიდრე სიტყვას მივცემდე ჩვენ დღის წესრიგში აღნიშნულ პატივცემულ ორატორებს, მოგმართოთ ორიოდე სიტყვით.

მსოფლიო კულტურის ცენტრში, პარიზში, დღეს რომ აღვნიშნავთ თბილისის უნივერსიტეტის დაარსებიდან 50 წლის თავს, — ამას აქვს თავისი, განსაკუთრებული, სიმბოლიური და თანაც მეტად რეალური, მნიშვნელობა.

ისტორიის სვლა და სახეობა ხომ თვითონ ცვალებადია, მაგრამ უფრო ცვალებადია ის, თუ როგორ იწერება ეს ისტორია. ამიტომ, ამ შემთხვევაში, აუცილებელია სისწორით ითქვას, აღინიშნოს და კიდევ და კიდევ ყველგან განმეორებულ იყოს ამ დიადი საქმის ნამდვილი ამბავი, რომლის გამრუდებას დღეს ზოგი არა-სინიდისიერი ისტორიკოსი ცდილობს...

თბილისის უნივერსიტეტის დაარსება, ეს იყო ნატვრა და ღრმა მოთხოვნილება ქართველი ერის მოწინავე წრეებისა, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან, დაწყებული ყველა იმ კარგი ქართველისა, ვინც იღვაწა, რათა დაეარსებინათ „წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, ქართული სკოლები და ჟურნალები, და მიაღწიეს კიდეც ქართული ორი გიმნაზიის გახსნას, სხვა ეროვნულ საქმეთა შორის.

მაგრამ სანამ საქართველო იყო რუსეთის ხელში, თბილისს თუ არგუნეს შტაბი რუსული შენობა, არსენალი, ფუნიკულიორი, კონსერვატორია და მავრიტანული სტილის ოპერა, გამუდმებით, კატეგორიულ უარს ეუბნებოდნენ უნივერსიტეტის თაობაზე, არამც თუ ქართულ ენაზე, მომაცადინეს, თვით რუსულზედაც! (ეს მაშინ, როდესაც არა მხოლოდ პეტერბურგს, მოსკოვს და კიევს, არამედ ხარკოვს და ოდესასაც ჰქონდათ ასეთი უმაღლესი განათლების დაწესებულებები)...

ყოველივე ამ პოლიტიკური დაბრკოლების მიუხედავად, თბილისის უნივერსიტეტის გახსნას შორიდანვე ამზადებ-დნენ ქართველი ერის რჩეული შვილები და ყველამ იცოდა, რომ ის მშვენიერი შენობა, რომელიც თავისი საშუალებით და მსხვერპლის გაღებით ქართველობამ აუშენა თავის საყვარელ „ქართულ გიმნაზიას», თავიდანვე გათვალისწინებული იყო სანატრელი უნივერსიტეტისათვის.

და აი, როდესაც საქართველოს მოუწია იმ მომენტმა, როცა ქართველ ერს ეძლეოდა საშუალება თავისი საკუთარი გადაწყვეტილებების განაღდებისა, მან **ნებაყოფლობითი, გადაწყვეტილი ნაბიჯით, აღადგინა ეროვნული და სახელმწიფოებრივი სრული სუვერენობა.**

ჯერ კიდევ 1917 წლის (12) 25 მარტს, მცხეთას შემდგარმა საქართველოს ეპისკოპოსთ - სამღვდელოების ყრილობამ აღდგენილად გამოაცხადა მრავალსაუკუნოვანი ქართული ეკლესიის ავტოკეფალია (რაც რუსეთის სინოდს გაუქმებული ჰქონდა 1811 წელში). ეს გახლდათ **საქართველოს სულიერი სუვერენობის აღდგენა.**

26 იანვარს 1918 წ. — უკვე დამოუკიდებელი კავკასიის პირობებში — მოხდა გახსნა თბილისის სახელმწიფო ქართული უნივერსიტეტის —მემკვიდრე გელათის და იყალთოს აკადემიებისა. **ეს იყო საქართველოს სუვერენობის აღდგენა: გონების სფეროში!**

და ბოლოს —

26 მაისს 1918 წ. საქართველომ აღადგინა თავისი **საერთაშორისო სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური სუვერენობა.**

ყველასათვის ნათელია, რომ სამივე ეს, ერთი მეორის მიმყოლი, უდიდესი მნიშვნელობის აქტი, ამონახეთქია ქართველი ერის ნებისყოფისა ისტორიული სინამდვილიდან. ასევე ნათელია, რომ ყოვლად შეუძლებელია რომელიმე ამ აქტის დაკავშირება „ოქტომბრის რევოლუციასთან“, როგორც ამას ცდილობენ და რის ჩანერგვასაც ლამობენ, ირიბი საშუალებებით და მიკიბულ-მოკიბული წინადადებებით, რათა ქართველთა ის თაობანი, ვინც ამ დიადი ფაქტების მომსწრენი არ იყვნენ, ამაში დააჯერონ.

აი, ამიტომ დღევანდელი ჩვენი ყრილობა არის მნიშვნელოვანი. თქვენ მოისმენთ აქ არა ჩვეულებრივ მოგონებებსა და მოხსენებებს, არამედ ისტორიის სასამართლოს წინაშე ორმოცდაათი წლის თავზე მოტანილ უტყუარ მოწმობა- ჩვენებებს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის განათლების ყ. მინისტრის ნ. ცინცაძის სიტყვა

26 იანვარი 1918 წლისა: ჭეშმარიტად დაუვიწყარი და დიდი მნიშვნელობის თარიღი ქართველი ერის და მისი კულტურის ისტორიაში; ამ დღეს გაიხსნა ქართული უნივერსიტეტი! მრავალ საუკუნეთა მანძილზე ქართულ სულიერ შემოქმედების ტაძრის გამოკეტილი კარები გაიღო!

თებერვლის რევოლუციით შექმნილი მდგომარეობა ამისი ხელის შემწყობი ფაქტორი აღმოჩნდა. მხოლოდ საჭირო იყო წამყვანი ძალა ადამიანისა, რომელიც სათანადო ავტორიტეტით, დიდი რწმენით საქმისადმი და ურყევი ნებისყოფით იქნებოდა დაჯილდოებული, რომ მრავალ თაობათა ოცნება წარმატებით დაგვირგვინებულიყო.

ცნობილია, რომ ყოველ ისტორიულ მოვლენას (თითქმის ყოველთვის) თავისი დიდი ოსტატი ევლინება. ასეთი პიროვნება, მთელი თავისი არსებით და წარსულით ამ დიდ ეროვნულ საქმესთან მჭიდროდ გადაბმული, გახლდათ ივანე ჯავახიშვილი; დიდი მკვლევარი - მეცნიერი და მასთან მოქალაქეობრივი ინტუიციით და გამბედაობით შემკული. მას მხარს უმშვენებდნენ იმ თავითვე, მისი ერთგული თანამგზავრნი და მოწაფენი: იოსებ ყიფშიძე და აკაკი შანიძე. პირველი ,სამწუხაროდ, ძალიან ადრე გამოეთხოვა წუთისოფელს, რაც აუნაზღაურებელი დანაკლისი იყო უნივერსიტეტისთვის და ქართველოლოგიისათვის.

ამ სახელოვანი სამეულის გარშემო სწრაფად თავს მოიყრის ქართული მეცნიერული ოჯახი პროფესორ პეტრე მელიქიშვილის მეთაურობით, — ეს უკანასკნელი, საერთაშორისო მასშტაბის დიდი მეცნიერი - ქიმიკოსი, ჩვენი უნივერსიტეტის პირველი რექტორი გახდება, ივ. ჯავახიშვილის და მისი ეკიპის სურვილითა და მოთხოვნით..

სიმბოლიურად უნდა ჩაითვალოს, ვფიქრობ, ის გარემოება, რომ უნივერსიტეტის გახსნა წინ უსწრებდა საქართველოს სახელმწიფოებრივობის აღდგენას, მის დამოუკიდებლობის გამოცხადებას. ეს ხომ იმას უნდა მოწმობდეს, რომ ქართული კულტურის ხერხემალი ისტორიულმა უკულმართობამ ვერ გასტეხა, რაც თავმდები უნდა ყოფილიყო საქართველოს სახელმწიფოს აღდგენისა და დამკვიდრებისა.

ეხლა მოვიგონოთ, თუ როგორ იყო აღნიშნული ეს ჩვენი კულტურის დღესასწაული. უნივერსიტეტის ფუძე-მდებლებთან შეთანხმებით და მათივე სურვილით უნივერსიტეტს გახსნის ქართული ეროვნული საბჭოს სახელით და დავალებით აკაკი ჩხენკელი, რომლის სიტყვა, მისივე მოგონებით და გადმოცემით, არაჩვეულებრივი მღელვარებით და „გულის ტოკვით" იყო წარმოთქმული. ასეთივე განცდებით იყო შეპყრობილი მთელი დამსწრე საზოგადოება.

საზეიმო აქტის დარბაზი გაჭედილი, დერეფნები ხალხს ვერ იტევდა და მრავლად მოსულნი ეზოში ჰპოულობდნენ ადგილს. ეს იყო მართლაც სპონტანური მანიფესტაცია ხალხის ყველა სოციალური ფენების წარმომადგენელთა (ახალგაზრდობა, მუშა, ვაჭარი, ხელოსანი); აი, ამათ პორტ-პარადად გამოდის ცნობილი ტრიბუნი ვლასა მგელაძე, რომელიც მხურვალედ მიულოცავს ამ დღეს ქართველ ხალხს და მისთვის ჩვეული გულწრფელი აღტყინებით მიესალმება იმ პირს, რომელიც ქართველი ერის კულტურული სახის გამომხატველი იყო.

ამრიგად იწყება ხანა ახალი აღორძინებისა; ქართული კულტურის სამრეკლოზე პირველი ზარს ჩამორეკავს (მეორე ზარი ხომ 26 მაისს ჩამორეკა მან), რომლის ხმა შორეულ წარსულს, გელათის აკადემიის სახით მისწვდება. ამ დღეს უხილავი, სულიერი ტალღები მიაღწევენ თავის შორეულ წინამორბედს — სიბრძნის მეტყველ პეტრიწონელს!)

ამ დიდ ზეიმს ქართულ ეროვნულ ქუჩაზე წინ უძღოდა ხანგრძლივი, შეუჩერებელი მზადება ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით; კარგად წარმოიდგენთ, თუ რა ეკლიანი გზა იყო გასავლელი. თუ ცარიზმის პოლიტიკა ერთა კულტურულ ემანსიპაციის მიმართ აშკარად უარყოფითი იყო, — ამ მხრივ თებერვლის რევოლუციისაგან გამოსული ხელისუფლება, ამ რევოლუციის დროშაზე აღბეჭდილი ქარტიიდან იმიჯნება..

დიდ ისტორიულ წამოწყებას, ცხადია, თან დაჰყვებოდა დიდი სიძნელე და დაბრკოლებაც, რომლის გადალახვა და დაძლევა ბევრისათვის შეუძლებლად გამოიყურებოდა იმ ხანებში. სანამ ამ მდგომარეობის დახასიათებას შევუდგებოდე, საჭიროდ მიმაჩნია განვაცხადო შემდეგი: ჩვენს ამოცანაში არ შედის, ცხადია, გადაშლა ბალანსისა (თუგინდ მოკლედ, გაკვრითაც) ჩვენი მეცნი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერების უზენაეს ორგანოსი, რომელმაც ნახევარი საუკუნის მანძილზე, მთელი მსოფლიოს წინაშე ნათელ ჰყო თუ რა შეუძლია გააკეთოს ჩვენი ერის გენიამ ამ მაღალ სულიერ ასპარეზზე.

აქ გვსურს ავსახოთ მხოლოდ მეტად მკრთალი სურათი იმისა, (ზოგ პირად მოგონებათა გაშლით), თუ რა პირობებში უხდებოდა ჯერ კიდევ ნორჩ და სათუთ ორგანიზმს ფეხის ადგმა, ამოძრავება. ერთი სიტყვით, მე მსურს თქვენი ყურადღება მივაქციო, მივმართო ამ დიდი მოვლენის სათავისაკენ.

მაშ, რა პირობებში ხდებოდა მეცნიერული აპარატის მოწყობა და ამუშავება? პირველ ყოვლისა, აკადემიური „ბარიერები" მოითხოვდა დაძლევას, ერთი მხრივ, პრობლემა ქართველ მეცნიერთა თავის მოყრისა და ძირეული ეკიპის, კადრის ჩამოყალიბება იდგა დღის წესრიგში. ამ საქმეს თავიდანვე საიმედო პირი უჩნდა. ძველი იმპერიის სხვა და სხვა კუთხეში დაფანტული ჩვენი მეცნიერები სწრაფად მოეშურებიან სამშობლოსაკენ თავისი მისსიის და თავისი მოვალეობის მოსახდელად. მეცნიერთა ოჯახი გროვდება; მათ არ ეშინიათ იმისაც, რომ უცხოეთში აღზრდილნი მეცნიერების ასპარეზზე, მათ ხშირად წინ უდგათ ამოცანა ქართული ენის სათანადო დაუფლებისა.

აქ უნდა აღვნიშნო, რომ ამ წრის და ოჯახის გარეშე იდგა ერთი ადამიანი, ჩვენთვის კარგად ცნობილი დიდი მეცნიერი ნიკო მარი, რომლის არსებობა ქართული კულტურის კერის გარეშე წარმოუდგენლად იყო მიჩნეული. მთელ რიგ გარემოებათა გამო, რაც უმთავრესად წარსულს ეკუთვნოდა, ქართულ მეცნიერულ ოჯახში შემოსვლა იმ ხანებში ერთგვარ სიძნელეს წარმოადგენდა. ნიკო მარი, დიდი მეცნიერული ინტუიციით შემკული, თავისი ტემპერამენტით, არ იყო, შეიძლება, ყოველთვის დაზღვეული ერთგვარ „იმპრესიონისტულ" განხრებიდან. მაშ, ასეთ პირობებში დაისვა საკითხი ნ. მარის მოწვევისა. პირველ ყოვლისა, პროექტი ივანე ჯავახიშვილს გავაცანით. სკეპტიკოსი პროექტის სასურველად დაგვირგვინებაზე, ის „დაგვლოცავს" და აცხადებს, რომ მოხარული იქნება (თავის კოლეგებთან ერთად), თუ ეს განზრახვა განხორციელდებოდა. ამის შემდეგ, ნ. მართან სათანადო კონტაქტს მოჰყვა უცანასკნელის დასტური. მის დასტურს თან დართული ჰქონდა სურვილი (ქართული და კავკასიური მატერიალური კულტურის დანაწესების შექმნა უნივერსიტეტთან), რაც მოითხოვდა ერთგვარ ფინანსიურ მსხვერპლს და რისი დაკმაყოფილება მთავრობისაგან უზრუნველ ყოფილი იყო. აქ ვსარგებლობ შემთხვევით და ვაცხადებ ყველას საყურადღებოდ, რომ არ ყოფილა შემთხვევა, რომ მთავრობაში უნივერსიტეტის საბიუჯეტო საკითხებს კამათი ან წინააღმდეგობა გამოეწვიოს, მიუხედავად მაშინდელ გასაგებ მძიმე მდგომარეობისა; ამ მხრივ, განათლების უწყებას ერთგვარი „კარტ ბლანშ"-ი ჰქონდა მინიჭებული.

ეხლა დავუბრუნდეთ ისევ მრავალ სიძნელათა მოშლის პროცესს, რომელშიდაც გაშმაგებულად ჩაება ჩვენი უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა. მეცნიერების თავის მოყრასთან ერთად ორგანიულად დაკავშირებული იყო მეორე მთავარი ამოცანა, სახელდობრ, მეცნიერული ლიტერატურა და ტერმინოლოგია, რაც იყო მთავარი ასპექტი ნაციონალიზაციის პრობლემისა. სდგება სამინისტროსთან კომისია, რომელშიც შედიან სხვა და სხვა დარგის სპეციალისტები. ამ ორმოცი წევრიან კომისიას თავმჯდომარეობს ივანე ჯავახიშვილი. კომისია პირველ ყოვლისა, ყოველი მხრივ ცანსჯის შემდეგ, შეჩერდება ცარკვეულ პრინციპებზე, რაც უნდა გამხდარიყო საბელმძღვანელოდ ტერმინოლოგიის დასამუშავებლად და დასადგენად. შემდეგ ის დაიყოფა ქვე-კომისიებად, მეცნიერების დარგების მიხედვით. **ამგვარად, კოლექტიურად და ინდივიდუალურად მუშაობა გაჩაღდება.** და რაღაც ერთი წლის მანძილზე საქმეს დიდი წარმატება დაეტყობა.

დღეს უკან რომ გავიხედავთ და ასეთ მოკლე ხანში ჩატარებულ მუშაობას მოვიგონებთ, ჩვენს გაოცებას, მიღწეული შედეგების წინაშე, საზღვარი არ აქვს. თანდათანობით დაძლეული იქმნა სახელმძღვანელოების მწვავე საკითხიც. ყოველივე ამას ერთგვარად აგვირგვინებს უნივერსიტეტის მეცნიერული უწყების გამოცემა 1919 წელში „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბის" სახელწოდებით (ათი წიგნი).

აკადემიურ პრობლემებს ამძიმებდა ამ „გარდამავალ" ხანაში თანდაყოლილი პოლიტიკური კითხვები, რაც ერთგვარ მემკვიდრეობას წარმოადგენდა ძველი რეჟიმიდან: საილუსტრაციო მაგალითად ამ ეპოქიდან. თქვენ იცით, რომ იმ დროს არსებობდა ტფილისში ახლად ფეხადგმული პოლიტექნიკუმი, დაარსებული მთელი კავკასიისათვის, რომელსაც გარკვეული სტატუტის მიხედვით, ერგვარად „პატრონობდა" საგანგებო კომიტეტი, ქალაქის თავის თავმჯდომარეობით. დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში ის მისი წარმოშობით და ბუნებით წარმოადგენდა ფაქტიურად „ექს - ტერიტორიალურ" დაწესებულებას. ამ მდგომარეობით ჩვენი ქვეყნის მტრები ფართოდ სარგებლობდნენ ინსტიტუტისათვის შეუფერებელი პოლიტიზაციით და „მეხუთე კოლონების" მოშველებით. **საჭირო იყო მისი ეროვნულ და საერ აკადემიურ პოზიციაზე უმტკივნეულოდ გადმოყვანა.** საკითხის შესწავლის შემდეგ ჩვენ შევიმუშავეთ პროექტი პოლიტექნიკუმის განყოფილებათა უნივერსიტეტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ყიფიანი

ლევილის მზეს

ვფიცავ ლოდზე ნაგრეხ სუროს,
ლევილის მზეს თვალცრემლიანს,
სადაც ჯვრები გარდასულთა
ცოცხლებივით გვიცქერიან,

ვფიცავ კალამს, ლექსის სტრიქონს,
მოხუცებულ გულის ძგერას,
სააქაოს, საიქაოს,
წარმოშვების ბედისწერას,

უფსკრულებში ჩაძირულ ხმას,
გრიგალებში ზღვათა ღელვას,
ჩამონგრეულ საყდრის ჯვართან
ღვთისმშობლის წილ ქართველ დედას,

რუსთაველის ოქროკალამს,
ქართულ ენის გვირგვინოსნებს,

დაუნდობელ უცხო ძალით
ორდენებით დასჯილ მგოსნებს,

ვფიცავ დროშას სამჯერ კოცნით,
საქართველოს დიდების დღეს,
სამთაფერის ცაში ფრიალს,
ოცდაექვსი მაისის მზეს,

პრეზიდენტის მოხუცს სახეს,
დამარცხებულ ქართლოსის ჯარს,
ყელგამოჭრილ პატრიარხებს,
კათოლიკოს ამბროსის ჯვარს,

ვფიცავ — ვფიცავ
აქაც — იქაც,
სულის გარე — სულის ძირას,
საფლავშიდაც რომ დავიცავ
ხალხის სისხლით ნაკურთხ მიწას.

გიორგი ყიფიანი

თან დაკავშირებისა სათანადო ფაკულტეტის დაარსებით. ამის პრეცედენტიც იყო შექმნილი უნივერსიტეტში აგრონომიული ფაკულტეტის გახსნით, 1919 წელში. დასავლეთის დაწინაურებაც, განსაკუთრებით პატარა ქვეყნების გამოცდილება გამოყენებული იქნებოდა, — შეიკრიბა პოლიტექნიკუმის კომიტეტი დამუშავებული პროექტის განსახილველად. გაიმართა ცხარე აზრთა გაცვლა-გამოცვლა. პროექტის მოწინააღმდეგეთა მცირე ჯგუფს ხელმძღვანელობდა ქალაქის ერთი ძველი მოღვაწე (ალშაკ ბაბოვი). კამათი დასრულდა პეტრე მელიქიშვილის სიტყვით; მისმა ავტორიტეტულმა და ღრმა ანალიზმა მთლიანად მოშალა პროექტის მოწინააღმდეგეთა „პარტიზანული“ პოზიცია. ამრიგად, პროექტი, შეფარდებული აკადემიურ ლოგიკასთან და მიზანშეწონილებასთან და იმავე დროს, სახელმწიფოებრივ ინტერესებთან, კრების მიერ მიღებული იქმნა.

აქ, როგორც დავინახეთ, ჩვენი მხცოვანი მეცნიერი გვევლინება, როგორც უტეხი მუხა, მეცნიერებისა და ერის უფლებათა სადარაჯოზე. შეიძლება ზედმეტი არ იქნება ამ დიდი პიროვნების დასახასიათებლად, ერთი მცირე მოგონებაც ცაგიზიაროთ დაპყრობილი საქართველოს დროიდან.

ეს იყო 1921 წლის ენკენისთვის დასაწყისში, როცა მან მეტეხის ციხეში მინახულა. ახლად დაბრუნებული აბასთუმნიდან, რომელიც მისი გადმოცემით, გავსებული იყო ახალი მოდგმის წარჩინებული პირებით მოსკოვიდან. მწარე მღელვარებით და გულის ტკივილით ახასიათებდა მოხუცი იქ ახალი ბატონების ქამურ, თავხედურ ქცევას დაპყრობილ ქვეყანაში. სასტიკი და მოურიდებელი იყო მაშინ საერთოდ ოკუპანტთა მიმართ. მისი ასეთი რეაქციის ჩუმი მოწამე იყო ციხის ადმინისტრაცია. გამოთხოვებისას თავი ვერ შეიკავა და ცრემლებით გაევსო თვალები. იმ დროს ის დასტიროდა სამშობლოს მიერ დაკარგულ თავისუფლებას.

დავასკვნათ: კულტურისა და შემოქმედების ყველა ფორმების და დარგების ნორმალურ განვითარებისათვის და წარმატებისათვის სამართლიანად მიჩნეულია ადამიანის სულის თავისუფლება, რაც თავის მხრივ მოითხოვს საზოგადოებისა და ერის ემანსიპაციას ყოველგვარი ძალადობისა და ძალდატანებისაგან... და ჩვენ ღრმად გვწამს, რომ არც ისე შორს არის, შეიძლება, ის დრო, როცა მესამეჯერ ჩამოირეკება ზარი ქართულ სამრეკლოზე, რომელიც ამცნობს კაცობრიობას, რომ ამიერიდან და უკუნითი უკუნისამდე თავისუფალია საქართველო! მანამდე კი გმირული ეპოპეა ქართულ ჭეშმარიტ სწავლულთა და მეცნიერთა გაგრძელდება: სულიერ საზრდოს ჩვენს ერს, მის ახალგაზრდობას, ყოველნაირ დაბრკოლებათა დათრგუნვით, ის არ მოაკლებს!

დიდებას, ქართულ დიდებას უგალობებს თავის „ალმა მატერს“ მადლიერი ქართველი ერი.

გაუმარჯოს ქართული სულის განთავისუფლებას!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალ. მანველიშვილი

დიდი წარსულის მემკვიდრეობა

(თბილისის უნივერსიტეტის დაარსების 50 წლისთავისათვის)

ქართული სწავლა-განათლების საქმეს გრძელი და რთული ისტორია აქვს. მაგრამ ამ სირთულესა და ბუნდოვანებაში მაინც შეიძლება დადგენა ერთი გარკვეული ხაზისა. ანტიური ხანიდან ცოტა რამ ვიცით. ვიცით, მაგალითად, როდესაც მოხდა იბერიის სამეფოს დაარსება, უკეთ, რესტავრაცია ძველი ქართული სამეფოსი ახალი ელემენტებით შევსებული. მისმა მეთაურმა ფარნავაზმა მოახდინა მთელი რიგი რეფორმებისა. ქართველი ისტორიკოსი ნათლად გადმოგვცემს, რომ ფარნავაზმა შექმნა ქართული ანბანი და ქართული ენა გამოაცხადა სავალდებულოდ ყველასათვის. ქართული დამწერლობის წარმოშვება უთუოდ ადრინდელ ხანას ეკუთვნის; ალბათ საკითხი ეხება რაღაც რეფორმას; რაც შეეხება ქართული ენის ხმარებაში შესვლას. ეს უნდა გულისხმობდეს მრავალ დიალექტთაგან ერთი საერთო ლიტერატურული ენის შექმნას; რაც როგორც სახელმწიფო ცხოვრებისა, ისე სწავლა-განათლების წინსვლისათვის იყო აუცილებელი პირობა.

დღეს-დღეობით უკვე მოგვეპოვება ზოგიერთი გარკვეული ცნობაც. საქართველოში ბევრს სწერენ და ლაპარაკობენ კოლხეთის აკადემიაზე (მეოთხე საუკუნეში); რა გინდ გაურკვეველიც არ იყოს ეს ცნობა, ფაქტია, რომ საქართველოში იმ პერიოდში არსებულა უმაღლესი განათლების კერა., თუ გინდ ეს მიეწეროს ბერძნულ გავლენას, ეს იყო დადებითი.

მალე ხდება ქართველ ერში დიდი სულიერი გარდატეხა. ერი ეზიარა ქრისტიანობას. ამ დროიდან კი უფრო ფართო ფრთებს შეისხამს განათლების საქმე, რადგან ქრისტეს მოძღვრების შეთვისება და პრაქტიკაც მოითხოვდა წერაკითხვის გავრცელებას.

მეხუთე საუკუნეში, ვახტანგ გორგასარმა სულ მალე ეროვნულ დაწესებულებად აქცია ქართული ეკლესია, მისი ქართველი მეთაურობის ხელში გადასვლითა და მერმე ავტოკეფალიის გამოცხადებით. ვახტანგმა დაიწყო ეკლესია-მონასტერთა შენება, რომელნიც გადაიქცნენ სწავლა-განათლების ცენტრებად. არც არაბთა ბატონობის დროს ყოფილან ქართველები გულხელ დაკრეფილნი და ყველაზე დიდი წამოწყება ქართული სამონასტრო მშენებლობისა სწორედ ამ დროს ეკუთვნის. მონასტრებს აარსებდნენ საქართველოსა და უცხოეთში. ყოველ მონასტერთან არსებობდა სკოლა, სადაც წერთვნიდნენ არა მარტო სასულიერო დარგში, არამედ ასწავლიდნენ უცხო ენებსა და სხვა მეცნიერებათ. აქ იწერთვნებოდა დიდძალი ახალგაზრდობა, რომელიც შემდეგ უძღვებოდა როგორც სასულიერო ისე საქვეყნო საქმეებს.

ბაგრამ ყველაზე დიდი დასაწყისი ქართული განათლებისა, სახელმწიფოებრივი საზომით, — უნდა შექმნილიყო საქართველოს სრული პოლიტიკური თავისუფლების პირობებში და ეს მისია წილად ხვდა დიდ დავით აღმაშენებელს. მან საქართველო გასწმინდა გარეშე მტრისაგან. სახელმწიფოს ჩაუყარა მყარი საფუძველი. ახლა საქართველოს ველარ დააკმაყოფილებდა სამონასტრო სკოლები და უცხოეთი. საჭირო იყო მაღალი დაწესებულების შექმნა, რომელიც იკისრებდა სახელმწიფოს გამძღოლი დასის გაწერთვნას და ასე წარმოიშვა გელათის აკადემია. მას მოჰყვა იყალთოს აკადემია და ამით საფუძველი ჩაეყარა ოქროს ხანის ქართულ კულტურას. ამ დროს მოხდა სინთეზი მთელი წარსული კულტურისა და ქართველი ერი ჩადგა მსოფლიო კულტურულ ერთა რიგში.

საქართველოს პოლიტიკურ დაცემას მოჰყვა სწავლა-განათლების ცენტრების მოშლა და კულტურული დაქვეითება...

მხოლოდ მეთვრამეტე საუკუნეში შეიქმნა შესაძლებლობა ძველი ტრადიციების განახლებისა. თბილისისა და თელავის უმაღლესი სასწავლებლები, განსაკუთრებით დიდი ანტონ კათოლიკოსის მეთაურობით, თითქოს მოწოდებულნი იყვნენ გელათისა და იყალთოს ძველი ტრადიციის გაგრძელებისათვის, მაგრამ საქართველო კვლავ ანარქიამ მოიცვა. თურქ-სპარსთა ოთხი საუკუნის თარეშმა დაასამარა ეს ახალი იმედი, ხოლო მალე რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიამ ძირიანფესვიანად აღმოფხვრა ყოველივე ნასახი ქართული ეროვნული დაწესებულებისა.

რუსებმა თავიანთი ასიმილაციის პოლიტიკის წყალობით ყველა ქართული სკოლა დახურეს და მათ ნაცვლად ისიც ძალიან ღატაკად ქართველებს რუსული სკოლები დაუარსეს. ქართველობა კარგად გრძნობდა, რომ ეროვნული სკოლის მოსპობა მას გადაგვარებას უქადდა და კულტურულ დაცემასაც, რადგან ცოტას შეეძლო განათლების მიღება უცხოეთში. რუსები ადგილობრივ კმაყოფილდებოდნენ მხოლოდ დაბალი და მცირე რიცხვის საშუალო სკოლების შექმნით, რათა ქართველობას, ვისაც ეს შეეძლო, უმაღლესი განათლება მიეღო რუსეთში და ადვილად გადაგვარებულიყო. ამ ნიადაგზე ქართულ სა-

ზოგადოებაში დიდი მოძრაობა იყო შექმნილი, რომელიც იბრძოდა ერთი მხრით გარუსების ცდების წინააღმდეგ, და მეორეს მხრით ადგილობრივ სკოლებში ქართული ენის დაცვისათვის.

მეცხრამეტე საუკუნე დიდი კულტურული აღმავლობის ხანა იყო მთელს მსოფლიოში და ქართველობა გრძნობდა, რომ თუ მას საკუთარ მიწაზე არ ექნებოდა განათლების უმაღლესი დაწესებულება, ის უთუოდ ჩამორჩებოდა მსოფლიოს წინსვლას.. იდეა ქართული უნივერსიტეტის დაარსებისა მუდამ სცოცხლობდა ქართულ საზოგადოებაში. ის არა ერთხელ შეეცადა მის განხორციელებას, მაგრამ რუსის მთავრობა მას ამის ნებას არ აძლევდა. ქართველი ერის მრავალ თხოვნაზე რუსის მთავრობამ საბოლოოდ უარი უთხრა ქართველებს თვით რუსული უნივერსიტეტის დაარსებაზე საქართველოში.

ქართველი ერი მუდამ ემზადებოდა ამ ბრწყინვალე დღისათვის, რომ ერთ დღეს ის მას განახორციელებდა. თვით ის შენობა, სადაც მოთავსებული იყო ჩვენი ქართული გიმნაზია, განზრახ იყო აშენებული მომავალი უნივერსიტეტისათვის.

და როდესაც მოვიდა საქართველოს განთავისუფლების დრო, ქართველი ერის მოწინავე შვილებმა, დიდი ივანე ჯავახიშვილის მეთაურობით დააარსეს ქართული უნივერსიტეტი. ქართველი ერის მეცნიერული ძალები მყისვე დაუბრუნდნენ თავიანთ სამშობლოს და ამ დიდ საქმეს სათავეში ჩაუდგნენ.

ნახევარი საუკუნის განმავლობაში ნელ-ნელა იზრდებოდა და ივსებოდა ქართული უნივერსიტეტი, რათა მხარში ამოდგომოდა სხვა ქვეყნების მსგავს დაწესებულებებს. ამ ხნის განმავლობაში მას მრავალი დაბრკოლება შეხვდა, მაგრამ მან ყოველივე ეს დასძლია და ქართველ ერს მოუშზადა სათანადოდ გაწრთვნილი მეცნიერული ძალები და საზოგადო მოღვაწენი.

თავისუფლების სულ რამდენიმე წელი ხვდა ქართულ უნივერსიტეტს და მერმე ისევ რუსული ხიშტის ქვეშ მოჰყვა; კომუნიზმის ნიღაბით ბევრი რამ შერყვნეს, ყოვლად დაუმახურებელი და გადაგვარებული ქართველის ჯულაშვილის სახელითაც კი მონათლეს...

კომუნისტები ყველაფერს ითვისებენ. არა მარტო მას, რაც შეუქმნია ქართულ გენიას მათი ბატონობის ხანაში, არამედ უფრო ადრეც. მათ მიითვისეს ყველაფერი, დაწყებული რუსთაველით და გათავებული ილია ჭავჭავაძით; ასე დაემართა ქართულ უნივერსიტეტსაც. ახალ თაობას აშკარად ატყუებენ, თითქოს ქართული უნივერსიტეტი საბჭოთა ხელისუფლებამ შექმნა. აი ერთი ამ სიცრუის ნიმუში, ისიც მეცნიერულ წიგნში: 1955 წ. თბილისში გამოიცა დ. გერიტიშვილის წიგნი: „ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან», რომლის შესავალში სწერია: „საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ ახალი პერსპექტივები გადაიშალა. შეიქმნა ქართული უნივერსიტეტი — ქართული კულტურისა და მეცნიერების უდიდესი კერა“...

ვინ არ იცის, რომ უნივერსიტეტი დაარსდა 1918 წელს! საქართველოში საბჭოთა ხელის უფლებას კი არ გაუმარჯვია, არამედ 1921 წელს ის რუსეთმა დაიპყრო მზაკვრული თავდასხმით. ხოლო მოტანილი ამონაწერიდან ადამიანმა ასე უნდა გაიგოს, თითქოს ქართველმა ხალხმა დაამხო ერთი რეჟიმი და შექმნა მეორე და მერმე დააარსა უნივერსიტეტიც. ეს კი შეიძლებოდა მომხდარიყო მხოლოდ 1921 წლის შემდეგ! ასე საძაგლად რყვნიან ჩვენს გულშინდელ ისტორიასაც, რომლის მომსწრენი დღესაც კი ბევრია ცოცხალი, ანდა როგორ უნდა ელაპარაკონ ქართველ ერს უნივერსიტეტის 50 წლისათვის, როდესაც საბჭოთა ხელისუფლებას ჩვენში სულ 47 წელი უსრულდება?

დიახ, საქართველო კვლავ დაპყრობილია! მაგრამ ქართველი ერი ნახევარი საუკუნის წამებისა და დამცირების ბრძოლაში გავლილი ის ალარ არის, რაც იყო ასორმოცდაათი წლის წინად. მისი ფიზიკური ხერხემალი უფრო მაგარია, ხოლო ეროვნული შეგნება და კულტურა განმტკიცებული. ვერავითარი ქარიშხალი მას ვეღარ წააქცევს. და ამ დიდ საქმეში გადამწყვეტი როლი ითამაშა ქართულმა უნივერსიტეტმა.

ერთ დღეს საქართველო გათავისუფლდება გარეშე მტრისაგან, ის გაფანტავს მტრის შიერ მოტანილ ბოლშევიზმის ბურუსსაც. საქართველოს ცაზე გამოიდარებს და უნივერსიტეტიც მოიპოვებს თავის ნამდვილ სახეს.

ამის იმედიც უნდა ვიქონიოთ, რადგან მიუხედავად მძიმე პირობებისა, ქართული გენია მაინც ახერხებს მიხვეულ-მოხვეული გზებით ჩვენი ერის შემოქმედებით ნიჭს გზა გაუკაფოს და ერის სამარადისო არსებობა უზრუნველ ჰყოს.

სან ფრანსისკო, იანვარი 1968 წ.

---

† ექიმი ვახტანგ ღამბაშიძე

ქართული უნივერსიტეტის დაარსება

(დღიურიდან)

ბ-ნმა გიორგი ყიფიანმა, უნივერსიტეტის საიუბილეო დღესასწაულზე, პარიზში, წაიკითხა განსვენებული ექიმ ვახტანგ ღამბაშიძის მომოგონებათაგან, ნაწყვეტი, რომელიც უნივერსიტეტის დაარსებას ეხება. მთლიანად ეს მოგონება ცალკე, აქვე იბეჭდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედეა ღამბაშიძის ასული-ნიკოლაძისა

(ჩემი დღიურიდან))

26 იანვარს 1918 წელს, პირველ საათზე, დიდი ზეიმით გაიხსნა ქართული უნივერსიტეტი. აურეველ საზოგადოებას ველარ იტევდა ქართული უნივერსიტეტის შენობის კედლები.

პარაკლისის შემდეგ, უნივერსიტეტი გახსნა აკაკი ჩხენკელმა:

„ეს დღე დაუვიწყარ დღეთ დარჩება ქართველი ერისათვის. დღეს არსდება პირველი ქართული უნივერსიტეტი, რომელიც, უეჭველია, მტკიცე საფუძველი შეიქმნება ჩვენი კულტურული შემოქმედებისათვის. ამ უნივერსიტეტმა უნდა აღანთოს ქართველ ერში გონებრივი განახლებისა და აღორძინების ლამპარი. მან უნდა გადმონერგოს ჩვენში ევროპის გონების საგანძური.

არასოდეს არ ყოფილა ასე საჭირო და ძვირფასი ჩვენთვის სამეცნიერო ტაძარი, როგორც დღეს — ამ ძველის დანგრევისა და ახალის წარმოშობის ჟამს — როდესაც ქართველმა ერმა უნდა მოიპოვოს არა მხოლოდ პოლიტიკური თავისუფლება, არამედ უნდა განახლდეს მისი სულიც და ფართოდ დაშალოს ფრთები მისი შემოქმედების გენიამ.

ეროვნულმა განთავისუფლებამ ფხიზლად უნდა უდარაჯოს ქართულ მეცნიერებას და ქართულმა გონებრივმა კულტურამ უმწვერვალესამდე განვითარებულმა, უნდა განამტკიცოს პოლიტიკური თავისუფლება.

სალამი და დღეგრძელობა ქართველთა მეცნიერების ტაძარს...

(აღარ მახსოვს, ასეთი სიტყვა ბ. აკაკი ჩხენკელისა თვითონ მე ჩავიწერე,, თუ რომელიმე გაზეთიდან ამოვიწერე).

1928 წელს თბილისის უნივერსიტეტმა გამოსცა წიგნი: „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 1918—1928 წ.“

მახსოვს, როგორ მესიამოვნა, როდესაც ამ წიგნში ამოვიკითხე შემდეგი: „პირველი მსმენელი, რომელმაც განცხადება შემოიტანა უნივერსიტეტში შემოსვლის შესახებ და თანაც ასი მანეთი სწავლის ფული გადაიხადა, იყო მედეა ღამბაშიძე“-ო.

მას შემდეგ გავიდა 40 წელი და კიდევ მივიღე ცნობა, რომ 50 წლის თავზე გამოსულ წიგნში და გაზეთებშიც კვლავ მასახელებენ.

შემიძლია ვიამაყო ამით და ვამაყობ კიდეც.

საფრანგეთში მყოფ ქართველ მწერალთა და ჟურნალისტთა კავშირის თხოვნისამებრ, ვცდილობ გავიხსენო ცოტა რამ თბილისის უნივერსიტეტის დაარსების შესახებ. საუბედუროდ მხოლოდ ერთი წელიწადი გასტანა უნივერსიტეტში ჩემმა ყოფნამ, ვინაიდან 1919 წელს მომეცა შემთხვევა წავსულიყავი ინგლისს, ბიძა ჩემთან, ინგლისური ენის შესასწავლად და ვერაფერ საგულისხმოს ვერ ვიტყვი, გარდა იმისა, რაც ამოვიკითხე ჩემ დღიურში:

— ჩავეწერე სიბრძნისმეტყველების ფაკულტელზე; მახსოვს მინდოდა ყველა ლექციის მოსმენა; აკაკი შანიძის ლექციით დავიწყე; მისივე რჩევით დავიწყე სომხური ენის სწავლა, მაგრამ 3 გაკვეთილის შემდეგ დავტოვე, გადავედი არაბულზე. ბ. გ. ახვლედიანთან ვისმენდი და დავიწყე სანსკრიტის სწავლა; ძალიან მომწონდა ლურსმული წერა. მახსოვს კიდევ ბ. შალვა ნუცუბიძის სიცოცხლით სავსე ლექციები ფილოსოფიაზე და დიტო უზნაძის ნაზი, საინტერესო ლექციები ფსიქოლოგიაზე. ვისმენდი აგრეთვე ა. ივ. ჯავახიშვილის ლექციებს „საქართველოს ისტორიის“ შესახებ.

ყოველ დღე საღამოს 5 — 9 საათამდე დავიარებოდი უნივერსიტეტში. მახსოვს, დასაწყისში წიგნები არ გვქონდა და ყველა ლექცია უნდა ჩაგვეწერა. ვინაიდან მე ვაჭერხებდი ლექციების ჩქარა ჩაწერას, დიდი ნაწილი სტუდენტებისა შემომეხვეოდა ხოლმე 9 საათის შემდეგ და ყველა მთხოვდა მათთვის წამეკითხა ჩემი ჩანაწერი ლექციები...

ერთ ადგილას ამოვიკითხე ჩემ დღიურში: „ძალიან კმაყოფილი ვარ უნივერსიტეტში წაკითხული ლექციებით, მაგრამ თვით მსმენელები სრულებით არ მომწონან. ყველა — ახალგაზრდა, მოხუცებული. მღვდელი, ოფიცერი, „ჩინოვნიკი“ — ყველა მსმენელია... სჯობდა მხოლოდ ახალგაზრდებს მოეყარა თავი, უფრო სერიოზულად და უფრო თავისუფლად ვისწავლიდით... თითქმის 400-მდე არის ჩაწერილი.. უნივერსიტეტი მოთავსდა ყოფილ სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობაში. უნივერსიტეტის გახსნის დღეს არ იყო დამთავრებული აუდიტორიების მოწყობა. არ იყო საკმარისი განათება, არც საჯდომები და ძალიან ცხელოდა. იმ დროს უნივერსიტეტის კოლეგიის განკარგულებაში იყო მხოლოდ სამი ოთახი, მეოთხე სართულის სამხრეთ ფრთაში, რომელიც უნივერსიტეტის გამგეობას გადმოეცა ყოფილ წმიდა ნინოს ლაზარეთის ლიკვიდაციის შემდეგ.

დასასრულ, არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ ინგლისური ენის ლექტორად დანიშნული იყო დედა-ჩემი ვანდა ღამბაშიძისა და ჰიგიენის ლექტორად მამა-ჩემი, ექიმი ვახტანგ ღამბაშიძე.

სიკვდილამდე ვინანებ, რომ მივატოვე უნივერსიტეტი ქართული... უცხო ენის შესასწავლად..

სევ. ჭირაქაძე

თბილისის უნივერსიტეტის

დაარსების 50 წლის თავი

თებერვლის რევოლუციის შემდეგ — იგონებს ბ. ზურაბ ავალიშვილი, — პეტროგრადის ქართველთა სათვისტომოს საერთო კრებაზე (1917 წ.), სადაც თბილისის უნივერსიტეტის მომავალმა დამაარსებელმა, ცნობილმა ისტორიკოსმა, პროფესორმა ივანე ჯავახიშვილმა, მეტად შთამაგონებელი სიტყვა წარმოთქვა, უმალ მასში საქართველოს ათასწლოვანი პოლიტიკურ - სახელმწიფოებრივი და კულტურული ტრადიცია ამეტყველდაო.

იმავე წლის მარტში, ბ. ივანე ჯავახიშვილს, პეტროგრადში, თავის ბინაზე, ქართველ მეცნიერთა კერძო თათბირი მოუწვევია და განუხილავთ თბილისის უმაღლესი სასწავლებელის დაარსების საკითხი. სხდომაზე მას იმედი გამოუთქვამს,: არის ოტყუარი ნიშნები, რომ ჩავრულ ერთა გათავისუფლება მოახლოებულია და ქართული უნივერსიტეტის დაარსებაც მოგვარდებაო. ბალე ის საძ-ირობლოში დაბრუნებულა და უნივერსიტეტის დაარსების სამზადისს შესდგომია. ჯერ კიდევ რუსეთში ყოფნისას მას გაუმართავს მოლაპარაკება ყველა ქართველ მეცნიერთან, რომელნიც რუსეთის სხვა და სხვა უნივერსიტეტში მეცნიერულ მუშაობას ეწეოდნენ. ბ. ივანე ჯავახიშვილის წინადადება მათ დიდი აღფრთოვანებით მიუღიათ და აღუთქვამთ თბილისს დაბრუნება.

ბევრი დაბრკოლების გადალახვის შემდეგ, ორგანიზაციული სამზადისი 1917 წ. დამლევისათვის დასრულდა. ჩამოსულ მეცნიერთა ერთმა ჯგუფმა თავი მოიყარა თბილისში, შეუერთდა აქ მყოფ მეცნიერ მუშაკებს (ექვთიმე თაყაიშვილი, კორნელი კეკელიძე, ფილ. გოგიჩაიშვილი, შალვა ნუცუბიძე, მოსე ჯანაშვილი, სერგი გორგაძე, დიმიტრი უზნაძე, ალექსანდრე ჯაყელი, იუსტინე აბულაძე, დავით კარიჭაშვილი და სხვები).

უკვე დადგა საკითხი უნივერსიტეტის დაფუძნების პრაქტიკულად განხორციელებისა.

გახსნის დღედ 1918 წ. 26 იანვარი იქმნა დანიშნული. 13 იანვარს ქართული გიმნაზიის შენობაში, რომელიც დღეს უნივერსიტეტის ძირითად კორპუსად ითვლება, შეიკრიბა დამაარსებელთა პირველი ოფიციალური სხდომა; უნდა არჩეულიყო რექტორი.. ყველა ფიქრობდა, რექტორად იქნებოდა მისი თავოსან-დამაარსებელი და სულისჩამდგმელი პროფესორი ივანე ჯავახიშვილი. თვითონ მან ეს არ მოისურვა; კატეგორიული უარი განაცხადა და ახალშობილი უნივერსიტეტის პრესტიჟისათვის, მანვე დაასახელა მსოფლიოში ცნობილი, ქართველი მეცნიერი, ქიმიკოსი პეტრე მელიქიშვილი, რომელიც ყველას მიერ ერთხმად იქმნა არჩეული.

თბილისში და მთელ საქართველოში მშობლიური უნივერსიტეტის დაარსებამ დიდი გამოძახილი ჰპოვა: არავის დაუშურვებია მორალური გამხნევება, უხვი ფულადი დახმარება, ინვენტარის უფასოდ დათმობა, ბიბლიოტეკების შეწირვა და სხვა. ყველა გრძნობდა, უნივერსიტეტი მალე გახდებოდა ჩვენი მეცნიერების ტაძარი და საქართველოს ეროვნული თავისუფლების მკვიდრი დასაყრდენი. აქ იკრიბებოდნენ ენთუზიასტი, გამობრძმედილი მეცნიერული ძალები და ის ახალგაზრდობა, მშობლიურ ენაზე ცოდნას მოწყურებული, რომლის მისწრაფება იყო ბეჯითად განეგრძო სამეცნიერო დისციპლინის დაუფლება, განემტკიცებია საღი ეროვნული სული და ხალხის სამსახურში ჩამდგარიყო, მომავალში ეკონომიური და კულტურის განვითარების გასაღონიერებლად, რაც ასე ესაჭიროებოდა მეფის რეჟიმის წყალობით ეკონომიურად ჩამორჩენილ ჩვენს ქვეყანას.

მაშასადამე, უნივერსიტეტი დაარსდა 1918 წ. 26 იანვარს; ის უსწრებდა საქართველოს დამოუკიდებლობას. დიდი ზეიმით გაიხსნა ბ. აკაკი ჩხენკელის თავმჯდომარეობით უნივერსიტეტის დამფუძნებელი კრება, უამრავი საზოგადოების თანადასწრებით.

შემდეგში, კომუნისტური პარტია, ქართველი ერისათვის ამ დიდ ისტორიულ თარიღს ქართულ საზოგადოებას უტიფრად უმალავდა და უნივერსიტეტის დაარსება საბჭოთა ხელისუფლებას მიაწერა. იმ ხანებში ასეთი ცდა იშვიათი არ იყო და რაც დამოუკიდებლობის დროს გაკეთდა, ყველაფერს საბჭოთა რეჟიმის სიკეთეს აკუთვნებდნენ, თითქოს ის იყო დასაბამი კულტურულ-ეკონომიური აღორძინების; ასევე, ყველა ჩვენს სულიერ-მატერიალურ შემოქმედებას, ხელოვნურად რუსეთის კულტურას უკავშირებდნენ. ეს მოვლენა ახლაც ძალაშია.

პირველ ხანებში, თბილისში დაფუძნებული უნივერსიტეტი კერძო უმაღლესი სასწავლებელი იყო და შემდეგ, დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის კანონის თანახმად და განსკუთრებული წესდებით, ის გადაკეთდა სახელმწიფო უნივერსიტეტად. მაინც, ყველაზე უკეთესად მოწყობილი და დაკომპლექტებული სიბრძნის მეტყველების დარგი იყო, რომელიც შეიცავდა ქართული ენის (ძველისა და ახალი) და ისტორიის, ფილოსოფიის, ეკონომიურ და იურიდიულ ფაკულტეტებს. ლექციებს კითხულობდნენ უკვე გამოჩენილი მეცნიერები: ბ,ბ, ივანე ჯავახიშვილი (ქართველი ერის ისტორია, სამართლისა და ეკონომიური ისტორია); კორნელი კეკელიძე (ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია); მსოფლიოში ცნობილი ელინისტი გრიგოლ წერეთელი (ძველი საბერძნეთისა და რომის ლიტერატურის ისტორია); აკაკი შანიძე (ქართული ენის, ძველისა და ახალის, გრამატიკა); გიორგი ახვლედიანი (ზოგადი ენათმეცნიერება); მიხეილ ზანდუკელი (მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორია); მიხეილ წერეთელი (ძველი აღმოსავლეთის ენები

და ისტორია); გიორგი ჩუბინაშვილი (ქართული ხელოვნების ისტორია); ექვთიმე თაყაიშვილი)არქეოლოგია და ეკონომია და სტატისტიკა); შალვა ნუცუბიძე (ლოგიკა და ფილოსოფია); დიმიტრი უზნაძე (ფსიქოლოგია და პედაგოგიკა); სერგი დანელია (ანტიკური ფილოსოფიის ისტორია); და სხვანი. აგრეთვე გაიმართა სხვა დარგის ფაკულტეტები — სამკურნალო, მათემატიკური, საბუნებისმეტყველო, გეოგრაფიის, გეოლოგიის და სხვ. აქაც გამოჩენილი მეცნიერები კითხულობდნენ ლექციებს — ბ.ბ. პეტრი მელიქიშვილი (ქიმია); აღ. ჯანელიძე (გეოლოგია); ანდრია რაზმაძე (უმაღლესი მათემატიკა); ივანე ბერიტაშვილი (ფიზიოლოგია); ალექსანდრე ჯავახიშვილი (ზოგადი და საქართველოს გეოგრაფია); და სხვები.

სულ მცირე ხნის განმავლობაში, ჩვენმა უნივერსიტეტმა მოიპოვა საერთო აღიარება: დამყარდა უცხოეთის უნივერსიტეტებთან მჭიდრო კავშირი. მეცნიერული გამოკვლევები იბეჭდებოდა უცხოურ ენებზედაც, რითაც უცხოელებს შეეძლოთ უშუალოდ გასცნობოდნენ ქართველ მეცნიერთა ნაშრომებს. საზღვარგარეთ გაიგზავნა ბევრი ახალგაზრდა, იქ სხვა და სხვა მეცნიერების დისციპლინათა შესასწავლად; ზოგი კი მივლინებულ იქმნა მეცნიერული დონის გასაღრმავებლად.

თბილისის უნივერსიტეტი მიწვეულ იქმნა ნეაპოლის უძველესი უნივერსიტეტის 500 წლის თავის აღსანიშნავად გამართულ ზეიმზე; დაესწრო პროფესორი გრიგოლ წერეთელი, მიულოცა და მოხსენებით გამოვიდა კიდეც, იქ შეკრებილ მსოფლიო მეცნიერების წინაშე თავის სპეციალობაში (ელინიზმის თანამედროვე პრობლემები); რითაც ასახელა ახლად აღმოცენებული ქართული მეცნიერების ტაძარი.მან იქვე აღმოაჩინა დოკუმენტები, რომლის მიხედვით მე-16—17 საუკუნეში ნეაპოლის უნივერსიტეტში ესწავლნენ რამოდენიმე ქართველს და იურიდიული განათლება მიუღია ერთ გელოვანს.

პროფ. ბ. ანდრია რაზმაძემ მიიღო მონაწილეობა პარიზის მათემათიკოსთა ყრილობაზე: აქ მან წაიკითხა რამოდენიმე მოხსენება.

პროფ. გ. ნიორაძე გაიგზავნა გერმანიაში პრეისტორიკოსების კონგრესზე. მისი მოხსენება დაბეჭდილი იყო გერმანულადაც.

ასე რომ ჩვენი უნივერსიტეტი თანდათან საქვეყნოდ ცნობილი ხდებოდა.

საქართველოს ეროვნული თავისუფლების დაკარგვით და უნივერსიტეტის ავტონომიის მოსპობით, უცხოეთთან ეს მეცნირული ურთიერთობა ხანგრძლივად შეზღუდული და შენელებული იყო; მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოკრძალებით განახლდა, მაგრამ არა სრულად და დამოუკიდებლად, არამედ მოსკოვის მეურვეობით და მისი უმაღლესი ნებართვით ამას ერთვის ცენზურის სისასტიკე და პოლიციური მეთვალყურეობა.

სამი წლის დამოუკიდებლობის არსებობის შემდეგ, საქართველოს და მისი უნივერსიტეტის ბედი უკულმართად წარიმართა; უმართებულოდ თავზე მრისხანე კატასტროფა დაატყდა. საბჭოთა რუსეთმა უხეში ძალით შელახა ჩვენი ეროვნული უფლებები, ცეცხლითა და მახვილით შემოგვესია წითელი ჯარის ურდოები და წაგვტაცა ეროვნული დამოუკიდებლობა; მას მიჰყვა უნივერსიტეტის თავისუფლებაც და ისიც დაუმორჩილეს მარქსიზმ-ლენინიზმის მარწუხებს. მეცნიერებაში შეიჭრა პოლიტიკა და მეტად დააზიანა მეცნიერული კვლევა-ძიების ნაყოფიერება; კვლევა-ძიება ობიექტურ არეს განშორდა და პარტიის ორბიტაში მოემწყვდა; გაჩანაგდა უმთავრესად სიბრძნისმეტყველების დარგი, მისი ფაკულტეტი; ბოლშევიკების აგენტები უხეშად ჯარფაშობდნენ, პროფესორებს ამცირებდნენ; ითხოვდნენ, აგდებდნენ კიდეც უნივერსიტეტიდან; მოითხოვდნენ მათგან სტალინიზმის სრულად გამოყენებას. უნივერსიტეტიდან გარიცხეს მისი დამაარსებელი ბ. ივანე ჯავახიშვილი, რადგან მან უარი თქვა კომუნისტური პარტიის ისტორიის დაწერაზე. ბევრი კიდეც გადაასახლეს შორეულ ციმბირს: ზოგი დახვრიტეს, მათ შორის, მსოფლიოში ცნობილი ელინისტი ბ. გრიგოლ წერეთელი. და რამდენი მწერალი და საზოგადო მოღვაწე!

ის სულიერი განწყობილება, მეცნიერული კეთილსინდისიერი კვლევა-ძიების თავისუფლება, ერის სამსახური, რომელიც ბ. პრ. ივანე ჯავახიშვილმა და მისა პირველმა თანამშრომლებმა და მათ მიერ აღზრდილმა შემდგომმა თაობებმა დაამკვიდრეს, თანდათან მოისპო და დიდ ხანს ჩვენ პროფესორებს ჯოჯოხეთურ პირობებში უხდებოდათ ლექციების კითხვა.

ბოლშევიკებმა მაშინვე მოშალეს უნივერსიტეტის ემბლემა — ალმა-მატერ — და დამპყრობელის ჩაქუჩ-ნამგალით შესცვალეს და მას სტალინის სახელი მიაკერეს... რატომ? რისთვის? სტალინს რა ამაგი, რა ღვაწლი მიუძღოდა მის დაარსებაში, — ეს არავინ უწყოდა! ამ უკანასკნელად, ხრუშჩევის მიერ სტალინის შეჩვენებისა და გაბიაბრუების შემდეგ, ეს უჯერო სახელწოდება უნივერსიტეტს უხმაუროდ მოხსნეს, მაგრამ ძველებურად დარჩა მისი სულთამხუთავი ატმოსფერო, როგორც ყველგან და ყველაფერში. პროფესორები ახლა უფრო განიცდიან იდეოლოგიურ დაწოლასა და კონტროლს; დაწოლა ისე ძლიერია, რომ მას ვერ ეხლეტება არამც თუ ჰუმანიტარული და საზოგადოებათმეცნიერება, არამედ ზუსტი მეცნიერების დარგებიც კი. მაშინ, როდესაც მთელი ჩვენი კულტურა, მწერლობა, ხელოვნება და ზნეობრივი ცხოვრების ფორმები ქრისტიანული ცივილიზაციიდან მომდინარეობს, ახლა იმდენად გაკადნიერებულან, რომ დაუწესებიათ ათეისტური და ანტირელიგიური კათედრა. ჩვენ გვინდა ვიცოდეთ, როგორ თავსდება ერთად ეს ორი დიამეტრიალურად საწინააღმდეგო აბრუნდი. ერის სინიღისის შეურაცხყოფა, სულის დამახინჯება, — განა ამაზე მეტი შეიძლება?!

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუხედავად ყოველივე ამისა, ქართული მეცნიერება მაინც ახერხებს, ზოგჯერ უნებური იდეოლოგიური კომპრომისის გზით, ჩინებული ნაშრომების შექმნას და გამოქვეყნებას მეცნიერების სხვა და სხვა დარგში, განსაკუთრებით, ქართველოლოგიის საკითხებში, რომელიც დაბრკოლებით, მაგრამ მაინც უცხოეთამდე აღწევს და დიდ ინტერესსაც იწვევს უცხოეთის ქართველოლოგთა შორის. აქაც მრავალი სიძნელეა დასაძლევი, მაგალითად: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობას ნება არა აქვს ზოგი საყურადღებო შრომა-გამოკვლევა უცხო ენაზე დაბეჭდოს. არც უშუალო კავშირი არსებობს უცხოეთის უნივერსიტეტებთან; არც ისე ხშირია მეცნიერული მივლინებები და თუ ხანდახან მაინც არის მივლინება, ეს ხდება მოსკოვის განკარგულებით, მისი კონტროლით და საშუალებით. ჩვენ აქ ვერ ჩამოვთვლით ყველა სიძნელეს, რაც აფერხებს ქართული მეცნიერების ნორმალურ განვითარებას და წარმატებას. მას არა ჰყავს არც მფარველი და არც დამცველი. აი, თუნდაც ერთი ფაქტი: კარგა ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც აკადემიის პრეზიდენტმა ნ. მუსხელიშვილმა, უმაღლესი საბჭოს ერთ სესიაზე გამოითხოვა სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაცული დისერტაციის დამტკიცება თვით თბილისში ხდებოდეს. დღევანდლამდე ეს მოსკოვში ხდება. ალბათ, ყოველი წყალობა იქიდან უნდა მოდიოდეს: ლენინის ორდენს, სხვა და სხვა დაჯილდოებას, პრემიას, რუსეთის ერთგულების განსამტკიცებლად, საბჭოთა მთავრობა აწესებს. ბ. მჟავანაძე და ბ. ჯავახიშვილი უბრალო ქაღალდის გაცემით ჯერდებიან. მაშ, სად არის საბჭოთა საქართველოს დამოუკიდებლობა, რაზედაც ასე ხშირად ლაპარაკობენ ქართველი კომუნისტები? ან რად არის ასეთი ერთა უთანასწორობა, ან უნდობლობა უფროს და უმცროს ძმათა შორის?

შალვა კალანდაძე

უნივერსიტეტის 50 წლის აღსანიშნავად

1918 წელი. 26 იანვარი. ამ დღეს ყველა უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა საქართველოში. ამ დღეს დაარსდა ქართული უნივერსიტეტი, რის ნებას მეფის რუსეთი მთელი საუკუნის განმავლობაში არ გვაძლევდა.

ქართული უნივერსიტეტი ქართველი ინტელიგენციის მუდმივი ოცნების საგანი იყო.

ის გაიხსნა თბილისის ქართული გიმნაზიის შენობაში, რომელიც იყო დაგეგმილი და აგებული იდუმალი იმედით, შიგ ქართული მეცნიერების ტაძარი მოეთავსებინათ, რაც მართლაც აღსრულდა.

ადვილად წარმოსადგენია, თუ რა დიდ სიხარულს და სიამეს გამოიწვევდა ქართული უნივერსიტეტის დაარსება.

სუსხიანი ზამთარია. მიუხედავად ამისა, ზღვა ხალხი მოაწყდა უნივერსიტეტის შენობას. ტევა აღარ იყო არც დარბაზში, არც გარეთ. კარი და ფანჯრები გააღეს, რომ ხალხს მოესმინა, თუ რა ხდებოდა შიგნით, საზეიმო გახსნაზე.

პირველ რექტორად აირჩიეს მსოფლიოში ცნობილი ქიმიკოსი პეტრე მელიქიშვილი. უნივერსიტეტს ჰქონდა სრული ავტონომია. უნივერსიტეტის სტატუტი შეადგინა პროფესორმა ივანე ჯავახიშვილმა. უნივერსიტეტი თვითონ ირჩევდა თავის რექტორს, ფაკულტეტების დეკანებს, ახალ პროფესორებს. დამოუკიდებელად უძღვებოდა მეცნიერულ კვლევა-ძიებას, ყველა ჯურის არამკითხეთა ჩარევის გარეშე. ეს სტატუტი 1921 წლამდე, ესე იგი, საბჭოთა რუსეთის შემოსევამდე ძალაში იყო. მაგრამ 1921 წელს დამოუკიდებლობა და თავისუფლება მოსტაცეს, როგორც ქვეყანას, ისე უნივერსიტეტს.. ამ დღიდან მის ბედს მოსული და შინაური კომუნისტები დაეპატრონენ.

უნივერსიტეტის დამაარსებელი და სიამაყე ივ. ჯავახიშვილი რექტორობიდან გადააყენეს, ფილოსოფიური ფაკულტეტი დახურეს, „არასაიმედონი“ დაიჭირეს, გადაასახლეს, დახვრიტეს.

დახვრიტეს ცნობილი ფილოლოგი - ელინისტი გრიგოლ წერეთელი, უპატიოსნესი, მშვიდი და სათნო ადამიანი. დახვრიტეს ზოზო ნანეიშვილი. ბიძინა რამიშვილმა ვერ აიტანა უნივერსიტეტში შექმნილი ატმოსფერო და თვითონ მოუღო თავის თავს ბოლო.

უნივერსიტეტს მიაკერეს სტალინის სახელი და მის დამაარსებელად საქართველოს კომუნისტური პარტია გამოიყვანეს. ყველაფრის გაყალბებისა და მითვისების კომუნისტურმა უნარმა ქართული უნივერსიტეტის დაარსება საბჭოთა ხელისუფლებას მიაკუთვნა.

ისტორიკოსი კომუნისტი დ. გვრიტიშვილი თავის ნაშრომში: „ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობანი“ ასეთი კურიოზით იწყებს: „საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ საქართველოში ახალი პერსპექტივები გადაიშალა. დაარსდა ქართული უნივერსიტეტი — ქართული კულტურისა და მეცნიერების კერა“-ო. ბავშვმაც კი იცის, რომ ქართული უნივერსიტეტი 1918 წელს დაარსდა, ხოლო ე. წ. გასაბჭოება საქართველოსი 1921 წელს მოხდა.

ამ ხანად, მიუხედავად სასტიკი პარტიული კონტროლისა, უნივერსიტეტი ასე თუ ისე, მაინც განაგრძობს მეცნიერულ კვლევა-ძიებას და აზროვნებას.

ჩვენ ქედს ვიხრით ქართველ მეცნიერთა გამბედაობისა და მიღწევების წინაშე.

უზარმაზარი მნიშვნელობის მუშაობა არის ჩატარებული ქართველ მეცნიერთა მიერ სხვა და სხვა დარგში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალშეუდგამია მათი ძიების წყურვილი; მჩქეფარე ენერგია და არაჩვეულებრივი თავდადებითი მუშაობა, მაგრამ ყველაფერს ამას შორეული კავშირიც კი არა აქვს კომუნისტურ იდეოლოგიასთან და საბჭოთა ხელისუფლებასთან. პირიქით, ეს ხელისუფლება ხელთავს მეცნიერებას და არ აძლევს მას მარად გასაქანს.

ადვილად წარმოსადგენია, როგორი მიღწევები ექნებოდა მეცნიერებას უნივერსიტეტის დამოუკიდებელ, თავისუფალ ატმოსფეროში.

ქართული უნივერსიტეტის არსებობის 50 წლისა და მისი ტყვეობის 47 წლის თავზე, ვუსურვებდით ქართველ მეცნიერთ პარტიული კონტროლისა და „მზრუნველობისაგან" განთავისუფლებას; ვუსურვებდით მარად - ჟამს ახსოვდეთ ლესინგის სიტყვები, რომელნიც ყოველ დროში და ყოველ პირობებში თვითეული ჭეშმარიტი მეცნიერისათვის ანგარიშ-გასაწევია და გზის მაჩვენებელი: — „რომ თვით არსთა გამრიგე გამოცხადდეს ჩემს წინაშე, — ამბობდა ლესინგი, — და მარჯვენა ხელში მთელი ჭეშმარიტება ეპყრას, მარცხენაში კი ჭეშმარიტების ძიება და მითხრას: „ამოირჩიე!", — მე მივეკვროდი მარცხენა ხელს და ვეტყოდი: — „ეს მომეც, უფალო!"

ლ. ტიტვინიძე

მოგონებანი ჩვენს უნივერსიტეტზე

საშუალება მქონდა ჯერ კიდევ მოწაფეობიდან გავცნობოდი ჩვენი უნივერსიტეტის დაარსების ამბავს. სიტყვას: „ჩვენი უნივერსიტეტი", განზრახ ვხმარობ. ასე ხმარობდა მუდამ ივანე ჯავახიშვილი.

თბილისში როგორც პანსიონერი ვცხოვრობდი, პროფ. ილ. ყიფშიძესთან, რომლის ბინაზედაც ხშირად დაიარებოდნენ სხვა და სხვა საკითხების გამო ჩვენი პროფესორები. განსაკუთრებით აკაკი შანიძე, რომელიც მოდიოდა სადილად, ვიდრე ცოლს შეირთავდა. პირადად კი ვიცნობდი: სვ. ყაუხჩიშვილს, გ. ჩუბინაშვილს, ნ. კეცხოველს, თ. ლომაურს, ს. ჯანაშიას და გ. ნათაძეს.

მათი ურთი ერთ შორის, ან მათთან პირადი საუბარი დღესაც ზედმიწევნით მახსოვს.

აკაკი შანიძე: — „უნივერსიტეტის დაარსება არც ისე ადვილი საქმე იყო. მართალია, ივანე ჯავახიშვილის მეთაურობით ადრევე არსებობდა ქართული ინტელიგენციის ერთი გარკვეული ჯგუფი, რომელსაც გადაწყვეტილი ჰქონდა ხელსაყრელი პირობებით ესარგებლათ და თბილისში დაეარსებინათ ქართული უმაღლესი სასწავლებელი; რუსეთის მონარქიული მთავრობა ამის უფლებას არ გვაძლევდა.

1918 წ. რუსეთის ომში დამარცხებისა და მასი-ომარიის დანგრევით ვისარგებლეთ; უნივერსიტეტი დავარსეთ; შენობაც შესაფერი გვქონდა; მხოლოდ რიცხვით ძალიან ცოტანი ვიყავით; საჭირო კი იყო ყოველი დარგისათვის შესაფერი მცოდნე პიროვნება გვყოლებოდა. ამ მხრივ მოწინავე ინტელიგენციამ დიდი სურვილი გამოიჩინა და ყველა დიდის გულმოდგინებით ჩაება საქმეში; უცხოეთში მყოფი მცოდნე ქართველებიც კი დიდის სიამოვნებით ბრუნდებოდნენ თბილისში. რამოდენიმე მცირე გამონაკლისით: ფიზიკის პროფესორმა ჯანდიერმა არ მოისურვა თეერანიდან დაბრუნება.

ერთ ქართველ ექიმს პეტრე მელიქიშვილმა თხოვა, უნივერსიტეტში ლექციები წაეკითხა თავის დარგში; ექიმმა ჯამაგირის რაოდენობა იკითხა და მელიქიშვილმა გაბრაზებით უპასუხა: — „ის ვინც ჯამაგირზე უფრო მეტს ფიქრობს, ვიდრე ქართულ უმაღლესზე, მას უფლება არა აქვს ჩვენს უნივერსიტეტში ლექციები იკითხოს"-ო. ტელეფონიც ჩამოუკიდა.

პირველ რიგში დახმარებისათვის მივმართეთ ნ. მარს, რომელმაც სხვა და სხვა მიზეზების გამო უარი თქვა. ერთ-ერთ მიზეზთაგანად იმას ასახელებდა, რომ საქართველოს ჯერჯერობით არ ჰყავს საკმაო სტუდენტობა და საქართველოში უნივერსიტეტის დაარსება ნაადრევიაო."

ილ. ყიფშიძე: — „1925-ში იგივე ნ. მარი წერილს უგზავნის პროფესორთა საბჭოს და თხოვს ნება მიეცეს თბილისის უნივერსიტეტში ლექციების წაკითხვისა. პროფესორთა საბჭომ პასუხის გაცემა ივანე ჯავახიშვილს დაავალა".

საპასუხო წერილი ასე თავდებოდა: **კაცმა, რომელმაც თავის დროზე ჩვენი უნივერსიტეტის დაარსებაში მონაწილეობა არ მიიღო და უარი თქვა, დღეს, მას უკვე დაარსებულ უნივერსიტეტში უფლება არ აქვს ლექციების წაკითხვისა-ო.**

ჩვენმა პროფესორებმა მათი საკუთარი ხარჯით იყიდეს მუხრან-ბატონის მამული, რომელიც იმ დროს სრულიად მოდერნული, ევროპიულ სტილზე იყო მოწყობილი. იქ იგზავნებოდა პრაქტიკაზე აგრონომიული დარგის სტუდენტობა.

საქართველოს წითელი მთავრობა ჩვენს უნივერსიტეტს მუდამ შავის თვალით უყურებდა და ეძებდა ხელსაყრელ პირობებს, როგორმე იქ ქართულ - ეროვნული სულიერი კულტურის დედა-ბოძი შეერყია; მან მიზანს დაახლოებით 1926 წელს მიაღწია თითქმის; ემიგრაციიდან დაბრუნებული ვინმე კ. სულაქველიძის საშუალებით. ჩვენ მას „მეწვანილეს" ვეძახდით და ძალიან ჰგავდა მას ყოველ მხრივ.

კ. სულაქველიძემ გაზეთი „კომუნისტის"-ს საშუალებით გაილაშქრა ჩვენი უნივერსიტეტის წინააღმდეგ; იგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას ბრალსა სდებდა, რომ იქ ახალი თანამედროვე ცხოვრებისა არაფერი იყო; რომ იგი იყო კარჩაკეტილი, მოძველებული და უარყოფითი აზროვნების მატარებელი; საშუალო საუკუნეების „გუთნით - მხვნელებად“ გამოჰყავდა ჩვენი პროფესორები. რის გამოც კ. სულაქველიძე, 1926 წ., უნივერსიტეტში სტუდენტთა მიმღები კომისიის თავმჯდომარედ იქმნა დანიშნული და დავალებული ჰქონდა, რაც შეიძლება სასტიკად მოპყრობოდა ჩვენს პროფესორებს.

მან პროფესორი დ. უზნაძე საჯაროდ, საგამოცდო აუდიტორიიდან დაითხოვა ერთი დღის დაგვიანების გამო და თუ მის ბრძანებას არ შეასრულებდა, პოლიციით დაემუქრა.

კ. სულაქველიძეს შემდეგ ლექციების წაკითხვა დაავალეს, სხვა და სხვა დარგში, მაგრამ ვერსად ვერ გამოდგა; მას ყველა მასხარად იგდებდა, პარტიული თუ უპარტიო და მისმა დიდკაცობამ დიდ ხანს ვერ გასტანა.

იმავე წელს ივ. ჯავახიშვილი რექტორობიდან მოხსნეს; მის ადგილას დანიშნეს თედო ღლონტი.

ამის გამო ივ. ჯავახიშვილი უნივერსიტეტში დიდ ხანს აღარ მოდიოდა. პირველად მოვიდა 1927 წლის იანვარში, როდესაც სვ. ყაუხჩიშვილმა სადოცენტო დისერტაცია დაიცვა ბიზანტიის ისტორიაზე. ოპონენტებად დანიშნული იყვნენ: ივ. ჯავახიშვილი, გ. წერეთელი; მდივნობდა აკაკი შანიძე. ილაპარაკა კ. კეკელიძემ.

ეს სურათი იყო ყოვლად დაუვიწყარი. სტუდენტთა რიცხვი სამჯერ მეტი იყო, ვიდრე დიდი აუდიტორიის მოცულობა დაიტევდა. როგორც კი ივ. ჯავახიშვილი შემოვიდა და ფეხი შესდგა კათედრაზე, ისეთი ტაშის კვრა შეიქმნა, რომლის მსგავსი ერთხელ შეიძლება ნახოს ადამიანმა მის ცხოვრებაში. ამით ქართულმა ახალგაზრდობამ ბ-ნ ივანეს დაუმტკიცა სიყვარული, ნდობა და პატივისცემა.

პროფესორებიც დიდად ნასიამოვნები დარჩნენ.

ჩვენი უნივერსიტეტის დამაარსებელ ბ-ნ ივანე ჯავახიშვილზე ცოტა ვრცლად უნდა ვილაპარაკო:

იგი იყო საშუალო ტანის კაცი; ჰქონდა მეტად სათნო და სიმპათიური გამომეტყველების სახე; ძალიან ცოცხალი და ჭკვიანური თვალები; უკან გადავარცხნილი ჭალარა-შერეული თმა; სქელი და შავი წარბები. შეკრეჭილი, ინით შეღებილი ულვაშები.

იგი იყო ზედმიწევნით სუფთა, როგორც ფიზიკურად ისე მორალურად; დიდად სამართლიანი და მიუდგომელი; სასტიკი და დაუზოგავი; მართალს არ დასჯიდა; უსამართლობას არავის აპატიებდა, რის გამოც ყველა პროფესორი „იესო ქრისტეს“ უწოდებდა.

კაცი ენა-წყლიანი და ტკბილი მოუბარი; ზედ-მიწევნით იცოდა, გარდა ძველი და ახალი ქართულისა, მრავალი უცხო, მკვდარი და ცოცხალი ენა. იგი იყო არა - ჩვეულებრივად საგნის გადმომცემი; მისი ნათქვამი არას დროს დაგავიწყდებოდა და თუ წესიერად ყურს დაუგდებდი, ყოველი მისი სიტყვა ისე ჩადიოდა თავში, როგორც კენჭები ჩაალაგო ყუთში. ლექციების, ან სემინარების დროს, საგნის გარეშე, იცოდა თქმა-რჩევა - დარიგების მიზნით.

ერთს სემინარზე, მაგიდაზე თითის დაკვრით გვითხრა: „ეს ჩემია და მე ამას ვერავინ წამართმევს“-ო. (ეს უნივერსიტეტს ეხებოდა). მან ნათქვამი სრული სისწორით შეასრულა. მართალია, იგი რექტორობიდან გადააყენეს, უნივერსიტეტიდანაც დაითხოვეს, მაგრამ სიცოცხლეში უნივერსიტეტის ეზოში ყოველ დღე მიდიოდა. სიკვდილის შემდეგ იმავე ეზოში იქმნა დამარხული და მისი მისად სამარადისოდ შემოინახა.

ამიტომ დასაფლავების წინ სვ. ჯანაშიამ თურმე უთხრა: „შენ შეგიძლია თქვა, რომ მოვკდი“-ო.! ეს იგი: ვერ მოკლეს იგი.

ერთ ლექციაზე გვიამბო ბრძოლაზე ქართველთა და ბერძენთა საეკლესიო წოდებათა შორის. მიზეზი? ჰქონდა თუ არა საქართველოს თავისი საკუთარი კათოლიკოსის ყოლის უფლება.

ამ ამბავმა ძალიან დამაინტერესა; ლექციის პირველი ნაწილის წაკითხვის დამთავრების შემდეგ, შორი-ახლოს უკან გავყევი, ახლოს მისვლას ვერ ვბედავდი; თვითონ მიხვდა; შეჩერდა, შემობრუნდა და მკითხა: „რა გნებავთ?“. ვიდრე პირს გავაღებდი, მითხრა: „მოკლედ“! (გრძელი სიტყვა არ უყვარდა).

რატომ იყო ასეთი საშინელი ბრძოლა კათოლიკოსის გამო?

სიამოვნებით შემომხედა. თავი დააქნია და უპასუხოდ გაბრუნდა. წავიდა.

ლექციის მეორე ნაწილი დაამთავრა მით, თუ როგორ მოიგო ის ბრძოლა გიორგი მთაწმიდელმა. შემდეგ გადმოგვხედა ყველას და გვითხრა:

— იმ დროს სახელმწიფოს დამოუკიდებლობას ორი ფაქტორი ახასიათებდა: მეფე და კათოლიკოსი; თუ რომელიმე სახელმწიფოს ერთი მათგანი აკლდა, ის სახელმწიფო სრული, დამოუკიდებელი არ იყო.

დღეს მესამე ფაქტორიც არსებობს; ერს, რომელსაც უნივერსიტეტი არა აქვს, ის ერი სრული, დამოუკიდებელი არ არის.

ამიტომაც უნივერსიტეტი იყო ჩვენი დამოუკიდებლობის პირველი ფაქტორი.

ყოველ შემთხვევაში, ორი უკვე გვაქვს. მესამე: მეფე თუ არა, პრეზიდენტიც მალე გვეყოლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დრ. ინჟ. ლეო ჭეიშვილი

პატარა მოგონება

მართალია, ორი წელი დავყავი ჩვენს უნივერსიტეტში, მაგრამ მაშინ ხომ ბავშვი ვიყავი და პირველი ჩემი კონ-ტაქტი ჩვენს პროფესორებთან არ იქნება დღევანდელი დღისათვის საინტერესო. მაგრამ მაინც მსურს მოვიგონო ჩემთვის დაუვიწყარი, ჩვენი საამაყო მათემატიკოსის, ანდრია რაზმაძის არა ჩვეულებრივი პედაგოგიური ნიჭით გადმოცემული რთული მათემატიკის ლექციები. ასევე დიდი პატივისცემით ვიხსენებ მუდამ, პროფესორ ბენა-შვილს. მისი გეოდეზიის ლექციების დროს დარბაზი ყო-ველთვის გაჭედილი იყო ახალგაზრდა მსმენელებით. ძალ-ზე გაიზიდავდა ის გარემოება, რომ ბატონი პროფესორი, თურმე სულ რამოდენიმე წელი იყო, რაც ჩამოსულიყო რუსეთიდან, ვერ უფლობდა ქართულ ენას და სულ ორი-ოდე წელში ისეთი მოხდენილი, კარგი, ქართული ენით გადმოგვცემდა ლექციებს, რომ ყველანი აღტაცებით ვუსმენდით. განსაკუთრებით უყვარდა ლექციების დროს ორ-მნიშვნელოვანი სიტყვებით გადაკვრით შეხ-ებოდა კომუნისტურ ძალა-უფლებას. ეს, რასაკვირვე-ლია, სტუდენტებს ვერ გამოგვეპარებოდა და დიდი ტაშის კვრით ვეგებებოდით ხოლმე მის ასეთ შენიშვნებს. მახ-სოვს, ერთხელ კარტოგრაფიაზე რომ კითხულობდა, შემ-დეგი აღნიშნა: — ბატონებო! უწინდელ დროში უმნი-შვნელო სოფლებს რუქაზე, თავიანთ მდებარეობას საყ-დარის მდებარეობით აღნიშნავდნენ, დღეს კი აღმასკომის შენობითო! რამდენადაც მახსოვს, იმ დღის ლექცია ამ სიტყვებით დამთავრდა, რადგან ისე აგვიტაცა მისმა გა-ბედულმა და მოხდენილმა შენიშვნამ, რომ ოვაციებმა პროფესორს საშუალება არ მისცა განეგრძო. — მის სა-ხეს დიდი კმაყოფილების იერი და სიჩუმე ამშვენებდა.

ვახსენებ აგრეთვე ჩვენს მოამაგე აკადემიკოს პროფესორ მუსხელიშვილს განსაკუთრებული გრძნობებით. არ და-მავიწყდება, თუ როგორ ეპყრობოდა ახალგაზრდობას გა-მოცდების დროს. აქ გამოსჭვივოდა დიდი პედაგოგიური ნიჭი, სიმშვიდე და მოთხოვნების ტაქტი, გამოცდაში მყოფ ახალგაზრდის მიმართ.

როდესაც პენსილვანიის უნივერსიტეტში ლექციების კითხვა დავიწყე, პირველი, რაც მკითხეს სტუდენტებმა, როდესაც გაიგეს რომ მე ქართველი ვიყავი, ვიცნობდი თუ არა აკადემიკოს მუსხელიშვილს. როდესაც გაიგეს, რომ მე მისი მოწაფე ვიყავი, ისე შემომეხვივნენ, თითქოს მე ვყოფილიყავი აკადემიკოსი მუსხელიშვილი! მეორე მხრივ როდესაც გავიგე მათგან, რომ ამერიკის შეერთებულ შტა-ტების უნივერსიტეტში ყველაზე ცნობილი და მიღებული წიგნი სტატიკაზე, აკად. მუსხელიშვილის მიერ დაწერილი სახელმძღვანელოა; ისე ამიტაცა გრძნობამ, რომ დიდი ხერხით ძლივს-ღა შევიკავე სიხარულის ცრემლები.

გავიდა 50 წელი. მის შემდეგ მრავალი ათასეული ქარ-თველი ეზიარა მეცნიერების სხვა და სხვა დარგს ჩვენს უდიდეს ტაძარში, სადაც ანთია ცეცხლი სინამდვილის, რომელიც მხოლოდ ერთ გზას აშუქებს. ეს გზა იგივე სი-ნამდვილის გაგების გზაა.

ქართველი მუდამ ეწაფებოდა უმაღლესი ცოდნის მი-ღებას. ალბათ სურვილით გატაცებული ესწრაფოდა გა-ეგო გარემოცულ საიდუმლოებათა სინამდვილე, რომლი-თაც აღსავსეა უნივერსუმი, არის ეს მიკრო, თუ მაკრო-სკოპიული დიმენსიისა. მაგრამ უკანასკნელ დეკადებში ძალზე გაიზარდა რიცხვი უმაღლეს მცოდნეთა. ამას თა-ვისი ახსნა აქვს. მხოლოდ ეს არ არის არავითარ შემთხვე-ვაში არსებული ხელისუფლების დამსახურება ისე, რო-გორც არ შედის მის დამსახურებაში რუსთაველის პოემის დაწერა, რომელიც დღევანდელი ხელისუფლების მოტრ-ფიალეებმა ისე დაახურდავეს ეს უდიდესი აზრებით და-ტვირთული პოემა, თითქოს რუსთაველს ვეფხისტყაოსანში მხოლოდ ქართულ-რუსული „ძმობა-ერთობა“ და „მეგო-ბრობა“ ჰქონებოდა მხედველობაში.

ეს ჩემი სიტყვები თითქოს აქ არაა შესაფერი. მაგრამ მაინც დიახ შესაფერია. არც ერთ ქართველ მწერალს და პოეტს დაწყებული უნიჭო პირიდან, გათავებული აკადე-მიკოსებით და რუსთველოლოგებით, არ ეპატივებათ, რომ გაბედეს და თავიანთ საზეიმო სიტყვებში ეს აზრი გაატა-რეს. — შოთა რუსთაველი უნივერსიტეტის დედა-ბოძია!

სანამ არ გვქონდა ბედნიერება საკუთარი მეცნიერული ტაძარი გვქონებოდა, მისმა გენიამ აღგვიზარდა მთელი თაობანი საუკუნეთა მანძილზე! შოთა თავის დანიშნუ-ლებას ისევ განაგრძობს, როგორც მუდამ, მაგრამ მასზე აღმოცენდა ჩვენი სინამდვილის ტაძარი. დღეს ის ერთ-ერთ საუკეთესო და საპატიო ადგილს იჭერს მთელ საბჭო-თა კავშირში, ქართველი ერის გენიის წყალობით. სასი-ქადულოა, რომ გამოჩენილ ადგილს იჭერს და სავალალო, რომ საბჭოთა კავშირში არის.

ჩვენმა უნივერსიტეტმა მოგვცა ამ 50 წლის განმავლო-ბაში მთელი კადრი პროფესორთა და აკადემიკოსთა, რო-მელნიც თავიანთი დონით მსოფლიო მეცნიერების პირველ რიგებში ჩაითვლებიან.

მაგრამ ამ მეტად სასიხარულო მხარეს, ამ წყურვილს ქართველებისას, უმაღლესი ცოდნის მიღებისა, თან ახ-ლავს ერთი მძიმე ჩრდილი, რომელიც თუ ჩავუფიქრდე-ბით, ყოველ ქართველს შეაძრწუნებს. სად მიდის, სად წა-ვიდეს ამდენი უმაღლეს-დამთავრებულნი?! ისმება ეს სა-კითხი და ამაზე დიდი რუსეთი იძლევა პასუხს: „მობრ-ძანდით ჩვენთან. ჩვენ ხომ ძმები ვართ! რამდენიც არ უნ-და იყვნეთ, ყველასათვის გვაქვს ადგილი!“ უმაღლეს და-მთავრებული არ ბრუნდება სოფელში, რათა იქ „კოლექ-ტივში“ იმუშაოს. ამ დიდ რიცხვთან, რომელსაც უშვებს ყოველ წლივ ჩვენი უნივერსიტეტი, ჩვენი ქვეყანა ძალზე პატარა არის შედარებით. მისი ინდუსტრია ინჟენერები-სათვის, მისი ტერიტორია აგრონომებისათვის ძალზე პა-ტარა არის. მაშ, რა დარჩენია ახლად დამთავრებულს, გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რდა იმისა, რომ ეძებოს თავისი ადგილი სხვა საბჭოთა რესპუბლიკაში. რასაკვირველია, ის ირჩევს რუსეთს, თავისი დიდი ქალაქებით და უზარმაზარი ქარხნების აგებულებებით. მიდის რუსეთს. ადრე თუ გვიან იწერს ჯვარს ცხადია, რუსის ქალზე; ქმნის რუსულ ოჯახს და... იღუპება ერთი ქართველი საქართველოსათვის. მაგრამ რამდენი ათასია ასეთი?! და იბადება კითხვა: არის ასეთი დაწაფება ქართველისა უმაღლესი ცოდნისადმი საქართველოსათვის ხელსაყრელი'!

ჩემი აზრით, უნდა ხდებოდეს მოწაფეთა უსასტიკესი გაცხრილვა ყოველი მხრივ, რათა დამყარდეს წონასწორობა ცოდნის მიღებულთა და მათ განკარგულებაში მყოფი თავისუფალ ადგილთა შორის. ამას ჩვენ აქ არავინ გვკითხავს — სინამდვილე თავისას შვრება; მაგრამ დიდად სავალალოა, ყოველი ინტელექტუალური ქართველი, რომელიც ჩრდილოეთის დიდ სივრცეში გვეკარგება და მის მაგიერ რუსი მუშა გვემატება.

ეს დიფუზიის პროცესი უმძიმესად აწევს ჩემ გულს და ვხედავ ჩემ წინ შავად გადაკრულ ჰორიზონტს.

ვულოცავ ქართველ ერს იქ, თავის მიწაზე და მის „ნატეხს" აქ, უცხოეთში, ამ დიად დღეს და ვუსურვებ ჩვენ მეცნიერებათა ტაძრის შეუპოვარ და თავდადებულ სინამდვილის მაძებართ, აგვიზარდონ ნამდვილი, სასახელო თაობანი, ქართული სულით და გრძნობებით გამსჭვალულნი და ღირსნი თავიანთი დიადი წარსულისა.

გიორგი ნაკაშიძე

გახსენებისათვის

ომი გათავდა. მტრის თავდასხმა - შემოსევა ჩვენთვის ისე მოულოდნელი იყო, რომ ბრძოლა დიდ ხანს არ გაგრძელდა. რუსეთმა ისევ ჩაიგდო ხელში თავისუფალი საქართველო. თვითეული ქართველი თავს რაღაც შეურაცყოფილად გრძნობდა, დარცხვენილად გამოიყურებოდა, თითქოს სინდისი ქენჯნიდა, რომ ვერ შესძლო მოზღვავებული მტრის უკუგდება და სამშობლოს დაცვა-გადარჩენა, — დამარცხებული ერი ვერ ურიგდებოდა შექმნილ მდგომარეობას; დღითი დღე მოელოდა თავისი თუ სხვისი დახმარებით ქვეყნის ხსნასა და განთავისუფლებას.

თითქმის ყოველი ახალგაზრდა ეწერებოდა საიდუმლო სამხედრო რაზმში და მოუთმენლად უცდიდა იმ დროს, როცა ყველა პოლიტიკური პარტიის შეთანხმება მოხდებოდა და საერთო ეროვნული ორგანო მოუწოდებდა ხალხს იარაღით ხელში გამოსულიყო ოკუპანტების წინააღმდეგ.

ქართული უნივერსიტეტი არ წარმოადგენდა რაიმე გამონაკლისს; სხვებთან ერთად ისიც მტკივნეულად განიცდიდა, სრულიად მოულოდნელად, სამშობლოზე თავ - დატეხილ უბედურებას და სხვებსავით იმედებით იკვებებოდა.

1921 წ. სექტემბერში უნივერსიტეტში დაიწყო ლექციების კითხვა. სტუდენტობა თავს იყრიდა ქალაქში და ყველგან და ყოველთვის **დაუფარავად** გამოთქვამდა თავის მტრულ განწყობილებას საქართველოში უცხო ძალის მიერ დამყარებულ რეჟიმისადმი. თვით სტუდენტებში სამი თუ ოთხი კომუნისტი მოიპოვებოდა და ისინიც ისე იყვნენ დარცხვენილი, რომ ვერ ბედავდნენ თავისი ვინაობის აშკარად გამოჩენას.

უნდა ითქვას სიმართლე: „რევკომი" ყოველ ღონეს ხმარობდა, როგორმე სტუდენტობასთან საერთო ენა გამოენახა: ის გვპირდებოდა სტუდენტებისათვის **უფასო საადილოების დაარსებას, უფასო ბინების მოწყობას, სტიპენდიების დანიშვნას** და სხვა. მაგრამ ამაოდ! სტუდენტობამ ყოველივე ეს უარჰყო და განაგრძობდა გაბატონებული რეჟიმის წინააღმდეგ მოქმედებას.

როგორც ეტყობა, თვით ისეთ ტიკინებსაც კი, რომელთაგანაც შედგებოდა მაშინდელი „რევკომი", მობეზრდათ სტუდენტობის ასეთი განწყობილება და ერთ მშვენიერ დღეს დააპატიმრეს სტუდენტთა გამგეობის სამი აქტიური წევრი: სევერიანე ჭირაქაძე, ფილიპე შარაძე და კოწია ტყავაძე. ესეც არ იკმარეს. უმაღლესი ბრძანება-დადგენილებით გადააყენეს სტუდენტების მიერ არჩეული გამგეობა და იმის ნაცვლად დაგვინიშნეს ე. წ. „რევოლუციური სამეული", ახლად გამემარცხენებული შურა დუდუჩავას მეთაურობით.

ეს — სტუდენტობისათვის აშკარა ომის გამოცხადება იყო. სტუდენტობამ მიიღო ეს გამოწვევა. თუ აქამდე სტუდენტები ამა თუ იმ პარტიის წევრები, ცალ ცალკე გამოდიოდნენ და ილაშქრებდნენ რეჟიმის წინააღმდეგ, ახლა წამოიჭრა საკითხი მთელი სტუდენტობის ერთ ფრონტად დარაზმვა-გაერთიანებისა და საქართველოს მთელი მოსწავლე ახალგაზრდობის ბოლშევიკების წინააღმდეგ ამხედრება-ამოძრავებისა. სტუდენტობის დიდ უმრავლესობას წარმოადგენდნენ სოციალისტ - ფედერალისტები. ყოველი საერთო ხასიათის გამოსვლა უმთავრესად მათზე იყო დამოკიდებული. აღშფოთებულმა სტუდენტობამ უნივერსიტეტის შესავალ კარზე გაკრული „რევკომის" განკარგულება ნაფლეთებად აქცია და „სამეულის" ვერც ერთმა წევრმა ვერ გაბედა უნივერსიტეტში მოსვლა, გამოცხადება.

ჩვენ (სოციალისტ - ფედერალისტებმა) ვაფრინეთ დელეგაცია პარტიის მთავარ კომიტეტთან, ვაცნობეთ სტუდენტობაში შექმნილი განწყობილება და ჩვენი სურვილი მთლიანი ფრონტით ბოლშევიკების წინააღმდეგ დემონსტრაციების მოწყობისა.

ამასობაში მოვიდნენ ჩვენთან სოციალ-დემოკრატების, ნაციონალ-დემოკრატების და სხვა დაჯგუფებების წარმომადგენლები და გამოგვიცხადეს, რომ ისინი უკვე მზად არიან საერთო ფრონტით გამოსვლისათვის, მხოლოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელოდებიან ჩვენ გადაწყვეტილებას.

ერთ პატარა ოთახში, წყნეთის ქუჩაზე, მოვიყარეთ თავი ოცდაოდე სოც. ფედ. სტუდენტმა.

აქ, ჩვენი ახალგაზრდობის სინდისად აღიარებულის, სტუდენტ გედეონ სვანიძის მიერ გახსნილ კრებაზე, მოვისმინეთ დელეგაციისაგან პარტიის მთავარი კომიტეტის რჩევა-დარიგება და პასუხი: „შეიკავეთ როგორმე თავი; არას იზით არ დაუშვათ სტუდენტობის საჯარო გამოსვლები, რასაც შეიძლება დიდი მსხვერპლი მოჰყვეს. მოვუცადოთ უნდა შესაფერის დროს“-ო.

სახტად დავრჩით. ჩამოვარდა საერთო უხერხული სიჩუმე. ბოლოს წამოვდექი და აღელვებული ხმით განვაცხადე: — ვის შეუძლია ანგარიში არ გაუწიოს, ან შესაფერისად არ დააფასოს რჩევა-დარიგება ასეთი დიდებული მამულიშვილებისა, როგორიც არიან ჩვენი ძვირფასი გიორგი ლასხიშვილი, გრიგოლ რცხილაძე, იოსებ გედევანიშვილი, სამსონ ფირცხალავა და სხვა ყოვლად შესანიშნავი და მეტად პატივსაცემი წევრი მთავარი კომიტეტისა. ყველამ ვიცით, თუ რა კეთილშობილური გრძნობით, რა სიყვარულით ჩვენდამი არის გამოწვეული და ნაკარნახევი მათი ასეთი აზრი, მოწოდება, მაგრამ მიუხედავად ჩვენი ღრმა პატივისცემისა მათდამი, ჩვენ უპირველესად ყოვლისა ანგარიში უნდა გავუწიოთ მთელი ერის სულისკვეთებას.

„მოვუცადოთ შესაფერის დროს!“ ბატონებო! ჩვენ ვიცდით უკვე მთელი რვა თვე! მდგომარეობა დღითი-დღე უარესდება, მტერი იმაგრებს თავის პოზიციებს და ჩვენ კი ხმაც არ ამოვიღოთ? პროტესტიც არ განვაცხადოთ?

„შესაფერისი დრო“ ძალიან კარგია, მაგრამ როდის მოვა, როდის დადგება ეს შესაფერისი დრო? არა, ამხანაგებო! დღეს არ არის გაჩუმების, ლმობიერობის ხანა! ახლა საჭიროა ჩვენში დაგუბებული - დამარხული გულის წყრომა არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ საჯაროდ გამოვთქვათ. მთელი ხალხის გულის წადილი შევასრულოთ და თუ საჭიროა მსხვერპლიც გავიღოთ.!

ამიტომ მოგიწოდებთ თქვენ უკუვაგდოთ ყოვლად პატივსაცემი და გონივრული დარიგება ჩვენი მთავარი კომიტეტისა და ავყვეთ ჩვენს გულისთქმას, ჩვენს აღელვებულ, აბობოქრებულ გრძნობებს! მე მომხრე ვარ სტუდენტების საერთო გამოსვლა-დემონსტრაციებისა...

ეტყობოდა ,რომ კრება არ იყო მაინც და მაინც წინააღმდეგი ჩემს მიერ გამოთქმული აზრისა... სიტყვა ითხოვა **მიშა მეუნარგიამ.**

„ამხანაგებო! მე ვხედავ, რომ თითქმის ყველანი მომხრე ხართ ამხანაგ გიორგი ნაკაშიძისა. მეც თქვენთან ვარ, მხოლოდ ერთი პირობით.

„როგორც იცით, ბოლშევიკებმა არ დაინდვეს საუკუნეთა შემდეგ მკვდრეთით აღდგენილი საქართველოს დამოუკიდებლობა და ყოველგვარი ადამიანური, ეროვნული, საერთაშორისო უფლებების დარღვევით, უცხო ძალის დახმარებით გამეფდნენ დაპყრობილ სამშობლოში. თქვენ იცით, თუ რას წარმოადგენს მთელი ქართველი ერისათვის ჩვენი ახლად დაარსებული უნივერსიტეტი. რას ვიზამთ, რა დაგვემართება, თუ ჩვენს მიერ უნივერსიტეტის შენობა-ეზოში გამართულ კრება - დემონსტრაციებს ბოლშევიკებმა არამც თუ დაკეტვით, არამედ თვით შენობის განადგურებით უპასუხონ! მათგან ხომ ყველაფერი მოსალოდნელია! რას ვეტყვით ჩვენ მაშინ იმავე ქართველ ერს, ჩვენ საყვარელ პროფესორებს და მეტადრე უნივერსიტეტის ფუძემდებელს, ჩვენ ძვირფას ივანე ჯავახიშვილს!? მე წინადადებას ვიძლევი, გაიგზავნოს დელეგაცია ივანე ჯავახიშვილთან და თუ ის წინააღმდეგი იქნება უნივერსიტეტის შენობაში რეჟიმის საწინააღმდეგო ვამოსვლების მოხდენისა, დავემორჩილოთ მის გადაწყვეტილებას და ჩვენი ბრძოლის ასპარეზი გადავიტანოთ სხვა ადგილას, თუ გნებავთ, მუშათა პროფესიონალურკავშირებთან შეთანხმებით და თავოსნობით მოვაწყოთ საერთო გამოსვლები?“

მიშა მეუნარგიის წინადადება ერთხმად იქმნა მიღებული.

კრების შემდეგ შევხვდით სხვა პარტიების წარმომადგენლებს, რომლებმაც სავსებით გაიზიარეს ჩვენი გადაწყვეტილება..

საღამოს ცხრა საათზე სოციალდემოკრატების წარმომადგენელი — დათიკო ლომთაძე, ყოველთვის ზრდილი, დარბაისელი და მეტად კეთილშობილი ადამიანი; ეროვნულ დემოკრატების წარმომადგენელი — ცოცხალი, მოქმედი, მჭევრმეტყველი, ელისე პატარიძე; სოციალისტ - ფედერალისტების წარმომადგენლები — მიშა მეუნარგია, ეს ფიზიკური და სულიერი სილამაზის ნამდვილი განსახიერება და მე ვესტუმრეთ პროფესორ ივანე ჯავახიშვილს, დაღვიწყარი გია აბაშიძის მიერ უკვე გაფთრთხილებულს. ბ-ნი ივანე გულთბილად მოგვეგება და სასტუმრო ოთახში მიგვიპატიჟა. იქ ჩაი და ნამცხვრები მოგვართვეს.

ამხანაგების დავალებით გავაცანი საყვარელ პროფესორს ჩვენი დადგენილება და მასთან მისვლის მიზეზი. მან დიდი ყურადღებით მოისმინა ყოველივე და გვითხრა შემდეგი: —

„დიდი მადლობელი ვარ, რომ სტუდენტობამ ასეთი ნდობა გამოიჩინეთ ჩემდამი და მეტადრე, რომ ასე სათუთად ექცევით უნივერსიტეტის ბედს. მაგრამ უნივერსიტეტი ხომ მხოლოდ ცარიელი კედლები და სახურავი არ არის? უნივერსიტეტი ხართ თქვენ, სტუდენტობა — მოძრავი, მოქმედი ძალა, უსულო შენობას რომ სიცოცხლეს ანიჭებს. სტუდენტობა ყოველგან და ყოველთვის იყო თავისი ქვეყნის მებრძოლთა რიგებში. ამიტომ როგორ შემიძლია მე, ქართველს და თქვენს მასწავლებელს, ხელი შეგიშალოთ თქვენი მამულიშვილური მოვალეობის შესრულებაში, თქვენი შეურაცხყოფილი ეროვნული და აკადემიური ღირსების, თავისუფლების დაცვაში! იმოქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედეთ ისე, როგორც თქვენი შეგნება და სამშობლოს სიყვარული გიკარნახებთ და ნუ დაერიდებით თვით უნივერსიტეტის შენობის გამოყენებას"...

ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. წამოვდექით. მადლობა გამოვუცხადეთ და გამოვემშვიდობეთ. გადაგვკოცნა სათითაოდ ყველა და გვისურვა გამარჯვება...

მიედიოდით შინ აღფრთოვანებულნი, ფრთებ-გამოსხმულნი. მეორე დღეს საგანგებოდ მოწვეულმა მრავალრიცხოვანმა სტუდენტების კრებამ აირჩია ერთხმად საერთო ხელმძღვანელი, რომელთანაც ყოველმა პოლიტიკურმა პარტიამ მიავლინა თავისი წარმომადგენელი, რათა ამით კვლავ კიდევაზი გაესვა სტუდენტობის ერთ ფრონტში გაერთიანება-დარაზმისათვის.

ასე დაიწყო ეგრეთ წოდებული სტუდენტთა ანტიკომუნისტური მოძრაობა, რომელმაც გამოხმაურობა ჰპოვა არამც თუ დედა-ქალაქის მოსწავლე ახალგაზრდობაში და მოსახლეობაში, არამედ საქართველოს ყოველ კუთხეში და ამ მოძრაობის ნამდვილი ხელმძღვანელი, მისი სულის ჩამდგმელი იყო მშვიდი, წყნარი, სიცოცხლეშივე ნათელი შარავანდედით მოსილი, ღვთაებრივი ადამიანი — პროფესორი ივანე ჯავახიშვილი.

---

† ექიმი ვახტანგ ღამბაშიძე

პეტრე მელიქიშვილის ხსოვნას

ეს წერილი გადმოგვცა დასაბეჭდად ქ-ნმა მედეა ღამბაშიძის ასულმა - ნიკოლაძისამ. ამოღებული არის მამა-მისი ვახტანგ ღამბაშიძის დღიურებიდან.

1916 წლის შემოდგომა იყო. პროფესორი პეტრე გრიგოლის ძე მელიქიშვილი, ჩვენი ცნობილი მეცნიერი, აპირებდა ცოტა ხნით დაბრუნებას აბასთუმნიდან, სადაც წასული იყო საზაფხულოდ დასასვენებლად. ექიმი კიკო მელიქიშვილი, მისი ნათესავი, რომელსაც თბილისში ჩინებულად მოწყობილი სამკურნალო ჰქონდა, მოელოდა მას და გვპირდებოდა მის გამოსამშვიდობებელ საღამოზე დაპატიჟებას. ამ სამკურნალოში ვმუშაობდით ათიოდე ექიმი და თითქმის ყოველ დღე ვხვდებოდით ერთმანეთს. ყველანი დიდი სიამოვნებით მოველოდით ამ სასიამოვნო შეხვედრას, რადგანაც დიდი პატივისმცემელნი ვიყავით ჩვენი ცნობილი მეცნიერისა.

ოდესის ქართველ სტუდენტობას ყოველთვის სიამოვნებით აგონდებოდა ხოლმე ორი ცნობილი მეცნიერის, ვასილ პეტრიაშვილის და პეტრე მელიქიშვილის სახელი ,მათი მეგობრული ურთიერთობის დამოკიდებულება და ნამდვილი მამა-შვილური განწყობილება. ოდესის ქართველები ამ ორ პროფესორთან ერთად თითქოს ერთ ოჯახს წარმოადგენდნენ და ჩვენ, არა ოდესელ სტუდენტებისათვისაც კი, ეს სასიამოვნო მოსაგონრად იყო გამხდარი. ამ ორთაგან, სამწუხაროდ, პროფესორი ვასილ პეტრიაშვილი ძალიან ადრე გარდაიცვალა, (1845 წელს დაბადებული, 63 წლის ასაკის გარდაიცვალა, 1908 წელს, ქალაქ კარლსბადში). ოდესელ სტუდენტებს მოესპოთ ასეთი ძვირფას ოჯახში მისვლის სიამოვნება. განსვენებულის მეუღლე, რომელიც დიდი ხელისშემწყობი იყო ყველაფერში ამ იშვიათ მეცნიერისა და ადამიანის, ოდესაში ველარ დარჩა. ამით მოისპო ეს შესანიშნავი კერა მოსწავლე სტუდენტობისათვის და მათაც მთელი ყურადღება და პატივისცემა პროფესორ მელიქიშვილზე გადაიტანეს.

მალე ექიმმა მელიქიშვილმა გვაცნობა მისი ნათესავი მეცნიერის ჩამოსვლა და ჩვენც მოგვიყარა თავი თავის ბინაზე. ჩვენში, მოგეხსენებათ, რაც უფრო დიდებულად ეწყობა საზეიმო ვახშამი, მით უფრო გვიან სხდებიან სუფრაზე; დიასახლისს ბევრი რამ ჰქონდა გასაკეთებელი და დრო საკმაო დაგვირჩა საუბრისათვის.

ყველას გვსურდა პატივცემულ პროფესორთან ბაასი და ხან ერთი, ხან მეორე სარგებლობდა შემთხვევით, რომ მას გამოხმაურებოდა. საერთოდ ვიქნებოდით 15-მდე სტუმარ-მასპინძლიანად, მხოლოდ ექიმები და ყველანი მეუღლეებით; ცოტა ხნის საერთო ბაასის შემდეგ, ცალკე პატარ-პატარა ჯგუფებად დაყოფილნი, დარბაზის ყველა კუთხეში ჩამოვრიგდით; ხან ერთი ჯგუფი, ხან მეორე მიუჯდებოდა ხოლმე პროფესორს გამოსალაპარაკებლად. ჩემმა ჯერმაც რომ მოღწია, მივუახლოვდი და ვთხოვე, მცირეოდენი ხნით ჩემთვისაც დაეთმო თავისი ყურადღება.

პროფესორი მელიქიშვილი მე ბევრჯერ მყავდა ნახული, როდესაც საზაფხულოდ საქართველოში ჩამოდიოდა ხოლმე. ძალიან კარგად ვიცნობდი მის დას, ქ-ნ კეკეს, ცნობილი მოღვაწის სერგი მესხის ქვრივს, რომლისაგანაც ხშირად ვტყობილობდი პროფესორის ამბავს.

ერთჯერ, მახსოვს, ბორჯომში შევხვდი ბ-ნ პეტრეს პროფესორ ვასილ პეტრიაშვილთან, სადაც დიდ ხანს ვიბაასეთ სამეცნიერო კითხვებზე. ეს შემთხვევა კარგად მოაგონდა ბ-ნ პეტრეს და ღიმილით მიპასუხა:

— დიდი სიამოვნებით, მაგრამ მე ვიცი თქვენი ჩვეულება, უთუოდ ქართულად დამელაპარაკებით და ვაი თუ ვერ მოვახერხო პასუხის მოცემა.

ვისაც კი უნახავს პატივცემული პროფესორი, არ შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეძლო არ მიექცია ყურადღება მისი მშვენიერი გამომეტყველებისათვის: ჭარმაგი მოხუცი, სახე ღრმად ჩაფიქრებული, ლამაზი ნაკვთებით შემოხაზული, ჭკვიანური, ღრმად გამჭვრეტი თვალები, სასიამოვნო ღიმილი, გამომეტყველება უბრალო და თავმდაბალი, რაც დამახასიათებელია ყოველი დიდი და ღრმად განსწავლილი მეცნიერის, ყოველგვარ ხელოვნურ მედიდურობას მოკლებული, რაც უფრო ხშირად ახასიათებს ზერელე ჭკუის და დაბალი ხასიათის მეცნიერთ, — ყველაფერი ეს ძალაუნებურად გიზიდავდათ ამ ადამიანის პირველ შეხვედრისათანავე და უნებლიედ იმსჭვალებოდით უაღრესი პატივისცემის გრძნობით ასეთი მეცნიერისადმი ჩვენი ეროვნული თავმოყვარეობის სანუგეშებლად და სასიქადულოდ.

თუმცა ჩემი კითხვები სამეცნიერო საგანს შეეხება, — ვუპასუხე პატივცემულ პროფესორს, — მე ვეცდები ისე მარტივად და ადვილად გასაგები სიტყვებით გამოვთქვა ჩემი სათქმელი, რომ ადვილად გაიგებთ ყოველივეს. თქვენ კი პასუხი რუსულად გამეცით, — ამის უფლებას არავის არ ვართმევ.

ამის შემდეგ დავიწყეთ საუბარი რადიუმის შემცველ ნივთიერების სხვა და სხვა თვისებაზე, და რამდენად გავრცელებულია ეს ნივთიერება სხვაგან და კერძოდ საქართველოში. შევეხეთ აგრეთვე რადიუმის სამკურნალო მიზნით გამოყენების საკითხსაც. ყველაფერზე თავის განმარტებას მაძლევდა ჩვენი მეცნიერი და ეტყობოდა, რომ მშვენივრად ესმოდა ყოველივე ჩემი ქართულად ნათქვამი.

სხვათა შორის მოვუყევი ერთი მკვლევარის ნაწარმოების შესახებ საგულისხმო დაკვირვებაზე; მას შემთხვევით საქართველოდან ჩრდილოეთისაკენ დაბრუნებისას გადაუვლია კავკასიონის ქედზე; გზაში რამოდენიმე ადგილას შეჩერებულა, ზოგან დასასვენებლად და ზოგან ღამის გასათევად. გზა და გზა სხვა და სხვა დაკვირვებაც მოუხდენია მეცნიერული მიზნით. რუსეთში დაბრუნებულს საფოტოგრაფიო გადასაღებ მინებზე შეუმჩნევია რაღაც ნიშნები, რომელიც მიემსგავსებოდა მხოლოდ რადიუმის ზედგავლენით გამოწვეულ ნიშნებს. ხანგრძლივი გამოძიების შემდეგ ამნაირად აუხსნია ეს გარემოება: სადღაც გადმოვლილ გზაზე უთუოდ ისეთ ადგილზე გაჩერებულა, სადაც რადიუმიანი ნივთიერება ყოფილა და ამას თავისი გავლენა მოუხდენია მინებზე. სხვების ცნობაც ადასტურებს, რომ კავკასიონის ქედზე ყოფილა ისეთი ადგილები, სადაც ცხენებს უკანა ფეხების სიმდაბლე მოსდით, რომელსაც რაღაც ბალახის ჭმევით არჩენენო. ასეთი უცნაური გავლენა მხოლოდ რადიუმს უნდა მიეწერებოდესო. ამასთანავე გავუზიარე პროფესორს ერთი მწერლის გამოკვლევით ახსნილი ამბავი საბერძნეთის მითოლოგიიდან. ერთ მეფეს, რომელსაც უნდა აეყვანა დედოფლად ერთი ვინმე ლამაზი ქალი სულ სხვა შეყვარებია და პირველისათვის თავი დაუნებებია. ამ პირველს, სასოწარკვეთილს, განუზრახავს შურის ძიებით თავისი მეტოქის მოსპობა. მას ჰქონია კოლხეთიდან ჩამოტანილი იშვიათი თვლები, რომლის თვისებაც კარგად სცოდნია. მას გაუკეთებია ძვირფასად მოოჭვილი, იშვიათი სილამაზის გვირგვინი და გარეშემო ეს თვლები ჩაუყოლებია; გაუგზავნია საჩუქრად თავისი მეტოქისათვის, საზეიმო შემთხვევისათვის თავზე დასადგმელად. ერთ-ერთი ზეიმის დროს, ამ გვირგვინით დამშვენებული დედოფალი გამოსულა მოედანზე და დამდგარა მეფის გვერდით. რამოდენიმე ხნის შემდეგ დედოფალს გული შეწყვეტია და გრძნობაც დაუკარგავს. მივარდნილან მხლებლები მისაშველებლად და როდესაც გვირგვინი მოუშორებიათ, მას გაჰყოლია შუბლისა და თავის დამწვარი კანის ნაჭრები. მაშინ ყველანი მიმხვდარან, რომ მიზეზი ამ უბედურების სწორედ ამ გვირგვინში უნდა ყოფილიყო. შემდეგ მკვლევარი დასძენს, რომ ეს მოვლენა შეიძლება მხოლოდ აიხსნას რადიუმის თვისებითო. გვირგვინის გამომგზავნელს კარგად უნდა სცოდნოდა მასში ჩატანებული თვლების მავნებელი თვისება, შურის საძიებლად არჩეული. ამ ბერძნულად დაწერილ თხუზულების შესახებ, რომლის არც სათაური და არც ავტორი აღარ მაგონდება ეხლა, მკვლევარი დასძენს შემდეგს: ასეთი უცნაური თვისების თვლები საბერძნეთში კოლხიდიდან გაჰქონდათ და შესაძლებელია ასეთი თვისების ახსნა რადიუმის და მისი მსგავსი ნივთიერების მეოხებითო. უეჭველია, რადიუმის არსებობა შორეული წარსულიდან ყოფილა ცნობილი და საქართველოს მდიდარ ბუნებაში ბევრგან უნდა იყოს საამისო ადგილებიო.

ყველაფერს ყურადღებით ისმენდა ჩვენი მეცნიერი და თავის შეხედულებასაც გამოთქვამდა. უთუოდ მრავალ ადგილზეა ჩვენ საქართველოს მთებში რადიუმიანი ნივთიერება, მაგრამ ჯერ სამწუხაროდ საამისო კვლევა-ძიებას არავინ აწარმოებსო. თანაც რადიუმის აღმოჩენა დიდი ხნის ამბავი არ არის და უთუოდ მეცნიერების წინმსვლელობა ამ დარგშიაც ბევრს რასმეს აღმოაჩენს და ჩვენი საქართველოც ხომ ყველაფრით უხვად არის დაჯილდოებულიო.

— თქვენი მოყოლილი ამბავი მეტად საგულისხმოა და საყურადღებო, — მიპასუხა ჩვენმა მეცნიერმა, რომელიც ისე გაიტაცა ამ საუბარმა, რომ თითქმის მთელი ლექცია წამიკითხა რადიუმის შესახებ.

შემდეგ გადავედით პროფესორ ვასილ პატრიაშვილის ორ შესანიშნავ ნაწერზე ღვინისა და რძის შესახებ, რომელიც თითქმის პირველ სამეცნიერო დარგის ღირსეულ ნაშრომს წარმოადგენს მე-19-ე საუკუნის ქართულ მწერლობაში. ამ ორივე ნაწარმოების, კერძოდ საქართ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველოსათვის, დიდ მნიშვნელობაზე ვისაუბრეთ. პროფესორი აქებდა თავისი მეგობარი მეცნიერის ამ ღირსშესანიშნავ შრომას, მეტადრე მშობლიურ ენაზე დაწერილს, რომელიც მას თურმე ძალიან დიდი ყურადღებით ჰქონდა წაკითხული.

შემდეგ ბ-ნი პეტრე შემეკითხა ჩემი სანატორიუმის შესახებ, რომელიც მამა-ჩემმა და მე ავაშენეთ პატარა ცემში 1904 წელს. მას ბევრი რამ ჰქონდა გაგებული ამ დაწესებულების შესახებ. შევეხეთ დაწვრილებით მაღლობი ადგილების განსაკუთრებული თვისების გამოყენებას მოზარდი თაობის ვაჯანსაღებისათვის. ბევრი რამ გამომკითხა დაწვრილებით, როგორ ვაწარმოებდი იმ სხვა და სხვა დაკვირვებას და რა შედეგს მივაღწიე, რადგანაც ეს პირველი ცდა იყო საქართველოში დაწყებული. გავუზიარე ჩემი ათი წლის დაკვირვების დასკვნა, ათას ხუთას მოზარდ ქალ-ვაჟზე მოხდენილ ზეგავლენის შესახებ, რომელთაც ჩემთან ზაფხულობით ორი თვე და ნახევარი დაჰყვეს. დაწვრილებით გამომკითხა ყოველივე, მით უფრო, როდესაც ავუხსენი, რომ დაკვირვებას ვაწარმოებდი საფრანგეთის ორ მეცნიერთან შეთანხმებით. ერთი იყო სორბონის პროფესორი ალფრედ ბინე და მეორე — ექიმი ალფონს ლავერანი; პირველი გამომკვლევი ჭაობის ცივების (მალარიის) სათავისა, საუკეთესო მცოდნე ტროპიკული დაავადებისა, მთელს მსოფლიოში ცნობილი. პირველ მათგანს ძალიან უნდოდა მთა-ადგილებზე ნაწარმოები დაკვირვება სისხლის შემადგენლობის ცვლილების, ფილტვების სუნთქვის პროცესის თავისებურობის, მაღალი ადგილის მზის სხივოსნობის განსაკუთრებული გავლენის შესახებ და სხვა.

ასეთ ცდას პროფესორი ბინე სორბონის ლაბორატორიაში უკვე აწარმოებდა საგანგებოდ მოწყობილ საცდელ ოთახში, სადაც შეიძლებოდა სურვილისამებრ ჰაერის გამოსრუტვით სათანადო სიმაღლის პირობების შექმნა, მაგრამ ასეთი ცდები მას არ აკმაყოფილებდა, რადგანაც ჰაერის დაწოლის გარდა სხვა პირობები არ უდრიდა მაღლობის პირობებს. ასეთი დაკვირვება მაღლობ მთიან ადგილებზე არავის უწარმოებია და თქვენ თუ ამას იკისრებთ, დიდ ნაკლს შეავსებთ, ერთად დავიმუშაოთ ეს მასალა, და მე დავბეჭდავ ჩემს სამეცნიერო კრებულში-ო — მეუბნებოდა პროფესორი ბინე.

მეორეს კი, ექიმ ლავერანს, რომელსაც ძალიან სწამდა მაღლობი ადგილის დიდი სარგებლობა ყოველ ჭაობის ცივებით ნაავადმყოფარისათვის, საჭიროდ მიაჩნდა მაღალ ადგილზე დაკვირვების წარმოება, თუ როგორ იცვლება მაღლობზე სისხლის შემადგენლობა მალარიით დაავადებულის სხეულში თანდათანობით, რამოდენიმე თვის განმავლობაში. რადგანაც საქართველოში ჭაობის ცივები ძალიან არის გავრცელებული, გირჩევთ, რაც შეიძლება მაღლობ ადგილზე ააშენოთ თქვენი სანატორიუმი-ო. მე როცა ვუპასუხე, 1400 მეტრის სიმაღლე მქონდა ნავარაუდევი, სავსებით მოიწონა ჩემი გარდაწყვეტილება.

ყველაფერს ამას გულ-დასმით ისმენდა ბ-ნი პეტრე და სხვა და სხვა კითხვებს მაძლევდა. დავრწმუნდი, რომ მას ყველაფერი კარგად ჰქონდა გაგებული ჩემი ნალაპარაკევიდან. დამპირდა, რომ უსათუოდ მოვიდოდა მომავალ წელს ჩემი სანატორიუმის სანახავად და სამეცნიერო დაკვირვების მასალის გასაცნობად.

ამ მრავალფეროვანმა საუბარმა ორივენი ისე გაგვიტაცა, რომ სრულებით ვერ შევნიშნეთ, როგორ გაირბინა დრომ, არც შევჩერდებოდით ალბათ, რომ უცებ დიასახლისის ხმა არ გაგვეგო, რომელიც სუფრაზე გვიწვევდა. დიასახლისმა მიგვიწვია ყველანი, დანიშნულ ადგილზე. ბ-ნი პეტრე საპატიო ადგილზე დასვეს და ჩვენც შემოვუსხედით დიდ სუფრას. როგორც წესი მოითხოვდა, მაშინვე შევუდექით სუფრის მეთაურის არჩევას. ძალიან ვთხოვეთ მასპინძელს, მაგრამ არ დასთანხმდა. შემდეგ მე მომმართეს, მეც უარზე ვიყავი, მაგრამ არა გამივიდა რა და ძალაუნებურად უნდა დავთანხმებულიყავი.

პირველი სადღეგრძელო, რასაკვირველია, საპატიო სტუმრის უნდა ყოფილიყო. ყველამ დიდი სიამოვნებით მიიღო ეს წინადადება და დიდი მოწიწებით შესვეს მშვენიერი ღვინო. ყველას ვთხოვე სიტყვების მოსმენის დროს არ შეჩერებულიყვნენ და განეგრძოთ ვახშმობა. ამნაირად დროს არავინ გააცდენდა და არც სიტყვის მთქმელი იქნებოდა იძულებული, რომ თავისი სათქმელი შეეზღუდა. წინადადება მიიღეს, რადგანაც მიხვდნენ, რომ ჩემი სათქმელი მოკლედ არ ამოიწურებოდა. პროფესორს ვთხოვე, ზეზე წამოდგომით არ დაღლილიყო და ამნაირად ჩემთვის სათქმელი გაეადვილებინა. სხვებმაც ძალიან თხოვეს იგივე და პროფესორიც იძულებული იყო დათანხმებულიყო. ამნაირად მეც თავისუფლად ვიგრძენი თავი და სიტყვის შემოკლებაზე არ მიფიქრია.

დავახასიათე მოკლედ ძვირფასი პროფესორის სამეცნიერო მოღვაწეობა ოდესის უნივერსიტეტში. მოვიხსენიე აგრეთვე მისი ახლო მეგობრის, განსვენებული ვასილ პეტრიაშვილის მეცნიერული ღვაწლი და მრავალ-ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობა. ეს ორი პიროვნება, ყოველთვის ერთად მოსაგონარი ორ მეცნიერების ბურჯს წარმოადგენდა, არა თუ ოდესელი სტუდენტობისათვის, არამედ დანარჩენ უნივერსიტეტების ქართველ სტუდენტებისათვისაც. რა სიამოვნებით აღსანიშნავია ის განსაკუთრებული ურთიერთობა, რომელიც სუფევდა ამ ორი ცნობილი მეცნიერის და ოდესის ქართველ სტუდენტთა შორის; როგორ რჩებოდა სამუდამო და სასიამოვნო მოსაგონარად ცხოვრებაში გამოსვლის შემდეგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაც, ასეთი მეცნიერული და სყოჯახო ურთიერთობა, მამაშვილური გრძნობით გამთბარი. თავისიანებს და სამშობლოს დაშორებულ ახალგაზრდობისათვის ეს ხომ დაუფასებელი რამ უნდა ყოფილიყო. ამას ყველანი გრძნობდნენ და აფასებდნენ. დასასრულ, მოვახსენე ჩვენს ძვირფასს სტუმარს შემდეგი:

„ორი შესანიშნავი მეცნიერების ბურჯთაგან, სახელოვანი ვასილ პეტრიაშვილი უდროოდ მოგვაშორა უწყალო ბედმა. დაგვრჩით ეხლა მხოლოდ თქვენ. ნება მოგვეცით, ბ-ნო პეტრე, გისურვოთ ხანგრძლივი სიცოცხლე და უბრალო ჯანმრთელობა სამეცნიერო მუშაობის გასაგრძელებლად. დარწმუნებული ვარ, რომ ყველანი, აქ მსხდომნი და ჩვენთან ერთად ყოველი შეგნებული ქართველი ამასვე ვინატრით თქვენთვის. მაგრამ ეს საკმაო არ არის. ერთი რამ უნდა დავსძინო ამ ჩვენს ნატვრას: უნდა გულწრფელად გამოგიტყდეთ, რომ ძალიან მენანება თქვენი თავი რუსეთის ასპარეზისათვის. რუსეთი დიდი სივრცისა და მრავალრიცხოვანი ქვეყანაა. მას საკმაოდ მოეპოვება საკუთარი ძალები, სამეცნიერო და სხვაც. ჩვენ, ქართველებს კი, უკულმართი პირობების გამო, ძალიან ცოტა გვყავს განსწავლილი ხალხი და სულ მცირე რიცხვი მეცნიერთა. რუსეთი, როგორც იტყვიან, უჩვენოდაც იოლად წავა, და ჩვენ კი სად უნდა ვეძებოთ საქართველოსათვის მეცნიერები, გარეშე ქართველებისა. უცხო მეცნიერი ჩვენში მხოლოდ მეცნიერების წარმომადგენელი შეიძლება იქმნეს, მაგრამ ის ვერ გახდება ქართველი მთელის არსებით, სულით და მიდრეკილებით. ამისათვის საჭიროა ქართველი მეცნიერი ქართველად დაიბადოს, ქართულ წიაღში აღიზარდოს და ყოველი მისი თვისება ადგილობრივ ჰავასთან, მზესთან და საზოგადოებასთან იყოს შენივთებული. ხომ მოგეხსენებათ, რომ ეს ყველაფერი ბიოლოგიის გარდაუვალ კანონებზე არის დამყარებული და არა რაიმე სხვა შემთხვევითს მოვლენებზე. მაგალითად: თქვენთვის, ბ-ნო პეტრე, საკმარისი არ არის, რომ მხოლოდ ზაფხულობით ესტუმროთ თქვენს ქვეყანას და თქვენს თანამემამულეებს. რასაკვირველია, ჩვენ ამისათვისაც დიდ მადლობას გწირავთ, მაგრამ ეს საკმაოდ არ მიმაჩნია. მაგალითად, მე დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოსათვის უფრო საჭირო ბრძანდებით., ვიდრე რუსეთისათვის. გარდა ამისა, მთელი თქვენი არსება, ქართული მარადიული სულიც, დარწმუნებული ვარ, ამასვე მოით ხოვს თქვენი სამეცნიერო ასპარეზი რომ აქ გადმოიტანოთ, სულ სხვანაირად იგრძნობთ თავს და სხვაგვარ ხალისს განიცდით სამეცნიერო მოღვაწეობისას. თქვენი რუსეთის ასპარეზზე ხანგრძლივი მუშაობის მიუხედავად, თქვენ რუსეთისათვის უცხო ხართ და არა ორგანიული ნაწილი მისი დიდი სხეულისა. არასოდეს არ დამავიწყდება განთქმული პროფესორის, ჩვენი თანამემამულის, ივანე თარხნიშვილის სამწუხარო მაგალითი.

როგორც მოგეხსენებათ, იგი მეტად ცნობილი იყო მთელ რუსეთში და მეტადრე პეტერბურღში, სადაც მრავალი საზოგადოება ესწრებოდა მის განთქმულ საჯარო ლექციებს ფიზიოლოგიის დარგისას. რუსეთის გარეშეც იცნობდნენ მას და მეც ბევრჯერ მომისმენია საზღვარგარეთ, მეცნიერთაგან ლექციებზე მოხსენებული მისი სახელი. როდესაც გარდაიცვალა ეს განთქმული და ყველასგან პატივცემული პროფესორი, როგორც დამსწრეთ გადმომცეს, ძლივს რამოდენიმე ადამიანი მისდევდა თურმე მის კუბოს, ისიც იმ ქალაქში, სადაც მან შეალია თავისი სიცოცხლე თვალსაჩინო მეცნიერულ მუშაობას. აი სანამდე მიაღწია რუსულმა უგულობამ! მერმე რატომ მოხდა ეს? იმიტომ ,რომ რუსეთისათვის ის მაინც უცხოელად დარჩა. განა აქ, თავის სამშობლოში რომ ყოფილიყო, ასე უგულოდ შეხვდებოდნენ ასეთი პიროვნების აღსასრულს? არა და არა. ამიტომაც, ბ-ნო პეტრე, უთუოდ უნდა დაუბრუნდეთ სამოღვაწეოდ თქვენს სამშობლოს. და საამისო შემთხვევაც კარგი გეძლევათ: სულ მოკლე ხანში ჩვენ გვექნება საკუთარი სამეცნიერო ტაძარი, ქართული უნივერსიტეტი, ყველა ფაკულტეტით. აი, ეს არის სწორეთ სათქვენო ასპარეზი, სავსებით შესაფერისი, ღირსეული და თქვენი წარსული ნაყოფიერი მოღვაწეობის წარმატებით დასაგვირგვინელი. სულით და გულით გისურვებთ, რომ მომავალ ქართულ უნივერსიტეტის პირველ რექტორად თქვენ ბრძანებულიყოთ და თქვენი სამეცნიერო ლექციები რუსეთის მაგივრად საქართველოში სტუდენტებისათვის გაგვრძელებინოთ. აი, მაშინ მიიღებთ თქვენ სრულ კმაყოფილებას; ხანში შესულობა დაგავიწყდებათ, ახალგაზრდული ცეცხლით შეხურდებით; მშობლიურ ნიადაგზე გადმოსვლით ძალა გაგიათკეცდებათ და ყოველ მხრიდან დაამშვენებთ ჩვენ ნორჩ ტაძარს. მე ამ სიტყვებს საოცნებოდ არ მოგახსენებთ, არამედ ნამდვილის, შეურყეველის რწმენით და იმედით. ღმერთმა მოგანიჭოთ დღეგრძელობა და თქვენთან ერთად მალე მოგვასწროს თქვენთვის და ჩვენთვის ნანატრ ამ ბედნიერების დღეს.

„ ღმერთმა გაგიმარჯოთ თქვენ, ძვირფასო მეცნიერების ქურუმო და თქვენთან ერთად გაუმარჯოს ჩვენ მომავალ ქართულ უნივერსიტეტს“...

ყველანი რიგ-რიგობით მივუახლოვდით ძვირფას სტუმარს და ცალ-ცალკე მივესალმეთ. მანაც აღტაცებულმა მადლობა გადაგვიხადა თვითეულს და გვაცნობა, რომ საპასუხო სიტყვას ბოლოს იტყოდა.

როდესაც ყველანი თავის ადგილზე დავსხედით, აი, მაშინ შეიქმნა ერთი ამბავი. თითქმის ყველანი ალაპარაკდნენ და დაიწყეს ჩუმი ბოლო - სიტყვაობის შესახებ მეგობრული დაცინვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აი, ოცნებაც ასეთი უნდაო! — წამოიძახა ექიმმა ი. თიკანაძემ.

— რა კარგად იცის ჩვენმა ვახტანგმა ოცნების სამთავროში გადავარდნა. თვითონ გადახტება და შენც ძალაუნებურად მიგათრევსო!.. — წამოიძახა ექიმმა მელიქიშვილმა და მეგობრული ღიმილით დამაჯილდოვა.

— „სე ნონ ე ვერო, ე ბენ ტროვატო"! — დაიძახა ერთმა.

— ვინ გვაძლევს, ბატონო, უნივერსიტეტს?! — თქვა მესამემ.

ჩემმა მეგობარმა, ექიმმა სანდრო დიასამიძემ ჩვეულებრივი ღიმილით გადმომხედა, არაფერი თქვა, უთუოდ შევებრალე, მაგრამ ცალი ქუთუთო თავისებურად თვალს ჩამოაფარა. ეს იმის მომასწავებელი იყო, რომ მაინც და მაინც ჩემი ნაოცნებარის განხორციელება არა სჯეროდა.

ქმრებს მათი მეუღლეებიც აჰყვნენ; ყველანი თავის მხრივ სხვა და სხვა აზრს ადგა, მაგრამ საერთოდ ეტყობოდათ, რომ ჩემი ნათქვამის განხორციელება მაინც და მაინც საიმედოდ არ მიაჩნდათ.

ბოლოს ერთმა ჩემმა მეგობარმა, უთუოდ ჩემდა საუბედურებლად, წარმოთქვა:

— რაც არ უნდა თქვათ, ჩვენმა ვახტანგმა ისე კარგად იცის ოცნების შეთამაშება, სულ უცნაურიც რომ თქვას, სიამოვნებით გაგიტაცებთ, თითქმის დაგაჯერებთ და ერთგვარ სიამონებასაც გაგრძნობინებთ. ამისათვის მადლობელი უნდა დავრჩეთო!

მე მადლობა შევწირე თანაგრძნობისათვის და თანაც დავუმატე, რომ სრულებით არ მჭირდებოდა, რადგანაც ჩემი ნაოცნებარის განხორციელება სრულებით საეჭვოდ არ მიმაჩნია-მეთქი.

ჩემს მეგობარს, ექიმ თიკანაძეს, რომელიც ისევ განაგრძობდა დაცინვის კილოთი ოხუნჯობას, ვუპასუხე:

ჩემო ივანე, ოცნების სიჭარბეს არ მიწუნებ; ხომ იცი, რომ უოცნებო ბუნებაში მხოლოდ უბრალო ჯირკია. და რატომ არ უნდა გაურბოდეს გონიერი ადამიანი ჯირკად გარდაქმნას?! განა მთელი ბიოლოგიის კანონები და ბუნების მრავალფეროვანება ამისთვის შევისწავლეთ, რომ ჯირკისნაირი არსებობა გავსწიოთ?! მე იმ აზრისა ვარ და ვერც წარმომიდგენია ადამიანის ასეთი დაკნინება...

ჩვენი საპატიო სტუმარი ყველაფერს უსმენდა და, როგორც შეჰფერის ნამდვილ მეცნიერს, ჩვენს უბრალო კამათში არ ერეოდა. ამასობაში მოისურვა სამადლობელო სიტყვის თქმა და ყველანი სმენად გარდავიქეცით.

— ბატონებო! — ცოტა აღელვებულმა დაიწყო პროფესორმა, — დღევანდელი დღე გამყვება სასიამოვნო, დაუვიწყარ მოგონებად. ექიმი ვახტანგის დღევანდელმა საუბარმა დამარწმუნა, რომ ჩვენი ენა მეტად მდიდარი ყოფილა სამეცნიერო სიტყვებით. რაც მკითხა და რაც მიამბო მან — ყველაფერი ეს შეეხებოდა სამეცნიერო დარგს და ისე კარგად გამაგებინა ჩემშა მოსაუბრემ, რომ არ მეგონა, თუ ეს ასე ადვილი მოსახერხებელი იყო. ამ სიმდიდრესთან ერთად ქართული ენა მეტად სასიამოვნო და მუსიკალურიც ყოფილა. ეს მე დღეს აშკარად ვიგრძენი საუბრის დროს. ორივე ეს რწმენა, ჩემში დაბადებული, თან მიმყვება, როგორც ახალი და სასიამოვნო აღმოჩენა. ამისათვის განსაკუთრებულ მადლობას მოვახსენებ ჩვენს ვახტანგს. რაც შეეხება ჩემს შესახებ ნანატრ მომავალს, ამისათვისაც დიდი მადლობელი ვარ, მაგრამ უნდა გულწრფელად გამოგიტყდეთ, რომ ოცნებითაც არ შემიძლია წარმოვიდგინო ასეთი მომავალი. ვინ მაღირსებს მე ასეთ ბედნიერებას, რომ ქართულ უნივერსიტეტს შევესწრო და მისი რექტორობაც მხვდეს! მაინც მადლობელი ვარ კეთილი სურვილებისათვის და საერთოდ თქვენი პატივისცემისათვის. მინდა წასვლის წინად მოგახსენოთ შემდეგი: დღეს, აი აქ, ყველასთან სიტყვას ვიძლევი, რომ რუსეთში ჩასვლისათანავე, შევუდგები ქართული ენის საფუძვლიანად შესწავლას. ამიერიდან ამას მე სამღვთო მოვალეობად ვისახავ. ვეცდები, რომ ეს სამწუხარო ნაკლი შევივსო და ქართული ენა კარგად შევითვისო; ეს მართლაც უუსაჭიროესი რამ ყოფილა ქართველი მეცნიერისათვის და ეს დღევანდელმა საღამომ ცხადად შემაგნებინა...

ამასთანავე დიდი მადლობა გამოგვიცხადა ყველას, სტუმარსა და მასპინძელს.

ამაზე საბოლოოდ კიდევ ვუპასუხე შემდეგი:

— რადგანაც ასეთი არის თქვენი დღევანდელი გარდაწყვეტილება, რომელსაც ყველანი აღტაცებით ვეგებებით, გავკადნიერდები და ერთ პატარა რჩევას მოგახსენებთ, როგორც უსაჭიროესს: ყოველ დღე უნდა იკითხოთ ხმა-მაღლა, როგორც იტყვიან დიაკვანივით, ნახევარ საათს მაინც ,ვეფხისტყაოსანი, დაბადების წიგნი, ან სახარება ან დავითის ფსალმუნი, ან ჩვენ კლასიკოსთა ლექსები. ეს უთუოდ საჭიროა ენის გასატეხად. დანარჩენი ყოველ-დღიური მუშაობა კი ჩუმად შეიძლება განაგრძოთ. სულ მოკლე დროში შეამჩნევთ შედეგს, მით უფრო, რომ ბევრი ძალიან მალე გამოგადგებათ ყოველივე ეს მომავალ უნივერსიტეტში, ქართველ სტუდენტთა საწრთვნელად. კიდევ გისურვებთ მშვიდობის გზას და მშვიდობითვე სამშობლოში დაბრუნებას.

დასრულდა სასიამოვნო ნადიმი; გამოვემშვიდობეთ ძვირფასს სტუმარს; კიდევ მადლობა შევწირეთ ჩვენს მასპინძლებს, რომელთაც ასეთი იშვიათი და დაუვიწყარი საღამო გაგვატარებინეს ჩვენ სასიქადულო მეცნიერთან ერთად და გამოვედით შინ დასაბრუნებლად.

მივაცილეთ ჩვენი პროფესორი ბინამდე, რომელიც იქვე ახლოს იყო სამკურნალოსთან და მხიარული ბაასით

შევუდექით ვერის აღმართს. გზაში კიდევ უბრუნდებოდნენ ხშირად ჩემს სადღეგრძელოს.

— ეს ერთი ძალიან უსურვე შენ ჩვენს პროფესორს! — წამოიძახა ერთმა, — საიდან თხზავ ხოლმე ასეთ უცნაურ რასმეს?!... და სხვა...

ამაზე მე ვუპასუხე:

— რომ არ გამიკვირდებოდა მათი ასეთი უიმედობა იმ გადაგვარების შემდეგ, რაც ქართველ მოწაფეს ატყდება თავს საშუალო სასწავლებელში და რა გავლენასაც უმორჩილდება იგი უმაღლეს სასწავლებელში, უცხო მხარეს, სადაც მშობლიური არაფერი ესმის მას. ამიტომაც თითქმის ყველა ეგრეთ-წოდებული „თერგ - დალეული“ პირები უცნაურები გამოდიოდნენ და გამოდიან: ყველაფრის უარისმყოფელნი, ცხოვრების ხალისს და ალმაფრენას მოკლებულნი და უდროოდ გულ-გატეხილნი. ან კი რას უნდა ელოდეს ამათგან საწალმართოს ჩვენი ქვეყანა ასეთ გადაგვარებულ პირთაგან, რომელნიც ოცნების წინააღმდეგნიც კი არიან .. და სხვა.

ამასობაში მხიარულად დავბრუნდით ყველანი თავ - თავის ბინაზე.

შემდეგშიაც არა ერთხელ ვუბრუნდებოდით ამ საღამოს მოგონებას. არ გაიარა დიდმა ხანმა, ექიმმა მელიქიშვილმა წამაკითხა ოდესით მონაწერი წერილი, სადაც იწერებოდა პროფესორი ამ ნადიმის შთაბეჭდილების შესახებ.

„გადაეცი ყველას ჩემი გულითადი სალამი და ისიც, რომ მე ჩემს აღთქმას მტკიცედ ვასრულებ, ყოველ დღე ვვარჯიშობ და ვსწავლობ ქართულს და ვატყობ კარგს შედეგს“-ო.

თანაც დასძენდა: რაც დრო გადიოდა, როგორ თანდათან უადვილდებოდა მას ეს მუშაობა....

ასეთი წერილი რამოდენჯერმე მოდიოდა 1916 წლის შემოდგომიდან 1917 წლის დამლევამდე.

1918 წელს, 26 იანვარს, ქართული უნივერსიტეტის მთავარ დარბაზში დიდ საზოგადოებას მოეყარა თავი. ყველას სიხარული ეტყობოდა სახეზე. ყველა განსაკუთრებულ აღტაცებას განიცდის. საზეიმოდ მოსული ხალხი თითქოს საალმდგომო ლიტანიისათვის ემზადებობდა. ყველანი იქ ვიყავით, ვისთვისაც ეს ძვირფასი წამი, დიდი ხნიდან ნანატრი და ნოცნებარი იყო.

დანიშნულ საათს, ამაღლებულ ადგილზე გამოვიდა ჩვენი ძვირფასი მეცნიერი პეტრე მელიქიშვილი. ხალხი სმენად გადაიქცა და ამ ნორჩმა სამეცნიერო ტაძარმა პირველად მოისმინა თავისი გამოჩენილი მეცნიერის მოლოცვა და მისალმება; სახე მისი იყო ისე გაბრწყინვებული, ისეთი სიცოცხლით აღსავსე, რომ გეგონებოდათ ხანსა და მოხუცებულობას მისთვის ვერაფერი ვერ დაუკლიაო.

ვინც დავესწარით იმ ბედნიერ დღეს და ვინც განვიცადეთ ეს უზენაესი სიამოვნების წუთები, ვერასოდეს ვერ დავიიწყებთ ამ სიამოვნებას.

საქართველოს ტანჯვის ასპარეზზე ასეთი ეროვნული აღტაცება იშვიათი რამ იყო და ამიტომაც ამ შესანიშნავმა განცდამ წარუხოცელი კვალი დაგვიტოვა სამუდამოდ.

დაასრულა მეცნიერმა თავისი საზეიმო სიტყვა, ჩამოვიდა ძირს და ყველანი მიეშურნენ მისალოცავად.

როდესაც ჩემმა ჯერმაც მოატანა, მივუახლოვდი, მანაც ჩემსკენ რამოდენიმე ნაბიჯით მოაშურა, ორივე ხელით ერთი მეორეს ჩაჭიდებულნი განსაკუთრებულის სიამოვნებით ვულოცავდით ერთმანეთს.

— ძვირფასო პროფესორო, — მივმართე მე, — ნება მიბოძეთ გულ-წრფელად და განსაკუთრებულად მოგილოცოთ ეს თქვენთვის და ყოველი ქართველისათვის საზეიმო დღე. ხომ გახსოვთ ის საღამო, როდესაც მე პირველად გისურვეთ ეს ბედნიერება და რასაც ასე შეუძლებელად სთვლიდით, სხვებთან ერთად თქვენც. ის დანარჩენებიც, ეხლა აქ დამსწრენი, ყველანი ჩვენთან ერთად ზეიმობენ ამ დიდებულ დღეს. განსხვავება კი ის არის, რომ იმათ ამ ზეიმს ყვავისებურად დასჩხავლეს და მე კი იმ დროიდანვე საამური მოლოდინის სუდარაში ვახვევდი ამ ჩემს ნოცნებარს და ამიტომაც ყველაზე უფრო განვიცდი ამ სიამოვნებას. კიდევ გილოცავთ ამ ბედნიერებას და გისურვებთ დანარჩენი ჩემი წინასწარმეტყველებაც სავსებით აგხდენოდესთ ჩვენი ახალი უნივერსიტეტის და სამშობლოს საკეთილდღეოდ“.

— ვერასდროს ვერ წარმოვიდგენდი, — მიპასუხა აღფრთოვანებულმა პროფესორმა, — რომ მე ასეთს ბედნიერებას შევესწრებოდი. ვერც იმას წარმოვიდგენდი, რომ თქვენ ასეთი წინასწარმეტყველი გამოდგებოდით. ეხლაც მესმის თქვენი მაშინდელი სიტყვები და რა ბედნიერი ვარ, რომ ასე მალე ამიხდა ყოველივე. კიდევ და კიდევ უაღრესად გმადლობთ. თქვენი რჩევა სავსებით გამოვიყენე, შედეგსაც სასურველს მივაღწიე, როგორც ხედავთ.

საერთო მშვენიერ სურათს აგვირგვინებდა პროფესორების ჯგუფი, რექტორის გარეშემო მყოფი და მეტადრე ჩვენი სასიქადულო ისტორიკოსი ბ. ივანე ჯავახიშვილი, რომლის სახეც კმაყოფილების და აღტაცების შარავანდედით იყო მოცული. სხვა დიდია და დაუფასებელ ამაგთან ერთად, მან ის ამაგიც დასდო ქართულ უნივერსიტეტს, რომ პირველი რექტორობა პროფესორ პ. მელიქიშვილს არგუნა და ამ რაინდული საქციელით მაგარი საფუძველი გაუსკვნა ჩვენს პირველ ტაძარს მეცნიერებისა: დაწესებულებული, დიდი ხნის მუშაკი მეცნიერი დააყენა სათავეში, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული და ნორჩი უნივერსიტეტისათვის.

სადაც არ გაიხედავდით, ამ ვეებერთელა დარბაზში, ხედავდით ყველას კმაყოფილსა და აღტაცებულს.

სხვათა შორის უნდა მოვიხსენიოთ ის გარემოებაც,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ყველა „ურწმუნო“ თომამ“, ვინც დამსწრე იყო პროფესორის გამოსათხოვარი ნადიმისა, განსაკუთრებით მომილოცა ეს საზეიმო დღე და მითხრა:

— ყოჩაღ! გვაჯობე! და ამისათვის, როგორც ნაგულისხმევი იყო, თითი უნდა მოვკაკვოთო!

ახლად დაარსებულ სამეცნიერო ტაძარში, რომელსაც ძლივს მოესწრო ხანგრძლივი მოლოდინის შემდეგ, ჩვენი სამშობლო, მაშინვე გაჩაღდა სამეცნიერო სწავლა და მუშაობა. ამ მუშაობაში ჩაება ჩვენი ცნობილი მეცნიერიც. მას რამოდენიმე დარგში დასჭირდა მუშაობა და ყველგან თავისი ხანგრძლივი გამოცდილების კვალი დააჩნია. იგი თითქმის სავსებით გარდაიქმნა ამ ახალ ასპარეზზე. და ეს ხომ ასეც უნდა მომხდარიყო! მეცნიერი, რომელიც მოშორებული იყო თავის ბუნებრივ წიაღს, რომელსაც უცხო მიწაზე, უცხო ჰაერზე, უცხო გარემოში უხდებოდა მუშაობა და მოღვაწეობა, ფრთა - აღკვეცილი და შეზღუდული იყო ყველაფერში, სრულს ბუნებას იგი იქ სავსებით ვერ გადაშლიდა. აქ კი თავის სამშობლოში ,რასაკვირველია, მას შეეძლო თავისი ბუნებრივი ძალების ულხვად გამოყენება, მეტის შემძლეობით და ნაყოფიერებით. დასანანებელია მხოლოდ ის გარემოება, რომ საუკეთესო ხანა თავისი საქმიანობისა მან შეალია რუსეთს და საქართველოს ასპარეზი კი მას აღმოუჩენდა, როდესაც მან 68 წელს მიაღწია... მაგრამ ეს ხომ მისი ბრალი არ არის... ამ ახალ ასპარეზზე, მართლაც არა-ჩვეულებრივი ნაყოფიერებით შეუდგა მრავალფეროვან მუშაობას ჩვენი სასიქადულო მეცნიერი. ყოველგვარი კვლევა-ძიებისა და მეცნიერების დარგში; სადაც კი ქიმია იხსენებოდა, ჩვენი მეცნიერი ხელმძღვანელობდა და მეთაურობდა საჭირო მუშაობას. ამდენ სამუშაოს, მეტად რთულსა და მრავალფეროვანს იმიტომ ახერხებდა, რომ დიდ სულიერ კმაყოფილებას განიცდიდა სამშობლოში დაბრუნებით. ხშირად ვხვდებოდი თბილისში პირველ ოთხ წელიწადს და ხშირად გაუზიარებია მას ჩემთვის ეს კმაყოფილება. არა ერთხელ გაკვიზიარებია ურთიერთისათვის გულწრფელი სიტყვანული, რომ ასეთი გამოჩენილი მეცნიერი და მრავალი ღირსებით შემკული ადამიანი, როგორიც იყო განსვენებული ვასილ პეტრიაშვილი, მისი დიდი მეგობარი, ვერ შეესწრო მასსავით ამ ბედნიერებას, საქართველოს დედა - ქალაქის უნივერსიტეტის ხილვას და მის წიაღში მუშაობას. ულმობელმა სიკვდილმა უდროოდ წარიტაცა იგი. როგორ დაამშვენებდა იგი ჩვენს ტაძარს მეცნიერებისას, რომ ბატონ პეტრეს ამოსდგომოდა თანამშრომლად. ხშირად ბევრს რამეს ვიგონებდით მისი წარსულიდან და სხვათა შორის რამოდენიმეჯერ მოვაგონე ბ-ნ პეტრეს გამოჩენილი რუსის მეცნიერის, პროფესორ სეჩენოვის ნათქვამი ვასილ პეტრიაშვილის შესახებ; როდესაც მას დაუმთავრებია ჩინებულად სწავლა ოდესის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტისა, მოუსურვებია სწავლის გაგრძელება და საპროფესორო მუშაობისათვის უცხოეთს გამგზავრება, სეჩენოვს უთქვამს: „სად აზიელი და სად მეცნიერება“-ო?!

ამისდა მიუხედავად, ბ. ვ. პეტრიაშვილი 1873 წელს გამგზავრებულა ბონში ; 1874 წელს სახელოვანად ჩაუბარებია დისსერტაცია მაგისტრის ხარისხით; 1877 წ. მიუღია დოკტორობა. 1878 წ. გაუგზავნიათ ორი წლით სამუშაოდ პარიზის უნივერსიტეტში. 1880 წელს დაუნიშნავთ ოდესის უნივერსიტეტის ფიზიკურ-მათემატიკურ ფაკულტეტის დეკანად და 1906 წელს აურჩევიათ რექტორად. ამ მეცნიერმა და შესანიშნავმა ადამიანმა ბევრი რამ შესძინა მშობლიურ და მსოფლიო მეცნიერებას. აი ასეთი გამოდგა ეს არა-ჩვეულებრივი მეცნიერი „აზიელად“ მონათლული რუსეთის მეცნიერის მიერ.

ეს პროფესორი სეჩენოვი ფიზიოლოგიის საუკეთესო მცოდნედ ითვლებოდა მთელ რუსეთში. იცნობდნენ მას უცხოეთშიაც. მასთან მუშაობდა ჩვენი თანამემამულე ივანე რამაზის ძე თარხნიშვილი, 1864 წელს პეტერბურღში სამხედრო ქირურგიულ აკადემიაში შესული. სწორეთ ამ პროფესორის, სეჩენოვის ხელმძღვანელობით შეუდგა იგი ფიზიოლოგიის შესწავლას. მან დაამთავრა სწავლა 1869 წ. ოთხი წლის თვალსაჩინო მეცნიერული მუშაობის შემდეგ. თარხნიშვილი სამხედრო აკადემიის პროფესორთა დადგენილებით გაგზავნილ იქმნა უცხოეთში მეცნიერული მუშაობისათვის. მან მრავალი მეცნიერული საკითხი გამოარკვია, რამაც დიდი ყურადღება მიიპყრო მეცნიერებისა რუსეთში და საზღვარგარეთაც: ამნაირად პროფესორ სეჩენოვს თავისი ჯერ მოწაფის და შემდეგ თანამშრომელის მაგალითი თვალწინ ჰყავდა ქართველი ადამიანის ნიჭიერებისა და შეგნებული მუშაობისა. რად უნდა დასჭირვებოდა მას ამის შემდეგ ვასილ პეტრიაშვილისადმი ისეთი სიტყვებით მიმართვა, რომელიც მხოლოდ უვიცსა და შეუგნებელ ადამიანს შეჰფერის!.. მაგრამ ეს არის რუსული ღვარძლინაობა და მედიდურობა დამონებულისადმი და ერთის მხრივ ველური ბუნების მაჩვენებელი... მეტადრე მას, რომელიც ბიოლოგიური მეცნიერების კარგ მცოდნეს, უნდა გაეწია ანგარიში ჩვენი რასსიული თვისებებისათვის და უძველესი დროიდან ქართველების კულტურული არსებობისათვის ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც რუსის ხსენებაც არ იყო დედამიწის ზურგზე.

მე პირადად ვიცნობდი სეჩენოვს. ჩემი პროფესორი იყო ფიზიოლოგიისა. კარგი მცოდნე, გულ-კეთილი, სათნო და თავმდაბალი ადამიანი, სავსებით მეცნიერულ კვლევა-ძიებაში თავ-ჩარგული. ასეთ ადამიანს უვიცობა არ შეჰფეროდა. მაგრამ როდესაც მეცნიერი - რუსი „დამპყრობელის“ აზროვნებით გაიმსჭვალება, მაშინ იგი პოლიციური შეგნებით იარაღდება, ყველას მტრულად უყურებს, სხვა ტომის კაცი ეჯავრება, არარაობად მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

აჩნია და ხშირად შეუსაბამოს აფიქრებინებს და ათქმევინებს.

როდესაც უკვე გაჩაღდა მუშაობა ჩვენს უნივერსიტეტში და მეცნიერების მრავალი მუშაკი შემოიკრიბა იქ, ერთჯერ ბ-ნ პეტრეს გავახსენე სეჩენოვის უცნაური შეხედულება და მოვახსენე:

— ეხლა რომ სეჩენოვი წამოდგეს საფლავიდან და დაინახოს მან ყოველივე ეს, ნეტავი რას იტყოდა იგი, გაამართლებდა თავის ნათქვამს თუ არა, ან ეგებ გულ-გახეთქილი ხელახლად ჩაწვებოდა საფლავში!..

დაარსდა ქართული უმაღლესი სასწავლებელი თბილისში, საქართველოს მტრების განსაცვიფრებლად და მოყვარეების სასიხარულოდ...

კვლავ აინთო ლამპარი მეცნიერების ტაძარში. გაფანტულნი მუშაკნი შემოიკრიბნენ მის წიაღში და გაჩაღდა მუშაობა. ამ მუშაობაში თვალსაჩინო ნაწილი შეიტანა ჩვენმა ძვირფასმა მეცნიერმა. მომავლის ჟამთა აღმწერელი უთუოდ კარგად შეაფასებს, როგორც ამ მეცნიერს, ისე იმათ ღვაწლს, ვინც შექმნა ეს საშვილიშვილო საქმე.

ოთხი წლის განმავლობაში, ყოველთვის, როდესაც ვხვდებოდი ბ-ნ პეტრეს, მას ეტყობოდა ჭაბუკური სიხალისე და სრული სულიერი კმაყოფილება ამ ახალ მშობლიურ ასპარეზზე. უაღრესის აღტაცებით შევყურებდი მას, კმაყოფილებით აღსავსე, რადგან მას ჩემი ნაწინასწარმეტყველები სავსებით აუსრულდა. მეცნიერს კი ეტყობოდა სრული ბედნიერების განცდა, რომ ბოლოს მაინც ბედმა არგუნა მას ისეთი საიშვიათო ასპარეზი, რომლის წარმოდგენას იგი ოცნებითაც კი ვერა ჰბედავდა...

ჩვენი მეცნიერის დანარჩენი ხუთი წლის მოღვაწეობის ახლოს-მხილველი აღარ ვყოფილვარ, რადგანაც გარემოებამ, სამწუხაროდ, დამაშორა მშობლიურ ასპარეზსს... აქ, უცხოეთში, კანტი - კუნტად მოსული ცნობებიდან ვტყობილობდით, რომ იგი მუდამ განაგრძობდა თავის მრავალფეროვან მუშაობას; რომ მან შეჰქმნა მთელი თაობა ქიმიკოსებისა, რომელნიც აგრძელებენ მის ნაკარნახევი მიმართულებით მუშაობას.

მადლობელ საზოგადოებას და მის მოწაფეებს დიდი ზეიმით გადაუხდიათ მისი მეცნიერული მუშაობის 50 წლისთავი.

გარდაიცვალა ეს ძვირფასი მუშაკი 23 მარტს 1927 წ. 77 წლის ასაკში; თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის 55 წლის თავზე. დაუსაფლავებიათ იგი ქართული უნივერსიტეტის წინ და მისი ქანდაკებაც შეჰყურებს იმ ტაძარს, რომელსაც მან შეალია თავისი მოღვაწეობის ბოლო მეექვსედი. აქაც მას იშვიათი და სახარბიელო ბედი ეწია — სამუდამო განსასვენებელი იმ ტაძრის წინ, რომლის დამამშვენებელი ქურუმობა მას ბედმა არგუნა...

ქემიკი ვახტანგ ღამბაშიძე

ევტ. აბულაძე

მაისის დილა

რა დღე გაგვითენდა, რა მზე ამობრწყინდა!
ცვარმა გადაკოცნა ოცნების ყვავილი:
ნისლი გაიფანტა ნაზამთრევ მიწიდან,
ვარდი გაიფურჩქნა და ყლორტები ჩვილი.

სოფლის შარაგზაზე დილა გამოგორდა,
წყაროსთან ისმოდა ჟრიამული ქალთა;
ახალ გათენებას გვირგვინი მოჰქონდა,
თითქოს გაზაფხულმა დაიფერთხა კალთა.

საყდრის მრეკავებმა ჩამორეკეს მორცხვად,
შემდეგ დიდი ზარიც დინჯად ავუგუნდა;
გაიშალა, გათბა მთელი გარემოცვა,
დაიშაბა ყველა, ცალ-ცალკე და გუნდად.

ხალხი ქალაქებში ქუჩებს მოეფინა,
სანუკვარი ცნობა გოგმანით გავარდა;
სხივებმა ასხურეს თვითეულის ბინა,
დღევანდელი შუქი გუშინდელს არ ჰგავდა!

სიხარულის გრძნობა გულში არ ეტია,
გამარჯვების განცდა ვის არ ამოქმედებს!
განახლების წელი — ცხრაასთვრამეტია,
სიმღერები მოაქვთ გაზაფხულის მტრედებს.

სახეები სჩანდნენ გახსნილ-გაბადრული,
ღრეობდნენ და სვამდნენ ქართლის სადღეგრძელოს
— აქ „დიდება“ სჭექდა, იქეთ კრიმანჭული
და სულ ყველა ერთად: „ვაშა საქართველოს!“

მთაწმიდას მოადგა წამებულთა ლანდი
და ახალ მებრძოლთა უამრავი დასი,
ამერ-იმერელი და ვინ ფალავანდი,
მჭიდროდ შენაერი მრავალი ათასი.

ეს დღე უკვდავია — აღდგომის სადარი!
თუნდ ჩვენი თაობა სულ გამოიცვალოს,
ის დარჩება ხვალის ნუგეშ-საწინდარი,
აწმყო ტყვეობაში რაც უნდა იწვალოს.

და მაისი კიდევ მოვა, გაგვახარებს,
შვინდისფერი დრობა კვლავ აფრიალდება;
მზე არ მოაკლდება ხევებსა და ბარებს,
შვების ჩირაღდანი მთებში აინთება.

მრავალ ჭირნახული ქართველებისათვის
გათავდება: ჩაგვრა, დამცირება, ციხე...
განთავისუფლების დარეკავს საათი, —
ივერია იზეიმებს, ილხენს.

ევტ. აბულაძე

ვალენტინე, 1968 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი გამყრელიძე

შემოღამება ქალაქგარეთ

შებინდდა უკვე... ფრინველების შავი გუნდები
ჟივილ-ხივილით ჩამავალ მზეს ეთხოვებიან.
დავტოვებ ქუჩებს, ისევ ჭალებს დავუბრუნდები,
სადაც გავაფრენ ჩემს ოცნებებს ცისფერ ფრთებიანს.

მზე ჩაღვენილფილი, გორებს იქით გადასულიყო,
კუპრის ლანქერი ჩასდენოდა ჩაქცეულ ხევებს.
სადღაც ბულბულმა წამოიწყო კვნესით „სულიკო“,
სადღაც ქვაბებში გაემართათ „ქორწილი დევებს“.

ძველი ხავერდის გაცრეცოდა ცას ლურჯი ფონი,
ზედ დამხობილი მნათობების ოქრო-ჯამებით.
ამ დროს „განდეგილს“ ქალის სახით აცდენს დემონი,
ეს არის ჟამი „მთაწმიდაზე შემოღამების“!

და მომაგონდა ძველ ოდაში გუგუნი ბუხრის...
(მოკლე შარვალი — პატარა ბიჭს, როდესაც მეცვა);
თითქოს მომესმა შორეული ზარისხმა მწუხრის;
ლოცვები დედის, ჭერის რეცხვის და პურის ლეწვის.

ეს იყო მაშინ, როცა დილით ბალახზე თაფლად
დაიღვრებოდა სურნელება ნამის და ცვარის.
ეხლა ყორანი დღით და ღამით თხრის მგოსნის საფლავს
და უკეთ მიწას მოზუზუნე მიაყრის ქარი.

იქნებ აზრი აქვს მზის ამოსვლას და ისევ ჩასვლას,
ზენიტზე დგომას, ზღვის სარკეზე ისევ დაშვებას...
მაგრამ ამ ქვეყნად კაცის მოსვლას და ისევ წასვლას
სხვა რა ვუწოდო? თუ არ ნარდის გათამაშება?!

გაპობილია ჩემი რწმენა ეჭვების ცულით.
ჩემს გულში ცხოვრობს არსება ორი.
ყოვლად ძლიერო! გვაქვს მარადი უკვდავი სული,
თუ ვინუგეშებთ თავს მხოლოდ ჭორით?

გიორგი გამყრელიძე

გიორგი გამყრელიძე

სიზმარი—კარნავალი

ჭაბუკობის დრო წარსული —
დღენი ძველთა-ძველები,
ლატრიალდნენ ჩემს სიზმარში;
როგორც კარუსელები.

მწვანეფერით, ლურჯიფერით,
მეწამულიფერებით...
ანგელოსთა საკრავებით
და მათი სიმღერებით.

ვარდისფერად შეეღება ზეცა
ცისკარს კიაფით;
მოკაზმული მნათობების და
მთვარის ზოდიაკით.

საგალობლებს იმღერდნენ
ქართლის ყველა ტომები,
და თეთრ ეტლებს დააფრენდნენ
ჩალის ფერი ლომები.

ჩქერალები გადმოჰქუხდნენ
მშობლიური გორებით.
წყლის სასმელად მოსულიყო
ჯოგი ნიამორების.

მაგრამ უცბად გარდიხვეწნენ
ფრთხილი ნიამორები,
რის ჩქერალთან მოიგრაგნა
გველეშაპი ზმორებით.

იქვე იდგა, რომ დაეცვა
უკვდავების ჩქერალი,
ბლავარძელ წმიდა გიორგი,
მორახტული მერანით.

ვეშაპს შუბით გაუგმირა
წმიდა გიორგიმ მუცელი,
და სხვაგვარად დატრიალდა
სიზმარში კარუსელი.

მოეღრიცა სახე ვეშაპს
ამღვრეული თვალებით;
ცას მოედო ვარსკვლავების
შუქის ნაჭორფალები.

ამერია სიზმარეთის
გზები დაულამბავი.
წინ გამეხსნა „დედა-ენა“
და დევების ამბავი.

მოეყარათ თავი მხეცებს
მიწისას და ცისასას;
ყანის სამკლად მიდიოდნენ
საწყალ დედაბრისასას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიდიოდნენ ერთად მწყობრში,
ვით ჯარში მეომრები.
ხელში ჰქონდათ ვეფხვებს ულო,
დათვებს ზურგზე — ტომრები.

უთვალავი ნამგლით მკიდნენ
ყანას, თაგვთა გუნდები,
„დაკმაზნიდნენ“ ბატნი ხორბალს
და ქედანთა ხუნდები.

ხარ-ირმები ება კევრებს,
ურმებს შავი ზაქები.
ზეცას ეკრა მთვარის ნალი
ვარსკვლავთ ზოდიაკები.

ეს სურათიც დაიფარა
ქარიანი ნაღველით,
მომელანდა სულ სხვა სახე:
უცხო და უნახველი.

ვხედავ: ჯგუფად მოხუც კაცებს,
შემოსილებს შავებით,
მაღალ ყორეს აშენებდნენ
კაცთა მოჭრილ თავებით.

ქერუბიმთა ნაცვლად მღერდნენ
ქაჯთა ბნელი გუნდები:
„მტვერი იყავ, მტვრისგან შეგქმნეს,
მტვერსვე დაუბრუნდები!“

საფლავში კი, ვილაც ბრძენის
ქალა — რღვეულ ხრტილებით,
კაცის სვე-ბედს დასცინოდა
დაკრეჭილი კბილებით:

„უმაღლესო! ვერ შევიცნეთ
შენი ნება, ზრახვანი,
დასაწყისი, დასაბამი —
საფლავი და აკვანი“.

გამეღვიძა... არსად სჩანდნენ
მხეცნი შეუპოვრები,
აღარ სჩანდა კალოობა
და დათვები ტომრებით.

გიორგი გამყრელიძე

უარლ ბოდლერი

შემოდგომის დღე

მალე ჩაგვძირავს ცივი საბნის საპირის ქვეშა,
მე ვეთხოვები მოკლე ზაფხულს ცისფერ ველებით.
აცლიან ხმაურით ურმებიდან ზამთრისთვის შეშას,
მისი ხმაური მემუქრება საშინელებით.

ვარ ცივი ზამთრის მოლოდინე ფიქრში გაბმული...
ბრაზის და შიზღის, მძულვარების ისმის გოდება.
და ისე, როგორც მზე პოლარულ გამოქვაბულის —
ჩემს გულს აქვავებს ის, ყინულის წითელ ლოდებად.

ცახცახით ვისმენ დახვავებას საწვავი ხისას;
ის სასტიკია ეშაფოტის დადგმის ხმაურზე.
და ჩემი გული, როგორც კოშკი ძველი ციხისა —
ძარწის და კანკალებს ამ გულწამლებ აურზაურზე.

რა გულმომკვლელი, გამგმირავი, რა მკაცრი ხმაა!
თითქოს აჭედდენ მოგრძო ლუსმანს ვიღაცას კუბოს —
ვისას? — ზაფხულმა ჩაიარა — შემოდგომაა:
მოდის ზამთრის დღე ულხივოსნო და უპირქუბო.

თარგმნა **გიორგი გამყრელიძემ**

გიორგი ყიფიანი

მზის ქალიშვილს

ანგელოზო და მთავარ-ანგელოზო!
სამოთხის ბალო, თუ ჩემო ეზო,
დედის დედულო,
მამის მამულო,
ჩვენი ნაწილი ყველას მოგვეზლო!
წმიდაო ანდრიავ,
წმიდაო ნინო,
ადრეა... ადრეა ზედაშის ღვინო,
დედაში სახულო სიკოცხლის შვილო,
იზარდე, იმრავლე,
მზის ქალიშვილო!

გიორგი ყიფიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ. ვარდანი

ახალი საქართველო — რესპუბლიკა

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმოშობა

პირველი მსოფლიო ომის განმავლობაში რუსეთის იმპერია წაიქცა და დაილეწა. ტახტიდან გადადგა რუსეთის იმპერატორი და თვითმპყრობელი ნიკოლოზ მეორე, რომლის გვარში მხოლოდ სამასი წელიწადი იმეფა რუსეთში. იგი შესცვალა დროებითმა დემოკრატიულმა მთავრობამ.

კავკასიაში იმ დროს მეფის წარმომადგნელად ანუ ნამესტნიკად იყო ნიკოლაი ნიკოლაევიჩი... იმპერატორის გადადგომას მისი მოადგილის გადადგომაც მოჰყვა. ამის გამო ჯერ კიდევ რუსეთის დროებითმა მთავრობამ ამიერკავკასიას დაუნიშნა საგანგებო ხელისუფლება — „ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტი", ანუ შემოკლებით: — „ოზაკომი". ამ საგანგებო კომიტეტის თავჯდომარე იყო, რასაკვირველია, რუსი, დეპუტატი ხარლამოვი. წევრებად ერთა წარმომადგენელნი; ქართველების მხრივ — კიტა აბაშიძე და აკაკი ჩხენკელი.

ხარლამოვის კომიტეტს ნამდვილი ხელისუფლება არა პყრობია. იგი იყო უძალო და ულონო დაწესებულება, ვინაიდან მთელი ხელისუფლება რევოლუციურ ორგანიზაციებს ხელთ ეპყრათ, როგორიც იყვნენ: მუშათა საბჭოები, გლეხთა საბჭოები, ჯარისკაცთა საბჭოები და სხვ. ეს რევოლუციური ორგანიზაციები გარდაიქცნენ პოლიტიკურ პარტიათა ბრძოლის ასპარეზად, სადაც სოციალ-დემოკრატები (მენშევიკები), რამოდენიმე ბოლშევიკი და სოციალისტრევოლუციონერები ერთმანეთს ებრძოდნენ.

პეტროგრადში პირველი დროებითი მთავრობა შესცვალა კოალიციურმა მთავრობამ, რომელსაც კრიზისის შემდეგ. მეორე კოალიციური მთავრობა მოჰყვა. ამას კიდევ მესამე და ბოლოს 17 ოქტომბერს ბოლშევიკური გადატრიალება. ამ გადატრიალების ნაყოფი იყო ზავი რუსეთსა და მის წინააღმდეგ მეომარ სახელმწიფოთა შორის და ომი ყველა მათ მიმართ, ვინც ამ ახალ ხელისუფლებას არ ურიგდებოდა. ზავი საგარეო და ომი საშინაო — ასე დაიწყო ბოლშევიკური ბატონობა რუსეთში.

ბოლშევიკებს საქართველოში და საერთოდ კავკასიაში არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდათ და, რასაკვირველია, ამიერკავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოების ცენტრმა 20 ოქტომბერს (1917 წ) სხდომაზე **ერთხმად უარჰყო** მოსკოვიდან ბოლშევიკური კომისარის დანიშვნა. „ოზაკომის" შემქმნელი რუსული მთავრობა აღარ არსებობდა; კერენსკის მთავრობამ სული დალია; ასევე სული დალია მისმა წარმომადგენელმა ამიერკავკასიაში, „ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტ"-მა. იგი გაუქმდა 15 ნოემბერს 1917 წ.

რა ხელისუფლება უნდა შექმნილიყო მის ნაცვლად? ამისი გადამწყვეტნი იყვენ რევოლუციური ორგანიზაციები და მათი ხელმძღვანელები. რუსეთში უკვე ანარქია მძვინვარებდა და იწყებოდა სამოქალაქო ომი. ამიერკავკასიასაც ეს ბედი მოელოდა. საჭირო გახდა ამ ქვეყნის დაცვა არეულობისა და ომისაგან. 1917 წ. 11 ნოემბერს თბილისში მოეწყო რევოლუციურ ორგანიზაციათა საგანგებო თათბირი, რომელმან **ერთხმად გადაწყვიტა:**

„ვინაიდან ცენტრალური, ყველას მიერ უფლებამოსილად ცნობილი მთავრობა არ არსებობს, და დღითი-დღე ძლიერდება მთელ სახელმწიფოში არეულობა, რომელიც მოსალოდნელია ამიერკავკასიაშიც გავრცელდეს, და რადგან საჩქაროდ გადასაჭრელია მთელი რიგი საზოგადოებრივი, ფინანსიური და ეკონომიური კითხვებისა, რომელთა გადაჭრაზე დამოკიდებულია ჩვენი მხარის უახლოესი ბედი, თათბირი ადგენს: — შედგეს ამიერკავკასიის მმართველობა, რომელშიც შევლენ ამიერკავკასიის ცენტრალურ, საზოგადოებრივ, ოფიციალურ და ეროვნულ ყველა რევოლუციურ-დემოკრატიულ ორგანიზაციის წარმომადგენლები. ადგილობრივი მმართველობა თავის მოქმედებაში უნდა ემყარებოდეს ამიერკავკასიის და ადგილობრივ მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებს და ადგილობრივ თვითმართველობათა ორგანოებს"-ო.

მაშასადამე, უნდა დაარსებულიყო ამიერკავკასიის მმართველობა, რომელიც ოფიციალურ ძალებს დაემყარებოდა. ასეთიც დაარსდა 14 ნოემბერს 1917 წ. და მას დაერ-

ქვა „ამიერკავკასიის კომისარიატი“, რომლის თავმჯდომარე იყო ქართველი პოლიტიკური მოღვაწე და სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, რუსეთის სახელმწიფო დუმის ყოფილი დეპუტატი, ევგენი გეგეჭკორი..

რევოლუციის დაწყებისათანავე ჩაისახა აგრეთვე ორი მნიშვნელოვანი ორგანიზაცია; პირველის დანიშნულება იყო ამიერკავკასიის ერებს შორის დავა-ცილობის მომწესრიგებლობა — ეს იყო „ერთაშორისო კომისიები“. და შეიქმნა აგრეთვე პარტიების შემათანხმებელი კომიტეტი, ეგრეთ წოდებული „ინტერპარტიული კომიტეტი“.

შეთანხმება ერთა შორის; შეთანხმება პოლიტიკურ პარტიათა შორის — ასეთი იყო ამ ორგანიზაციათა დანიშნულება.

ამიერკავკასიის კომისარიატი, ევგენი გეგეჭკორის თავმჯდომარეობით, როგორც ამიერკავკასიის ადგილობრივი მმართველობა, მოღვაწეობას შეუდგა. შემოღებულ იქმნა ერობა ანუ ადგილობრივი, პროვინციული თვითმართველობა, რომლის გულისათვის ათეულ წელთა მანძილზე ოკეანე მელანი დაიხარჯა; გამოიცა განკარგულება მიწის ჩამორთმევის შესახებ; გაუქმდა ბატონყმობის დროის იურიდიული ნაშთები; მოისპო თავადაზნაურული წოდების უფლება და სხვა.

საქართველოს თავადაზნაურობამ თავის მხრივ საკუთარი ნაბიჯი გადასდგა და დაადგინა: — მთელი მისი ქონება, რომელიც ამ წოდებას, როგორც ორგანიზაციას ეკუთვნოდა, გადასცემოდა საკუთრებად ქართველ ერს ამ საკუთრების ღირებულება ოქროს მანეთზე რამოდენიმე მილიონს უდრიდა.

მაგრამ ვინ წარმოადგენდა ამ ქართველ ერს?

ამიერკავკასიის კომისარიატი იყო ამიერკავკასიის მმართველი; ხოლო ქართული რევოლუციური ორგანიზაციები ერის წარმომადგენელად ვერ ჩაითვლებოდნენ. ამიტომ ქართულმა „ინტერპარტიულმა კომიტეტმა“ გადასწყვიტა მოეწვია **„საქართველოს ეროვნული ყრილობა“**; მის შემადგენლობაში უნდა ყოფილიყვნენ: წარმომადგენელნი თვითმართველობათა, აღმასრულებელ კომიტეტთა, კულტურულ დაწესებულებათა და პოლიტიკურ პარტიათა..

„საქართველოს ეროვნული ყრილობა“ მოეწყო თბილისში 19 ნოემბერს 1917 წ. და მისი წევრთა რიცხვი უდრიდა 343-ს (აქედან 19 იყო სათათბირო ხმით).

ეს იყო პირველი შემთხვევა რუსეთის ბატონობის 117 წლის განმავლობაში, როდესაც ქართველი ერის წარმომადგენლებმა მოიყარეს თავი; აქ გამოცხადდა მთელი ქართველი ერი თავისი წარმომადგენლებით. ეს წარმომადგენლობა ასე იყო განაწილებული:

1. საგუბერნიო, სამაზრო და სასოფლო აღმასრულებელი კომიტეტების დეპუტატები, რიცხვით — 89.
2. ქალაქთა თვითმართველობების — 33.
3 მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების — 15.
4. კოოპერატივების — 8
5. ვაჭარ-მრეწველობისა და ბანკების — 26.
6. თავადაზნაურობის — 20.
7. საკათოლიკო საბჭოსი — 1.
8. კულტურულ-განმანათლებელი და სხვა ასეთი დაწესებულებების — 43.
9. მასწავლებელთა კავშირის — 9.
10. ქართული პრესის — 9.
11. უცხოეთში არსებულ ქართ. საზოგადოებათა — 6.
12. ქართული ჯარის — 20.
13. ქართველი მაჰმადიანებისა და ქართველი კათოლიკების — 7.
14. ქართველი ებრაელების — 3.
15. აფხაზების — 2.

აი, ამ ფართოდ მოწვეულ ეროვნულ ყრილობას უნდა გადაეწყვიტა და მოეწყო თავისი ორგანიზაცია, რომელიც საქართველოს თავადაზნაურთა მიერ გადაცემულ ქონებას მოუვლიდა.

მაგრამ დრო იყო მეტისმეტად არეული და მძიმე: ომი გრძელდებოდა; რუსეთში დიდი აღრევა იყო გამეფებული და სამოქალაქო ომი ატეხილი.. ამიტომაც საქართველოს ეროვნული ყრილობა თავადაზნაურობისაგან მიღებული ამ ძვირფასი საჩუქარის, ანუ ძღვენის მიღებაზე ვერ შეჩერდებოდა და საქართველოს მომავალ ბედსაც უნდა შეხებოდა.

აკაკი ჩხენკელმა „ინტერპატიული ქართული კომიტეტის“ სახელით გახსნა „საქართველოს ეროვნული ყრილობა და სხვათა შორის თქვა: — რუსეთში ყველა ერი ჩამოყალიბდა და თავის ინტერესებს იცავს; დრო არის ამიერკავკასიაშიც დაირაზმონ და შეკავშირდენ ერებიო. მაშასადამე, უნდა დასმულიყო საქართველოს პოლიტიკური სახეობის საკითხიც. და ეს საკითხი მართლაც წარმოდგა. ყრილობის მეორე სხდომაზე ნოე ჟორდანიამ წაიკითხა მოხსენება „ინტერპარტიული კომიტეტის“ სახელით და განაცხადა:

„თქვენ იცით, რომ ინტერპარტიულ საბჭოში შედიან ყველა ქართული პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები და მათ თუ იცვნეს შესაძლებელად ერთი პირისათვის მიენდოთ მოხსენების გაკეთება, აშკარაა, ყოფილა საერთო ნიადაგი და სწორეთ ამ საერთო ნიადაგზე იქნება ჩემი მოხსენებაც აგებული“-ო.

რა იყო ეს საერთო ნიადაგი? ნოე ჟორდანია ყრილობას მოახსენებდა:

„თქვენ იცით, რომ ჩვენი ინტერესები შეკავშირებულია რუსეთის ინტერესებთან და როცა ვარკვევთ ჩვენი ერის მდგომარეობას, გამოვდივართ რუსეთის საერთო ინტერესებიდან. ცხადია, დღესაც ვრჩებით იმ ნიადაგზე, რომელზედაც ვიდექით წინათ, ესე იგი, რუსეთთან კავშირის ნიადაგზე. ასმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც საქართველო რუსეთს შეუერთდა. ეს არ იყო ვისიმე ჟინია-

ნობისა, ან უბრალო შემთხვევის შედეგი. ეს იყო ისტორიული აუცილებლობა. მაშინ საქართველოს წინაშე იდგა დილემა — ან აღმოსავლეთი ან დასავლეთი. და ჩვენმა წინაპრებმაც გადასწყვიტეს განშორებოდენ აღმოსავლეთს და მიემართათ დასავლეთისათვის. დასავლეთითისაკენ კი გზა იდვა რუსეთზე; მაშასადამე, დასავლეთისაკენ სვლა ნიშნავდა რუსეთთან შეერთებას. რუსეთთან შეერთება მოხდა შემდეგი პირობით — ჩვენ უნდა ვყოფილიყავით რუსეთის ჩარჩოში და გვქონოდა თვითმართველობის უფლება შინაურ საქმეებში. მხოლოდ პირველი ნაწილი ამ პირობისა დარჩა ძალაში, მეორე ნაწილი კი აღრევე იქნა დარღვეული. ბევრი წვალება, ბევრი გაჭირვება გადავიტანეთ ამ ასი წლის განმავლობაში, მაგრამ არც ერთი ქართული პოლიტიკური პარტია არ მოითხოვდა რუსეთისაგან ჩამოშორებას, ვინაიდან ეს იქნებოდა აღმოსავლეთის წინაშე წამოჩოქება. ეს კი არავის სურდა. ახლა, როცა რუსეთის ძველი წყობილება დაიმსხვრა, ერებს ეძლევათ საშუალება თვით გამოსჭედონ თავისი წყობილება და მომავალი. და ახლაც ჩვენ წინ დაგვიდგა იგივე დილემა, რომელიც ამ ასი წლის უკან ჩვენი წინაპრების წინ იდგა — ან ისევ დასავლეთი და მაშასადამე, რუსეთი, ან აღმოსავლეთი. ამნაირად, ჩვენი თვითგამორკვევა დღესაც ისეთია, როგორც იყო ამ ასი წლის წინეთ. ამ მხრივ ჩვენ შორს ვერ წავედიით ჩვენს წინაპრებთან შედარებით"-ო.

ასეთი იყო ნოე ჟორდანიას დასაბუთება საქართველოს საკითხის შესახებ. მისი პროგრამა საქართველოს მომავალზე კი შემდეგი იყო — ყველა ქართული პოლიტიკური პარტია შეთანხმდა მოეთხოვა სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრებაზე საქართველოს ფართო თვითმართველობა. ანუ მისი სიტყვით:

„უნდა მოვითხოვოთ საქართველოს მიენიჭოს სრული თვითმართველობა, უნდა ჰქონდეს უფლება საკუთარ საჭიროებაზე გამოსცეს კანონები, უნდა ყავდეს თავისი ნაციონალური ადმინისტრაცია, ჯარი, სასამართლო, სკოლა, ერთი სიტყვით, უნდა მოხდეს ყველა დაწესებულებათა ნაციონალიზაცია"-ო..

ამნაირად, საქართველოს თვითგამორკვევა, როგორც ეს ეროვნულმა ყრილობამ გამოამჟღავნა, ფართო და სრულ პოლიტიკურ ავტონომიას არ სცილდებოდა და ამით, ყოველ შემთხვევაში, საბოლოოდ გადაწყდა ის დავა საქართველოს პოლიტიკური სახეობის შესახებ, რომელსაც შეეწირა მრავალი მელანი და ძალა ათეულ წელთა მანძილზე... — ყველა პოლიტიკური პარტია, ბოლოს, შედგა საქართველოს ფართო ავტონომიის საფუძველზე და ქართველი ერის თვითგამორკვევა ამგვარად და ჯერჯერობით, გამოისახა რუსეთის ფარგლებში პოლიტიკური ავტონომიის ალიარებითა და მოთხოვნით. ამიტომ იყო, რომ მთელი ეროვნული ყრილობა ნოე ჟორდანიას აღტაცებით შეეგება.

თბილისში, ეროვნული ყრილობის დროს, (ნოემბერი და დეკემბერი 1917 წ) დიდი და ცხარე სჯა-ბაასი იყო საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ. პარტიული თუ არა-პარტიული ხალხი, ბევრი მათგანი, ფიქრობდა, რომ საკითხი უკვე მომწიფებული იყო, ოღონდ ყველას აშინებდა ერთი მოვლენა — **კავკასიის ფრონტზე იდგა რამოდენიმე ასიათასი რუსი ჯარისკაცი, უკვე დისციპლინა-დაკარგული და რუს ბოლშევიკების ყურის-მგდებელი.** ბოლშევიკები მათ შორის უკვე გახურებულ ქადაგებას ეწეოდნენ ამიერკავკასიის კომისარიატის შესახებ და მის წინააღმდეგ. ისინი ჯარს ჩასჩიჩინებდნენ — კავკასია რუსეთს ჩამოშორდა, კავკასიელები წინააღმდეგი არიან ზავისა და მიწის მიცემისა; ისინი ბურჟუების მომხრე არიან და თავადაზნაურობა იქ ბატონობსო. ბოლშევიკები უკვე გახრწნილ ჯარისკაცებს მოუწოდებდნენ, მიეტოვებინათ ფრონტი და თბილისზე გაელაშქრათ, — იქ საბჭოთა ანუ ბოლშევიკური ხელისუფლების დასამყარებლად. ასეთი ცდაც მართლა იყო, — რუსული ჯარის ერთი დიდი ნაწილი თბილისს მიადგა, მაგრამ ეს საფრთხე მან აიცილა.

არსებითად კავკასიის ფრონტზე მყოფ რუსულ ჯარებს მხოლოდ ერთი ინტერესი ამოძრავებდათ — ფრონტიდან მოხსნა და შინ წასვლა... მიწის მისაღებად, როგორც მათ ბოლშევიკები პირდებოდნენ...

საქართველოს ეროვნულმა ყრილობამ მიიღო მრავალი გადაწყვეტილება სხვა და სხვა საჭირბოროტო საკითხზე; მან ჩაიბარა საქართველოს თავადაზნაურობისაგან მიძღვნილი ქონება და აირჩია **„ეროვნული საბჭო"**, სამოცი წევრისაგან შემდგარი. ხოლო ამ უკანასკნელმა აირჩია „აღმასრულებელი კომიტეტი", 15 წევრით, რომლის თავჯდომარე იყო ნოე ჟორდანია.

აღმასრულებელ კომიტეტში შედიოდნენ: 8 სოციალ-დემოკრატი, 2 სოციალისტ-ფედერალისტი, 2 სოციალისტ რევოლუციონერი, 2 ნაციონალ-დემოკრატი და 1 წარმომადგენელი სამაჰმადიანო საქართველოსი.

ამნაირად, შედგა საქართველოს ეროვნული დაწესებულება, რომელსაც ჯერ ხელისუფლება არ გააჩნდა, მაგრამ ისტორიის მიერ კი მოწოდებული იყო მომავალი საქართველოს დამაარსებელი და შემქმნელი ყოფილიყო.

საერთო არეულობის ხანაში, როდესაც რუსული ჯარები კავკასიის ფრონტს სტოვებდნენ და შიგნით უწესოებაც ხდებოდა, ფრონტის დასაცავად თურქეთის წინააღმდეგ საჭირო იყო სამხედრო ძალა... ეროვნულმა საბჭომ მიმართა ქართულ მხედრობას შედგენილ ყოფილიყო ქართული ჯარი. რათა მაშინდელი მდგომარეობა დავახასიათოთ, მოვიტანოთ ამ მოწოდებიდან ერთი ნაწილი:

„სახელმწიფოს მთლიანობა დაირღვა, ეკონომიური ცხოვრება მოიშალა, რუსეთი გახვეულია სამოქალაქო ომისა და ანარქიის ცეცხლში... დადგა დრო, ყოველმა თქვენთაგან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მა უნდა დაიცვას ჩვენი პატარა ქვეყანა გარეშე შემოსევისაგან და შინაური არეულობისაგან!-ო.

ომი გრძელდებოდა. რუსების ჯარები დაიშალნენ და რუსეთს გასწიეს. თურქეთის ანუ ოსმალეთის ჯარები მათ ფეხდა ფეხ მისდევდნენ და უბრძოლველად იკავებდნენ ბრძოლით დაკარგულ თავიანთ ტერიტორიებს და ამასთან უახლოვდებოდნენ სომხეთ — საქართველოს მიწა-წყალსაც. დღეს არა, ხვალ თურქთა ჯარები ამიერკავკასიაშიც შემოიჭრებოდნენ. ვინ უნდა ყოფილიყო ამ საკითხის მოგვარებელი? არსებობდა ხომ ამიერკავკასიის კომისარიატი?, რომელიც არსებითად ადგილობრივ მთავრობას წარმოადგენდა?

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, 15 ნოემბერს 1917 წ. დაარსებულ იქმნა ამიერკავკასიის კომისარიატი. მისი მოვალეობა იყო: 1. წარმართვა ადგილობრივი საოლქო პოლიტიკისა , რასაკვირველია, რუსეთის დემოკრატიასთან კავშირით, რომელიც არ არსებობდა და რომლის შექმნასაც ეტრფოდნენ; 2. ავტონომიური გადაწყვეტილება მხოლოდ ადგილობრივი საკითხებისა; 3. მიყვანა ამიერკავკასიისა მხოლოდ იმ წუთამდე, როცა შეიქმნებოდა ყველასათვის ცნობილი რუსეთის მთავრობა ან მოიწვეოდა სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრება.

მაგრამ ყველას მიერ ცნობილი მთავრობა რუსეთში არ შექმნილა და დამფუძნებელი კრება კი ბოლშევიკურმა მთავრობამ გარეკა 4 (17) იანვარს 1918 წ.

ამავე დროს კავკასიის არმიის სარდალმა, გენერალ-ლეიტენანტმა ოდიშელიძემ წინადადება მიიღო თურქთა სარდალ ფერიკ - ვეხიბ-ფაშასაგან ზავზე მოლაპარაკების შესახებ. იგი „დამოუკიდებელი კავკასიის მთავრობას“ ომის შეწყვეტასა და მშვიდობის დამყარებას თხოვდა.

ეს მოხდა 1 (14) იანვარს 1918 წ.. ზავისა და მშვიდობის წინააღმდეგი ვინ უნდა ყოფილიყო?!, როდესაც კავკასიის ფრონტი მებრძოლი ძალებისაგან იცლებოდა! მაგრამ საკითხი ის იყო, რომ „კავკასიის (ამიერკავკასიის) დამოუკიდებელი მთავრობა“ არ არსებობდა, არამედ არსებობდა მხოლოდ „ამიერკავკასიის კომისარიატი“, რომელიც ამ ქვეყანას რუსეთის ნაწილად სთვლიდა. ამიტომ ამიერკავკასიის კომისარიატის პასუხი ზავის წინადადებაზე შესაფერი იყო — ზავზე მოლაპარაკებას შევუდგებით, როგორც კი სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრება სათანადო უფლებას მოგვცემსო! ეს პასუხი გაეგზავნა თურქეთის სარდალს 4 (17) იანვარს და იმავე დღეს ეს სანუკვარი დამფუძნებელი კრება ბოლშევიკების მიერ გარეკილ იქმნა. ამავე დროს კი თურქეთის ჯარები მოიწევდნენ კავკასიისაკენ.

თურქეთის სარდალი ვეხიბ-ფაშა ამიერკავკასიის კომისარიატს ატყობინებს, რომ ბრესტ-ლიტოვსკში შედგა საზავო კონფერენცია რუსეთსა და ცენტრალ სახელმწიფოთა შორის (გერმანია, თურქეთი, ბულგარეთი, ავსტრო-უნგრეთი) და თქვენი წარმომადგენელი გამოგზავნეთო. თებერვლის ექვსს ამიერ კავკასიის კომისარიატი ვეხიბ - ფაშას უპასუხებდა — „ამიერკავკასიის სეიმი“ გამოიმუშავებს ზავის პირობებს და გაცნობებთო. საიდან გაჩნდა ეს „ამიერკავკასიის სეიმი“?

მას შემდეგ, რაც ბოლშევიკებმა „სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრება“ გარეკეს და ამგვარად მთლიანი რუსეთის ხელისუფლების შექმნის ცდა უნაყოფოდ ჩატარდა, ამიერკავკასია, შექმნილი პირობების გამო, იძულებული გახდა დამოუკიდებელად ეწარმოებინა თავისი საქმეები. ამიტომ რევოლუციური ორგანიზაციების ცენტრმა გადასწყვიტა 12 იანვარს 1918 წელს: —

„დამფუძნებელი კრების გარეკამ ამიერკავკასია კვლავ თავისი საკუთარი ძალების ამარად მიატოვა... მხარის სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვენ მახლობელ დღეებში მოწვეულ იქმნას კრება დეპუტატთა, რომელნიც არჩეულ იქმნენ დამფუძნებელ კრებაში ამიერკავკასიიდან და კავკასიის ფრონტიდან“-ო.

1918 წლის 22 იანვარს ამ დეპუტატების კრებამ თავის მხრივ დაადგინა: — „ამიერკავკასიიდან დამფუძნებელი კრებისათვის არჩეულ დეპუტატთა სხდომამ განიხილა რა შექმნილი მდგომარეობა, საჭიროდ აღიარა, დროებით, სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების ისევ შეკრებამდე, მოწვეულ იქმნას ამიერკავკასიის სეიმი საკანონმდებელო ფუნქციებით, ადგილობრივი ცხოვრების ყველა საკითხში. სეიმის მოწვევისათვის საჭიროდ მიაჩნიათ სამჯერ შემცირებულ იქმნას საარჩევნო მეტრი, ცალკე პარტიების მიერ მიღებული. სეიმის მოწვევის ვადად დაინიშნოს ათი თებერვალი“.

ამგვარად წარმოიშვა „ამიერკავკასიის სეიმი“. სეიმის წევრთა რიცხვი უდრიდა 115-ს. აქედან 32 დეპუტატი იყო სოციალდემოკრატიული პარტიისა; 30 აზერბაიჯანული, მუსავატის პარტიისა და მის თანამგრძნობ დეპუტატთა; 27 სომხური, დაშნაკცუტუნის პარტიისა; 5 სოციალისტ-რევოლუციური პარტიისა; 1 სოციალისტ-ფედერალისტური პარტიისა და 1 ნაციონალდემოკრატი.

ამიერკავკასიის კომისარიატი ევგენი გეგეჭკორის თავმჯდომარეობით 1918 წლის 10 თებერვალს შეკრებილ სეიმს წარუდგა. სეიმის თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე. ყველა პარტიამ სეიმში თავისი განცხადება გააკეთა. ნოე ჟორდანიამ სოციალდემოკრატიული პარტიის სახელით განაცხადა: — ზავისა და მიწის გარდა, ეროვნული საკითხიც არისო მთავარიო. ყველა ამათში — ბრძანა მან — უმნიშვნელოვანესი არისო ეროვნული საკითხი; —

„ამ საკითხს აქვს ორი ფორმა: ჩვენი დამოკიდებულება ცენტრთან და დამოკიდებულება ერთა შორის. პირველი ფორმა დღეს მოხსნილია, რადგან არ ვიცით, როგორი იქნება ჩვენი დამოკიდებულება რუსეთთან ერთი თვის შემდეგ, როგორი წყობილება დამყარდება იქ, ან გვექნება მასთან რაიმე კავშირი თუ არა. ამიერკავკასიაში მრავალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერი ცხოვრობს. როგორ უნდა განხორციელდეს ერთი ერის თვითმართველობა ისე, რომ ამით ხელი არ შეეშალოს მეორეს? ერთად ერთი საფუძველი, რომელზედაც შენობა უნდა აეგოს, არის ეროვნებათა თანასწორუფლებიანობა"-ო...

ამნაირად, ამიერკავკასიის სეიმი შეუდგა მუშაობას ისე, რომ მას თავისი საგარეო სახე გამორკვეული არ დაურჩა.

ამიერკავკასიის მთავრობის შედგენა ისევ ევგენი გეგეჭკორს მიანდვეს და ქართველების მხრიდან ამ მთავრობაში შედიოდნენ — მთავრობის თავმჯდომარე და სამხედრო მინისტრი — ევგენი გეგეჭკორი; შინაგან საქმეთა მინისტრი — ნოე რამიშვილი; საგარეო საქმეთა მინისტრი — აკაკი ჩხენკელი; მიწათმოქმედების მინისტრი — ნოე ხომერიკი; საზღვაო მინისტრი — ვლადიმერ გობეჩია. დანარჩენი სამინისტროები განაწილებულ იქმნენ სომხებსა და აზერბაიჯანელთა შორის.

1918 წლის 16 თებერვალს სეიმმა განიხილა თურქეთთან ზავისა და მშვიდობის დამყარების საკითხი და აირჩია საზავო დელეგაცია აკაკი ჩხენკელის თავმჯდომარეობით. საზავო პირობა იყო: — 1914 წლის საზღვარის დადება და თურქეთის სომხეთისათვის ავტონომიის მოთხოვნა.

როცა ეს ამბები თბილისში ხდებოდა, ამავ დროს ბოლშევიკური ხელისუფლება (ლენინის მთავრობა) ცენტრალ სახელმწიფოებთან ზავზე მოლაპარაკებას წეოდა, რაც ე. წ. ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით დასრულდა 2 მარტს 1918 წ. ბოლშევიკებმა, რასაკვირველია, ამიერკავკასიის დაუკითხავად, თურქეთს დაუთმეს ყარს — არდაგან — ბათუმის მხარენი.

ამ ამბის თბილისში მიღების შემდეგ შედგა ამიერკავკასიის სეიმის სხდომა, სადაც ეს თავზარდამცემი ცნობა წაკითხულ იქმნა; ცხადია, ამიერკავკასიის მთავრობამ ამ ბრესტლიტოვსკის ზავის გამო პროტესტი განაცხადა. სეიმის თავმჯდომარე კარლო ჩხეიძეც პროტესტს აცხადებს. მაგრამ მაინც ამ საჭირბოროტო საკითხის გამოსარკვევად ამიერკავკასიის საზავო დელეგაცია აკაკი ჩხენკელის თავმჯდომარეობით გაემგზავრა ტრაპიზონს თურქეთის საზავო დელეგაციასთან მოსალაპარაკებლად.

თურქეთმა, რასაკვირველია, მოითხოვა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების განაღდება, ესე იგი: მოსკოვის ლენინური მთავრობის მიერ დათმობილი ყარს—არდაგან — ბათუმის დაცლა და თურქეთისათვის გადაცემა. ამიერკავკასიის დელეგაციამ ამაზე უარი განაცხადა და რადგან არავითარი შეთანხმება შესაძლებელი არ იყო, ამიტომ 1 აპრილს ამიერკავკასიის კომისარიატმა თავისი საზავო დელეგაცია უკან გამოიწვია.

თურქები ამ დროს ამიერკავკასიის ფარგლებში უკვე შემოჭრილი იყვნენ; მათ ერთი საათითაც არ შეუჩერებიათ წინსვლა ამ საზავო მოლაპარაკების დროს! ასე რომ იმ დღეს, როცა ამიერკავკასიის დელეგაციამ ტრაპეზუნტს საზავო კონფერენცია მიატოვა, 1 აპრილს, ბათუმი თურქებმა დაიკავეს. ამრიგად დაიწყო ომი ამიერკავკასიასა და თურქეთს შორის.

ამიერკავკასიის სეიმმა მოწოდებით მიმართა ამიერკავკასიის ერებს:

„დაჭკრა საათმა, როცა სწყდება ჩვენი სამშობლოს ბედი. თქვენ იცით, რა მოთხოვნილება წამოგვიყენა ოსმალეთმა. ჩვენგან ითხოვდნენ გვეცნო ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება, რომლითაც მოითხოვდნენ ჩვენგან საუკეთესო ნავთსაყუდელს — ბათუმს. ჩვენგან მოითხოვენ სამი ოლქის დაცლას-განთავისუფლებას. ჩვენ ყოველი ღონე ვიხმარეთ თურქეთთან მშვიდობიანი მოლაპარაკებით მოგვეგვარებია საქმე, მაგრამ ოსმალეთი მაინც თავისას ადგა. სამშობლოსა და მომავალ თაობათა წინაშე, ჩვენი დიდი პასუხისმგებლობის შეგნებით, ჩვენ შეურყევლად ვარჩიეთ სამარცხვინო ზავს ხელი არ მოვაწეროთ. ამიერიდან კითხვას სჭრის იარაღი. ყველამ იარაღს ხელი! ყველანი გაეშურეთ ფრონტისაკენ! გამოდით ყველა სამშობლოს და თავისუფლების დასაცავად!"..

რეგულიარული ჯარი არ არსებობდა; დასავლეთის ფრონტიდან, ბრძოლით დაღლილი და თავმოძულებული ქარიველი ჯარისკაცები, ნაწილ - ნაწილ ბრუნდებოდნენ უკან; საქართველოში შედგენილი მკირე ქართული ერთეულები, მოხალისენი, პატარა გვარდია და პარტიზანული რაზმები, თუ მილიცია თურქეთის რეგულიარულ ჯარს წესიერ წინააღმდეგობას ვერ გაუწევდნენ, თუმცა იყო ბრძოლის აღმაფრენა და თავდადება. თურქეთის წინააღმდეგ იბრძოდნენ მხოლოდ სომხური და ქართული ნაწილები. აზერბაიჯანელები არ აპირებდნენ ბრძოლას ერთმორწმუნე თურქების წინააღმდეგ და ამიერკავკასიის მთავრობას აწვებოდნენ, მას ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება მიეღო!

1918 წლის 7 აპრილს თურქთა ჯარები უკვე ოზურგეთში იყვნენ! მხოლოდ მეორე დღეს, გმირული თავგანწირვით, ვალოდია გოგუაძის ჯავშნიანი მატარებელის დახმარებით, ქართულმა რაზმებმა შეაჩერეს მათი სვლა ჩოლოქთან. ამავე დროს თურქთა აგენტებმა ახალციხის მაზრაში გამოიწვიეს აჯანყება იქ მცხოვრებ თათართა შორის და აჯანყებულებმა 19 ქართული სოფელი დაარბიეს და აწიოკეს. მათ აიღეს აბასთუმანი, აწყური, ზეკარი; ახალციხეს ალყა შემოარტყეს; ამიერკავკასიის მთავრობის ეგრეთ-წოდებული „მაჰმადიანური პოლკი"ც ქართული მხედრობის წინააღმდეგ იბრძოდა! ამავე დროს, ბოლშევიკები თავისი აგენტების საშუალებით არევდარევასა და უწესოებას ახდენდნენ საქართველოს სხვა და სხვა მხარეში და ხალხს მოუწოდებდნენ თურქეთის წინააღმდეგ არ ებრძოლათ. და რა საბუთით? სულელური საბუთით: სულ ერთია ევროპაში და თურქეთშიც ბოლშევიზმი დამყარდება და საზღვრებს აღარავითარი მნიშვნელობა აღარ ექ-

ნებაო! ასე ქადაგებდა ბუდუ მდივანი ჭუთაისის ერთ დიდ სამობილიზაციო კრებაზე!

თუ ამ სუსტად დახატულ სურათს შევავსებთ იმ მოვლენით, რომ თვით ამიერკავკასიის მთავრობაში აზერბაიჯანელთა წარმომადგენლები თურქეთთან ომზე უარს აცხადებდნენ და მის გამარჯვებას ხელსაც უწყობდნენ, — მაშინ ნათელი გახდება ის მართლა უნუგეშო მდგომარეობა, რომლის მიხედვით ომის გაგრძელება სრულებით შეუძლებელი იყო, ვინაიდან დამხმარე ძალა არსაიდან ჩანდა და იარაღიც არ მოიპოვებოდა. ერთად-ერთი გამოსავალი იყო — ისევ საზავო მოლაპარაკების განახლება. მაგრამ ამიერკავკასიას არ შეეძლო ზავზე ლაპარაკი, სანამ იგი ფორმალურად რუსეთის ნაწილად ითვლებოდა! ამიტომ საჭირო შეიქმნა რუსეთისაგან ჩამოშორება, გამოყოფა და დამოუკიდებლობის გამოცხადება.

22 აპრილს 1918 წ. ამიერკავკასიის სეიმმა შემდეგი გადაწყვეტილება მიიღო: —

„აღიარებულ იქმნას ამიერკავკასიის დამოუკიდებელი ფედერატიული, დემოკრატიული რესპუბლიკა და ეს ეცნობოს სხვა სახელმწიფოებს“-ო.

შედგა ახალი მთავრობა, აკაკი ჩხენკელის თავმჯდომარეობით. ამ ახალ, ამ ჟამად დამოუკიდებელ მთავრობაში შემდეგი ქართველები შედიოდნენ — აკაკი ჩხენკელი — ამიერკავკასიის მთავრობის თავმჯდომარე და საგარეო მინისტრი; ნოე რამიშვილი — შინაგან საქმეთა მინისტრი; ნოე ხომერიკი — მიწათმოქმედების მინისტრი; გრიგოლ გიორგაძე — სამხედრო მინისტრი. დანარჩენი სამინისტრონი განაწილებულ იქმნენ სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის.

მთავრობის თავმჯდომარე აკაკი ჩხენკელმა თურქეთის ჯართა მთავარსარდალს აცნობა, რომ ამიერკავკასიამ სახელმწიფო დამოუკიდებლობა გამოაცხადაო და თხოვა მას სამხედრო მოქმედებანი შეეჩერებინა. იმ დღესვე, 10 (23) აპრილს შეწყდა ომი. ხოლო 15 აპრილს აკაკი ჩხენკელმა მიიღო პასუხი, რომ თურქეთის მთავრობამ აღიარა და სცნო ამიერკავკასიის სახელმწიფოს დამოუკიდებლობა და ეს შეატყობინა აგრეთვე თავის მოკავშირეებსაც (გერმანიას, ავტრო-უნგრეთს, ბულგარეთს).

თურქებისა და ამიერკავკასიის საზავო კონფერენცია ახლა ბათუმში ხდებოდა, რომელიც თურქებს უკვე დაკავებული ჰქონდათ. 11 მაისს 1918 წ. შედგა ბათუმის საზავო კონფერენციის პირველი სხდომა. რა გამოირკვა?

თურქეთის დელეგაცია აღარ დაკმაყოფილდა ყარს — არდაგან — ბათუმის წაღებით და მოითხოვა დამატებით: ახალქალაქ—ახალციხის—ალექსანდროპოლის — ეჩმიაძინის — სუმარლის მაზრებიც. თურქთა დელეგაციის თავმჯდომარე, იუსტიციის მინისტრი ხალილ-ბეი ამ მოთხოვნას ასე ასაბუთებდა: — ამიერკავკასიას ომი ჰქონდა თურქეთთან და ამის შედეგად დაკავებულ იქმნა ახალი მიწა-წყალი; ამიტომ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება უკვე დამაკმაყოფილებელი არ არისო! და 14 მაისს იგი ულტიმატუმს არდგენდა, რომლის მიხედვით ამიერკავკასიის მთავრობას თურქეთისითვის უნდა მიეცა რკინისგზაც თურქ ჯართა სპარსეთისაკენ გადასაყვანად. აკაკი ჩხენკელმა პროტესტი განაცხადა. საპასუხოდ თურქებმა ალექსანდროპოლი დაიკავეს. 15 მაისს 1918 წ. ხალილ-ბეი კვლავ იმეორებს, რომ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება აღარ შეიძლება იყოს ზავის საფუძველად და ისევ ითხოვს: ახალციხე-ალექსანდროპოლს-სუმარლინს. 16 მაისს აკაკი ჩხენკელი უპასუხებს: — ჩვენ ვღებულობთ ბრესტ-ლიტოვსკის ზავს და ვერავითარ ახალ ადგილებს ვერ დაგითმობთო; ამავე დროს ამიერკავკასიის საზავო დელეგაციის თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა მინისტრმა აკაკი ჩხენკელმა გადასცა თავისი პროტესტი თურქეთის მთავრობის მოთხოვნილებათა გამო თურქეთის მოკავშირე სახელმწიფოებს და მათ შორის გერმანიას.

ამ დროს ბათუმში იმყოფებოდა გერმანიის დელეგაცია გენერალ ფონ ლოსსოვის ხელმძღვანელობით. იმავე 1918 წლის 16 მაისს გენერალ ფონ ლოსსოვი ატყობინებს აკაკი ჩხენკელს, რომ გადავეცით ამიერკავკასიის დელეგაციის პროტესტი გარმანიის ყველა მოკავშირეს. 17 მაისს აკაკი ჩხენკელი პროტესტს აცხადებს იმის გამოც, რომ თურქებმა ალექსანდროპოლი დაიკავესო.

15 მაისს 1918 წ. ბოლშევიკურმა რუსეთმა გამოაცხადა: რომ იგი ამიერკავკასიის დამოუკიდებლობას არ სცნობს და საზავო მოლაპარაკებაში თურქეთთან მონაწილეობის მიღებას მოითხოვს.

18 მაისს თურქეთის წარმომადგენელი ხალილ-ბეი აცხადებს, რომ თურქეთს უფლება აქვს, მას შემდეგ რაც ტრაპიზონის მოლაპარაკება შესწყდა და ომი მოხდა, ახალი ტერიტორიები მოთხოვოს ამიერკავკასიასო.

ასეთ გართულებულ მდგომარეობაში ჩაერია გერმანიის დელეგაციის თავმჯდომარე, ფონ ლოსოვი და იკისრა შუამდგომლობა მოდავე მხარეთა შორის.

26 მაისს უკვე თურქთა ჯარები გაეშურნენ კარაკლისზე, თბილისის დასაკავებლად.

22 მაისს ხალილ-ბეი ისევ დაჟინებით ახალი საზღვრების დაწესებას მოითხოვს.

23 მაისს თურქთა ჯარებმა დაიკავეს იგდირი, შაბარანი.

ამიერკავკასიის დელეგაციის თავმჯდომარე ატყობინებს თურქეთის დელეგაციის თავმჯდომარეს, ხალილ ბეის: — ამგვარი მოქმედება ეწინააღმდეგება თურქეთის დაპირებებს და კეთილგანწყობილებას არღვევსო.

24 მაისს თურქეთის დელეგაციამ უარჰყო ფონ ლოსსოვის წინადადება გერმანიის დელეგაციის შუაკაცობის შესახებ.

25 მაისს 1918 წ. აკაკი ჩხენკელი თბილისში საქართველოს ეროვნულ საბჭოს დეპეშით აცნობებს: „საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების კიდევ დაგვიანებას ექნება საბედისწერო შედეგები. გერმანელთა შუაკა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცობის ცდამ ამაოდ ჩაიარა. ოსმალეთის შემოსევას უნდა დავუპირისპიროთ გერმანიის მიერ ზურგგამაგრებული დამოუკიდებელი საქართველო. გერმანიის წარმომადგენლად ქართულ მთავრობასთან დანიშნულ იქნება გრაფი ფონ შულენბურგი; საქართველოს დამოუკიდებლობა ცნობილი იქნება დაუყონებლივ; დროებითი ხელშეკრულებანი გერმანიასთან უკვე მზადდებიან. ველი დაუყონებლივ ცნობას დამოუკიდებლობის აქტის შესახებ"-ო.

26 მაისს 1918 წ. თურქეთი ულტიმატუმს არდგენს — 72 საათის განმავლობაში ამიერკავკასიამ დაუყონებლივ მიიღოს თურქეთის დელეგაციის მოთხოვნილება ახალციხე - ახალქალაქ - ალექსანდროპოლ - ეჩმიაძინ - სუმა რლინის მაზრების თურქეთზე გადაცემის შესახებ და გაატაროს თურქთა ჯარი ამიერკავკასიის რკინისგზებზეო.

ვინაიდან ამიერკავკასიის საზავო დელეგაციაში, სადაც სომხებიცა და აზერბაიჯანელებიც შედიოდნენ, ერთსულოვნება არ არსებობდა საზავო საკითხის გამო და კიდევ მეტიც — აზრებაიჯანელები თურქებს მხარს უჭერდნენ, ამიტომ საზავო მოლაპარაკების გაგრძელება აღარ იყო შესაძლებელი, არამედ ფაქტიურად დარღვეული იყო ამიერკავკასიის რესპუბლიკის მთლიანობა და ეს ახლად ნაშობი სახელმწიფო სულსა ღაფავდა. ეს მდგომარეობა ყველას კარგად ესმოდა.

26 მაისს მოწვეულ იქმნა ამიერკავკასიის სეიმის სხდომა,რომელზეც სოციალდემოკრატიული ფრაქციის წარმომადგენელმა, ირაკლი (კაკი) წერეთელმა განაცხადა: —

„ჩვენ მუდამ ვიბრძოდით ერთა სოლიდარობა-თანხმობისათვის; ერთობა იყო იდეალი, მაგრამ შეიქმნა ისეთი ვდგომარეობა, რომ ჩვენი სურვილის წინააღმდეგ უნდა განვაცხადოთ, რომ როცა დიდი ხნით სწყდება სხვა და სხვა ერთა ბედი, როცა მტერი უკვე შემოიჭრა ჩვენს მხარეში და წინ მოიწევს, ერთობა, სოლიდარობა აღარ არის. (ქართველი ხალხი) დარჩა მარტო; მას მოსწყვიტეს სომხის ხალხი (თითქმის მთელი სომხეთი თურქეთმა დაიკავა); მისგან ამ წუთში წავიდა მუსულმანური მოსახლეობა; და ის გარემოება, რომ არსებობს ფიქტიურად ამიერკავკასიის რესპუბლიკა, რომ არსებობს ფიქტიურად ამ.კავკასიის დელეგაცია, ამ (ქართველ ერს) ართმევს შესაძლებლობას თუნდაც იმ ძალებით, რომელიც მას გააჩნია, შეჰქმნას სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, რომელსაც შეეძლება თავისი ინტერესების დაცვა. იცოდე (ქართველო ხალხო!), თუ ვსურს დაიცვა შენი ინტერესები, გადაირჩინო თავი, შენ უნდა შეჰქმნა შენი სახელმწიფო ორგანიზმი და შენი ოფიციალური წარმომადგენლობა"...

25 მაისს 1918 წ. ამიერკავკასიის სეიმმა, ორი ხმის გამოკლებით, ერთხმად მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

— „ვინაიდან ომისა და ზავის საკითხში აღმოჩნდნენ ძირითადი განსხვავებანი იმ ხალხთა შორის, რომელთაც შეჰქმნეს ამიერკავკასიის დამოუკიდებელი რესპებლიკა, და ამიტომ შეუძლებელი გახდა ერთი ავტორიტეტული ხელისუფლების გამოსვლა, რომელსაც შეეძლოს ამიერკავკასიის სახელით ლაპარაკი, — სეიმი ადასტურებს ამიერკავკასიის დაშლას და თავის უფლებამოსილობას თავიდან იხსნის"...

ამნაირად, ტრაგიკულად გარდაიცვალა ამიერკავკასიის რესპუბლიკა და იშვა საქართველოს რესპუბლიკა.

26 მაისს 1918 წ. მოწვეულ იქმნა აქამდე მივიწყებული საქართველოს ეროვნული საბჭო, ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით, რომელმაც თავის სიტყვაში სხვათა შოის ბრძანა:

— „დღეს თქვენ აქ მოწმე იყავით ერთი ისტორიულის და იმავე დროს ტრაგიკული აქტისა. ამ დარბაზში მოკვდა ერთი სახელმწიფო და აი, ეხლა, ამავე დარბაზში, ეყრება საფუძველი მეორე სახელმწიფოს. ამ ორ სახელმწიფოთა შორის, რომელთაგან ერთი მოკვდა და მეორე იბადება, შეუძლებელია ყოფილიყო ინტერესთა წინააღმდეგობა. და თუ ოდესმე პირველი აღსდგება მკვდრეთით, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, მათ შორის მუდამ იქნება ინტერესთა თანხმობა"-ო.

26 მაისს 1918 წლისა 5 საათზე და 10 წუთზე ნოე ჟორდანია კითხულობს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების აქტს, რომელიც ეროვნული საბჭოს მიერ ეთხმად იქმნა მიღებული.

ეროვნული საბჭოს იმავე სხდომაზე არჩეულ იქმნა საქართველოს ეროვნული მთავრობა შემდეგი შემადგენლობით: — მთავრობის თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი — ნოე რამიშვილი; საგარეო საქმეთა — აკაკი ჩხენკელი; სამხედრო— გრიგოლ გიორგაძე; ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობისა — გიორგი ჟურული; განათლების — გიორგი ლასხიშვილი; მიწათმოქმედების — ნოე ხომერიკი; იუსტიციის: შალვა მესხიშვილი; გზათა მინისტრი — ივანე ლორთქიფანიძე.

საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე ნოე რამიმიშვილმა აუწყა უცხოეთს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და რესპუბლიკის დაარსების შესახებ.

რევოლუციისა და ომის ქარცეცხლში საშინელი ტკივილებით იშვა **დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა.**

1917 წ. ნოემბერში წარმოშობილი ეროვნული საბჭო გადაკეთდა „საქართველოს პარლამენტად".

საქართველოს დამფუძნებელი კრებისათვის არჩევნები მოხდა თებერვალში 1919 წ. და იმავე წელს, 12 მარტს მოეწყო მისი პირველი სხდომა.

21 მარტს 1919 წლ. დამფუძნებელმა კრებამ მთავრობის თავმჯდომარედ ამოირჩია ნოე ჟორდანია, რომელიც ამავე დროს იყო „უმაღლესი წარმომადგენელი საქართველოს რესპუბლიკისა" (პრეზიდენტი). ამ დამფუძნებელმა კრებამ შეადგინა და დაადასტურა 21 მარტს 1921 წლისა, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამოდენიმე თვის განმავლობაში ისტორიული მოვლენანი ელვისებური სისწრაფით ვითარდებოდნენ და სრულიად მოულოდნელ მდგომარეობასა ჰქმნიდნენ. საკითხები, რომელთა შესახებ მოაზროვნე და თუგინდ მეოცნებე ადამიანს უწინ სიზმრადაც არ მოეჩვენებოდა, ცხოვრების სინამდვილეში მთელი თავისი სიმწვავითა და სისასტიკით იჭრებოდნენ და გადაწყვეტას მოითხოვდნენ.

რუსეთში მომხდარმა ბოლშევიკურმა გადატრიალებამ და აღმოხეთქილმა სამოქალაქო ომმა ამიერკავკასია მას ფაქტიურად მოსწყვიტა. დაინგრა არამც თუ მარტო უზარმაზარი სახელმწიფო, რუსეთის იმპერია, და მისი პოლიტიკური ორგანიზაცია, დაირღვა და დაწყდა ის ეკონომიური და ფინანსიური რგოლები, რომელიც ამ ვეებერთელა ქვეყანას აერთიანებდა. შედეგი იყო არა მარტო პოლიტიკური, არამედ ეკონომიური, ფინანსიური, და კერძოდ სასურსათო კრიზისიც. მძლავრებითა და ძალადობით შექმნილი რუსეთის დიდი იმპერია გასკდა და ეროვნულ ნაწილებად გაირღვა. ერთი ამ ნარღვევთაგანი იყო ამიერკავკასიაც. იგი რუსეთს მალე ფაქტიურად ჩამოშორდა. ეს სინამდვილე დადასტურდა 15 ნოემბერს 1917 წელს, ამიერკავკასიის კომისარიატის შექმნით.

ქართველმა ერმა კვლავ აღიდგინა თავისი სახელმწიფო; საქართველო კვლავ გამოვიდა ისტორიის ფართო ბარაზე თავისი საკუთარი სახით; თავისი პირადი სახელითა და გვარით; თავისი პასპორტით. მრავალი საუკუნის შემდეგ ეს იყო ჭეშმარიტი აღდგომა საქართველოსი.

სიონის ტაძრის ზარებმაც დარეკეს იმ დღეს, როგორც ეს ძველად იცოდნენ. ოდეს მტრისაგან განთავისუფლებულ ქვეყანას თავისუფლებას მიულოცავდნენ ხოლმე.

დამოუკიდებელი საქართველოს პირველი საზრუნავი იყო ზავისა და მშვიდობის დამყარება; ამ მიზნით თურქეთთან საერთო ენა უნდა გამონახულიყო და ამისათვის გერმანიის დახმარება აუცილებელი ხდებოდა; ამიტომ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის პირველი თავმჯდომარე ნოე რამიშვილი და საგარეო საქმეთა მინისტრი აკაკი ჩხენკელი დაუყონებლივ ფოთს გაემგზავრნენ, სადაც იმ დროს გერმანიის დელეგაცია იმყოფებოდა; აქ მათ ხელი მოაწერეს გერმანიასთან შეთანხმებაზე. რომლის ძალით გერმანია საქართველოს რესპუბლიკის საზღვრების დაცვას კისრულობდა; გერმანიას მიეცემოდა საქართველოში ეკონომიური კონცესიები და მონაწილეობას მიიღებდა ქართული ჯარის შექმნაში. გერმანიამ აღუთქვა საქართველოს აგრეთვე სახელმწიფო აღმშენებლობაში დახმარება. ამავე დროს გერმანიამ თავის მოკავშირე თურქეთზე დიპლომატიური დაწოლა მოახდინა, რის შედეგადაც თურქეთმა თავისი ჯარის წინსვლა შეაჩერა. ამასთანავე საქართველოში მყოფ გერმანელ ტყვეებს ჩააცვეს გერმანული ახალი ფორმა და საქართველოს საზღვრებზე დააყენეს. ზოგ მოულოდნელ შეტაკებაში არა ერთი გერმანელი ჯარისკაცი დაიღუპა; თურქეთი შეჩერდა. და 3 ივნისს 1918 წელს გერმანიის რჩევით, საქართველოს მთავრობამ ხელი მოაწერა მეტად არახელსაყრელ ბათუმის საზავო ხელშეკრულებას, რომელიც თურქეთთან ომს ათავებდა

თურქეთ-საქართველოს საზღვარი გადიოდა ძველ. 1828 წლის ხაზზე, აბასთუმანისა და აწყურის გამოკლებით. რომელიც საქართველოს ფარგლებში დარჩა. მაგრამ ეს მძიმე ხელშეკრულება, გერმანიის წარმომადგენელთა აღთქმით, უნდა გადასინჯულიყო და ახალი საზღვრები დაწესებულიყო.

თურქეთთან ომისა და დავის დროს ბოლშევიკები საქართველოში არეულობისა და შფოთის გამოწვევით ხელისუფლების დაპყრობას ელოდნენ, მაგრამ ყოველი მათი ცდა ფუჭედ ჩატარდა; რუსი თეთრგვარდიელებიც ებრძოდნენ საქართველოს, მაგრამ ისინიც მარცხდებოდნენ ხოლმე.

თვით სახელმწიფოს აშენებისა და განმტკიცების საქმეში ხელისუფლების სიმყარეს უეჭველად პირველი ადგილი უნდა მინიჭებოდა, და არც შეიძლებოდა, ის გაორება დარჩენილიყო, რომელიც ამიერკავკასიის მთავრობისათვის დამახასიათებელი იყო. საქართველოს რესპუბლიკის ცხოვრების დასაწყისში ერთი მხრივ არსებობდა საქართველოს მთავრობა და მეორე მხრივ კი მუშათა, გლეხთა და სხვა ამგვარი საბჭოები, რომლებიც ნამდვილ ძალას წარმოადგენდნენ. ორი ხელისუფლების თანა-არსებობა სახელმწიფოში შეუძლებელია, ან ერთი ან მეორე უნდა ბატონობდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელმწიფო მუდამ ტორტმანშია და ხელისუფლების კრიზისი კი მუდმივია. ხელისუფლების საკითხი გადაიჭრა 8 ივნისს 1918 წ. რევოლუციურ ორგანიზაციათა სხდომაზე, ოდეს გამოტანილი იქმნა შემდეგი გადაწყვეტილება: —

„განვიხილეთ რა ოსმალეთთან საზავო ხელშეკრულებით შექმნილი მდგომარეობა, კრება რევოლუციურ ორგანიზაციათა აღიარებს, რომ უპირველესი საჭიროება მომენტისა არის შექმნა ძლიერი მთავრობისა, რომელსაც შეეძლება შეაერთოს მთელი დემოკრატია და წინააღუდგეს ყოველგვარ თავდასხმას, საიდანაც უნდა გამოდიოდეს იგი, გარედან თუ შიგნიდან, რომელსაც მიზნად ექნება ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის დანგრევა და რევოლუციის მონაპოვართა წართმევა. არც რევოლუციურ ორგანიზაციებს, რომელთაც აქვთ რეალური ძალა და ასრულებენ მართველობის ზოგიერთ ფუნქციებს; არც მთავრობას, რომელსაც მინიჭებული აქვს სახელმწიფოს ყველა ფუნქცია, მაგრამ საჭირო ძალა არ მოეპოვება, — არ შეუძლიათ ცალ-ცალკე, დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნა. ამ ორი ელემენტის შეერთება, ე. ი. რევოლუციური ორგანიზაციების შენახვა, როგორც მუშათა კლასის ხელმძღვანელი ორგანიზაციების, ხოლო ყველა შეიარაღებული ძალის დემოკრატიული მთავრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის ხელში გადაცემა, — წარმოადგენს ერთად ერთ საშუალებას ძლიერი მთავრობის შესაქმნელად".

და ვინაიდან ნოე ჟორდანია იყო ამ რევოლუციურ ორგანიზაციათა ხელმძღვანელი და პატრონი, ამიტომაც მთავრობის მეთაურობა სწორეთ მას დაეკისრა. 24 ივნისს 1918 წ. ნოე რამიშვილის მთავრობა გადაგა და ნოე ჟორდანიას მთავრობა შედგა.

ცენტრალ სახელმწიფოთა და მათ მოკავშირეთა დამარცხების გამო — გერმანიისა და თურქეთის გასვლის შედეგად ბათუმში ინგლისური ჯარები მოვიდნენ, რომელთა უფროსი შეეცადა პირველადვე საქართველოს მთავრობისათვის ანგარიში არ გაეწია, მაგრამ შემდეგ იძულებული იყო მასთან საქმიანი მოლაპარაკებანი გაემართა. ინგლისელების მისვლამ კავკასიაში სომხებს ფრთები შეასხა, ვინაიდან სომხური საკითხი უცხოეთში კარგად ცნობილი იყო. სომხებს იმედი მიეცათ, თითქოს მათ მაშველი ძალა გაუჩნდათ და ამ იმედით სომხებმა საქართველოს თავდასხმა მოუწყვეს. სომეხთა პოლიტიკა იყო „დიდი არმენიის" შექმნა, რომელშიც, სხვათა შორის, უნდა შესულიყო საქართველოს ტერიტორია: ახალციხისა და ახალქალაქის მაზრა და ბორჩალო. მოისურვეს ბათუმის მიღებაც! ესე იგი, სომხებს სურდათ საქართველოსაგან მიეღოთ მთელი მესხეთი და სომხითი. ბორჩალოს მაზრას ძველად „სომხითი" ერქვა, ვინაიდან იქ, ქართულ მოსახლეობაში გავრცელებული იყო სომხური, ანუ გრეგორიანული სარწმუნოება. ბორჩალოში შედიოდა სამი მაზრა: — თრიალეთი (წალკა), ლორე (ტაშირი) და ხუნანი (მაზრის ჩრდილო ნაწილი). მეჩვიდმეტე საუკუნეში, ხუნანში სპარსელებმა დაასახლეს თათართა მომთაბარე, ანუ მოწოწიალე ხალხი „ბორჩალუ" და აქედან მთელ მხარეს დაერქვა: „ბორჩალო". ბორჩალო ყოველთვის ქართულ სამეფოს ეკუთვნოდა და მის მოწინავე საღროშოს შეადგენდა. აი, ამ ბორჩალოს დაკავებაც მოისურვეს სომხებმა!

ჯერ კიდევ ოქტომბერში (1918 წ.) სომხური ჯარის ნაწილები შეიჭრნენ ბორჩალოში და დაიპყრეს ნათერი და კორინჯი. მერმე მოაწყვეს აჯანყება იქაურ სომხურ სოფლებში, სანაინ — კობერის გასწრივ. 9 დეკემბერს (1918 წ.) თავს დაესხნენ ქართულ ჯარებს და სადარაჯო რაზმებს; ნაწილი ტყვედ იგდეს; ნაწილი ამოხოცეს და მერმე უკვე აშკარად სომხეთის რესპუბლიკის მთავრობამ საქართველოს მთავრობას წარუდგინა ულტიმატუმი ახალქალაქისა და ბორჩალოს დაცლის შესახებ. 18 დეკემბერს საქართველოს მთავრობამ მობილიზაციით უპასუხა. საქართველოს მთავრობამ ჯერ მშვიდობიან მოლაპარაკებას მიმართა და გაგზავნილ იქმნენ სომხეთის მთავრობასთან მოსალაპარაკებლად საქართველოს სომხების სხვა და სხვა პარტიის წარმომადგენლები, მაგრამ ეს ცდა ამაო აღმოჩნდა. 17 დეკემბერს 1918 წ. საქართველოს პარლამენტმა ერთხმად მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება — „მოისმინა რა მთავრობის მოხსენება შესახებ სამხედრო მოქმედებისა საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკების შორის, პარლამენტი აღიარებს: 1. რომ საქართველოს მთავრობას არავითარი საბაბი მტრული განწყობილებისა არ მიუცია სომხეთის მთავრობისთვის; რომ მან მიიღო ყოველივე ზომა ორ მოძმე სახელმწიფოს შორის საქმის მშვიდობიანად გადასაწყვეტად. 2. რომ სომხეთის მთავრობის ჯარი ვერაგულად შემოიჭრა საქართველოს საზღვრებში და მოულოდნელად თავს დაესხა საქართველოს სადარაჯოებს; ამიტომ პარლამენტი იწონებს მთავრობის ყველა მოქმედებას და მისგან მიღებულ სამხედრო ზომებს"...

ამ ხნის განმავლობაში სომხებმა დაიკავეს უკვე ჯავახეთი (ახალქალაქის მხარე) და ბორჩალოში მდინარე ხრამს მოადგნენ. ასეთმა მზაკვრულმა თავდასხმამ მთელ საქართველოში აღშფოთება გამოიწვია... მ'ავალი მოხალისე გავიდა საბრძოლველად... 19 დეკემბერს „სახალხო გვარდიამ" ეკატერინოფელდთან სომხეთის ჯარი დაამარცხა და სომხები ჯავახეთიდან გარეკა. დაიწყო ქართული ჯარის საერთო შეტევა და 29 დეკემბერს ქართველებმა შულავერი აიღეს, მერმე სადახლო და ბოლნისი.

ინგლისის ჯარების წარმომადგენლები, რომლებიც თბილისში იმყოფებოდნენ სომხეთ-საქართველოს დავაში ერევიან. ინგლისელებმა ჯერ მოითხოვეს ქართველებს დაეცალათ ბორჩალო და ახალციხის მაზრა, რომელიც დროებით მათ გამგებლობაში გადავიდოდა, სანამ საზავო კონფერენცია ამის შესახებ დადგენილებას მიიღებდა. ქართულმა მთავრობამ ამაზე უარი განაცხადა, ვინაიდან ეს მხარე მისთვის სადავო არ იყო და დათანხმდა მხოლოდ იმ წინადადებაზე, რომელიც გამომუშავებულ იქმნა იმ კომისიის მიერ, რომელში წევრებად შედიოდნენ ინგლისელების, ფრანგების, ქართველების და სომხების წარმომადგენელნი. შეთანხმების პირობა ასეთი იყო: — ქართველი ჯარი რჩებოდა იმ ხაზზე, სადაც იგი იდგა სამხედრო მოქმედების დაწყების წინ; სომხეთის ჯარი უკან წავიდოდა და ორივე მხარეს შორის დაწესდებოდა ნეიტრალური ზონა, რომელსაც შერეული მართველობა ეყოლებოდა; ახალქალაქის მაზრაში ქართული მართველობა იქნებოდა.

გათავდა სომხეთთან შეტაკება გამარჯვებით და მაშინვე 1919 წლის იანვარში თურქეთის აგენტების მიერ შექმნილი რაზმები ფოცხოვის რაიონში შეიჭრნენ, ხოლო თებერვალში მოაწყვეს აჯანყება ახალციხის მაზრაში და მათმა კარგად შეიარაღებულმა რაზმებმა ქართულ ნაწილებს უკან დაახევინეს. ახალციხისა და ახალქალაქის მაზრაში, ათაბეგთა ჩამომავალმა, სერვერ ბეგმა აჯანყება მოაწყო და თავისი თავმჯდომარეობით ყარსში მთავრობა შეჰქმნა. მაგრამ ქართულმა ჯარებმა გენერალ გიორგი კვინიტაძის სარდლობით მთელი მხარე გასწმინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეს თურქულ-ადგილობრივი ბანდებისაგან და სერვერ - ბეგი, რომელსაც ერთი მხრივ ინგლისელები და მეორე მხრივ თურქები მხარს უჭერდნენ, მალულად თურქეთში გარდაიხვეწა.

ბათუმის ოლქის მმართველობა ისევ ინგლისელებს ეკუთვნოდათ (მუდროსის დროებითი ზავის ძალით), თუმცა მოსახლეობა საქართველოსთან შეერთებას მოითხოვდა. აჭარის მცხოვრებთა წარმომადგენლების ყრილობამ 1919 წ. აგვისტოში, დედა-საქართველოსთან შეერთების მოთხოვნა წარმოადგინა და ოცი კაცისაგან შემდგარი წარმომადგენლობა თბილისს გააგზავნა საქართველს მთავრობისათვის ამ გადაწყვეტილების გადასაცემად. საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ ერთხმად მიიღო დადგენილება ბათუმის ოლქის შემოერთების და აჭარის ავტონომიის შესახებ და 25 დეკემბერს 1919 წ. მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია სამუსულმანო საქართველოს მოწოდებით მიმართავს: —

„რამდენიმე საუკუნის წინ თქვენ, დროთა ვითარების გამო, მოსწყდით ძველ საქართველოს და ბას ჭირში და ლხინში გამოეთიშეთ, მაგრამ თქვენი სულიერი კავშირი სამშობლო კერასთან არ შეწყვეტილა; თვით დაუძინებელი მტრებიც კი თქვენ გურჯებათ, ანუ ქართველებათ, გიხსენიებენ. მიუხედავათ სასტიკი დევნისა, თქვენ დღემდის შეინარჩუნეთ მამა-პაპათა ენა და ადათები. თანა - ხმად მთელი საქართველოს მოქალაქეთა სურვილისა, ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლათ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა საყოველთაოთ და გადაჭრით აცხადებს, რომ სამუსულმანო საქართველოს ის ანიჭებს ავტონომიასო; მალე ბათუმში მომხდარი არჩევნებით ქართველებმა ბრწყინვალეთ გაიმარჯვეს და ექვს მაისს 1920 წ. ანტანტის საბჭოს გადაწყვეტილებით, ბათუმი საქართველოსათვის უნდა გადაეცათ. 6 ივლისს ქართული ჯარი ბათუმში შევიდა და 7 ივლისს ინგლისელებმა თავისი დროშა ჩამოხსნეს და საქართველოს დროშა აფრიალდა ქალაქ ბათუმზე. ქალაქი ბათუმი და მისი ოლქი ოფიციალურად საქართველოს შეუერთდა. და ამგვარათ საქართველომ დაიბრუნა აჭარა"..,

ბრესტ-ლიტოვსკში, ამიერკავკასიის ერების დაუკითხავად დადებული ხელშეკრულებით ბოლშევიკურმა რუსეთმა თურქეთს დაუთმო ყარს-არდაგან-ბათუმის მხარეები — ამით მან დიდი უბედურება დაატეხა თავზე საქართველოსა და სომხეთს! მოსკოვის ბოლშევიკების ღალატისა, მზაკვრობისა, მუხანათობისა და გაიძვერობის შედეგად საქართველოს და სომხეთს დიდი ჭირი ეწვია. ბოლშევიკურმა ბრეტ-ლიტოვსკის ზავმა საქართველოს მიწა-წყალი — სამცხე-საათაბაგო — აჭარა — სადავოდ გახადა, რამაც თურქეთთან ომი გამოიწვია და მთელი ეს მხარე საომარ ასპარეზად გარდაიქცა ორი წლის განმავლობაში. ამავე ზავის ნაყოფი იყო შემდეგში ინგლისური ოკუპაციაც, რადგან ინგლისელებმა მუდროსის ხელშეკრულებით თურქთა ჯარები ოკუპირებულ მხარეებში შესცვალა. რამდენი მსხვერპლი შეეწირა ამ მხარის საქართველოსთან შენარჩუნების ბრძოლას, მსხვერპლი სისხლიერი და ნივთიერი. ბოლშევიკური რუსეთის წყალობით შექმნილი; ამ დუხჭირი მდგომარეობიდან საქართველო ბრძოლით გამოვიდა და მთლიანი სხეული გამოიტანა, დაგლეჯისა და დაფლეთისაგან თავი გადაირჩინა... გაერთიანებული საქართველო კვლავ აღსდგა...

1919 წ. 28 ივლისს თურქებმა აფხაზეთში ჯარი გადასხეს. ქართულმა ჯარმა ფიცხლავ სოხუმის პოზიციები დაიკავა. გერმანელებმა თავის მხრივ მოსთხოვეს თავისმოკავშირე თურქეთს, მყის აფხაზეთი დაეცალათ და ჯარები გაეყვანათ, რაც პატარა შეტაკებათა შემდეგ, შესრულებული იქმნა.

აფხაზეთში პირველად შექმნილმა ეროვნულმა საბჭომ თავიდანვე განიზრახა შეექმნა კავკასიის მთის მოსახლეობასთან კავშირი. გრძელი, რთული მოლაპარაკების შედეგად შეთანხმდნენ კიდეც კავკასიის მთის ხალხების კავშირის დასამყარებლად; მაგრამ მთაში ისე აწეწილი იყო მდგომარეობა, რომ აქედან არაფერი გამოვიდა. შემდეგ, როცა ამიერკავკასიამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, აფხაზეთის ეროვნულმა საბჭომ გადასწყვიტა ამიერკავკასიის ფარგლებში შესულიყო. ამ დროს აფხაზეთს შეესივნენ ბოლშევიკური რაზმები, რომელთა გადასარეკად იქ ქართული რაზმები ჩავიდნენ. ამას მოჰყვა შემდეგ თურქთა ბერწი მოქმედება აფხაზეთში და მათი ჯარის გადასხმა, რომელმაც აგრეთვე ამოდ ჩაუარათ. და ბოლოს აფხაზეთის ეროვნულმა საბჭომ დაადგინა საქართველოს მთავრობასთან მოლაპარაკება გაემართა. ამ მიზნით თბილისს გააგზავნეს აფხაზთა წარმომადგენლობა, რომელმაც მთავრობასთან სრულ შეთანხმებას მიაღწია. ამ მოლაპარაკების თანახმად, აფხაზეთში უნდა მომხდარიყო აფხაზეთის საბჭოს ახალი არჩევნები და ეს ახალი საბჭო გადასწყვეტდა აფხაზეთის მომავალსაც. 1919 წ. 20 მარტს აფხაზეთის ახლად არჩეულმა საბჭომ შემდეგი დადგენილება გამოიტანა: —

1. აფხაზეთი შედის საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში როგორც ავტონომიური ერთეული;

2. ავტონომიური აფხაზეთის კონსტიტუციის გამოსამუშავებლად და საქართველოს-აფხაზეთის ურთიერთობის დასადგენად ამორჩეულ იქმნას შერეული კომისია, რომელშიც თანასწორი რიცხვით შევლენ საქართველოს დამფუძნებელი კრებისა და აფხაზეთის სახალხო საბჭოს წარმომადგენლები.

რასაკვირველია, აფხაზეთის ავტონომიაც მალე გამოცხადდა.

საქართველომ დამოუკიდებლობის დღიდან ქართველი

ეროის სახელმწიფოებრივი მთლიანობისათვის განწყვეტელა ბრძოლა აწარმოვა და გამარჯვებული გამოვიდა, — სანამ მას ისევ მზაკვრულად ისევ რუსეთი, ამ ჟამად წითელი, — მუხანათურად თავს არ დაესხა.

საქართველოს მთავრობამ საგარეო ფრონტზედაც გამარჯვებას მიაღწია. საქართველოს რესპუბლიკა ევროპიული სახელმწიფოებისაგან დე იურედ ცნობილ იქმნა, და თვით წითელმა რუსეთმაც აღიარა— რასაკვირველია მზაკვრულად — მისი იურიდიული დამოუკიდებლობა და მასთან 1920 წ. ხელშეკრულება შეკრა. მაგრამ როგორც თეთრმა, იმპერატორულმა რუსეთმა არ შეასრულა თავისი იმპერატორული სიტყვა, ისე წითელმა რუსეთმა არ შეასრულა თავისი მარქსისტულ - ლენინური სიტყვა; იგი საქართველოს შეესია მას შემდეგ, რაც ჯერ თურქეთთან მეგობრული კავშირი შეკრა და მას ქართულ-სომხური ტერიტორიები დაუთმო და მიაჩუქა (ბათუმი, ართვინი, არდაგანი, ყარსი). გააჩუქა სხვისი მიწა-წყალი! ოცდახუთი ათასი კვადრატული კილომეტრი!

მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყო წითელმა რუსეთმა საქართველოზე თავდასხმა.

იმ დღეს, როდესაც წითელი ჯარები საქართველოს რესპუბლიკას შეესივნენ (11 თებერვალი 1921 წ.) მოსკოვის რადიომ მთელ მსოფლიოს ამცნო, რომ ქართველი მუშები და გლეხები საქართველოს მთავრობას აუჯანყდნენ და თბილისზე გაილაშქრესო...

ეს უსაზიზღრესი ტყუილი წითელმა რადიომ მთელ მსოფლიოს მოსდო. რასაკვირველია, მან დამალა თავისი მუხანათური თავდასხმა და შემოსევა... და დღესაც ყოველ შემთხვევაში ამას იმეორებენ, თუმცა ყველამ კარგად იცის, რომ ეს მხოლოდ ტყუილია, სიცრუე..

ბრძოლები თბილისთან. ბრძოლები დარიალის ხეობაში. ბრძოლები მამისონის უღელტეხილზე. ბრძოლები აფხაზეთში. დაწოლა და მოწოლა თურქთა..

წითელმა რუსეთმა დაიკავა საქართველო და იქ ბოლშევიკური რეჟიმი დაამყარა. ძალითა და ძალადობით.

ქართველი ხალხი მას აჯანყებით შეხვდა, მაგრამ ყველა აჯანყება სისხლში იქმნა ჩახრჩობილი...

ასეთია სრულიად მოკლედ ქართველი ერის სამი წლის მართლაც და ჭეშმარიტად გმირული, ზეადამიანური, თავგანწირული და დიდი პიროვნობის გამომჭედი თავგადასავალი...

ბ ვარდანი

გიორგი ქართველი

სისხლი

შუაღამეა. ჩრდილოეთის ქარი ონავრობს.
ღამის წყვდიადში იკლაკნება ელვის გრეხილი.
წვიმის წვეთები წკან-წკარებენ, ფარდა ქანაობს,
თითქოს აფრთხობდეს შორეული მეხის ქუხილი.

არ მეძინება. ხელად ვფურცლავ გაცრეცილ ფურცლებს
და ცოცხლდებიან აჩრდილები წარსულ დიდების.
გათავდა აწმყო; აღარ ზარავს ქუხილი ყურებს;
აწ სიტყვები ჰქუხს ათასწლოვან „ქართლის ცხოვრების“

ვხედავ მუზარადს გადაფხრეწილს, ჩაჩქანს დამსხვრეულს,
სისხლში შეღებილ მეომართა სახეს ამღვრეულს;
ბრძოლის ყიჟინა, იერიშზე მისვლის ყივილი
ალიონს ზარავს გამწარებულ დედის კივილი.

ბრძოლის ყიჟინა აფოლადებს დროებით ძლეულს,
ახალი წყება აიტაცებს დროშას დაცემულს
და როგორც გუშინ, როს მამალი ეხმობს ალიონს,
კვლავ წითელ ფერად შეღებავენ არაგვს, მტკვარს, რიონს.

სულ სისხლი, სისხლი, სისხლში ცურავს მთლად ისტორია.
რა სავალალო ამბავია! მაგრამ სწორია:
ერთიც არ ვიცით, წინაპარი თუ სად მარხია,
როს ყოველ ბილიკს მათი სისხლის ლაქა აცხია.

სისხლი, კვლავ სისხლი! სამწუხაროდ, მაგრამ სწორია:
სისხლიანი ხმლით უწერიათ ეს ისტორია!
და როს ყოველი ჟამთ სიავეს გადაყოლია,
სისხლის ზოლები წარუხოცლად ზედ გასწოლია.

მიყვარს სიცოცხლე. სიკვდილისგან არას მოველი.
სამარის კართან, მწამს, თავდება არსი ყოველი,
მაგრამ მზადა ვარ, როს სამშობლო ამას მოითხოვს:
კავკასიონი ჩემს საკუთარ სისხლით მოირწყოს.

თუ შენ ,მამულო, ჩემი სისხლი გამოგადგება,
მოვალეობა მიკარნახებს, არა დიდება,
როს შენი წყლულნი შვილთა სისხლზე უნდა აიცრა,
დანის ერთ მოსმით, მზად ვარ, ყველა ძარღვი დავიჭრა.

გიორგი ქართველი

1947 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს დამფუძნებელი

კრების დადგენილება

(12 მარტი 1919 წელი)

„საქართველოს დამფუძნებელი კრება, — არჩეული პირდაპირი, თანასწორი, საყოველთაო, ფარული და პროპორციონალური საარჩევნო სისტემით ორივე სქესის მოქალაქეთა მიერ, — თავის პირველსავე სხდომაზე, 1919 წ. მარტის 12-ს, ქვეყნისა და ისტორიის წინაშე ალიარებს, რომ ის სავსებით ილებს და ადასტურებს საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიერ 1918 წ. მაისის 26-ს, ნაშუადღევის 5 საათ. და 10 წ. თბილისში გამოცხადებულს საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ აქტს“:

საქართველოს დამოუკიდებლობის

გამოცხადების აქტი

ოცდაექვსი მაისი 1918 წ.

„მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო.

მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ყოველ მხრით მტრისაგან შევიწროებული საქართველო თავისი ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო საქართველო გარეშე მტრისაგან დაეცვა.

რუსეთის დიდი რევოლიუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინაგანი წყობილება შეჰქმნა, რომ მთელი საომარი ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსის ჯარმაც დასტოვა ამიერკავკასია.

დარჩნენ რა თავისი ძალლონის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერ-კავკასიამ თვით იდვა თავის საკუთარი საქმეების გაძღოლა და პატრონობა და შესაფერი ორგანოებიც შეჰქმნეს; მაგრამ გარეშე ძალთა ზედგავლენით ამიერ-კავკასიის ერთა შემაერთებელი კავშირი დაირღვა და მით ამიერ-კავკასიის პოლიტიკური მთლიანობაც დაიშალა.

ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შეჰქმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელ განვითარების მტკიცე საფუძველი აგოს.

ამისდა თანახმად საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წლის ნოემბრის 22ს არჩეული საქართველოს ეროვნული ყრილობის მიერ, დღეს აცხადებს:

1) ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

2) დამოუკიდებელ საქართველოს პოლიტიკური ფორმა — დემოკრატიული რესპუბლიკაა.

3) საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა.

4) საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით კი, მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან.

5) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველჰყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა.

..6) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს.

7) დამფუძნებელი კრების შეკრებამდე მთელის საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით და დროებითი მთავრობა პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია

საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების მთავარი დანიშნულება, რა თქმა უნდა, ქვეყნისათვის კონსტიტუციის მინიჭება იყო. ეს კონსტიტუცია დამუშავდა და დამტკიცებულ იქმნა 1921 წლის 21 თებერვალს, როდესაც საქართველოს ნატანჯ და ნაწამებ მიწას რუსეთის შემოსეულ ჯართა ტანკები სთელავდნენ და ზარბაზნები სთხრიდნენ, ხოლო თბილისს ბრძოლის ხმა ესმოდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის ზოგადი საფუძველია:

1. საქართველო სახელმწიფოა — თავისუფალი, დამოუკიდებელი და განუყოფელი.. მისი უცვლელი და მარადი პოლიტიკური კონსტიტუცია არის დემოკრატიული რესპუბლიკა.

2. თბილისი საქართველოს დედა-ქალაქია.

3. სახელმწიფო ენა არის ქართული.

4. სახელმწიფო დროშაა — შვინდისფერი, თეთრი და შავი ზოლით. სახელმწიფო ღერბია ცხენოსანი თეთრი გიორგი, შვიდი მნათობითურთ.

5. კანონსა და განკარგულებას ძალა ეძლევა სათანადო განცხადების შემდეგ.

6. სახელმწიფოს მიწა - წყალი არ გაიცემა, არც დანაწილდება.

7. ადმინისტრატიული დანაწილება და ავტონომიური საზღვრების შეცვლა მხოლოდ კანონით არის შესაძლებელი.

8. კონსტიტუცია არის უზენაესი კანონი სახელმწიფოსი.

9. ყველა ძველი კანონი, რომელიც ამ კონსტიტუციას არ ეწინააღმდეგება. ძალაში რჩება.

10. ეს კონსტიტუცია მუდმივია და განუწყვეტელი, გარდა იმ შემთხვევისა, რომელიც აქვეა აღნიშნული.

11. ეს კონსტიტუცია გამოქვეყნდება დამფუძნებელი კრების ყველა წევრის ხელისმოწერით.

კონსტიტუციის მეორე თავი მოქალაქეობასა და ეროვნობას ეხება:

12. ქართული ეროვნობის მიღება ხდება დაბადებით, ქორწინებით და მოქალაქეობის მიღებით.

13. ქართველი მოქალაქე ამავე დროს არ შეიძლება იყოს სხვა სახელმწიფოს მოქალაქე.

14. ქართველ მოქალაქეს არ შეუძლია უარჰყოს თავისი მოქალაქეობა, თუ მან სახელმწიფოს წინაშე თავისი მოვალეობანი არ მოიხადა.

15. დაწვრილებით ამ პირობებს კანონი განმარტავს.

მესამე თავი მოქალაქეთა უფლებას არჩევს:

16. ყველა მოქალაქე კანონის წინაშე თანასწორია.

17. არ არსებობს კლასობრივი განსხვავება.

18. არავითარი ტიტული, გარდა სამეცნიეროსი, არავის არ მიენიჭება.

19. სიკდილით დასჯა აკრძალულია.

20. არავინ არ შეიძლება დაისაჯოს სასამართლოს განაჩენის გარეშე.

21. ყველა მოქალაქე ერთსა და იმავე სასამართლოს პროცესით გასამართლდება.

22. თვითეული პიროვნება სარგებლობს ხელშეუხებლობით. არავინ არ შეიძლება დატუსაღებულ იქმნას და არავის არ შეიძლება თავისუფლება წაერთვას, და არც დაკითხვა მოეხდინოს სასამართლოს დადგენილების გარეშე.

23. ადმინისტრაციას შეუძლია თავისი პასუხისმგებლობით დაიჭიროს ვინმე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვინმეს ბოროტმოქმედების ჩადენაში მიასწრეს, ან თუ ვინმე ბოროტმოქმედების ადგილზე ნახეს, თუ მას გამამტყუნებელი საგანი უნახეს ,ან თუ ვინმეს ბოროტმოქმედების ნიშანი აღმოუჩინეს, ან მას პირადად, ან მისი სახლში.

24. კერძო პირის მიერ ბოროტმომქმედის დაჭერა კანონიერია, თუ იგი მან მოქმედების დროს დაიჭირა და მისალოდნელი იყო მისი გაქცევა, სანამ საჯარო ხელის უფლების წარმომადგენელნი მივიდოდენ.

25. სასამართლოს ბრძანებით ან ადმინისტრაციის მიერ დაჭერილი პირი 24 საათის განმავლობაში სასამართლოს წინაშე უნდა წააყენონ.

26. სასამართლომ 24 საათის განმავლობაში დაჭერილ პირს უნდა დაჰკითხოს; ამას შემდეგ სასამართლო გადასწყვეტს, ან დაიკავოს, ან გაათავისუფლოს იგი.

27. სასამართლო ვალდებულია, თუ რომელიმე პირი ზემო დადგენილების წინააღმდეგ დაჭერილია, გაარჩიოს ეს შემთხვევა და დაჭერილი პირი, ან გაათავისუფლოს, ან გააგრძელოს მისი დატუსაღება.

28. მოქალაქის ბინა ხელუხლებელია, და მისი გაჩხრეკა დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით.

29. კერძო მიწერ-მოწერა ხელუხლებელია და მისი დაკავება შეიძლება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით

30. თვითეულ მოქალაქეს ადგილისა და ბინადრობის გამოცვლის და არჩევის უფლება აქვს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს დამოუკიდებლობა

საქართველოს დამფუძნებელი კრება,—არჩეული პირდაპირი, თანასწორი, საყოველთაო, ფარული და პროპორციონალური საარჩევნო სისტემით ორიეე სქესის მოქალაქეთა მიერ,—თავის პირველსავე სხდომაზე, 1919 წ. მარტის 12-ს, ქვეყნისა და ისტორიის წინაშე აღიარებს, რომ ის საკუთარი იღებს და ადასტურებს საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიერ 1918 წ მაისის 26-ს, ნაშუადღევის 5 ს და 10 წ თბილისში გამოცხადებულს საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ აქტს:

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

„**ბრძოლა** საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო

„მეთორმეტე საუკუნის დასასრულს ეროვნულ შრით მტრისაგან შეკიწროებული საქართველო თავისი ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი კალდებული იყო საქართველო კარეშე მტრისაგან დაეცვა

„რუსეთის ბიდი რევოლიუციის შედეგლობამ რუსეთში იმეთი ძირეული წეობილება შექმნა, რომ მთელი საომარი ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსის ჯარშიც დახტოდა ამირეკეკასია

„**დარჩენ** რა თვისი ძალდონის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად ამირეკეკასიამ თვით იგვეს თავს საკუთარი საქმეების კეთილი და პატრონობა და პატ**საფარი** ორგანოებიც **მეკმნა**, **მაგრამ** კარეშე ძალთა ზედგეკვლენო ამირეკეკასიის ერთა შეშფოთებული კეკეშირი **დაირღვა** და მეი ამირეკეკასიის პოლიტიკური მთლიანობაც დაიშალა.

„ქართული ერის დღეკანდელი მეგობარეობა საეცილებლად მოითხოეს რომ **საქართველომ** საკუთარი სახელმწიფოებრეი ორგანიზაცია შეკმნას, მისი საშეალებით კარეშე ძალის მიერ დაპერობისაგან თავი კადაიჩრინოს და დამოუკიდებელ კანკიერების მტკიცე საფუძველი აეეოს

„**ამისად** თანახმად საქართველოს ერეოული საბჭო, 1917 წლის ნოემბრის 22-ს არსებული საქართველოს ეროვნულ ერიდობის მიერ, დღეს აცხადებს:

1) ამიერიდან საქართველოს ხალხი სუფერენულ უფლებათა **მატარებელია** და საქართველო სრულფასოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა

2) დამოუკიდებელ საქართველოს პოლიტიკური ფორმა—დემოკრატიული რეპუბლიკაა

3) საერთაშორისო ურთიერთობაში საქართველო მუდმივ ნეიტრალური სახელმწიფოა

4) საქართველოს დემოკრატიული რეპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ეველა წევრთან კეთილმეზობლური კანფეფობლება დამყარონს, ეკანაკეთრებითი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერეთან

5) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველყოფს ეველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს კანკრძალვად ეროვნებისა სარწმუნოებისა სოციალურ მდგომარეობისა და სქესისა

6) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა კანეოთარების თავისუფალ ასპარეზს კეუძნინს მის ტერიტორიაზე მოსახლე ეველა ერს.

7) დამფუძნებელ კრების მეკრებამდე მთელის საქართველოს მართვა-კეთეკობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შეუსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით, და დროებითი მოკრება ჰესკისსეკეკელია საბჭოს წინაშე.



31. თვითეულ მოქალაქეს აქვს სრული უფლება რწმენისა. ყველას აქვს უფლება თავისუფლად აირჩიოს თავისი რწმენა. ამა თუ იმ სარწმუნოების აღიარება მოქალაქის მდგომარეობასა და მის მოქალაქეობრივ უფლებას არა ჰკვეცს.

32. ყველა მოქალაქეს აქვს უფლება გამოსთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი სიტყვით, ბეჭდვით, თუ რაიმე სხვა საშუალებით.

33. მოქალაქეებს აქვთ თავისუფალი კრების უფლება.

34. ადმინისტრაციას შეუძლია დახურეს კრება, თუ იგი უკანონო ხასიათს ღებულობს.

35. მოქალაქეებს აქვთ უფლება მოაწყონ თავისი პროფესიული და სხვა საზოგადოება მთავრობის შეუკითხავად.

36. ინტელექტუალური, კომერციული, სასოფლო-მეურნეობითი და მრეწველობითი სრული განვითარება უზრუნველყოფილია რესპუბლიკის მიერ.

37. პიროვნული თუ საზოგადოებრივი თხოვნის უფლება უზრუნველყოფილია.

38. მუშებს აქვთ გაფიცვის უფლება.

39. ორივე სქესის მოქალაქეს აქვს თანასწორი უფლებანი პოლიტიკური, ეკონომიური და ოჯახური უფლებები.

40. ქორწინება დაფუძნებულია თანასწორ უფლებაზე და საქმრო-საცოლოს ურთიერთ თანხმობაზე. ქორწინების წესი და რიგი სასამართლოს მიერაა დადგენილი.

41. პოლიტიკური მიზეზების გამო შემოხიზნულის გადაცემა აკრძალულია.

42. ყველა პირი, რომელიც ზემო აღნიშნულ კანონს დაარღვევს, კანონის ძალით დაისჯება.

43. შინაური აჯანყებისა ან ომის დროს პარლამენტს უფლება აქვს შეაჩეროს დროებით ყველა ჩამოთვლილი უფლების მოქმედება.

44. თუ პარლამენტი ამ დროს მოწვეული არაა, მთავრობას უფლება აქვს შეაჩეროს კონსტიტუციური უფლებანი; ამ შემთხვევაში მთავრობამ დაუყონებლივ პარლამენტი უნდა მოიწვიოს და მას თავისი გადაწყვეტილება განსახილველად წარუდგინოს.

45. მოარული სენის შემთხვევაში მთავრობას უფლება აქვს შეაჩეროს შემდეგ მუხლთა მომქედება: 22, 25, 26, და 30, თუ ეს საჭიროა სენთან საბრძოლელად.

46. კონსტიტუციის ზემო ჩამოთვლილი უფლებანი და გარანტიები არ გამორიცხავენ სხვა უფლებათ და გარანტიებს, რომელნიც აქ აღნიშნული არ არიან და ამ კონსტიტუციას შეეფერებიან.

მეოთხე თავში აღნუსხულია პარლამენტის უფლება - მოვალეობა:

47. საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლობითი დაწესებულება არის პარლამენტი, არჩეული საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი, ფარული და პროპორციული არჩევნებით. ყველა მოქალაქე, სქესის გარეშე, ჩეველად, სარგებლობს ყველა უფლებით და 20 წლის შესრულების შემდეგ არჩევნებში მონაწილეობას ღებულობს. პარლამენტი ირჩევა სამი წლის ვადით. არჩევნების წესი განსაკუთრებულ კანონშია დადგენილი.

48. პარლამენტის წევრი გამოთქმული აზრის გამო პასუხისგებაში არ მიეცემა. პარლამენტის წევრის პიროვნება ხელუხლებელია; გამონაკლისია მხოლოდ მისი ბოროტმოქმედების ადგილზე დაჭერა, რაც დაუყონებლივ პარლამენტს უნდა ეცნობოს, რომელიც მისი დაკავების ან გათავისფლების შესახებ თავის განაჩენს გამოიტანს.

49. პარლამენტის წევრს შეუძლია უარი თქვას მოწმედ დადგეს იმ ამბავის გამო, რომელიც მას როგორც პარლამენტის წევრს გაანდვეს.

50. პარლამენტის წევრს ეძლევა ჯამაგირი, განსაზღვრული კანონის მიერ.

51. პარლამენტის წევრობისა და ამავე დროს სხვა სამსახურში ყოფნის საკითხს, თუ რამდენად ეს შესათავსებელია, კანონი გადასწყვეტს.

52. უზენაესობა მთელ ერს ეკუთვნის. პარლამენტი სარგებლობს უზენაესობით კონსტიტუციის მიერ დაწესებულ ფარგლებში.

53. პარლამენტი ხმას აძლევს კანონებს, განკარგულებებს, გადაწყვეტილებებს. მათი გამოცხადების წესი დადგენილია კანონით.

54. პარლამეტის უფლება შემდეგია:

ა) კანონმდებლობა

ბ) რესპუბლიკის ჯარისა და საერთოდ ყველა სამხედრო ძალის უმაღლესი ხელმძღვანელობა

დ) ომის გამოცხადება

დ) საზავო ხელშეკრულებათა, ან უცხო სახელმწიფოებთან დადებულ ხელშეკრულებათა დამტკიცება

ე) შეწყალება

ვ) ხარჯთაღრიცხვა

ზ) შინაური ან საგარეო სესხის აღება

თ) მოხელეთა დანიშვნა, როგორც ეს კონსტიტუციის მიერაა აღნუსხული

ი) აღმასრულებელი ხელისუფლების (მთავრობის) საერთო კონტროლი.

55. პარლამენტის სხდომები არის საჯარო, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში დახურულიც.

56. პარლამენტი თვით სინჯავს თავის წევრთა არჩევნების წესიერებას და ამის შესახებ გადაწყვეტილება გამოაქვს.

57. პარლამენტის ყველა გადაწყვეტილება ხდება უბრალო ხმის უმრავლესობით, თუ სხვა წესი არ იქმნა მიღებული განსაკუთრებული შემთხვევისათვის.

58. პარლამენტის სხდომის გახსნისათვის საჭიროა წე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვრთა მთელი რიცხვის ნახევარი მაინც.

59. პარლამენტს უფლება აქვს მთავრობას მოხსენება მოითხოვოს და მას შეკითხვა მისცეს. პარლამენტს უფლება აქვს რაიმე საკითხის გამოსარკვევად კომისია დანიშნოს.

60.პარლამენტი კამათის წესრიგს თვითონ არდგენს.

61. პარლამენტის ყოველწლიური სხდომა ნოემბრის პირველ კვირას იწყება. ახალი პარლამენტის არჩევნები შემოდგომაზე ხდება მთელს რესპუბლიკაში, ერთსა და იმავე დროს.

62. პარლამენტის მუშაობა შეიძლება შესწყდეს მხოლოდ თვით პარლამენტის დადგენილების თანახმად.

63. საკანონმდებლო თავისნობის უფლება აქვს:

ა) პარლამენტის თვითეულ წევრს,

ბ) 5 000 ამრჩეველისაგან შემდგარ ჯგუფს.

64. პარლამენტი მოვალეა რომელიმე ახალი კანონი გადააწყვეტინოს თვითონ ხალხს, კენჭის ყრით, თუ ამას ოც და ათი ათასი ამრჩეველი წერილობით მოითხოვს.

65. პარლამენტი თავის ბიუროს ყოველწლიურად ირჩევს.

მეოთხე თავი ეხება აღმასრულებელ ხელისუფლებას ანუ მთავრობას:

66. აღმასრულებელი ხელისუფლება მთავრობას ეკუთვნის.

67. მთავრობის თავმჯდომარეს ირჩევს პარლამენტი, ერთი წლის ვადით. იგივე თავმჯდომარე შეიძლება კიდევ მხოლოდ ერთხელ აირჩეს.

68. სხვა მინისტრებს, მთავრობის წევრებს, ნიშნავს მთავრობის თავმჯდომარე იმ პირთა წრიდან, ვისაც საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს.

69. მთავრობის წევრებს არ შეუძლიათ სხვა სამსახურში იყვნენ ან სხვა ხელობა შეასრულონ. მათ შეუძლიათ იყვნენ მხოლოდ წევრი პარლამენტისა ან თვითმართველობითი საბჭოსი.

70. მთავრობის თავმჯდომარე არის რესპუბლიკის უზენაესი წარმომადგენელი. იგი ნიშნავს საქართველოს წარმომადგენლებს უცხოეთის სახელმწიფოებთან და მასთან არიან წარმოგზავნილნი უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენელნი. იმ შემთხვევაში, რაიმე ხელის შეშლის გამო, თუ მთავრობის გადაწყვეტილება მიღებული არაა, მთავრობის თავმჯდომარეს განსაკუთრებული უფლება აქვს მიმართოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალას, მაგრამ ამის შესახებ დაუყონებლივ პარლამენტს უნდა აცნობოს. კანონებისა და მათ შესახებ დადგენილებათა აღსრულებისათვის განკარგულებანი გამომდინარეობენ მთავრობის თავმჯდომარესაგან, მაგრამ მას უფლება არა აქვს კანონის მოქმედება შეაჩეროს ან მისი აღსრულება დააკავოს. მთავრობის თავმჯდომარეს უფლება აქვს დანიშნოს არაჩვეულებრივი კონტროლი საჯარო და ადგილობრივი ადმინისტრაციისა ,ან მოახდინოს განსაკუთრებულ შემთხვევათა რევიზია, კანონის მიერ დაწესებული რიგით. პრეზიდენტს ანუ მთავრობის თავმჯდომარეს არა აქვს იმაზე მეტი უფლება, რაც მას კონსტიტუციის მიერ აქვს მინიჭებული.

71. მთავრობის თავმჯდომარეს ჰყავს მოადგილე. თავმჯდომარის არყოფნის დროს, მისი მოვალეობა მის მოადგილეს ეკისრება.

72. მთავრობის ზოგადი უფლება-მოვალეობა არის:

ა). უზრუნველჰყოს რესპუბლიკის საქმეთა უმაღლესი ხელმძღვანელობა მის კანონთა მიხედვით.

ბ). თვალყური ადევნოს რესპუბლიკის კანონთა განხორციელებას.

გ). წარუდგინოს პარლამენტს თავისი გეგმები კანონთა შესახებ და ამასთანავე თავისი დასკვნები იმ კანონ - პროექტთა შესახებ, რომელიც პარლამენტისაგან ან ხალხისაგან გამოდის.

დ). დაიცვას რესპუბლიკის საგარეო ინტერესები.

ე). უზრუნველჰყოს შინაური წესრიგი. თუ მოულოდნელი ვითარება მოითხოვს, მობილიზაცია მოუხდინოს ქვეყნის შეიარაღებულ ძალას, მაგრამ არა უმეტეს 21 დღისა. ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს პარლამენტის ნებართვით.

ზ). მოუაროს ფინანსებს; გამოსცეს ფული, კანონის თანახმად; ყოველწლიურად პარლამენტს წარუდგინოს სახელმწიფოს შემოსავალისა და გასავალის აღრიცხვა.

თ). მისცეს პარლამენტს ანგარიში თავისი მოღვაწეობის შესახებ და წელიწადში ერთჯერ მაინც წარუდგინოს მოხსენება საქართველოს შინაური და საგარეო მდგომარეობის შესახებ. მიართვას პარლამენტს განსაკუთრებული მოხსენება, თუ კი ამას პარლამენტი მოისურვებს.

ი). შეასრულოს ყველა მოვალეობა, რომელსაც მას პარლამენტი ან კანონი აკისრებს.

73. მთავრობის წევრები ინაწილებენ რესპუბლიკის საქმეთა ხელმძღვანელობას; ისინი მთავრობის თავმჯდომარისაგან პირდაპირ დამოკიდებული არ არიან. მთავრობის თვითეული წევრი წარმართავს მისთვის ჩაბარებულ დაწესებულებას დამოუკიდებლად, თავისი პირადი პასუხისმგებლობით. მთავრობის წევრი უნდა გადადგეს, რა-წამს იგი პარლამენტის ნდობას დაჰკარგავს. მინისტრს მხოლოდ მაშინ აქვს უფლება პარლამენტის კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღოს, თუ იგი თვითონ არის პარლამენტის წევრი. მთავრობის თავმჯდომარე პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე საერთო პოლიტიკისათვის. მთავრობის თავმჯდომარე ვალდებულია პარლამენტის გადაწყვეტილებას დაემორჩილოს და აღასრულოს იგი. თუ საჭიროა, გამოსცვალოს მინისტრი და მთელი შემადგენლობა მთავრობისაც კი.

74. მთავრობის ყველა წევრს უფლება აქვს პარლამენტისა და განსაკუთრებულ კომისიათა სხდომებს დაესწროს. პარლამენტმა და კომისიამ მინისტრს უნდა მოუსმინოს, თუ იგი ამას მოითხოვს. თავის მხრივ მინისტრი ვალდებულია წარსდგეს პარლამენტის ან კომისიის წინაშე და მიაწოდოს მათ საჭირო ცნობები.

75. მთავრობის თავმჯდომარე პასუხისმგებელია კონსტიტუციის დარღვევის გამო. ამ შემთხვევაში მთავრობის თავმჯდომარე პასუხს აგებს უმაღლესი სასამართლოს წინაშე, ხოლო მინისტრები გასამართლდებიან ჩვეულებრივ სასამართლოში.

კონსტიტუციის მეექვსე თავი სამართალს ეხება:

76. საქართველოს უმაღლესი სასამართლო არის სენატი, რომელსაც ირჩევს პარლამენტი.

77. სამოქალაქო და სისხლის სამართლის და ადმინისტრატიული საქმეები მუდმივ სასამართლოს მიეკუთვნება; იურისდიქცია და უფლება ამ სასამართლოსი განსაზღვრულია კანონით.

78. სამოსამართლო ხელისუფლება დამოკიდებულია და ემორჩილება მხოლოდ კანონს. განაჩენი გამოიტანება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელით.

79. სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი არ შეიძლება გაუქმდეს, შეიცვალოს ან გადაიდოს რომელიმე საკანონმდებლო, ადმინისტრატიული ან აღმასრულებელი დაწესებულების მიერ.

80. სასამართლოში საქმის გარჩევა ხდება საჯაროდ; ზოგიერთ შემთხვევაში, ზნეობრივი მოსაზრებით, იგი დახურულიც შეიძლება იყოს.

81. ყველა მნიშვნელოვანი საქმე გაირჩევა სისხლის სამართლით.

82. მოსამართლენი აირჩევიან განსაზღვრული ვადით. ეს საკითხი ცალკე კანონითაა გარკვეული.

83. თუ სასამართლო არ გადასწყვეტს ამას, და თუ თვითონ მოსამართლეს ეს არა სურს, არ შეიძლება მის მდგომარეობაში რაიმე ცვლილების შეტანა. მოსამართლე მხოლოდ დროებით შეიძლება გადაყენებულ იქმნას, თუ მას სასამართლო ეხება. საბოლოოდ მისი გადაყენება შეიძლება მხოლოდ სასამართლოს დადგენილების ძალით.

მეშვიდე თავი სახელმწიფო ფინანსებს ეხება.

კონსტიტუციის მერვე თავი სახელმწფო კონტროლს ეხება.

მეცხრე თავი ეროვნულ თავდაცვას განიხილავს.

მეათე თავი თვითმართველობის საქმეს ეხება.

მეთერთმეტე თავი ეხება განათლების საქმეს.

107. აფხაზეთი (სოხუმის მხარე) სამუსულმანო საქართველო (ბათუმის მხარე) და ზაქათალა (საინგილო), რომელნიც საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელი ნაწილნი არიან, თავის ადმინისტრატიულ საქმეებში ავტონომიით სარგებლობენ.

მეცამეტე თავი სოციალურ და ეკონომიურ უფლებებს შეიცავს:

113. რესპუბლიკა ზრუნავს, რათა თვითეულ მოქალაქეს ღირსეული ცხოვრება ჰქონდეს.

114. ძალით ჩამორთმევა ან კერძო წარმოებათა შეკვეცა დასაშვებია მხოლოდ საგანგებო კანონის მიხედვით, რომელიც საამისო წესს ადგენს. იგი შეიძლება მოხდეს სახელმწიფო საჭიროებისათვის და საჯარო სარგებლობისათვის. ჩამორთმეულის პატრონს ფასი აუნაზღაურდება, თუ, რასაკვირველია, კანონში ამის საწინააღმდეგო არაა ნათქვამი.

115. რესპუბლიკას აქვს თავისი კომერციული და ინდუსტრიული ორგანიზაცია. მისი მთავარი მიზანია განავითაროს ეს ორგანიზაცია და შეჰქმნას ერთი და სრული სისტემა სოციალური ეკონომიისა. რესპუბლიკა დაეხმარება თვითმართველობის დაწესებულებებს,, რათა მათ განავითარონ და განამტკიცონ ამგვარივე ეკონომიური ორგანიზაცია. მთავრობას უფლება აქვს მოახდინოს სოციალიზაცია, კანონის თანახმად, კომერციულ, ინდუსტრიულ, აგრიკულტურულ საწარმოთა, რომლებიც ამ მიზნისათვის გამოსადეგი არიან.

116. სახელმწიფო განსაკუთრებულ თვალყურს ადევნებს, რათა წვრილ მწარმოებელთა, მიწათმოქმედთა, მუშათა და შინმოსამსახურეთა და მომუშავეთა ექსპლოატაცია არ მოხდეს. რესპუბლიკა თავის საგანგებო ყურადღებას აქცევს აგრიკულტურის კეთილყოფას; მიწის პატრონს მოვალეობა აქვს საზოგადოების წინაშე: მან მიწა უნდა დაამუშაოს და მიიღოს შესაძლებელი საუკეთესო ნაყოფი.

118. სახელმწიფოს არსებობა დაფუძნებულია შრომაზე და ამიტომ მისი განსაკუთრებული მოვალეობაა მას მფარველობა გაუწიოს.

118. რესპუბლიკის კანონები აღჭურავს თვითმართველობის დაწესებულებებს დააარსონ მათ შრომის ბირჟა და სხვა ამგვარი ორგანიზაცია, რომელსაც ევალება უმუშევართა აღრიცხვა და მათთვის სამუშაოს მოძებნა. ამგვარ დაწესებულებაში შემავალ პირთა შორის მუშათა კავშირების წარმომადგენელთა ნახევარი მაინც უნდა იყოს.

119. უმუშევართ ეძლევათ დახმარება და მათ უნდა მოეძებნოთ სამუშაო.

126. დედაკაცთა შრომის დაცვა საგანგებო კანონით განისაზღვრება. დედაკაცთა შრომა ისეთ დაწესებულებაში, სადაც მის დედობას საფრთხე მოელის, აკრძალულია. მშობიარობის დროს დედაკაცს ეძლევა ორი თვე შვებულება, ჯამაგირის შენახვით. ძუძუმწოვრობისას დედაკაცს ეძლევა დრო ამ მოვალეობისათვის.

128. რესპუბლიკას და თვითმართველობას ეკისრება დედათა და ბავშვთა მფარველობა-დაცვა.

მეთოთხმეტე თავი ეხება ეროვნულ უმცირესობათა ფართო უფლებებს.

მეხუთმეტე თავში განხილულია სახელმწიფო მოხელეთა სამსახური და მათი უფლებანი.

141. თვითეული მოხელე პასუხისმგებელია სასამართლოს წინაშე საერთო კანონთა დებულების მიხედვით. თვითეულ მოქალაქეს უფლება აქვს მოხელეს უჩივლოს. თვითეულ მოქალაქეს უფლება აქვს აინაზღაუროს ის ზარალი, რომელიც მას მიადგა მოხელის მიერ მისი დაწესებულების მოვალეობის ასრულების დროს.

მეთექვსმეტე თავი სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობას შეეხება: . . .

142. სახელმწიფო და ეკლესია ერთი მეორესაგან გაყოფილია და ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი.

მეჩვიდმეტე თავი კონსტიტუციის გადასინჯვას ეხება:

145. სრული ან ნაწილობრივი გადასინჯვა კონსტიტუციისა შეუძლია მოითხოვოს:

ა). პარლამენტის წევრთა არა უმცირეს ნახევარმა,

ბ). 50.000 ამრჩეველმა.

ასეთი არის ზოგადად საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ დამტკიცებული საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია...

ლიკსუს.

ბ. ბებურიშვილი

დამოუკიდებელი საქართველოს საკითხი უცხოეთში

პირველი მსოფლიო ომი პატარა ერთა განთავისუფლების კიჟინით დასრულდა. მოკავშირე სახელმწიფოებმა, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ვუდრო ვილსონის პირით, მთელ მსოფლიოს ამცნეს ერთა თავისუფლება. პატარა ერებს მღვივე იმედის ფრთები შეესხათ და მათ შორის საქართველოსაც, რომელმაც თავისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26-ს მაისს გამოაცხადა.

საქართველოს მთავრობამ დაუყონებლივ თავისი წარმომადგენლობა გააგზავნა პარიზს, სადაც საზავო კონფერენცია უნდა მომხდარიყო.

1919 წ. იანვრის 12-ს რვა კაცისაგან შემდგარი ქართული წარმომადგენლობა სტამბოლს ჩავიდა. მაგრამ აქ მან ერთ თვეზე მეტი დაჰყო და მხოლოდ შემდეგ, ქართული დელეგაციის მხოლოდ ორ წევრს (კარლო ჩხეიძეს და ირაკლი (კაკი) წერეთელს დართეს ნება პარიზს მისულიყვნენ. ეს ცუდი ნიშანი იყო თავისთავად და არღვევდა იმ აღთქმას, რომლითაც ერებს თავისუფლებას ჰპირდებოდნენ.

შეერთებული შტატების პრეზიდენტი ვილსონის წინადადებით, უნდა დაარსებულიყო „ერთა ლიგა“ ,ანუ საზოგადოება სახელმწიფოთა, რომელიც ომის თავიდან აცილების მიზნით, ყველა საკითხს მშვიდობით გადასწყვეტდა და პატარა ერთა უფლებებს დაიცავდა.

1919 წლის 28 აპრილს საზავო ყრილობის სახელმწიფო-წევრებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომლის ძალით ერთა საზოგადოება დაარსდა, ცნობილი — „ერთა ლიგა“ —. ეს ხელშეკრულება შეტანილ იქმნა, ვით შემადგენელი ნაწილი პარიზის საზავო ხელშეკრულებაში.

პარიზში მყოფმა საქართველოს მთავრობის დელეგაციის თავმჯდომარემ, კარლო ჩხეიძემ 1919 წლის მაისის 21-ს უკვე მიმართა ერთა ლიგის აღმასრულებელ კომიტეტს და ერთა ლიგის საზოგადო კრებას შემდეგი წერილით —

საქართველოს რესპუბლიკის დელეგაციას პატივი აქვს ქართველი ერისა და მისი მთავრობის სახელით მოითხოვოს საქართველოს მიღება ერთა საზოგადოებაში, 1919 წლის 28 აპრილის წესდების თანახმად-ო.

1919 წლის 16 ივნისს ერთა ლიგის აღმასრულებელი კომიტეტის მდივანმა ქართულ დელეგაციას აცნობა, ამ თხოვნით ერთა ლიგის ყრილობისათვის მიემართა. ამ დროის განმავლობაში, სანამ ერთა ლიგა შეიყრებოდა, საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობისათვის მეტად მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა: 1919 წლის 13 სექტემბერს საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა არგენტინამ იურიდიულად იცნო.

1920 წლის 7 მაისს, მას შემდეგ რაც წითელმა რუსეთმა საქართველო ვერ გადაჯეგა, მან იცნო რუსეთისაგან გამოყოფილად და აღიარა მისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.

1920 წლის 24 სექტემბერს გერმანიამ სცნო დე-იურედ საქართველოს დამოუკიდებლობა. (საქართველოს დე - ფაქტოდ აღიარება კი უფრო ადრე მოხდა).

1920 წლის იანვარს საქართველო დე-ფაქტოდ აღიარეს ინგლისმა, საფრანგეთმა და იტალიამ, ხოლო იმავე წლის 7 თებერვალს: იაპონიამ და 26 აგვისტოს კი — ბელგიამ.

1920 წლის 1 სექტემბერს, კარლო ჩხეიძემ განიმეორა თავისი თხოვნა ერთა ლიგაში საქართველოს მიღებისა და

წევრად გახდომის შესახებ. 18 სექტემბერს, ქართულმა მთავრობამ ერთა ლიგას გადასცა მოხსენება საქართველოს შესახებ. ყველა, საქართველოს შესახები მასალა ერთა ლიგის განსაკუთრებულ კომისიას, მეხუთე კომისიას, განსახილველად გადაეცა. 1920 წლის 14 დეკემბერს, საკითხის განხილვის შემდეგ, კომისიამ თავისი მოხსენება ერთა ლიგის ყრილობას წარუდგინა —

მეხუთე კომისიას პატივი აქვს წარუდგინოს საზოგადო კრებას თავისი დასკვნა საქართველოს ერთა ლიგაში მიღების შესახებ.

კომისია ურჩევს საზოგადო კრებას ,აცნობოს საქართველოს მთავრობას:

1). რომ მისი თხოვნა განხილულია კეთილი განწყობილებით, მაგრამ გარემოებანი ნებას არ აძლევენ ლიგას მის შესახებ საბოლოო გარდაწყვეტილება მიიღოს და

2). რომ საზოგადო კრების მომავალი გარდაწყვეტილების მოლოდინში ამ ახალ სახელმწიფოს (საქართველოს) მიენიჭება უფლება მონაწილეობა მიიღოს ერთა ლიგის ტექნიკურ ორგანიზაციებში, რომელთაც საზოგადო მნიშვნელობა აქვთ-ო.

1920 წლის 16 დეკემბერს საქართველოს საკითხი წარმოდგა ერთა ლიგის ყრილობაზე და მის შესახებ კამათი გაიმართა. ნორვეგიის წარმომადგენელმა ფრ. ნანსენმა და სამხრეთი აფრიკის კავშირის წარმომადგენელმა რობერტ სესილმა საქართველოს ერთა ლიგის წევრად გახდომას მხარი დაუჭირეს.

„ერთა ლიგის“ მეათე მუხლის მიხედვით, თუ რომელიმე მის წევრ-სახელმწიფოს თავს ესხმიან, ლიგის წევრი-სახელმწიფონი ვალდებულნი არიან მას დახმარება გაუწიონ. სწორედ ამ ნიადაგზე მოხდა ინგლისის მიერ საქართველოს ერთა ლიგის წევრობის უარყოფა, ვინაიდან ინგლისი ფიქრობდა, რომ ბოლშევიკური რუსეთი საქართველოს თავს დაესხმოდა და მას კი არა სურდა ამ ომში ჩარევა, რადგან თვითონ ამ ბოლშევიკებთან სავაჭრო ხელშეკრულებას დებდა.

ინგლისის წარმომადგენელი ფიშერი ამტკიცებდა — ერთა ლიგა ჯერ ნორჩია. ნუ ავიღებთ ახლავე ისეთ მძიმე პასუხისმგებლობას, რომელიც სანანებელი გაგვიხდებაო.

უკანასკნელი სიტყვა ნანსენმა წარმოთქვა —

ჩვენ ვასუსტებთ ლიგის ძალასა და მისდამი ნდობას, როდესაც მას ვაკლებთ ისეთი ერის თანამშრომლობას, როგორიც არისო ქართველი ერი.

ერთა ლიგის ყრილობამ კენჭის ყრით გადასწყვიტა საქართველოს საკითხი. კრებას დაესწრო ამ დროს მხოლოდ 23 სახელმწიფოს წარმომადგენელი. საქართველოს ერთა ლიგაში მიღებას მხარი დაუჭირა ა თ მ ა სახელმწიფომ, ხოლო ცამეტმა უარჰყო იგი. არც ბალტიის სახელმწიფონი მიიღეს მაშინ, რომელნიც მხოლოდ ერთი წლის შემდეგ (1921 წ.) გახდნენ ერთა ლიგის წევრები.

1921 წლის 27 იანვარს საქართველოს დამოუკიდებლობა დე-იურედ აღიარა მოკავშირე სახელმწიფოთა უმაღლესმა საბჭომ, რომლის წევრნი იყვნენ: ინგლისი, საფრანგეთი, იტალია, იაპონია, ბელგია. ამ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი არისტიდ ბრიან საქართველოს საგარეო მინისტრ ევგენი გეგეჭკორს სწერდა, რომელიც მას საქართველოს დე-იურედ აღიარებასა თხოვდა: —

„მე დაუყონებლივ ვაცნობე თქვენი წერილი კონფერენციას; ამ უკანასკნელმა ერთსულოვნად გადასწყვიტა საქართველოს მთავრობის იურიდიული ცნობა. მოკავშირე სახელმწიფონი ბედნიერნი არიან, ერთხელ კიდევ დაამოწმონ ამრიგად ის კეთილგანწყობილება, რომლითაც ისინი თვალყურს აღევნებდნენ ქართველი ერის დამოუკიდებლობისადმი მისწრაფებას; და აღტაცებას, რომელსაც აღძრავს მათში საქართველოს მიერ შესრულებული ღვაწლი“-ო.

საქართველომ გაიმარჯვა ევროპაში. საქართველო ზეიმობდა.

მაგრამ ვერაგი რუსეთი უკვე ემზადებოდა საქართველოზე თავდასასხმელად. და 1921 წლის 11 თებერვალს წითელი ჯარები საქართველოს შეესივნენ და დაიკავეს იგი: ბრძოლით.

საქართველოს დამფუძნებელი კრება უკანასკნელად შეიკრიბა ქალაქ ბათუმში (1921 წლის 16 მარტს) და მიიღო გარდაწყვეტილება, რომლის თანახმად საქართველოს მთავრობა უცხოეთს უნდა გახიზნულიყო, რათა იქ განეგრძო ბრძოლა საქართველოს განთავისუფლებისა და სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის.

საქართველოს მთავრობამ ბათუმი დასტოვა 19 მარტს და მასთან ერთად გამოსული ემიგრაციაც პარიზში დასახლდა. 1921 წლის აპრილში საქართველოს მთავრობამ მიმართა ევროპის სახელმწიფოებს მოხსენებით საქართველოში წითელი ჯარების შემოსევისა და ქვეყნის ომით დაკავების შესახებ. საქართველოს საელჩომ პარიზში ერთა ლიგის მთავარ მდივანს ერიკ დრუმონს წერილობით თხოვა, რათა მან ერთა ლიგის საბჭოს მომავალ სხდომაზე საქართველოს რუსთა მიერ ოკუპაციის საკითხი განსახილველად წარადგინოს.

1921 წლის ივნისის 13-ს საქართველოს საელჩო, პარიზში, ერთა ლიგის საბჭოსა სწერს: —

მას შემდეგ, რაც ერიკ დრუმონმა წარადგინა საბჭოთა რუსეთის საქართველოში შემოსევის შესახები საბუთები, ერთა ლიგისათვის უცნობი აღარ არის, რომ სრულიად უმიზეზოდ და ომის გამოუცხადებლად, საბჭოთა რუსეთის ჯარები შემოიჭრნენ საქართველოს ტერიტო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიაზე, განაგრძობენ მის ოკუპაციას და კომუნიზმის სახელით მისი მოსახლეობა ბარბაროსულ წესებს დაუმორჩილეს.

თავისი დამოუკიდებლობის, თავისუფლების სამი წლის განმავლობაში საქართველო თავის შინაურს, ისე როგორც საგარეო პოლიტიკაში მუდამ გამსჭვალული იყო წესიერებისა და მშვიდობიანობის აზრებით. ამის საუკეთესო საბუთია ქართველი ერის მიერ გაწეული ღვაწლი თავისი პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიურ დაწესებულებათა მოწყობისათვის.

საბჭოთა რუსეთის უმსგავსო თავდასხმას, რომლის მსხვერპლი ეს ერი გახდა, სხვა გამართლება არა აქვს, თუ არ სამართალი უფრო ძლიერისა. ეს ერთხელ კიდევ ნათელ ჰყოფს მოსკოვის მთავრობის აღმაშფოთებელ იმპერიალიზმს და იმას, თუ რა ფასი აქვს ამ მთავრობის მიერ აღებულ პატიოსნების მოვალეობას-ო.

თავის უკანასკნელ, ჟენევაში მომხდარ ყრილობაზე ერთა ლიგის დამხმარე საზოგადოებათა კავშირმა, ამ მოვლენით აღელვებულმა, შემდეგი გარდაწყვეტილება გამოიტანა: — აღშფოთებული იმ უბედური მდგომარეობით, რომელშიაც იმყოფება საქართველოს დემოკრატიულად მოწყობილი ერი, რომელსაც შეესია უცხო ჯარი და მის მკვიდრთა სურვილის წინააღმდეგ დაიკავა მისი მიწა-წყალი, და რომელმაც ამნაირად დაჰკარგა თავისი დამოუკიდებლობა და თავისუფლებანი, ყრილობა გამოთქვამს მთელ თავის გულისწყრომას და მტკიცედ მოითხოვს ერთა ლიგის საბჭოსა და საზოგადო ყრილობისაგან, საშუალება იხმაროს, რათა ხალხთა უფლების პრინციპი — თავიანთი ბედის პატრონი თვითონვე იყონ — გავრცელებულ იქმნას საქართველოზე-ო.

საქართველოს კანონიერი მთავრობა იმედოვნებს, რომ ერთა ლიგის საბჭო,საერთაშორისო სამართალის წმიდა პრინციპთა ერთგული, თავისი ავტორიტეტით აღჭურვილ ხმას აღიმაღლებს მომავალ სხდომაზე, ამ ბოროტმოქმედების წინააღმდეგ-ო.

1921 წლის აგვისტოს 29-ს, ერთა ლიგის ყრილობის დროს, ჟენევაში, საქართველოს საგარეო მინისტრი ევგენი გეგეჭკორი თავისმხრივ მიმართავს ერთა ლიგას და თხოვს მას, სხვათა შორის —

იმ პრინციპის სახელით, რომლითაც არის გამსჭვალული ამ საზოგადოების ხელშეკრულება, საქართველოს მთავრობას პატივი აქვს თხოვოს ერთა ლიგის საზოგადო ყრილობას, რომელიც ამ ჟამად ჟენევაშია შეკრებილი, გამოიტანოს პროტესტი და განკიცხვის დადგენილება ბოლშევიკური შემოსევისა და წითელი ჯარების მიერ საქართველოს ოკუპაციის წინააღმდეგ-ო.

ხოლო საფრანგეთის პარლამენტში, 1922 წ. აპრილის 22-ს, რადიკალ-სოციალისტური პარტიის მეთაურმა ბ. ერიომ საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარეს, პუანკარეს მიმართა: —

ის გარკვეული საკითხი, რომელსაც მე ვარდგენ, შემდეგი არის: საქართველოს სუვერენიტეტი თვით რუსეთმა იცნო იმ ხელშეკრულებით, რომელიც არავითარ ეჭვს არ იწვევს. მე ვთხოვ ბ-ნ მთავრობის თავმჯდომარეს, კეთილ ინებოს და განაცხადოს, რომ მისი მთავრობა კვლავინდებურად კეთილგანწყობილია ამ დამოუკიდებლობისადმი. საფრანგეთის სახელით ამისი თქმა, იმ საფრანგეთისა, რომელსაც ღვაწლი მიუძღვის პოლონეთისა და ჩეხეთის დამოუკიდებლობათა დამკვიდრებაში, ჩვენ ნებას მოგვცემს ნუგეში ვცეთ ამ უბედურ ჩაგრულ ერს-ო.

საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარის, პუანკარეს პასუხიც გარკვეული იყო: —

პატივცემულმა ბ-ნმა ერიომ მხოლოდ ის გამოთქვა, რაც თვით მთავრობას ჰქონდა აზრად და რაც უკვე მრავალჯერ სმენია ჩვენგან საქართველოს სახელმწიფოს-ო. საფრანგეთის მთავრობა სცნობს საქართველოს მთავრობას. ამ მთავრობას ჰყავს მისი საკუთარი წარმომადგენელი პარიზში და ეს წარმომადგენელი კე-დორსე-ში მისვლა-მიღების უფლებით არის აღჭურვილი-ო.

გენუის ყრილობაზე 1922 წლის აპრილში ბოლშევიკური რუსეთის წარმომადგენლობამ მოითხოვა ეცნოთ იგი საქართველოს წარმომადგენელადაც. ამის საპასუხოდ ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის წარმომადგენელთა წინადადებით გენუის ყრილობამ უარჰყო რუსების მოთხოვნილება. შემდეგ ამის გამო ილაპარაკა (1922 წ. 2 ივნისს) თვით პუანკარემ, რომელმაც გამოაქვეყნა ის მითითება, რაც მან გენუის ყრილობაზე მყოფ ფრანგულ წარმომადგენლობას მისცა: —

საფრანგეთის მთავრობას, რომელმაც თავის მოკავშირეებთან ერთად დე-იურედ იცნო საქართველოს წინანდელი მთავრობა, არ შეუძლია დღეს რაიმე მოლაპარაკება გამართოს საქართველოს საკითხის შესახებ იმ წარმომადგენლებთან ფაქტიური ძალაუფლებისა, რომელმაც საქართველოდან გამოაძევა მისი წესიერი მთავრობა-ო.

იგივე ამბავი განმეორდა ლოზანის პირველ და მეორე ყრილობაზე, სადაც ბოსფორისა და დარდანელის საკითხი იხილებოდა (1922 და 1923 წ.წ.). აქ რუსეთის მოთხოვნილებით საქართველო და უკრაინა შეტანილ იქმნენ ყრილობის ოქმებში. მაგრამ განმარტებულ იქმნა ყრილობის მთავარი მდივანის მასილის მიერ, ყრილობის თავჯდომარეებთან შეთანხმებით, რომ ეს შეტანა ისე არ უნდა იგულისხმებოდეს, რომ უკრაინა და საქართველო წესიერად არიანო წარმოდგენილნი ყრილობაზე. მასილის წერილი რუსეთის დელეგაციის მდივნის, საბინინის სახელზე მოთავსებულია ყრილობის ანგარი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შებში. როგორც ხედავთ, აქ საქართველოს შესახები მტკიცე გარდაწყვეტილება ცოტა გაიბზარა იმ მოვლენით, რომ საბჭოთა საქართველოსა და უკრაინის ბოლშევიკური წარმომადგენლები მაინც დაშვებული იქმნენ, თუმცა არა წესიერ წარმომადგენლებად.

მაგრამ ამავე ყრილობაზე მოხდა მეორე მნიშვნელოვანი ამბავიც. ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის მოთხოვნით სრუტეებზე შეთანხმებას საბჭოთა წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს მხოლოდ რუსეთის სახელით.

ამას გარდა, სრუტეებისათვის უნდა დაარსებულიყო საკონტროლო კომისია. ამ საკონტროლო კომისიაში უნდა შესულიყო მომავალში საქართველო ,როგორც შავი ზღვის სანაპირო სახელმწიფო. ეს შესვლა, რასაკვირველია, შესაძლებელი იქმნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა საქართველო რუსული ოკუპაციისაგან განთავისუფლდებოდა.

1922 წლის 26 აგვისტოს საქართველოს ელჩმა, აკაკი ჩხენკელმა ისევ მიმართა ერთა ლიგას და მოუწოდა მას განეხილა ქართული საკითხი; იგი სხვათა შორის სწერდა:

... უეჭველია, რუსული ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლაში ქართველმა ერმა მრავალი თანაგრძნობა მიიღო განათლებული კაცობრიობისაგან. სხვა და სხვა სახელმწიფოთა მთავრობებმა არა ერთხელ გამოუჩინეს მას თავიანთი ზნეობრივი დახმარება. პარლამენტებში წარმოთქმული სიტყვები, ადრესები და რეზოლუციები, მიღებული სხვა და სხვა ქალაქთა თვითმართველობათაგან, პოლიტიკური პარტიებისაგან, სინდიკატებისა და მრავალნაირი საზოგადოებისაგან, დიდი და ძლიერი ნუგეში იყო მისთვის. მაგრამ რა მძლავრის ზარის ხმად გაისმოდა ერთა ლიგის ხმა, ამ ერთა შორის დიდის სამსჯავროსი! ... საქართველოს ეროვნული მთავრობა იმედოვნებს, რომ ერთა ლიგა, საერთაშორისო სამართლის მცველი, ამოიღებს ხმას ბოლშევიკური შესაზარი აქტების წინააღმდეგ და გამონახავს ქართველი ერის წამებათა მოსასპობ საშუალებებს.-ო.

ბელგიის წარმომადგენელმა დე-ბრუკერმა ერთა ლიგას შემდეგი წინადადება წარუდგინა: —

„ერთა ლიგის საზოგადო ყრილობა, აღშფოთებული იმ უსაშველო მდგომარეობით, რომელშიდაც იმყოფება დღეს საქართველო, მტერ-შემოსეული და მის მკვიდრთა სურვილის წინააღმდეგ დაჭერილი, მოუწოდებს ლიგის საბჭოს ყურადღებით ადევნოს თვალი ქვეყნის ამ კუთხის ამბებს, რათა ისარგებლოს ყოველივე შემთხვევით, რომელიც კი მიეცემა, ამ ქვეყნისათვის ნორმალური მდგომარეობის დასაბრუნებლად"-ო.

ეს წინადადება, წესისამებრ გადაეცა მეექვსე კომისიას, და დე-ბრუკერმა თვითონვე დაიცვა იგი. სხვათა შორის მან ბრძანა: —

საქართველოს საკითხი არ ეკუთვნის საკითხთა იმ რიცხვს, რომელთა განზე გადადება ადვილად შესაძლებელია. გენუამ მოინდომა მისი წაყრუება! მაგრამ ის დასმულია და მუდამ დაისმება...-ო.

კამათის შემდეგ, რომელში მონაწილეობა მიიღეს ინგლისის, სამხრეთი აფრიკის კავშირის, ფინლანდიის და შვეიცარიის წარმომადგენლებმა, მეექვსე, ანუ პოლიტიკურმა კომისიამ ერთხმად გადასწყვიტა მიიღოს დე-ბრუკერის ზემოდ მოტანილი წინადადება შემდეგი სახით: —

„ერთა ლიგის საზოგადო ყრილობა, ითვალისწინებს რა საქართველოს მდგომარეობას, მოუწოდებს (ერთა ლიგის) საბჭოს ყურადღებით თვალი ადევნოს ქვეყნის ამ კუთხის ამბებს, რათა ყოველი შემთხვევით ისარგებლოს, რომელიც კი მიეცემა და დაეხმაროს მშვიდობიანი და საერთაშორისო სამართლის შესაფერი საშუალებით ეს ქვეყანა ნორმალურ მდგომარეობაში დააბრუნოს".

ერთა ლიგის საზოგადო ყრილობაზე ამ გარდაწყვეტილების დამცველად ისევ ბელგიის წარმომადგენელი დე-ბრუკერი გამოვიდა. მისი შესანიშნავი სიტყვის შემდეგ ერთა ლიგის მესამე ყრილობამ **ერთხმად** მიიღო ზემო-აღნიშნული გარდაწყვეტილება.

ასე დასრულდა პირველი დიდი ბრძოლა საქართველოსათვის საერთაშორისო უფლების ასპარეზზე —

ჯერ კიდევ 1922 წლის აპრილში დაარსდა საქართველოში ეკრეთ-წოდებული „დამკომი", ანუ დამოუკიდებლობის კომიტეტი, რომელში ყველა ქართული პარტია შედიოდა თავისი წარმომადგენლებით. ამ „დამკომმა" 1924 წლის 5 აგვისტოს შედგენილი მოხსენება ერთა ლიგის ყრილობის სახელზე გადმოგზავნა. „დამკომი" ერთა ლიგას თხოვდა ,დახმარებოდა იგი ქართველ ერს, რომლის ერთად - ერთი მოთხოვნილება არის თავისუფალი ცხოვრებაო და საქართველოდან რუსული ჯარების გაყვანას მოითხოვდა.

ქართველი ხალხის აჯანყების დროს (1924 წელში, აგვისტო - სექტემბერში) საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია მიმართავს ერთა ლიგის ყრილობის თავმჯომარეს და უთვლის: —

„მოსკოვის გაუგონარმა შევიწროებამ, რომელიც სამი წელიწადი გრძელდება, სასოწარკვეთილებამდე მიიყვანა ქართველი ერი; საქართველო აჯანყდა. ათი დღეა ის სწარმოებს ბრძოლა ხალხსა და რუსის ჯარებს შორის და იღვრება სისხლი. სოფლები იწვიან. დიდი ხნიდან დაპატიმრებულ პოლიტიკურ მოღვაწეებს გაუსამართლებლად ხვრეტენ. ერი იბრძვის დამოუკიდებლობის აღდგენისათვის, რომელიც მოსკოვის მთავრობამ წაართვა მას, გათელა ფეხ ქვეშ მისი (რუსეთის) და საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულება.

„ვთხოვთ ერთა ლიგას, რომლის დანიშნულებაა სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთაშორისო უკმაყოფილებათა და სისხლისმღვრელ შეტაკებათა აცდენა, ჩაერიოს და წინადადება მისცეს მოსკოვის მთავრობას, შესწყვიტოს სამხედრო მოქმედება საქართველოს წინააღმდეგ და საკითხი საერთაშორისო არბიტრაჟს გადასცეს".

ერთა ლიგის ყრილობაზე წარადგინეს საქართველოს საკითხი. 1924 წლის სექტემბრის 11-ს საფრანგეთის წარმომადგენელმა ერთა ლიგაში, პოლ ბონკურმა წარმოთქვა სიტყვა საქართველოს აჯანყების შესახებ. საფრანგეთის, ინგლისის და ბელგიის წარმომადგენლებმა ერთა ლიგას წარუდგინეს რეზოლუციის გეგმა. ეს გეგმა წესისამებრ მეექვსე კომისიას გადაეცა, რომელმაც თავის მხრივ აირჩია მცირე კომისია ყრილობისათვის მოხსენების წარსადგენად. ამ მცირე კომისიის მოხსნება მეექვსე კომისიამ ერთა ლიგის საზოგადო კრებას გადასცა. კომისიის მოხსენება შემდეგი იყო: —

„საზოგადო კრება განაახლებს 1922 წლის 22 სექტემბრის, მესამე საზოგადო კრების მიერ საქართველოს შესახებ მიღებულ რეზოლუციას და მოუწოდებს საბჭოს, ყურადღებით თვალი ადევნოს ქვეყნის ამ კუთხის ამბებს, რათა ისარგებლოს ყოველი შემთხვევით, რომელიც კი მიეცემა, და მშვიდობიანი და საერთაშორისო სამართლის საშუალებით ხელი შეუწყოს ამ ქვეყნის ნორმალურ პირობებში დაბრუნებას".

„მესამე საზოგადო კრებამ, გამსჭვალულმა იმ გრძნობით, რომელსაც, დარწმუნებული ვართ, ახლაც ერთსულოვნად იზიარებენ ჩვენი კოლეგები, დაავალა საბჭოს თვალყურის დევნა მდგომარეობაზე და ყოველივე შემთხვევის გამოყენება ამ მდგომარეობისათვის მშვიდობიანი და საერთაშორისო სამართლის შესაფერი საშუალებით დასახმარებლად.

„ამ მდგომარეობის ძირითადი მიზეზები არ შეცვლილა და ის ტრაგიკული ამბები, რომელიც დღეს ხდება საქართველოში, იმავე წუხილს გვიახლებს, რომელსაც განიცდიდა მესამე კრება. 1922 წლის რეზოლუცია რაკი მიღებული იყო, უფლება გვაქვს გამოვთქვათ იმედი, რომ იმ სახელმწიფოთა მთავრობანი, რომელნიც ლიგის წევრად ითვლებიან, დაეხმარებიან საბჭოს ან ინფორმაციის მიწოდებით, ან თავიანთი გავლენის მიშველებით.

„კომისია თხოვს კრებას კეთილ ინებოს და ბრძანოს ამ მოხსენების საბჭოსათვის გადაცემა, რათა ამ უკანასკნელს შეეძლოს იმ დროს და იმ სახით, რომელსაც თვითონ მიიმჩნევს ხელსაყრელად, გამოიყენოს შიგ ჩართული დარიგებანი"-ო.

ამ მოხსენების შემდეგ კამათში მონაწილეობა მიიღეს და საქართველოს მხარი დაუჭირეს კანადის წარმომადგენელმა მაკ-დონალდმა, ინგლისისა — პროფესორმა მურეიმ, იტალიისა — ბონინ-ლონგარმა, ბელგიისა — დე-ბრიუკერმა და საფრანგეთისამ — ბონემ.

ერთა ლიგის საზოგადო კრებამ ერთხმად მიიღო შემდეგი გარდაწყვეტილება: —

ერთა ლიგის „საზოგადო კრება არდგენს: მეექვსე კომისიის მოხსენება საქართველოს მდგომარეობის შესახებ გადაეცეს (ერთა ლიგის) საბჭოს, რათა შეეძლოს მხედველობაში მიღება ყველა იმ აზრებისა, რომელთაც შეიცავს მოხსენება, იმ დროს და იმ სახით, რომელთაც თვითონ მიიმჩნევს ხელსაყრელად".

ამ გარდაწყვეტილებაზე დაყრდნობით, მეორე დღესვე, 12 სექტემბერს 1924 წ. საქართველოს მთავრობის წარმომადგენელმა ერთა ლიგის საბჭოს თავისი მოხსენება მიართვა. ქართ. მთავრობა თხოვდა საბჭოს განეხილა მას საქართველოსა და რუსეთის დავა და მიეღო შესაფერი ზომები ამ დავის ამოსაწურავად.

მეორე მხრივ, საქართველოსათვის მუშაობა მიმდინარეობდა ევროპის საზოგადოებრივი აზრის დასამუშავებლად და ინტერნაციონალურ - სოციალისტურ ასპარეზზე. მთავარი იყო საქართველოს გაცნობა და მისი არსებობის შესახებ ცნობათა გავრცელება, ვინაიდან პოლიტიკური გეოგრაფიიდან მეფის რუსეთის მიერ ამოშლილ საქართველოს ძალიან ცოტა ხალხი იცნობდა. ქადაგება პრესაში, პარტიებში, ყრილობებზე და საპარლამენტო სხდომებზე ამ მიზანს ემსახურებოდა.

1919 წლის დასაწყისში შვეიცარიაში, ქალაქ ბერნში მოეწყო სოციალისტური ინტერნაციონალის ყრილობა, რომელმაც გაიცნო საქართველოს საკითხი და გადასწყვიტა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მხარი დაეჭირა. 1919 წლის ამსტერდამის სოციალისტურმა ყრილობამ, 1920 წლის ლიუცერნის სოციალისტურმა ყრილობამ, 1920 წლის ჟენევის სოციალისტურმა ყრილობამ, მიიღეს დადგენილება საქართველოსათვის დამოუკიდებლობის მოპოვებაში ხმარის დაჭერის შესახებ.

ეს იყო დიდი მოსამზადებელი მუშაობა. ამ დადგენილებებმა მაშინ თავისი გავლენა იქონია ევროპის პოლიტიკაზე საქართველოს იურიდიულად აღიარების საქმეში. მაგრამ მალე ევროპის სოციალისტურ პარტიებს ახალი საზრუნავი გაუჩნდათ და ეს იყო საქართველოს დაკავება ბოლშევიკური რუსეთის მიერ...

1921 წლის 10 მარტს, პარიზში მყოფმა ირაკლი (კაკი) წერეთელმა და 27 მარტს სტამბოლში მყოფმა ნოე ჟორდანიამ, კარლო ჩხეიძემ, ნოე რამიშვილმა და ევგენი გეგეჭკორმა მიმართეს ევროპის სოციალისტურ პარტიებს და პროფესიულ ორგანიზაციებს მოწოდებით და თხოვდნენ მათ დახმარებას, რათა რუსეთს საქართველოდან თავისი ჯარები გაეყვანა და დამოუკიდებლობა აღედგინა. ამ მოწოდებამ დიდი თანაგრძნობა და გამოხმაურება ჰპოვა და მოსკოვის მთავრობის იმპერიალისტური თავდასხმისა და მის მიერ საქართველოს ოკუპაციის წი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაალმდეგ დადგენილებანი გამოიტანეს: ინგლისის ტრედ უნიონების და მუშათა პარტიის შეერთებულმა კომიტეტმა, გერმანიის სოციალდემოკრატიული პარტიის ორივე ფრთამ, საფრანგეთის, ბელგიის, ესპანეთის, შვეიცარიის, ჩეხოსლოვაკიის, შვეციის, დანემარკის იტალიის, ავსტრიის, იუგოსლავიის, ბულგარეთის, ბალტიის სახელმწიფოთა და პოლონეთის სოციალისტურმა პარტიებმა. ყველა დადგენილება მოითხოვდა რუსეთისაგან, მას საქართველოდან გაეყვანა თავისი ჯარები და ქვეყნის დამოუკიდებლობა აღედგინა.

ეგრეთ-წოდებულმა ვენის ინტერნაციონალურმა ბიურომ 1921 წლის 8 ივლისს, თავისი დადგენილებით მოითხოვა ბოლშევიკური ჯარების საქართველოდან დაუყონებლივ გაყვანა და ქართველი ერისადმი თვითგამორკვევის უფლების მინიჭება.

1921 წელს ივლისში შემდგარმა, კოპენჰაგენში, ინტერნაციონალურ-სოციალისტურმა ყრილობამ წინადადება მიიღო, სოციალისტებისა და კომუნისტებისაგან შემდგარიყო საერთაშორისო კომისია, რომელსაც უფლება ეჭნებოდა ქართველი ერის სურვილი მმართველობის შესახებ თავისუფალი და საყოველთაო კენჭისყრით გამოერკვია. ამის შესახებ მოსკოვს მიმართეს, მაგრამ ყოველი ცდა უშედეგო გამოდგა.

1921 წ. მუშათა ინტერნაციონალის აღმასრულებელმა კომიტეტმა მოითხოვა: მოსკოვს გაეყვანა ჯარები საქართველოდან.

1922 წ. 2 აპრილს ,ბერლინში შემდგარმა სამი ინტერნაციონალის აღმასრულებელმა სხდომამ აირჩია ცხრა პირისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც უნდა მოემზადებინა საერთაშორისო სოციალისტური ყრილობის მოწვევა და ამას გარდა უნდა განეხილა ყველა საბუთი საქართველოს შესახებ. სწორედ ამ დროს საქართველოს ერთ კუთხეში, სვანეთში, იწყება შეიარაღებული ბრძოლები ბოლშევიკების წინააღმდეგ და მეორე ინტერნაციონალის კომიტეტი თხოვს მოსკოვს შეაჩეროს სამხედრო მოქმედებანი და საკითხი გადაეცეს ცხრა-წევრიან კომისიას გასაშინჯად. მაგრამ ამ კომისიიდან ბოლშევიკები გავიდნენ და ამგვარად იგი დაიშალა (1922 წ. მაისში).

1922 წ. 18 ივნისს ლონდონში მეორე ინტერნაციონალის ყრილობამ და 1923 წ. საერთაშორისო სოციალისტურმა ყრილობამ ჰამბურგში დაადასტურა ყველა ის გადაწყვეტილება საქართველოს შესახებ, რაც მიღებული იყო მუშათა ინტერნაციონალისა და ევროპის სოციალისტურ პარტიათა მიერ: —

„ყრილობა ადასტურებს მეორე ინტერნაციონალისა და სოციალისტური პარტიების ვენის გაერთიანების რეზოლუციებს საქართველოს შესახებ; იგი მოითხოვს საქართველოდან საბჭოთა ჯარების გაყვანასა და ქართველი ხალხის სუვერენობის აღდგენას“-ო.

მაგრამ ევროპის პოლიტიკის ვითარება ისე მიდის, რომ ევროპიული სახელმწიფონი, რომელნიც აქამდე საბჭოთა რუსეთს უარყოფითად უყურებდნენ და სოციალისტური პარტიებიც, რომელნიც აქამდე რუსულ ბოლშევიკურ პარტიას სოციალისტურად მოღვაწეთ არ სთვლიდნენ, ახლა უკვე მზად არიან საბჭოთა რუსეთი სცნონ და კომუნისტურ მთავრობასთან და პარტიასთან თანამშრომლობა გასწიონ. ეს გამოირკვა უკვე ჰამბურგში ინტერნაციონალის სხდომაზე, მაგრამ საქართველოსათვის მაინც რჩებოდა პირობა მისი დაცვის შესახებ.

1924 წლის თებერვალში, ჰამბურგის გაერთიანებული სოციალისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა ლუქსემბურგში შემდეგ გადაწყვეტილებას ადგება: —

„იღებს რა მხედველობაში, რომ საბჭოთა მთავრობის იურიდიული ცნობა ევროპის მთავრობათა დღის წესრიგში დგას, აღმასრულებული კომიტეტი მოუგონებს ინტერნაციონალში შემავალ პარტიებს, რომ თანახმად ჰამბურგის ყრილობის დადგენილებისა, სოციალისტური პარტიები, როცა ისინი მოითხოვენ თავიანთი მთავრობებისაგან საბჭოთა მთავრობის ცნობას, ვალდებული არიან იზრუნონ ამ აქტმა ხელი არ შეუშალოს საქართველოში სამხედრო ოკუპაციის შეწყვეტის შესახებ მოლაპარაკებას. აღმასრულებელი კომიტეტი მოუწოდებს ყველა სოციალისტურ პარტიას, გასწიოს შესაფერი ქადაგება საქართველოდან საბჭოთა საოკუპაციო ჯარების გაყვანის სასარგებლოდ“-ო.

1924 წ. 28 სექტემბერს ლონდონში შეკრებილმა სოციალისტური ინტერნაციონალის ყრილობამ დაჰგმო ბოლშევიკების მხეცური მოქმედება და ტერორი საქართველოში აჯანყებულთა და უბრალო ხალხის მიმართ და კვლავ მოუწოდა სოციალისტურ პარტიებს, რათა მათ ენერგიულად მხარი დაუჭირონ ქართველი ხალხის მოთხოვნილებას რუსული ჯარის საქართველოდან გაყვანის შესახებ.

1925 წ. აგვისტოს დამლევს მარსელში შეიკრიბა სოციალისტური ინტერნაციონალის მეორე კონგრესი, რომელმაც გამოაცხადა, რომ იგი იცავს ერთა სრულ თვითგამორკვევის უფლებას „საბჭოთა კავშირის ერთათვის, რევოლუციის ხანაში მოიპოვოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, როგორც სომხეთმა, საქართველომ, უკრაინამ და სხვა“.

რასაკვირველია, ყველა ეს გარდაწყვეტილება, მრავალი დადგენილება, ბევრი წერილი ჟურნალ-გაზეთებში, სიტყვები პარლამენტებში და ყველა ევროპიული ქვეყანის პარტიული აუარებელი რეზოლუცია საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

განთავისუფლების შესახებ, ამ ქვეყანას დამოუკიდებლობას ვერ მიანიჭებდა, მაგრამ ეს ლაპარაკი და წერა, მოქმედება და ქადაგება საქართველოს საკითხს აფართოებდა, მსოფლიოში მას თანაგრძნობას უწევდა და მის საერთაშორისო ცნობასა და მდგომარეობას ამაგრებდა.

ოღონდ სახელმწიფონი არ ხელმძღვანელობენ გრძნობითა და თანაგრძნობით, სიყვარულით და სიძულვილით, არამედ შესაძლებლობითა და ანგარიშით. ხოლო ანგარიში კი იმ დროს მოითხოვდა, რომ ევროპას საბჭოთა რუსეთთან ურთიერობა დაეჭირა და მასთან ვაჭრობა გაემართა. ამ საფუძველზე ჯერ გერმანიამ და მერმე იტალიამ. ხოლო შემდეგ, 1924 წ. ინგლისმა, იცნეს საბჭოთა მთავრობა. მაგრამ ინგლისმა აშკარად ვერ გასთელა საქართველოს უფლება და ამიტომ დიპლომატიურ ხრიკს მიმართა, რაც მერმე საფრანგეთმაც გაიმეორა.

1924 წლის 1 თებერვალს ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა კომისარს ასეთ წერილს უგზავნის :—

„პატივი მაქვს ჩემი მთავრობის მითითებათა თანახმად, თქვენს აღმატებულებას ვაცნობო, რომ იგი სცნობს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს, როგორც იურიდიულ მთავრობას **ძველი რუსეთის იმ ტერიტორიებზე, რომელნიც სცნობენ მის ხელისუფლებას**“-ო.

როგორც იუწყებოდნენ, ამით იგულისხმებოდა საქართველო, რომელიც საბჭოთა მთავრობას არა სცნობდა.

საფრანგეთის მთავრობამაც აღიარა დე-იურედ საბჭოთა კავშირის მთავრობა და ამის შესახებ საფრანგეთის მთავრობის თავჯდომარე ერიომ პარლამენტში განაცხადა 1924 წლის 17 ივნისს, ხოლო იმავე წლის ოქტომბრის 28-ს საფრანგეთის მთავრობა სწერს საგარეო საქმეთა კომისარს ჩიჩერინს: —

საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობა ,ერთგული იმ მეგობრობისა, რომელიც რუსეთისა და საფრანგეთის ხალხებს აერთიანებს, დღეიდან სცნობს იურიდიულად სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის მთავრობას, როგორც მთავრობას ძველი რუსეთის იმპერიის იმ ტერიტორიებზე, სადაც მისი ხელისუფლება მიღებული არის მკვიდრთაგან-ო.

აქაც საქართველოს საკითხი იგულისხმება. თუმცა მიმალულად. მაგრამ ორი ცნობის შედეგად ,ლონდონში გაუქმდა საქართველოს წარმომადგენლობა, ხოლო საფრანგეთში კი დარჩა ჯერჯერობით, სანამ მან საბჭოთა კავშირთან თავდაუსხმელობისა და მეგობრობის ხელშეკრულება არ დასდო. ამის დროც მოვიდა. გერმანიით დაშინებულმა საფრანგეთმა გადასწყვიტა საბჭოთა კავშირთან თავდაუსხმელობის და მეგობრობის ხელშეკრულება დაედო. ამ შემთხვევაში უკვე საქართველოს საელჩოს არა ეშველებოდა რა. 1932 წლის 29 ნოემბერს საბჭოთა რუსეთმა და საფრანგეთმა ხელი მოაწერეს თავდაუსხმელობის პაქტს და 1933 წლიდან საქართველოს საელჩო პარიზში გაუქმდა. ამ საქმის შესახებ საფრანგეთის პარლამენტში კამათის დროს ძალაუნებურად საქართველოს საკითხი წამოიჭრა და სოციალისტმა მუტემ მხურვალე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს შესახებ, ხოლო მეორე დეპუტატმა, სოციალისტმა, პოლ რენოდელმა განმარტა:

„ჩვენ უპირობოდ ვაძლევთ ხმას ხელშეკრულებას, მაგრამ ეს ხმა ცოტა არ იყოს, მელანქოლიით არის მოსილი, რადგანაც ის ცვაიძულებს იმის დადასტურებას, რომ ზოგჯერ დიდ საზოგადო აქტების წინაშე კაცი იძულებული არის თავის პოლიტიკაში დათმოს ნაკლები მნიშვნელობის მისი ნაწილები, თუმცალა ძლიერად ედოს მათთვის გული. თქვენ მიმხვდარი იქნებით, რომ საქმე ეხება ის სადარდელს, რომელიც აღნიშნა ჩემმა მეგობარმა მუტემ საქართველოზე.

„საქართველო, თქვენ იცით, პატარა ქვეყანაა. მისი დამოუკიდებლობა ფაქტიური და იურიდიული იცნო სახელმწიფოთა მთელმა რიგმა და მათ შორის საფრანგეთმა. საქართველოს საკითხი ერთა ლიგის მნიშვნელოვან და საქართველოსათვის სასარგებლო მსჯელობის საგანი იყო.

„უნდა ვიფიქროთ, რომ თავდაუსხმელობის პაქტი, სცვლის დღეს საფრანგეთის პოზიციას საქართველოს მიმართ?

„მე კარგად ვიცი, და კიდეც ვუთხარი ეს ჩემს ქართველ მეგობრებს: ცამეტი წლის შემდეგ ძნელია იმის წარმოდგენა, რომ იმ მთავრობის არსებობა, რომელმაც, რა მიზეზითაც არ იყოს, დასტოვა თავისი ქვეყანა, დაუსრულებლად და მუდმივ იყოს ცნობილი და მიმჩნეული.

„მაგრამ მე მსურს... (საფრანგეთის) რესპუბლიკამ არ დაივიწყოს, რომ მას არ უცვნია ის მოვლენა, რომელიც ძალმომრეობითი ოკუპაციას წარმოადგენს.

„დავუმატებ, რომ ძალმომრეობა ვერ დაჰფარავს სამართალს, რომელსაც არავითარი ვადა არა აქვს, როდესაც საქმე ეხება ხალხის უფლებას: თავისი ბედი თვითონ განაგოს“-ო.

ასეთი ლამაზი და რაინდული სიტყვით დასრულდა საქართველოს საელჩოს საკითხი საფრანგეთში.

საერთაშორისო პოლიტიკაში ანგარიში და ინტერესი სჭარბობს. მხოლოდ ამ ინტერესთა საქართველოს მხარეზე გადაწევასა და გადასვლას შეუძლია საქართველოს განთავისუფლება და მისი დამოუკიდებლობის აღდგენა.

ანგარიშმა და ინტერესმა მოითხოვა ახლა, რომ საბჭოთა კავშირი ერთა ლიგის წევრად გამხდარიყო. ერთად - ერთი ქვეყანა, რომელმაც ,ამ შემთხვევაში საქართველოს უფლება დაიცვა, იყო შვეიცარიის წარმომადგენელი მოტა ,რომელსაც მხარი დაუჭირა ჰოლანდიის წარმომადგენელმა. ერთა ლიგის მეექვსე კომისიის სხდომაზე, სადაც საბჭოთა კავშირის მიღების საკითხი ირჩეოდა, მოტამ განაცხადა, სხვათა შორის: —

ეროვნული ბიბლიოთეკა

„როდესაც ის (საბჭოთა კავშირი) იქნება მიღებული (ერთა ლიგაში), საბჭო და საზოგადო კრება (ლიგისა) იქნებიან დაყენებულნი რამოდენიმე ღიად დარჩენილი საკითხის წინაშე. საერთო კრების მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ გამოტანილი რეზოლუციები ვერ დაიძინებენ მკვდარის ძილით. სომხეთი, უკრაინა, სხვა ქვეყნები, კიდევ იპოვნიან გაბედულ პირთ, რომელნიც განაგრძობენ მათ ბედ-ღიბალზე ზრუნვას. არ შეიძლება ითქვას: აწ ეგ საკითხნი არ დაისმებიანო! მთელი მსოფლიოს სიმპატიები თან ახლავთ იმ გმირთ, რომელნიც იცავენ თავის სიცოცხლეს და თავის ბედს. ასეთ კითვებს **ვერ გააბათილებს დროთა მსვლელობა**“-ო.

1924 წ. 18 სექტემბერს ერთა ლიგის ყრილობამ საბჭოთა კავშირი თავის წევრად გახადა, ხოლო დაპყრობილ ერთა წარმომადგენლებმა ერთა ლიგის თავმჯდომარეს, სანდლერს მიმართეს წერილით, რომელშიც ნათქვამია:—

„კავკასიის, თურქესტანის და უკრაინის ხალხთა სახელით ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ საბჭოთა მთავრობის მიღებაზე და უარს ვყოფთ მის უფლებას, ჩვენი ერების წარმომადგენლობა დაიჩემოს და მათი სახელით ილაპარაკოს“-ო...

მას შემდეგ არ ერთხელ დასმულა საქართველოს საკითხი, ოღონდ ამ ისტორიის მოთხრობა ძალიან შორს წაგვიყვანდა...

რა საერთაშორისო მდგომარეობა აქვს საქართველოს და როგორია მისი ვითარება საერთაშორისო უფლების მიხედვით?

ჩვენ აქ უნდა გავიმეოროთ პარიზის უნივერსიტეტის საერთაშორისო უფლების პროფესორის, ლე ფურის აზრი ამ საკითხზე: —

„საქართველო უფლებრივად მუდამ დამოუკიდებელი სახელმწიფოა. ძალადობის ფაქტი მოხდა და დამოუკიდებელ საქართველოს სახელმწიფებრივი უზენაესობა წაერთვა. უფლებრივად იგი დღესაც მოსილია თავისი სუვერენობით. საქართველო უფლებრივად არსებობას განაგრძობს. იგი მოწოდებულია კიდევ გაცოცხლდეს, როგორც კი მოისპობა ის ფაქტიური დაბრკოლება, რომელიც მას წინ ეღობება“ -ო.

და ამას დავძენთ: ეს ფაქტიური დაბრკოლება, რომელიც დღესაც არსებობს, დღეს არა — ხვალ; ხვალ არა — ზეგ; ზეგ არა — მასზეგ უეჭველად მოისპობა. ეს გარდაუვალი განაჩენია ისტორიისა.

ბ. ბებურიშვილი

სახელმწიფონი, რომელთაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა იურიდიულად აღიარეს და იცვნეს:

თურქეთი	3 ივნისს 1918 წ.
არგენტინა	13 სექტემბერს 1919 წ.
საბჭოთა რუსეთი	7მაისს 1920 წ.
გერმანია	24 სექტემბერს 1920 წ.
ბელგია	27 იანვარს 1921 წ.
საფრანგეთი	27 იანვარს 1921 წ.
ინგლისი	27 იანვარს 1921 წ.
იტალია	27 იანვარს 1921 წ.
იაპონია	27 იანვარს 1921 წ.
პოლონეთი	28 იანვარს 1921 წ.
ავსტრია	17 თებერვალს 1921 წ.
რუმინეთი	18 თებერვალს 1921 წ.
ლუქსემბურგი	23 თებერვალს 1921 წ.
ჰაიტი	9 მარტს 1921 წ.
ლიბერია	28 მარტს 1921 წ.
მექსიკა	14 აპრილს 1921 წ.
პანამა	26 აგვისტოს 1921 წ.
სიამი	20 ნოემბერს 1921 წ.

არ დაცალდა საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკას ყველა დანარჩენი სახელმწიფოს მიერ ცნობილი ყოფილიყო, რადგან საბჭოთა რუსეთმა მას ადრევე წარსტაცა დამოუკიდებლობა და თავისუფლება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პ. სარჯველაძე

დამოუკიდებლობის ხანა

სამი წელი იარსება საქართველოს დამოუკიდებელმა დემოკრატიულმა რესპუბლიკამ. მისი არსებობის ეს ხანა იმდენად მდიდარია საზოგადოებრივი ცხოვრების შინაარსით, რომ იგი აუცილებლად აღინიშნება ცალკე ეპოქად ჩვენ მრავალსაუკუნოვან მატიანეში...

მას შემდეგ რაც საქართველო მსხვერპლი გახდა გარეშე ძალისა და გადაიჭრა გზა ალმავალი, ქართველი ერის ისტორიის ფალსიფიკატორები ქმნიან ლეგენდებს, ამახინჯებენ ფაქტებს, იგონებენ ჭორებს, რათა ახალ თაობებს მოაჩვენონ — საქართველოს დამოუკიდებლობის სამი წელი, ვითარცა ქართველ მშრომელთა სატანჯველი, სულშემხუთავი, მჩაგვრელი და მათი ქვეყნის ეროვნული წარმატების შემზღუდავი. ამით მათ სურთ აღმოფხვრან ქართველი ხალხის გულიდან ბრძოლის სურვილი დამოუკიდებელი, თავისუფალი ცხოვრების აღსადგენად.

ეს ცდები წინასწარ განწირულია. ჩვენი ხალხის დაბრიყვება ძნელი მისაღწევია. ამისი თავმდებია მისი ისტორიული წარსულის მაგალითები.

მართალია, მიმდინარე, ატომური და ტეხნიკური განვითარების პირობები მოითხოვს განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალ მეთოდებს და ფორმებს, მაგრამ ახალ გარემოცვაში ქართველი ერი შეძლებს გამონახოს კულტურულ-პოლიტიკური გზები თავისი ეროვნული სახეობის შესანარჩუნებლად და ხელსაყრელ პირობებში ეროვნული თავისუფლების აღსადგენად.

ნახევარი საუკუნეა, რაც საქართველომ გადაიძრო რუსეთის მონობის უღელი და გამოაცხადა დამოუკიდებლობა... თავისუფლება არც ციდან ჩამოვარდნილა და არც ადვილად დამაგრებულა და განმტკიცებულა...

ეს იყო ნორმალური მოვლენა. ოთხი წლის ომმა გააჩანაგა რუსეთის (რომლის ნაწილი ჩვენ ვიყავით) ეკონომიური დოვლათი, მოშალა სამრეწველო დარგები, ტრანსპორტი და სხვა.

მას შემდეგ, რაც რუსეთმა სიტყვა გასტეხა, მფარველობა დაპყრობით შესცვალა, ჩვენი ქვეყანა ორ გუბერნიად აქცია, რუსული ჯარი და ბიუროკრატია გაუჩინა დარაჯად, — მას მოესპო ყოველგვარი, დამოუკიდებელი ეკონომიური და სოციალური ცხოვრების განვითარების შესაძლებლობანი. რუსეთი დაინტერესებული იყო უზრუნველეყო თავისთვის სტრატეგიული პუნქტები და გაევრცელებინა თავისი გავლენა კავკასიაში და აქედან წინა აზიაში, ამისთვის მას სჭირდებოდა კავკასიის ხალხების და კერძოდ ჩვენი ხალხის მორჩილება და კეთილ-საიმედობა. თუ მაშინდელ კოლონიებში ევროპის ქვეყნებს შეჰქონდათ კაპიტალი და ცოდნა, ეს რუსეთს არ შეეძლო, რადგან არ ყოფილა საქართველოზე უფრო მდიდარი არც ცოდნით, არც კაპიტალით...

ცხადია, ჩვენი ქვეყანა იყო ლარიბი, რუსეთთან ხელოვნურად გადაბმული და ეკონომიურად მისგან დამოკიდებული. საქართველოს საერთო საზოგადოებრივი ეკონომიური ცხოვრების სადავე იმას ეჭირა ხელში, ვინც საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში პოლიტიკურად ჩვენში ბატონობდა... ეს იყო რუსის ბიუროკრატიული სამმართველოები.

თუ გავიხსენებთ თებერვლის რევოლუციისა და ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ პოლიტიკურ მოვლენებს, სახელდობრ: კავკასიის ერთა სახელმწიფო ორგანიზაციის ჩამოყალიბება, შემდეგ სამ რესპუბლიკად დაყოფა, მეზობელთა შორის დავა და უთანხმოება, ოსმალეთის ჯარების შემოსევა ახალციხის და გურიის საზღვრებში, ტრანსპორტის მოშლა, მწვავე სასურსათო კრიზისი, საქართველო მოწყვეტილი დასავლეთს, საომარი ვითარების გამო, თქვენ წინ წარმოგიდგებათ ჩვენი პატარა ქვეყანა, განკერძოებული, განმარტოებული, — არსაიდან მისი დამხმარე და მშველელი; მიშვებული საკუთარი თავის ამარად, დაყრდნობილი საკუთარ ძალაზე და ლარიბ საშუალებებზე.

და აი, ამ აფორიაქებულ პირობებში უხდებოდა ერს სახელმწიფო ორგანიზმის ჩამოყალიბება.

მთელმა ერმა, მისმა ყველა ნაწილმა განსაკვიფრებელი ,უსაზღვრო ენტუზიაზმი, აღტკინება, აღფრთოვანება გამოიჩინა.

ეროვნული თავისუფლების სიყვარულმა, საკუთარი ქართული სახელმწიფოს დამკვიდრების და მისი მომავლის აღორძინების იმედებმა გადაავიწყა მოსახლეობას ნივთიერი გაჭირვება; არ შეუშინდა სიმარტოვეს, მრავალ დაბრკოლებას და მხნედ შეუდგა აღმშენებლობის საქმეს.

რა გაკეთდა? რას მივაღწიეთ? როგორ პირობებში' — ყველა ამისი დაწვრილებითი აღწერა მომავალ ისტორიკოს უნდა მივანდოთ... დავკმაყოფილდეთ ზოგად მოვლენათა აღნიშვნით.

საშინაო პოლიტიკა. საშინაო პოლიტიკის უმთავრეს საზრუნავ საგანს შეადგენდა მონაპოვარი თავისუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფლების დაცვა, საყოფაცხოვრებო წესების ეროვნულ საფუძველზე დამყარება.

პირველად ყოვლისა საქართველომ უარჰყო როგორც რუსული, ისე ფეოდალური საქართველო და გადაესკვნა კლასიკურ საქართველოს, ესე იგი, იყოს ნაციონალური, მთლიანი, თავისი თავის პატრონი და წინამძღოლი. ამ საფუძველზე აშენდა თანამედროვე ფორმის და შინაარსის ეროვნული სხეული, მოთავსდა ახალ პოლიტიკურ და ეკონომიურ სფეროში. გამოცხადდა სუვერენობა ერისა და ხალხის, დამყარდა ნამდვილი ხალხური მმართველობა. ადგილობრივად ეს გამოიხატა დემოკრატიული ერობის შემოღებით, სამაზრო ერობებს გადაეცათ სახელმწიფოებრივი მართველობის უფლება ადგილობრივ. ერობის ძირითადი ორგანო იყო სამაზრო ერობის ხმოსანთა კრება, საყოველთაო ხმის მიცემით არჩეული; მას ექვემდებარებოდა ერობის აღმასრულებელი ორგანო.

ერობები შეუდგნენ სოფლად სკოლების და ბიბლიოთეკების გახსნას. გზების გაყვანას. საცდელი მინდვრების შემოღებას, ჯაობების ამოშრობას, საექიმო პუნქტების დაარსებას...

სულ მცირე დროის მანძილზე ჩამოყალიბდა საადმინისტრაციო სამმართველოები. ყველანი ესენი მოწყობილი იქმნენ ეროვნულ ნიადაგზე.

გაჭრა მიწერ-მოწერა უცხო ენაზე; გაჭრა დედა-ქალაქში უცხო წარწერები; თბილისი გაქართულდა, ქართველი ქალაქის თავით და ქართველ მხოსანთა კრებულით...

კულტურული მუშაობა. როცა საქართველო რუსეთის ნაწილს შეადგენდა სწავლა-განათლების საქმე არას - დროს ყოფილა ჩვენში მოწყობილი. უმთავრესია სკოლების რეორგანიზაცია, განახლება უნდა მომხდარიყო ეროვნულ ნიადაგზე, რაც შესრულებულ იქმნა სწავლა. განათლების მუშაკთა მიერ ფართო მუშაობის გაწევით. მოხდა გაეროვნება როგორც დაბალ და უმაღლეს პირველ - დაწყებით სასწავლებლებში, ისე თვით საშუალო

სკოლებშიდაც; შემოღებულ იქმნა საყოველთაო სავალდებულო პირველ-დაწყებითი სწავლა. 1919 წ. სექტემბერში გაიხსნა ახალი 166 პირველ-დაწყებითი სკოლა, ხოლო ამავე წლის დასასრულს რესპუბლიკაში ირიცხებოდა 15.000 პირველ - დაწყებითი სკოლა. გეგმის თანახმად 1923 წლისათვის ჩვენი ქვეყანა უზრუნველ - ყოფილი იქნებოდა სკოლათა სათანადო ქსელით. განათლების სამინისტროსთან დაარსებული იყო საგანგებო კომიტეტი ცნობილ მეცნიერთა და პედაგოგთა მონაწილეობით; გაიხსნა სხვა და სხვა სამაზრო ცენტრებში სამოსწავლო სემინარიები და თვით თბილისში კი უმაღლესი პედაგოგიური ინსტიტუტი; განსაკუთრებული ყურადღება მიექცა აგრონომიულ და ტეხნიკურ განათლებას, რომლის ამოცანა უნდა ყოფილიყო პირველ ყოვლისა ნორჩი ერობების დაკმაყოფილება ინსტრუქტორებით და საჭირო ტეხნიკური ძალებით... თავისუფალ საქართველოში თვალსაჩინო გამოცოცხლება და წინსვლა დაეტყო მწერლობას, ხელოვნებასა და მეცნიერებას. მწერლობაში ჩნდება შემოქმედების ახალ გზათა ძიება. არავითარი შეზღუდვა! არავითარი ზევიდან დაწოლას არ განიცდიდა ლიტერატურული შემოქმედება; პირიქით, ყველას ენიჭებოდა სრული თავისუფლება.

ყველა პარტიას ეძლეოდა სრული უფლება კრიტიკისა, თავისუფლება წერისა, სიტყვისა, კრების, თვით ბოლშევიკურ პარტიასაც, სანამ იგი არ დაადგა შეთქმულების გზას საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ.

დიდი ყურადღება ექცეოდა თეატრებს. ქართული ოპერაც მაშინ ჩაისახა და მოკლე დროში თვალსაჩინოდ გაიფურჩქნა.

მოკლედ, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გაჩაღდა კულტურული მუშაობა.

აგრარული რეფორმა. მიწის საკითხის გადაჭრა უდიდესი მნიშვნელობის იყო ჯერ თვით რუსეთში „მიწა და თავისუფლება", აი ლოზუნგი, რომლის განხორციელებაზე იყო დამოკიდებული რუსეთის რევოლუცია. თუ გლეხობას არ მიეცემოდა სამართლიანი დაკმაყოფილება, ის შეეცდებოდა რევოლუციური გზით და შეიძლება ანარქიულ პირობებში მის დაპატრონებას. თუ ასე იდგა საკითხი მთელ რუსეთში, არც კავკასია და მით უმეტეს არც საქართველო არ წარმოადგენდა გამონაკლისს.

ჩვენი გლეხობა, რომელიც შეადგენდა მოსახლეობის 80—90 პროცენტს, იმყოფებოდა ნახევრად ყმურ დამოკიდებულებაში.

სასკოლო, სასოფლო, საერობო, საგზაო, საბალახო გადასახადი მას მძიმე ტვირთად აწვა. ზოგს ამათგანს ჰქონდა არა რეალური, ან საყოველთაო გადასახადის ხასიათი, არამედ წოდებრივი. მაგალითად, გზის ბეგარას იხდიდა მხოლოდ გლეხკაცობა, თუმცა გზით ყველა სარგებლობდა. გადასახადებისაგან დატვირთული გლეხობა ვერ ახერხებდა სოფლის მეურნეობის შესაფერისად მოვლას და მის გაუმჯობესებას. ამას თან ერთვის მიწის მფლობელობის წესი, მიწის მუშის დიდი უმრავლესობა მოიჯარადრე იყო. ე .ი. გლეხი იძულებული იყო 15 პროცენტი მთელი შემოსავალისა ეძლია ხაზინისათვის, თუ მიწა სახაზინო იყო, ანდა მემამულისათვის მოსავალის ერთი მეოთხედი.

გავიხსენოთ აგრეთვე, რომ ყველაზე მეტი დიდი მემამულე ჩვენში იყო ხაზინა. ქართული სამეფოს გაუქმების შემდეგ რუსული ხაზინა დაეპატრონა ჩვენს სამეფო მამულებს, მაღალი წოდების მიწას, მინდორ-ველებს; მოსპო თუ არა ეკლესიის დამოუკიდებლობა, დაეპატრონა საეკლესიო მიწებს. იყო ასეთი ჩამორთმევა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონიერი თუ არა — ამის გამორკვევა ძნელდებოდა. ხაზინასა და კერძო მესაკუთრეთა შორის დავა, საჩივარი ათეული წლები გრძელდებოდა. ამას მხოლოდ რევოლუციამ მოუღო ბოლო, კერძოდ ჩვენში, ქვეყნის დამოუკიდებლობამ.

უნდა ვთქვათ, რომ მმართველი პარტია არ აჰყვა სხვა ქვეყნის და კერძოდ რუსეთის სოც.-დემ. პარტიას, რომელიც უარჰყოფდა გლეხობის მფარველობას; არ მიაჩნდა საჭიროდ მათი ინტერესებისათვის ბრძოლა. — საქართველოში კი გლეხობა, წვრილი ხელოსნები და წვრილი ვაჭრები შეადგენდნენ ერის საკმაოდ დიდ ნაწილს, რომელსაც უნდა დაყრდნობოდა ახალი სახელმწიფო ორგანიზმი.

გარდა ამისა ,ამ ერის უმრავლესობისათვის, კერძოდ გლეხობისათვის რევოლუცია, რესპუბლიკა, ეროვნული თავისუფლება იქნებოდა ცარიელი სიტყვა, თუ იგი უფლებრივად და ნივთიერად იმავე მდგომარეობაში დარჩებოდა რომელშიც იგი წინად იმყოფებოდა, თავისუფლებასთან ერთად, რომელსაც იგი მხარს უჭერდა, მოელოდა თავისი მდგომარეობის გაუმჯობესებასაც. გლეხობის გარეშე, გლეხობის მიერ მხარის დაუჭერელად, ვერც ერთი წესწყობილება ჩვენში ფეხს ვერ მოიმაგრებდა. ასე იყო ყველგან ევროპაში და ჩვენი გლეხობა ამ მხრივ გამონაკლისს არ შეადგენდა.

ყველა ზემომოტანილი მოსაზრების გამო რესპუბლიკის მთავრობის წინაშე დაისვა ღრმა მნიშვნელოვანი რეფორმის გატარების საკითხი და იგი გადაიჭრა ერის ეკონომიური წარმატების სასარგებლოდ, კერძოდ: გლეხობის სამართლიანი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. გავეცნოთ თვით აგრარული რეფორმის კანონს იმ სახით, როგორც იგი საბოლოოდ იყო მიღებული —

1. ყველა სახელმწიფო, საუფლისწულო (მეფის გვარეულობის), საეკლესიო-სამონასტრო და კერძო მესაკუთრეთა მიწები (ამ უკანასკნელთა, შვიდი დესატინის გარეშე) ჩამოერთვა უსასყიდლოდ და ჩაირიცხა მიწის განსაკუთრებულ ფონდში. ფაქტიურად ჩამორთმეული რაოდენობა უდრიდა მთელ საქართველოში 610. 553 დესიატინას.

2. ამ მიწის ფონდიდან, ტყე, წყალი, საძოვარი, მიწის გული (მადანი) სახელმწიფოს ან ერობას დარჩა.

კულტურული და სანიმუშო მეურნეობები გამოცხადდა სახელმწიფოს საკუთრებად. დანარჩენი მიწა კი ეძლეოდა კერძო საკუთრებად იმ უმიწაწყლო, ან მცირე მიწის მქონე გლეხებს, ვინც მიწათმოქმედებით ირჩენდა თავს. თვითეულს ეძლეოდა არსებითად 7 დესიატინა.

3. კანონის მიერ განსაზღვრული იქმნა აგრეთვე ყოფილ მემამულეებისათვის დასატოვებელი მიწა. (შვიდი დესიატინა).

სახელმწიფო მიწის ფონდი, იმ მიწის გამოკლებით, რომელსაც სახელმწიფო იტოვებდა და რომელიც შეიცავდა 370 ათას დესიატინას, თუ სავსებით ვერ დააკმაყოფილებდა გლეხობის მოთხოვნილებას, იგი დიდ სამსახურს უწევდა ჩვენი ქვეყნის ღარიბ სოფლის მოსახლეობას. რეფორმა გატარდა უმტკივნეულოდ, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე.

აგრარული რეფორმით ხდებოდა გლეხობის ნაციონალურ ხაზზე დარაზმვა. ეს გარემოება უსათუოდ გაგებული იყო თვით მემამულეთა მიერ.

„ყველა ნაბიჯი იზომებოდა და იჟღინთებოდა ნაციონალური მომენტით, მას დაემორჩილა ყველა კლასი და წოდება, დავა აღარ იყო“-ო — ამბობს თავის მოგონებაში ნოე ჟორდანია.

სოციალური კანონმდებლობა. შრომა საფუძველია რესპუბლიკის არსებობისა და მისი უზრუნველყოფა რესპუბლიკის განსაკუთრებული მოვალეობაა — ვკითხულობთ კონსტიტუციის მე-17 მუხლში.

პროგრესიული სოციალურ - ეკონომიური კანონმდებლობა, ზრუნვა მშრომელთა ნივთიერი და უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის პირველ რიგში იდგა დღიდან დამოუკიდებლობის გამოცხადებისა. მუშა-მოსამსახურენი, რომლებიც დარაზმული იყვნენ პროფესიულ კავშირებში, სრული შეგნებით ერკვეოდნენ არსებულ ვითარებაში; მათ კარგად ესმოდათ, რომ ნორჩი სახელმწიფოს ეკონომიური პირობები არ იძლეოდა უკიდურეს მოთხოვნილების წამოყენების შესაძლებლობას. ბევრ ქვეყანაში, კრიზისების გარდამავალ ხანაში არ ყოფილა იმდენი თავშეკავებულობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში. რატომ? ეროვნული თავისუფლება მუშებისათვის იყო ძვირფასი და ამავე დროს ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ რესპუბლიკის ხელისუფლება ზრუნავდა მათზე და მომავლის პერსპექტივები მათთვის იძლეოდა სრულ გარანტიას ადამიანური ცხოვრების დასამყარებლად.

სანამ კონსტიტუცია მიღებულ იქმნებოდა, კანონით გატარდა რვა საათის სამუშაო დღე, დედაკაცთა შრომის შეზღუდვა და მცირე-ეწლოვანთა შრომის აკრძალვა ქარხანაში; ღამის მუშაობის შემოკლება და მოწესრიგება; კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადება; მუშათა დაზღვევა; შრომის ბირჟა; მომრიგებელი კამერა; სატარიფო პალატა.

კანონმდებლობის გატარება, მისი დაცვა შრომის საშინისტროს ევალებოდა.

მუშათა პოლიტიკას საქართველოში საფუძვლად ედო მშვიდობიანი გზით მოგვარება სოციალური კონფლიქტებისა; ამას მოითხოვდა რესპუბლიკის ფარგლებში დიდი ომისაგან დაშლილი ეკონომიური, თუ ახლად დაწესებული სამრეწველო დარგების ფეხზე დაყენება. ეს შეგნებული ჰქონდათ საქართველოს მშრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელთ; ამიტომაც ისინი მხარში ედგნენ რესპუბლიკის მთავრობას.

ჟურნალის მოცულობა ნებას არ გვაძლევს ფართოდ შევეხოთ ეკონომიური პოლიტიკისა და ვაჭრობა-მრეწველობის სათანადო ნიადაგზე დაყენების საკითხს. აღვნიშნავთ გაკვრით, რომ ერის ხელმძღვანელობამ თავისი ეკონომიური პოლიტიკა შეუფარდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ და სოციალურ მდგომარეობას, რამაც ჰარმონიულად შეათავსა პირადი ინიციატივა და ინტერესი საზოგადოებრივ - სახელმწიფოებრივ ინტერესებთან.

საქართველოს ეკონომიკის ქვაკუთხედად გამოცხადდა ორნაირი საკუთრება — ერისა და წვრილი მესაკუთრეებისა, კოლექტიური და ინდივიდუალური.

ამ მხრივ, მთავრობის ორნაირი ეკონომიკის შეთავსება ჰქმნიდა ისეთ პირობებს, რომელიც უზრუნველჰყოფდა სახალხო მეურნეობის სრულ განვითარებას — სოფლად და ქალაქად. კერძო თავისნობას ეძლევოდა თავისუფლად გაეშალა თავისი შესაძლებლობა; ხოლო იქ, სადაც რომელიმე დარგის წარმოება მოისუსტებდა, ან არ ჰქონდა მას საკმაო რესურსი, სახელმწიფო ხელისუფლება ცდილობდა მისთვის დახმარება გაეწია. იქ, სადაც საკმაო საწარმოო კაპიტალი იყო, — მთავრობა არ ერეოდა საქმეში; მეორე მხრივ, ახლად ფეხზე დაყენებულ წარმოებას უწევდა დახმარებას კაპიტალის დაბანდებით და წარმოების მოწყობა-მმართველობაში რამოდენიმედ ხელმძღვანელობის გაწევით.

არა თუ ახლად ფეხ-ადგმულ რესპუბლიკას, მძიმე პირობებში ჩაყენებულს, არამედ თითქმის არც ერთ ერს, მით უმეტეს პატარას, არ შეეძლო საგარეო სესხის მიუღებლად საფინანსო მდგომარეობის მყარ საფუძველზე დაყენება. ამიტომ რესპუბლიკის მთავრობამ წარგზავნა ევროპაში საგანგებო მისია, რომელსაც ევალებოდა უცხოეთთან ეკონომიური კავშირის გაბმა და სესხის მიღება. ეს ამოცანა მისიამ ჩინებულად შეასრულა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი იურიდიულად. მისიამ დასდო ხელშეკრულება ინგლისში, ფრიად ხელსაყრელ პირობებში მილიონ ნახევარი გირვანქა სტერლინგის სესხის მისაღებად, რომელიც მოხმარდებოდა საწარმოო დარგებს და ფულის ტრიალის გაუმჯობესებას. დაიდო ხელშეკრულება იტალიაში ტყვარჩელის ქვა - ნახშირის დასამუშავებლად. საფრანგეთში ლიონის მრეწველებმა — მეაბრეშუმეებმა აბრეშუმის მიღებისა და ადგილობრივ სკოლათა გახსნის ხელშეკრულება დასდვეს. ყველა ამ საქმიანობაში უდიდეს მონაწილეობას ღებულობდნენ მთავრობა და ქართველი მრეწველები; სამრეწველო, საალებ . მიცემო და საერთოდ ეკონომიური ღონისძიებანი იძლევოდნენ დიდ დადებით პირსპექტივებს.

საგარეო პოლიტიკა. როცა საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა გამოცხადდა, მისი საზღვრები უკვე დამახინჯებული იყო. ბრესტლიტოვსკის საზავო ხელშეკრულებით მოსკოვმა იყიდა ზავი ოსმალეთთან, საქართველოს და სომხეთის ხარჯზე. მან გადასცა ჩვენი ტერიტორიები — მთელი აჭარა: ქობულეთი, ბათუმი, ართვინის და არტაანის ოლქები, ყარსის მიმატებით. ენვერ ფაშა არც ამით დაკმაყოფილდა და შემოიჭრა საქართველოს საზღვრებში, მის დასაპყრობად. აი აქ, ამ კრიტიკულ მომენტში, უჯარო და უიარაღო ერს, დამხმარედ მოევლინა გერმანია და იარაღით ხელში თავისი მოკავშირე ოსმალეთი გააჩერა, მაგრამ მის ხელში მაინც დარჩა ბრესტ-ლიტოვსკში მიღებული ტერიტორიები, ახალის ზედ დართვით.

ნაციონალური მთავრობის მთავარ ამოცანად გახდა ამ დაკარგული პროვინციების დაბრუნება და მით ერის ტერიტორიულად გამრთელება. გერმანია -ოსმალეთის დამარცხებას მოჰყვა მათი ჯარების გასვლა საქართველოდან, ოსმალეთი სცლის მის მიერ დაჭერილ ტერიტორიებს და მის ადგილს იჭერს ინგლისი, მუდროსის დროებითი ზავის ძალით. მოსალოდნელი იყო დაკარგული ტერიტორიის დაბრუნება. ეს არ მოხდა.

სოჭის მხრიდან საქართველოს თავს ესხმის დენიკინის ლაშქარი, ხოლო ინგლისის სარდლობა წინადადებას აძლევს ჩვენს მთავრობას: მოურიგდეს დენიკინს, მიიღოს მისი მფარველობა, შევიდეს რუსეთის ფარგლებში. ქართული მთავრობა გადაჭრით უარჰყოფს ასეთ წინადადებას. ომი გრძელდება. საჭირო იყო მიზანშეწონილი საგარეო მუშაობით ჩვენ მოწინააღმდეგეთა პოზიციის შეცვლა და მათგან საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა. ეს კი შეიძლებოდა ევროპიდან. ამიტომ გაიგზავნა შესაფერი დელეგაცია დასავლეთის ოფიციალურ და საზოგადოებრივ წრეებთან ფართო მუშაობის ჩასატარებლად. ეს იყო საქართველოს პირველი გამოსვლა ევროპის ასპარეზზე და იქ დასმა ქართული საკითხისა. დაიწყო მართლაც ფართო დიპლომატიური მუშაობა და და მიზანიც მიღწეულ იქმნა...

თვით წითელმა მოსკოვმაც იცნო ოფიციალურად საქართველოს დამოუკიდებლობა.

ევროპაში პირველად ჩნდებიან ჩვენი ოფიციალური ელჩები. ამ ნაყოფიერი მუშაობის შედეგი იყო ჩვენი საზღვრების საკითხის გარდაწყვეტა ჩვენს სასარგებლოდ. ინგლისი სტოვებს სამუსულმანო საქართველოს და მას უბრუნებს ქართულ მთავრობას. ბათუმის, ართვინის და არტაანის ოლქები ხდებიან ნაწილი აღდგენილი საქართველოსი. ახალმა საქართველომ აღიდგინა ძველი საზღვრები.

საგარეო პოლიტიკის საგანი იყო აგრეთვე ახლად აღდგენილი დამოუკიდებელი სახელმწიფოს დაცვა და გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარჩენა; მისი ნაციონალური ყოფა-ცხოვრების და წყობილების, მისი მატერიალური და იდეური საუნჯის გამდიდრების, აღორძინების და აყვავების უზრუნველყოფა; ამ ხაზზე მის მოქმედებას ახასიათებს ორი დებულება: თავიდან აცილება ავანტურისა და იზოლაციისა, რაც შესრულებული იქმნა დიდი სიფრთხილითა და გამჭრიახობით.

მეორე მხრივ, საგარეო პოლიტიკა ეყრდნობოდა ერთა თვითგამორკვევის უფლების გატარებას საერთო თანხმობით და ურთიერთი გარანტიით. ესე იგი, ხალხთა შეკავშირებით და მათი ურთიერთობის განმტკიცებით.

კავკასიის ფრონტის გარღვევამ დააჩქარა ჩვენი ცდები საერთაშორისო პოლიტიკურ სისტემაში შესასვლელად. ყველა ახლად აღორძინებული ერი გაექანა ევროპისაკენ; ყველამ აქ გაშალა თავისი მუშაობა და დაიწყო ძებნა მფარველისა და დამხმარესი. ამათ შორის ვიყავით ჩვენც. ესე იგი: მიზანი რჩება ურყევი: ნაციონალური თავისუფლება ჩვენს დროშად. ამ მიმართულებით გაწეულმა მუშაობამ მოგვიპოვა იურიდიული უფლებები, რაც უდიდეს გამარჯვებად დარჩება ქართველ ერს.

საქართველო მე-15 საუკუნის შემდეგ პირველად გაერთიანდა პოლიტიკურად, სულიერად; მან შექმნა ერთი მთლიანი ნაციონალური წყობილება, ერთი მთავრობა და მოიპოვა დამოუკიდებლობის ქარტია მტრისაგან და მოყვრისაგან.

ქართველობამ აწარმოვა პოლიტიკა ერთა სოლიდარობისა, საგარეო კავშირებისა და მეგობრობისა, მსოფლიო პოლიტიკურ სისტემაში შესვლისა...

ჩვენი ერის ყველა სასიცოცხლო ძალის აღორძინება, შეუჩერებელი დუღილი, მრავალფეროვანი შემოქმედება და ჰარმონიულად საერთო მიზნისაკენ მიმართვა დარჩება სამუდამო ძეგლად ქართველი ერის ცხოველმყოფელობის, კულტურის და პოლიტიკურ მომწიფების...

მთლიანად აღებული, ქარული სახელმწიფოს პოლიტიკა იყო ჰუმანური, დამოუკიდებელი, შიგნით და გარეთ, ეროვნებათა და ხალხთა მეგობრობაზე დამყარებული, დემოკრატიის ნებისყოფაზე აგებული, ერის ყველა ნაწილისათვის სოციალური წონასწორობისა და სამართლიანობის გამტარებელი. აი, ამან მოგვცა გაერთიანება, რასაც ადგილი არ ჰქონებია თამარ მეფის შემდეგ. ეს მოხდა ხალხის ამოძრავებით, მისი დარაზმვით და თავისნობით.

ქართული სახელმწიფო გახდა მსხვერპლი არა შინაგან ძალთა ამხედრებისა, არა ხალხის უნდობლობის ნიადაგზე, არამედ უცხო ძალისა და მისი იარაღისა.

პ. სარჯველაძე

გივი შაორელი

ბებოს

მზეო! ამოდი, ამოდი,
გაშალე სხივთა მარაო...
ბებო, შენ მითხარ: „წამოდი,
გვაგვიანდება, ჩქარაო“...

ვერ შევძელ, გული გახევდა,
ქვევით რიონი დიოდა,
ზეცა ფირუზებს აფრქვევდა,
ველზე სუმბული ცვიოდა.

ლალად მღეროდა კრიხულა
და ხოტეურას ჩქერები, —
აქ მიწა გადატიხრულა
უმშვენიერეს ფერებით!

ჩანან მომწვანო ვაზები,
იქ, სადაც ჩვენი ზვარია,
მტევნები ღვივის ნაზები —
ჯერ კიდევ უმწიფარია...

ვინ მომაცილებს ამ მიწას,
სულ აქ ვიქნები მარადის
და თვით ბუნება დამიცავს,
როგორც წინაპრის ზარადი.

ასე მეგონა მე მაშინ,
როს სამშობლოში ვიყავი,
მასთან ჭირსა და ლხენაში,
უცხოეთს გაურიყავი.

ბებო, რათ მითხარ „წამოდი,
გვაგვიანდება... ჩქარაო“.
აწ მზე სხვის მთებზე ამოდის
და სხვაგვარად შლის მარაოს.

აწ მენატრება კრიხულა
და ხოტეურას ჩქერები!
მიწა რომ გადატიხრულა
უმშვენიერეს ფერებით...

იმათი ცქერით, ბებიკო,
თუნდ დამდგომია თვალები,
რომ ლაკეთ მომგონებიყო
ის — რასაც ვენაცვალები.

ნეტავ უფალმან მაღირსოს
ვიხილო კვლავ ის მხარენი
და შემდეგ თუნდაც გამრისხოს —
დღენი მაგემოს მწარენი...

გივი შაორელი

1964 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამარ პაპავა

26 მაისი ჩვენთან

ასეთი იყო განსვენებული **აკაკი პაპავას** ლექსი:

გახსოვთ, გახსოვთ თქვენ თბილისი,
  იმ დღეს მოკაშკაშე,
კვლავ აღმდგარი ერი მისი,
  სიყვარულით სავსე,
ჭრილობები მორჩენილი,
  და იები ხავსზე,
ქართულ კაბით მოხდენილი,
  დიადემით თავზე...
აღალადდნენ წარწერები
  ათას წლოვან ქვაზე,
ზღვა დროშები, სამფერები,
  ძველ ზარების ხმაზე;
მოელვარე ვაზის ჯვარი
  წმიდა ნინოს თმაზე;
ანგელოზნი დაბლა ფრენენ
  წმიდა სანთლით მხარზე,
ქალაქს მტრედის ფერსა ჰფენენ,
  მღერენ ციურ თარზე;
წინ როკავენ ბანოვანნი
  ძველ შაირთა თქმაზე;
რაინდები, ახოვანნი
  მწყობრად სდგანან მტკვარზე...
მზე, სხივს მოსდევს, — ეშხით, თრობით
  ჩამობრძანდა ნავზე,
მთვარე — ყველა ხუთ მნათობით
  გადიწვინა მკლავზე...

მე ვლოცულობ იმ მაისზე,
  მუხლებს ვიყრი წამსვე;
მიყვარს ხატი მისი ისე, —
  ედემს მივამსგავსე;
მათბობს იგი გადმორიყულს
  აქაც, უცხო კარზე,
მომიოხებს დაფლეთილ გულს,
  ნაგებს ეკალ-ნარზე.. .
სხვა თბილისი სად მენახა
  ლაღი, მოკისკასე,
შიგ მაისი დამეჯახა,
  ლხენით, ჰიმნით სავსე...
ჩვენს აღდგომას მასში ვაქსოვ,
  მასში მოვათავსე.
არა! მართლაც არვის გვახსოვს
  ჩვენ მაისი ასე...

მახსოვს, მახსოვს, კაკიჩოჯან!

ჩვენი სახლი ვერ იტევდა სტუმრებს.

ახლობლებს, ნათესავებს. მეგობრებს. ჩამოსულთ სხვა და სხვა კუთხიდან.

ყველა მოუსვენარი იყო. ნერვიულობდნენ. გაისმოდა ჩურჩული ყოველ კუთხეში. რა იქნება! როგორ იქმნება!

ყველას მოუსვენრობა დაუფლებოდა.

26 მაისს დილით ჩვენი ოჯახიდან ყველანი გაიკრიფნენ. ყველას მიეჩქარებოდა ქუჩაში გასვლა. ჰაერი არ ჰყოფნიდათ სახლში.

სახაზინო თეატრის დარბაზი გაჭედილი იყო ხალხით. სადღესასწაულო ვითარებაში საზოგადოება ღელავდა, როცა ბ. ნოე ჟორდანია კითხულობდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების აქტს.

დარბაზში შეუკავებელი ტირილი ისმოდა.

მთელი საზოგადოება, ფეხზე ამდგარი, პრეზიდენტს უსმენდა.

როცა ბ. ნოე ჟორდანიამ დაამთავრა კითხვა, „ვაშასა“ და შეძახილებს დასასრული არ ჰქონდა, ვიდრე დარბაზის კედლებში, სიონის ტაძრიდან ზარების გუგუნი არ შემოცურდა.

სიონის ზარებს ხმა მისცა მამა-დავითმა, ანჩისხატმა, ქაშვეთმა და კალოუბანის ტაძრებმა.

იმ დროს ვლასა მგელაძე, მამა დავითზე ასული, აკაკის, ილიას, ვაჟას ულოცავდა საქართველოს აღდგომას.

აქ, დარბაზში უფრო მძაფრად გაისმოდა სიხარულის ქვითინი...

რა იყო ქუჩებში! თბილისის ქუჩებში აუარებელი ხალხი ირეოდა. ისმოდა ამქრების ზურნა-დუდუკი ,დასტა - დასტა მეზურნეები მიჰყვებოდნენ მოქალაქეებს. აღფრთოვანებული ახალგაზრდობა როკვით, სიმღერით მიემართება რუსთაველის გამზირზე.

მახსოვს! მახსოვს. როგორ არა, მახსოვს!

შინ გვიან დავბრუნდით.

ჩვენი ეზოს ერთ კუთხეში, ლურჯი სუფრა გაეშალათ ჩვენს სტუმრებს. პატარა ტიკჭორები გვერდზე მოეგდოთ და ყელმოღერებულნი, ქეიფს შესდგომოდნენ.

გაისმოდა ას წლოვან კოტე პაპას მეორე ხმა, კახურ მრავალჟამიერს რომ აყოლებდა.

დარბაზში კი გრძელ მაგიდას ესხდნენ ჩვენი დარბაისელი მანდილოსნები: ბებო ნუშო, ბებო ესმა და დედა-ჩემი შაშა, მრავალი მამიდა და დეიდა.

ხურჯინებისათვის თავი მოეხსნათ და მაგიდაზე ქართული დოვლათი დაელაგებინათ; დარბაისლურად საუბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობდნენ და დღიურ განცდებს ერთმანეთს უზიარებდნენ.

— ოლონდაც! ოლონდაც! — იმეორებდნენ.

ჩვენ რომ შევედით, მათ სუფრას მივუსხედით.

— გაუმარჯოს საქართველოს! — ამ ძახილით შემოგვეგება ყველა.

ბებო ნუშომ, როგორც უხუცესმა, ბაღდადის ბოლოები გადაიკეცა. კავებზე ხელი გაუსვა და შეასწორა . მერმე დაგვლოცა: —

შვილებო! დღეს ბედნიერები ვართ! ღმერთმა აკურთხოს ჩვენი მიწა-წყალი! ღმერთმა გაუმარჯოს დღევანდელ დღეს. გაგიმარჯოთ თქვენცა

— ჯეელებო! აბა შეგვცვალეთ ჩვენ და გასწიეთ... დაილოცოს თქვენი ახალი გზა...

ქალაქს მტრედის ფერსა ჰფენენ
მზის პირველი სხივები...

შორიდან ისმის დუდუკის ჰანგები. ჰაერს მოაქვს დილის საარის კვნესა...

არა! მართლა არვის გვახსოვს
ჩვენ მაისი ასე...

თამარ პაპავა

ევ. აბულაძე

მშობლიურ მხარეს

(ლტოლვილობის 40 წლის თავზე)

ამ დილით თრთოლვით შევეხე ფიქრებს,
შენთან შეხიზნულთ და შეფარებულთ;
ნელი ნიავი ცის პირზე მიჰკრებს
თეთრი ღრუბლების ხუჭუჭა კრებულთ.

მიყვარს ოცნება გათენებისას,
არე ელვარებს და იდენთება;
შენი ცისკარი არ ჰგავს სხვებისას,
სულ სხვანაირი დღე გითენდება.

და მაშინ სოფელს თუ გადახედავ,
ანდა ქალაქებს ბრგე კუნთებიანს,
რას არ ინატრებ, რას არ გაბედავ!
სულში ლამპრები აინთებიან...

შენს გამრჯე მაჯას ღამეც არ სძინავს,
სად გუგუნია და სად კისკისი;
თითქოს მზე ჩასვლის შემდეგაც ბრწყინავს
მართალ ზღაპრების ხარ დასაწყისი.

შენში სჩქეფს ძალა დაუნახავი,
ქალდური ქურა აფრქვევს ნაპერწკლებს,
გაქვს სიკეკლუცე მუდამ ახალი,
ჟამთა სვლა გბოჭავს, მაგრამ ვერა გძლევს.

იყავ ნაკურთხი, იყავ მარადი
და იმედების სიომ გარწიოს,
გფარავდეს ჯვარი და მუზარადი,
ვერც ერთმა წარღვნამ ვერ წაგაქციოს.

ვკოცნი: შენს მიწას უხვს და ნოყიერს,
შენს შმაგ ნაკადებს და მწვანე ველებს,
შენს ქოჩორა მთებს და მყინვარს ხნიერს,
კავკასიონის ქედს რომ ამშვენებს.

მინდა შენს მკერდზე ვგორავდე შიშვლად,
შენს ჩანჩქერებში ფეხები მედგას,
დღე, ღამე, ტყეში, ყველგან უშიშრად
მე ყურს ვუგდებდე შენს გულის ფეთქვას.

შენთან ვდგებოდე, შენთან ვწვებოდე,
შენი ტკივილი მსურს მეც მტკივოდეს;
შენი გულისთვის დავიწვებოდი,
რომ შენი შველა შემეძლებოდეს.

ოდეს ვიგონებ ზაფხულის დარებს,
ბედის ვარსკვლავებს ბადით რომ ვსდევდი,
სურვილი სივრცეს გადამატარებს,
იქ, სადაც ბავშვურ დილას ვეძებდი...

ეხლა რაღა მაქვს, რა შემრჩენია,
განუკურნებელ იარის გარდა,
ღადარზე ფეხი დამიბჯენია,
ის განმეძარცვა, რაც რომ მიყვარდა.

და თუ სიცოცხლე შემოვიფერთხო,
შენთვის ნაცეცხლარ-ნაცრად ქცეული,
გთხოვ: მაშინ მაინც რომ შეიერთო
სული, მაქეთკენ გამოქცეული.

ევ. აბულაძე

საფრანგეთი, 1966 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ იდღესასწაულა

1920 წელს თბილისმა

26 მაისი

დღეს 26 მაისია. დღე საქართველოს აღდგომისა და მისი ბრწყინვალებისა.

სამშობლოს ცის ლურჯი თაღიდან მზის სხივები, ვით ჩირაღდნები მაღლიდან სასოებისა და მხიარულების მარგალიტებს აფრქვევენ...

თავისუფლების მოედანი ხალხით გაჭედილა. წინა დღით მოსულნი იმერი და ამერი, აჭარისა და შავშეთის, კახეთისა და ჯავახეთის, სვანეთისა და იმერეთის, გარე-კახელნი — სამღვდელოებით — ყველანი მორთულან, მოკაზმულან კუთხურ ტანისამოსში. მათი სახეები გაბრწყინვებული გამოიყურებიან... აღტაცების ზვირთებში ჩაფლულან, ჩაძირულან; ქართველთა საუკუნოვანი ტანჯვა-წამება დავიწყებას მისცემია.

მათ მკერდებს ამშვენებს ამ დღისათვის საგანგებოდ მოჭარგული პატარა სამფეროვანი დროშები, ხოლო მოედანს გარსერტყმის ფართოდ გაშლილი დროშები.

ლაღობს მოედანი, მომცინარ-მომღიმარი და უცდის დიდი ტაძრის ბრძანებას.

და ჰა! სიონის ტაძრის სამრეკლოდან დაიჭუხეს მძლავრმა ზარებმა ;მათ აჰყვნენ მთა-წმიდის,, ანჩისხატის, დიდუბის და სხვა ეკლესიათა ზარები...

ათიოდე წუთით მთელი ქალაქის ცხოვრება ზარების გუგუნმა შეიპყრო, დაეუფლა მის სულსა და გულს. შეწყდა თუ არა ხმა ზარების, ნაძალადევის მუშებმა საყვირი აუშვეს; მათ ამცნეს საკუთარი სიხარული და ეროვნულ დღესასწაულში მონაწილეობის მიღება; მთელი ქალაქი აღტკინების მორევში შეცურდა. უცებ კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა. მოკრძალება გამეფდა.

ზღვა ხალხი ჯგუფ-ჯგუფად დაეწყო და რუსთაველის გამზირზე გაიშალა.

წინა რიგებს ამშვენებენ გოგონები, თეთრ კაბებში მორთულ-მოკაზმულნი. შავ-მაყვალა, სიცოცხლის სავსე თვალებით, სამფეროვანი თაიგულებით; მათ მოჰყვებიან ყმაწვილების გუნდები...

საქართველოს საკრებულოს წინ აღმართულია დიდი კამარა: ახალ ნორჩ სახელმწიფოს ღერბითა და ალამებით მოკაზმული. მის ახლო ჩამწკრივებულან: 26 მაისის სახელწოდების მომღერალთა გუნდი, ორკესტრი 500 კაცისაგან შემდგარი, მომღერალთა გუნდი გურულებისა, გუნდი ცნობილი კავსაძისა, გუნდი ცხენოსან რაზმელთა...

მოშორებით დგანან ავტოები, მწვანე ბუჩქებით შემოსილნი. ერთზეა წარწერა: „საქართველოს დამოუკიდებლობა“, ზედ გაშლილია შვიდი ნაწილის ემბლემა, ხელში ფარითა და შუბით, შვიდი მნათობი ბანოვანით გარშემორტყმული — სდგას მშვენიერებით აღსავსე ქალი ვინმე... მეორეზე წარწერაა: „გაზაფხული!“ — ავტო ყვავილებით მორთულია, ფაქიზი ხელით გაშენებულია, ვარდებისა და ხეხილების შტოებით; ზედ ზის სამი ტურფა ასული; ერთი რთავს; მეორე ქსოვს; მესამე მაკრატლით ბოლოს უჭრის — ემბლემა ძველი დროის ადათ-ჩვეულებისა!

ამ დროს სამხედრო ტაძრის ეზოში ბრწყინვალებით გამოჩნდა ქათოლიკოსი ლეონიდე, საკეცხლურით ხელში; პარაკლისის გადახდის შემდეგ, ის მიმართავს რესპუბლიკის ახლად შემდგარ ჯარის ნაწილებს. საქართველოს სულიერი მამის სიტყვა დამსწრეთა გულს აფაქიზებს, ქართველურ გრძნობებს აღვივებს, სამშობლოს მარადიულობისა და უკვდავების რწმენას აკაჟებს.

... სასახლიდან გამოდის მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია. მის დანახვაზე იგრიალა ტაშმა და „ვაშას“ ძახილი დიდხანს არ შემწყდარა. მას შეეგება ჯგუფი ქართველობისა კოტე აფხაზის მეთაურობით; ქართული მაღალი კულტურის და ზნეობის წარმომადგენელი გაბრწყინვებული თვალებით მისჩერებოდა საქართველოს მიმრქმელს... და მათ შეხვედრაში იქსოვებოდა სახე ქართველთა მთლიანობისა... მთავრობის თავმჯდომარე ღებულობს ჯარის ნაწილებს. ორკესტრის ხმა ჰაერს აპობს; თვითმფრინავები თავს დასტრიალებენ დღესასწაულის ტალღებში შეცურებულ ქალაქს.

სასახლის თავიდან დიდი სამფეროვანი დროშა გადმოჰყურებს რუსთაველის გამზირზე გაშლილ ქართველობას, რომელსაც პირი მიუმართავს საბურთალოს სტადიონისაკენ და ნელ-ნელა მიექანება. ვერის ამოსავალთან პროცესიას უერთდება ნაძალადევიდან მუშათა გუნდები; წითელი და სამფეროვანი დროშები ერთი - მეორეზე გადახლართულან; შუაზე დიდი ასოებით ამოიკითხება: „გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას“!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერის მოსახვევში, დიდი შენობის პირველი სართულიდან, ყურადღებას იპყრობს მოხუცი მანდილოსანი; მას ორივე ხელში პატარა სამფეროვანი დროშები უჭირავს; დროშები მაღლა აუპყრია, — თითქოს ლოცულობს და ლოცავს ტურფად შემკულ ავტოებსო. მის სახეს თანდათანობით აღელვება იპყრობს, დამჭკნარ სახეზე თეთრი მარცვლები ჩამოეკიდება... ეს იყო დედა ქართველი, რომლის გულმა ვერ გაუძლო მოზღვავებული სიხარულის გრძნობას და ცრემლთა ღვარში დაასველა მისი ლოყების ნაოჭები...

პროცესია ნელა მიემართება. შუაგულში დიდი ავტო განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. სკამზე შემდგარა არწივისებური თვალებით მოელვარე, თმებ-გაშლილი; ხელებს ხშირად აღაპყრობდა და მისი გულის სიღრმიდან ამონახეთქი: „საქართველოს გაუმარჯოს!“, მაღლა აივანზე მყოფთ ხვდება და ტაშის გრიალი, შეძახილები აყრუებს მიდამოს — ეს იყო პოეტი - რევოლუციონერი ვლასა მგელაძე.

მოშორებით გამოჩნდა ჩვენი სახელოვანი სტუდენტობა; თავშიშველნი ,ამაყნი, აღგზნებული თვალებით, მოაბიჯებენ. შუა გულში დიდი ავტო მოარღვევს. ფეხზე სდგას ,ახოვანი ჭაბუკი, ჩირაღდანითა და შარით ხელში — სიმბოლო — ქართველ ერს შეაქვს თავისი კულტურა მსოფლიო განათლებაში.

სტადიონის ფართო მოედნის ირგვლივ, ამწვანებულ ფერდობზე ეფინება ხალხი. უცხო საპატიო სტუმრები თავსდებიან მათთვის საგანგებოდ მორთულ კარვებში.

დღესასწაულს ხსნის ფოცხვერაშვილის გუნდი ეროვნული ჰიმნით. ზღვა-ხალხი ფეხზე დგება. დაასრულა თუ არა, შორიდან ერთ-ერთი მომღერალთა გუნდი წამოიწყებს „დიდებას“; მას აჰყვებიან დამსწრენი. წარმტაცი სურათია, კალმით ძნელად ასაწერი. აღტკინების წუთებია, გალაღებულ გულთა ღელვა ერთ მისწრაფებად ქცეულა, ერთი აზრით გაჭედილა, ერთი სიყვარულის ემბაზში შეცურებულა, ერთს ჯადოს შეუპყრია — თავისუფლებას საკუთარ სამშობლოსი...

უცებ ჩონგურთა შეწყობილმა ხმებმა სიჩუმე დაარღვიეს და უცხო სტუმრების განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრეს... ეს ქართველ ქალთა გუნდია, ჩიხტა - კოპით მორთულნი, ფერდობზე რომ ჩამწკრივებულან... მათ სირინოზ ხმებში „სულიკოს“ დამღერებას სმენა დაუპყრია...

მეორე მხრიდან „სულიკო“, „მრავალ-ჟამიერმა“ შესცვალა; კახელთა მოძახილში მოისმის აღმაფრენა... მათ უპასუხეს ,ურულებმა, ჯერ „ხასან-ბეგურათი“; შემდეგ „მაყრულით“. მათმა კრიმანჭულმა ჰაერში გაიელვა, თითქოს კოკონი დაანთესო, დამსწრეთა ყურადღება მოიტაცა. შეიძლება მეგრელებმა იფიქრეს: გურულების სიფიცხე შორს არ წავიდესო, და მელოდიურად „ჩელა“ დააფრქვიეს, სიწყნარე გაამეფეს, დამსწრეთ სიტკბოება მოჰგვარეს.

„26 მაისის მომღერალთა გუნდმა“, ჩოხა - ახალუხში მორთულ-მოკაზმულმა, შეასრულა სხვა და სხვა კუთხის სიმღერები და ბოლოს საცეკვაოთი დააბოლოვა:

ფართო მოედანზე წელის რხევით ჩამოუარა ქალ - ვაჟმა.

განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა დიღმელი გლეხების ხალხურმა ცეკვამ.

მოედანი იცლება მოცეკვავეებისაგან... მათ ადგილს იკავებს 400 წევრისაგან შემდგარი „შავარდენი“.

პირველ წყებაში გამოდიან ბავშვები. როცა ისინი მწყობრად მოედებიან — წითელი ყაყაჩოებით ხელში, — და იწყებენ ვარჯიშობას, ზღვა-ხალხი მათ ოვაციებს უმართავს.

მათ მოჰყვება მოზარდი თაობა. როგორი რითმული რხევითა და საოცარი წყობით ჭანაობენ ასეული ახალგაზრდის ხელები და ფეხები! როგორი ჯადოსნური გაქანებით ერთი მეორეს მიჰყვება თითოული მათი კუნთის მოძრაობა! ცქერად ქცეული საზოგადოება ტაშის დაუბოლოველი გრიალით აჯილდოებს საქართველოს „შავარდენს“...

ხევსურთა ფარიკაობით და შემდეგ ფეხბურთით თავდება 26 მაისის დღესასწაული საბურთალოში.

მთელი დღე, ,ამწვანებულ ფერდობზე თუ საგანგებოდ მორთულ ფანჩატურებში, გაშლილ სუფრაზე საქართველოს სადღეგრძელო იცლებოდა...

დაღამებისას ქალაქი განათდა; ელნათურებზე მოსჩანან დროშები. მრავალი საცხოვრებელი ბინის ფანჯრები ფართოდ გაღებულა. კედლებზე მოსჩანან წარწერები: „გაუმარჯოს 26 მაისს!“

მთა-წმიდის ,ორაკიდან აშვებულ მაშხალების კოკონი ელვარებს; ტაძრის გუმბათი, სინათლის ალში გახვეული, გადმოჰყურებს გაჩირაღდნებულ ქალაქს. ბუჩქებში მიმალული ბულბული „სულიკოს“ ხმაზე დამღერის ილიას, აკაკის, ვაჟას და საქართველოს სხვა ბრწყინვალე შვილთა საფლავებს, რათა ამცნოს მათ, მათი ნატვრის აღსრულება.

წყნეთის ,ორაკი მთა-წმიდას ეჯიბრება და ისვრის მაშხალებს. დრო-გამოშვებით ,ომბორის, თუ კოჯორის მთიდან თეთრი ალი, ,აში ავარდნილი, ქალაქს სწვდება და უცებ ,ის სივრცეში იპარება...

რუსთაველის თეატრი ხალხით გაჭედილია; როგორც იტყვიან, ნემსი არ ჩავარდება. ყველას სახე ულიმის, — ერთი მეორეს ულოცავს; ერთი მეორეს უყვება საბურთალოში მიღებულ შთაბეჭდილებას. მრავალი რჩება გარეთ, მაგრამ კარს არ სცილდება... ხშირად იღება კა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი და გარეთ ისმის სცენაზე მომღერალთა გუნდის „დიდება“. დარბაზი ფეხზეა ამდგარი და გუნდის ხმას აჰყვება... გუგუნი ხშირად გარეთ ვარდება, სიხარულის ცრემლებით ბევრს თვალები უსველდება...

უცებ დარბაზში სიჩუმე ჩამოწვება და მოისმის ხმა ნარნარი, გულიდან ამონახეთქი —

გასწიე ხარო, გასწიე,
საცაა გათენდებაო...
აღზევანს წავალ ნიკორა,
მარილს მოვიტან ბროლსაო,
ჯერ დედას გადავეხვევი,
მერმე შვილსა და ცოლსაო...

ეს იყო ხმა მშრომელი საქართველოსი, სიხარულსა და შვებას რომ გვრიდა ყველას...

ნაძალადევის ძმათა სასაფლაოზე დაქათქათებენ ელ-ნათურები. სინათლის შუქზე მოსჩანან მუშებისაგან დღისით დარგული ვარდ-ყვავილების თაიგულები, რომლებსაც გრილი სიო თავს უქოჩრავს, სიმწუხრე რომ გადაურეკია და გმირთა საპატივცემლოდ თავისებური დღესასწაული მოუმართავს. ნაძალადევის მუშათა კლუბი მუშების ოჯახებით გაჭედილა; ასეულები ადგილს ვეღარ შოულობენ; მათ ეზოში მოუწყვიათ ცეკვა-თამაში.

კლუბის დიდი დარბაზის სცენის ფარდა ნელ-ნელა აიხადა. სურათის დანახვაზე მთელი დარბაზი ფეხზე დგება და ტაშით ეგებება...

ახალგაზრდა, ტანწერწეტა, შავთვალწარბა, რგვალი პირისახითა და ლოყაზე სილამაზის ნიშნით, თეთრ კაბაში მორთული, ჩიხტა-კოპით მოკაზმული ასული... მას ერთ ხელში უპყრია ჯვარი ვაზისა, მეორე ხელი გაუწოდებია სახე მომღიმარი, ტანად ჩასკვნილი მუშისათვის, რომლის მეორე ხელი გრდემლს ეყრდნობა... და სიყვარული და შრომა ჰარმონიულად შეერთებული, თვით ასულის ღიმილით ანათებს დამსწრეთ და ძმურ ქართველურ თესლებს აბნევს...

დარბაზის აივნიდან ვილაცის მჭექარე ხმა გაისმის. თეთრი წვერით შემოსილს, ხაზდაზმულს ხელები მაღლა აღუპყრია ; მის ხმაზე დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა: „ძმებო და დებო, ქართველებო! მოგილოცავთ ჩვენი ქვეყნის თავისუფლებას! მოგილოცავთ 26 მაისს!“.

„შევფიცოთ, რომ მას დავიცავთ ჩვენის გულ - მკერდით!“..

— „ვფიცავთ“!..

ერთბაშად აღმოხდა ხმა დამსწრეთა გულიდან.. და მყისვე გაისმა ხმა: „დიდებისა“, რომელსაც მთელი დარბაზი აჰყვა.

საგანგებოდ ამ დღისათვის შესაქები ლექსები წარმოქვეს პოეტებმა.

ავლაბარმა თავისებურად იდღესასწაულა საქართველოს ბრწყინვალე დღე.

ცნობილი შაქრო გელაშვილის სარდაფი ადგილობრივი მცხოვრებლებით გავსილიყო. კახური „მრავალჟამიერი.“ს ხმა მაღლა ვარდებოდა და გამვლელთ დაბლა ეპატიჟებოდა. ღვინის ცეცხლმა აქ ადრე გაიმარჯვა და ავლაბრელები მხიარულების ზვირთებში ააცურა.

ვილაც დახლზე მიმდგარიყო და ქანაობდა, დროგამოშვებით ხელებს დახლზე არტყამდა და ღიღინებდა:

„ჩამოასხი, ძმობილო, ღვინო ნაფარეული,
გავიქარვოთ დარდები, დრო დაგვიდგა ქებული“..

აგერ ჩასუქებული, გრძელ-ულვაშ-გადაგრეხილი, წითელ-გაბუტული ლოყებით, მოვერცხლილ ყანწით ხელში, წამოდგა და სადღეგრძელო წარმოთქვა:

— ეს მის მარჯვენას გაუმარჯოს, რომელმაც შრომა გასწია , ბაღში ვაზი მოიყვანა, მისი წვენით ჩვენც გვაზიარა, ერთად თავი შეგვიყარა და დღევანდელ ბედნიერ დღეს გაგვამხიარულა. შვილებო! გაიგეთ რომა, დღესა ჩვენი ტურფა სამშობლოს დღესასწაულია; გაიგეთ, რომ იგი თავისუფალია და ჩვენც თავისუფალი მოქალაქეები ვართ, ვაი, ვაი, ვაი, ეგ რომა ერეკლე მეფემა გაიგოს, მის სახესა და წვერ-ულვაშს კი ვენაცვალე, აბა როგორ გაიხარებდა ჩვენი მეფეი. შევფიცოთ მის ხმალსა, ჩვენც ახლად მოპოვებულ თავისუფლებას, ყველანი დავიცავთ. ისეც მტერი დაელიოს ჩვენს ქვეყენას, მე ეს სასმისი გამოვცალო...

— კარგადა ვთქვი, ყმაწვილებო?!

—კარგია, კარგია, გაამოს! გაუმარჯოს ჩვენს საქართველოს...

— ტუში! ტუში! ცეკვაი იყოს, ბიჭებო! ხომ არ დაითვერით, დაუცარით რაღა მუზიკანტებო!..

ზურნა აღიღინდა. დუდუკი აზუზუნდა. დოლზე ხელები ათამაშდნენ...

გამოვარდა ახალგაზრდა; ფართე შარვალში კუნთების რხევა შეუმჩნევი რჩებოდა; ლურჯი ხალათის კალთები ვერცხლის მსხვილ ქამარზე, ცეკვის დროს ხან ქვეშ ეშვებოდნენ, ხან მაღლა ვარდებოდნენ. მისი წელი ნელ ნელა ირხეოდა ზურნის ხმაზე და ისიც ღიღინებდა. შემდეგ შეფიქრდა, უცბიდან დიდი ხელსახოცი ამოიღო, ჰაერში აისროლა, დაიჭირა და განაგრძო:

„თავო, ნუ სტირი, გეთაყვა,
აყვავდა ქართლის ერია,
აღსრულდა ჩვენი ნატვრაი,
გვეკუთვნის თავი ჩვენია..“

მხიარულებამ მთელი ღამე დასტანა; შეისვა სადღეგრძელო მამა-პაპათა და სახელოვან გმირთა მოსაგონად.

ორთაჭალის ბაღში ,მტკვრის ნაპირების გაყოლებით, საქართველოს გრძელი სუფრა გაშლილიყო. მაგიდის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავში ფრიალებდა დიდი დროშა, რომელსაც არხევდა შორით მდებარე ბორაკებიდან მონაბერი სიო. მტკვრის ტალღები ვერცხლის ფერად მოკაზმული, ფრიალებდნენ; სინათლის სვეტებზე ნელ-ნელა ირხეოდა, თითქოს სურდა მონაწილეობა მიეღოთ საქართველოს დღეობაში. ისრებზე ჩამოკიდეული ფანრები, ფერად-ფერად ქაღალდებში გახვეულნი, არე-მარეს ანათებდნენ...

ახლო მრავალი მაგიდა იდგა ,გარს შემოსხდომოდნენ: მუსიკოსები, მედოლენი, მეზურნეები, მეფანდურენი, მედაირენი და უცდიდნენ თამადის ბრძანებას, თითები რომ ეთამაშებინათ...

გაიმართა ზეიმი. სუფრის თამადამ პირველი სადღეგრძელო დედა-სამშობლოს უძღვნა. მოიხსენია ჩვენი წინაპრების გმირული ბრძოლები, თავდადება, საქართველოსაგან გადატანილი დაპყრობის სუსხი დღეები, უსურვა ახლად აღდგენილ საქართველოს წარმატება და აყვავება.

დაათავა თუ არა სიტყვა, დამსწრენი, როგორც ერთი კაცი, ზეწამოდგნენ და „დიდება“-ს ხმამ შეარყია ორთაჭალის მიდამოები. მოციმციმე სანთლებით მორთული ცისთაღი თითქოს ლოცვა-კურთხევას უგზავნიდა ზეციდან: გულმოდგინედ მომღერალ ქართველობას.

თამადამ მუსიკოსებს ანიშნა: აწკრიალდა ჭიანური, ამეტყველდა საზანდარი, დაიწყეს თითებმა ცეკვა თარის სიმებზე... მედაირემაც ააფრიალა ხელით დაირა; შემდეგ ხან მაგრად, ხან შეპარვით უბარტყუნებდა ხელებს. უცებ გაისმა:

ხმა პირველი —

„თავისუფლებავ, შენა ხარ
სისხლით და ბრძოლით ნაჭედი,
ზურმუხტოვანი ტახტი ხარ,
ქართულად გამონაჭედი...

ხმა მეორე —

მოდით, ძმებო, დავამღეროთ,
მამები გვყავს საქები.
მათი ნატვრა აღსრულდა,
გავხდით თავისუფლები...

ხმა პირველი —

ვინა სთქვა, რომ ბაღში ვარდი მჭკნარია!
ვინა სთქვა, რომ რუსთაველი მკვდარია!
პირველად მას მივულოცოთ დღეობა,
რადგან იგი ქართველთ სანუკვარია.

ხმა მეორე —

ვინ დასთვალოს გამარჯვება თამარის!
თამარ - მეფე საქართველოს თვალია!
დღეს გამრთელდა და მივმართავთ ერეკლეს,
მივულოცოთ! ეს ხომ ჩვენი ვალია.

ხმა პირველი —

კრწანისის ველს ჩავურბინოთ, ბიჭებო!
და მოვძებნოთ გატეხილი ხმალია!
დღეს გათენდა მისი დიდი მშვენება, —
ჩვენზე ფიქრით მეფემ სული დალია:
— „პატარა კახო, გმირთა-გმირო,
ქვეყნად მეუფის სახეო!
შენ ჩაიტანე საფლავში,
რაც გულში გაიძრახეო,
და ეხლაც შენი კურთხევა
მაღლიდან გადმოგვძახეო!“

ხმა მეორე —

ვინც პირველად ზარს ჩამოჰკრა,
ერის დიდი შვილია,
საქართველო ჩვენიაო, —
იყო დიდი ილია.

ხმა პირველი —

ცა ფირუზად გამობრწყინდა,
და ზურმუხტად საქართველო.
აკაკის ჩანგს ვუმადლოდეთ, —
გაიხარე საქართველო!

ხმა მეორე —

მთის არწივმა ფრთა გაშალა,
ყველა ერთად შეგვყარა,
ვაჟას კალამს ვენაცვალეთ,
სამშობლო შეგვაყვარა!

ნაკადულივით ტკბილი ღიღინი, დროგამოშვებით, — ვით მშფოთარე შხუილი ჩანჩქერისა, ან კიდევ ღუღუნი მტრედისა ფიანდაზად ევლებოდა მტკვრის ნაპირებს...

მუსიკოსებმა შეისვენეს; თამადა წამოდგა, ქართველი ქალის სადღეგრძელო ბრძანა და მუსიკოსებს ანიშნა: — მათაც არ დააყოვნეს:

ხმა პირველი —

გამშვენებენ გიშრის თმები,
ვარდის ფერი ლოყები,
საქართველოს იმედათა
მუდამ თქვენ გვეყოლები...

ხმა მეორე —

ქალო! ქართველთა სულისდგმავ,
ქალო, ქართველთა დედაო,
ტყვილად ამბობენ შენს სიკვდილს,
თამარს ცოცხალსა გხედავო.
შენა ხარ ერის სიცოცხლე,
თავი არ მომიკვდებაო.
მოწყალედ გვეჭმენ ქართველთა,
ჩვენო ლამაზო დედაო!

თამადა კვლავ წამოდგა, ახალგაზრდობას დააკისრა დიდი მოვალეობანი, სურვილიც ბევრი უძღვნა. მას სიტყვა წაართვა მუსიკოსმა:

ქართლის ჭირსა ვერვინ მოსთვლის,
ლხენაც ბევრი ჰქონებიათ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშობელ ქვეყნის დასაცავად
დედის ძუძუ შერგებიათ...

ტაშმა იგრიალა, კვლავ შეაკრთო და შეანძრია არე-მიდამო. სიბნელე იცრიცებოდა. ცისკრის კარის გაღებამ და ცივი სიოს შემობერვამ ამცნო ქვეყნში გართულ ქართველობას — დილის საარი დაჰკრეს — ზეიმის დაბოლოება.

მეორე დილით მახათას მთიდან მოვარდნილი მაისის საამური მზის სხივები მთაწმიდის ზარებს წაეთამაშნენ. ფიანდაზად გადაშლილ თბილისის გორაკებზე სითბო დააფრქვიეს; სეით-აბადის, ყარაჩაღლის ციხის კარის მიდამოები გააღვიძეს, მუქ ნისლთა საბნები გადალეწეს და წინა დღიდან გალაღებულ ქალაქს შრომისაკენ მოუწოდეს.

26 მაისის დილით თბილისიდან ბათუმისკენ და ბაქოსაკენ მქროლავ მატარებელთა მანქანებზე ფრიალებდა დროშა სამფეროვანი, ხოლო წინ მიუძღოდა დიდ არშიაზე წარწერა: „გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!“

მეორე დღეს საქართველოს ყოველი კუთხიდან: ქალაქებიდან, დაბებიდან, სოფლებიდან მოდიოდა ცნობა გადახდილი 26 მაისის დღესასწაულის შესახებ.

ცა-ფირუზ ხმელეთ-ზურმუხტოვან საქართველოს თავისუფლების სხივებით გამთბარმა ხმებმა გადასძახეს მთელ კაცობრიობას — ათასწლოვანი ქართველი ერის: ერთა ოჯახში შებრძანება!

პ. სარჯველაძის ჩანაწერი

როგორ იდღესასწაულეს
26 მაისი 1921 წელში

(ამონაწერი ერთი ბარათიდან; წერილის თარიღია 9 ივნისი 1921 წ.)

... ვერ წარმოიდგენ, როგორ ჩაიარა 26 მაისმა! ჯერ ერთი თვის წინ ბოლშევიკური მთავრობის მიერ აკრძალული იყო ეს დღესასწაული. მაშინ ჩვენ გადავწყვიტეთ ჩვენი ეროვნული დროშით გამოსვლა: სტუდენტობამ, მუშების ყველა ორგანიზაციამ და სხვ. როგორც კი გაიგო ბოლშევიკურმა მთავრობამ მუშების გადაწყვეტილება, მაშინვე გამოიცვალა აზრი. ბოლშევიკების რევოლუციურმა კომიტეტმა გადასწყვიტა:

„რაც შეიძლება მეტი ზეიმით იდღესასწაულოს 26 მაისი, მაგრამ არავითარი ეროვნული ხასიათი არ უნდა ჰქონდეს ამ დღესასწაულს; აკრძალულია რაიმე დროშის გამოტანა ან მოფენა, გარდა წითლისა. დღესასწაულის მიზანს უნდა შეადგენდეს განმარტება ფართო მასისათვის, თუ რა არის დამოუკიდებლობა ბოლშევიკური თვალსაზრისით“-ო.

„უნდა ვიდღესასწაულოთ საქართველოს განთავისუფლება მენშევიკური იმპერიალიზმისაგან“-ო და სხ.

ამ დადგენილებამ საოცარი შედეგი გამოიწვია. ჩვენიანების საერთო კრებაზე გადაწყვეტილი იყო, რომ ყოველი ნამდვილი ქართველი და ყოველი სამშობლოს მოსიყვარულე ადამიანი სახლიდან არ გავა 26 მაისს.

მართლაც, 26 მაისს რუსების, სომხების და (რუსი) ურიების გარდა არავინ იყო ქუჩაში. რუსული ჯარები დადიოდნენ, რუსები ზეიმობდნენ, რუსები ლაპარაკობდნენ და ის „ქართველები“, რომლებსაც ჩვენ „რუსებს“ ვეძახით (მახარაძე და სხვანი)....

... ჩვენ ხან იმედი გვეძლევა, ხან სასოწარკვეთილებაში ვვარდებით. სრულიად არაფერი ვიცით, თუ რა ხდება არამც თუ მთელ მსოფლიოში, თვითონ თბილისშიც კი. ვისმეს დახვრეტასაც კი შემთხვევით თუ გაიგებენ ერთი-ორი თვის შემდეგ, ისე აქვთ საიდუმლოება დაცული ბოლშევიკებს. ყველა დიდი შენობა რუსული ჯარით არის დაკავებული. ქალაქის რამოდენიმე ადგილას ჩეკა არის, სადაც „კონტრ-რევოლუციონერები“ არიან მოთავსებული. ძირს სარდაფში კი ხდება მათი დახვრეტა. ამისათვის სპეციალურად ჰყავთ მოყვანილი ჩინელები (უსაზიზღრესი პირუტყვები), ვინაიდან რუსები დახვრეტაზე უარს ამბობენ...

ცხრა ივნისი, 1921 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოე ჟორდანიას დაბადებიდან 100 წლისთავი

(1868 — 1968)

† აკაკი პაპავა

ეს წერილი დაბეჭდილი იყო ჟურნალში „მამული“ (იანვარი, 1953 წ.), საქართველოს პრეზიდენტის ნოე ჟორდანიას გარდაცვალების გამო. დღეს ამავე წერილს ვბეჭდავთ, ნოე ჟორდანიას ასი წლის თავზე, დაბადების აღსანიშნავად.

ჩვენი პრეზიდენტი

(1868 — 1953)



ნოე ჟორდანია. სურათი გადაღებულია ლევილში. 1950 წ. ლ. ზ—ლის მიერ

დიდი ხანია, რაც მტერი მოგვერია და სამშობლო დავკარგეთ, მაგრამ იგი მტერი ჩვენს სულს ვერ მოერია და ქართველობა ვერ დაგვაკარგვინა.

ჩვენ დღემდე დავრჩით მრევლად იმ დიდებულ ტაძრისა, სადაც, ილიას თქმით, „უწირავს ერთიანს სულსა ერისას და სადაც აღუმართავს ერს თავის დიდებულ და დიდბუნებოვან კაცთა უწმინდაესნი ბატნი და ზედ წარუწერია დიდთა საქმეთა მოთხრობა, ვითა საშვილიშვილო ანდერძი“.

ეს დიდი ტაძარი ჩვენის ქართულ სულისა ისევ საქართველოში დაშთა, მაგრამ მისი მრევლის ნაწილი უცხოეთში გამოიხიზნა. მას სწადდა დევნილ და გალახულ ქართველობის „ერთიანი სულის წირვა, თავის დიდ ბუნებოვან კაცთა და საქმეთა ამბავი“ უცხო ქვეყნებში მაინც შეენახა და განეგრძო.

ამ მრევლს თავისი პატრიარქიც თან გამოჰყვა, რომელიც „არ დაუვარდა, არ დაუძაბუნდა არავითარ ზედ მოსეულ უბედურებასა და განსაცდელსა“. იგი განაგრძობდა ეროვნულ წირვას, თავს გვიყრიდა, და „განმზნევებული თავის მამა-პაპის მაგალითითა და ანდერძითა“ იღწვოდა და იბრძოდა და მოუწოდებდა თავის მრევლს.

ეს მოხუცი გამართული და ამაყი ადიოდა ჩვენს ეროვნულ სამრეკლოზე და გვაგონებდა თავისუფალ საქართველოს ზარების ხმას, მუდამ, როცა უცხო ქვეყნებში გაბნეულ ქართველობას 26 მაისი უთენდებოდა.

ეს იყო ჩვენი აღდგომის დღე და ყოველი ქართველი მოწიწებით და იმედით მუხლს იყრიდა ამ ზარის ხმაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

და იმეორებდა მოკლე ლოცვას: „უფალო, კვლავ მალირსე ჩვენ ხილვა თავისუფალ საქართველოსი“.

დღეს ამ უცხოეთში გადმოტანილ ქართულ სამრეკლოზე ცლოვის ზარი გაისმა: ჩვენი პატრიარქი აღსრულებულა.

ეს გლოვა საერთოა მთელ ქართველობისათვის.

პატრიარქის მიძინებამ მწუხარებაში შეადუღა ქართული მრევლი. ყველას დაავიწყდა გუშინდელი დავა, მიწევ-მოწევა, თვისის სიკვდილით ამ კაცმა კვლავ გადაბა საერთო ძარღვი. ეს იმას მეტყველებს, რომ ჩვენ დიდი ერის შვილები ვართ, დიდი წარსულის მემკვიდრენი. განა სხვაფრივ შეიძლებოდა ჩვენი სიცოცხლე და მომავალის იმედი?. „ვაი იმ ხალხს“, გვეტყოდა იგივ ილია, „რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა; ვაი იმ ქვეყანას, სადაც საერთო ძარღვში სისხლი გაშრა, სადაც ყველაში თითო არ არის და თითოში — ყველა.. სადაც „მე“ ხშირია და „ჩვენ“ იშვიათი“..

ჩვენ გვჯერა, რომ ამ გლოვის დღეს, ამ ზარის ხმაზე თვითეული ქართველი — საქართველოში და უცხოეთში — შეირხევა და სიმწარით აღმოიოხრებს; ყოველი იგრძნობს, — რა გვარ მძიმეა ეროვნულ პატრიარქის დაკარგვა ამ ურთულესსა და უმწვავეს დროში.

ჩვენ ყველამ ვიცოდით, რომ ბ-ნი ნოე ჟორდანია ღრმა მოხუცებულობის საზღვარს გადასცდა, ამ ხანს, და ისიც ჩვენს პირობებში, იშვიათად თუ მიაღწევს ვინმე, მაგრამ ჩვენ როგორღაც მივეჩვიეთ მას, ვიცოდით — რომ ის „იყო და სწირავდა“ — და გვჯეროდა, რომ იმდენ ხანს მაინც არ შესწყვეტდა იმ წმიდა შრომას, ვიდრე ჩვენს ეროვნულ დიდ ტაძარში არ შეგვიყვანდა და იქ ახალ პატრიარქს არ მიგვიჩენდა.

ის წამოვიდა საქართველოდან ძლიერი მტრისაგან დამარცხებული, მაგრამ ამაყი.. მოჰქონდა ქართული წმიდა დროშა ამ გამართულს და თეთრ-წვერა მოხუცს და დღემდე ის ამ დროშასთან იდგა, ისევ ისე, ამაყი და გამართული. ეს დიდი კაცი არ შეიძლებოდა დროშას მოშორებოდა და წასულიყო. ჩვენ ეგ გვწამდა. რატომ? იმიტომ, რომ ის იყო საქართველოს პირველი პრეზიდენტი და ასეთს მხოლოდ საქართველოში თუ შეეძლო აღსრულება; ასე გვეგონა და გვჯეროდა

მაგრამ დღეს ზარებმა ცლოვის ხმით გვამცნეს, რომ დაიღალა და მიიძინა..

ნოე ჟორდანიამ თავისი სამწერლო მოღვაწეობა სწორედ სამოცი წლის წინად დაიწყო (1893 წ.) და ის როგორც მწერალი, პუბლიცისტი და სოც. დემ. პარტიის ბელადი უეჭველად შესანიშნავი პიროვნება იყო.

ნორმალურ პირობებში ქართული პუბლიცისტური მწერლობა და მისი პარტია, ალბათ დიდის ამბით გადაუხდიდა მოხუც ნოეს ამ იუბილეს...

და არა მარტო მისი პარტია, არამედ ჩვენიც და მრავალი მისი მოწინააღმდეგენი, რომელნიც სხვა მიმართულებებსა და პარტიებს ვეკუთვნოდით და მარქსიზმს გაფთრებით ვებრძოდით, — ყველა ჩვენ არა ნაკლების პატივისცემით გადავუხდიდით ბ-ნ ჟორდანიას 50 და 60 წლის თავს სამწერლო ღვაწლისას.

ეხლა, როცა ათეულმა წლებმა ცადაიარეს და დიდ ცეცხლში განვლეთ, როცა ახალი და უმძიმესი სატკივარი გაჩნდა, უკვე შორეულის „საზომით“ ვუდგებით მაშინდელ ამბებს და დავას; ძველი ვნება დღეს უსაგნო და მცხრალია.

„მესამე ხანა“, სწერს ნ. ჟორდანია თვისი წიგნის წინასიტყვაობაში, „იწყება რევოლუციის დამარცხებით 1906 წლიდან და თავდება მსოფლიო ომით... ამ ხანაში სოც.-დემ. ებრძვის მწერლობაში სოც.-ფედერალისტებს და პოლიტიკაში გამეფებულ რეაქციას“...

ეს იყო გაგრძელება იმ ბრძოლისა, რომელსაც ნ ჟორდანია აწარმოებდა სამოციან წლების მოღვაწეებთან და კერძოდ ილიასთან (ჭავჭავაძესთან).

და ეხლა, როცა მიუდგომელი ისტორიკოსი იმ ბრძოლების არქივს ჩაიბარებს, იტყვის და განსჯის, რომ „უფსკრული“ არც ისე დიდი ყოფილა, რომ „ჩატეხილ ხიდის“ გამრთელება მაშინაც შესაძლო იყო. ამისათვის საჭირო იყო დიდი პრობლემის პრაქტიკულად დაყენება, ვიწრო პერსპექტივიდან განთავისუფლება, და აქ ქართული ბუნება ეროვნულ კალაპოტში გაიშლებოდა...

26 მაისმა მართლაც გაარღვია ეს ზღუდეები და საქართველო და ქართველობა ერთობილად ჰყო.

ჯერ ამ არქივთა განქექა ნაადრევია, მაგრამ შეიძლება ერთი თვალის გადავლებით მაინც ითქვას, რომ მაშინ ხშირად ვნებათა ღელვაც ლაპარაკობდა.

ჩვენ ხანდახან ურთიერთს ბრალს ვდებთ ისეთ რამეში, რაც სინამდვილეში არ იყო. რით იყვნენ ამ ბრძოლაში სოც.-ფედერ. ნაკლები დემოკრატები, ან სოციალისტები?

ევროპის სოციალისტურ მოძრაობასთან ახლოს მიკარება გვარწმუნებს, რომ მათ ძალიან ცოტა ჰქონდათ საერთო რუსულ სოციალისტებთან, რასაც ნიღილიზმის გზით ბოლშევიზმისაკენ მიჰყავდა ეს მოძრაობა.

მეორეს მხრივ უნდა აღვიაროთ, რომ ნოე ჟორდანია არასდროს არ ყოფილა ტიპიური რუსული სოციალისტი. როცა მის ძველ წერილებს ჰკითხულობთ, რწმუნდებით, რომ ეს კაცი მხნედ და განუხრელად იკაფავდა გზას ევროპისაკენ. მისი ბუნება რუსულს და ბუნტარულს ვერ ეგუებოდა, მისთვის ნეჩაევი ისე შორს იყო, ვით ბაკუნინი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ კაცის ბუნება, თუმცა მარქსიზმს უხვად ნაზიარები იყო, მაგრამ სულიერად და კულტურულად „მაინც ქართველი“ რჩებოდა. ამით აიხსნება მისი კეთილშობილი მიდგომა მესამოცე წლების მოღვაწეთადმი.

„სიყვარული გლეხ-კაცობის და სიყვარული სამშობლო ენის შეიქმნა იმ ღერძად, რასაც უნდა გადაეტრიალებია ჩვენი ცხოვრება. ეს სავსებით შეიგნეს მესამოცე წლების მოღვაწეებმა და ამ მხრით მიმართეს თავიანთი ძალ-ღონე“... (იხ. ტ. 2).

უფრო ქვევით, ეხება რა რუსეთის ტლანქ პოლიტიკას ჩვენი ერისადმი, ის სწერს: „ამ საუკუნეში ჩვენ სხვანაირ გარემოებაში ჩავდექით. მართალია, ომს აღარავინ გვიშვრება, მაგრამ მაგიერში უომრად, უიარაღოდ, ტკბილის სიტყვებით გვიძვრებიან ოჯახში, სკოლაში, საზოგადოებაში... გვიჩხრეკენ ცულს, სულს, ყველაფერს და რად იხარჯება ამდენი შრომა? ეგების ქართველობა უარჰყოსო“... (იხ. ნ ჟორდანიას ნაწერები, ტ. 2, გვ, 168)

ამ ძალადობას, რუსეთის ასეთ დაწოლას ებრძოდა მესამოცე წლების შემდეგ გამონული დასიც, ახალი ქართული მწერლობა. ეს „მწერლობა ეხება ორ კითხვას“, ამბობს ნ. ჟორდანია: „პოლიტიკურ-სოციალურს და ეროვნულს. ქართველის გაევროპიელება და ქართველის გაქართველება, — აი დედაბოძი ამ მიმართულებისა... ამ საძირკველზე შენდება კედელი; პირველი წყება ამოშენდა მესამოცე წლებში, ხოლო მთლად აშენება კი ჩვენი წარმატებისაგან არის დამოკიდებული“ (იქვე).

აქედან სჩანს, რომ ნ. ჟორდანია ფსიქოლოგიურად თავის გზებს მაინც ქართულ წინა თაობის ბილიკებს უკავშირებდა. ის სწუხდა, რომ ქართულმა მწერლობამ ისევ რუსეთის ჭოგრიტით დაუწყო მომავალს ცქერა და ევროპა მას განზე დარჩა...

„მწერლობა იმიტომ დაიბნა“, სწერს ნ. ჟორდანია, „რომ ცხოვრება შეიცვალა; ეს მან ვერ ახსნა, ვერ შეიგნო და ფანტაზიას, უტოპიას მიეცა. ასეთ მდგომარეობიდან მას გამოიყვანდა მხოლო დასავლეთი ევროპის განვითარების გაცნობა, რომელმაც ის ხანა, რომელშიაც დღეს ჩვენ ვიმყოფებით, კაი ხანია განვლო და საკუთარი გზა გაიკვლია. შესწავლა ამ გზის, მისი მიდრეკილების გამორკვევა, ნიშნავს ჩვენი ცხოვრების გარკვევას და მერმისის გათვალისწინებას“... და ავტორს სავალალოდ მიაჩნია, რომ ქართველობა და მისი მწერლობა ასცდენია ამ გაევროპიელების გზას, ესე იგი, წინსვლას, და ჩამორჩენილი რუსეთისაკენ მიჩანჩალებს... ეს კარგს არას გვიქადისო!.. „სამწუხაროდ, ჩვენი მწერლობა ამ მიმართულებას არ ადგია. ის ერთნაირად რუსული მწერლობის გავლენის ქვეშ არის, იმ ქვეყნის, რომელიც მოქალაქეობრივად ჩვენსავით ჩამორჩენილია და, მაშასადამე, გზას მერმისისას ვერ გვიჩვენებს“... (ტ. 2, გ. 174)

აქ უკვე მოცემულია ჩანასახი იმ გამიჯვნისა, რომელიც შემდეგ მან რეალურად გაატარა და რამაც ქართული სათავეებისაკენ მიმართა ნოე ჟორდანიას გეზი: — „დასავლეთის ცივილიზაცია მირჩევნია აღმოსავლეთის ფანატიზმს“-ო, — განაცხად ამან საჯაროდ

ეს ცივილიზაცია მარტო ტეხნიკას და კაპიტალს კი არ ნიშნავდა, არამედ მაღალ კულტურას, საკაცობრიო ჰუმანიტარულ იდეალს, საითკენაც იწვევდა ძველი საქართველო. ამ ევროპის გზის ძიებამ წარმოშვა ხომ ერეკლეს 1783 წლის ტრაქტატი...

და ვისაც სამართლიანი მსჯავრის დადება სწადია, მან უნდა აღიაროს, რომ ნ. ჟორდანია თავიდანვე ქართველი კაცი ყოფილა და მას ამოძრავებდა ქართული ატავიზმი — ევროპის კარების შეღების ცდა. ამ კაცს კარგად ესმოდა, რომ გაევროპიელება ეკონომიურ გაღონიერებას და გაკულტურებულობას ნიშნავდა.

ჩვენი ვაჭრობა-მრეწველობა იმ ხანებში უცხო ტომთა ხელში იყო, რაიც მას სავალალოდ მიაჩნდა. აბა, რომელი ნაციონალისტი არ მოაწერს დღესაც ხელს იმ მთავარ აზრს, რაიც ჩანერგილია ავტორის სიტყვებში, რომელიც მას ჯერ კიდევ 1896 წელს უთქვამს:

„დღეს რომ ქართველობას საკუთარი პოლიტიკური ძალა ჰქონდეს, უეჭველია, ისეთ ზომებს იხმარდა სომხების წინააღმდეგ, რომ მით თვითონ გამაგრებულიყო ეკონომიურ ნიადაგზე“-ო. (იქვე, გვ. 181).

ეს არის პროტექციონიზმის გზა, რასაც დღესაც ფხიზელი სახელმწიფო მოჭარბებით იყენებს...

„ეროვნება და სახელმწიფო“ უნდა ყოფილიყო ნოე ჟორდანიას შემდეგი ზრახვები, რომლებიც მხოლოდ შესაფერ მომენტს უცდიდნენ.

და ეს მომენტი რუსეთის იმპერიის დაშლამ მოიტანა.

დიდი რუსეთი და მისი ხალხი გაჰყვა ნაცად ნიღილიზმს და ანარქიის გზას...

და ნოე ჟორდანიამ, დაინახა რა, რომ ფიზიკური საფრთხე ერისათვის აცილებული იყო, ქართველობას ევროპის გზებისაკენ — თავისუფლებისაკენ — მოუწოდა.

ნოე ჟორდანია უყოყმანოდ გაეთიშა რუსობას და ძველებურ, ქართულ სიამაყით განაცხადა:

„ჩვენ ვყოფილვართ თავისუფალნი მრავალ საუკუნეთა მანძილზე და ჩვენ დღეიდან კვლავ ვუბრუნდებით ძველ ისტორიულ გზას; ჩვენ ვხდებით დამოუკიდებელნი და ვით თავისუფალი ერი შევდივართ საერთაშორისო ოჯახში. და თუ ჩვენ აქ გვკითხავენ — რომ მოდიხართ ,რა მოგაქვთ? ქართველი ერი მათ მიუგებს: „მოგვაქვს ორი ათასი წლის კულტურა“-ო...

ეს ისტორიული სიტყვა წარმოთქვა ნოე ჟორდანიამ 26 მაისს 1918 წელს და ქართულ მატიანეში „გაგრძელება“ ამით ჩასწერა.

და ეს კაცი ამ დღიდან გახდა არა მწერალი, პოლიტი-

კოსი და პარტიის ლიდერი, არამედ შეიქმნა თავისუფალი საქართველოს პირველი პრეზიდენტი.

სამი ბრწყინვალე წლის ისტორია ჩასწერა მან ძველ ქრონიკებში... მსოფლიოს ამცნო ჩვენი ერის აღდგომა და მშენებლობა. და ეს იმ რღვევისა და ქარ-ცეცხლის ჟამს, რაიც რუსეთის ტერიტორიაზე მძვინვარებდა...

მაგრამ რუსეთმა ეს ვერ გვაპატივა, და მოპარვით მახვილი ჩაგვცა, — ქართული სახელმწიფო სისხლში ჩაახრჩო. მაგრამ ერის თავისუფალი სული მან ველარ დაიმონა: საქართველოს მთავრობა და ნოე ჟორდანია ხელთ ვერ იგდო... ეს კაცი, ვით მეთაური და დესპანი განახლებული საქართველოსი ქართულის სიტყვითა და დროშით თავის საყვარელ ევროპისაკენ გაეშურა. აქ მან მთელ კულტურულ ქვეყანას ამხილა რუსეთის ვერაგობა, საქართველოს წმიდა უფლება და საქმე...

ამ მოხუცმა დაშლილ, დაღლილ ძალებს კვლავ მოუყარა თავი. გული გაუმაგრა. ყოველ წლის თავზე ჩვენის დაპყრობისა ის გვამხნევებდა; ახალ ძალებს ჰკრებდა და რწმენას გვიკაჟებდა: —

„დავკარგეთ თავის თავის ბატონობა, მარა მივიღეთ თავისი თავის შეგნება; მოგვკლეს, მარა არ მოვკვდით; დაგვაძინეს, მარა არ გვძინავს. ჩვენთვის მომზადებული სასაფლაო, მათთვის ითხრება“... — მეტყველებდა ქართული მრევლის წინაშე ეს უდავო პატრიარქი და დასძენდა: —

„... ეს წელიც, „მსხვერპლით და თავის დადებით აღსავსე წელი, არის წელი ჩვენი სულიერი აღორძინების, ხალხის ერად გადაქცევის. აეღერდა ძველი სიმები, ათასი წლობით დაწნული და ჩვენი ჭირ-ვარამის საკრავზე ჩამწკრივებული. გამოჩნდა განვლილ სავდათა ნაქსოვი, მტკიცე ნაჭედივით და სათუთი გრძნობებით. ხალხმა მას მიაგნო, მას ხელი ჩასჭიდა და ხსნის ბერკეტად გამოაცხადა; ერმა მონახა თავისი თავი და უძლეველი შეიქმნა...

„ამ წელმა გამოჰკვეთა ახალი ქართველი, აღადგინა ძველი მებრძოლი, უშიშარი და თავის დამდები.

„გადასახლება, წამება ,ხვრეტა მას ამამაცებს. მან გააწბილა მოციქული: შიშმა ვერ შექმნა სიყვარული.

„აქ გადაწყდა ბედი ქართლისა. აქ ჩაიყარა მისი არსებობის ღრმა საძირკველი, მას ველარ გაარღვევს მრისხანე მტერი... მას არღვევდა დიდი სპარსეთი, დიდი ოსმალეთი, დიდი ურდოები... ჩვენი დამრღვევი თვითონ ირღვევა. ამას ვერ ასცდება მოსკოვიც...

„ხალხი ილუპება, როცა მისი სული და მორალი ტყდება, მაშინ ის ბრბოდ იქცევა, სარეკ ჯოგს ემსგავსება. ქართველი ერის თესლი ამ გზით არ მიემართება. ის მუდამ წარმოადგენდა დაწყობილ, დარაზმულ ერს, ორგანიზაციულად დაკავშირებულს. ამით გამოიტანა მან თავი ბნელი საუკუნეებიდან...

...„აქ იჭედება ქართველი ხალხის თავისუფლება; მას ეძლევა საფუძველი მძლეთა-მძლეველი. მას აართვეს ბატონობა, მარა ვერ აართვეს ნამუსი, — მოსტაცეს თავისუფლება, მარა ვერ მოსტაცეს პატიოსნება...

„გარდაგვხდენია ბრძოლა მრავალი; ტანჯულმა სულმა არ იცის დაღლა...“.

აი, სიტყვები მოხუც პრეზიდენტისა. და ეს სიტყვა — საქმე იყო, რამაც აღზარდა ემიგრაციაში მთელი თაობა. მისმა ტანჯულმა სულმა მართლაც არ იცოდა დაღლა; მას საამისოდ არ ეცალა; ის წლებს არ ითვლიდა, მაგრამ წლები ითვლიდნენ და სწონიდნენ მის მილეულ ძალებს.

და დღეს ემიგრაციის წმიდა სამრეკლოზე ტლოვის ზარმა ჩამოჰკრა: — მოხუცი, ჩვენი პატივცემული პრეზიდენტი და ემიგრაციის პატრიარქი წაბრძანდა...

ქართულ საგუშაგოზე ის აღარ სდგას, მაგრამ მისი საქმე გრძელდება — საქართველოს დროშა იქ ისევ ფრიალებს და ზედ აღბეჭდილია ამ პრეზიდენტის ანდერძი:

„დაგვმარხეს, მარა ავდექით და სიცოცხლის ველზე დავდექით. რით? მხოლოდ ერთი იარაღით :ამაყი სულით და ძლიერი ნებისყოფით... ჩვენ გვსურს — თავისი თავი ჩვენვე გვეკუთვნოდეს და გვეკუთვნება... გაქრა ის დრო, როცა ქართველი ხალხი ჩრდილოეთიდან სინათლეს მოელოდა — იქედან მოდის სიბნელე და მან ზურგი შეაქცია მას; იქედან მოდის გათახსირება საზოგადოებრივი, ოჯახური, მეგობრულ - ნათესავური, და მას კარი გამოუკეტა; იქედან აფურთხებენ და ფეხ-ქვეშ სთელავენ წმიდათა წმიდას; მას ჩვენი ერი არ აჰყვა; საქართველომ მოსკოვი არ მიიღო, არც პოლიტიკურად, არც მორალურად. საქართველოს აქვს თავისი საკუთარი პოლიტიკა, საკუთარი კულტურა და ზნეობა. ამ სიმაგრეში ის ჩაჯდა“...

ეხლაც ასე იტყოდა ეს მოხუცი, რომელიც 60 წლის წინად ემიჯნებოდა ბარბაროსულ ძალებს და ევროპის ჰუმანიზმისაკენ მიგვიწოდებდა.

ეს მოხუცი გახლდათ ჩვენი პრეზიდენტი და ჩვენ გვევალება მისი ანდერძის წმიდად შენახვა.

† აკაკი პაპავა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

† ნოე ჟორდანია —

ქ ა რ თ ვ ე ლ ე რ ს

ეს მიმართვა დაბეჭდილი იყო ჟურ. „ბრძოლის ხმა“-ში, 1931 წ. თებერვალი.

სრულდება ათი წელი ქართველი ერის ტყვეობის, საქართველოს დაპყრობის და დამონების; წელნი მეტად მწარე, მეტად სისხლიანი, ტანჯვით და ცრემლით სავსენი.

ქართველ ერს უნახავს უცხო ურდოთა შემოსევა, განუცდია უცხო ძალთა რბევა და ძალმომრეობა.

მაგრამ მას არასოდეს არ უნახავს, არასოდეს არ განუცდია ის ტანჯვა-ვაება, ის სასტიკი უბედობა, რაიცა მას თავს დაატყდა ამ უკანასკნელ ათ წელიწადს.

წინეთ დამპყრობელთა ნიაღვარი გადაივლიდა, ქვეყანა ისევ გამოიღვიძებდა, მისი მზე ამონათდებოდა და თავისუფლების ყვავილები გაიშლებოდა.

დღეს დამპყრობელთა ნიაღვარი დაგუბდა ჩვენს ქვეყანაში; ის ყოველ ცისმარა დღეს ანადგურებს ერის სიმდიდრეს, მის ნივთიერ და სულიერ საუნჯეს; ის ყოველ დღე, ყოველ საათში ცელავს საუკეთესო შვილებს; ერს კვეთს საუკეთესო თავებს; აძევებს სამშობლოდან ხალხის მესვეურებს.

მტერი დაბანაკდა ჩვენს საკუთარ მიწა - წყალზე და შეიარაღებული ეწევა მუდმივ, შეუჩერებელ ომს უიარაღო მცხოვრებთა წინააღმდეგ. . .

ათი წელია სწარმოებს ეს ბრძოლა საქართველოს დასამორჩილებლად , ქართველი ერის მუხლზე დაცემულ საწყალთა ბრბოთ გადასაქცევათ.

მოსკოვის ტირანები ათი წელია ძღებიან ქართველი სისხლით და ვერ გაძღენ ;იტაცებენ მის სარჩო-საბადებელს და ვერ გაათავეს, ავსებენ თავდადებულ მოღვაწეებით ციხეებს, ბნელ საკნებს, შორეულ გადაკარგულ კუთხეებს და ვერ გაავსეს.

დიდია ქართველი ხალხის ეს მძიმე ტანჯვა, განუზომელია ეს ამოდენა მისი წვალება, მწარეა ეს ხანგრძლივი მისი დევნა.

მაგრამ დიდი აღმოჩნდა ქართველი ერის გამძლეობა, არ შეირყა მისი სულიერი სიმტკიცე და რაინდული მხნეობა. მას მოსტაცეს თავისუფლება, მაგრამ ვერ დაიმორჩილეს, მას წაართვეს თავისთავის ბატონობა, მაგრამ ვერ დაიმონეს.

ქართველი ერი ამ მეათე წელსაც ისე მაგრათ დგას თავის უფლების, თავის სამშობლოს სადარაჯოზე, როგორათაც ის იდგა თავიდანვე, შემოსევის პირველ წელიწადს. დროთა ბრუნვამ ის ვერ მოსტეხა, გზა-კვალი ვერ აუბნია, მტერი მოყვარეთ და მოყვარე მტრათ ვერ მოაჩვენა. ის დგას თვალახილული, გონება ნათელი, მტერთან მტრულათ განწყობილი. დევნა მას აკაჟებს, თავდასხმა ავაჟკაცებს.

განა ეჭვია, ვინ გაიმარჯვებს! ისტორიის ჩარხს უკუღმა ვინ დააბრუნებს? მოსკოველთა საქმე წაგებულია, ისინი ისტორიის მიერ განწირული არიან. . .

დროს რა მნიშვნელობა აქვს, იქნება ადრე თუ გვიან — ეს დამოკიდებულია მრავალ გარემოებაზე; მთავარია ის, რომ მტერის დამარცხება უეჭველია, მისი დასასრული გარდაუვალია. ქართველი ერი სწორეთ ასე შორს იხედებოდა და ამიტომ ქედი არ მოიხარა გამარჯვებულთა წინაშე. ის დარწმუნებულია მტრის დაცემაში, მის დარღვევაში, მისი ბოროტების აღმოფხვრაში და ეს რწმენა მას ამხნევებს, ასალკლდევებს ეს ათი წელიწადია. (. . .)

საქართველოს კანონიერი მთავრობა, უცხოეთში გადმოხვეწილი და აქ ერის დაკარგული უფლებისათვის მებრძოლი, შორიდან უძღვნის სალამს მთელ ქართველობას და მას უთვლის: ჩვენ აქ ძველებურად მაგრათ ვდგევართ ქვეყნის სადარაჯოზე; ჩვენი გული სცემს თქვენ გულთან ერთად. თქვენი სული გვაძლევს აღფრთოვანებას. მომავალ დიად გადატეხას შევხვდეთ მთლიანად, საერთო ნებისყოფით, საერთო სულისკვეთებით და სხვა ჩვენებრ დატანჯულ ხალხებთან ერთათ აღმართოთ ჩვენი დროშა, დროშა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღდგენის, კავკასიის ხალხთა კონფედერატიული კავშირის დაარსების და სხვა საბჭოთა უღლისაგან განთავისუფლებულ ყველა ხალხებთან ძმური დამოკიდებულების და კეთილი მეზობლობის დამყარების.

საქართველოს ეროვნული მთავრობის თავმჯდომარე

ნოე ჟორდანია

პარიზი, თებერვალი, 1931.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევ. აბულაძე

ლევილის სავანე

(ლ. ბ-ლის ხსოვნას)

მოლუშული ცა. შემოდომის მსუბუქი ქარი.
წყლის ნაპირებზე ჩუმი ნისლი ჩამორღვეული;
ზოგჯერ მკრთალი მზე ღრუბლებს შორის გამონაპირი,
თითქოს თოლია მოთენთილი, ქანცმორეული.

თითქოს სამყარო გაყინულა ამ ვიწრო წრეში,
სადაც გვერდები ბებერ ძეგლებს ჩამომტვრევიათ,
რომელთაც ეხლა ემუქრება თოვლი და თქეში,
თუმცა ზამთარი ნოემბერში ნაადრევია...

ვდგევარ საფლავთან, როგორც ბაწრით დაკიდებული,
გული ცრემლებში ამიცურდა, ამიქვითინდა.
ბიჭო! სად გქონდა შენ აკვანი ,მამულ-დედული!
იქ მიგიხმობდნენ, მოგელოდნენ, — აქ შენ რა გინდა!

სიტყვა ვერ ვპოვე, საპყარივით ყელ-დათუშულმა,
მოვრეტიანდი, მომეჩვენა მექა-მედინა;
თითქოს დამსერა, დამაწყლულა ხმალმა თუშურმა,
ცხელი ნაკადი ცივ ლოყებზე ჩამომედინა.

ამ საუკუნის სიდუხჭირეს ეურჩებოდი,
ფაქიზად გეპყრა ტვირთ-მძიმეთა წამოსასხამი,
მაგრამ აუგი, განა მისთვის გძულდა და გმობდი,
რომ აქ უდროოდ გაგვეთხარა შენთვის საფლავი!

ეხლა რა გითხრა ამ ლოდის ქვეშ ხმა დადუმებულს!
ცბიერ ცხოვრების ნაცარ-ტუტა ან თუ მეტი რა!
გაწბილებული მოლოდინით დღე გამწარებულს,
ამ შენ საფლავზე მოხუც დედას მაინც ეტირა!

თუმცა საგლოვი, სავაგლახო მას იქაც ჰყავდა;
ის ილეოდა ფერმიხდილი ჩასულ მზესავით,
მეორე შვილიც, შენზე გვიან რომ დაიკარგა,
ისიც იმსხვერპლა ფათერაკმა, სწორედ შენსავით.

აგლეჯილ ტალღას ზნედ სჭირს ზვირთის შორს გადა-
ტყორცნა,
სანაპიროზე ვაზს დასცემს და გაანაფოტებს,
და ქარიშხალი ნორჩ წალკოტებს ეცემა როცა,
გაიფაფხება, გააშოლტებს ყვავილის ტოტებს.

მიმოვიხედე, საფლავები აქ სხვაც ბევრია,
ჩამწკრივებული, ჩაკირული ბაგე-ბორცვები;
აქ საქართველოს ნაფლეთები გაუბნევია,
მისი ნაწილი სხვის მიწასთან შენახორცები.

აქ სიბრალულის ბევრი ცრემლი არის დაღვრილი,
აქ რამდენ მშობლის ძუძუები გაშიშვლებულა,
ქართული სიტყვა, ქართული ხმა, ქართლის ტკივილი,
ამ ქვებს, ამ ეზოს, ამ მიდამოს აჩნია წყლულად.

სიკვდილი ყველგან სასტიკია, მაგრამ აქ უფრო
იგია მეტად სავალალო, საუბედურო;
აქ კაცს სურვილი გეპადება მას შეაფურთხო
და უფალს ლამის უგულობა უსაყვედურო.

აქ რომ მარხია: ეს ნაცნობი, ეს მეგობარი,
ეს ახალგაზრდაც ჩვენი ხვედრის თანატოლია,
ჩვენ ერთად გვზრავდა ოცდაერთის ცივი ზამთარი,
გულს გვიფატრავდა ფერეიდან-ანატოლია.

ჩვენც იმ ქართველებს ვათოკილებს დავემსგავსენით,
რომლებსაც ზღურბლი მამულისა გადაუკეტეს,
ჩვენც დავდულრულვართ მათი კვნესით, ვაებით, სენით,
და არც დასასრულს არ მოველით მათზე უკეთეს.

მაინც გადვურჩით: ყრუ ყაენებს, სულთანებს, შაჰებს,
ბევრი უღელი დაგვილეწავს, გადაგვიგდია,
აწიც გავუძლებთ ძველი დროის ახალ ყაჩაღებს,
რადგან წარსული — მომავალის გზა და ხიდია.

და როს ვუცქერი დაღვრემილი ამ ცივ საფლავებს,
სადაც აქა-იქ ქართლის მიწა გაურევიათ,
შორიდან ვამჩნევ იმ ობოლთა ნამტირალ თვალებს,
რომელთა ბუდე განშორებას დაუნგრევია.

აქ ჩამოდიან, პოვულობენ თავისიანებს,
ახლო ნათესავს, ან და მშობელს ზოგჯერ უნახავს,
ჩამოაქვთ მათთვის ის განცდები თვალცრემლიანებს,
რასაც სამშობლო სასოებით მათ სულ უნახავს.

ქარი ზმუოდა გაჩეხილი ორლობეებში,
ქართველი დედა დაეძებდა დაღუპულ შვილებს,
მზაკვრულად შეკრულთ, შემუსრულებთ ზამთრის
დღეებში,
ან და შორეულ ტრამალებში გადახვეწილებს.

განა ეს მარტო ჩვენი დროის თანამგზავრია?
დასაბამიდან ასე მოდის, ასე ყოფილა!
ქართველთა ძვლები რომელ მიწას არ აბარია!
რომელ კუთხეში მათნი თვალნი არ ჩაქრობილან!

მაგრამ ეს არის წმიდა ვალი მამულის მიმართ,
ეს თავდებია თვითუფლების და საფუძველი;
ჩვენც დავიმარხოთ, თუნდაც აქვე, მათებრ მარტოკად,
ოღონდ სამშობლო იყოს ღაღი, იყოს ღეგრძელი.

ევ. აბულაძე

პარიზი, ნოემბერი 66.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლევან ზურაბიშვილი

ნიკო ნიკოლაძის

დაბადებიდან — 125 წლის

და

გარდაცვალებიდან — 40 წლისთავზე



ნ. ნიკოლაძე. სურათი გადაღებულია ლონდონში, 1927 წ.

ნ. ნიკოლაძე დაიბადა ქუთაისში 14 სექტემბერს 1843 წ. —გარდაიცვალა თბილისში: 1 აპრილს 1928 წ.

თავისი სადოქტორო დესერტაცია მან წარადგინა ციურიხში; დაიბეჭდა ჟენევაში 1868 წელს.

«DU DESARMEMANT, ET, DE SES CONSEQUENCES ECONOMIQUES ET SOCIALES».

ნ. ნიკოლაძის ცხოვრებას, რჩეულ ნაწერებს, მსოფლმხედველობას და მოღვაწეობას, საქართველოში უძღვნეს რამოდენიმე მოზრდილი წიგნი და მრავალი საგაზეთო-საჟურნალო წერილი; მისი სახლი, ჯიხაიშში, აქციეს მუზეუმად და მისი პირადი არქივიც აღნუსხეს და ეს კატალოგი წიგნად დაბეჭდეს. შეიძლება, მაშ ითქვას, რომ ნ. ნიკოლაძეს საქართველო იცნობს და რომ მას ქართულმა რჩეულმა საზოგადოებამ, შეძლებისდაგვარად, ყურადღებაც და დიდი პატივისცემაც დაუმტკიცა.

არც არაფერი გვექნებოდა დასამატებელი - სათქმელი, რომ ყველა ამას თან არ ახლდეს ერთი დიდი ნაკლი და **პირველყოფილი ცოდვა:**

ერთი: ნ. ნიკოლაძის ყოველი სიტყვა, თუ მოქმედება სავალდებულოდ განხილულია მარქსისტ-ლენინისტური გამამრუდებელი შუშის ქვეშ — იმ ზომად, რომ ლამის ნ. ნ. გამოიყურება ორთოდოქსალური მარქსისტად და — საქართველოს რუსეთის ხელში დარჩენის მომხრედ! — ეს ხომ ხალხს ვერ შეაცდენს!

რაც უფრო მავნე და სამწუხაროა: ნიკოს ყველა ბიოგრაფიიდან სავსებით ამოშლილია მისი ეროვნული და პოლიტიკური მოღვაწეობა საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის არსებობის სამი-ოთხი წლის მანძილზე: განდევნილია და დავიწყებას მიცემული 1917 — 1921 წ.წ.

ეს პერიოდი ხომ საერთოდ საბჭოთა ლიტერატურაში ან სრულებით არ იხსენება, ან თუ კი: გაკვრით, და მაშინ მას აუცილებლად ახლავს ზედსართავი: „მენშევიკური“!

ამრიგად, კომუნისტები ცდილობენ მიჩქმალონ იმდროინდელი, ფეხზე წარმომდგარი საქართველოს ნამდვილი, სახელმწიფოებრივი და ეროვნული სახე. ისინი ცდილობენ ამ საშუალებით დააჯერონ ახალგაზრდები, რომ ეს იყო უმნიშვნელო „ადგილობრივი“ ეტაპი ბოლშევიკ-მენშევიკთა პარტიული ბრძოლისა!

ეროვნული ბიბლიოთეკა



დამფუძნებელ კრების წევრობის

მუდმივი № 83.

მოწმობა

ამა მოწმობის პატრონი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქე ნიკოლოზ იაკობის ძე ნიკოლაძე

დამფუძნებელ კრების წევრი არის.

საქართველოს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი

მდივანი

ქვესტორი

უსურათო მოწმობა ნამდვილი არ არის

ვფიქრობ, სწორედ ასეთი „გაცენზურება“ ნ. ნიკოლაძის ბიოგრაფიისა და აზროვნებისა, გათვალისწინებული ჰქონდა „რეალისტური“ ცენზების პატრონს, შოვინისტურ-ტელ ბაბუა-ჩემს, როდესაც მან, უცხოეთიდან ოკუპირებულ საქართველოში დაბრუნების დროს, ამჯობინა თან არ წაეღო ის რამოდენიმე პირადი დოკუმენტი, რომელზეც ქვემოდ გვექნება საუბარი.

ჩემი განმარტება იქნება მოკლე. უფრო დაწვრილებითი კვლევისათვის არც საჭირო მასალები მოგვეპოვება.

მაგრამ ვიდრე შევუდგებოდე ამ მთავარ პერიოდს, ნებას მივცემ ჩემ თავს მოვათავსო აქ ორი მოკლე ცნობა, რომელი ინტერესს მოკლებული არ არის და ვფიქრობ, ნაკლებად გავრცელებულია. ჯერ ის, რომ ლექსიკონის „ლარუს“ის ექვსტომიან გამოცემაში (უკვე 1928 წლიდან) სწერია შემდეგი (ტომი 5. გვ. 73):

NICOLADZÉ (NICOLAS): Publiciste et Homme Politique Géorgien, né à Koutaïs en 1843, mort à Tiflis en 1928. Ses Oeuvres: littéraires, économiques, et politiques, écrites en Géorgien, et en Russe, le firent remarquer, mais ce qui lui valut sa popularité, ce furent les grands travaux qui furent, sur son initiative, entrepris au Caucase. C'est à lui qu'on doit la construction du Port de Poti, sur la mer Noire, les canalisations de Tiflis, et le développement de l'industrie de Manganèse de la région de Tschiatour».

რამდენადაც უცხოელ ლექსიკონს შეიძლება მოეთხოვოს, ეს ცნობა სწორიცაა და ზომიერიც.

მეორე ცნობა ეხება უფრო შორეულ წარსულს (და თუ არ ვცდები, მხოლოდ ერთ პატივცემულ ქართველ მეცნიერს აქვს აღნიშნული). ეს ის, რომ ჯერ კიდევ 1873 წელში, პარიზში ნიკო ნიკოლაძემ დააარსა **პირველი** ქართული გაზეთი, საფრანგეთში, „დროშა“ და რომ მის პირველ ნომერშივე მას დასახული ჰქონდა როგორც საზოგადოებრივი იდეალი: **„თავისუფალი ფედერაცია კავკასიური ხალხებისა“...**

მაგრამ დავუბრუნდეთ საბჭოთა ცენზურის მიერ ისტორიიდან ამოშლილ წლებს.

ნიკო ნიკოლაძის პოლიტიკური მოღვაწეობიდან ორი, 1918 წლის, მნიშვნელოვანი შემთხვევა აღწერილი აქვს პროფ. ზურაბ ავალიშვილს თავის შრომაში „ნეზავისიმოსტ გრუზიი ვ მეჟდუნაროდნოი პოლიტიკე“. (იგივე გამოიცა ინგლისურ ენაზე, ლონდონში (1940 წ.) სათაურით:

«The Independence of Georgia in International Politics».

რუსულ გამოცემას ქართულად აწერია მიძღვნა: „საქართველოსთვის აღსრულებულთა ხსოვნას — ახალთ საიმედოდ“).

პროფ. ზურაბ ავალიშვილის მოწმობა მით უფრო ძვირფასია, რადგან ორივე შემთხვევაში ზ. ავალიშვილი თვითონ იყო მონაწილე აღწერილისა.

პირველი შემთხვევა, ეს იყო თურქულ - კავკასიური კონფერენცია ბათუმში, 1918 წ. მაისის შუა რიცხვებში.

მოგეხსენებათ: 1918 წლის დამდეგს ჩამოყალიბებულმა დამოუკიდებელმა კავკასიის ფედერაციამ უარი განაცხადა ბრესტლიტოვსკის საზავო კონფერენციაზე დელეგატების გაგზავნაზე და აირჩია ომის გაგრძელება თურქეთთან და საკუთარი პროვინციებისა და სამხრეთი საზღვრების დაცვა. (ბრესტლიტოვსკში ხომ ლენინის რუსეთმა ხელი მოაწერა საზავო ხელშეკრულებას ავსტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი
1920 წ. 25 ივნისს
№ 1570
ქ. ბ.
ტფილისი

Удостовѣреніе

Подписью моей и приложеніемъ Патріаршей печати удостовѣряю, что предъявитель сего - членъ Учредительнаго собранія Грузинской Демократической Республики и членъ Правленія Общества имени св. Равноапостольной Нины, протоіерей Николай Яковлевичъ Николадзе уполномоченъ мною имѣть сношеніе и переговоры со всѣми по его усмотрѣнію учрежденіями и лицами по дѣламъ церковнаго характера.

რია - გერმანია - თურქეთთან, და თურქეთს დაუთმო ართვინ - არდაგან - ყარსის ოლქები!)

სამწუხაროდ, კავკასიურ ფედერაციას ძალა არ შესწევდა თურქეთის წინააღმდეგ ომი ეწარმოებინა. კავკასიური ფრონტი მოიშალა და იქიდან მომწყდარი შვიდასათასიანი რუსის ჯარის გასტუმრება რუსეთისაკენ მძიმე ტვირთად დააწვა ნორჩ სახელმწიფოს.

საკვირველი არ არის, რომ ამ პირობებში ჩვენი ფედერაცია ადვილად დამარცხდა და იგი იძულებული გახდა საზავო მოლაპარაკება დაეწყო თურქებთან ბათუმში (რომელიც მაშინ თურქების ხელში იყო ჩავარდნილი); კავკასიელები აქ იყვნენ პირისპირ თურქებთან, რომელთა მოთხოვნილებაც ბრესტლიტოვსკის შემდეგ არ შემცირებულა, — პირქით, გაიზარდა. თურქებს სურდათ აქ დიპლომატიურად შემომტკიცება იმისა, რასაც ძალით ხელში იგდებდნენ. ამიტომაც მეტად სერიოზულად მოეკიდნენ ამ კონფერენციას, რაც სჩანს უკვე მათი დელეგაციის შემადგენლობის მიხედვით. მართლაც, აქ ჩვენ ვხედავთ თურქეთის საუკეთესო დიპლომატებს: —

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხალილ ბეი (თურქეთის იუსტიციისა და დროებით საგარეო საქმეთა მინისტრი, შემდეგში პარლამენტის თავმჯდომარე); **ჯემალ-ფაშა** (საზღვაო მინისტრი); განთქმული **ვეხიბ-ფაშა** (მთავარსარდალი). გერმანიამ მეთვალყურის როლში მიავლინა ცნობილი ლენერალი ფონ ლოსოვი.

კავკასიის დელეგაციის ქართველი დელეგატები კი იყვნენ: აკაკი ჩხენკელი და ნიკო ნიკოლაძე (ზურაბ ავალიშვილი — მათი საგანგებო მრჩეველი).

კავკასიურ დელეგაციაში არ სუფევდა სრული ერთსულოვნება, ვინაიდან აზერბაიჯანელები, რომელთაც თურქეთისაგან ტ[illegible]ტორიულად საფრთხე არ მოელოდათ, ამ თანამორწმუნეებისადმი ერთგვარ ნდობასა და მიმზიდველობას განიცდიდნენ. ამიტომაც ქართველ დელეგატებს შეექმნათ საკუთარი მიზანი და გეგმაც მოლაპარაკებისა. ეს უკანასკნელი იყო მიმართული მოლაპარაკების „კაჭიანურებისაკენ“, რათა მოგებული დრო მოეხმარათ გერმანიის ყურადღების მიპყრობად; შეექმნათ გერმანულ - თურქული ეკონომიური ინტერესების (კავკასიის მიმართ) აქტიური დაპირისპირება. ფაქტებმა ხომ კიდეც ნაწილობრივად გაამართლეს ეს ტაქტიკა.

აი, ამ მოლაპარაკებათა ანალიზთან დაკავშირებით ზ. ავალიშვილი ბრძანებს, ნიკო ნიკოლაძის „ამოუწურავი მეხსიერება, ბრწყინვალე მჭევრმეტყველება, ელვარე თვალები — თეთრ წვერებთან და წარმოსადეგ ტანადობასთან შერწყმულნი, — მეტად სასარგებლოდ ხდიდა მის მონაწილეობას ამ საქმეში“-ო.

მეორე არა ნაკლები მნიშვნელობის შემთხვევა, აგრეთვე საქართველოს საგარეო პოლიტიკას ეკუთვნის. და შეიძლება ჩაითვალოს პირველის გაგრძელებად. ეს ხდება ბერლინში (ივნისი 1918 წ.), სადაც ნიკო ნიკოლაძე და ზ. ავალიშვილი მივლინებულნი არიან უკვე დამოუკიდებლობა - გამოცხადებული საქართველოს რეს. პუბლიკის დელეგატებად, მოსალაპარაკებლად — ჯერ კიდევ არ დამარცხებული გერმანიის იმპერიის — მთავრობასთან. მათი მიზანია იურიდიული ცნობის მიღება საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოსი და ზემოდმოხსენებული გეგმის თანახმად: გერმანიასთან გარკვეული ეკონომიური ხელშეკრულების დადება. (მთავარი მიზანი მაინც რჩება, გასაგებია, თურქეთს კლანჭები გაახსნევინონ!).

საქართველოს დელეგატებს შეხვედრა აქვთ თვით რ. ფონ კიულმანთან (იმპერიის საგარეო საქმეთა მინისტრთან), მის მრჩეველ დრ. სიმონს-თან (რომელიც გახდება 1920 წ. რესპუბლიკური გერმანიის საგარეო მინისტრი), და სხვა გავლენიან პირებთან. ბოლოს ისინი მიართმევენ გერმანიის მთავრობას ქართულ მემორანდუმს. ამის პოლიტიკური ნაწილი (საქართველოს საერთაშორისო უფლებები და საზღვრები) ეკუთვნის პროფ. ზურ. ავალიშვილის კალამს, ეკონომიური მიმოხილვა კი — ნ. ნიკოლაძისაა. ამ უკანასკნელში მოცემულია ცნობები საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეზე და დასაბუთებულია სარგებლობა, რაც საქართველოსთან **მოკავშირეობას** შეუძლია შესძინოს გერმანიას. ზ. ავალიშვილი აღნიშნავს, რომ გერმანელთა ყურადღება მიიპყრო მაშინ ნიკოს „ბ. ფ. პ.“-ს გეგმამ , ესე იგი, ბერლინ-ფოთი-პეკინის სავაჭრო გზის შექმნის წინადადებამ. რომ ამ საქმიანობამაც ერთნაირი შედეგებს მიაღწია, ეს ცხადდება ორი კონკრეტული ფაქტის არსებობით: 1). საგარეო მინისტრის, ფონ-კიულმანის სიტყვა იმპერიის რაიხსტაგში, საქართველოს საკითხის თაობაზე (ივლისში), 2). ბრესტლიტოვსკის ხელშეკრულების, გერმანულ - რუ-



Le Gouvernement de la République Géorgienne certifie par la présente que Monsieur N i c o l a s N i k o l a d z é, Membre de l'Assemblée Constituante est Membre de la Mission Extraordinaire Economique qui se rend en Europe ayant à sa tête Monsieur Constantin Kandélaki Ministre des Finances du Commerce et de l'Industrie.

Le Gouvernement Géorgien prie d'accorder à Monsieur N.Nikoladzé pleine confiance et de prêter foi à toutes les déclarations qu'il fera au nom du Gouvernement de la République.

En foi de quoi cette lettre de créance lui est délivrée avec signatures conformes et apposition du sceau.

LE PRESIDENT DU GOUVERNEMENT N. Zordania

Pour LE MINISTRE DES AFFAIRES ETRANGERES

საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულების მოწმობა
ნიკო ნიკოლაძის სახელზე

სულ დამატების (27 აგვისტო 1918 წ.) მე-13 მუხლი, სადაც „საბჭოთა რუსეთი აცხადებს თანხმობას, რომ გერმანიამ იცნოს საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ“.

მართალია, გერმანიის დამარცხებამ (ნოემბერი 1918 წ.) ზემოხსენებულ ეკონომიურ ურთიერთობის გეგმებს მომავალი აღუკვეცა, მაგრამ ცხადია, ამ პოლიტიკურმა ნაბიჯებმა თავისი წვლილი შეიტანა საქართველოს დამოუკიდებლობის დე იურე ცნობის მომზადებაში, რაც საქართველომ მიიღო შემდეგში: საბჭოთა რუსეთისაგან (7 მაისს 1920 წ.) და გერმანიის რესპუბლიკისაგან (20 სექტემბერს 1920 წ.).

გერმანიიდან დაბრუნებულ ნიკო ნიკოლაძეს ეროვნულ - დემოკრატიული პარტია აყენებს თავის ცენტრალური კომიტეტის თავში.

დამფუძნებელ კრებაში არჩეული ნ. ნიკოლაძე აქტიურ მონაწილეობას იღებს ამ უმაღლესი ორგანოს მუშაობაში.

საჭიროდ მიმაჩნია — ახალ თაობათა საყურადღებოდ — ხაზი გავუსვა: მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს 116 წლის მანძილზე შეწყვეტილი ჰქონდა სახელმწიფოებრივი მართვის პრაქტიკა, და ცარიზმის მიერ შექმნილი სტრუქტურა ნაწილობრივ გამოსადეგი აღარ იყო, ახალ პირობებში, ქართულმა ეროვნულმა პარტიებმა სწრაფად მოახერხეს საკუთარი სახელმწიფო აპარატის შექმნა, და თითქმის უმტკივნეულოდ, მეტად რთული მდგომარეობის მოგვარება. ამას უნდა დავუმატოთ ის გარემოება, რომ 1914 - 18 წ. ომით სისხლდაცლილმა და ეკონომიურად დასუსტებულმა საქართველომ — თავისი დამოუკიდებელი არსებობის ბოლომდე — გასძლო და თავი დაიცვა თავისი მკვიდრი ძალით: მან ვერც სამხედრო, ვერც ფინანსიური დახმარების მიღება ვერ მოასწრო (მაშინაც კი, როდესაც — 1921 წ. — ორმოცი დღის განმავლობაში ებრძოდა ოთხი მხრიდან შემოსეულ დაუძინებელ მტერს: ჩრდილოეთ- აღმოსავლეთით — რუსებს, ხოლო სამხრეთით — თურქებს).

საქართველოს სახელმწიფოს ასეთი სწრაფი ფეხზე დადგომა მოწმობს უპირველეს ყოვლისა, ქართველი ხალხის მუდმივ უნარიანობას, გამბედაობას და პოლიტიკურ სიმწიფეს — ვინაიდან მისი პოლიტიკური, ეროვნული **მაჯისცემა** 1917 წლის თებერვლის რევოლუციის მეორე დღესვე გახდა საგრძნობი — ცხოვრების ყველა სფეროში: შეიქმნა ქართული ჯარი, მარტში 1917 წ. ქართულმა სამღვდელოებამ ერთხმად დაადგინა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა; 1918 წლის იანვარში გაიხსნა ქართული უნივერსიტეტი; საქართველოს სკოლა-გიმნაზიების მეცადინეობა გადაყვანილ იქმნა რუსული ენიდან ქართულზე და სწრაფად გამოიცა საჭირო სახელმძღვანელოები; დაიწყო ქუჩების რუსული სახელების ნაცვლად ქართული სახელებით შეცვლა და ყველა ქუჩის (და მაღაზიის) სახელგვარები წაიწერა ქართულად. სპორტიულმა საზოგადოებამ „შევარდენ“-მა ფართოდ გაშალა ფრთები. ოპერაში დაიდგა მაშინ „აბესალომ და ეთერი“, „კოტე და ქეთო“ და ბალეტი „შოთა რუსთაველი“. სახელმწიფო ჰიმნად იხმარებოდა „დიდება“ (კ. ფოცხვერაშვილის მუსიკა). დაიბეჭდა ქართული ფული, საფოსტო და საღერბო ქართული ნიშნები.

ვერსალის კონფერენციაზე გაიგზავნა დიპლომატიური დელეგაცია. ბევრმა სახელმწიფომ გამოუცხადა იურიდიული ცნობა და საქართველომ მათ მიუგზავნა თავისი ელჩები. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და მის რამოდენიმე ცემზე, ფრიალებდა ქართული ეროვნული დროშა: შავი - თეთრი - და- შვინდის ფერი, ესე იგი თამარ მეფის ისტორიული ფერები და საქართველოს შეეძლო ეთქვა შოთას სიტყვები (ტ. 404) — „ავმართე დროშა მეფისა, ალმითა წითელ შავითა“.

1920 წ. ნიკო ნიკოლაძე მეორედ მიემგზავრება დასავლეთ ევროპისაკენ, ისევ ოფიციალური დავალებით. ეხლა ის მიყვება საქართველოს ფინანსთა მინისტრს, კონსტანტინე კანდელაკს: ეკონომიური - საფინანსო სა-

კითხების მოსაგვარებლად. და ამათ შორის შავი ქვის ექსპორტის მოსაგვარებლად. აქვე ნახავთ თქვენ სახელმწიფო მინდობილობის სიგელის ფაქსიმილეს ,ნოე ჟორდანიას ხელისმოწერით.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე, თავის მხრივ ატანს ნიკო ნიკოლაძეს — „წმიდა ნინოს სახელობის საზოგადოების გამგეობის წევრს" — თავის მინდობილობის სიგელს, საკათოლიკოზო ბეჭედის დასმით. (აქედან სჩანს, რომ ნიკო ნიკოლაძე არა მხოლოდ მორწმუნე ადამიანია, არამედ მეტიც: საქართველოს ეკლესიის საჭიროებანი მას მიაჩნია აქტუალურად და ღირსად მზრუნველობისა).

ვათავებ რა ამ მოკლე მიმოხილვას, ვიმეორებ, რომ ამ რამოდენიმე საბუთის ფაქსიმილეს გამოქვეყნების მიზანი ორმაგია: ერთი მხრივ ნიკო ნიკოლაძის ბიოგრაფიის იმ მომენტების შევსება, რაც საქართველოს დღევანდელ პირობებში — ეს ნათელია — აკრძალულია; მეორე მხრივ, ერთი შუქი მაინც მოვახვედროთ იმ ლამაზ სურათს, რაც იქნებოდა ჩვენი სამშობლოს **სრული** აღორძინების ეპოქა, რომ გაგრძელებულიყო 1918 წელში აღდგენილი მისი სუვერენობა, ძალდატანებით, და მუხანათურად, წართმეული 1921 წლის თებერვალ - მარტში.

ლევან ზურაბიშვილი

გიორგი ყიფიანი

არჩევანი

სამშობლო — დედის სახლი.
საბა სულხანი

მიწა ყველგან ერთი არის
ამ უცნაურ დედამიწის,
მაგრამ რა ვქნა, რო მამ გულში
სწორეპოვარ ჩემი ქვეყნის
სიყვარულის ცეცხლი იწვის!
ჯარისკაცი არ მენახა,
არცა ჩვენი, არცა სხვისი
იქნებ ალარ ამცდებოდა,
ტყემლის თეთრი ყვავილებით
თმა-ხუჭუჭა ქუთაისი.

გერმანელი, ფრანგი, რუსი,
დედის გული ყველგან ხარობს!
სიძულვილი ვის ჩვევია?!
მაგრამ რა ვქნა, რომ ამ გულში
დედა-ჩემი მირჩევნია.

გიორგი ყიფიანი

1967 წ. პარიზი.

ე. ფაშალიშვილი

დედის ალერსი

თუმც სიბერეში შევიჭერ უკვე,
მაინც ბავშვი ვარ მე ისევ შენთვის,
შენ შთამაგონე ღრმა სიყვარული,
ჩემ ქვეყნის, ერის და უფალ-ღმერთის.

შენი სიტყვები: „შვილო ძვირფასო,
შენ შემოგევლე, შენ გენაცვალე!",
გულში უცვლელად შემოვინახე,
და სხვა ალერსში არსად გავცვალე.

ისე როგორც სხვებს, ულმობელ დარდმა
მეც დამიღრინა, ხელით შემეხო,
შენი ალერსი კიდევ მჭირდება,
რომ არ დავეცე და არ დავემხო.

შენს გვერდში ყოფნა დრომ ამიკრძალა,
მუხთალ პირობებს გააქვთ თავისი,
წერით მაღირსე შენი ალერსი,
რომ არ დავკარგო ბრძოლის ხალისი.

დედი, ჭირიმე, გთხოვ არ იფიქრო,
რომ შენი შვილი სუსტი, ჩვილია,
ვისაც ალერსი დედის არ უყვარს,
ის რა კაცია, ან რა შვილია!

ე. ფაშალიშვილი

ლონდონი, 1966 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გივი შაორელი

რაჭული პეიზაჟი

(უჩა ჯაფარიძეს)

ვალმა მოჩანს ტყეები დაბურული,
ველ-მინდვრები ფარდაგივით ნართული,
სადღაც მიდის გლეხი ფიქრში გართული
და ჩრდილებში რჩება მოხარატული
წიფლის ოდა, ყავრით გადახურული.

აგერ სუფრა გაუშლიათ განური,
ზედ ლორი და ლავაშები აწყვია,
ჭყინტლი ყველი და ხბოს ხორციც აქვია,
ტუჩებზე კი ყველას ღიმი ატყვია,
რადგან მოაქვთ ჩაფით ყიფიანური.

როცა შეთვრნენ — წამოიწყეს „დალიე“,
სუფრის ირგვლივ დაუარეს ფერხისა,
აგრილებდათ ჩეროები ვერხვისა.
მე კი შენი ნახვა აღარ მეღირსა,
სიჭაბუკე შენზე ფიქრს შევალიე.

სიზმარია, თუ არის მოჩვენება:
ასე ტკბილად ვინ იმღერის ნეტავი?
ის გოგონა არის ჩასაკვნეტავი,
ვაჟი დნება — გოგონას შემხედავი,
ეკარგება ძილი და მოსვენება.

გივი შაორელი

ეპილეპსია

როცა ერისთავს უღალატეს მუხანათობით:
მოხუცს, შვიდი ძით, ჯარი ურდოდ შემოესია,
როცა თითოზე მიდოდნენ ურცხვნი ათობით, —
იქვე იდგა და ზეიმობდა „ეპილეპსია“...

იომეს მძლავრად, შემართებით ბრძოლასა შინა,
პირდაპირობა რაინდების ძველი წესია;
და როცა იგრძნო მან ისინი ვერ შეაშინა,
შურით გაფრინდა ბრაზიანი „ეპილეპსია“.

დახოცეს ბევრი — მოკლულების აღმართეს ხორა,
უხმობდნენ უფალს, გარნა არსით ჩანდა მესია...
მთავარს უკვირდა: „იფქლი ღვარძლად არ მითესია,
მაშ ყოვლად წმიდამ მოწყალება რად ამაშორა?“

სძლიეს სიმრავლით, ერისთავებს დასწვეს თვალები,
იტანდნენ ტანჯვას და არცერთს არ დაუკვნესია...
ხოლო რა მათზე ვერ იხილა შიშის რკალები , —
მტვერში გაგორდა ბრაზიანი „ეპილეპსია“...

გივი შაორელი

1965 წ.

ლ. ჭ.

განშორებისას

მძიმე ფიქრებში გახვეული ,მწუხარე გულით,
დავდიეარ სოფლად, თავდახრილი, მარტოდ, უმიზნოდ,
ჩემთვის დასრულდა აწ ზღაპარი ოდეს ნათხრობი
და ვუცდი ჩემს დღეს განკითხვისას, ჩუმად, უსიტყვოდ.

ოხ! როგორ მინდა ისე მძლავრად დავიღრიალო,
რომ ჩემი ხმა გაანწირულის, ალად ქცეული,
მთელს ამ სამყაროს შემოევლოს, ფერფლად აქციოს,
რომ დაბოლოვდეს ეს ცხოვრება უმიზნოდ ქმნილი.

მაგრამ მე წავალ ჩუმად ისე, როგორც მოვედი:
ჩემი სიკვდილით არ შეჩერდება ჩარხი ბედისა,
ის ისე ივლის, როგორც მუდამ „მონოტონურად“,
თითქოს არასდროს მხილებოდეს სახე დედისა!

რა კარგი იყო, როს პირველად ვახილე თვალი
და მზემ თვალები დამიკოცნა ოქროს სხივებით!
რა ბედნიერი ვიწექ მკლავზე დედის ძუძუსთან!
რა აღტაცებით მას ვუცქერდი უმანკო ხედვით.

რა სიყვარულით გულს ჩავიკარ ყვავილთა კონა!
რა გატაცებით ყურს მწვდებოდა შრიალი ფოთლის!
რა მიმზიდველი იყო ღამით ცა მოჭედილი,
ჩიტთა ჭიკჭიკით ავსებული დღე გაზაფხულის!

დილის სხივებით დაკოცნილი თვალებს ვიფშვნეტდი.
წამოვხტებოდი სიხარულით მოუთმენელით,
და აივნიდან მკლავ გაშლილი გადავხტებოდი,
რომ გულს ჩამეკრა კარმიდამო მისი მშვენებით.

დღეს რალას ვხედავ დაღლილი და განაწამები,
დამრჩა ცრემლებში ჩალრჩობილი მე მოგონება!
დღეს რალა დამრჩა იმ მშვენების ,რაც რომ ვიხილე!
ცრემლითვე მინდა განვიქარვო ამაოება.

დღე აღარ დღეობს, თვით სინათლეს ფერი ეცვალა,
მზე აღარ ბრწყინავს ადრინდულად; მთვარეც სულ ჩაქრა,
ღამე არ ღამობს რა ვარსკვლავებს მოსწყდა სიტურფე,
რაკი იმედი მომავლისა მოკვდა და გაჰქრა.

როგორ დავწყევლო დღე გაჩენის — სინათლის ხილვა?
როგორ დავწყევლო გზა ცხოვრების ჩემგან გავლილი?!
მაგრამ თუ მკვდარსაც არ მეღირსოს მშობელი მიწა,
ჩემი გაჩენა, ჩემი ბედი იყოს წყევლილი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გწყევლი შენც მზეო, შენც მთვარეო, თქვენც ვარსკვ-
ლავებო!
გწყევლით ფოთლებო, ყვავილებო და ჩიტუნებო!
განა არ სჯობდა არ მენახეთ, არ განმეცადეთ,
თუკი რომ უნდა დაგივიწყოთ და მიგანებოთ.

ოხ! რა ძნელია თქვენგან წასვლა, თქვენი არ ხილვა!
ოხ! რა ძნელია მოშორება საყვარელ ბაღის!
გთხოვთ მაპატივოთ, თქვენ რითი ხართ დანაშაული?
თქვენ ხართ უმანკო, ვით ცრემლები საყვარელ ბაღლის

მწარე სიტყვები მათქმევინა მე განშორებამ;
თვალი ცრემლებმა გადაბურა თქვენთვის დაღვრილმა;
თქვენთან ვიყავი, თქვენ წიაღში მე, აღვიზარდე,
ჩემი გრძნობანი ვერ წაშალა ჟამმა განვლილმა.

გთხოვთ დარჩეთ ჩემთან, ნუ დამტოვებთ და ნუ გამ-
წირავთ!
მინდა წასვლისას ,მეგობრებო, რომ ჩემთან იყოთ,
მიმღეროთ ძველი მე სიმღერა და ჩამომძახოთ:
„იძინე ტკბილად, იავნანა სამარადისოდ!“

ლ. ჭ.

ბუენოს აირეს. 16. 7. 63 წ.

ლ. ჭ.

ფიქრი შეგინდებისას

(ჩემს კულაშს)

მიყვარს სოფელი შეღამებისას —
მიდამოს ბინდი მოეფინება;
მთვარე გადმოღვრის ვერცხლის ნაკადებს, —
დაღლილ ბუნებას მიეძინება.

სადღაც, შორს, ისმის ჭოტის ძახილი,
სიო შეარხევს ალვის ხის ტოტებს, —
და ჩემი გულიც სევდით დაღლილი,
ფოთოლთ შრიალში სიმშვიდეს პოვებს.

მე მომინდება მაშინ მარტოკას,
ნიავის „ძველი“ სიმღერის სმენა;
ის მაძლევს შვებას, მხოლოდ ის მესმის —
მე მესმის მხოლოდ ბუნების ენა!

რა მარტივია! რა გასაგები
ეს იდუმალი ბუნების კვნესა,
თუკი მას ეტრფი და შენი გულიც
მისსა წიაღში გამოიკვესა!

თუ ერთგული ხარ შენი პირველი
უმანკო ხედვის განცდილ სურათის,
არ დაგივიწყნია შენ მწვანე ველის
ყვავილთ სიტურფე ნაირ ფერადის'!

თუ არ გამხდარხარ ყოველ-დღიური
ბინძურ ცხოვრების საბრალო მონა —
„ვერცხლში“ გასცვალე ყოფნა ციური
და შენი სულიც მას დაემონა!

შენ ველარა სცნობ მშობელ ბუნებას!
შენ აღარ გესმის მისი ჰანგები.
შენ ულალატე სოფლის მშვენებას
და ვით „ადამი“ დაიარები!

ვერ გამიგია შენი პასუხი,
ენა ბოროტი, ნაღველით სავსე.
ჩემთვის ის მუდამ უცნობი დარჩა
და ნაცნობ ჰანგებს ვერ მივამსგავსე.

სხვაგვარ მეტყველებს მოვარდნილ ქარის
ხის წვეროებში მძლავრი გრიალი;
შეგინდებისას გრილი ნიავის
ფოთლებთან ტრფობის ხმა იდუმალი.

როცა მდინარე აზვირთებული,
მოჰქუხს და ანგრევს თავის ნაწირებს,
და ხმა ძლიერი გაშმაგებულის
სოფლის წალეკვას თითქოს აპირებს...

და ნაკადულის ნაზი ჟღურტული,
როს მოთამაშეს დახავსილ ქვებზე,
სიცოცხლით სავსე და სიხარულით
მარდად ჩამორბის მთის ფერდობებზე, —

გულის სიღრმეში ჩამარხული მაქვს
ზღვის დაუღლელი ტალღათა რბენა,
მათი ქუხილი — მძლავრი სულის თქმა,
კლდეებზე შეხლა და გადარბენა.

რა სურათია და რა ფერები,
სველი ტოტები რომ ირხევიან!
და დაცვენილი „მარგალიტები“
ვით „აკორდები“ დაიმსხვრევიან!

აი ეს ენა ჩაწვდა ჩემს გულში
და მან იქ პოვა გამოძახილი;
დღესაც ჩამწვივის ,ვით ოდეს ყურში,
ბუნების მღერა და მოძახილი.

ოდეს შეჩერდეს ძგერა ამ გულის,
მაშინ ცამ მედგრად დაიგრიალოს,
რომ ამცნოს წასვლა სულით ეულის,
წვიმამ ცრემლებით გამომიტიროს.

მაშინ დაბერავს ნიავი ჩემთვის,
საყვარელ ფოთლებს ამიმეტყველებს,
ჩუმი ზუზუნით „მშვიდობას“ მეტყვის
და უკანასკნელ „ნანას“ მიმღერებს.

ლ. ჭ.

სტეიტ კოლეჯ. პენსილ. 12. 1. 62.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოგონებანი

ვასო წულაძე

მცირე მოგონებანი

ნაციონალური საკითხი სოციალდემოკრატიული პარტიის ისტორიაში 1905 — 1918 წ.წ.

როცა ვიგონებ, ჯერ კიდევ ჩემი ბავშვობიდან, არასოდეს ჩვენი ხალხისათვის არ შემიმჩნევია რუსების, როგორც ხალხის სიძულვილი. რამდენადაც ჩვენ ხალხს ჭირივით სძულდა რუსის პოლიციელები და საზოგადოდ „ჩინოვნიკები" (ასეთები არც ქართველები უყვარდათ!), შეიძლება ითქვას, რომ რუსის უბრალო მცხოვრებლებთან ჩვენს ხალხს კეთილი მეზობლობა ჰქონდა.

ალბათ რამოდენიმედ, რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ჩვენი პარტიის გააფთრებული პროპაგანდის შედეგი იყო ის, რომ ქართველები საერთოდ და ჩვენი წრეები „პორაჟენცები" იყვნენ. რუსეთ - იაპონიის ომის დროს რუსეთისათვის დამამცირებელ სიმღერებს გაიგონებდით, როგორც მაგალითად: „პორტარტური — მანჯურია, რუსის საქმე წასულია"! — და ეს მაშინ, როდესაც რუსეთმა ამ ომში სასტიკი დამარცხება იგემა იაპონელებისაგან. აკაკი წერეთელმაც კი დასწერა ერთი ალეგორიული ლექსი: **„ოი ამას** ვენაცვალე!" **ოიამა** იყო იაპონიის ერთ-ერთი დიდი სარდალი, რომელიც კუროპატკინს ამარცხებდა. ამ ლექსს გიტარაზე ამღერებდნენ.

როგორც ცნობილია, 1903 წელს ლონდონის სოც. - დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე საქართველოდან წარგზავნეს სამი პირი (დიომიდე თოფურიძე, არშაკ ზურაბოვი და კნუნიანეცი). ამ პირებს დავალებული ჰქონდათ ყრილობაზე დაეცვათ რუსეთის ფედერაციის სახით მოწყობის გეგმა. მათ შეუერთდა მაშინ ემიგრაციაში მყოფი ნოე ჟორდანია, თვით ყრილობის ინიციატორთა მიერ მიწვეული.

ჩვენი წარმომადგენლები პარტიულ ყრილობაზე ისეთ ატმოსფეროში მოხვდნენ ნაციონალური საკითხის გამო, რომ მათ თავიანთი დავალება არც კი გაუმხელიათ. მოხერხდა მხოლოდ ის, რომ ყრილობამ მიიღო ზოგადი ფორმულა **ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ.** და თუ რას ნიშნავდა ეს ერთა თვითგამორკვევა, განუმარტავი დარჩა.

ნოე ჟორდანიამ ეს თვითგამორკვევა განმარტა თავის საზღვარგარეთ გამოცემულ ბროშურაში, როგორც ერის უფლება სრულ სეპარაციამდე; ასევე განმარტა ეს პლეხანოვმა 1907 წელს სტოკჰოლმის კონგრესზე. ასეთი იყო ჩვენს პარტიაში, ასე ვთქვათ, ამ საკითხის თეორიული მხარე. პრაქტიკაში, პროპაგანდის დროს, ჩვენ გავურბოდით ამ საკითხის წამოყენებას და ხშირად პრესაშიდაც და მიტინგებზე ვებრძოდით მათ, ვინც ამ საკითხს აყენებდა. მალე დაარსდა სოციალისტ-ფედერალისტური პარტია, რომელიც პირველ რიგში ავტონომიის საკითხს არდგენდა. ამ პარტიაში მოიყარეს თავი მემარჯვენეებმაც და საერთოდ სოციალდემოკრატების მოწინააღმდეგეებმა. და მთავარი საგანი ჩვენსა და მათ შორის ბრძოლისა ეს ავტონომიის საკითხი იყო.

1905-ში სომეხ - თათართა შეტაკებას ჰქონდა ადგილი. მახსოვს, ბათუმში ასეთი შეტაკების თავიდან ასაცილებლად კომენდანტ პაჟიდაევისაგან სოციალ-დემოკრატიულმა კომიტეტმა მიიღო ნებართვა თავისუფალი მიტინგების მოწყობისა, რომელმაც თავის მიზანს მიაღწია, ესე იგი, ბათუმში არ მომხდარა სომეხ-თათართა შეტაკება. ეს მიტინგები თითქმის მთელი კვირა გრძელდებოდა ქალაქის თვითმართველობის ფართო ეზოში. საქართველოს ყველა ქალაქიდან ჩამოვიდნენ, რაც კი ცნობილი ორატორები მოიპოვებოდნენ მაშინ და რაც უნდოდათ, იმას ლაპარაკობდნენ: მთავრობის წინააღმდეგ. და აი, სწორეთ იქ პირველად ვნახე სამსონ ფირცხალავა, რომელმაც თავის სიტყვაში **ავტონომიის** მოთხოვნა წამოაყენა. სიტყვა „ავტონომიის" გაგონებაზე შეიქმნა ერთი ამბავი! ტრიბუნისაკენ დაიძრა ჩვენი ამხანაგების ერთი ჯგუფი ალექსანდრე დგებუაძის მეთა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურობით. — ეხლა რა დროს ავტონომიაა-ო! — და საწყალმა სამსონმა ძლივს დაათავა სიტყვა.

ჩვენი პარტიის რიგებში უსიტყვოდ მიღებული იყო ის აზრი, რომ ავტონომიის დრო ჯერ არ არის; რევოლუცია რომ გაიმარჯვებს, მაშინ ყოველივე გასწორდებაო! ამ აზრს ხელს უწყობდა პარტიის მეთაურობა.

მაგრამ სოც.-დემ. პარტიის ინტელიგენციაში მრავალი არ იყო კმაყოფილი პარტიის ოფიციალური პლათფორმით ნაციონალურ საკითხში და ამის გამო ხშირად პატარ-პატარა „აჯანყებები" ხდებოდა.

რამდენადაც მახსოვს, პირველი ასეთი „აჯანყება" მოხდა 1907 წელში: ცნობილი ჩვენი დიდი ამხანაგი ლადო დარჩიაშვილი იყო რედაქტორად, თბილისში, ჩვენი პარტიის ოფიციალური გაზეთისა (სახელი გაზეთისა არ მახსოვს, რადგან მაშინ თითქმის ყოველ ათ დღეში იცვლიდა გაზეთი სახელს, ისე ხშირად ჰკეტავდა მათ მთავრობა). მისი რედაქტორობის დროს გაზეთში დაიბეჭდა ნოე ჟორდანიას ფელეტონები სათაურით: „ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი", სადაც გატარებული იყო ის აზრი, რომ ქართველი ხალხი წინააღმდეგია ნაციონალიზმისა და სხვათა შორის ასაბუთებდა იმითაც, რომ არც ერთ აჯანყებას, რომლებიც თავადაზნაურობამ მოაწყო რუსების წინააღმდეგ 1801 წლის შემდეგ, ხალხი არ აჰყვაო და სხვა.

ამ ფელეტონებს ლადო დარჩიაშვილმა გაუკეთა შენიშვნა, რომ რედაქცია მას არ ეთანხმებაო. ამან დიდი ამბავი გამოიწვია პარტიაში. კონფლიქტი იმ ზომამდე მივიდა, რომ დარჩიაშვილი წავიდა და საკუთარი ჟურნალი გამოსცა, სადაც იცავდა ეროვნულტერიტორიალური ავტონომიის საჭიროებას და სხვა. ლადო დარჩიაშვილი შემდეგ საზღვარგარეთ წავიდა და გარდაიცვალა გერმანიაში 1916 წელს.

კარგად მახსოვს, მის პატივსაცემად გამართულ პანაშვიდს დავესწარით ბევრი, ნოე ჟორდანიას მეთაურობით.

მეორე გამოსვლა ინტელიგენტ ამხანაგებისა მოხდა რამოდენიმე წლის შემდეგ: ქუთაისში გამოიცა ჟურნალი „ფონი", რომელში ივანე გომართელი, გრიგოლ გიორგაძე და სხვები თანამშომლობდნენ. ესენიც ერის გაჭრობის საწინააღმდეგოდ საჭიროდ სთვლიდნენ საკუთარი ქართული სახელმწიფოს აუცილებლობას.

აკაკი ჩხენკელიც ეროვნულ-ტერიტორიალური ავტონომიის მომხრე იყო, მაგრამ მისი მოქმედება პარტიის ჩარჩოს არასოდეს გასცილებია.

პირველი ომის დაწყებამდე ბათუმში შვეიცარიიდან მოვიდა პავლე საყვარელიძე და „ბათუმის გაზეთში", რომელიც სოც.-დემ.-ებს ეკუთვნოდათ, ავტონომიის იდეებს ქადაგებდა.

ნოე ჟორდანია ,როგორც ეს მისი ნაწერებიდან თავიდანვე გამოსჭვივოდა, მუდამ ფიქრობდა, თუ რა ფორმის ეროვნული თვითგამორკვევა მოუხდებოდა საქართველოს. 1910 წ., თუ რაღაც ახლო წელში ნოე ჟორდანიამ სცადა ამ საკითხის დასმა ჩვენს პარტიულ პრესაში. მან გადმოაქართულა ავსტრიელი სოციალდემოკრატის ოტტო ბაუერის ეროვნულ - კულტურული ავტონომიის პროგრამა და შიგ ისეთი შესწორებები შეიტანა რაც ვითომ საქართველოსათვის გამოსაყენებელი იქნებოდა. მაგრამ ესეც თეორიის სფეროში დარჩა და პირველ საერთაშორისო ომში ისე შევედით, რომ საქართველოს სოციალდემოკრატიულ პარტიას არ ჰქონებია კონკრეტული ნაციონალური პროგრამა.

ომის მსვლელობაში ეროვნული საკითხი თან და თან მწვავდებოდა და პასუხისგაცემას მოითხოვდა.

ჯერ ხომ გერმანიაში დაარსდა ეგრეთ წოდებული „საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი", პეტრე სურგულაძის, მიხეილ წერეთლის და სხვათა მეთაურობით .ეს ამბავი ჩვენში მალე გავრცელდა. რამდენადაც მახსოვს, ერთმა, ამ კომიტეტის მიერ გამოგზავნილმა კაცმა მაშინვე მოასწრო ჩამოსვლა (ომის დაწყების პირველ დღეებში). ეს იყო ერთი ჩვენი ყოფილი ამხანაგი, პავლე კალანდაძე (რომელიც მალე გარდაიცვალა). მეორე: სომხურმა გაზეთებმა, რომლებიც რუსეთის ორიენტაციის იყვნენ (ასეთი იყო მაშინ მთელი სომხობა), ერთგვარი დასმენის ხასიათის წერილები მოათავსეს: „ქართველები ხაჩაგოცები", ესე იგი ქრისტეს გამყიდველები, სტამბოლის ქუჩებში დადიან და ემზადებიან საერთო სამშობლოს — რუსეთის წინააღმდეგო!

რუსულ გაზეთებში დაიბეჭდა ვიღაც ყოფილი ტყვის როზენფელდის წერილი, რომელიც სწერდა, რომ ქართულ ლეგიონს რუსეთის წინააღმდეგ აგროვებენ, მაგრამ ქართველი ტყვეები არ ეგებიან ამ ანკესზეო. ამ წერილის გადმოღება ჩვენს გაზეთში ჩვენმა რედაქციამ სასარგებლოდ დაინახა. ჟანდარმერიამ მეორე დღესვე დაიბარა ლადო ახმეტელი. ჟანდარმერია დიდ ყურადღებას აქცევდა ამ საქმეს.

ქართველ ხალხს ამ შემოხვევაში, სწორეთ რომ ვთქვა, ძალიან გამოადგა ოფიციალურად მაინც უარყოფითი პოზიცია სეპარატიზმის წინააღმდეგ. და ისიც რომ პარტიის ლიდერი ჟორდანია, პლეხანოვთან ერთად, გერმანიის ბლოკის დამარცხებას უჭერდა მხარს. მართალია, ნოე ჟორდანიას ამ საკითხში ძალიან ცოტა ჰყავდა მიმდევარი და ყველა სხვა საოლქო კომიტეტის წევრები, ნოე რამიშვილის მეთაურობით, „პორაჟენცები" ვიყავით, მაგრამ ეს ჩვენი „პორაჟენცობა" არც წერაში და არც არავითარ პრაქტიკაში არ გადადიოდა; ასე რომ ის წმიდად თეორიული ხასიათისა იყო: უბრალო სურვილები!

1916 წლის ივნის-ივლისში მეტეხის ციხეში ერთად მოვხვდით მე და ნოე რამიშვილი, ერთ საკანში; ჩვენს

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირდაპირ საკანში იყვნენ ნოე ხომერიკი და სილიბისტრო ჯიბლაძე.

ციხეში ხშირად ჭორები ვრცელდებოდა. ერთ დილით ნოე რამიშვილი მეუბნება: ხმაა, რომ მტრის ჯარს ვლასა მგელაძე მოუძღვისო; თან დასძინა; არ გაგიკვირდეს, — ვლასა ავანტურისტია და მისგან ეს შესაძლებელი არისო!

მე გამეცინა და ვუთხარი — მერე რა გენაღვლება! თუ საქართველო თავისუფალი გახდა, შენ მინისტრობა არ აგცილდება-მეთქი! სულო ცოდვილო! როგორ შევწამო! ცოტა ქე შეიფერა მან ეს ჩემი ნათქვამი!

ციხიდან ჩვენ გამოშვებამდე (მე 2 კვირით ადრე გამოვედი) ხშირად გვქონდა ლაპარაკი ამ დამარცხებული რუსეთისაგან გამოყოფის შესახებ, მაგრამ საქმე ეხებოდა არა საქართველოს გამოყოფას, არამედ მთელი კავკასიის ჩამოშორებას.

ციხიდან ჩვენი გამოშვების შემდეგ 1 თვე არ გასულა, ვგონებ სექტემბერში, ნოე ჟორდანიასთან მოეწყო ლანჩხუთში საოლქო კომიტეტის გაფართოებული სხდომა (სომხები არ წაგვიყვანია: საოლქო კომიტეტში კი ორი სომეხი შემოდიოდა), მაგრამ ეროვნულ საკითხზე კრინტიც კი არავის დაუძრავს. ასე მივუახლოვდით 1917 წელს, რომლის დასაწყისში იმავე ლანჩხუთის ახლოს, სოფელ ჯონჯუათში მოეწყო კონფერენცია, რომელზედაც უკვე სერიოზულად დაისვა ეროვნული საკითხი: კავკასიის (და არა მარტო საქართველოს) შესაძლებელი გამოყოფისა რუსეთისაგან. ამ საგანზე ნოე ჟორდანიამ თვითონ დაივალა სომხებთან და აზერბაიჯანელებთან მოლაპარაკება და აგრეთვე გაზეთში შესაფერი წერილების მოთავსება. ასეთი წერილები მართლაც გამოვიდა გაზეთ „თანამედროვე აზრის“ 17 და 18 თებერვლის ნომრებში, მაგრამ ცენზორის მიერ დამახინჯებული. (მაშინ ცენზორად იყო ისტორიკოსი სარგის კაკაბაძე, კაცი ძლიერ ლიბერალურად განწყობილი, ოღონდ ზომაზე მეტად ფრთხილი. მას ეგზავნებოდა პირველი 15 ცალი დაბეჭდილი გაზეთისა, მაგრამ ბეჭდვა გრძელდებოდა. რამდენჯერ ყოფილა, შუა ღამეზე გაუღვიძებივარ, რათა სტამბაში წავყოლოდი, რადგან, მისი აზრით, მთავროპისათვის „ოდიოზური ადგილები“ შავი საღებავით წაგვეშალა! ეს სხვათა შორის).

და აი. მალე მივიღეთ თებერვლის თავისუფლება.

ამ დროს, სხვა საკითხებთან ერთად, ნაციონალურმა საკითხმა ერთი პირველი ადგილი დაიჭირა. ჩვენი პარტიული ინტელიგენციის ნაწილმა საჭიროდ დაინახა ცალკე ორგანოს დაარსება ნაციონალური საკითხის გასაშუქებლად (კალე ქავთარაძე, პავლე საყვარელიძე და სხვ.). საოლქო კომიტეტშიც ირჩეოდა ეს კითხვა. სომხებთან და აზერბაიჯანელებთან მოლაპარაკების შედეგად და თანახმად ჩვენი ჯონჭუათის კონფერენციის დადგენილებისა, ნოე ჟორდანიამ გამოიმუშავა რაღაც პროექტი კავკასიის მართვა-გამგეობის მოწყობისა, საიდანაც გამოდიოდა, რომ ბაქო, თბილისი და ბათუმი, თავისუფალ ქალაქებად უნდა გამოცხადებულიყვნენ. ეს იყო, თუ არ ვცდები, 1917 წლის აპრილის დასაწყისში. აღდგომა იყო და სწორედ იმ საღამოს აპირებდა ნოე ჟორდანია ლანჩხუთს წასვლას დასასვენებლად. მან მოიტანა ეს პროექტი საოლქო კომიტეტში. ამ კრებაზე იყო სომეხი ამხანაგი ერზიკიანიც. თუმცა ნოე ჟორდანიას ამ პროექტის წინააღმდეგი თითქმის ყველანი იყვნენ (ნოე რამიშვილი, ალექსანდრე ლომთათიძე და სხვანიც), მაინც ნოეს ყველა მორიდებით ეჭცეოდა და დუმილი ჩამოვარდა. უმადური როლი, შევატყვე, მე უნდა მეკისრა და პირველი სიტყვა ავიღე და განვაცხადე: ბაქოს და ბათუმს რაც გინდათ იგი უყავით, მაგრამ მე ისეთი საქართველო ვერ წარმომიდგენია, რომლის მთავარი ქალაქი თბილისი არ იქნება-მეთქი.

ბედზე, რასაც არ მოველოდი, სილიბისტრო ჯიბლაძემ მოითხოვა სიტყვა და ნოე ჟორდანიას უთხრა: ნოე! მართლა! რაფერ შეიძლება თბილისი საქართველოს ცენტრი არ იყოს?!

ნოე ჟორდანიამ შეატყო, რომ მის პროექტს ამის შემდეგ ხმას არავინ მისცემდა და ჯერ არაფერი თქვა. სამაგიეროდ გაბრაზდა ამხანაგი ერზეკიანი; მან გვითხრა: რომ ნოე ნიკოლაევიჩის თანხმობით, მე უკვე შევპირდი დაშნაკელებს, რომ პროექტს მივიღებდითო და ეხლა კი ვხედავ, გაწბილებული დავრჩი და კრება დემონსტრატიულად დასტოვა. ამან ცოტა არევ-დარევა გამოიწვია; ნოემ ისარგებლა ამ ინციდენტით, მოხვია თავის ქალალდებს ხელი, თითქოს კიდევაც გაგვიჯავრდაო, და თქვა: მე მეტს ვერ მოვიცდი, მატარებელზე მაგვიანდება და თქვენ რაც გინდათ ,ის ქენითო! და დაგვტოვა.

არდადეგები რომ გათავდა, ლანჩხუთიდან ნოე ჟორდანია დაბრუნდა, სულ სხვა პროექტით, რომელშიც „თავისუფალ ქალაქებზე“ უკვე აღარ იყო ლაპარაკი. მაისში მოწვეული იყო პირველი პარტიული ყრილობა, რომელზედაც მისი პროექტი ნაციონალურ საკითხზე ნოემ მიაღებინა. ამ პროგრამით მივედით 1917 წლის ნოემბრის 19-ს ეროვნულ ყრილობაზე, რომელიც აკაკი ჩხენკელმა გახსნა და თავისი სიტყვა ასე დაამთავრა: შეიძლება ეს ყრილობა საქართველოს დამფუძნებელი კრების წინამორბედი გახდესო. (სიტყვა-სიტყვით არ მახსოვს, მაგრამ ეს აზრი იყო გამოთქმული).

ნოე ჟორდანია ამ ეროვნულ ყრილობაზე იცავდა ეროვნულ თავისუფლებას რუსეთთან კავშირში. ამით მან უნიტარული სახელმწიფოს მომხრედ გამოაცხადა თავი.

მოვლენანი ღღითი - ღღე სწრაფად ვითარდებოდნენ: ბრესტლიტოვსკის ზავი, თურქეთ ჯარების მოწოლა, რუსეთის ჯარის მოშლა კავკასიის ფრონტზე... მივედით კავკასიის ჯერ დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე 22 აპრილს 1918 წლისა. როცა ეს საკითხი საოლქო კომიტეტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში გაირჩა, სომხებმა: ერზიკიანმა და ყარაჯევმა, რასაკვირველია, წინააღმდეგ მისცეს ხმა. ნოე ჟორდანიამაც წინააღმდეგ მისცა ხმა და რადგან ოქმს მე ვწერდი, თითით მაჩვენა — ჩასწერე მანდ, რომ წინააღმდეგი ვარ კავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადებისო. ეს მან პირველ პარტიულ კრებაზედაც ხაზგასმით გაიმეორა. მისი მოტივები იყო შემდეგი: როცა რუსეთს ოფიციალურად გამოვეყოფით, თურქეთი ბრესტის ხელშეკრულებით წართმეულ ტერიტორიებს არ დაგვჯერდებაო და მეტს მოითხოვსო.

საღამოს, სეიმის სხდომაზე ჩვენი ფრაქციის სახელით დავით ონიაშვილმა განაცხადა: „ორიენტაცია ნა როსიიუ, ესტ ორიენტაცია ნა რეაქციუ". ამის გამო სეიმის რუსმა წევრებმა ისეთი სკანდალი ასტეხეს, რომ მეტი არ შეიძლებოდა. ნოე ჟორდანიამ, და როგორც მახსოვს, ირაკლი წერეთელმაც კენჭის ყრის დროს თავი შეიკავეს.

აქ მინდა აღვნიშნო, რომ კაკი (ირაკლი) წერეთელი, დამოუკიდებლობის გამოცხადების მეორე დღესვე, მთელი თავისი ორატორული ხელოვნებით, გააფთრებული იკავდა ჯარისკაცთა და მუშათა კრებაზე ამავე კავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადებას.

თურქეთის ჯარი დღითი-დღე წინ მოიწევდა. ის მართლა არ დასჯერდა ბრესტის ზავს; წამოიწია; აიღო ოზურგეთი და რომ იმ დროს გერმანელები არ მოგვშველებოდნენ, ვინ იცის, რას იზამდნენ.

კარგად მახსოვს, საოლქო კომიტეტის კრება, სადაც ბათუმში ჩამოსულ გერმანელ დელეგაციასთან შეთანხმებით, გადაწყდა გერმანელ ტყვეების ჩაცმა - შეიარაღება საწყობებში არსებულ მათივე ტანისამოსით და ამუნიციით. ასე შედგა ერთი რაზმი, სანამ მთავარი გერმანული ძალა მოვიდოდა. ეს რაზმი საკმარისი აღმოჩნდა, რომ ნატანებში თურქების ეშელონებს წინ გადაღობებოდა: — დილით გერმანელებს, გერმანიის სახელით, რკინის გზის რელსები აეყარათ და თურქებიც შეჩერდნენ. ამაზე ბევრი დაიწერა და აღარ გავიმეორებ.

ასე ვუახლოვდებოდით 26 მაისს 1918 წ.

თურქებმა იერიში მიიტანეს სომხეთზედაც. იქიდან ცუდი ამბები მოდიოდა. ერთ ღრუბლიან დილას, ადრიანად, საოლქო კომიტეტის ბიუროში შემოვიდა კაკი წერეთელი, ძლიერ მოწყენილი იყო, და მელანქოლიურად მითხრა: ეხლა სხვებს ვერ გადავაყოლებთ ჩვენს თავს; რისი გადარჩენაც კი შეიძლება, უნდა გადავარჩინოთო.

ნოე გაემგზავრა ბათუმს მდგომარეობის გამოსარკვევად; დაბრუნდა სრული დარწმუნებული იმაში, რომ თუ რამის გადარჩენა შეიძლება, ისევ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებით შეიძლებაო. მას ამ საკითხში გვერდით ამოუდგა კაკი წერეთელი და პარტიულ კრებაზე ერთხმად ჩატარდა დამოუკიდებლობის გამოცხადება... იშვა 26 მაისის დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკა..

ასეთი იყო ნაციონალური საკითხის პერიპეტიები ჩვენს პარტიაში. რასაკვირველია, ეს ფრიად მოკლე მიმოხილვაა, შეიძლება, ძლიერ ღარიბი, მაგრამ უეჭველად სინამდვილეა.

პარლამენტში სალაპარაკო ენის შესახებ

ჯერ კიდევ სანამ დამფუძნებელ კრებას ავირჩევდით, პარლამენტი არსებობდა, რომელიც შესდგებოდა 1917 წლის ნოემბერის ეროვნულ ყრილობაზე არჩეულ ქართველ დეპუტატებით, ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლობისაგან შევსებული (სომხები, რუსები, ოსები და სხვანი).

ამ პარლამენტში სომხების მხრიდან შედიოდნენ: თარხანოვი, თუმანოვი და სხვებიც, რომელთა გვარი აღარ მახსოვს. ეს ორი დასახელებული პირი კი მუდამ რუსულად ლაპარაკობდა ჩვენს პარლამენტში და რატომღაც ყველა საკითხში ოპოზიციას აწარმოებდა.

პარლამენტის სხვა და სხვა რეგლამენტის შემუშავების დროს წამოიჭრა საკითხი პარლამენტში სალაპარაკო ენის შესახებ. აირჩიეს კომისია რაჟდენ არსენიძის თავმჯდომარეობით. კომისიამ გამოიმუშავა ასეთი ფორმულა: უმცირესობის (ეროვნული) წარმომადგენელს უფლება აქვს წარმოთქვას სიტყვა ერთ-ერთი უმცირესობის ენაზეო. ეს საკითხი გადმოვიდა საოლქო კომიტეტში გასარჩევად. ნოე ჟორდანია თავმჯდომარეობდა. უმადურ როლში ყოველთვის მე მიწევდა გამოსვლა. მე ავიღე სიტყვა და უარვყავი წარმოდგენილი ფორმულა. და მოვითხოვე, რომ სიტყვა „ერთ-ერთი" შეიცვალოს სიტყვით: „თავის სამშობლო ენაზე". ჩემი ფორმულა არ გავიდა. მაშინ მე მივმართე თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას შემდეგი შეკითხვით: „კარგი! ამ ფორმულის მიღების შემდეგ სომეხ თარხანოვს ნება აქვს ილაპარაკოს ქართულ პარლამენტში რუსულად, მაგრამ მინდა ვიცოდე, შეუძლია თუ არა ქართველ დეპუტატს, ვთქვათ, კაკი წერეთელს მას მასცეს პასუხი რუსულად?". ერთმა ამხანაგმა ადგილიდან წამოიძახა: „ვოზმოჟნო!". უნდა გენახათ, ამ წამოძახებაზე როგორ აენთო ნოე ჟორდანია. მან მაგიდაზე ხელი მაგრად დაჰკრა და ხმა-მაღლა მიუბრუნდა ნოე რამიშვილს: „ჩტო ვოზმოჟნო?" როგორ შეიძლება ქართველმა დეპუტატმა ქართულ პარლამენტში რუსულად წარმოთქვას სიტყვა?!"

ასე გათავდა ეს საკითხი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის გამოყოფა რუსეთის სოც.-დემოკრატიული პარტიისაგან

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ თავის თავად დაისვა საკითხი ჩვენი პარტიის რუსეთის პარტიისაგან გამოყოფისა. მაგრამ ჩვენ ამხანაგებს, რომლებსაც ეჩოთირებოდათ ეს გამოყოფა და ამის მომხრეებს „ნაციონალისტებად“ გვთლიდნენ. ვალიკო ჯუღელი, რომელიც ასე გმირულად იცავდა ჩვენს საზღვრებს იმ ხანებში დენიკინის წინააღმდეგ ,თავის დღიურში („ტიაჟოლი კრესტ“) სწერდა: მივდივარო ფრონტიდან პარტიულ კრებაზე (რომელიც მოწვეული იყო 1918 წლის სექტემბერში) და რომელზედაც პარტიის გამოყოფის საკითხიც იყო დასმული), რათა შევებრძოლო ნაციონალისტურ განხრებს პარტიაშიო. მან მართლაც შეაჯგუფა 13-მდე ამხანაგი (კრებაზე სულ 60-მდე დელეგატი იყო) მათ შორის ვალიკოსთან იყვნენ უმთავრესად გვარდიის შტაბის წევრები, ახლად რუსეთიდან დაბრუნებული დავით საღირაშვილიც, რომელიც ინტერნაციონალურ ჯგუფს ეკუთვნოდა პეტროგრადში (აბრამოვიჩის ჯგუფი). მაგრამ ვინაიდან საქართველოს პარტიის რუსეთის პარტიისაგან გამოყოფა დაიცვა ისეთმა ავტორიტეტმა, როგორიც იყო ირაკლი (კაკი) წერეთელი, რომელმაც განაცხადა: სახელმწიფო გამოვყავით და ამის შემდეგ პარტიის გამოყოფა თავის თავად ცხადიაო, — საკითხი უკამათოდ გადაიჭრა. შეჯგუფებულ „მემარცხენეთა“ ჯგუფს მეტი აღარა დარჩათ, რომ შებრძოლებოდნენ „ნაციონალისტურად“ განწყობილ პიროვნებებს, რომ ისინი ცენტრალურ კომიტეტში არ გასულიყვნენ. მათი „სპიკერი“ იყო დავით საღირაშვილი. პარტერში ვიჯექი. ჩემს წინ იჯდა ნოე ჟორდანია. მას მოუტანა ამ ჯგუფმა სია კანდიდატებისა ცენტრალური კომიტეტისათვის. ნოემ გადახედა სიას, რომელშიც არც მე და არც ზოგი ჩემი ამხანაგი (მაგალითად: ვლასა მგელაძე) არ ყოფილა, გამიცინა და მითხრა: შენ ნამეტანი ნაციონალისტი ხარ და ცენტრში ვერ აგირჩევთო.

— არც კი ვფიქრობ, ჩემი კანდიდატურა წამოვაყენომეთქი. — ვუპასუხე. ჩემი კანდიდატურა ძლივს ძლივობით გაჭიდა, ხოლო ვლასა მგელაძე და კირილე ნინიძე კი გააშავეს. ჩემს წინააღმდეგ მკაცრი სიტყვა წარმოთქვა დავით საღირაშვილმა და ბრალი დამდო „ნაციონალისტობაში“. ეს მეორე შემთხვევა იყო, რომ ერთსა და იმავე დარბაზში (ქალაქის თვითმართველობისა) მე „ნაციონალისტად“ მომნათლეს. ამხანაგმა გ. ყარაჯაევმა, რომელიც საოლქო კომიტეტში შემოდიოდა, თავის სიტყვაში ასე განაცხადა: „ვასო წულაძე როჟდიონნი სეპარატისტ“. მე არაფერი ვუპასუხე, ხოლო ჩემს გვერდით მჯდომმა აზერბაიჯანელმა ამხანაგმა, ასირ-ბეკოვმა მას თითი მიაშვირა და მიაძახა: „როდჟდიონნი დაშნაკ!“

სტამბოლში ყოფნის დროს ამხანაგი ვალიკო ჯუღელი სინანულით იგონებდა ამ განვლილ ამბებს და ამბობდა: წითელი დროშა სავსებით უნდა მოვსპოთო!

როგორ იქმნა მიღებული სახელმწიფო ღერბად თეთრი გიორგი

სოციალდემოკრატიულ ფრაქციაში წარმოდგენილი იყო სახელმწიფო ღერბის ემბლემად ორი პროექტი: 1). „მიჯაჭვული პრომეთე“, რომელსაც იცავდა ირაკლი წერეთელი და რომელსაც ფრაქციის უმრავლესობა ემხრობოდა; 2). „თეთრი გიორგი“, რომელს ნოე ჟორდანია თანაურგძნობდა, მაგრამ ოფიციალურად ფრაქციაში არ დაუცავს. ხოლო როცა ფრაქციაში „მიჯაჭვულმა პრომეთემ“ უმრავლესობა მიიღო, მაშინ ნოე ჟორდანიამ წინადადება შემოიტანა, რომ ამ საკითხში (სახელმწიფო ღერბის საკითხში) ნება მისცემოდათ ფრაქციის წევრებს ხმა თავისუფლად მიეცათ. სოც. დემ. ფრაქციამ ეს წინადადება გაიზიარა. ასე რომ პარლამენტის კრებაზე, როცა ეს საკითხი ირჩეოდა, ირაკლი წერეთელი იცავდა „მიჯაჭვულ პრომეთეს“, ხოლო პოეტი კოტე მაყაშვილი კი „თეთრი გიორგის“. ჩვენ, ფრაქციაში უმცირესობის წევრებმა ,თანახმად ფრაქციის დადგენილებისა, თავისუფლად მივეცით ხმა და სხვა პარტიებთან ერთად „თეთრი გიორგის“ დავუჭირეთ მხარი. ამგვარად „თეთრმა გიორგიმ“ მიიღო უმრავლესობა პარლამენტში.

ეს ერთად-ერთი შემთხვევა იყო, როცა სოც.დემ. ფრაქციის წევრებს ნება მიეცათ თავისუფლად ხმა მიეცათ.

შავი თებერვლის დღეებში

27 იანვარს 1921 წ. ფრაქციის ოთახში ვისხედით, როცა მოგვიტანეს პარიზიდან მოსული დეპეშა ჩვენი სახელმწიფოს უმაღლესი საბჭოს მიერ დე იურედ ცნობის შესახებ. ვიქტორ თევზაიამ გადმოგვითარგმნა. საერთო სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა — ევროპამ დე იურედ გვიცნო, რუსეთთან 7 მაისის ხელშეკრულობით იურიდიულად ცნობილი ვართ და მეგობრული კავშირიც გვაქვს მასთან. ამ ამბავს მოჰყვა სხვა და სხვა საზეიმო ამბები: ალ. წუწუნავამ სახაზინო თეატრში გამართა საერთაშორისო ხასიათის საღამო, რომელზედაც მოწვეული იყვნენ უცხოელებიც. პროგრამაში რუსული სახალხო ცეკვებიც იყო შესრულებული. საღამო გახსნა მოკლე სიტყვით ალ. წუწუნავამ. მისმა სიტყვამ დარბაზში მყოფნი ბევრი აცინა, რადგან ჩვენი ნიჭიერი რეჟისორი ვერაფერი ორატორი გამოდგა და როცა ოქვა, რომ ჩვენი სამშობლო **შევიდა საერთაშორისო ეზოშიო**, ამან დიდი სიცილი გამოიწვია. საღამო საერთოდ ძალიან მხიარულად ჩატარდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმავე დღეებში რუსეთის ახალმა ელჩმა შეინმანმა და მისმა თანაშემწემ სერიოჟა ქავთარაძემ დიდი ქათინაურებით შეამკვეს რაუტზე საგანგებოდ მოწვეული ჩვენი მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია.

მაგრამ დიდ ხანს არ გაგრძელებულა ჩვენი სიხარული: 12 თებერვალს ცენტრალური კომიტეტის ბინაზე, დილით, ამხ. კ. ცვარაჯალაძემ მოგვიტანა ამბავი რუსეთის ჯარის მოულოდნელად შემოტევისა სომხეთის საზღვრიდან. მძინარე ჩვენ ჯარისკაცებს ღამით თავს დაესხნენ, დაამარცხეს და წინ მოიწევენო.

ამავე დროს ელჩის შეინმანის სახელზე დეპეშა მოსულიყო მოსკოვიდან: „რუბიკონი გადავლახეთ“-ო. ასეთი იყო ეს საშინელი ცნობა. იმ დილასვე მოვიდნენ ცენტრალური კომიტეტის წევრები, რომლებიც იყვნენ აგრეთვე მთავრობის წევრებიც. მაშინვე დასვეს საკითხი მთავარ სარდლად ისევ გენერალ გიორგი კვინიტაძის მოწვევის შესახებ, რომელსაც გამარჯვებული გენერლის სახელი ჰქონდა ჯარში და რომელმაც ერთი წლის წინად სასტიკად დაამარცხა აზერბაიჯანიდან შემოჭრილი წითელი ჯარი.

მთავარსარდალმა სახელდახელოდ შეამაგრა თბილისზე მიმავალი გზები. მთელი ერი გაერთიანდა მთავრობის გარშემო — ყველა, მემარჯვენე იყო ის თუ მემარცხენე, თავი მთავრობის განკარგულებაში დააყენა, თავდაცვის საქმის უკეთ მოსაწყობად.

ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმში ნოე რამიშვილმა წარმოადგინა საკითხი: იმ შემთხვევაში, თუ რუსები ქალაქში შემოიჭრებოდნენ, მათთვის გაგვემართა ქუჩებში ბრძოლა.

17 თებერვალს დილით მე მან გამაგზავნა რკინის გზის დეპოში, რათა მომეხმო მოწინავე ამხანაგები ამ საქმის გამოსარკვევად და მოსამზადებლად. მე ტრამვაით გავემგზავრე და როცა სადგურის ქუჩაზე შევუხვიეთ, რას ვხედავ — მოდის მუშების მრავალრიცხოვანი პროცესია ეროვნული დროშით; მოდიან მუშები სასახლეში, რათა მთავრობას ნდობა და ერთგულობა გამოუცხადონ და ბრძოლაში დახმარება აღუთქვან. მე გზა აღარ გავაგრძელე და მათ გამოვყევი; მით უმეტეს, აქ იყვნენ ის პირები, რომლებიც მე უნდა მენახა. აქ ერთი პატარა დეტალიც უნდა მოვიგონო.

ეროვნული დროშა ხელთ ეპყრა ერთ ძველ მუშას, არსენა მახარაძეს. ამას იმიტომ ვიგონებ, რომ არსენა ერთ-ერთ ოპოზიციონერ მუშად ითვლებოდა. მან სასტიკად გაილაშქრა გასული დეკემბრის თვეში მოწინავე მუშათა კრებაზე მთავრობის ხელფასის პოლიტიკის წინააღმდეგ. კრება იყო მოწვეული ქალაქის თვითმართველობის დარბაზში. ნოე ჟორდანია უმტკიცებდა კრებას, რომ მართალია, ვაჭირვებაში ვართ, მაგრამ ბონები რომ ვბეჭდოთ და ამით ხელფასი გავიზარდოთ, ამით მიზანს ვერ მივაღწევთო და სხვა. არსენამ ამის წინააღმდეგ დიდი სიტყვა წარმოთქვა და დაიწუნა მთავრობის ხელფასის პოლიტიკა; მაგრამ დღეს ის, ეროვნული დროშით ხელში წითელი თავდამსხმელების წინააღმდეგ გვერდში ამოუდგა მთავრობას.

ქუჩებში ბრძოლის საკითხი მოიხსნა, რადგან იმ ღამეს დიდი ბრძოლა მოიგო ჩვენმა ჯარმა გენერალ მაზნიაშვილის ხელმძღვანელობით. და ვალოდია გუგუაძის ჯავშნიანების დახმარებით. 1500-ზე მეტი ტყვე იგდეს ხელში; ღამით სასახლეში ვიყავით; ვიცოდით, ბრძოლა მიმდინარეობდა; ყველა მღელვარებით ვუცდიდით შედეგს. მთელ ამ ამბავს ძალზე განიცდიდა კარლო ჩხეიძე; როცა მას შემოვუსხედით და იმედი გამოვთქვით, რომ უცხოეთის მუშათა კლასი, ჩვენში ნამყოფ ინტერნაციონალის დელეგაციის ზეგავლენით, დახმარებას აღმოგვიჩენს-თქო, კარლო ჩხეიძემ მოკლედ მოგვიგო თავისებური კილოთი: — ჩემი ბატონი თქვენ ხართ! ინგლისელ მუშას რომ უთხრა: ამალამდელი ვახშამი დათმე და ამით საქართველოს გადაარჩენო ,ის ამაზე არ წამოვაო.

დილით ჩვენი გამარჯვების ამბავი დადასტურდა; სასახლის წინ ხალხმა მოიყარა თავი; დიდი აღფრთოვანება გამოიწვია ფრონტიდან გამოგზავნილმა შიკრიკმა, რომელმაც სასახლის ჭუჩით შემოაჭენა ცხენი, საყვირს უკრავდა და თან გაიძახოდა: „საქართველომ გაიმარჯვა“-ო!

მეორე დილით ტყვეები მოიყვანეს და გაამწკრივეს სასახლის წინ. სასახლის კომენდანტმა დათიკო ჭარცივაძემ უკამანდრა ტყვეებს ჩამჯდარიყვნენ, რაც მათ მაშინათვე შეასრულეს. თან გაიძახოდნენ: „ჩვენ არაფერ შუაში ვართ, ურიები მოგვდევნიანო („ჟიდი ნას გონიატ“!) ასეთი სულიერი განწყობილებისა იყვნენ ჩვენი გამბედნიერებელნი.

პროვინციიდან მოდიოდნენ და მოდიოდნენ მოხალისეები; ქუთაისის მოხალისეებში დავინახე ცნობილი პირი; მაგალითად: არტისტი ყალაბეგიშვილი. ერთი სიტყვით, მთელი ხალხი გაერთიანდა მთავრობისა და მმართველი პარტიის გარშემო. ცენტრალურ კომიტეტში ნოე რამიშვილთან მოვიდა ორი თვალსაჩინო მოღვაწე: ერთი სოციალისტ - ფედერალისტი, პროფესორი ალექსანდრე წერეთელი და მეორე: სოციალისტ - რევოლუციონერი ისიდორე ვარაზაშვილი; მათ ითხოვეს ფორმალურად სოციალდემოკრატიულ პარტიაში ჩაწერა და თავდაცვის საქმეში რაიმე აქტიური როლის მინდობა ,რაც დაკმაყოფილებულ იქმნა.

მაგრამ რუსეთმა დიდძალი ჯარი მოაყარა და 24 თებერვალს საღამოს მოხდა თბილისის დატოვება. სურამში რომ შეეჩერდით, იქ შემოგვხვდნენ იმერეთის და გურიის მოხალისენი. ბრძოლა გრძელდებოდა. ქართლში ერთი ბრძოლის დროს, როგორც შემდეგ გავიგეთ, თბილისში რუსები პანიკას მიეცნენ ,გაქცევას აპირებდნენო. მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ სამწუხაროდ, ამ ბრძოლაში ვალიკო ჯუღელის დაჭრამ და ბრძოლის ველიდან გაცლამ, მოშალა გვარდიის ნაწილი, რომელსაც ის მეთაურობდა და რუსებმა საქმე გამოასწორეს. ამ ბრძოლაზე გენერალმა კონიაშვილმა დაწვრილებითი მოხსენება გაგვიკეთა ჩვენ სტამბოლში ყოფნის დროს.

ამავე დროს რუსებმა შავი ზღვის ნაპირიდან შემოგვიტიეს და უხეშმა ძალამ თავისი გაიტანა :საქართველო დაიპყრეს და მთელ ქვეყანას დეპეშები მოსდვეს: — ქართველმა ხალხმა „მენშევიკური“ მთავრობა გადააგდო და ჩვენ მიგვიწვია დამხმარე ძალათო!

თითქმის ნახევარი საუკუნეა მას შემდეგ და ამ ტყუილს დღესაც არ ეშვებიან. ახალგაზრდობას ბავშვობიდანვე ამას აგონებენ; მაშინდელი ბრძოლის მონაწილენი ბევრი დახოცეს და ბევრიც ბუნებრივად წავიდა ამა სოფლიდან. თაობა, რომელიც დღეს განაგებს იქაურობას, დარწმუნებულია, რომ „ქართველი ხალხის აჯანყება“ სინამდვილეში იყო და ის მცირე ნაწილი რომელსაც საშუალება აქვს სინამდვილის გაგებისა, შეგნებულად ასაღებს ამ ტყუილს სიმართლეთ, რათა თავისი პრივილეგიური მდგომარეობა შეინარჩუნოს და გაამართლოს ეს ტყუილი. ეს ტყუილი ლიტერატურაშიც გადავიდა. მაგალითად, მწერალი ალექსანდრე ქუთათელი თავის მოთხრობებში ხშირად ატარებს იმ აზრს, რომ ქართველი ხალხი აჯანყდა „მენშევიკების“ წინააღმდეგ და მოიწვია ძმური რუსეთიო. მათი ისტორიკოსებიც ამ ტყუილს ისტორიულ სინამდვილედ ასაღებენ.

მაგრამ არსებობს ერთი ურყევი დოკუმენტი , რომელიც ბოლშევიკებისაგან წარმოსდგება და სრულს ჭეშმარიტებას ღაღადებს:

ეს არის დოკუმენტი, გამოცემული რუსულ ენაზე, 59 გვერდიანი, დაბეჭდილი თბილისში 1924 წელს, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ და განკუთვნილი საქართველოს კომუნისტური პარტიის მესამე კონგრესისათვის; წიგნზე აწერია: **მხოლოდ კონგრესის წევრთათვის.** ამ წიგნაკის ავტორი არის ბესო ლომინაძე, რომელსაც შემდეგ კომინტერნში დიდი ადგილი ეჭირა. ამ წიგნაკში იგი ლაპარაკობს კომუნისტური ცენტრალური კომიტეტის სახელით, სრული გულახდილობით და აშკარად. იგი მიუთითებს იმ სიძნელეებზე, რომელიც მათ შეხვდათ ოკუპაციის პირველ ხანაში. იგი აღნიშნავს საქართველოს სოციალდემოკრატიული (მენშევიკების) პარტიის სიძლიერეს, მის უდიდეს გავლენას მშრომელ ხალხზე.

„მენშევიკების ბატონობის დროს სოციალდემოკრატიული პარტია ითვლიდა 80.000 წევრს. ნაწილობრივ რეპრესიებმა 1922 წლის დასაწყისში, სრულიადაც არ დაასუსტა მათი ორგანიზაციები. ეს რეპრესიები მაშინ შემოიფარგლა რამოდენიმე ათეული მეთაურის დაჭერით, მაგრამ მათ სრულიად არ აკლდათ მეთაურები; მათ მრავალი გამობრძმედილი წევრი ჰყავდათ, რომლებიც მაშინვე სცვლიდნენ დაჭერილებს; რაც შეეხება პარტიის მასსას, ის განაგრძობდა არსებობას. ორი წლის ოკუპაციის შემდეგ, 1923 წლის საქ. კომპარტიის მეორე კონგრესის ხანაში მათი გავლენა **ფართო მშრომელ მასსაში** (ხაზი ყველგან ლომინაძეს ეკუთვნის) თუ მეტი არა, ნაკლები არ იყო ჩვენსაზე“.-ო. (ესე იგი ბოლშევიკებზეო). ეს რაც „მენშევიკებს“ შეეხება.

ახლა ვნახოთ, როგორ ახასიათებს ლომინაძე ბოლშევიკებს:

„1919 წელში უარყოფა კომუნისტების მიერ პარლამენტისა და ბოიკოტი დამფუძნებელი კრების არჩევნებისა და მთელი სერია კონსპირატიული აქტებისა ,რათა ხელთ ეცდოთ ხელისუფლება მასსის დაუხმარებლად.

1920 წელში სრული უუნარიანობა და უხასიათობა, რომ დაეარსებინათ ლეგალური აპარატი მათი ლეგალიზაციის შემოხვევის გამო.

1921 წელში არავითარი აქტივობის გამოჩენა საქართველოს წინააღმდეგ წითელი ჯარების შემოტევის დროს.

„ჩვენი რევოლუცია — განაგრძობს ბესო ლომინაძე — **1921 წელში დაიწყო რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობით წითელი არმიის ხიშტებით, რომელთაც ქართველი პატრიოტები სთვლიან გარეშე ძალად. თვით საბჭოთა რევოლუცია გამოიხატა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციაში“**-ო. (გვერდი 7.).

აი სინამდვილე ეს არის. მოითხოვონ და წაიკითხონ ეს დოკუმენტი დღევანდელმა ისტორიკოსებმა და საერთოდ ყველა ახალგაზრდამ, ვისაც კი ხელი მიუწვდება და მაშინ აღარ გაიმეორებენ იმ ტყუილს, რომელზედაც ზემოდ იყო ლაპარაკი.

ვასო წულაძე

ნაური

პატარა მოგონება

1905 წელში რომანოვების ტახტი დაინძრა, მაგრამ არ დამსხვრეულა. პრემიერ მინისტრის ვიტტე-ს „კუდმოკვეცილმა („კუცაია“) კონსტიტუციამ რევოლუცია შეაჩერა. თუმცა ხალხი კიდევ ღელავდა. რკინიგზის, ფოსტა-ტელეგრაფის გაფიცვები იყო. მე ახალგათავებული მქონდა საოსტატო სემინარია და დანიშნული ვიყავი დაბა ოჩემჩირეში მასწავლებლად. აქ იყო ლამაზი სკოლა, ლამაზ მდებარეობაში. ეს ნაბიჯზე ზღვა ღელავდა. სკოლისა და ზღვის შორის ნახევარი მილის სიგრძე მინდორი იყო გაბლილი, რომელზეც შაბათაღამოს და კვირა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უქმეებში ხალხი სეირნობდა. ხანდახან მუსიკა უკრავდა ხოლმე.

სკოლის უკან იყო დეკორატიული ბაღი და მერმე საცდელი ბაღჩა, რომელიც იყო გაშენებული სკოლის მოწაფეების მიერ, ახალგაზრდა ლევან გობეჩიას ხელმძღვანელობით. მას გათავებული ჰქონდა ქუთაისში საბალოსნო სკოლა. ჩვენ მალე დავმეგობრდით და ვცხოვრობდით ერთად სკოლის ბინაში. სკოლის გამგე იყო ბორის ხორავა, რომელიც რევოლუციის მოწინააღმდეგე იყო. ოჩამჩირის მცხოვრებთა და მის შორის მტრული განწყობილება სუფევდა. მან ცადაასახლებინა სოხუმის ოლქის „ნაჩალნიკს", (რომელიც ხორავას შვილს უნათლავდა) ოჩამჩირის რამოდენიმე მოწინავე მცხოვრები: დავითაია, ვეკუა, ნორაკია და სხვები.

ერთ კვირა დღეს (ორშაბათი უქმე იყო) მე, ლევან გობეჩია და ახლო სოფლის მასწავლებლობა წავედით 15 მილზე მდებარე დედათა ძველი მონასტრის (სახელად „მოქვი") სანახავად. მონაზონებმა და მათმა უფროსმა ძალიან კარგად მიგვიღეს. გვაჩვენეს ბევრი წმიდანის ხატები, ქვისგან ამოთლილი ჭანდაკებანი, მონაზონთა ხელით ნამუშევარნი, მოქარგული მუთაქა-ბალიშები... იმ ღამეს არ დამიძინია. არ ვიცოდი, რა მაწუხებდა. დილით ადრე ავდექი და ვთხოვე ამხანაგებს მალე უკან გავბრუნებულიყავით. როცა სკოლაში მივედით, გავიგეთ საზარელი ამბავი; სკოლის გამგე ბორის ხორავა ვილაცამ მოკლაო. გვითხრეს: სოხუმის ოლქის რუსი „ნაჩალნიკი" ვილაცას დაეჭრაო. მაგრამ სიკვდილს გადარჩენილი იყო და ამისი პირადი მილოცვა ბორის ხორავას განუზრახავს და როცა გემში შესვლას აპირებდა, ვილაცამ მოკლაო „კომიტეტის" კარნახითო...

სოხუმის ოლქის სკოლების ინსპექტორმა იზმაილოვმა მე დამნიშნა დროებით სკოლის უფროსად. მაშინ ეს არ იყო სასიამოვნო თანამდებობა. სამეგრელოდან ხმებმა მოაღწია, რომ მასწავლებლები გაფიცვას აპირებენო. მოწაფეები სკოლებს ამტვრევენ და წვავენო. ბევრი გაზეთი არ გამოდიოდა და უარესი იყო სინამდვილეზე.

ერთ დღეს ადრე ავდექი. სანამ ბავშვები მოგროვდებოდნენ, ვიბანავე ზღვაში და როცა უკან **მოვდიოდი,** შევამჩნიე, რომ ჩვენ დიდ აივანზე, ასავალი კიბის **უკან,** დიდძალი ქვები, ზღვიდან მოზიდული, ეყარა. მალე ტანზე ჩავიცვი და მოწაფეებს დავხვდი; ზევით აივანზე დავდექი. როცა მოწაფეები მოდიოდნენ, გროვდებოდნენ ხოლმე აივანის წინ. მე მაშინ ახალგაზრდა ვიყავი ;მოწაფეებთან კარგი განწყობილება მქონდა. ხანდახან მათთან ერთად ბურთსაც ვთამაშობდი. როცა თითქმის ყველა მოწაფე მოგროვდა (85 . 90) მე გავიცინე და მოწაფეები კარგ გუნებაზე დავაყენე და მათ დაახლოვებით ასე მივმართე — ვხედავ ქვები მოგიტანიათ ამ სკოლის ფანჯრების ჩასალეწად. რატომ არ მითხარით, რომ ამას აპირებდით'! მეც დაგეხმარებოდით, თუ ეს კარგი აზრი იქნებოდა! ანდა შეგეძლოთ ფანჯრების მტვრევა თქვენი სახლიდან დაგეწყოთ. განსხვავება არაფერია! ეს სკოლა მამა და დედა-თქვენის ოფლით ნაშოვნი ფულით არის ნაკეთებული; დღეს თუ დაამტვრევთ, ხვალ -ზეგ თქვენმა მშობლებმა ისევ უნდა ააგონ! ამ დროის განმავლობაში მე შემეძლება სახლში წასვლა და იქ არხეინად ჯამაგირის მიღება. ასე წაგებული თქვენ იქნებით. ეს ძალიან უანგარიშო აზრია. სჯობია უმეტესობა ამ ქვებისა მებაღეს მიუტანოთ; ის გაჩვენებთ, სად შეუძლია ის ქვები მოიხმაროს. დანარჩენი ზღის პირას გადაყარეთ.

ხმა არავის ამოუღია. და ჩემი ნათქვამი შეასრულეს. სამაგიეროდ მოხდა ის, რასაც არ მოველოდი. ერთ დილას, როცა აივანზე გამოვედი, რას ვხედავ?! ხელმწიფე ნიკოლოზის და დედოფალის დიდი სურათები სკოლის კედლებიდან ჩამოუტანიათ, ჩარჩოებიდან ამოუღიათ და გარეთ, მინდორზე დახეული დაუყრიათ. დიდად არ მწყენია. ახლა ხელი არ მიხლია. მაშინათვე მეეზოვე გავაგზავნე მაზრის „ნაჩალნიკ" ჩიგოგიძესთან, რომელიც ახლოს ცხოვრობდა. იგი უმალ მოვიდა ორი „სტრაჟნიკის" თანხლებით. მოკლე ბაასის შემდეგ, მან „სტრაჟნიკებს" უბრძანა დახეული სურათები მის კანცელარიაში წაეღოთ. მე კი მითხრა, ეს ამბავი სოხუმის ოლქის „ნაჩალნიკს" უნდა აცნობოო.

ამ შემთხვევის მეხუთე დღეს სოხუმის ოლქის ახლად დანიშნული „ნაჩალნიკი", ღენერალი ლევან ჯანდიერი ჩამოვიდა. მან მეგობრულად მიგვიღო მე და ლევან გობეჩია. აკვხედ-დაგვხედა. ალბათ შეგვატყო, დიდი მგლოვიარე არ ვიყავით. და მოგვმართა დაახლოებით ასეთი სიტყვებით: — ჩვენ ძალიან ცვალებად დროში ვცხოვრობთ. ხვალ რა მოგველის, არ ვიცით. და ამიტომ ძალიან დიდი სიფრთხილე გმართებთ. თქვენ ახალგაზრდები ხართ. „ნუ აჩქარდებით"! „ნუ აჩქარდებით"!

ჩვენ მას დიდი მადლობა გადავუხადეთ დარიგებისათის. ამაზე მეტი მისგან არაფერი გაგვიგონია.

შემოდგომა იყო 1905 წლისა. რევოლუციური მოძრაობა ქუხდა. მიუხედავად გემების, რკინისგზის, ფოსტა - ტელეგრაფის გაფიცვებისა, პროპაგანდისტები ყოველ ჯურისა მიდმოდიოდნენ ოჩამჩირესა და სოხუმს შუა. ჩემი ბინის კარი (სკოლაში) მათთვის მუდამ ღია იყო. მათ შორის იყო სულ ახალგაზდა, ნიჭიერი, კარგად მომსჯელე, ლადო ემუხვარი. ქალაქ სოხუმის მხარეში სამი პარტია ეჯიბრებოდა ერთმანეთს მსმენელთა უმრავლესობის ყურადღების დასაპყრობად. სოციალისტ - რევოლუციონერებიდან აქ იყვნენ ძმები: გობეჩია. სოციალისტ-ფედერალისტებიდან თედო სახოკია. სოციალდემოკრატებიდან, ლადო ემუხვარის გარდა, ვასო გორდელაძე, თუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცა დიდი „აქცენტით“, მაგრამ კარგი ორატორი, ნამდვილი „ტრიბუნი“.

ამ დროს მთელი სოხუმის ოლქის მასწავლებელთა კრება იყო ქალაქ სოხუმში, მან სამი დღე გასტანა.. ირჩეოდა სხვა და სხვა საკითხი სკოლის შესახებ, მათ შორის მასწავლებელთა ჯამაგირი და პენსია. იმ დღეებში გაზეთების ცნობა იყო, რომ ადმირალი მაკაროვის ქვრივს მიესაჯა ოცი ათასი მანეთი პენსია წლიურადო! ამის მიხედვით, მე მოვითხოვდი მასწავლებელთათვის ხუთას მანეთს წლიურ პენსიას, რაც გადაჭარბებული არ იყო, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ მაშინ სოფლის მასწავლებელი ღებულობდა ჯამაგირს წლიურად 360 — 450 მანეთს... დიდი დავა გამოიწვია საღმრთო სჯულის სწავლებამ სკოლაში. მე მოვითხოვდი, საღმრთო სჯულს სკოლაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს-მეთქი. ჩოხა-ახალოხში გამოწყობილი ვიყავი; თითქმის ყოველ საკითხზე რამოდენჯერმე ვლებულობდი სიტყვას და განუწყვეტლივ ვლაპარაკობდი! ახლა მიკვირს, თუ ვინმემ ძალით არ ამალაპარაკა, სმენა მირჩევნია!..

როცა კრება თავდებოდა, ცნობა მივიღეთ: დააპატიმრესო თედო სახოკია, ვასო გორდელაძე, და ოდესელი სტუდენტი იასონ კილურაძე. მე კრებაზე შევიტანე წინადადება: აგვერჩია სამი პირი და გაგვეგზავნა „ნაჩალნიკ“ ენერალ ლევან ჯანდიერთან და გვეთხოვა დაჭერილების განთავისუფლება, — მით უმეტეს, ეს იყო შობა - ახალწლის წინ. კრებამ წინადადება ერთხმად მიიღო და დელეგატებად არჩეულ იქმნენ: ოჩამჩირის დეკანოზი კ. მარღანია, მასწავლებელი პლატონ გოგუა და მე.

მოლაპარაკედ ავირჩიეთ დეკანოზი კონსტანტინე მარღანია. როცა დეკანოზმა ენერალ ჯანდიერს მოახსენა მასწავლებელთა კრების სურვილი, ენერალმა მას ჰკითხა: „იცით, ვინ არის ვასო გორდელაძე? ეს გახლავთ ის ყმაწვილი, რომელმაც მკვდარი კატა ჩამოჰკიდა ქუთაისის საყდრის ტრაპეზზე“-ო!

დეკანოზმა გაოცებით ხმამაღლა დაიყვირა: „დასწყევლოს ღმერთმა! დასწყევლოს ღმერთმა“! და გაიქცა.

მე და გოგია დავრჩით და განვაგრძეთ თხოვნა. ენერალმა მე მიცნო და მოიგონა მისი ჩვენ სკოლაში მოსვლა... ბოლოს ენერალი დაგვპირდა დაჭერილების გამოშვება... და მართლაც, გაათავისუფლა ისინი.

ნაური

თამარ პაპავა

ოქრი კვირა ვირთხებთან

12 მაისს 1923 წელს მატარებელი თბილისის სადგურზე უკვე ჩამომდგარი იყო როცა მე, ჩემი ორი გოგონათი, (ტურფა და მზია), დედა-ჩემი და ორივე ჩემ დასთან ერთად, და სხვა გამცილებელი ახლობლებითურთ, ბარგი-ბარხანით ბაქანზე ვიდექით. ვიდექი და ათასი ფიქრი ირეოდა ჩემს თავში: დავბრუნდებოდი კვლავ? ვნახავდი მათ და ჩვენს საყვარელ მიწა-წყალს ხელახლა? როდის შევხედავ კიდევ ამ ნაცნობ სადგურს, ბაქანს, ხალხს?! ამაზე ვფიქრობდი და სხვა უმნიშვნელო წვრილმანებზე კი ვლაპარაკობდით ,ვიცინოდით და ჭირს ვმალავდით...

სრულ ათ საათზე მატარებელში ჩავჯექით; მახლობლებს ტირილით გამოვემშვიდობეთ და უსულო მანქანაც დაინძრა. ფანჯარას არ მოვშორებივარ, ვიდრე მშობლიური მიწა და მაისის მშვენიერი ლურჯი ცა კიდევ ჩანდა.

წმიდა დავითის მთა დიდხანს მოგვყვებოდა ამაყად. თითქო ნუგეშის შუქით გვიფენდა გზას... გზა კი მართლაც გრძელი გვედო და ხიფათიანი. წინ აღმართული იყო მრისხანე მოსკოვი და იქიდან იხსენებოდა კარი ბერლინისა, სადაც მიგველოდა აკაკი და სადაც ახალი ცხოვრება უნდა დაწყებულიყო. რას გვიმზადებდა იგი? როგორ მიგვიღებდა და რას მისცემდა ბავშვებს? არავინ იცოდა, მაგრამ მაინც თამამად მივდიოდით რომ თავისუფალი ჰავა გვეყნოსა; რომ სამშობლოს ტკივილი უშიშრად ამოგვეტირა; ყველაფერი გვეთქვა, თუ რა უყვეს მას, — აი ეს გვაძლევდა ძალას და უცხო გარემოსთან და ხალხთან გვარიგებდა...

მოსკოვამდე გზა ოთხი დღე გრძელდებოდა, მოსაწყენი და ერთფეროვანი; თან ჯერ კიდევ შიშის მომგვრელი. მადლობა ღმერთს! ბავშვები ამას ვერ გრძნობდნენ. მათ თავისი დასაწოლი ადგილები ჰქონდათ, თორემ ამ გზას რა გაუძლებდა!

ჩემი გული სავსე იყო ცრემლებით და ბოლმით; თავში კი უცნაური სიცალიერეს ვგრძნობდი და არ შემეძლო რამეზე დალაგებით მეფიქრა... გული კი მეწოდა მწარედ, მტკივნეულად, თითქოს ცეცხლი წაკიდებიაო. გონებაზე მოვდიოდი მხოლოდ მაშინ, როცა ბავშვებს რამე დასჭირდებოდათ და მთხოვდნენ; ისე კი ვიყავი გარინდული და გაჩუმებული. თვალ წინ განუშორებლად მედგნენ თბილისი, დედა-ჩემი, დები, სადგურის ერთ კუთხეში სევდიანად, ლანდებივით თავმოყრილნი; თითქოს ჩემს განშორებაზე რაღაცას საიდუმლოდ ჩურჩულებდნენ. თან მამა-ჩემის მიტოვებული საფლავი გულს ლოდად მაწვა. ჩემი საყვარელი ძმის შალვას სევდიანი სახე, მოსიყვარულე თვალები თითქოს თან მომდევდნენ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეკითხებოდნენ: სად მიხვალ, ან რატომ არ მანახე წასვლისას შენი თავი?... არ მშორდებოდნენ: ჩემი თბილისი, ჩემი სამშობლო, ჩემი გამზრდელი, ჩემი სოფელი საწულიკიძეო, სადაც ბავშვობა გავატარე.

ისევ თვალ წინ მიდგა მამადავითი, თეთრად შავ მთებზე ჩაკონებული... რამდენჯერ მის კედლებზე მიმიკრავს ქვის კენჭი და ჩამითქვამს ჩემი გულის ნადები და ახლაც გზაზე შემდგარი მას ვთხოვდი შველას. ვთხოვდი ლოცვითაც და ცრემლით... კვლავ მისი ნახვა ელირსებინა ჩემთვის...

როგორც იქმნა მივაღწიეთ მოსკოვს. ჩავედით ამ ჭრელ, ცივ და დიდ ქალაქში, ჩემი მწუხარებით და ორი უსუსური ბაშვითურთ. აქ, თბილისიდან წამოღებული მისამართებით, ერთ დიდ შენობას მივადექით, „წითელ მოედანზე", სადაც მრისხანედ და ცივად წითელი კრემლი გამოიყურებოდა... აქ იყო სასტუმრო, თბილისში რომ გვირჩიეს და ჩვენი ეტლიც აქ გაჩერდა... ეს იყო ვეებერთელა სახლი; ძველად აქ იყო ცნობილი სასტუმრო „პარიზი". აქ ცხოვრობდა ჩემი ნათლია ცუცუნია წულუკიძის ასული, ბუდუ მდივანის მეუღლე. და მისი დახმარებით ამ სასტუმროში ერთი დიდი ოთახი მივიღეთ. ამ ოთახში იდგა ერთი ლოგინი, ორი სკამი და ერთი მაგიდა. ეს იყო მთელი ავეჯი და „მოკაზმულობა". ჩვენ აქ უნდა გვეცხოვრა, ვიდრე მოსკოვის მთავრობა ჩვენს თბილისურ ვიზას დასტურის ბეჭედს დააკრავდა. უამისოდ ბერლინისაკენ წასვლა აკრძალული იყო. ვერავის გავუბედე მეკითხა: მაშ რისი მაქნისი იყო ის ვიზა, რაც ათასი ჩხრეკა-ძიების შემდეგ საქართველოს მთავრობის, ამ ვითომდა „დამოუკიდებელი სახელმწიფოს" „საგარეო სამინისტრომ მოგვცა?! რაღა შუაში იყო აქ მოსკოვი და მისი დაწესებულებები?! იმ დილამ მოსკოვში მყოფ მამულიშვილთა ჩვენდამი დიდ მზრუნველობაში გაიარა — მოჰქონდათ სურსათი! გვასწავლიდნენ, სად და როგორ უნდა მივსულიყავით, რათა დიდხანს არ დაგვჭირვებოდა მოსკოვში ლოდინი! ამისათვის ფულიც ხომ ცოტა გვქონდა! მოაღწია საღამომ და ჩემი გოგოები, დაქანცულები, ლოგინში ჩავაწვინე; ჩემთვის კი ლოგინი აღარ იყო; მეც ორი სკამი ბავშვების ლოგინს მივადგი და ტანთგაუხდელმა ჩემი პალტო გადავიხურე და თავი მივდე; სასთუმლად ჩვენი ჩემოდანი დავიდე. ნელა დაღლილობამაც მიწია და მივთვლიმე... და უცებ კარებთან რაღაც ხმაური და ფხაკუნი შემომესმა... გიჟივით ზეცვით წამოვარდი. თავში ათასმა საშინელმა აზრმა ელვასავით გამირბინა... ვიფიქრე: სწორედ ჩეკამ გაიგო ჩემი ვინაობა და დასაჭერად მოვიდნენ-მეთქი! ამ პატარებს აქ რა მოუვათ?

კართან ფხაკუნი გრძელდებოდა... მეც სულგანაბული ყურს ვუგდებდი; ველოდი, თუ რა მოხდებოდა; იქნება კარს გააღებენ'! ან მიბრძანებენ: „გააღეთ"-ო! და აი .იმ წუთში დავინახე, რომ ორი დიდი ვირთხა კარების ქვეშა ხვრელიდან გამოძვრა და ნელი, დინჯი ნაბიჯით ფანჯარისაკენ გაემართა ,იქით, სადაც ცენტრალური გათბობის მილები იყო... შიშით აკანკალებული გარეთ გავვარდი და სასტუმროს გამგეს მივაშურე... ვუთხარი აღშფოთებულმა ეს ამბავი და მუდარით ვთხოვე: ჩემთვის სხვა ოთახი მოეცა, რათა მძინარე ბავშვები ვირთხებმა არ დამიკბინოს-მეთქი. სასტუმროს გამგემ კი სრულიად დამშვიდებული კილოთი გამომიცხადა, რომ ჩვენ ვირთხებისაგან არავითარი საშიშროება არ მოგველოდა, თუ ცოტა საჭმელს დავუყრიდით ხვრელთან. თან მამცნო, რომ სარდაფში ვირთხები მეტად გამრავლდნენ ამ არეულობისა და რევოლუციების დროს და რომ მათთან შებრძოლება შეუძლებელი გახდაო. თან დასძინა, რომ სასტუმროში სხვა ცარიელი ოთახი არ არისო და კიდევაც რომ იყოს, იქაც ვირთხებს ნახავთო. რაღა უნდა მექმნა? გამოვბრუნდი სრულიად გაშეშებული და იმ დღიდან მე და ჩემი გოგონები ყოველ საღამოს ვუშლიდით ვირთხებს ფანჯარის მოაჯირის ქვეშ სუფრას და ისინიც ყოველ ღამე ისევ ისე დინჯად შემოვიდოდნენ ოთახში და ღუმელებს მიაშურებდნენ ხოლმე. და ასე ხდებოდა, ვიდრე მოსკოვში ვცხოვრობდით, ვირთხებთან ერთად.

ჩემთვის ყველაზე საშინელი ის იყო, რომ მე ყოველ დღე დილით ადრე უნდა წავსულიყავი იმ დაწესებულებაში, სადაც ჩემი პასპორტი უნდა დაემზადებინათ; ბავშვებს კი მარტო ვტოვებდი ოთახში; ვაჭმევდი მათ საუზმეს, ვუტოვებდი საჭმელს, ხილს და სათამაშოებს ;ჩავუკეტავდი ოთახს და მივდიოდი... ქალაქის სხვა და სხვა ადგილებში ნებართვის საქმის მოსაგვარებლად. ბავშვები კი მთელი დღე ფანჯარასთან ისხდნენ, თამაშობდნენ და ასე თმენით მელოდნენ და მეც საღამოთი, მთელი დღის უჭმელი, დაქანცული და განადგურებული ვბრუნდებოდი.. და მხოლოდ მაშინ გავიყვანდი ბავშვებს გარეთ, ვატარებდი ქუჩებში; ვჭამდით მახლობელ სასადილოში და ისევ ჩვენს ოთახს და ჩვენს ვირთხებს მივაშურებდით ხოლმე.

საკვირველია, როგორ ესმოდათ ამ ჩემს პაწაწინა გოგონებს ჩემი გასაჭირი! როგორი გონიერებით ითმენდნენ მთელ დღეს ოთახში მარტო ყოფნას... მათ ყოველ საღამოს ნაყივნს ვაჭმევდი. ეს ძალიან უყვარდათ და მუდამ დიდი მოთმინებით ელოდნენ ამ საღამოს...

ჩემს ვიზას საშველი არ ადგებოდა... დღე დღეს მისდევდა იმ დასაქცევ დაწესებულებაში; ჩავდგებოდი რიგში და ის იმ იყო, რომ ჩემი რიგი მოაწევდა და თითქოს ბოლოს უნდა შევსულიყავი კომისართან და სწორედ ამ დროს კარს მიმიკეტავდნენ ხოლმე. ასე გავიდა მთელი კვირა, ათი დღე ,მეტი კიდევ, ამ დაუსრულებელ ტანჯვაში და ლოდინში.

და ერთ დღეს ჩემმა გულმა ამ წამებას ალბათ ველარ გაუძლო და რიგში დგომისას იქვე ჩავიკეცე და გონება დავკარგე. და როცა გონზე მოვედი, ვნახე: ორი მოხუცე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული ქალი და კაცი თავზე მადგნენ და ცივ წყალში დასველებულ ცხვირსახოცს თავზე მადებდნენ... ნელ-ნელა მოვსულიერდი და როგორც იყო, წამოვდექი. და აქ ჩემს წინ მდგომმა, ბიბლიური სახის მოხუცმა ვინაობა გამომკითხა და როცა ჩემი ამბავი დაწვრილებით გაიგო, მითხრა: — მომეცით ყველა თქვენი ქაღალდი და თვითონ კი გასწიეთ სახლში ბავშვებთან. დილას აქვე მომაკითხეთ და ყველაფერი მზად დაგხვდებათო! ისე ვიყავი გაოგნებული, რომ ამ მოხუცისათვის აღარაფერი არ მიკითხავს, — დაუფიქრებლად მივენდე მას და მკვდარ-ცოცხალი წავედი ოტელში.

ადრე დილით კვლავ მოვიკრიბე უკანასკნელი ძალა და ვავსწიე იმ დაწესებულებისაკენ, სადაც ორი კვირა ყოველ დღე უქმად დავდიოდი.

და როგორი იყო ჩემი განცვიფრება, როცა ვნახე, რომ მოხუცი უკვე მელოდა და ბეჭედ-დასმული ჩემი პასპორტი და ყველა საბუთი გადმომცა. ისე გავშრი, რომ მადლობის თქმაც ვერ მოვახერხე. ეს მოხუცი აღმოჩნდა ებრაელი, ხელმძღვანელი მთელი ჯგუფი ებრაელთა ოჯახებისა, რომლებიც ამერიკაში აპირებდნენ გადასახლებას. თურმე მათ ლიბავაში დიდი გემი ელოდებოდათ; მოსკოვი მათ უკანასკნელ ქაღალდებს სინჯავდა იმ წყეულ დაწესებულებაში... ამ პატიოსანმა მოხუცმა ჩემი პასპორტი თურმე თავის სიას შეუერთა და ასე უმტკივნეულოდ მიიღო ჩემი ვიზაც, სხვებთან ერთად. ამ კეთილმა ადამიანმა მე ყველა ქაღალდი ჩამაბარა, ჩემი მისამართი გამომკითხა, კეთილი მგზავრობა მისურვა და ტკბილად გამომეშვიდობა.

აღარ მახსოვს ოტელში როგორ მივედი. სასწრაფოდ შევუდექი ჩვენი ბარგის ჩალაგებას, რათა იმავ საღამოს მატარებელით უკვე გავსულიყავით მოსკოვიდან; გვინდოდა ჩქარა მოვშორებოდით იქაურობას; ის იყო, ბავშვები გამყავდა ქუჩაში, რათა გზისათვის რამე სურსათი შემეძინა, რომ კარზე დააკაკუნეს; გავაღე კარი დიდი შიშით და ოთახში უცებ შემოვიდა ახალგაზრდა კაცი, რომელმაც დატვირთული კალათი და კონვერტი გადმომცა ;შემდეგ სწრაფად გაიხურა კარი და გაგვშორდა. ვერაფერი ვერ მოვისაზრე! კალათს თავი ავხსენი და შიგ აღმოჩნდა აუარებელი სურსათი, ხილი, და ტკბილეულობა; შემდეგ გადავხსენ კონვერტს თავი და შიგ აღმოჩნდა ფულები (კერენსკის ფული) საკმაოდ ბევრი... პატარა ქაღალდზე, რომელიც ამ წითელ ფულებს შუა იდო, ეწერა: „კეთილი მგზავრობა!“ — „ებრაელთა გადასახლების კომიტეტი“. სხვა არაფერი. სახტად დავრჩი და უნებურად პირჯვარი გადავიწერე.

ასე მიხსნა სასწაულმა და ის წმინდანი ებრაელი სამუდამოდ დარჩება ჩემს მეხსიერებაში. თურმე ხდება სასწაულები ჩვენს წაწყმედილ დროშიც! ღმერთმა უშველოს მათაც, რომლებიც ამ მოხუცს ახალი ბედის სა-ძიებელად ახალ ქვეყანაში მიჰყავთ...

იმავე დღეს, საღამოს 8 საათზე უკვე სადგურზე ვიყავი, ჩემი წყნარი, ჭკვიანი გოგონებით. ჩვენი მატარებელი რიგამდე მიდიოდა და იქიდან კი სწრაფი მატარებელით ბერლინს ჩავდიოდით.

წამოსვლისას გამოვემშვიდობე ჩემს ნათლიას, ცუცუნიას, ბუდუ მდივანის მეუღლეს. რაც მოსკოვში ვიყავი ცუცუნია მარტო ორჯერ თუ სამჯერ ვნახე; ისიც სულ ცოტა ხნით; შევატყვე, მას ერიდებოდა, უფრო კი ეშინოდა ჩემთან შეხვედრა. სხვა ნაცნობი ქართველების ნახვაც სჭირდა; ყველას ეშინოდა ჩემთან მოსვლა, ახლოს გავლაც კი, რადგან საზღვარგარეთ მივდიოდი! მხოლოდ როცა დაბნელდებოდა, მაშინ თუ შემოვიდოდა ვინმე ჩემს სანახავად; ასეთ შიშში იყო ჩემი ცუცუნიაც.

არ შემიძლია არ შევჩერდე ამ შესანიშნავი ქართველი ქალის ბედზე, რომელიც მეტად უცნაური და ნაირის ხვეულებით მიდიოდა.

ცუცუნია იყო ერთად-ერთი ასული ცნობილი თავადის, სამსონ წულუკიძისა. ცუცუნიას დედა იყო ეფროსინე ლორთქიფანიძის ასული, იგი იყო და კირილე ლორთქიფანიძისა, ცნობილი საზოგადო მოღვაწისა, თერგდალეულთა წევრი და მეგობარი ილია ჭავჭავაძისა. ეს „კნეინა“ ეფროსინე, რამდენადაც მახსოვს, შესანიშნავი ქალი იყო; იგი დიდად განთქმული იყო თავისი სილამაზით. ის იყო მაღალი, წერწეტა, შესანიშნავი გრძელი ნაწნავებით; ჰქონდა ამაყი იერი და მკურავი გეზის სიარული; ხშირად მოვიგონებ ხოლმე მას და სხვებსაც, თუ როგორი ნაზი რხევით მართლაც მიცურავდნენ წულუკიძეების ეს მშვენიერი ქალები მოლზე, როცა კვირა დღის წირვის შემდეგ, ისინი ბებია გვრიტიას სადარბაზოდ მოკლე ხნით შემოუვლიდნენ ხოლმე.

ბაბუა - ჩემი, პავლე გოგოლაშვილი, ამ წულუკიძეების კარის მოძღვარი იყო სოფელ საწულუკიძეოში (ხონის მახლობლად). იქ თითქმის მარტო წულუკიძეები სახლობდნენ და მათთან ამ თავადების გლეხები, რომლებიც ჩემი ბავშვობის ხანაში უკვე თავდახსნილნი, თავისუფლად ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ. სწორედ იმ დროში იწყებოდა ამ თავადთა ბუდეების ნელ-ნელი დაშლა, ნგრევა... ცუცუნიას დედას, ეფროსინეს თავი მუდამ მაღალი ჩიხტა-კოპით ჰქონდა მორთული; ფართე, ქობიანი აბრეშუმის კაბა ეცვა ,ნაირ - ნაირი; მუდამ წყნარად და დარბაისლურად დადიოდა სახლში და ასევე წყნარად ბაასობდა; იყო ენა - ტკბილი და თან გონიერი მობაასე. ეფროსინეს ჩვენს ოჯახში დიდ ჭკვიან ქალად სთვლიდნენ; განათლებული ქალი იყო

და მწიგნობარი. ბებია ჩემისაგან გამიგონია. ოვითონ თავადი სამსონი წულუკიძე ასეთივე დინჯი და დარბაისელი იყოო; პურ-მარილიანი, დიდი სტუმართმოყვარე; გაგონილი მქონდა, რომ ძველად სამხედრო სამსახურში ნამყოფი იყო „პოლკოვნიკი“ ჩინით. ის ქუთაისში მსახურობდა და სახლიდან ხან ცხენით და ხან ეტლით მიდიოდა სამსახურში და სადილად მუდამ შინ იყო; მათ ჰქონდათ უზარმაზარი ეზო და მშვენიერი დიდი ოდა, ანუ როგორც მაშინ იტყოდნენ: სასახლე; ჰქონდა აგრეთვე კარგად მოვლილი ხილის ბაღი, მრავალი ხეივნით, უმშვენიერესი ბალნარით და ბოსტანით. რა ვიცი, რა არ იყო ამ მშვენიერ ეზოში! და ზრდიდნენ და წრთვნიდნენ თავადი სამსონი და კნეინა ეფროსინე თავიანთ მზეთუნახავს, ცუცუნიას. მართლაც რომ ჯიშიანი და უმშვენიერესი რამ იყო ეს, ყველა ჩვენთვის საყვარელი ცუცუნია; მას აღმზრდელად ფრანგის ქალი ჰყავდა; ხოლო მუსიკის მასწავლებელად გერმანელი ქალი. ცუცუნია იყო ნამდვილი განხორციელება „თავადის ასულისა“ , — ეს მშვენიერი და წარმტაცი ცუცუნია!

ამ ოჯახში ხშირად იყრიდა თავს საუკეთესო საზოგადოება, ქუთაისიდან და ხონიდან მოსული, — მთელი გუნდი მშვენიერ ქალწულთა და ვაჟთა საწულიკიძეოს „თავადთა ბუდეებიდან“. და აი, ერთი ამ ვაჟკაცთაგანი, ვეფხვივით ლაღად ნაზარდი, სწრაფი და მარჯვე, ახალგაზრდული ცეცხლით ანთებული, თურმე თავიდანვე უთვალთვალებდა თავად სამსონ წულუკიძის მშვენიერ ასულს ცუცუნიას, შორიდან იწვოდა და ნებოდა. ეს ვაჟკაცი: თავადი კოწია წულუკიძე. სამსონ წულუკიძის ოჯახში ისე მიღებული იყო, როგორც ნათესავი (თუმცა შორეული). ასე აგიზგიზდა სიყვარულის ცეცხლი ამ „ვეფხის“ გულში!

როცა ცუცუნია 17 წლისა გახდა, მისი შვენება-სახის შუქი მართლაც ნათელს აფრქვევდა; მისი „ლეკური“ დიდსა და პატარას აგიჟებდა სასახლის დარბაზში... მაგრამ სწორედ ამ დროსვე აქვე იყო, თუმცა სხვა ჯიშის ახალგაზრდა, სტუდენტი ,ნიჭიერი, ლამაზი და ცეცხლმოდებული ჭაბუკი; თურმე ისიც თავიდანვე იდაგებოდა ამ ასულის სიყვარულით. ეს ყმაწვილი იყო ბუდუ მდივანი; მაგრამ შავმა, ეშხიანმა, ჩოხაში და იარაღში ჩასმულმა კოწია წულუკიძემ მას დაასწრო და სძლია ყველას... ერთი დიდი ნადიმის შემდეგ, დილის რიჟრაჟზე მთელ სასახლეს ეძინა... აფხაზურ ცხენებზე ამხედრებული მთელი ჯგუფი მეგობრებითა და ერთგული ძიძიშვილების თანხლებით, კოწია წულუკიძე მართლა ვეფხვივით თავს დაესხა სასახლეს... სროლითა და ყიჟინით სასახლეს ალყა შემოარტყეს... თავადის ასული ცუცუნია ცხენზე შესვეს და ელვის სისწრაფით გაიტაცეს. „ცუცუნია მოიტაცესო!“ — გავარდა ხმა. უცებ ყველა ფეხზე დადგა. მაგრამ ორმოცი დღის განმავლობაში კვალს ვერ მიაგნეს. შესძრა ქვეყანა თავადმა სამსონმა, მაგრამ ვერას გახდნენ. აფხაზეთის ტყეთა მშვენიერ წიაღში დაიმალა ეს ორი ახალგაზრდა გული. ბოლოს რუსთა დედოფალს თხოვა დახმარებაო... მთავრობა ენერგიულად ჩაერია „დაკარგულთა ძებნაში“ და ბოლოს, როგორც იყო, ცუცუნია მიჰგვარეს მშობლებს; ჩქარა დატრიალდნენ მშობლები და ცუცუნიას ბუდუ მდივანზე ჯვარი გადასწერეს. ვინ იცის, რა ცეცხლი იყო კოწია წულუკიძის გულში, როცა ცუცუნიას ბუდუზე ჯვარს სწერდნენ... გაიარა დრომ და ჩვენი თავადი სამსონი შაქრის სნეულებას გადაჰყვა. ამბობდნენ, ჯავრმა მოუსწრაფა სიცოცხლეო! მალე მას მიჰყვა საბრალო ეფროსინეც.... შეირყა ასე ძველი ბუდე, დაშთა უპატრონოდ და დაეშვა ქვევით.

ცუცუნია კი ახალ გზას გაჰყვა, შვილებით დაიყურწა... სასახლე და მშვენიერი ადგილ - მამული — ამბობდნენ — ბუდუმ მეზობელ გლეხებს დაურიგაო... ცუცუნია კი ცხოვრობდა თბილისში, ზრდიდა შვილებს და დასდევდა მუდამ აფორიაქებულ და აჯანყებულ ქმარს, ხან ერთს და ხან მეორე საპყრობილეში სანახავად და დასახმარებლად; ხშირად გაჭირვებული, უსახლკაროდ შთენილი შვილებით. ასე დამთავრდა მისი ზღაპარიც...

რაც შემდეგ მოხდა, ეს ჩვენი დროისათვის ხომ ჩვეული ამბავი იყო. შორეული სოციალიზმისათვის — ტანჯვა, ცრემლი, ციხეები, შეურაცხყოფა, ვაჟკაცი შვილის დაკარგვა და ბოლოს თვით ბუდუს დახვრეტა, მისივე მეგობრების კომუნისტების მიერ. იმავე „სოციალიზმისათვის“ ქვრივი ცუცუნია კი ბუდუს მეგობრებმა შორს გადაასახლეს და ბოლოს საგიუეთში ,სადღაც შორს დალია სული, ამ ძველი ქართველის მშვენიერმა განსახიერებამ...

აი, ეს იყო ეს ქალი, მშვენიერი ცუცუნია, ჩემი ნათლია. ეხლა ეს ჩვენი შეხვედრა მასთან, მოსკოვში, იყო უკანასკნელი. ის უკვე დასერილის სახით და დაღლილი თვალებით იდგა ჩემს წინ, ვით ჩამქრალი შვენება. წყნარი, შეშინებული ხმით დამლოცა, გადამეხვია, გულში ჩამიკრა, ცრემლები გადმოყარა, თითქოს უნდოდა უკანასკნელად ეთქვა რაღაც. მაგრამ სიტყვა გამშრალ პირში შერჩა... მხურვალედ მოვეხვიეთ ერთმანეთს....

ჩავჯექი ეტლში ბავშვებითურთ და წავედით სადგურისაკენ გადავავლე მოსკოვს თვალი... ის ახლა სხვა იყო, ვიდრე ჩემს იქ ყოფნის დროს ახალგაზრდობისას, როცა მე იქ ვსწავლობდი. მაშინ მე იქ ვცხოვრებოდი „ბრუზინის“ უბანში, სადაც ერთი საუკუნის წინ ქართული „ემიგრაცია“ ცხოვრობდა, უფრო სწორად, რუ-

სეთის ცარიზმის მიერ ძალად გადასახლებული სახელოვანი, წარჩინებული პატრიოტები. მაშინ მე მათი ამბავი, საუბედუროდ, არ ვიცოდი; მათი განდგომა და ტანჯვა კარგად არ მესმოდა. დღეს კი რაღაც სიხარულს ვგრძნობ გულში, როცა მათ ვიგონებ; როცა ვიცი, რომ მეც იმ მიწას ვტკეპნიდი მოსკოვში, სადაც გადასახლებულები, ჩემი ეს სახელოვანი მამულიშვილები, საყვარელ სამშობლოს მოცილებულნი, ამ ბნელ შუკებში ობოლ ცრემლებსა ღვრიდნენ...

ასეა დროება; დღეს ჩვენ მივყვებით მათ კვალს, იმავე სამშობლოსათვის, თუმცა ბევრად უფრო პატარანი, მაგრამ იმავე დიდი ტკივილებით.

თამარ პაპავა

სოსიპატრე (ჭიჭიკო) ასათიანი

მცირე მოგონებანი

(იხილეთ „კავკასიონი", წიგნი მე-12)

23 წლამდე, ესე იგი, ნორჩი ხანა შენი ცხოვრებისა, რომლის განმავლობაში შენი არსება სათუთი არის და მგრძნობიარე: წუხილს, ტანჯვას, ბედნიერებას, სიმწარეს თუ სიტკბოებას, — ყველას ამათ უსაზღვროდ განიცდი; უსამართლობას ვერ იტან; სამართლიანობას ეთაყვანები, ბევრიც გეჩვენება, ბევრიც სინამდვილეა, ერთი სიტყვით: გინდა რაღაცა ქმნა! სურვილი გაქვს შესწორება შეიტანო იმ ცხოვრებაში, რომელიც შენ დაგხვდა, რომელსაც ბევრი ნაკლი აქვს... ამ გზაზე შემდგარი, უკვე ხედავ, რომ მარტო სურვილით არა კეთდება რა — საჭიროა ბრძოლა... ხან ისე ხარ გატაცებული იდეალით, რომლის განხორციელებისათვის ბრძოლა ერთად-ერთი საქმედ მიგაჩნია, რათა შენი არსებობა გაამართლო ამ ქვეყანად; ხან კი სასოწარკვეთილებამდე მისული, იმედს ჰკარგავ ადამიანის და ცხოვრების გარდაქმნაზე და იქამდე მიდიხარ, რომ სიცოცხლეზე უარი თქვა — ასეთია ახალგაზრდობა, რომელიც ჰქმნის შემდეგი ცხოვრების ბაზას; აქ ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ ვის რამდენად ბევრი აღმოაჩნდა ეგრეთ-წოდებული მორალური დინამიზმი; ამის და მიხედვით, ეს ახალგაზრდობა, რომელიც მე ზევით ვახსენე, ან დადებით ელემენტად იქცევა ცხოვრებაში, ან უარყოფითად; ამას იმიტომ ვამბობ, რომ ბევრი იმათგანი სიყმაწვილეში რომ ქვეყნის გარდაქმნაზე ფიქრობდა — ამ სიყმაწვილის ხანიდან გამოსული ქვეყნის დამაქცეველად და უარყოფით ელემენტად მოგვევლინა. ერთი სიტყვით: იდეალის თანამგზავრობა უარჰყო და პირადულ ეგოისტურ მიზნებს ჩაებღაუჭა — სუსტი აღმოჩნდა ადამიანური და მორალური თვალსაზრისით ცხოვრებაში პირად ნიადაგზე დაწყებულ ბრძოლაში. აი, ასეთი ყმაწვილი მოვხვდი ჟენევაში; საშინელი იყო განსხვავება, რომელიც მე ვიგრძენი: 23 წლის განმავლობაში სხვა ცხოვრებას მიჩვეული, სხვა ცხოვრებაში აღზრდილი, მომქმედი ცხოვრების თითქმის ყოველ სფეროში, ასე თუ ისე მისი განმცდელი — აქ კი, ჟენევაში, ყველაფერი თავიდან უნდა დავიწყო, მაგრამ ისე, რომ ჩემში არ შესუსტდეს სურვილი ბრძოლისა, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება სხვა ქვეყანაში, სხვის მიწაწყალზე, იმ მიზნის განხორციელებისათვის, რაც მე და სხვას გვასულდგმულებდა... რა თქმა უნდა, ეს დიდ სიძნელეს წარმოადგენდა — რისთვის? აი რისთვის.

ჟენევაში ბრძოლა, რასაკვირველია, ადვილი იყო; ან უკეთ: საბრძოლელი არა გვქონდა რა — თავისუფლება, რომლისთვისაც ჩვენ რუსეთის იმპერიაში ვიბრძოდით, აქ განხორციელებული იყო. აქ შეგეძლო გეწერა, გეკითხა, როც გინდოდა, მოგეხდინა კრებები, რამდენიც გინდოდა, ერთი სიტყვით: შეგეძლო გექმნა ის, რაც რუსეთში აკრძალული იყო...

აქ, ჟენევაში პირველად დაისვა მთელი თავისი საშინელებით საკითხი არსებობისა. ახალი ცხოვრება დაიწყო მეტად ცუდ პირობებში: — არავითარი სახსარი ცხოვრებისა! სამუშაოს შოვნა შეუძლებელი! დამხმარე არავინ! სამაგიეროდ იყო სიყმაწვილე, იდეალი ,აღმაფრენა ,დღეს მშიერი — ხვალ რაღაცას იშოვნი — დაახლოებით ასეთი იყო ჩვენი ნივთიერი ვითარება. ჩვენი არსებობა უმთავრესად ნისიაზე ემყარებოდა. სანოვაგეს გაძლევდა კომერსანტი და გაძლევდა ხშირად თვეობით კი არა, წლობითაც. ხან იმედი გაგიღიმებდა და თუ მთლიანად არა, ნახევარს ან ნაწილს ნისიისას მაინც გადაიხდიდი. ეს საკმარისი იყო, რომ კრედიტი არ შეჩერებულიყო, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ემიგრაციის უმთავრესი ნაწილისათვის; ცხადია, ბევრმა კომერსანტმა ათასობით შვეიცარული ფრანკი დაჰკარგა, რაც მათ სრულებით არ აშინებდათ! დიდს, მეტად დიდ გაჭირვებას ჰქონდა ადგილი; ბევრმა თავი მოიკლა, — ეს უფრო რუს ემიგრანტთა შორის. ქართველები უფრო მეტ სიმაგრეს იჩენდნენ და რაც უმთავრესია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიჭიკო ასათიანი, საელჩოს მდივანი პარიზში

უფრო დაკავშირებული იყვნენ ერთი მეორესთან; დამარცხების მხრით თითქმის გარჩევა არ იყო იმის მიხედვით, თუ ვინ რა მიდრეკილებისა იყო პოლიტიკურად. სეპარატისტი, ფედერალისტი, სოც.-დემოკრატი და სხ. თუ ვინმე ფულს ღებულობდა, ან იშოვნიდა, ყველანი მონაწილენი ვიყავით. ეს ასე იყო უმთავრესად — ეს ქართველის თვისებაა — სახლში ერთი მეორის მჭამელნი, გარეთ ერთი მეორის დამცველნი არიან, ყოველი გაჭირვების დროს შენთან მყოფი და შენი დამხმარე... უფრო გასაკვირველი ის იყო, რომ ქართველს, ვთქვათ, სეპარატისტს თავს დაესხა რუსის სოციალდემოკრატი; ქართველი სოციალდემოკრატი ქართველ სეპარატისტს, იდეურად მის მოწინააღმდეგეს, გვერდში ამოუდგებოდა ხოლმე! რუსებს მუდამ მაგალითად მოჰყავდათ ქართველების ასეთი მჭიდრო კავშირი, მიუხედავად იდეური განსხვავებისა. ვინ იცოდა, რომ ქართველის ასეთი თვისება, განსაკუთრებული და თავისებური, ისტორიის მიერ გამოჭედილი, უმტკიცესი ჩვეულებაა?!!

იდეა წარმავალია, ერი მუდმივი და თუ ერი იდეას ანაცვალე, მაშინ ჰჭრება შეგნება ერის, ოჯახის,, კერის — ეს აღბეჭდილია ქართველში; მან იცის თავისი ისტორიული წარსულით; ჩვენი ხსნა როგორც ერისა სწორედ ამ შეგნებაშია...

ჟენევის მაგალითი, პატარა მასშტაბში, ქართველების ცხოვრების, და ერთი მეორეში სოლიდარობის, მიუხედავად მათი პოლიტიკური რწმენისა, დიდად ახასიათებს საერთოდ ქართველის სულს, სადაც არ უნდა იყოს იგი.

მახსოვს ერთი ამბავი ჩემი დიდად გაჭირვებული ცხოვრებიდან. ოთხი თვე არის, რაც პატრონისათვის ოთახის ქირა არ მიმიცია; თავს მეტად დარცხვენილად ვგრძნობდი, მით უფრო, რომ არავითარი იმედი არა მქონდა ფულის შოვნისა. ასეთ მდგომარეობაში მყოფმა განვიზრახე სამზარეულოში შესვლა ერთ დილით, სადაც ბინის პატრონი ბოსტნეულობას არჩევდა სადილისათვის. მივესალმე კარიდან და დავიწყე ფიქრი იმაზე, თუ როგორ იქნება ჩემი საუბარი მასთან ფულის შესახებ. გადახდის დაპირება აღარ შემეძლო, ვინაიდან არც ერთი დაპირება არ გამიმართლდა. უცბად მაგიდაზე დავინახე ოხრახუში. მინდა ვუთხრა დიასახლისს: ოხრახუში დიდად მიყვარს-მეთქი, თითქოს ეს მისთვის დიდად გასახარელი რამ იქნებოდა! უცბად გადავშალე პატარა ლექსიკონი, მოვძებნე შესაფერისი სიტყვა იმისი, რისი თქმაც მინდოდა და დარწმუნებული, რომ ვამბობდი იმას, რისი თქმაც გავიფიქრე, დავიწყე ლაპარაკი. ვხედავ მანდილოსანის პირი მოიღუშა და მომესმა: გავიგე , რომ სისულელეს ლაპარაკობთ, ბატონო ასათიანო!

რალაც მარცხი მომივიდა, ხოლო არ ვიცოდი კი, თუ რაში იყო საქმე. კიდევ გადავშალე ლექსიკონი და ... მივხვდი, სისულელე მითქვამს. მის მაგივრად რომ მეთქვა: ეს ბოსტნეული მიყვარს-მეთქი, სულ სხვა მითქვამს — თქვენ მიყვარხართ-მეთქი! აბა, წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა: ოთხი თვე არის ბინის ფული არ გადამიხდია და რაიმე ნუგეშის, ან იმედის ნაცვლად ამ მოხუცს სიყვარულს ვუცხადებ!

ჟენევაში იმ დროს ას ქართველამდე მაინც იყო, უმთავრესად ემიგრაცია; ყველაზე მეტ აქტივობას ქართველები იჩენდნენ; ჩემი ჩასვლის ხანაში ვარლამ შავდია იყო პირველ რიგზე. ის იყო რედაქციის გამგე რუსულ ენაზე გამოცემულ სოც.-დემ. გაზეთისა, რომელიც ითვლებოდა საოლქო კომიტეტის ორგანოდ და სადაც მონაწილეობას ღებულობდნენ: გიორგი პლეხანოვი, მარტოვი, აკსელროდი, მარტინოვი, დებორინი და თვითონაც სწერდა არლოვსკის პსევდონიმით. ის იყო ამავე დროს საოლქო კომიტეტის (შვეიცარიაში) თავმჯდომარე... იგივე ვარლამ შავდია თავმჯდომარეობდა ფილოსოფიურ დებატებს, რომელსაც მაშინ ადგილი ჰქონდა ჟენევაში — ემპირიომონიზმისა და ემპირიოკრიტიციზმის წარმომადგენლებს შორის; — პირველს წარმოადგენდა გ. ვ. პლეხანოვი; მეორე მხარისა და ავენარიუსის მომხრენი; უმთავრესად: ბოგდანოვი, ლუნაჩარსკი და სხვ. ლენინს კამათში მონაწილეობა არ მიუღია. მახსოვს გ. პლეხანოვის მიერ წამოსროლილი სიტყვები, არ ვიცი რა შემთხვევის გამო: — „თქვენმა ლენინმა — მიმართა მან ბოლშევიკებს — ფილოსოფიის ანბანიც არ იცისო“. მიუხედავად ამისა, ლენინმა დიდი წიგნი დასწერა ფილოსოფიაზე, რომელსაც არავითარი გამოხმაურება არ მოჰყოლია.

როდესაც პლეხანოვი ლაპარაკობდა ხოლმე იმ კრე-

1903 წ. ჟენეველ სტუდ ნტთა ჯგუფი. უკანა რიგში, ვ. ქავთარაძე, ჭიჭიკო ასათიანი, ნ კიკნაძე, იოსებ სალაყაია, გრ. ხოფერია. წინ დგას (გვარი არ წერია). სხედან: ანტონ ჟორჟოლიანი, დათიკო შარაშიძე, ხიდირბეგოვი.

ბას აუარებელი ხალხი ესწრებოდა; მისი გამოსვლა იყო დიდად არტისტული. ერთხელ, ლანდვერის ზალა ხალხით იყო გაჭედილი; დერეფანში ხალხი იდგა. იმ დღეს პლეხანოვს უნდა ელაპარაკა. გ. ვ. პლეხანოვი საშუალო ტანის იყო, ლამაზი სახის, უსათუოდ მომხიბლავი, დიდი მჭევრმეტყველი და საუკეთესო მცოდნე მარქსიზმისა, საერთოდ ლიტერატურისა და განსაკუთრებით რუსული სიტყვაკაზმულ მწერლობისა. თავის სიტყვას, რაც არ უნდა მოსაწყენი ყოფილიყო, სიტყვის ლრმა შინაარსის გამო, ის სხვა და სხვა ციტატებით ისე საინტერესოს გახდიდა, რომ ყველანი დიდის მოწიწებით უსმენდნენ. ბოგდანოვმა (ბოლშევიკი იყო) გაათავა თავისი მოხსენება მახ-ის და ავენარიუსის თეორიაზე, ემპირიოკრიტიციზმის შესახებ, რომელსაც არავითარი საერთო არ ჰქონდა, რა ქმა უნდა, პლეხანოვის ემპირიომონიზმის თეორიასთან; ადის პლეხანოვი ტრიბუნაზე. დარბაზში სრული საფლავისებური სიჩუმე დამყარდა; გულზე ხელ დაკრებილი, იგი იწყებს სიტყვას, ირონიით სავსეს მისი მოწინააღმდეგეებისადმი; მთელი დარბაზი იცინის და ასე მისდამი განწყობილი ხალხი ნელნელა შედის მის კლანჭებში, თუ შეიძლება ასე ითქვას.

რუსეთში რევოლუციას არავინ მოველოდით ომის დროს. ამ ამბავმა მთელი ემიგრაცია რალაც გამოურკვევ მდგომარეობაში ჩააგდო ფსიქოლოგიურ - პოლიტიკურად. მაინც და მაინც დიდი აღფრთოვანება არ გამოუწვევია სწორედ იმ პირთა შორის, რომელნიც ათი წლობით უცდიდნენ ამ რევოლუციას; მაგრამ შინ დაბრუნების სურვილი ყველას ჰქონდა, რასაკვირველია. მივიღეთ ზომები გასამგზავრებლად, მაგრამ არც ინგლისმა და არც საფრანგეთმა არ მოისურვეს ჩვენი გაშვება. ამ მიზეზით ემიგრაციის უმეტესობამ იგივე გზა აირჩია, რომელიც ლენინმა გამონახა. ლენინი, რამოდენიმე კაცით, დასაწყისშივე გაეშურა გერმანიით რუსეთს. ჟენევაში წინადადება მოგვცა ავსტრიის შტაბის წარმომადგენელმა: შეგვედგინა კომიტეტი რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლელად და ამასთანავე შემოგვთავაზეს დიდი ფული ;რა თქმა უნდა, ჩვენ კატეგორიულად უარ - ვყავით ასეთი წინადადება.

ქართველი ემიგრაციის მემარცხენე ნაწილი დემოკრატიის გამარჯვებიდან მოელოდა რუსეთის თვითმპყრობელობის დანგრევას და ქართველი ერის ბედსაც ამას უკავშირებდა. ამ მიზნით ემიგრაციის მემარჯვენე ფრთას არ ეთანხმებოდა. ამის შესაფერი განცხადებაც იქნა გაკეთებული, ის განცხადება სავსებით ეთანხმებოდა ქართველი ხალხის პოზიციას იმ ჟამად.

1915 წელს ჟენევას ეწვია ვინმე კიუფერატი, ბელგიის სამეფო აკადემიის პროფესორი, რომელმაც წაიკითხა რეფერატი გერმანიაზე; ამ დროს გერმანიის ძლევამოსილი ჯარი უკვე ბელგიაში იყო. უნივერსიტეტის დიდი დარბაზი სავსე იყო ჟენევის ელიტით. მომხსენებელმა დაახასიათა გერმანელები, როგორც უხეში, ველური. უკულტურო და რა ვიცი რა! მთელი ერის ასეთი დახასიათება, რომელსაც მთელმა ხალხმა ტაში დაუკრა, მე აღმაშფოთა. როგორც კი მივედი შინ, დავწერე პროტესტის სახით წერილი და სინიდისის დასამშვიდებლად გავაგზავნე ჟენევის გაზეთ „სუის“-ში. წერილი დაიბეჭდა სათაურით — „ხმა რაინის გაღმიდან“, თითქოს ვილაც გერმანელი სწერდა. ამითი ვისარგებლე და დავწერე მეორე წერილიც. ამას მოჰყვა გამოხმაურება და გაიმართა მთელი კომპანია. შვეიცარელმა მეგობრებმა გამაფრთხილეს, რომ ჯაშუშად (გერმანელების) გამომაცხადებენ, თუ ამ კამპანიას არ შევწყვეტდი. გაზეთმა „ლა სუისსმა“ც ვეღარ გაბედა შემდეგი წერილების დაბეჭდვა და იძულებული შევიქენი სოც. გაზეთში „ლა სანტინელ“-ში გადავსულიყავი; მე არ ვიცავდი გერმანიის რეჟიმს, არამედ გერმანელ ხალხს და ვასკვნიდი: თუ დღევანდელი ომი გამოწვეულია იმპერიალისტების მიერ და იმპერიალისტური მიზნებით, შემდეგი ომი იქნება გამოწვეული ასეთი პროგანდით, რომელსაც კიუფერატი ეწეოდა, ხალხთა შორის დამყარებულ სიძულვილზე, რაც დღევანდელ ომზე უფრო საშინელი იქნება-თქო. ეს წერილები დაიბეჭდა „ლა სუისის“ იანვრის ნომრებში 1915 წ.

1917 წ. დარჩენილი ემიგრაცია, ლენინის წასვლის შემდეგ, საგანგებო მატარებლით გაემგზავრა გერმანიით, სხვა ქვეყნებმა (საფრანგეთმა, ინგლისმა) არ გაგვიშვეს და იძულებული ვიყავით გერმანული დახურული ვაგონებით გერმანიის გზით პეტროგრადს წავსულ-

ლიყავით. პირველ მაისს მივალწიეთ პეტროგრადს. ამ მგზავრობის შთაბეჭდილება არასოდეს ჩემი მეხსიერებიდან არ ამოიშლება...

ჩვენი მატარებელი მედიდურად შეიჭრა ფინლიანდიის სადგურზე. სადგური დროშებით იყო მორთული. მრავალ ორგანიზაციათა და დროებითი მთავრობის წარმომადგენელთ გარდა, იყვნენ საბჭოების დელეგატები. სადღესასწაულოდ მორთულ დარბაზში გაისმა მისალმების საპასუხო სიტყვები, რომლითაც მოლაპარაკენი აღნიშნავდნენ მომხდარი რევოლუციის უდიდეს მნიშვნელობას, რომელმაც საუკუნეებით დესპოტიურ პირობებში მცხოვრები 170 მილიონი რუსის ხალხი გაათავისუფლა რაც წინამორბედი უნდა ყოფილიყო ევროპის და მთელი ქვეყნიერების მატერიალურად და სულიერად აყვავების და განვითარებისა...

ჩვენ ჩამოსვლისას პეტროგრადში, მაისის პირველ რიცხვებში (1917 წ.), მოჰხდა ეგ. წოდ. მენშევიკების კონფერენცია. ეს ყრილობა ჩვენ დიდად გვაინტერესებდა. არ დავაყოვნეთ ვწვეოდით იმ ბინას, სადაც კონფერენცია ხდებოდა; მახსოვს, ყრილობის დარბაზიდან გამოვიდა რუსი ეკონომისტი მასლოვი, ემიგრაციიდან ჩვენზე უფრო ადრე დაბრუნებული. შემოვერტყით მას და დავუწყეთ კითხვა სხვა და სხვა საკითხზე ,კონფერენციის მიმდინარეობაზე და საერთოდ იმაზე, თუ რა ხდებოდა ყრილობაზე, ვინ ილაპარაკა და სხვა. ესაა ეხლა დაასრულა სიტყვა ერაკლი წერეთელმა — გვითხრა მან —. — თქვენი შთაბეჭდილება რაოგორია ამხანაგო მასლოვ? — ვკითხეთ ჩვენ. და რა გვიპასუხა! — „ბოვორილ გლუპოსტი —. შეგვატყო, რომ მისი პასუხი მეტად არა სასიამოვნოდ დაგვირჩა და გვითხრა: — „სამი ბოლშოი მისლიტელ სოვრემანნოი როსსიი"! ღიმილით თქვა მან ეს.

მეორე დღეს ყრილობა მოხდა კადეტთა კორპუსის შენობაში. ყრილობა იყო საჯარო. ხმა დაირხა დღეს გ. პლეხანოვი ილაპარაკებსო. შემდეგ, პრეზიდიუმში შეიქმნა რაღაც მოლაპარაკება; შემდეგ ყველანი წამოდგნენ და მახლობელ ოთახში გავიდნენ. თუ არ ვცდები, კრების თავმჯდომარე იყო კარლო ჩხეიძე, თუ ევგენი ბეგეტკორი. შემდეგში გავიგეთ, რომ ოთახში ირჩეოდა საკითხი: მიეცათ თუ არა სიტყვა პლეხანოვისათვის. ეს საკითხი გადაწყდა უარყოფითად. მიზეზი? მისი ანუ პლეხანოვის მარჯვნივ გადახრა!..

საქართველოში გასამგზავრებლად გავემზადე. ემიგრანტთა გასაგზავნად შექმნილმა კომიტეტმა მომცა გზის ფული და საჭირო ქაღალდები (ქართველებისათვის კომიტეტიდან დანიშნული იყო აპოლონ ურუშაძე). დანიშნულ დღეს გავეშურე ჩემი ბარგით სადგურზე. იმ დროს ბრძოლით გჭირდებოდა ვაგონში შესვლა. მივადექი გამზადებულ მატარებელს, რომელიც ნახევარ საათში უნდა გასულიყო სადგურიდან. ვაგონებთან , სადაც არ მივედი, სავსე იყო ხალხით. მეც ვაჟკაცობას დავადექი, მივწი-მოვწიე ხალხი და მივადექი კიბეს ვაგონში ასასვლელად. როგორც კი შევდგი ფეხი შესასვლელ პირველ საფეხურზე, ყოველი მხრიდან მომაწვნენ; მეც, რაც ძალი და ღონე მქონდა, წავიწიე და მეორე საფეხურზე ავედი; ცოტა კიდევ ვამკლავების შემდეგ, როგორც იქმნა, ვაგონის დერეფანში ამოვყავი თავი. მოვიხედე უკან და გამიკვირდა, რომ კაცი არ ამოდიოდა ზევით, მაშინ როდესაც ამდენი ხალხი იყო ჩემს ირგვლივ, რათა ვაგონში შემოსულიყვნენ ადგილის დასაკავებლად. მხოლოდ ჩემი ბარგის ამტანი იდგა ჩემს წინ. გავისვი ჯიბეს ხელი მისთვის ფულის მისაცემად. თავს ზარი დამეცა! აღარც საფული იყო, არც ბილეთი! თურმე ნუ იტყვით: ეს მიწოლ-მოწოლა ხდებოდა მხოლოდ ჩემი ჯიბის ირგვლივ; როგორც კი ამოიღეს ჩემი პორტმანი, ყველა გაჰქრა. ამიტომ იყო, რომ ჩემს შემდეგ ვაგონში აღარავინ შემოსულა! რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი მოწყობილი იყო ჩემი ბარგის გადამტანის მიერ, რომელმაც ბილეთის ყიდვის დროს დაინახა სამგზავროდ მიღებული წითელი თუმნიანები. ჩემი ვედრება, რომ ქაღალდები მაინც დამიბრუნეთ-მეთქი, უნაყოფოდ დარჩა: გაძარცვეს „დიდი ბურჟუა!"

დიდად გამიჭირდა, მაგრამ იძულებული ვიყავი ისევ მიმემართა კომიტეტისათვის...

ათი წლის განშორების შემდეგ ისევ თბილისში ამოვყავი თავი. ვნახე ძველი ამხანაგები, უკვე თავისუფლად მომქმედნი. ეტყობოდათ, მთელ სიმძიმეს მდგომარეობისას განიცდიდნენ; ისინი იყვნენ გამსჭვალულნი უდიდესი პასუხისმგებლობით; ყველანი იდგნენ თავის პოსტზე, დიდზე თუ პატარაზე, რაღაცას მკეთებელნი, ძველის ადგილას ახალის მშენებელნი... აქ ნათლად ჩანდა ძველი კულტურის შედეგი: აზრი, მისწრაფება, დამოუკიდებლობა, თავგანწირულება, გაბედულება, პასუხისმგებლობა—დიდ განსხვავებას ვხედავდი ამ მხრივ რუსეთსა და საქართველოს შორის.

დაღლილი და ნახევრად დაავადმოფებული გავემგზავრე ლეჩხუმს, სახლისა და ჩემიანების სანახავად; დასვენების შემდეგ შემოვიარე ლეჩხუმ-სვანეთი, სადაც ათი წლის წინად ვმუშაობდი. მინდოდა გამეგო, თუ როგორი იყო მდგომარეობა და დამოკიდებულება იმისადმი, რაც ხდებოდა. ყველგან მთხოვეს დამეკავებინა ლეჩხუმ-სვანეთის კომისარის ადგილი, რაზედაც მე ყველაზე ნაკლებ ვფიქრობდი. უარის თქმაც ვერ შევძელი, რადგან იფიქრებდნენ, რომ საზღვარგარეთიდან ჩამოსვლის შემდეგ მე ისინი არ ვიკადრე; მით უმეტეს დავთანხმდი, რომ ქუთაისის ორგანიზაციამ დაჟინებით მომთხოვა, სანამ ვინმეს იშოვნიდნენ, ლეჩხუმ-სვანეთში

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავრჩენილიყავი. მე მივიღე ეს წინადადება, ვინაიდან კარგადაც არ ვიყავი და რომ მშობლიური ჰავა ჩემს შელანძღულ ჯანმრთელობას გამოაკეთებდა.

იმ დროს ლეჩხუმში იყო კომისარის თანაშემწე რაზმაძე, მილიციის უფროსი გოლეთიანი. სასურსათო კომიტეტის თავმჯდომარე — შოთა გელოვანი; აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე — ლევან დადეშქელიანი. ძალაუფლება აღმასრულებელ კომიტეტს ეპყრა. ნივთიერი მდგომარეობა მაზრის დაწესებულებათა მეტად ცუდი იყო: სასურსათო კომიტეტში — არაფერი! მილიცია — უთანხოდ! რამოდენიმე თვის განმავლობაში მილიციონერებს ჯამაგირი არ ჰქონდათ მიღებული. ცენტრალური სამმართველო არ იყო კარგ მდგომარეობაში. ასეთ პირობებში მუშაობა მეტად ძნელი იყო; ხშირად კვების საკითხს მეტად მძიმედ განვიცდიდით...

სამსახურის წესიერად შესრულების მოთხოვნაც არ შემეძლო, როდესაც ვხედავდი, რომ მოსამსახურეთა უზრუნველყოფა, მინიმალური მოთხოვნების დაკმაყოფილების მხრივ სუსტი იყო. მე როგორც კომისარი, ვიყავი დროებითი მთავრობის წარმომადგენელი (1917 წ.) და მაშასადამე, მთავრობის წინაშე პასუხისმგებელი მაზრაში მომხდარ ამბებისა; აღმასრულებელი კომიტეტი წარმოადგენდა ხალხს და, ცხადია, ჰქონდა პრეტენზიები მართვა-გამგეობისა; ეს დაწესებულება უყურებდა ჩემსას, როგორც აღმასრულებელ ორგანოს მის დადგენილებათა. აუცილებელი იყო დავა ამ ორი დაწესებულების შორის; აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებათა სისრულეში მოყვანას თუ რაიმე ცუდი შედეგი მოჰყვებოდა, პასუხი მე უნდა მეგო, როგორც მაზრის უფროსს და ისინი არ ჩანდნენ; ეს უხერხულობა დიდად უშლიდა ხელს ქვეყნის მართვა-გამგეობის ნორმალურ კალაპოტში ჩაყენებას.

მახსოვს ერთი შემთხვევა: ერთ საღამოს მომდის დადგენილება აღმასრულებელი კომიტეტისა: დავიჭიროთ დეკანოზი მარგიანი და გავაგზავნოთ ქუთაისს; არაფერი კი არ ვიცოდი, თუ რისთვის. მე უარი ვთქვი და მოვითხოვე კომიტეტის კრება და ამ საკითხის ჩემი თანადასწრებით გარჩევა; კომიტეტი შეიკრიბა; თავმჯდომარეობდა ლევან დადეშქელიანი; მე მოვითხოვე ფარული ხმის მიცემა კამათის შემდეგ; გამოირკვა შემდეგი — წირვის გათავებისას მარგიანს წარმოუთქვამს სიტყვა, რომლითაც მას უგინებია სოციალისტები, რომელთაც ღმერთი არა სწამთო და სხვა. ამისათვისო, — ამტკიცებდნენ — აუცილებელია მისი დასჯა ციხეში ჩაჯდენითო! მე განვაცხადე, რომ ამ მიზეზითი დეკანოზი მარგიანის დაჭერა დაუშვებელია-მეთქი. და ეს ჩემი შეხედულება დავასაბუთე კიდეც. უყარეს კენჭი და ერთი ხმის უმეტესობით გავიდა პირველი დადგენილების სისრულეში მოყვანა; მე მაშინ დავსვი ჩემი გადაგომის საკითხი. თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მე ძალდატანებას ვახდენო მათზე; მაშინ მე გადავწყვიტე მიმელო მათი დადგენილება იმ პირობით, რომ მარგიანი გამეგზავნა ქუთაისს და მას, მიღებულ დადგენილებასთან ერთად გავატანდი ჩემს განკერძოებულ მოხსენებას; ამაზე დამეთანხმნენ.. მარგიანი მეორე დღეს გავაგზავნეთ ქუთაისს. ქუთაისის მაშინდელმა, გუბერნიის კომისარმა გრიგოლ გიორგაძემ გაინაწილა ჩემი მოსაზრება და დეკანოზი მარგიანი , ციხეში ჩასმის ნაცვლად, უკანვე დაბრუნა.

მახსოვს კიდევ ერთი დამახასიათებელი შემთხვევა — ხშირად მეუბნებოდნენ ხოლმე, რომ მათე ცინარიძე აქეზებდა გლეხებს თავადაზნაურთა წინააღმდეგ და ამრიგად მაზრაში არევდარევა შეჰქონდა.

ერთხელ რუბენ ყიფიანმა მთხოვა გამეყოლებინა მისთვის ერთი რაზმელი სვანეთში, სადაც ის პარტიის დავალებით მიდიოდა; ცინარიძე გავატანე უფრო იმ მოსაზრებით, რომ მას განსაზღვრული საქმიანობა ცხოვრების ნორმალურ კალაპოტში ჩააყენებდა (უწინ უსაქმოდ დადიოდა და უფრო ამას ვაწერდი მის ოინებს). და მის შეუსაბამო გამოსვლებს ადგილი აღარ ექნებოდა. რამოდენიმე დღის შემდეგ სვანეთს გამგზავრებისა, მათე ცინარიძე დაბრუნდა რუბენ ყიფიანის წერილითურთ; რუბენი მწერდა დიდ საყვედურს, ეს რა კაცი გამატანეო. ამის შემდეგ ერთხელ კიდევ დავიბარე ცინარიძე და ვთხოვე დაწყნარებულიყო და მისისიანებისათვის და წაქეზებისათვის თავი დაენებებინა. შემდეგ მილიციის უფროსმა მიმართა; აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემაც დიდი სიტყვა უთხრა, მაგრამ არაფერმა არ გასჭრა. რა თქმა უნდა, მოთმინებიდან გამოვედი, ვქენი ის, რის ქმნას არას შემთხვევაში ვერ წარმოვიდგენდი. ვეცი მას, ავართვი თოფი, დავაღლიტე რევოლვერი და ვუბრძანე მილიციონერებს წაეყვანათ ციხეში, რაც უმალვე იქმნა შესრულებული. პირველად ვიგრძენი, რომ თავისუფლების დაცვა ადვილი საქმე არ ყოფილა და ჩემი გრძნობისა და შეხედულების ადამიანმა, ეს იმ დღეს პირველად მწვავედ განვიცადე. ეს შემთხვევა, რაც გრძნობის მხრით ძვირად დამიჯდა, დიდად გამომადგა შემდეგში. ბევრს, განსაკუთრებით აღმასრულებელი კომიტეტის წევრებსაც ეგონათ, რომ მე ვიცავდი თავადაზნაურობასა და სამღვდელოებას. იმ დღეს აღმასრულებელმა კომიტეტმა, მისი ერთი გავლენიანი წევრის სახით, დაინახა, თუ როგორ მოვექეცი ცინარიძეს და სრული თანხმობა გამომიცხადა იმ ზომის მიღებაში, რომელიც მე საჭიროდ დავინახე. მე ვიცავდი წესს; ჩემი მეცადინეობა ის იყო, რომ რევოლუციის მონაპოვარი უფლებები გაგვემაგრებინა და ამისათვის არ დამეშვა არავითარი გამოსვლები, საიდანაც უნდა ყოფილიყო, გლეხებიდან, თუ აზნაურებიდან, რაც მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძრაობას, ჩვენი სურვილის თანახმად მსვლელობას, ხელს შეუშლიდა.

მეორე დღეს დილით ცინარიძე გავაგზავნე ქუთაისს. ცხადია, სათანადო მოხსენებითურთ. ამრიგად ცინარიძის საკითხი დამთავრებულად ჩავთვალე.

საღამოს, იმ დღესვე, დაახლოებით შვიდ საათზე, ჩემ ბინაზე სამი საპატიო პიროვნება, დელეგაციის სახით, მეწვია. ამ დელეგაციამ გადმომცა ერთგვარი პროტესტი მუშებისაგან შემდგარ საჯარო კრებისაგან (სბროვიაკას ხეტყის მომუშავენი) და მთხოვეს წარვადგინო მიზეზი, თუ რამ გამოიწვია ცინარიძის დაჭერა. — თქვენ მუდამ გვეუბნებოდით — მითხრეს დელეგატებმა — რომ მტარვალ რეჟიმს ებრძვით, თავისუფლების მოსაპოვებლად და ამ თავისუფლების დროს თქვენ იმასვე ჩადიხართ, რასაც ძველი რეჟიმი ჩადიოდა, — მაშინ სადღაა თავისუფლება, რომელიც ხალხმა მოიპოვა?! და სხვა. დელეგაციას მე მკაცრად მოვექეცი, რამდენადაც მახსოვს თითქმის კარებიც კი ვუჩვინე ამ სიტყვებით — თქვენ გგონიათ, თავისუფლება იმაშია, რომ რაც მოგესურვებათ, ის ჩაიდინოთ?.. მე წავედი მუშების კრებაზე საკმაოდ აღელვებული და დამსწრეთ ვუთხარი — მე თქვენთან არ მოვდივარ, როგორც ამ ქვეყნის მმართველი, როგორც მმართველი, მე პასუხისმგებელი ვარ მთავრობის წინაშე და არა თქვენ წინაშე; მოვდივარ, როგორც ჭიჭიკო ასათიანი, კერძო პირი, თქვენი მეზობელი და თქვენთან წლობით მომუშავე; მოვედი თქვენთან თანახმად თქვენი სურვილისა ,რათა აგიხსნათ, თუ რად დავიჭირე ცინარიძე და რად გავგზავნე იგი ქუთაისს, რომელიც თქვენ გზაში გაგითავისუფლებიათ, რის უფლებაც თქვენ არა გქონდათ და ამ სიტყვებთან ერთად მივეცი მათ განმარტება იმის შესახებ, თუ რამ მაიძულა ცინარიძის დაჭერა...

ამ დროს მომესმა — ხმა ღვთისა და ხმა ერისა! ხალხს ასე სურს, მაშასადამე, ღმერთსაც ასე უნდა!

—შენ გესმის ზარის ხმა — ვუპასუხე, — მაგრამ არ იცი საიდან მოდის იგი. განა დღევანდელ კრების შესახებ შეიძლება ითქვას: ხმა ღვთისა და ხმა ერისაო?! მილიციის უფროსმა გადასძახა მთქმელს — შენ მთვრალი ხარ და არ იცი, რას ლაპარაკობო!

— ჩამობრძანდი და მნახეო — უპასუხა მან.

მართლაც, მილიციის უფროსი გოლეთიანი (მგონი ივანე ერქვა, დიდი გულადი და მასთან ერთგული ჯარისკაცი რევოლუციისა), როგორც კი დაიძრა, ხალხიდან ვილაცამ ისროლა რევოლვერი. ეტყობოდა, მსროლელს მე ვყავდი აღებული მიზანში, ვინაიდან სამჯერ გასროლილი ტყვიები აღმოჩნდა ორ-ორი სანტიმეტრით დაშორებული მარცხნით, მარჯვნით და ზევით ჩემი თავის ირგვლივ. მეც აღარ დავაყოვნე, ვუბრძანე მილიციის უფროსს ესროლათ, რა თქმა უნდა არა ხალხისათვის, არამედ მხოლოდ შესაშინებლად. [illegible] თოფი გავარდა რამოდენჯერმე ერთად. ორი წამის შემდეგ კაცი აღარ იყო მოედანზე; ამ დროს ვილაც შემომეხვია მუხლებზე: — რა ღმერთი გამიწყრა! რას ვიფიქრებდი ,თუ ასეთი ამბავი მოხდებოდა! უკაცრავად, მაპატიეთ... და სხვა. მე თვითონ მივდივარ ციხეში და ამ სიტყვებით გაიქცა ციხისაკენ; ეს იყო ცინარიძე; როგორც შემდეგ გავიგე, ეს ცინარიძე შემდეგ ბოლშევიკებს მოეკლათ...

მე აშკარად ვხედავდი და ვგრძნობდი, რომ რევოლუცია ჩვენთვის არა ხელსაყრელ და მოუმზადებელ პირობებში მოხდა; მართალია, სამი წლის ომმა დიდი გაჭირვება გამოიწვია: საერთო სიღარიბე, შიმშილი, გლოვა და ყოველგვარი უბედურება, რაც კი შეიძლება მოჰყვეს ხანგრძლივ ომს, მაგრამ თუ ეს პირობები ჰქმნიდნენ საერთო უკმაყოფილებას, ამავე დროს ჰქმნიდნენ არა საერთო შეთანხმებით ფორმებს საერთო ბედნიერებისათვის ბრძოლისათვის, არამედ უფრო ინდივიდუალურს, რაც თავის თავად იწვევდა ან ჯგუფურ გამოსვლებს, ან პიროვნულს; ერთიცა და მეორეც იხატებოდა თავდასხმაში, ავაზაკობაში, მკვლელობაში და სხ. ეს კი, თავის თავად ცხადია, ხელს უშლიდა რევოლუციის შესაფერ მსვლელობას და განვითარებას. ამიტომ მე მოვითხოვე მაგარი ადმინისტრაციის შექმნა და ამ მიზნით გამოვითხოვე ასი ჯარისკაცი, რაც, რასაკვირველია, იქნებოდა ერთგვარი თავმდები შედარებითი სიწყნარისა და მშვიდობიანობისა. ჩემი მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იქმნა. და როდესაც ხალხი მომზადებული არ არის, ძალა ადმინისტრაციისა თითქმის არავითარი და საშინელი გაჭირვებაც თან, — ასეთ პირობებში, როგორ შეიძლება დაიცვა წესი! ის, სადაც სანქციის გამტარებელი ძალა არ არსებობს? ლოლიკურად უნდა მომხდარიყო ის, რაც მოხდა: შეუსაბამო გამოსვლები, არევდარევა.

1917 წლის მთელი ზამთრის განმავლობაში, პატარ-პატარა გამოსვლები აქა-იქ ლეჩხუმ-სვანეთში არ შეწყვეტილა; მარტში 1918 წ. დაბრუნებული და უკმაყოფილო ჯარისკაცების მოთავეობით მოხდა დიდი გამოსვლა. მახსოვს, ცხენისწლის პირად ,სამი ვერსის მანძილზე ცაგერიდან, დიდი ყრილობა. მას დაესწრო 1500 კაცამდე, — ნახევარი მაინც შეიარაღებული და მოითხოვეს კომისარი, მისი თანაშემწე, მილიციის უფროსი და სასურსათო კომიტეტის თავმჯდომარე. ეს იყო საღამოს ხუთ საათზე; შეიარაღებული ძალა, რაც მე მყავდა, მასხრობა იყო იმ ძალასთან შედარებით, რომელიც ამ ყრილობაზე იყო. მე აღარ დავაყოვნე და გავუყევი დელეგაციას, რომელიც ყრილობამ გამომიგზავნა. სურათი არ იყო სასიამოვნო, მით უმეტეს, რომ ვიცოდი, თუ როგორ უარყოფითად განწყობილ ხალხთან მქონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და საქმე. ყველანი ისხდნენ ყორნებივით ჩამწკრივებულნი და მოღუშული სახით. გავედი ძველებურად ქვაზე და მივმართე მათ.

— ამხანაგებო! სულით და გულით გილოცავთ თქვენ ოჯახებში ჯანმრთელად დაბრუნებას, თქვენი ოჯახებისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ. მესმის თქვენი უკმაყოფილება. ჩვენ შეგპირდით: თავისუფლებას, პურს, მიწას; ვერც ერთი ვერ მოგეცით და აი, რა არის მიზეზი: თქვენ იცით კარგად, რომ როდესაც სახლს ავლევთ მეორე ადგილზე გადასატანად, რამდენი შრომა და დრო სჭირდება და თქვენ წარმოიდგენთ ადვილად, თუ რამდენი დრო და შორმა უნდა ამ ვეებერთელა ქვეყნის, დღეს დანგრეულის, აწყობას და აშენებას .აი, ასეთი მდგომარეობაა დღეს და აი, საით მიდის მთელი ყურადღება და ენერგია რუსეთის ხალხისა. ვისაც ეს არ ესმის და მარტო თავისი პირადი გაჭირვებით ზომავს დღევანდელი რევოლუციის შინაარსს, ის, რასაკვირველია ,საერთო ბედნიერების მტერია. და როგორც ასეთი უდიდესი დამნაშავე რევოლუციის და ხალხის წინაშე, საუკეთესო მომავალისა; რაც მთავარია: დღევანდელი რევოლუციის მოლოდინმა უნდა აგატანინოთ დროებითი გაჭირვება და მთელი ყურადღება და ენერგია უნდა მოახმაროთ რევოლუციის მონაპოვართა შენარჩუნებასა და განმტკიცებას... რა არის დღეს თქვენი მოთხოვნილება? სიმინდის რეკვიზიცია, სასურსათო კომიტეტის წევრების გაშვება და თქვენი ხალხის ჩაყენება, მილიციონერების გაშვება და თქვენი ხალხის მიღება, მილიციის უფროსის, სასურსათო კომიტეტის თავმჯდომარის და მისი თანაშემწის გადაყენება და სხვა. ამხანაგებო! მე მინდა ვიცოდე, სანამ თქვენს მოთხოვნილებებზე გიპასუხებდეთ, თქვენ სცნობთ, თუ არა დემოკრატიულ პრინციპებს? ამას გეკითხებით იმისათვის, რომ ვთქვათ, მე მივიღე თქვენი მოთხოვნილებანი; როგორ გინდათ ისინი განახორციელოთ' თქვენი ძალით? მაშინ ხომ ჩვენ ტყუილად გვიბრძოლია, ვინაიდან თქვენ, რაც უნდა ბევრი იყოთ დღეს აქ, წარმოადგენთ უმნიშვნელო ნაწილს მთელი მაზრისას (ლეჩხუმ . სვანეთისას). გამოდის, რომ ჩვენ ხალხს გვერდს კუვლით და იწყებთ ისეთ რამეს, რასაც ჩვენ მუდამ ვებრძოდით. თქვენ, ერთი ჯგუფი მოითხოვთ განხორციელებას იმ მოთხოვნილებათა, რომელიც მთელ ქვეყანას შეეხება...

მათ მიპასუხეს — ჩვენ დემოკრატიულ პრინციპებს უარს არ ვყოფთო!

— თუ ეს ასეა, მაშინ თქვენ უნდა მიაშეროთ თქვენ თქვენს სოფლებს; ჩამოკარით ზარებს; შეუყარეთ ხალხს თავი; საერთო ყრილობას გააცანით თქვენი მოთხოვნილება; მისი გადაწყვეტილება გამოაგზავნეთ ცენტრში არჩეული დელეგატების პირით. ასეთია პრინციპი დემოკრატიულად საერთო საქმის წარმოებისა...

დამეთანხმნენ, რომ ასე მოიქცევოდნენ, მაგრამ ამასთანავე განმიცხადეს, რომ ხვალ დილით შემოვიდოდნენ ცაგერში.

მეორე დღეს დილით მოველაპარაკე მათ დელეგატებს, რომლებიც დამეთანხმნენ, რომ ცაგერში არ შემოვიდოდნენ; დელეგატებმა ცაგერის დატოვება ვერ მოასწრეს, რომ შეიარაღებული ჯარისკაცები უკვე ცაგერს მოადგნენ, დაიკავეს ცენტრის ყველა ადგილი და გამართეს მიტინგი, სადაც მე დამიბარეს, შემასხეს ქება და მთხოვეს, რომ მე მათთან დავრჩენილიყავი. მე ამგვარ გამოსვლებს ვეძახდი ავადმყოფობას, რაც რამოდენიმე დღეში გაჰქრებოდა. ამისდამიხედვით შევიმეშავე შესაფერი ტაქტიკა მუშაობის ანუ თანამშრომლობის, თითქმის ყველა ჩემ რჩევას ღებულობდნენ მანამდე, სანამ არ გაიგეს, რომ ქუთაისიდან გამოვიდა ჯარი მათ ასალაგმავად. ამის შემდეგ ყოველივე ნდობა დავკარგე. რა თქმა უნდა, ისინი სცდებოდნენ. ჩემი მიზანი იყო: რაიმე უკიდურეს გამოსვლებს ადგილი არ ჰქონოდა, არაფერში მათ არ ვატყუებდი და არც ჯარი გამომითხოვია ქუთაისიდან.

რამოდენიმე თვის წინად, სანამ ამ გამოსვლებს ადგილი ექნებოდა, მე ვთხოვე ქუთაისს გამოეგზავნა ორ. მოცდაათი ან ასი ჯარისკაცი ცენტრში; ჩემი აზრით, ეს საკმაო იყო, რომ გამოსვლებს ადგილი არ ჰქონოდა. ეს ქუთაისმა ვერ მოახერხა თავის დროზე, ხოლო გამოსვლების შემდეგ, მე წინააღმდეგი ვიყავი რაიმე ძალების გამოგზავნისა და განსაკუთრებით ისეთი ჯარისა, რომელიც ქუთაისელი ნოქრებიდან შესდგებოდა. რა თქმა უნდა, ასეთი ჯარი ფრონტზე ნამყოფ ჯარისკაცთა წინააღმდეგ გამოგზავნა დიდი შეცდომა იყო, რაც საშინელი სკანდალით გათავდა; ალპანაში მოსული ქუთაისელი ნოქრების ჯარი განაიარაღეს, ზოგი დაატყვევეს და ბევრიც უკან გაიქცა...

ქუთაისიდან გამოგზავნილ ამ ჯარს ახლდნენ ლევან დადეშქელიანი და რუბენ ყიფიანი. სანამდე ასეთი სამარცხვინო საქმე დაგვემართებოდა (დასახელებული ჯარის განიარაღება), ლევანმა დატოვა ალპანაში დაბინავებული ჯარი, დილით ადრე გამოეშურა ლაილაშისაკენ, რუბენითურთ, ცოლშვილის სანახავად. ლაჯანურის ხეობაში მას გადაეღობა ერთი რაზმი; იგი დააკავეს და საყვედურების შემდეგ, თუ რად წამოიყვანა ჯარი ლეჩხუმის დასარბევად და სხვა, უთხრეს ცხენიდან ჩამოსულიყო და მათთან დარჩენილიყო; სწორედ იმ დროს, როდესაც ავჟანდიდან ფეხი გამოჰყო და გადმოეშვა ცხენიდან, გავარდა თოფი და ლევან დადეშქელიანმა, ძირს დაცემის შემდეგ, მხოლოდ ხუთი წამი იცოცხლა.

საკვირველია ამ პიროვნების ისტორია: დიდი გვარის შვილი; შთამომავლობით ბატონი; ლამაზი და მოყვანილი ვაჟკაცი, კარგი კალამის მქონე და სიტყვის ხელოვანი; ნიჭი სავსე; ფუფუნებით ცხოვრებას მიჩვეული, განათლებული, — ხალხს გულწრფელად მიეკედლა; უმწეოთა და დაბეჩავებულთა ინტერესების დამცველი, იგი ყველასათვის საყვარელი იყო და განსაკუთრებით მიყვარდა მე...

არა მგონია, იმ ხანაში რაიმეს შევეწუხებინე ისე, როგორც მისი მკვლელობის ამბავმა შემაწუხა; ვფიქრობ, მეხი რომ დამცემოდა, იმაზე მეტს ვერ განვიცდიდი, რაც ამ საშინელმა ამბავმა განმაცდევინა... მისი მკვლელი, როგორც გადმომცეს, ორი-სამი თვის შემდეგ მოჰკლეს...

ლევან დადეშქელიანი დაასაფლავეს ქუთაისის სობოროს ეზოში მარჯვნივ, კუთხეში. რამდენადაც გაგებული მაქვს, დღეს სობორო არ არსებობს და ალბათ მისი საფლავიც გაჰქრა...

ლეჩხუმის აღება ძვირად დაუჯდა ქუთაისს, და ეს იმის წყალობით, რომ თავის დროზე შესაფერი და სულ უბრალო ზომები, ასჯერ ნაკლები ძალის სახით, არ იყო მიღებული და განა ეს პირველი შემთხვევა იყო ჩვენი, ბევრ შემთხვევაში შეუსაბამო მოქმედებისა? იქნებ ეს რევოლუციის თანდაყოლილი თვისებაც იყოს! ვინ იცის!

დაწყებული გუბერნიის კომისარიდან (ივანე ყაუხჩიშვილიდან) ყველა ცენტრალური კომიტეტის წევრებამდე, ვრიშა ურატაძის გარდა, ყველა ჩემი წინააღმდეგი იყო, თითქმის ბოლშევიკობაც კი დამწამეს. დავინახე, რომ ეს ხალხი პარტიული კომიტეტის მუშაობას ვერ გაშორებოდა, რომ კომიტეტის მუშაობა და სახელმწიფოს აღმშენებლობისათვის მუშაობა ერთი და იგივე არ იყო. ეს მათ ნაკლებად ესმოდათ.

მე ისევ ლეჩხუმს დავბრუნდი ცოტა ხნით, რათა ის სამუდამოდ დამეტოვებინა, ვინაიდან გარდა იმ ძალისა, რომელსაც მე პირადად წარმოვადგენდი (ხალხისა და მოსამსახურეების ჩემდამი კეთილ-განწყობილება) საკმარისი არ იყო ამ ყოველ მხრივად არა ნორმალურ ეპოქაში ლეჩხუმი და სვანეთი ნორმალურ კალაპოტში ჩამეყენებინა...

ქუთაისში მაშინ გამოდიოდა ყოველდღიური გაზეთი „სოციალდემოკრატი". მინდოდა ლეჩხუმის ამბავთა შესახებ წერილი დამებეჭდა. კომიტეტში ვიკითხე: ვინ არის-მეთქი გაზეთის რედაქტორი. მიმითითეს ერთ ახალგაზრდაზე და მითხრეს: აი, იქ დგას, ვიქტორ ნოზაძე. — ასეთი ახალგაზრდა არის ჩვენი რედაქტორი? — ხო, ეგ არისო! მივედი მასთან. გავეცანი. ის მე პირადად არ მიცნობდა. მაგრამ ლეჩხუმის ამბებთან დაკავშირებით კი მიცნობდა. მან მე დიდი პატივით მიმიღო და როცა ვუთხარი: ლეჩხუმის ამბავთა გამო წერილის დაბეჭდვა მინდა-თქო, მაშინათვე მიპასუხა: — როგორ არა! დავბეჭდავ! რას ბრძანებთ. თქვენი წერილი დიდად საჭირო და მნიშვნელოვანი არის ამ საქმის გამოსარკვევად. გამომართვა წერილი და იგი მეორე დღესვე დაიბეჭდა.

ქუთაისში ყოფნის დროს მომივიდა ტელეგრამა, რომლითაც სამტრედიის თვითმართველობა მატყობინებდა, რომ მე ქალაქის თავად ვარ ერთხმად არჩეული და მთხოვდნენ დაუყონებლივ იქ წავსულიყავი. მე უარით ვუპასუხე. მივიღე მეორე ტელეგრამა, სადაც დაჟინებით იმეორებდნენ პირველ თხოვნას. იძულებული ვიყავი იქ ჩავსულიყავი და პირადად მადლობის გადახდის შემდეგ განმარტება მიმეცა, თუ რატომ ვამბობ უარს სამტრედიის ქალაქის თავად ყოფნაზე, მაგრამ არაფერმა არ გასჭრა; როგორც იქმნა დიდი ამბით დათანხმდნენ იმას, რომ ქუთაისში წავსულიყავი რამოდენიმე საათით. ამით ვისარგებლე და თბილისში ამოვყავი თავი. ეს იყო ზაფხული 1918 წლისა. იმ დროს მზადდებოდა დიპლომატიური მისსია უკრაინაში, რომლის მდივნადაც მე დამნიშნეს და კიდევაც გავეშურე კიევისაკენ. ამ დროს იქ იყო სკოროპადსკის მთავრობა. უკრაინა დაკავებული იყო გერმანიის ჯარის მიერ... მათ შემოსვლამდე წესრიგს, როგორც ჩვენი ჩასვლისას გვითხრეს, იცავდა ქართული რაზმი ვაჩეიშვილის მიერ შეყენებული; ამ ვაჩეიშვილმა შეუთვალა გერმანიის სარდლობას, გენერალ ეინხორს: კიევში მისი ჯარის შემოსვლა შეეჩერებინა, რაც გერმანელმა გენერალმა შეასრულა ალბათ იმ მოსაზრებით, რომ ვაჩეიშვილი დიდ ძალას წარმოადგენდა და ბრძოლის მიცემას გაუბედავდა. ეს სასაცილო ამბავი ანეგდოტი არ არის. საერთოდ ქართველებს კიევში დიდი სახელი ჰქონდათ და მთელი ორი კვირის განმავლობაში კიევი მათ ხელში იყო... ჩვენი ჩასვლის ცოტა ხნის შემდეგ პეტლიურა მოვიდა კიევში და ძალაუფლება მისი მთავრობის ხელში გადავიდა. ამ ქვეყანას მეტად ძვირად დაუჯდა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა: ჯერ გერმანიის ჯარი; მერმე ბოლშევიკები; მახნოს ჯარი; მერმე დენიკინი; შემდეგ პეტლიურა; მერმე ისევ ბოლშევიკები...

1918 წლის მიწურულში რუმინეთში (იასსაში) მოხდა „ალიების" კონფერენცია. საქართველოს მთავრობის მოწერილობით, იქ კიევის მისსიას უნდა გაეგზავნა დელეგაცია, დიპლომატიური მისსიის სახით, რაც დაუყონებლივ შესრულდა. ბრძანების მიღების შემდეგ ერთი კვირის განმავლობაში მისსია შესდგა. (თავმჯდომარე — მე; მდივანი — მარკევიჩი (პოლონელი) და ატაშე — ფალავა). ორი კვირის მოგზაურობის შემდეგ მივაღწიეთ იასსაში, სადაც კონფერენცია უკვე დასრულებული იყო. არ მინდა მოგზაურობის სიძნელეებზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

შევჩერდე; ვიტყვი მხოლოდ, რომ განვიცადეთ დიდი დაბრკოლებები. იასსიდან ბუქარესტში მივედით და რაღაც რწმუნებულების ქაღალდის მსგავსი რუმინეთის მთავრობას წარვუდგინეთ. რუმინეთისაგან ჯერ ნაცნობი არ ვიყავით; მიუხედავად ამისა ყურადღებით გვეპყრობოდნენ. მე არ დავაყოვნე მთავრობის თავმჯდომარის ფერედიკის მენახა. (ბრატიანე-ს მოადგილე. ამ დროს ბრატიანე იყო საზავო კონფერენციაზე პარიზში). შემდეგ ვეწვიე ყველა ქვეყნის წარმომადგენლებს, რომელთაც გავაცანი ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ - პოლიტიკური მდგომარეობა, მისი ისტორია, მისი სიძლიერე, ეროგრაფია და საქართველოს მნიშვნელობა, როგორც გზისა ევროპისა და აზიის შემაერთებელი.

ამ ვიზიტებს თითქმის ყოველ თვე ვაკეთებდი; სანამ გერმანელები იქ იყვნენ, მათთანაც მქონდა კავშირი. შემდეგ ფრანგების მისსიასთან ვიყავი დამოკიდებულებაში, ისე როგორც ინგლისელების მისსიასთანაც.

მახსოვს ერთი არა სასიამოვნო შემთხვევა. ერთ-ერთი დარბაზობიდან დაბრუნებულს, მეუბნებიან მისსიის წევრები, რომ რუმინულმა პოლიციამ გაგჩხრიკაო. იმ დროს ყველა რუსს იჭერდნენ, ყოველ შემთხვევაში, თუ არ იჭერდნენ, ჩხრეკდნენ მაინც, რა თქმა უნდა, ბოლშევიკების გამო. იმ წამსვე, დიდად აღელვებული, მივადექი მთავრობის თავმჯდომარეს, რომელიც იმ დროს საგარეო მინისტრიც იყო (ფერედიკ) და მას სასტიკი პროტესტი განვუცხადე, ზრდილობანი ფორმით, რასაკვირველია.

— მაგრამ, ჩემო ბატონო, — მითხრა მან —პოლიტიკურად თქვენ რუსებად ითვლებითო!

— სრულებითაც არა — ვუპასუხე. — მე არ დამვიწყებია რუმინეთის ისტორია.. — გადავკარი მას, რომ რუმინელები 50 წლის წინად სათათრეთის ბატონობის ქვეშ იმყოფებოდნენ. ის გაწითლდა და მითხრა პასუხად, რომ გასცემდა სათანადო განკარგულებას ჩვენს შესახებ.

ამ შემთხვევის ერთი თვის შემდეგ, პარიზიდან ბრატიანე დაბრუნდა და შეუდგა მთავრობის თავმჯდომარეობის ფუნქციის ასრულებას. მივედი სადარბაზოდ და სხვათა შორის ზემოაღნიშნული შემთხვევა ვუამბე და თან ვკითხე, თუ როგორ უყურებს იგი საქართველოს მისსიას.

— ამის შესახებ მე უნდა მოგიყვეთ ჩემი შემთხვევა: იმ დროს, როდესაც რუმინეთი იყო თავისუფალი, მაგჯერ კიდევ არ იყო სავსებით ჩამოყალიბებული, როგორც ყველა სახელმწიფო, ჩვენ ვღებულობდით სხვა ქვეყნებიდან როგორც წარმომადგენლებს, მხოლოდ მინისტრებს. ინგლისმა კი გამოგზავნა დიპლომატიური აგენტი, რომელმაც მამა-ჩემს, მთავრობის თავმჯდომარეს, დაუსვა იგივე საკითხი, რომელსაც თქვენ მე მისვამთ. აი მამა-ჩემის პასუხი: ტიტრი, რომელსაც ჩვენ ვღებულობთ, თქვენ არა გაქვთ!

— ტიტრი, თქვენ რომ გაქვთ, მას ჩვენ არ ვღებულობთ-ო — უპასუხა ინგლისის აგენტმა.

— ბატონო თავმჯდომარეო! რასაც თქვენ ბრძანებთ, უნდა მივიღო ის, როგორც პასუხი ჩემს შეკითხვაზე?

— ჩვენ ყოველთვის მეგობრები ვართ-ო! — იყო მისი პასუხი.

სხვა პასუხიც არ შეიძლებოდა; ჩემი მდგომარეობა, როგორც წარმომადგენელის, იყო დამყარებული, ასე ვთქვათ, ჩვენი ქვეყნისადმი ერთგვარ სიმპატიაზე... საზოგადოების დამოკიდებულება იყო საუცხოო; სადაც კი გამოჩნდებოდი, ყველგან დიდ თანაგრძნობას უცხადებდნენ საქართველოს: სამინისტროებში, მინისტრებთან, რედაქციებში, თეატრში თუ კრებაზე. რესტორანში. როგორც კი დამინახავდნენ შესულს, დამჯდარი კიდევ არ ვიყავი, რომ ორკესტრი „ალავერდის“ დაუკრავდა! კვირაში სამჯერ, ოთხჯერ და ხანდახან ყოველ დღეც, საქართველოს შესახებ წერილები იბეჭდებოდა: მის ისტორიაზე, კულტურაზე და სხვა. ალბათ ეს იყო მიზეზი, რომ ერთ მშვენიერ დღეს სომხებმა გამოილაშქრეს საქართველოს წინააღმდეგ უმთავრეს გაზეთში: „ადევერულ“, თუ „ლა რუმანი ენდეპანდანტ“, კარგად აღარ მახსოვს. წერილი ეხებოდა უფრო მაშინდელ მდგომარეობას და განწყობილებას სომეხთა და ქართველთა შორის, რა თქმა უნდა, გადაჭარბებული და საერთოდ ცრუ ცნობებზე დამყარებული. ჩემი პასუხი იმავე ხასიათისა არ ყოფილა. მე ხაზგასმით აღვნიშნე შემდეგი: — იმ დროს, როდესაც სომხეთის და საქართველოს ხალხთა დიდი უმრავლესობა ხელიხელ ჩაკიდებული, დიდ ერთსულოვნობით აღჭურვილნი, მიექანებიან ამ ორი ერის განთავისუფლების გზაზე, რაც უზომო სისხლისა და ცრემლის გზაა და თავგანწირულ ბრძოლას ეწევიან ამ მათთვის უდიდეს და უმძიმეს ისტორიულ მომენტში, სამწუხაროა, რომ ამ დროს რუმინეთში მოიპოვება ისეთი სომეხი, რომელმაც იკადრა ასეთი გამოლაშქრება საქართველოსა და მისსიის წინააღმდეგ-თქო. და სხ. ამის შემდეგ არავითარ გამოსვლებს საქართველოს ან მისი მისსიის წინააღმდეგ რუმინეთში ადგილი აღარ ჰქონია სომხების მხრივ.

რუმინეთში ჩვენი ჩასვლის ოთხი დღის შემდეგ მივიღე წერილი რუმინეთის აკადემიის მუდმივი მდივნის, პროფესორ ბიანოდან (დეკემბერი, 1918 წ.) — ბატონო თავმჯდომარეო — მწერდა ბიანო — ვესალმები რა თქვენი სახით საქართველოს, მის გმირულ ერს, მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ თქვენ პირველი არა ბრძანდებით, რუმინეთსა და საქართველოს შორის დამოკიდებულების აღმდგენი. გუშინდამ, ომის შემდეგ, პირველი კრება გაიხსნა ძველად საქართველოსა და რუმინეთის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შორის დამოკიდებულებაზე მოხსენებით; თქვენ ალბათ დავიწყებული გაქვთ, თუ ვინ იყო ანთიმოზ ივერიელი (ანტიმ ივერიანელ). ამ შეუდარებელმა პიროვნებამ ითამაშა უდიდესი როლი რუმინეთის ცხოვრებაში და სხვა. მეორე დღეს გავეშურე აკადემიისაკენ; მისმა მდივანმა ბიანომ დიდის ყურადღებით ,,ამათვალიერებია აკადემია, მისი ბიბლიოთეკა; მაჩვენა სახარება დაბეჭდილი ანთიმოზ ივერიელის მიერ (სხვათა შორის ქართული ასოები ამ ანთიმოზმა ჩამოასხა და იგი ასოთამწყობებთან და მბეჭდავებთან ერთად ვახტანგ მეფეს გაუგზავნა). მაჩვენა აგრეთვე ბროსეს მიერ ნათარგმნი საქართველოს ისტორია და მირჩია: ეს საუკეთესო შრომა (მისი სიტყვებია) მრავლად გამოგვეცა. მიმითითა ანთიმოზის მიერ აშენებულ ეკლესიაზე. იმ დღესვე ეს ეკლესია ვნახე; შიგნით შესვლისას, მარჯვნით, ვეებერთელა სურათია კედელზე გამოხატული ანთიმოზ ივერიელის მთელი ტანით და დიდი წვერებით, რაც ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს. მარცხნით არის გამოხატული კონსტანტინე ბრაკოვანი, მაშინდელი ვოლახიის-მოლდავიის მთავარი (მე-18 საუკუნეში). ეს ორი პიროვნება უძღვოდა წინ საერო და სასულიერო ცხოვრებას მაშინდელი რუმინეთისას; ანთიმოზი იყო რუმინეთის მღვდელთმთავარი; მას მიუძღვის უდიდესი ღვაწლი რუმინეთის საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში. იგი წმიდანად არის აღიარებული; ყველა სკოლაში მისი ცხოვრების ისტორიას ასწავლიან; ის წამებულ იქმნა თურქთა მიერ. (მის შესახებ წერილი დაბეჭდე „კავკასიონ"-ში).

ჩემი რუმინეთში ყოფნის დროს გზა მოწყვიტეს ბოლშევიკებმა: მათ დაიკავეს მთელი უკრაინა; კიევს ველარ დავრბუნდი; საქართველოშიდაც სხვა გზით ძალიან ძნელი იყო წასვლა. ვიცოდი რა ჩვენი ქვეყნის გაჭირვება სურსათის მხრით, მივმართე თხოვნით რუმინეთის ვაჭრობის მინისტრს დახმარებისათვის. იგი დამპირდა ორმოცი ვაგონი პურის მოცემა შეგვიძლია თუ თუნუნზე გაცვლითო. ეს ამბავი ტელეგრამით, ინგლისის სამხედრო მისსიის საშუალებით საქართ. მთავრობას ვაცნობე. ვიცოდი პასუხი ჩქარა არ იქნებოდა. პასუხის მოსვლამდე ,,ვადავწყვიტე პარიზს მისვლა და დელეგაციისათვის მოხსენების გაკეთება. დელეგაციამ უკან აღარ დამაბრუნა და დამტოვა თავის მდივნად პარიზში.

მთელი ჩემი არქივი დამრჩა ბუქარესტში და დაიკარგა.. მე უფრო გული მწყდება არქივზე და არა საცვლებტანისამოსზე, რადგან დღითი დღე ვწერდი ყველა შეხვედრის შინაარს, თითქმის ათი თვის განმავლობაში.

რუმინეთში დიდი დახმარება გამიწია პროპაგანდისა და კავშირების შექმნისათვის პროფესორმა იორგა-მ; ის იყო ერთი საუკეთესო ისტორიკოსთაგანი ევროპის მასშტაბით, განათლებული და ამასთანავე დიდი პოლიტიკური მოღვაწე; მას ეკუთვნის ერთი საუკეთესო შრომა მთავგანი თურქეთის ისტორიაზე.

რუმინეთმა საერთოდ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ჩემზე; უარყოფითი ელემენტები რომელ ქვეყანაში არ არის? დღევანდელი რეჟიმის უარყოფით მხარეებს, როგორც სხვაგან, ისე აქაც აქვს ადგილი: ერთი მხრივ, დიდი სიმდიდრე, მეორე მხრით დიდი სიღარიბე; ამას უბრალო გავლის დროსაც ატყობ, მაგრამ რომელ ქვეყანაში არ შეხვდებით ამას! მართალია, პატარა ქვეყანაში ეს ნათლად სჩანს... ჩვენი ორი ერის ისტორია დიდად ჰგავს ერთი მეორეს: ერთი და იმავე ქვეყნებისაგან ვიტანჯებოდით და იმავე ქვეყნებისაგან, ვინ იცის რა მოგველის, თუ პოლიტიკურ - ეკონომიური რეჟიმის სისტემა ძირიანბუდიანად არ შეიცვალა?! და ამ სისტემის შეცვლა მე მესმის ევროპის სახელმწიფოთა ერთი კონ - ფედერაციის შექმნით...

რუმინეთიდან პარიზს მივედი ნოემბერში 1919 წ. ,,ამოვედი რუმინეთიდან პირდაპირ ჟენევაში, სადაც ჩემი შვილი მყავდა დატოვებული იმ მიზეზით, რომ საქართველოში წასვლის დროს ყოვლად შეუძლებელი იყო მისი თანწაყვანა. გზაში ჟენევიდან გასულმა ციურიხიდან დავაბრუნე ბავშვი ისევ ჟენევაში ქალბატონ ლეონი შამესთან, რომელიც ჩემი შვილის აღმზრდელი იყო. ერთად ერთი სანუგეშებელი ჩემთვის ის იყო, რომ ჩემი ვაჟი სამშვიდობოში იქნებოდა და იმასაც გავეწიე ანგარიში, რომ ჩემი ბიჭის აღმზრდელი ისე იყო დამწუხრებული ბავშვის მოშორების გამო, რომ წასვლისას მითხრა — თქვენი შვილია, და მოიქეცით ისე, როგორც გინდათ; მაგრამ მე თუ მაგას მოვშორდი სიცოცხლე მომესწრაფებაო. და სხვა.

ეს მანდილოსანი, წევრი ჩემი ოჯახისა, აღმზრდელი ჩემი სამი შვილისა, ბრიუსელის ბიურგერმესტრის ქალიშვილი ,,უაღრესად განათლებული, დარჩა ჩემს ოჯახში 31 წელიწადი. გარდაიცვალა 1940 წ. მაისის 25-ს.

როგორც კი ჟენევაში ჩავედი, გავეშურე ვეზნისაკენ, (სამი კილომეტრით ჟენევიდან). ამ სოფელში გადავედასაფლავებულია ბულონ-ბიანკურის სასაფლაოზე და იმედი მაქვს ჩემი შვილები მის საფლავს არ დაივიწყებენ. გარდაიცვალა 83 წლისა.

დი ჟენევის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ; იქ ვამზადებდი სადოქტორო შრომას. სახლში მისვლისას, ჩემი ვაჟი როლანი სალონში თამაშობდა; იმ დროს იგი მეცხრე წელიწადში იყო. როგორც კი დამინახა, დაუწყო ძახილი მეორე ოთახში მყოფ მის აღმზრდელს, ქალბატონ შამეს: ,,მუსიო მოვიდა! ვერ მიცნო, ვინაიდან მეხურა ჩალის ქუდი, ნაპოლეონს რომ ეძახდნენ, — წინ და უკან „კოზირი ჰქონდა. მისი ძახილის დროს მოვიხადე ქუდი თუ არა, მორთო ყვირილი: პაპა! პაპა! ამ სცენამ გვარიანად შემანძ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რია. გავიგე, ჩემი მეგობარის, ანტონ ჟორჟოლიანის მძიმე პირობებში ყოფნა ,ჟეკს-ში (საფრანგეთში). ის იმ დროს განაგებდა სამხედრო საავადმყოფოს, 214 ნომერით წოდებულს. ამ ჰოსპიტალის მთავარი ექიმი იყო. მისი მდგომარეობის მოხარბემ ადმინისტრაციას მიაწოდა ცრუ ცნობა, თითქოს მას გერმანელებთან ჰქონოდეს კავშირი. იგი დაითხოვეს. მეც მივიღე ზომები მის ჟენევაში გადმოსაყვანად, სადაც არ უშვებდნენ, რაზედაც ჩემი ახსნა-განმარტების შემდეგ, ჟენევის მთავრობამ ნება დართო მას მოსულიყო. ამ დროს ჟენევაში მუშაობდნენ აკაკი ჩხენკელი და ხარიტონ შავიშვილი, რომელთანაც დავრჩით მე, და ანტონი ნოემბრამდე. ამ თვის ბოლოს კი პარიზში მივედი, შემდეგ ანტონიც გამოწვეულ იქმნა დელეგაციაში სამუშაოდ.

ქართული დელეგაციის ბინა იყო პერუზის ქუჩაზე.

დელეგაციის თავმჯდომარედ იყო კარლო ჩხეიძე; წევრებად: ირაკლი წერეთელი, ზურაბ ავალიშვილი, კონსტანტინე გვარჯალაძე, იოსებ გობეჩია; შემდეგ დაუმატეს ვარლამ ჩერქეზიშვილი; დანარჩენი წევრების ვინაობა ალარ მახსოვს. დელეგაციაში მუშაობდნენ: ქალბატონი ელენე დემელონი, ბატონი ვიკტორ ბაბე; ქალბატონი ჰელმი (ჯავრიშვილის ქალი); ჯინორია (საინფორმაციო ბიუროში). დელეგაციის სტატუტი ერთი მუხლისაგან შესდგებოდა: ყოველგვარი მუშაობის გაწევა და სათანადო ზომების მიღება, რათა უმაღლეს საბჭოს, რომელსაც ამ დროს პარიზში ჰქონდა კრებები, ამერიკის პრეზიდენტის უილსონის თავმჯდომარეობით, საქართველო ეცნო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, რაც ფორმალური კონსაკრაცია იქნებოდა მისი 1918 წ. 26 მაისიდან ფაქტიურად არსებობისა. დელეგაციის სხდომები ყოველ კვირაში ხდებოდა, ერთხელ, უფრო ხშირად, თუ ამას საჭიროება მოითხოვდა. ყოველი სხდომის ოქმი იწერებოდა. გასარჩევ საკითხებზე წარმოთქმული სიტყვებით და დასკვნებით. ეს ოქმები რამოდენიმე ტომისაგან შესდგება, ასე რომ ვისაც დელეგაციის მუშაობის შინაარსი აინტერესებს, მას სრულ სურათს წარმოუდგენს მათი განხილვა. ოქმები გაგზავნილ იქმნა თბილისს, გ^ამოუკლებლად, საქართველოს იურიდიულად ცნობის შემდეგ.

დელეგაცია ჩავიდა პარიზს, თუ კარგად მახსოვს, 1919 წლის იანვარში. დელეგაციის ერთი წლის მუშაობის შემდეგ, უმაღლესმა საბჭომ დაიბარა დელეგაციის წარმომადგენლები საქართველოს შესახებ ცნობების მისაღებად; გაემგზავრნენ საბჭოს წინაშე წარსადგომად: ნიკოლოზ სვიმონის ძე ჩხეიძე (თავმჯდომარე) და ირაკლი გიორგის ძე წერეთელი. — ორივე, არა თუ საქართველოსა და რუსეთის მასშტაბში ცნობილი, არამედ ევროპის მასშტაბითაც კარგად ცნობილი.

თებერვლის რევოლუციის შემდეგ, ჟენევის გაზეთებში მხოლოდ ამ პირთა შესახებ სწერდნენ და როდესაც ჟენეველებს ვეუბნებოდით, ესენი ქართველები პრინციპეთქი, არ სჯეროდათ — როგორ რუსებს არა ჰყავთ თავისი პოლიტიკური მოღვაწეებიო?!..

უმაღლეს საბჭოში წასვლის დროს შეიქმნა ტანისამოსის ძებნა; ერთმა ჩემი „ვიზიტკა“ წაიღო! უბრალო ტანსაცმელით წასვლა არ შეიძლებოდა. ეს საკითხი მხოლოდ მაშინ დადგა და, რა თქმა უნდა, ასე ადვილი არ შეიქმნა ამ დიდი შემთხვევისათვის სათანადოდ საჩქაროდ ჩაცმა-დახურვის გამოწყობა. ეს იყო, თუ არა ვცდები, დეკემბერში 1919 წლისა. ათას ცხრაას ოცში უმაღლესმა საბჭომ საქართველოს დე ფაქტოდ იცნო. ეს ამბავი შინაურულად შეგვატყობინა იტალიის დელეგაციის წევრმა გრანდი-მ. 1921 წლის იანვრის 21-ის რიცხვით ამავე საბჭომ, ამ დროს არისტიდ ბრიან-ის თავმჯდომარეობით, ვეიცნო იურიდიულად. ამის შესახებ საგარეო საქმეთა მინისტრს ევგენი გეგეჭკორს, რომელიც იმ ჟამად პარიზში იმყოფებოდა, მოუვიდა წერილი. არ. ბრიანისაგან, რომლითაც იგი აცნობებდა: საქართველოს და მისი მთავრობის იურიდიულად ცნობას უმაღლესი საბჭოს მიერ.

თებერვლის დასაწყისში აკაკი ივანესძე ჩხენკელი ჩამოვიდა პარიზს, და მას ჯიბაში ედვა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის და იმავე დროს რესპუბლიკის პრეზიდენტის, ხელმოწერილი რწმუნების ქაღალდი, რომლითაც საქართველოს მთავრობა ნიშნავდა მას საქართველოს საგანგებოდ მიგზავნილ და სრულ - უფლებიან ელჩად საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის წინაშე...

ელჩის მოსვლამდე, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, რწმუნების ქაღალდის ჩაბარებამდე, იურიდიულად ცნობის შემდეგ, შეიქმნა ხანა გარდამავალი: არც დელეგაცია იყო, არც საელჩო; დელეგაცია უკვე დაშლილი, მისი წევრები პარიზიდან წასულნი; საელჩო ნაწილობრივად არსებობდა, მაგრამ ფორმალური სანქცია ჯერ არა ჰქონდა; ჩვენი მდგომარეობა იმ დროს იყო „საქართველოს წარმომადგენლობის“ სახელით მონათლული. ამ წარმომადგენლობას თავმჯდომარეობდა საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი, იმ დროს პარიზში მყოფი. ამ ხნის განმავლობაში თითქმის ყველა სახელმწიფოს დაეგზავნა ნოტები, რომლითაც ვატყობინებდით რა საქართველოს ცნობას უმაღლესი საბჭოს მიერ, ვთხოვდით კეთილ ენებებინათ და ეცნოთ მათაც საქართველოს დამოუკიდებლობა. თითქმის ყველასაგან მივიღეთ დადებითი პასუხი. თუ არ ვცდები, ყველაზე უწინ, უმაღლეს საბჭომდე, გვიცნო არგენტინის რესპუბლიკამ (ეს ქართველმა ერმა არ უნდა დაივიწყოს!), შემდეგ ბოლშევიკურმა რუსეთმა. და ამის შემდეგ უმაღლესმა საბჭომ (ესე იგი: საფრანგეთმა, იტალიამ, ინგლისმა, ბელგიამ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქ. ელჩის აკაკი ჩხენკელის ბ-ნ ფუკიერთან ერთად წასვლა პრეზიდენტთან. კარიკ. მხატ. შავლა ქიქოძისა.

იაპონიამ). ბევრმა გვიცნო ,მაგრამ საქართველოს დამოუკიდებლობა მაინც ვერ შევინარჩუნეთ. ჩემთვის აშკარა იყო, და ამას არ ვალაპარაკობ, ასე ვქვათ, პოსტ-ფაქტუმ, რომ რუსეთი ბოლშევიკური, თუ როგორიც არ უნდა ყოფილიყო იგი, გარდა უალრესად დემოკრატიული რეჟიმის მქონე, და მაშინაც კი ეს საკითხი საღავო იქნებოდა, ჩვენს დამოუკიდებლობას ვერ აიტანდა. ბოლშევიკურმა რუსეთმა ,ვიცნო, მაგრამ ეს იმ დროს, როცა იგი სუსტი იყო, როგორც შინ, ისე გარეთ. მე მწამდა, რომ როგორც კი რუსეთში წესრიგი დამყარდებოდა და გარედანაც მომაგრდებოდა, ის არ დააყოვნებდა თავისი თათი ჩვენზე დაედო, რაც კიდეც მოხდა. ამის შესახებ კიდევაც მივწერე ევგენი გეგეჭკორს ლონდონში, კერძო წერილით, სადაც მას ვეუბნებოდი — ჩვენი ტრაგედია მაშინ დაიწყება, როდესაც ჩვენ გვიცნობენ-მეთქი. ეს წერილი, როგორც ევგენი გეგეჭკორმა მითხრა, 15 წლის შემდეგ შენახული მაქვსო. ეს მან მაშინ გაიხსენა, როცა დასჭირდა ეთქვა: აი, რა კაცი გვყავდა დიპლომატიურ წარმომადგენლობაშიო. რა თქმა უნდა, ჩემი შეხედულება არ გამომდინარეობდა იქიდან, რომ მე წინააღმდეგი ვიყავი ჩვენი დამოუკიდებლობისა! რომელი იქნება ისეთი გარეწარი, რომ თავისი ერის დამოუკიდებლობისა და თავისუფლების წინააღმდეგი იყოს?! წერილი მე მივწერე ევგენი გეგეჭკორს, როცა ჩვენ ჯერ კიდევ ცნობილი არ ვიყავით. ეს იყო იანვრის დასაწყისში 1921 წ. მე გამოვთქვამდი აზრს, რომ ცნობის გარდა აუცილებლად საბირო იყო რაიმე საერთაშორისო აქტი საქართველოს დამოუკიდებლობის დასაცავად. ევგენი გეგეჭკორს ვწერდი: მოესინჯა ნიადაგი ისეთი საერთაშორისო კომბინაციისა, რომელიც ჩვენი ერის დამოუკიდებლობის დასაცავად გამოდგებოდა. ჩემის აზრით, ეს კომბინაცია, საერთაშორისო, უნდა გამოხატულიყო რუსეთის ირგვლივ მდებარე სახელმწიფოთა სამხედრო, თუ სხვა რაიმე ფორმის კავშირში. ამ კავშირის წევრებად მე წარმომედგინა: პოლონეთი, უკრაინა, თურქეთი, სპარსეთი, თვით ამიერკავკასია. აი, რა იყო საძიებელი, როგორც კი ჩვენი დამოუკიდებლობა გამოცხადდა. შეიძლებოდა, რა თქმა უნდა, სხვა ფორმაც, კიდევ უფრო ადვილი საერთაშორისო შეთანხმება საქართველოს შესახებ მისი ნეიტრალიტეტის დასაცავად, მაგრამ ეს უნდა ყოფილიყო ამიერკავკასიის სახით, როგორც ერთი ფედერატიული სახელმწიფოსი. მაგრამ ასეთი ფედერაციას შექმნა არ მოხერხდა. და ამას ალბათ თავისი მნიშვნელოვანი მიზეზი ჰქონდა.

25 თებერვალს, იმ დროს, როდესაც რუსეთის ჯარი თბილისში შედიოდა, საქართველოს საელჩოს წევრნი ელისეს სასახლეში შედიოდნენ „რწმუნების გრამოტის“ ჩასაბარებლად.

საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ბატონმა მილიერანმა ძალიან კარგად იცოდა ეს ჩვენი უბედურება და სწორედ ჩვენ მიგვიღო, რომ ამით ერთგვარი პროტესტი განეცხადებინა საქართველოს დაპყრობის გამო...

მახსოვს ბ-ნი ფუკიერის (ელჩების წარმდგენი, პროტოკოლის შეფი, რა თქმა უნდა, მინისტრის ხარისხით) მოსვლა ჩვენს ბინაზე (44 ავენიუ ვიკტორ ჰიუგო)).

მთელი ქუჩა გაკავებული იყო. ჩავსხედით ორ საგანგებო ეტლში; პირველში საქართველოს ელჩი აკაკი ჩხენკელი და თვითონ ფუკიერი; მეორეში — ბ-ნი მიხეილ სუმბათაშვილი და მე; გაგვატარეს ელისეს მინდვრების პროსპექტი; რა თქმა უნდა, ეს ვეებერთელა პროსპექტიც გაკავებული იყო. ჩვენ ეტლებს აქეთ - იქით მთელი ესკადრონი მოყვებოდა.

რამდენად ტკბილი იყო ეს სურათი, იმდენად მწარე, ვინაიდან ამ თვალწარმტაც სურათში არავითარი შინაარსი აღარ იყო...

ასეთი დიდი ამბით საფრანგეთის პრეზიდენტთან მიყვანილი ქვეყნის წარმომადგენლობა არაფერს და არავის არ წარმოადგენდა.

ჩვენ შეგვიყვანეს დიდ დარბაზში; ცოტა ხნის შემდეგ გამოჩნდა პრეზიდენტი მილიერანიც, რომელსაც

ეროვნული ბიბლიოთეკა



საქართველოს ელჩის აკაკი ჩხენკელის საფრანგეთის პრეზიდენტთან წავსლა. კარიკატურა მხატვარ შალვა ქიქოძისა.

წინ მოუძღოდა ფუკიერ; აღნიშნულ ადგილას ჩვენ წინ (ყველაფერი ეს პროტოკოლით არის განსაზღვრული) პრეზიდენტი გაჩერდა; ჩვენ ყველამ თავი მოვიხარეთ; პრეზიდენტმაც; ჩვენმა ელჩმა აკაკი ჩხენკელმა ამოიღო ჯიბიდან, დაწერილი სიტყვა. მისი წაკითხვის შემდეგ პრეზიდენტმა უპასუხა იმავე ფორმით. (ცხადია, ელჩის სიტყვის შინაარსი პრეზიდენტმა წინასწარ იცოდა; ეს ასე ხდება ყოველთვის (იმპროვიზაციას ადგილი არა აქვს) და პასუხის შემდეგ ყველას ხელი ჩამოგვართვა. რამოდენიმე სიტყვის გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, გამოგვემშვიდობა და ჩვენ იმავე ფორმით მიგვიყვანეს საელჩოს ბინაზე...

საელჩოს არსებობა გაგრძელდა 1933 წ. (1921 — 1933 წ. წ.), სანამ ფრანგებმა არ შეჰკრეს ეგრეთ წოდებული „საბჭოებისა და საფრანგეთის პაქტი". ამ პაქტის თანახმად, ხელის მომწერლებს, ე. ი. ამ ორ სახელმწიფოს არ შეეძლო გაეჩერებინა თავის ტერიტორიაზე რაიმე ორგანიზაცია, წინააღმდეგი მეორისათვის. თუმცალა საქართველოს საელჩოს შესახებ არავითარი ლაპარაკი პაქტში არ იყო, მაინც მისი დატოვება პაქტიდან გამომდინარე შინაარს არ შეეფერებოდა.

მთელი ამ ცამეტი წლის განმავლობაში ჩვენი საელჩო სარგებლობდა ყველა იმ უფლებით, რაც ასეთ დაწესებულებას აქვს მინიჭებული, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყანა დაპყრობილი იყო.

ამ 13 წლის გასწვრივ უმთავრესი დანიშნულება საელჩოსი იყო ლტოლვილების დაცვა; ამ მხრივ, მართლაც, დიდი სამსახური გაუწია ამ დაწესებულებამ ქართველ ლტოლვილებს: ყოველგვარი საჭირო ქაღალდის გაცემა, როგორც დაბადებისა, ისე დაქორწინების ან დასაქორწინებელისა, განათლების დამოწმებისა და სხვა. ავადმყოფების მოვლა, სამუშაოს მოძებნა, — ერთი სიტყვით, საელჩო ეწეოდა ერთად-ერთ საჭირო მუშაობას ლტოლვილების ყოველ მხრივ დასაცავად. პროპაგანდულ მუშაობას და საქართველოს საკითხის დაცვას (სხვა და სხვა კონგრესებზე, თუ პოლიტიკურ წრეებში) ეწეოდა მთავრობა. საელჩო, როგორც ოფიციალური დაწესებულება მას ეხმარებოდა, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, საელჩოს იხმარებდა... საელჩო გახდა ცენტრად საზღვარგარეთ ჩვენი მუშაობისა.

საელჩოს წევრები იყვნენ: აკაკი ჩხენკელი — ელჩი; მიხეილ სუმბათაშვილი და ზურაბ ავალიშვილი — მრჩევლები; სოსიპატრე ასათიანი — პირველი მდივანი; ილამაზ დადეშქელიანი — მეორე მდივანი; ანტონ ჟორჟოლიანი და ალექსანდრე ქუთათელაძე — ატაშე; ეკონომიური ნაწილის გამგე — მათე სკობელევი, შემდეგში — ნ. ი. ჯაყელი; ინფორმაციული ბიუროს გამგე — ვოიტინსკი. ნივთიერი მდგომარეობა საერთოდ დიდად შეიწროებული იყო...

1933 წლისკვირიკობისთვიდან დიპლომატიურ სიაში აღარ ვიყავით. ამ ხნიდან საელჩოს არსებობა შესწყდა.

საფრანგეთის მთავრობა დათანხმდა, რომ ჩვენი „ოფისი" გვქონოდა. ეს დაწესებულება, რასაკვირველია, დიდად შორს იყო საელჩოსაგან, მაგრამ მაინც ერთად - ერთი ინსტიტუტი შეიქმნა ლტოლვილთა ინტერესების დასაცავად. „ოფის"-მა არსებობა დაიწყო ბუალოს ქუჩაზე (ნომ. 38) და აქვე დამთავრდა. 1942 წლის იანვრიდან ეს ოფისი მოისპო. ამას ხელი შეუწყო ომის მიერ შექმნილმა პირობებმა; გერმანელებმა ჩვენი ოფისი გაჩხრიკეს. რა უნდა ენახათ?! ამ დაწესებულებაში ხომ არავითარი პოლიტიკის გატარება თუ წარმოება არ შეიძლებოდა. ეს იყო ორგანო ქართველ ლტოლვილებისა, მათი ინტერესების დასაცავად შექმნილი და ვისაც სინიდისის ნატამალი აღმოაჩნდება, ის ვერასოდეს ვერ იტყვის, რომ ოფისი, როგორც ასეთი, ერთნაირად არ იცავდა ყველას ინტერესებს განურჩევლად პოლიტიკური რწმენისა. ოფისის დირექტორი მე ვიყავი; ოფისის მდივანი იყო სოსო გოგოლაშვილი; მესამე წევრად ითვლებოდა ალიოშა მდივანი (ვიცედირექტორი), რომლის ხარჯითაც ინახებოდა ოფისი. ეს უკანასკნელი ხომ სულ არ ერეოდა ოფისის მუშაობაში!

გერმანელებმა შექმნეს ახალი ოფისი, ახალი დირექტორით, რომელიც მათ სრულ ნდობას იმსახურებდა. ეს იყო ალექსანდრე დიმიტრის ძე ქორქია. მე წინააღმდეგი ვიყავი ახალი ოფისის შექმნისა, მაგრამ თუ ეს ფაქტი იქნებოდა, მე ვემხრობოდი ბ-ნ ქორქიას: პიროვნება პატი-

საფრანგეთის პრეზიდენტთან დარბაზობისას; წინ: მეორე მარცხნიდან: სოსიპატრე ასათიანი; მესამე — აკაკი ჩხენკელი.

ოსანი და სამართლიანი. მე თვითონ ვთხოვე მას დათანხმებულიყო და მიეღო ეს პოსტი.

ამ ცვლილების შესახებ ვაცნობე საფრანგეთის ხელისუფლებას, რომელიც მეტად გულდაწყვეტილი დარჩა ჩვენზე ქართველებზე; მე განვუმარტე ხელისუფლებას, რომ ეს ცვლილება შექმნილმა მდგომარეობამ გამოიწვია და ეს არ ნიშნავს იმას, რომ ქართველები საფრანგეთის ხელისუფლების წინააღმდეგი არიან. მეთქი. თქვენთვის ძნელია დღევანდელ პირობებში ჩვენი დაცვა, ახალი ორგანო ემსახურება ლტოლვილების საქმეს და სხვა.

საფრანგეთის ხელისუფლებამ, რათა ლტოლვილები არ დარჩენილიყვნენ დაუცველად, ვინაიდან დიდი უმრავლესობა ახალ ოფისებს არ ეკარებოდა, დაადგინა — მოსპოს ყველა ძველი ოფისი (რუსების, სომხების, ქართველების) და შექმნას ახალი დაწესებულება. საფრანგეთის მთავრობამ შექმნა ერთი ბიურო საგარეო სამინისტროში, ლტოლვილებისათვის; ამ ბიუროში მან დააარსა სექციები ლტოლვილთა ეროვნებისდა მიხედვით; რუსების სექცია, სომხების, ქართული უკრაინული, აზერბაიჯანულ-მთიელების, ჩეხოსლოვაკების და სხვა.

31. 8. 45 წ. ამ ჟამად ვასრულებ შვებულებას ჩემ მეგობარ ექიმ ანტონ ჟორჟოლიანისას, რომელიც იმყოფება ნორმანდიაში, სენ - ენფერიერის დეპარტამენტის თავშესაფარში, როგორც ექიმი. მოვლა და პატივი საუცხოვო მაქვს.; მინდა მართლა საფუძვლიანად დავისვენო და ამ ექვსი წლიდან დაქანცული ჯანი და აზრი აღვადგინო; ამისავის ყველა პირობა მაქვს; მოვლის მიხედვით, არა მაკლია რა; ბუნება აქ არის თვალ წარმტაცი რაც დიდად უწყობს ხელს გულის დაამშვიდეს; მიდამოები მწვანე ნოხით მოგებული; აქა-იქ გორაკები და ხშირი ხეობა. აქ ერთი რამ მაკლია: ჩემი შვილიშვილები. ხშირად გამიგონია ბევრი რამ შვილიშვილების სიყვარულზე. უწინ ძნელი იყო ჩემთვის ამის შესახებ მეთქვა რამე. ახლა კი მესმის და მე გმონია ამის ახსნაც მაქვს; მე უკვე მოხუცებული ვარ; ეს იმას ნიშნავს, რომ დღეს არა, ხვალ სამუდამოდ ამ ქვეყნიდან გავალ; ამ ჩვეულებრივ შემთხვევაში ადამიანი რაღაცას სანუგეშოს ეძებს; ძნელია შეურიგდე იმას, რომ შენ აღარ იცოცხლებ, აღარ იქნები. ამ დროს, ამ საშინელი სასოწარკვეთილების ხანაში, პირადი განცდების დროს, ხედავ შენ შვილიშვილს, რომელიც იწყებს სიცოცხლეს, სიცოცხლეს, რომელიც შენ მას გადაეცი; მასში ხედავ გაგრძელებას შენი სიცოცხლისას; შენ რწმუნდები, რომ თუ ფიზიკურად ჰქრები, სულიერად რჩები ამ ქვეყნად; ეს დიდი ნუგეშია და ამ ნუგეშს ეტრფი; თითქმის მასში ხედავ ერთად ერთ აზრს შენი არსებობისას, რაც ბადებს შენში დიდ იმედებს, დიდ სიყვარულს და ამავე დროს შიშსა და მოუსვენრობას იწვევს; ერთი სიტყვით, შვილიშვილებით ცოცხლობ; რა თქმა უნდა, ისინი გიყვარს და გიყვარს გატაცებით, უფრო მეტად, ვიდრე შენი შვილები. ჩემი ახსნა ასეთია; ყოველ შეთხვევაში ის ექვემდებარება ჩემს განცდებს: ეს უნდა იყოს ნორმალური გამოხატულება იმ გრძნობისა, რომელსაც ბაბუა განიცდის შვილიშვილების მიმართ.

ძალიან ბევრი რამ გამოვტოვე ამ მოგონებათა რვეულებიდან, რაც ომისა და შემდეგომ ხანას ეხებოდა;, რადგან დღეს არ არის შესაფერი დრო ყველაფერი დაიბეჭდოს.. ხელნაწერი რჩება ბ-ნ ვიქტორ ნოზაძესთან შესანახად.. მომავალ თაობათათვის..

სოსიპატრე (ჭიჭიკო) **ასათიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

† შალვა ამირეჯიბი

(შალვა ამირეჯიბის დაუბეჭდავი ლექსები. არქივიდან)

კოტე აფხაზის სიკვდილზე (მისი დახვრეტის გამო)

როს ჩვენი დროის რეგვენობის მწირ ანარეკლად
ჩვენში მატურებს ისე სდაგავენ, ვით თივის ზვინებს,
თავისის ფეხით ადის ბრიყვი კვარცხლბეკზედ ძეგლად
და ჯალათობა სათნოების იწნავს გვირგვინებს,

შენ, მოკლებული საფლავისა მყუდრო სიამეს,
განუბანელი აიაზმით ადის წყლებიდგან,
უცდი, შემოვა მტრის ბანაკში ეტლი პრიამის,
რომ გამოიხსნას შვილის გვამი მტრის ხელებიდან.

და გენატრება შენ საფლავი სადმე მდელოზედ,
რომ უდგეს ბუჩქი, ზედ ბილიკი ჩაუდიოდეს,
რომ კვლავ შეგეძლოს გადმოხედვა საქართველოზედ
და შენი გული იმის ბედზედ აღარ სჩიოდეს

არ ითაკილებს ჩვენი დრო რომ გაგხადეს ლეში,
ჩვენ მწუხარ გულებს შენი ფიქრი მაინც უნათებს,
და რომ სახელი დიდი გქონდა შენ სიცოცხლეში,
ეხლა შენ ამას ვეღარავინ დაგამუნათებს!

1923 წ.

კოტე ანდრონიკაშვილს

გახსოვს შენ, წუთი რომ მოგვიფრინდა,
შეკრბა ბედენზედ ჩვენი ლაშქარი,
ბერმა ალამი გვიკურთხა წმიდა
და აჯანყების ზარი დაჰკარი.

და საქართველო აღსდგა უკლებლად,
შეგვექმნა, ძმაო, ომი ჩართული,
წუთით ამაღლდა თავისუფლება,
მაგრამ დამარცხდა დროშა ქართული.

მე გამოვიქეცი მარცხის მნახველი,
შენ მანდ დარჩენა უფრო გიყვარდა
და გავიტაცე შენი მახვილი,
დაღლილ ხელთაგან რომ გაგივარდა.

არ იცი ბედი სხვას რას გარგუნებს...
მყევხარ მეტეხში გამოკეტილი,
მაგრამ დადგება წუთი კეთილი
და მოყმე კარებს მოგიკაკუნებს.

თავისუფლება აღსდგება მაშინ,
ხალხის გულიდგან მოისმენ სალამს
და ჩვენი დროშა მტრისა შემაშინ,
შენსა მეტეხზედ გადაშლის ალამს.

(უთარიღო)

ელენე აფხაზს

თავისი წლები ერთხელ მღიმარი,
ალერსიანი ბედით და ხალხით,
გამოიტირა როგორც სიზმარი
და ცხოვრობს ეხლა მოსილი თალხით,
ვით ჩვენი დროის მისამძიმარი.
მაგრამ ძაძაშიც ვით ანდრომახმა
მან შეირჩინა ძველი მშვენება,
თუმცა მიუწევს მას გული გალმა
და ფიქრიც იქით მიესვენება.
არად ახარებს ხანი ყოვნისა
და თავით ნაზად დახრილი მკლავზედ —
სდგას ვით ქანდაკი ცოცხალ ხსოვნისა
თავისი ქმარის კარგულ საფლავზედ

(უთარიღო)

ქანდაკი

შეჩერებულა შენი ხედვა ვით ქვა შურდულის,
შენი ბაგენი ხმიერობას ვეღარა სცემენ,
როგორც პანდორას — ბერწი არის შენი მუცელი
და მაგ ძუძუთგან რძენი აღარ დაილვრებიან.

და მაინც ბრძნულის მოთმინებით გჭედდა ოსტატი
და დღე და ღამეს ასწორებდა შენსა ძერწვაში...
არ არის სწორი — მარტო სული ელტვოდეს სხეულს,
არიან ხორცნიც სულებიდგან გამოქცეულნი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამულს

მიყვარხარ შენა, ხან ჩაფხუტში, როგორც ხევსური,
ავდარში ნაბდით, ამინდისას ფაფანაკებში,
მაშინაც, ოდეს შენი ლხინის მესმის ზევსური,
მაშინაც, ბრძოლის, დახმაურობ როს ბანაკებში!
და შორითგანაც, სად კდემილი შენი მშვენება
ისე დამიდის წინ, ვით ხატი და მოჩვენება.

მიყვარს შენ ტყეთა შეფიცული, ღამის მთევარი,
და პაემანი ბრძოლებისა, თიადი ჩვილი,
თავისუფლების როს ლანდისა უქმად მდევარი,
ჩვენ გვატარებდა უკმეხ შუბლით ჩოლოყაშვილი
და ჩვენთა ცხენთა ნატერფალებს მტერი თან სდევდა
და ლტოლვისა გზას გვიმალავდა მარცხი და სევდა.

ნუ თუ ვერ ვნახო შენი ველის მე უტევანი,
შენს ირიბს გზებზედ ურემი რომ ზანტად ჭრიალებს,
ძირს ღელავს ყანა და ფერდობზედ მომწიფს მტევანი,
და სერებზედაც ჯიხვი ფრთხილად უვლის ფრიალებს,
მაღლა ნაზიდი გუმბათები და ჯვარი სადა, . .
ჰაეროვანი ჩარდახები შენ ფირუზ ცათა!

შენთა ასულთა ნუ თუ ვეღარ მხვდეს ალი მწველი,
არა ტრფობისთვის — ჩემთვის უკვე მწარე წაგებისა,
რომ მათ შეუნდო ჭრილობანი გულისა ძველი
და დაგილოცო ახალ მოდგმა ძველის თემისა...
რომ სიკვდილისა მანდ მომესმან მეც ხმანი ბოლნი
და იქ დავიფლა, სადაც წვანან მეთანამბოხნი!

(უთარიღო)

ულათაურო

ჰაერში გრილა, ტყეს უხდება შემოწითლება,
მზე დგება გვიან, ჯდება ადრე და წვება ნისლი,
დღე მოწყენილი ნაზ ამინდში მოკლეთ ითლება
და ილუნება წყლის ნაპირზედ ქარისგან ისლი.

შენ შორს ხარ ეხლა და იგონებ ზაფხულის დღეებს,
როცა გულს ნატვრა გიყვაოდა და ბაღში ვარდი;
როგორც მე ეხლა შენ გიგონებ და სცვივა ხეებს,
კარებზედ მადგა შემოდგომა და გულში დარდი

ჩემო პატარავ! დროს მაგონებს ჩვენი ეს ქცევა:
ის მიჰქრის უკან და გვაშორებს ერთხელ ნახულებს,
სჩანს, ჩემი გული შენც ისევე ვერ დაგეწევა,
ვით ჩვენი მწყრალი შემოდგომა თავის ზაფხულებს.

(უთარიღო)

სოფელი

ვნახავ თუ არა მიდამოებს ჩემგან ნავიწყებს,
ველებს, ძოვლებულს კვერხაბებით, კოროძებს ბავსა,
საღამოს ნიავს, ჩამონაბერს შორის ქედებით,
როცა ღლის მუშა მინდვრებიდან ბრუნდება სახლში

და მენახირე შინ მილალავს გამაძღარ მოცადს...
ისმის ბღავილი, გოგოები დასდევენ ხბორებს
და დედაკაცი გავსილ ჯიქხებს უდგამენ ქოთახს!
უკანასკნელი ძაღლის ყეფა სწყდება სოფელში

და ნისლოვანი სერის წვერზედ, ვით შუბის ტარზედ,
ღამის მინდვრების დედოფალი ამოდის მთვარე,
და ქრება ცეცხლი ანეულში ღამიხარისა!
ჯადო ქვეყანავ! ჯადო წუთო! ვით მენატრება

თვალის დახუჭვა შენსა კალთაზედ, ისევ ახელა,
რომ მერე ისევ მე უცქირო დღისა ცხადებას,
გავართოო თვალი და ნაქეზი მოვქანცო გული,
რომ კვლავ უტიო მიწიერი და ფიქრს შეეძლოს
ღრუბლის იმიერ სივრცეებში განავრდება!

(უთარიღო)

შ. შ — ს (შალვა შარაშიძეს)

საკირის სულო, მცინავო გზნებით,
ბაბუსის მგზავრო ყურძნის ტყეებში,
მითხარ, რომელის დადიხარ გზებით,
თავს რითი ირთობ უგვან დღეებში?

ჩქარა ენდროთი იღებე წვერი,
რქები ნახე და მორთე ფლეიტა,
ხმები გაირჭე ყელში უშვერი,
ზედაც ჩლიქები, ბარწაყს ქვეითა

და მოსდე შიში პანურის ჭალებს,
რომ აიშალნენ ყველა ჯოგები,
პანი მოჰყავდეთ მხრებით ტყის ქალებს,
ვაზებსაც ძირში ედგათ დოქები,

ცეკვით, კიჟინით, თავისა რეტით,
ვაცი კვდებოდეს ბოტის ჭერაზედ
აკაკისა და ვაჟას მღერაზედ!
და საქართველო სდგებოდეს მკვდრეთით

(უთარიღო)

ეროვნული ბიბლიოთეკა

უსათაურო

მოვა თუ არა ჟამი ნეტარი,
რომ მაგ სოფელში წალამ-ყავრიანს,
სადაც ატარებთ წლებს უკვე გვიანს,
თავისუფლების მხდალი მხედარი,
მე შეგხვდეთ თქვენა ნაზს და ჯავრიანს.
თქვენ ისევ ხალი გშვენოდეთ ყელზედ,
მე სათნოება ძველი რიდობის,
მე მოწიწებით გემთხვიოთ ხელზედ
და გითხრათ, მადამ, დილა მშვიდობის!
თქვენ მე მიამბოთ დახვრეტილ ქმარზედ,
მან თქვენ სიყვარულს მრავალი სცოდა,
მაგრამ რას იზამთ, მაგ ზნესთან მწარზედ,
მოკვდა ვით გმირი, როგორც სხვა ცოტა.
მითხრათ, რომ ერთ დღეს დაგიწვეს სახლი,
რომ თქვენ იყავით ასე უიღბლო,
თქვენ უჭმელობით მოგიკვდათ ძაღლი
და დაგელუპათ მთლად თქვენი ბიბლიო!
რომ კომისარი გიცქერით ცერად,
ბელლად გიქციეს კარის საყდარი,
და მლვდელი, თქვენ რომ ჯვარი დაგწერათ
დღეს გაკრეჭილი უტაბლოდ არი.
ბაღიც აკაფეს ნაგები ვარდით,
სადაც სიონი ამოდ ჰბერავდნენ
და სადაც ისე ნაზად მიყვარდით,
სექტემბერიდგან ოქტომბერამდე!
და თქვენ პვირონაც!.. ვერ იტყვის ენა,
ვით გაუძელით ჯოჯოხეთს ამთელს,
მაგრამ თქვენ ისევ ბევრი გაქვთ თმენა
და დარდით შემცდარს უვლით დედამთილს!

დრონი ჭმუნვებით გულს გვიკოდიან,
საწუთრო გვიზის თალხის გუნებით,
წლები უკუღმა აღარ მოგვდიან
და შთენილებიც მივლენ მუნებით,
გითხრათ, რომ ჟამთა განაკიდებზედ,
მე გულჩვილობა წამერთვა თუმცა,
აღარ დავდივარ პანაშვიდებზედ,
ვამბობ საძძიძარს აღარ და ხუძცა,
და თუმცა გულზედ სხვა მიჩანს ხაზი,
სხვა სწვავს გუნებას ფიქრი ხნიერი,
მაინც მეძახდა თქვენი ხმა ნაზი
და მსდევდა თქვენი ნაზი იერი!
საღამოს თქვენგან დაკრული ფუგა,
მაგ მხრებზე შალი, ტახტზედ ჯეჯიმი,
მერე ეგ თქვენი მიცვლილი ცუგა,
მე რომ არაფრად მაგდებდა მუდამ
და ერთხელ კიდეც მიკბინა კუდამ,
და ერთის სიტყვით, ის წყნარი შუკა,
რასაც დღეს ჰქვიან ძველი რეუმი —
ყველა სხვა იყო, ყველა ეს მახსოვს,
ეს იყო თქვენი ცხოვრების ჩარა,
ვით ხელი მჭკნარი, ჩვეული საქსოვს,
ფიქრი მათ ხსოვნას ართავს, ვით ჯარა,
მაგრამ იქნება მისმინოთ მეცა,
ვით დატრიალდა ჩემს თავზედ ზეცა?!

გახსოვთ თქვენ ღამე იგი კვიმატი,
ოდეს ტფილისი ჩვენი დაეცა?
თქვენ არ გჯეროდათ მოსვლა იმათი
და მალე წასვლა მჯეროდა მეცა.
გვეგონა, აი, მიდის მთავრობა,
ევროპა ჩვენთვის თალხს ჩაიცვამდა!
მხოლოდ იმაზე იყო ჯავრობა —
გემზე რომელი ვის ჩაისვამდა!
მაგრამ წაგვიხდა ვარაუდები
და მოსპეთ თქვენი თქვენც რაუტები!
განჯინებიდან ვყიდევით თეფში,
მოგვიცდა რთველი, მერე ალოცა,
ჩოლოყაშვილი გაიჭრა მთებში
და ხალხმა მისი კვალი დალოცა!
მაშინ ქვეყნისა ვნახეთ გმირობა,
მაგრამ ტერორმა გაგვწყვიტა წელში,
ჩვენ ერთმანეთში შევთქვით პირობა
და სულ ავჯანყდით ოცდაოთხ წელში!
მან შეიწირა რაც იყო ნარჩი,
მეც აღსასრული ბევრი მიხვეწე,
მაგრამ, როგორც თქვენ, ცოცხალი დავრჩი
და ბოლოს აქეთ გადმოვიხვეწე!..

გითხრათ, რომ რაც გულს მიაჩნდა სწორად
და რითაც სული იყო შვებული,
ყველა მანდ დამრჩა და დავალ შორად,
ვით კუბო საფლავ მიტოვებული,
რომ ვცხოვრობ მხოლოდ ფიქრით უნდილით
და მარტო ერთი რად მილირს თუნდა —
თუ რა გუნებით ავდგები დილით,
ის წინალამით ვიცოდე უნდა.
მაგრამ მაშინაც, საიდან სადა,
ჩვენ ბეჯითნი ვართ მუდამ ამაში,
რაც უნდა სუფრა გვეშალოს სადა,
ადათს არ ვკარგავთ პურის ჭამაში.
ლგება თამადა. ჩვენა ვართ ჩუმად.
ღვინოს დაისხამს ერთი სამადა
და სადღეგრძელოს ამბობს ბითუმად
ის დალოცვილი ჩვენი თამადა.
და გველანდება შორი ხეობა,

ნაპირში ციხე, კოშკებ ჩართული,
კოშკებში სახლი, სახლში დღეობა
და თქვენი ლხინი ასე ქართული!
და ვხედავთ, როგორ მოლლილსა ლხენით,
ქალზედ დახრილა ჭაბუკი კოხტა
და სურს თავისი თათბირის ენით
ახალ აღნაგი სულის ამოხდა!
ის კი მდუმარებს სახე ჯავრიან
და წაულია ფიქრებსა მწარეს,
რომ ზოგნი უკვე აღარ არიან
და ზოგნიც უცხოს წასულან მხარეს.
და თან ისეთი გვაწვება ელდა,
რომ ვერ აგიწერთ ვერც ამ უსტარით,
ეს სუფრაც ისე გამერიკელდა,
ვით ამერიკას თქვენ გაუსწარით. (...)

(უთარიღო)

ვ. ფ —ს (ვერა ფალავას)

თქვენ ჯერ იყავით მაშინ პატარა,
მე კი ნაკაზმი წელთა შავი ყდით,
მერე მე ბედმა სხვა გზით მატარა
და მერე სულაც გადამავიწყდით.

ჩვენ ისევ შევხვდით უცხო არეზედ,
თქვენ უკვე დიდი, მეც სხვა ჰაოთი,
თქვენ მოწყენილი მშობელ მხარეზედ,
და მეც იქითგან ახლად ნაოტი!

მე უსწორ ბრძოლის სისხლიან ველზედ
ერთად დამცვივდა ვით ქარს ძახველი
— პოეტის ქნარი, მიბმული ყელზედ
და მეომარის ბასრი მახვილი.

თქვენ კი იმედი გამკობთ აღმგზნობი
  და მხიბლავს თქვენი ბედი სვიანი,
სახელიც ჩემთვის ასე ნაცნობი,
ესაკიც ჩემთვის ასე გვიანი.

(უთარიღო)

(უსათაურო)

მიყვარდა თქვენი შლეიფი,
თქვენი კაბები გრძელ ქობა,
თქვენს დღეობაში ქეიფი,
თქვენი უმანკო ცელქობა,

მხრებზე დაყრილი ხშირი თმა,
უბე შებმული ღილითა,
საღამოს სიყვარულის თქმა
და გაბუტება დილითა!

ეხლა თქვენ მოკლეთ იკრიჭავთ,
მოკლეს ატარებთ კაბებსა,
მკლავი სულ ღია მოგიჩავთ
და იცხებთ ფერად აბებსა!

დრო იყო თითონ გცოდავდით,
თვალი ტანს გხდიდათ ამოსა,
ეხლა ყინ დაგიცოტავდით
და თვალით გაცმევთ სამოსსა!

(უთარიღო)

თ. ქ.

მშვიდობით მწვანე კიკეთო,
მუხნარო, დიდო ვერხვებო!
ბიჭებო ასეთ-ისეთო,
მაწვნებო, თოხლო კვერცხებო!

ქალაქს მივდივარ დილაზედ,
მზე ამწვავს გზაში კეფასა,
ძაღლი მწოლარე სილაზედ
დამიწყებს ზანტად ყეფასა!

(უთარიღო)

რუბაიები

მშვიდობით! — მითხრა სინათლემ.
ნახვამდის! — მითხრა წყვდიადმა.
ცალკე დადიან — ვინათგან
ერთად არგიან არავის!

მე არ მინახავს მდინარე,
უბრუნდებოდეს სათავეს!
მეც ჩანვლე ჩემი ცხოვრება
და უკან ველარ შევყვები...

ყველა მცონარეს მეძახის;
საკუთარ ნიჭის ურგებსა.
არც მე მინახავს მცენარე
თითონ იკრეფდეს ნაყოფებს!

ამის უკეთეს დროებას
მეგონა წელნი მომგვრიდნენ
და მხვდა სიბერე ხანგრძლივი,
საგონლად მოკლე ყრმობისა!

(უთარიღო)

შალვა ამირეჯიბი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე შათირიშვილი

ემოციური განცდები ვეფხისტყაოსანში

(იხილეთ „კავკასიონი“, ნომ. 10, 11, 12).

3. გრძნობა

ბ). სევდა და სიხარული

ჩემი ძვირფასი მასწავლებლის, ღვაწლ-მოსილის, ნიჭიერი ქართველი ფსიქოლოგის და მეტად კარგი ადამიანის პროფესორ **დიმიტრი უზნაძის** ხსოვნას, მისი დაბადებიდან 80 წლის, მისი ნაამაგარის, თბილისის ქართული უნივერსიტეტის 50 წლის აღსანიშნავად

ჩემი ძვირფასი მეგობრების, თავდადებული პატრიოტების და ღირსეული საზოგადო მოღვაწეების, **სამსონ ფირცხალავას, სიმონ მდივანის, აკაკი პაპავას, სტეფანე კასრაძის, ფილიპე შარაძის, ვლადიმერ დოლიძის და რუბენ ყიფიანის** ხსოვნას, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების 50 წლის თავზე

სევდიანი, გულითადი მოგონებით.

„საწუთრო კაცსა ყოველსა ვითა ტაროსი უხვდების:
ზოგჯერ მზეა და ოდესმე ცა რისხვით მოუქუხდების“
„ვ. ტ.“, სტრ. 705.

ადამიანის ფსიქიკა ორი პოლიუსის, სევდისა და სიხარულის, სიამოვნებისა და უსიამოვნების, შორის მიმდინარეობს. ეს ორი გრძნობა, სევდა და სიხარული, ან სიამოვნება და უსიამოვნება, ადამიანის ყველა განცდას, მეტი თუ ნაკლები სიძლიერით, სრული სინათლით, თუ ბუნდოვანებით, ცნობიერი გამოკვეთილობით, თუ ძნელად მისაწვდომ ქვეცნობიერი დაფარულობით ემოციურობის თავისებურ ხასიათს ანიჭებენ.

ადამიანის ყოველი ფსიქიკური განცდა: ინტელექტური, ემოციური, თუ ნებელობითი აუცილებლად სევდის ან სიხარულის, სიამოვნებისა ან უსიამოვნების განსაზღვრელ ნიუანსების გავლენას აღიბეჭდავს.

ადამიანის თვითეული განცდა უკავშირდება გრძნობითი სამყაროს ამ ორი ანტიპოდური პოლიუსის — უაღრესი სიამოვნება, სიხარულის და უაღრესი უსიამოვნება, სევდის — ინტერვალში, დაუსრულებელი გრადაციით განწყობილ ემოციურობის რომელიმე წერტილს.

ესა, თუ ის განცდა გადადის ერთი ემოციური პოლიუსიდან მეორე პოლიუსის არეში ან შეუმჩნევლად, თანდათანობით, ნელი გადანაცვლებით, ან უცებ, ერთი მყისი ნახტომით; ისიც შესაძლებელია, რომ ესა თუ ის განცდა ერთი პოლიუსის არეში მოკლე დროით, დიდი ხნით, ან სამუდამოდ დარჩეს; ან კიდევ ,ემოციურობის ნოლის წერტილს მიაღწიოს ,გულგრილობის სახე მიიღოს და ამით ინტერესი, მიზიდულობა და ხალისი დაჰკარგოს. მიუხედავად იმისა, რომ ემოციურობის წერტილ ნოლის განცდა გრძნობათა დამახასიათებელ ბევრ სპეციფიურ თვისებებს იშორებს, იგი, ამ შემთხვევაშიც, ერთგვარი, დასუსტებული, ბუნდოვანი, თავისებური ემოციურობის მატარებელია; სწორედ ისე, როგორც ალგებრულ რიცხვთა დაუსრულებელ წყობაში რიცხვი ნოლი განსაზღვრული სიდიდეა და არა უბრალო არარაობა.

ამ მცირედი შენიშვნის შემდეგ ჩვენ შეგვიძლია დავიწყოთ ჯერ სევდის და შემდეგ სიხარულის ანალიზი.

„ფრანგული დიდი ენციკლოპედია“ ასე განსაზღვრავს სიტყვას „სევდა“:

სევდა არის ფსიქიური განცდა, რომელიც დაკავშირებულია განსაკუთრებული სახის ორგანიულ მდგომარეობასთან. ეს ფსიქიური განცდა უპირველეს ყოვლისა არის გრძნობა დეპრესიისა, ხან ტანჯვით დართული, ხან ტანჯვის გარეშე.

სევდის უაღრესად დამახასიათებელი ისაა, რომ იგი ყველა ჩვენს განცდას და ყველა ჩვენს აზრს განსაკუთრებულ განათებას აძლევს; ყველაფერს ნაღვლიან ელფერს ანიჭებს; ჩვენს აწმყოს, ჩვენს წარსულს და ჩვენს

მომავალსაც; სევდის გავლენით ჩვენ თითქმის გვეკარგება ხალისიან მოგონებათა გახსენების უნარი; არა იმ თვალსაზრისით, რომ ჩვენ ვივიწყებთ წარსულში განცდილ სიხარულს; არამედ იმიტომ, რომ სევდის გავლენით ეს სასიხარულო განცდებიც ნაღვლიანი ცნობიერების ელფერს ღებულობენ.

სევდა ხშირად წარმოიშვება იმით, რომ ესა თუ ის მოგონება, ან მოგონებათა მთელი ჯგუფი მოსვენებას არ აძლევს ადამიანს; ასეთები არიან მოგონებები ვინმეს დაშორებისა, ან სიკვდილისა ,ან კიდევ რომელიმე მარცხისა.

მოგონებათა ასეთი აკვიატება სევდის წარმოშობისათვის აუცილებელი არაა; სევდით შეპყრობილი ადამიანი ზოგჯერ აღარ ფიქრობს სევდის გამომწვევ მოვლენებზე; იგი დანაღვლიანებულია ყოველგვარ მოგონებათა პირდაპირი ზემოქმედების გარეშე; და ბოლოს ,ისეთი შემთხვევებიცაა, როცა ადამიანის სევდა არავითარ გარკვეულ მოგონებას არ უკავშირდება, როგორც ამას მელანქოლიის დროს აქვს ადგილი.

სევდის მიზეზი ორგვარია: ორგანიული და ფსიქიური.

ხშირად ჩვენ თვით ვამჩნევთ, რომ ჩვენი სხეულის გაურკვეველი ცუდად ყოფნა გვაღონებს. ხან კიდევ თავს სევდიანად ვგრძნობთ ყოველგვარი მოტივის, ყოველგვარი შეგრძნებების გარეშე; შთაბეჭდილება გვექმნება, რომ ჩვენი სევდა უსაბაბოა; ექიმის ჩარევას შეუძლია გამოარკვიოს, რომ ამ განუსაზღვრელ, თითქოს უმიზეზო სევდას, სწორედ ჩვენი ორგანიზმის ცუდად მოქმედება იწვევს. ხშირად სევდის წარმომშობი მიზეზი არა ორგანიული, ფსიქიური მოვლენაა. თუ სრულიად ჯანმრთელ, კარგად მყოფ, სასიამოვნო სინესტეზიის მქონე ადამიანს უცებ ცუდ ამბავს აცნობენ, იგი სევდიანი გახდება; ასეთი ფსიქიური ფაქტორები შეიძლება სრულიად ცნობიერი, ან მთლიანად ქვეცნობიერი იყონ.

ზოგჯერ ადამიანმა კარგად იცის, თუ რისთვისაა იგი სევდიანი; ზოგჯერ კი მას არ ესმის, თუ რატომ ნაღვლიანობს იგი; ფსიქოლოგიურ ანალიზს შეუძლია გამოარკვიოს, რომ მისი სევდის მიზეზი ქვეცნობიერია.

ფრანგი ფილოსოფოსი ლუი ლაველი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ადამიანი ყოველ გრძნობას განიცდის იმის მიხედვით, თუ როგორი განწყობა (ატიტიუდ) აქვს მას აღებულ მომენტში: უარყოფითი თუ დადებითი (პასივური, თუ აქტივური).

ამ განწყობის მიხედვით ტკივილი, ტანჯვა, მწუხარება და სევდა შეიძლება წარმოდგენილ იქმნან ან როგორც უდიდესი მავნეობის, ბოროტების წყარო, ან უდიდესი სიკეთის საწყისი.

როცა იგივე ჟანე სამართლიანად გვარწმუნებდა, რომ არიან ადამიანები, რომლებიც თავს დამარცხებულად არავითარ პირობებში არ გრძნობენ და ბრძოლას ყოველგვარი პირობების მოცემულობის გარეშე აგრძელებენო, იგი დადებითი, ანუ აქტიური განწყობის გამოვლენას აღნიშნავდა.

განვიხილოთ სევდა ჯერ უარყოფითი, პასივური განწყობის განათებაში: სევდა, მისი ხასიათი და მისი გავლენა ადამიანზე ბევრმა ფსიქოლოგმა აღწერა; უკანასკნელთა დიდი უმრავლესობა, თითქმის ყველა ისინი, სევდას ნეგატიურ ხასიათს ანიჭებენ.

სევდა, როგორც ასეთი, ადამიანის გონებრივი და მოქმედებითი გამოვლენის, აქტივობის დამაბრკოლებელია. სევდა ადამიანის სულიერ ცხოვრებაზე მძლავრად მოქმედებს, ყველა ფსიქიური ფუნქციის დასუსტებით და გამრუდებით. სევდით შეპყრობილ ადამიანს ჟორჟ დიუმა შემდეგი სახით წარმოგვიდგენს:

„სევდის დამკვიდრების შემდეგ ჩვენ ნათლად აღმოვაჩენთ, მიუხედავად ამ სევდის წარმომშობ მიზეზების სხვაობისა, მრავალ მეტად, თუ ნაკლებ შერეულ გრძნობას, რომელთა შორის მათში ყველაზე ძლიერია გრძნობა უძლურებისა (ემპუისანს) და იმედის დაკარგვისა (დეკურაჟმან); „მე აღარაფრის ხალისი არ მაქვს; მე აღარ მაქვს აღარავითარი გამბედაობა (კურაჟ); მე დამტვრეული ვარ (ბრიზე) და სხვა". ასეთია ფრაზები, რომელნიც სევდით შეპყრობილთ წამ და უწუმ პირზე აკერიათ; ასეთი ფრაზები, ჭეშმარიტად, ნამდვილ განცდებს ასახავენ; ამას თვით მთქმელთა გარეგნობაც ადასტურებს...

როცა სევდა ღრმა არის, ადამიანს ეპადება ბუნდოვანი შეგრძნება იმისა, რომ სევდის შექმნაში მონაწილეობას იღებს მთელი მისი სხეული; ადამიანი გრძნობს სევდას თავში, რომელიც მიწისაკენ იხრება; ფეხებში, რომელნიც მას ეკეცებიან; ხელებში, რომლებიც მას ძირს ეშვებიან; მთელ ორგანიზმში, რომელიც ყოველგვარ აქტივობას ჰკარგავს; სევდით შეპყრობილი გრძნობს, რომ ყველა მისი მოძრაობა შენელებულია; რომ იგი ვეღარ ახერხებს ადვილად გათბობას; რომ მას ხელები გაყინული აქვს; რომ იგი მთელი ტანით კანკალებს". 1). გვ. 357.

დარუინი კიდევ მეტი ფიზიოლუგიური დეტალებით გადმოგვცემს სევდის თვისებებს:

„სულიერი ტანჯვის ძლიერი კრიზისის შემდეგ, როცა ამ ტანჯვის გამომწვევი მიზეზები კიდევ მოქმედებენ, ჩვენ ვვარდებით დავრდომის (აფესმან) მდგომარეობაში; ეს დავრდომა და სასოწარკვეთა (დეკურაჟმან) ზოგჯერ აბსოლუტური არიან. ამ შემთხვევაში, სისხლის მიმოქცევა ნელდება; სახე ფერს ჰკარგავს, კუნთები გრძელდებიან, თვალის ქუთუთოები ძირს ეშვებიან, თავი მკერდისაკენ იხრება, სუნთქვა ნელდება და ხანგამოშვებით ღრმა ამოხვნეშით წყდება. ზოგჯერ კი ტანჯვა წყვეტოვანებით (პარ აკსე) აღიძვრება და მწუხარების ნამდვილ პაროქსიზმად იქცევა; ეს უკანასკნე-

ლი იწვევს სასუნთქი კუნთების სპორადულ შეკუმშვას, ან კიდევ ყელისაკენ მიმართულ „გლობუს ჰისტერიკუს“-ის მსგავს მოვლენას“.

ჟორჟ დიუმა ამატებს:

„ყველა დაკვირვება აღნიშნავს სევდით შეპყრობილთა ემოციურ უძლურებას, მათ სიზანტის ყოველგვარი სახის ინტელექტურ დაძაბულობის და ნებსითი მოქმედების ყოველგვარი ფორმის მიმართ... რაც შეეხება იდეების, წარმოდგენების, ხატების მოძრაობას, საერთოდ ძალიან ნელი და მეტად ღარიბია; აზროვნებაც და წარმოსახვაც სუსტნი ხდებიან“. 1). გვ. 356-356.

სევდის თვისებების აღწერის უბრალო გათვალისწინებაც კი საკმარისია იმ დასკვნისათვის, რომ სევდით შეპყრობილი ადამიანი მოქმედებისა და აქტივობის მიმართ ვერ არის ხელსაყრელად განწყობილი.

სევდის ფსიქიური განწყობა არა თუ აბრკოლებს ადამიანის ადეკვატურ მოქმედებას: საჭირო მომენტში გარემოებისათვის შეგუებულ საჭირო აქტების წარმოებას, არამედ ხშირად ეს განწყობა მთლიანად ამრუდებს ამ აქტებს. ადამიანი სევდის მიერ ყველა მისი ფიზიკური და ფსიქიური ფუნქციის დასუსტებით ან ზოგი მათგანის აღკვეთით უშინდება მოქმედებათა სიძნელეს და სიმძიმეს.

ამავე დროს სევდის გავლენით საკუთარ სამყაროში ჩაკეტვით, იგი გარემო სინამდვილეს შორდება. სევდის მიერ შექმნილი სულიერი განწყობილება თავისი ხასიათით მარცხის კომპლექსს უკავშირდება, რაც ადამიანს წარმატების მიღწევის ყველა საშუალებას ართმევს და ამით ბრძოლისათვის გამოუსადეგარად ხდის, ამ გარემოებას სწორად ასახავს მეზონავი, როცა იგი გვეუბნება:

„სევდა თავისი პოსტის დატოვებაა... იგი უტყუარად ადამიანს ყველაფერზე ხელის აღების, აბსოლუტური საოწარკვეთილების გზისაკენ მიაქანებს. რამდენადაც ეს სევდა უფრო შორს მჭვრეტია, მით უფრო ადვილად არწმუნებს იგი ადამიანს, რომ მან ბძოლაზე ხელი უნდა აიღოს; სევდა უფრო მავნეა, ვიდრე ტკივილი, რადგანაც იგი ადამიანის მიერ თავისად მიჩნეულია... და (რადგანაც იგი არაფერს აყურებს), სევდა სრულყოფი ნეგატიური ქცევაა; იგი ამ თავითვე სიკვდილის და არარაობის მიღებაა... სწორედ ამიტომ მორალისტებმა იგი სამუდამოდ დაჰგმეს; იგი ერთად ერთი გრძნობაა, რომელიც სპინოზამ აბსოლუტურად უნაყოფოდ აღიარა“-ო. 2). 58

ჩვენ რომ ეხლა „ვეფხისტყაოსანი“ გავშალოთ და იქ სევდის დახასიათება მოვნახოთ, დავინახავთ, რომ ძირითადში რუსთაველის გაგება და აღწერა ამ გრძნობისა მჭიდროდ ეგუება თანამედროვე ფსიქოლოგების მიერ მოცემულ სევდის სურათს.

ვეფხის ტყაოსანში ჩვენ ვპოულობთ სევდის ყველა იმ ფსიქიურ და ფიზიკურ ნიშნებს, რომლებსაც თანამედროვე ფსიქოლოგები სევდას განუყრელად ანიჭებენ: პასივობას, მის მიერ ადამიანის აქტივობის შენელებას და გამრუდებას, მისი აზროვნების და წარმოსახვის დასუსტებას, მისი ნებელობის დაძაბუნებას: ბრძოლაზე და მოქმედებაზე ხელის აღებას; თავისი თავის ნდობის დაკარგვას; იმედის გაკრუებას; უილაჯობის და უძლურების დამკვიდრებას; გარეშე სამყაროს გავლენის შემცირებას და შინა-სამყაროსაკენ მიბრუნებას; ხალხისა და საზოგადოებისაგან გათიშვას. იქ ვხედავთ აგრეთვე სევდის ყველა ფიზიკურ ნიშნებს, როგორც მაგალითად: მკრთალი ფერი, მოდუნებული კუნთები, ჩამქრალი, უტემბრო ხმა, ზანტი მოძრაობა, ცრემლთა ფრქვევა, მოღუშული სახე, თვალების და თავის მიწისაკენ დახრა, გულის ტოკვა ,კანკალი, გულის წასვლა, დაბნედა; შეგრძნებათა გამოვლენის დასუსტება, უიმედობა, უძილობა, მოწყენა, უხალისობა, დაუდეგრობა, მოუთმენლობა და მრავალი სხვა.

საერთოდ, სევდის ნამდვილი ხასიათი უარყოფითი, ანუ პასიური განწყობით განცდილი სევდაა.

ასეთი სევდა ამ განცდის ნამდვილი სახეა; დადებითი, ანუ აქტიური განწყობის სევდა კი ადამიანის მიერ გადამუშავებული, დაქვემდებარებული, საკუთარი აზროვნების ბრძმედში და საკუთარი ნების გავლენის ამსახველი განცდაა. ამ ნამდვილ, უშუალოდ განცდილ პასიური სევდის აღსანიშნავად რუსთაველი განსაკუთრებული სიძლიერით ორ მაგალითს გვაძლევს: მეფე როსტევანის და ტარიელის სევდას.

მეფე როსტევანის სევდა განდიდებული, განებივრებული მოხუცის სევდაა; იგი უფრო მეფის კაპრიზი და მოხუცის ნერვიულობის შედეგი არის; ამ სევდის მიზეზი ერთ და იმავე დროს სხეულებრივიცაა და ფსიქიურიც; იგი ცნობიერიცაა და ქვეცნობიერიც.

თინათინის ტახტზე აყვანის და მეფის მიერ თინათინისათვის ბრძნულ რჩევათა მიცემის შემდეგ „ნადიმად მსხდომთა ლაშქართა მუნ დიდი შემოყრილობა“; უცებ მოულოდნელად შეამჩნევს: ამ დროიდან მეტად მხიარული და ბედნიერი როსტევანი ძალზე დაღონებულია:

მეფემან **თავი დაჰკიდა** და ჰქონდა **დაღრეჯილობა;**

თქვეს, თუ: „რა უმძიმს მეფესა, ანუ **რად ფერი ჰკრთომია**“. სტრ. 56.

თქვეს, თუ: „**მეფე ცუდსა რასმე გონებასა ჩავარდნილა,**

თვარა აქა სამძიმარი მათი ყოლა არა ქმნილა“.

„ნეტარ, რა უმძიმს, რა სჭირსო?“ შექმნეს ამისი ცილობა. სტრ. 56-58.

ჯერ ეგონათ, რომ ამისი მიზეზი ის იყო,რომ როსტევანის რჩევა: „რასაცა გასცემ, შენია; რას არა დაკარგულია“, თინათინმა გადაჭარბებული გულმოდგინებით შეასრულა და ამით მეფის ქონების დიდი ზიანი მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

აყენა. შემდეგ თვით მეფის პირით გაიგეს, რომ როსტევანის სევდის მიზეზი სულ სხვა იყო:

„ეგე არ მიმძიმს, ვაზირო, ესეა, რომე მწყენია:
სიბერე მახლავს, დავლიენ სიყმაწვილისა დღენია,
კაცი არ არის, სითგანცა საბძანებელი ჩვენია,
რომე მას ჩემგან ესწავლნეს სამამაცონი ზნენია“. სტ. 62

„ერთაი მიზის ასული, ნაზარდი სათუთობითა;
ღმერთმან არ მომცა ყმა-შვილი, — ვარ საწუროსა თმობითა, —
ანუმცა მგვანდა მშვილდოსნად, ანუ კვლა ბურთაობითა,
ცოტასა შემწევს ავთანდილ ჩემგანვე ნაზარდობითა“. 63.

მეფის სევდის მიერ გამოწვეული არევ-დარევა და აფექტი ჯერ კიდევ მთლიანად გამქრალი არ იყო, რომ მეომრებმა წყლის პირას ფიქრებში და ტირილში გართული ტარიელი აღმოაჩინეს. ეს სიურპრიზიც საბაბი გახდა იმისთვის, რომ როსტევანი ხელმეორედ დასევდიანებულიყო. უცნობი ტარიელის ვინაობის არ ცოდნა და განსაკუთრებით ტარიელის მიერ მეფის კაცთა დახოცვა და ტარიელის უცები გაქრობა, როსტევანს პირველზე უფრო ღრმა სევდაში აგდებს.

კვალი ძებნეს და უკვირდა ვერ-პოვნა ნაკვალევისა,
აგრე კვალ-წმიდად წარხდომა კაცისა, ვითა დევისა;
ლაშქარნი მკვდართა სტიროდეს, სწრაფვა აქვს წყლულთა ხვევისა.

მეფემან ბრძანა: „ვნახეთ მიზეზი ლხინთა ლევისა“

ბრძანა: „ღმერთსა მოეწყინა აქანამდის ჩემი შვება,
ამად მიყო სიამისა სიმწარითა დანავლება,
სიკვდილამდის დამაწყლულა, ვერვის ძალუც განკურნება.
მასვე მადლი! ესე იყო წადილი და მისი ნება“.

ესე თქვა და შემობრუნდა, დაღრეჯილი წამოვიდა,
არცალა ჰკრა ასპარეზსა, ვამი ვამსა მოურთვიდა;
ყველაკაი მოიშალა, სადაცა ვინ მხეცთა სრვიდა:
ზოგთა თქვეს, თუ: „მართალია!“, ზოგი: „ღმერთო!“ უზრახვიდა. სტრ. 98, 99, 1000.

მეფე საწოლს შემოვიდა სევდიანი, დაღრეჯილი;
მისგან კიდე არვინ შეჰყვა, ავთანდილ უჩნს ვითა შვილი.
ყველაყაი გაიყარა, ჯალაბი ჩანს არ-დაჯრილი,
გაბედითდა სიხარული, ჩაღანა და ჩანგი ტკბილი. ს. 100.

ეს სევდა ისეთი სიმძიმით დააწვა მეფე როსტევანს, რომ მან მის დასამშვიდებლად მოსულ თინათინს უთხრა:

... უცილოდ ღმერთსა მოვძულდი, აქამდის მე მხიარული.
ტკბილნი მისნი წყალობანი ბოლოდ ასრე გამემწარნეს,
დამავიწყდა, რაცა დღენი მხიარულსა წამეარნეს,
ყოვლმან პირმან ვაგლახ მიყოს, ველარავინ მინეტარნეს,
სადამდისცა დღენი მესხენ, ველარამან გამახარნეს!“.

ასეთი იყო მეფე როსტევანის სევდა.

როსტევანის სევდაზე უფრო ძლიერია ტარიელის სევდა. ტარიელის ვეფხისტყაოსანში პირველივე გამოჩენა პასიური სევდის სრულ და ცოცხალ განსახიერებას გვაძლევს ;იგი ამ გრძნობის თვისებებს თვალ-დასანახავად და თითქმის ხელშესახებად გვივლინებს.

ნახეს უცხო მოყმე ვინმე ,ჯდა მტირალი წყლისა პირსა,
შავი ცხენი სადავითა ჰყვა ლომსა და ვითა გმირსა,
ხშირად ესხა მარგალიტი ლაგამ-აბჯარ-უნაგირსა,
ცრემლსა ვარდი დაეთრთვილა, გულსა მდუღრად ანატირსა. სტრ. 84.

წავიდა მონა საუბრად მის ყმისა გულ-მდუღარისად,
თავ-ჩამოგდებით მტირლისა, არ-ჭვრეტით მოლიზღარისად
მუნვე წვიმს წვიმა ბროლისა, ჰგია გიშრისა ღარი სად:
ახლოს მივიდა, მოსცალდა სიტყვისა თქმად აღარისად.
ვერა ჰკადრა საუბარი, მონა მეტად შეუზარდა,
მოახსენა: „გიბრძანებსო“, ახლოს მიდგა, დაუწყნარდა.
იგი ტირს და არა ესმის მისგან, გაუუმეცარდა.
მის მონისა არა ესმა სიტყვა, არცა ნაუბარი,
მათ ლაშქართა ზახილისა იყო ერთობ უგრძნობარი;
ცრემლსა სისხლი ერეოდა, გასდის ვითა ნაგუბარი.
სხვაგან ჭრის მისი გონება, მისმან თავისა წონამან!
ესე მეფისა ბრძანება ერთხელ კვლა ჰკადრა მონამან.
არცა დააგდო ტირილი, არცა რა გაიგონა მან.
არცა გახლიჩა ბაგეთათ თავი ვარდისა კონამან. სტ.85.

ტარიელი თავის სევდიან ოცნებაში იმდენად გართული იყო, რომ მას გარემო სინამდვილის აღბეჭდვის უნარიც აღარ ჰქონდა, ტარიელი სინამდვილის მიმართ ყრუ და ბრმა გახდა: მას აღარაფერი ესმოდა: არც მონათა ლაპარაკი, არც ლაშქართა „ზახილი“; ტარიელი იხედებოდა, მაგრამ ვერაფერს ხედავდა.

მისი გონება მთლიანად სევდასთან დაკავშირებული ოცნებით დახშული, გარემო სინამდვილის გაგებისათვის აღკვეთილი იყო.

რუსთაველი იძლევა აქ მკაფიო სურათს იმ ადამიანისა, რომელიც სევდის გავლენით მთლიანად თავისი შინა - სამყაროსაკენ მიბრუნებულა, ინტროვერსიის ნამდვილი მსხვერპლი გამხდარა.

არა ნაკლები გამოკვეთილობითაა წარმოდგენილი სევდის მეორე თვალთახედვითი ნიმუშებში გამოსახული სურათიც: ავთანდილმა ტარიელი პირველად შორიდან იხილა და **შორიდანვე საკუთარი თვალებით ნათლად დაინახა ტარიელის სევდის სიმწარის სილრმე,** რომელიც ტარიელის გარეგნობაში და მის ქცევაში გამოსჭვივოდა და რომელიც თავისი სიძლიერით ტარიელის სულს ღრღნიდა; დასვენების, ძილის და ჭამის საშუალებას ართმევდა, მის სხეულს ასუსტებდა: ჯანით და სისხლით სავსე ვაჟკაცს ზაფრანის ფერს აძლევდა; მუდამ „ვა, მეს“ აძახებდა.

ავთანდილ სარკმლით უჭვრეტდა, ტყვე, სჯნით ნააზატები. სტრ. 267.

მან ქალმან ხელ-ყო კვესითა გზუბა ცეცხლისა ნელისა,

ეგონა ჭამა ხორცისა შემწვრისა, შეუქნელისა;
მიუპყრა, ერთი ახლიჩა, ქმნაა საქმისა ძნელისა;
ძალი არ ჰქონდა, დაუწყო გამოყრა უცოხნელისა. ს. 268
ცოტად მიწვა, მიიძინა, თუცა ყოლა ვერა მეტი;
შეკრთა, დიდნი დაიზახნა, წამოიჭრა, ვითა რეტი,
იზახდის და წამ-წამ იკრის გულსა ლოდი, თავსა კეტი.
ცალ-კერძ ზის და პირსა იხოკს ქალი, მისი შენაჭვრეტი

მრავალი წლის განმავლობაში, რომელიც მის სულს და სხეულს ჰფიტავდა, რომელიც მის სიცოცხლეს ტანჯვით და ვაებით ავსებდა, ისეთი სიძლიერით იყო გამოვლენილი მის გაბრძენობაში, რომ ფრიდონი, ტარიელთან პირველად შეხვედრისას, მას განცვიფრებით და აღელვებით ეუბნება:
პირველ მითხრა: „არა ვიცი, რა ხარ, ანუ რას გამსგავსო? ანუ ეგრე რამ დაგლია, ანუ პირველ რამ გაგავსო? რამან შექმნა მოყვითანოდ, ვარდ-გიშერი რომ ჰრგავსო? ღმერთმან მისგან ანთებული სანთელიცა რად დაგავსო? სტრ. 599.

ჩვენ კარგად ვიცით: ის, რამაც ტარიელი „დალია“, „მჭლედ“ გახადა, მას ყვითელი ფერი მისცა და „სანთელივით დაადნო“, სევდა იყო; ტარიელის ღრმა, განუშორებელი, მტანჯავი სევდა.

მიუხედავად ამისა ტარიელი არაა ეგოისტი, სხვათა თანაგრძნობის, სხვისი გაგების, სხვისთა გაწეული ამაგის დაფასების შესაძლებლობას მოკლებული არასდროს არ გამხდარა. მის საშველად მოსულ ავთანდილს ტარიელი სიყვარულით, მადლობით და თავდავიწყებით ეუბნება:
ტარიელ ეტყვის: „რად უნდა სიტყვისა თქმა მრავალისა? რაცა შენ ჩემთვის გიქმნია, ღმერთი მზღველია ვალისა; კმა ზენაარი ზენარად, არ ნაქმარია მთრვალისა, არ-დავიწყება, მოყვრობა მოყვრისა წარმავალისა.
აწ შემიხვეწე, ნუ დამწვავ კვლა წვითა უცხელესითა;
მე რომე ცეცხლი მედების, არ ნაგზებია კვესითა;
ვერ დამშრეტ, შენცა დაიწვი სოფლისა ქმნისა წესითა.
წადი, დაბრუნდი, შეიქეცა მუნითვე, შენი მზე სით ა.

ის, რაც ჩვენ სევდაზე აქამდე ვთქვით, სევდის ზოგად თვისებებს აღნიშნავს.

ლაველი არ კმაყოფილდება ასეთი ზოგადი განხილვით; იგი შეეცადა გაერკვია განწყობის ცნების გამოყენებით, სევდის, ტკივილის, ტანჯვის და მწუხარების ყველა თვისების და განსაკუთრებით, სევდის სხვა და სხვა მომენტები; მართალია, ლაველი უფრო ხშირად ტკივილზე და ტანჯვაზე ლაპარაკობს; იგი სევდას და მწუხარებას ნაკლებად ასახელებს; ხოლო, რადგანაც ტანჯვა და ტკივილი, აუცილებლად, სევდის და მწუხარების შემცველი არიან, ლაველის მიერ ტკივილზე და ტანჯვაზე, თქმული სევდა - მწუხარებაზე გავავრცელეთ. ლაველი იხილავს ტკივილსა და ტანჯვას (მაშასადამე, სევდასაც), ჯერ, უფრო ვრცლად, უარყოფითი (პასიური) განწყობის და შემდეგ, უფრო მოკლედ, დადებითი განწყობის თვალსაზრისით; ასეთი ასიმეტრია დამოკიდებულია იმაზე, რომ სევდა - მწუხარების და ტკივილი - ტანჯვის უარყოფითი გავლენის მიხედვით, განცდა უფრო ზოგადია; დადებითი განწყობა კი უფრო იშვიათია; იგი თითქმის გამონაკლისია. **ჩვენ შევეცდებით, ლაველის ანალიზების რაც შეიძლება მეტი სისწორით, ავტორის ტექსტთან მეტი დაახლოვებით გადმოცემას.**

„უარყოფითი განწყობა, — ამბობს იგი, — თავის თავად ისახება ოთხი, ერთმანეთისაგან განსხვავებული ფორმით, რომელთაც შეგვიძლია დავარქვათ: **ა). სულიერი დაცემა** (აბატმან), **ბ). ამხედრება** (რევოლტ) **გ) განდგომა** (სეპარასიონ) და **დ). აყოლა** (კომპლეზანს) 4). გვერდი 94-95.

ა). სულიერი დაცემა. „როდესაც ტკივილი (ტანჯვა და სევდა) მეტად ძლიერი ხდება, ადამიანის ფსიქიური და ფიზიკური ძალები ჰკარგავენ ყველა თავის რესურსს და ველარ ახერხებენ საზრიანად მოქმედებას. ტანჯვის ატანის სიმძიმე და სიმწარე ადამიანის ძალების დასუსტებას, ზოგჯერ ნამდვილ პარალიზს, სრულს დაუძლურებას (პროსტრასიონ) იწვევენ. ზოგჯერ ტანჯვა (სევდა) ისე ეუფლება ადამიანის ფსიქიკას, რომ იგი სრულიად აღკვეთს იმ დიალოგს, რომელიც, ჩვეულებრივ, მსჯელობის სახით მას თავის თავთან აქვს; იგი სპობს ადამიანის თვითპატრონობას და თავისი საკუთარი თავის პირად განკარგულებაში ჭონებას, რაც აუცილებელი საჭიროებაა ადამიანის აზროვნებისა და ნებელობის გამოვლენისათვის... სულიერი დაცემა ის შინაგანი ზღვარია, რომლის იქით ტანჯვის ამსახავი ცნობიერება უზენაესი წმიდა პასიურობაა... არავის არასდროს შეუძლია დარწმუნებით თქვას, რომ მან მთლიანად დახარჯა თავისი ძალები, რომ იგი სრულიად გამოიფიტა; არავის არასდროს შეუძლია შეუცდომლად დაამტკიცოს, რომ ტკივილისა და ტანჯვისათვის მთლიანი დაქვემდებარებისა და დამორჩილების მომენტში მას მართლაც აღარ გააჩნდა თავისი არსის სიღრმეში აღარავითარი მცირედი რესურსი, რომელიც მას გაძლებისა და წინააღმდეგობის გაგრძელების საშუალებას მისცემდა“. 4). გვ. 95-96.

მწუხარება, სევდა და დარდი ყოველგან და ყოველთვის უპირატესად მარცხს ხედავენ და ყველა მოვლენას მარცხის განათებაში აღიქვამენ; ამით ისინი კაცს მოქმედებაზე ხელსაღებინებენ, დაბრკოლებათა წინაშე უკუაქცევენ და მოქმედების მიღწევითი წერტილამდე მიყვანას შეუძლებლად ხდიან.

სწორედ ამიტომ ტარიელმა ყველაფერზე ხელი აიღო: თავისი სატრფოს ძებნაზეც!

ტარიელის ასეთი სასოწარკვეთილი უმოქმედო განწყობილება დიდ ხანს გაგრძელდა: თითქმის ათი წელიწადი (რამაზი ტარიელს: „დაიკარგენით, წახვედით თქვენ წელნი მეათენია“). სტრ. 1610.

ამ სევდიანობის ხანაში ტარიელი სრულიად ინერციული იყო.

ილია ჭავჭავაძე ამ პერიოდის ტარიელზე სრულიად სამართლიანად, მისთვის დამახასიათებელი ავტორიტეტული გამჭრიახობით ბრძანებს: „გულისთქმამ ცნობა წაართვა, ცნობის წართმევამ — ღონე და უღონობამ მჩვარად აქცია ეს ახოვანი კაცი“-ო. 3). გვ. 424.

ამ პერიოდში ტარიელი ყოველგვარ ინიციატივას, სწორ განჭვრეტას, სინამდვილის გაგებას და გონიერ ქცევას მოკლებული იყო; მისი გონება დაბნეული და მისი გრძნობათა სამყარო შეკუმშული; მართალია, იგი მუდმივი გაუნელებელი სიყვარულით ფიქრობდა ნესტან-დარეჯანზე, ხოლო მას ერთ-ერთი სიტყვითაც არ გაუხსენებია თავისი ძვირფასი სამშობლო, თავისი თავდადებული ყმები, თავისი თანამებრძოლნი, თავისი გულითადი მეფე - მამობილი და დედოფალი - დედობილი. **სულიერად დაცემულმა ტარიელმა დაღლის,** იმედის დაკარგვის გავლენით უცებ გადასწყვიტა, რომ მას აღარ გააჩნდა არც ძალა და არც საშუალება ნესტანის პოვნისათვის; ყოველივე ამით ტარიელი სასოწარკვეთილებას მიეცა:

ვთქვი, თუ: ჩემგან აღარა ხამს სიარული, ცუდი ცურვა,
ნუთუ მხეცთა სიახლემან უკუმყაროს გულსა ურვა.
მონათა და ამა ასმათს სიტყვა ვუთხარ შვიდი თუ რვა:
„ვიცი რამე დამირჯიხართ, დია ცმართებს ჩემი მდურვა
აწ წადით და მე დამაგდეთ, ეტერენით თავსა თქვენთა,
ნულარ უჭვრეტთ ცრემლთა ცხელთა, თვალთა ჩემთათ მონადენთა!“ მითხრეს: „ჰაი, რასა ბრძანებ, ნუ მოასმენ ყურთა ჩვენთა!“

მეფე როსტევანიც თავისი სევდის ორივე შემთხვევაში სულიერად დაეცა ისე, რომ თვით მას არც განსჯა შეეძლო და არც დამოუკიდებლად მოქმედება; მან სრულიად დაჰკარგა თავისი საკუთარი გონიერების განჭვრეტა; იგი უილაჯო ადამიანივით სხვისაგან ელოდა თავისი გზის გაშუქებას და სევდისაგან თავის დაღწევის საშუალების პოვნას: თვით მას აღარა ჰქონდა არც პირველი და არც მეორე სევდის გაქარვების შესაძლებლობათა გამონახვის ძალა და უნარი; იგი უმწეო გახდა, როგორც სუსტი ბავშვი.

როსტევანი სრულიად ცნობიერი იყო ამ თავისი უმწეობისა და უძლურებისა; სწორედ ამიტომაც საშველად თინათინი იხმო:

უბრძანა, თუ: „წადი, უხმე! უმისობა ვით გავძლეო?
მოახსენე: „რად დაჰბრუნდი შენ, მამისა სიცოცხლეო?
მოდი, ჭმუნვა გამიქარვე, გულსა წყლულსა მეწამლეო,
გითხრა ჩემი სამიზეზო, მე თუ ლხინთა რად დავლეო“.

თუ პირველი სევდა ავთანდილმა სანადირო მოედანზე გაუქარვა; მეორე სევდა თინათინის გონიერებამ გაანიავა:

ქალმან ჰკადრა: „ხელმწიფეო, დაღრეჯილსა ვინცა გცნობდეს, ვინცა გნახა კადნიერად, რაზომ გინდა ამაყობდეს! თქვენნი აგრე დაღრეჯანი მნათობთაცა დაამხობდეს! **კაცმან საქმე მოაგვაროს, ვეჰვ, ჭმუნვასა ესე სჯობდეს**“ სტრ. 107.

„მე ამას ვარჩევ :მეფე ხარ, მეფეთა ზედან მფლობელი. შორს არის თქვენი საზღვარი, ბრძანება-მიუთხრობელი. გაგზავნე კაცი ყოველგან მისთა ამბავთა მცნობელი, ადრე სცნობ, არის იგი ყმა შობილი, თუ უშობელი“.

ბ). ამხედრება. სევდის მეორე მომენტია ამხედრება, რომელიც გარეგნულად სულის დაცემას ეწინააღმდეგება და მისგან ძირითადად განსხვავდება; ნამდვილად კი სევდიანი ამხედრების შინაარსი სულიერ დაცემას ენათესავება; ერთიც და მეორეც პასიური სულიერი მდგომარეობაა; განსხვავება ისაა, რომ სულიერი დაცემა წყნარად მიმდინარეობს; ამხედრება კი ზოგჯერ ბევრი ხმაურობის გამომცემია.

ადამიანს ტკივილი და ტანჯვა უცხო ელემენტად მიაჩნია, რომელიც მის დაუკითხავად შემოჭრილია მისი პიროვნების არეში და მის ცნობერებას, მის ნებისყოფას, მთელ მის არსს, იპყრობს; ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ ადამიანი უმხედრდება თავის საკუთარ ტკივილს და ტანჯვას, რომ მას სურს მათი თავიდან მოშორება. მაგრამ რადგან სევდიანი ამხედრება ნეგატიური განწყობის, ესე იგი, უკვე დაქვემდებარებულ, სულიერად დაცემულ ადამიანის „მე“-ს გამოძახილია, იგი ნამდვილ, შედეგის მქონე, კონსტრუქციულ აქტებს ვერ იწვევს: **იგი ტკივილის და ტანჯვის (მაშასადამე, აგრეთვე სევდის) მიზეზების წინააღმდეგ კი არ მიემართება, არამედ მხოლოდ თავის თავს, თავის გარემოცულობას და მთელ ქვეყანას ესაყვედურება; ერთი სიტყვით, იგი პასიურად უმხედრდება ყველა მათ, ვინც და რაც ამ ტანჯვის მოსპობისა და შებრძოლებისათვის უძლურნი არიან.**

ეს მიმართება, უბრალო, პასიური პროტესტი, ჩივილი, თავისი თავის სხვის მიერ შეცოდება, უსამართლოდ მიყენებული ტანჯვის და ამ ტანჯვის სიმძიმის აღიარებაა. 4). გვ. 97-98.

ეს ამხედრება იმას უდრის, რასაც ჟ. დიუმა აქტიურ სევდას უწოდებს, რომელიც მისივე თქმით, „პროტესტობს, ყვირის, ნანობს, და წუწუნებს... აქტიური სევდის ამხედრება მუდამ თანამორჩილების განუყრელია. იგი ორმაგი ბუნების მქონე სასოწარკვეთილების აფექტია, რომელიც ამხედრების გრძნობასთან ერთად შეი-

ცავს აგრეთვე ერთგვარი უძლურების გრძნობას". 1). გვერდი 359. სწორედ ამიტომ ჟ. დიუმა თვითვე აღიარებს, „რომ, ამ შემთხვევაში, ტერმინი „აქტიური"-ს ხმარება ნაძალადევია; და, თუ მან იგი იხმარა, იმიტომ, რომ ხმაურიან და უხმო სევდათა შესაფერი და უფრო სწორი ტერმინი არ ჰქონდა; დიუმა ნათლად აღნიშნავს, რომ მის მიერ „აქტიურად" აღნიშნული სევდა არსებითად და უდავოდ „პასიურია"-ო. 1). გვ. 359.

ლაველიც ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ სიტყვა „ამხედრების" „აქტიურმა" შარავანდედმა არ უნდა მოგვატყუოს და არ უნდა დაგვავიწყოს, რომ ტკივილის და ტანჯვის, მწუხარების და სევდის ამხედრებითი განწყობა ნამდვილად პასიური, ნეგატიური ხასიათისაა; იგი ანგრევს, ასუსტებს და არაფერსა ჰქმნის; არაფერს ახალს, თავისებურს არ აშენებს.

როცა ტარიელი თავისი თავგადასავალის მოთხრობის დროს მიაღწევს იმ მომენტის გახსენებას, სადაც ნესტანმა საყვედურებით აავსო თავისი მოტრფე „რჩევაზე" დასტურის მიცემისათვის, ტარიელი თავის საკუთარ თავს და მთელს ქვეყანას აძაგებს:

აწ დავკარგე, რად არ გიკვირს, რად ცოცხალ ვარ, რად ვარ რეტად?
ვა, სოფელო უხანოო, რად ჰზი სისხლთა ჩემთა ხვრეტად? სტრ. 529.

როცა ფრიდონი სეირნობის დროს ტარიელს უამბობს, რომ მან შემთხვევით ნესტან დარეჯანის გამტაცებელი ნავი და თვით ნესტან დარეჯანი შორიდან დაინახა და შემდეგ ყოველივე ეს მან მხედველობიდან დაკარგა, ტარიელი თავისი უძლურების გამო თავის საკუთარ თავს უმხედრდება:

ესე მესმა ფრიდონისგან, მომემატა ცეცხლი, სიცხე,
ცხენისაგან გარდავიჭერ, თავი სრულად გავიკიცხე,
ჩემთა ლაწვთა დანადენი მე ჩემივე სისხლი ვიცხე.
ვუთხარ: „მომკალ, უჩემოსა ენახამცა ვისცა ისც ხე!".

ასეთი ამხედრება ხშირია ტარიელის ცხოვრებაში; ზოგჯერ მისი ამხედრება მეტად ამაღელვებელია.

როცა ტარიელმა დაამთავრა თავისი ამბავის ავთანდილისათვის მოყოლა, იგი ერთხელ კიდევ მოიგონებს ნესტანის არა ჩვეულებრივ სილამაზეს და თავისი მდგომარეობის აუტანლობას:

მისსა ვერ იტყვის ქებასა ყოველი ბრძენთა ენები;
მას დაკარგულსა ვიგონებ მე, სიცოცხლისა მთმენები;
მას აქათ ვახლავ ნადირთა, თავსა მათებრვე მხსენები;
სხვად არას ვიაჯ ღმრთისაგან, ვარ სიკვდილისა მქენები

ამ მწარე მოგონების მიერ გამოწვეული სრული უილაჯობის შეგნების გამო ტარიელი ისევ თავის საკუთარ თავს უმხედრდება:

პირსა იცა, გაიხეთქა ლაწვი, ვარდი აიხეწა,
ლალი ქარვად გარდაიქცა, ბროლი სრულად დაილეწა.

ეს უმწეო ამხედრება თავისი თავის წინააღმდეგ, ისეთი ამაღელვებელი იყო, რომ:

ავთანდილსცა ცრემლი წასდის წამწამთაგან ერთ სახე,
წა; მერმე ქალმან დაადუმა, მუხლ-მოყრილი შეეხვეწა.

მეფე როსტევანის ამხედრება ერთგვარ წუწუნში, თავისი თავის შეცოდებაში, ღმრთის მიერ მისი ულალოდ, დაუნდობლად და უღირსად აღნიშნაში გამოიხატება:

უცილოდ ღმერთსა მოვძულდი აქამდის მე მხიარული...
ტკბილნი მისნი წყალობანი ბოლოდ ასრე გამემწარნეს,
დამავიწყდა, რაცა დღენი მხიარულსა წამეარნეს.
ყოვლმან პირმან ვაგლახ მიყოს, ველარავინ მინეტარნეს,
სადამდისცა დღენი მესხნენ, ველარავინ გამახარნეს.

ბუნებით აქტიური ავთანდილიც განსაკუთრებული მტკივნეულობის დროს მსგავსი პასიური ამხედრებით რეაგირობს მოწოლილი სევდის მიმართ: ავთანდილის მეორეჯერ ტარიელთან მისვლისას, ტარიელი, თავისი დაპირების საწინააღმდეგოდ სახლში არ აღმოჩნდა; იგი სადღაც წასულიყო; ამ გარემოებამ ავთანდილი ძალიან შეაწუხა და ძალიან გააჯავრა:

ყმა დაეშფოთნდა ვითამც რამე ჰკრეს ლახვარი გულსა
შუა; ქალსა ეტყვის: „აჰა, დაო, ეგეთიმცა კაცი ნუა,
იგი ფიცი ვით გატეხა! არ ვეცრუვე, ვით მეცრუვა!
ვერ იქმოდა, რად მიქადა? თუ მიქადა, რად მიტყუა?

გამოდიოდა მისი სიტყვიდან, რომ ტარიელმა არ აასრულა თავისი დანაპირები და ამით ავთანდილი უსაზღვროდ შეაწუხა, დასტანჯა, თავისიანები უბრალოდ აფორიაქებინა, თავის ძირითად დანიშნულებაზე და ფუნქციებზე ხელი ააღებინა; მეფე როსტევანი და თვით სახელმწიფო საფრთხეში თუ არა, გასაჭირში ჩააგდებინა; სატრფო გრძელი ვადით დაატოვებინა; ერთი სიტყვით, ავთანდილის მიმართ მჩატედ, დაუფიქრებლად, ანგარიშის გაუწევლად, მოურიდებლად მოიქცა. ამან ავთანდილი ძლიერ ააღელვა, წყენით, ბრაზით და სევდით აავსო; მიუხედავად ამისა, ავთანდილი მაინც ცდილობს როგორმე ტარიელი იპოვნოს:

ყმა გაემართა საძებრად მტირალი, ცრემლთა მფრქვეველი, ეძებს ,უშახის, უყივის, დღეებრ ღამეთა მთეველი
სამ დღემდის მოვლო მრავალი ხევი, შამბნარი, ტყე, ველი;
ვერ პოვა, მივა მჭმუნვარე, ვერას ამბისა მცნეველი.

რასაკვირველია, ამ მომენტში ავთანდილი სრულიად უმწეო და სასოწარკვეთილი იყო; ეს სულიერი განწყობილება სწორედ პასიური ამხედრებით გამოვლინდა:

იტყვის: „ღმერთო, რა შეგცოდე, ეგზომ დიდი რა გაწყინე; რად შემასწარ ამა ბედსა, რა სასჯელი მომივლინე! გამკითხველო, გამიკითხე, აჯა ჩემი შეისმინე,
დაამოკლენ დღენი ჩემნი, ჭირი ამით მომილხინე!"

ბ) განდგომა. სევდის მესამე მომენტია განდგომა. ტკივილი და ტანჯვა მძლავრად იჭრება ადამიანის უაღრესად საიდუმლო ინტიმობაში, თუ შეიძლება ითქვას, მისი „მე“-ს შუაგულში; მას მთლიანად იპყრობს და პირადი მეობის შეგნების ჰიპერტროფიას ახდენს.

ამის გამო ტკივილი და ტანჯვა ადამიანის მთელ ყურადღებას მისი საკუთარი პიროვნებისაკენ და ამ პიროვნების მიერ განცდილ მოვლენებისაკენ მიმართავს; ამიტომ ეს უკანასკნელი მის პიროვნებასაც და მის განცდებსაც სხვებისაგან განსხვავებულად, სხვისი გაგებისაგან მიუწვდომელ მოვლენებად წარმოიდგენენ.

ტკივილი და ტანჯვა იმდენად იპყრობს ადამიანის სულსა და სხეულს, რომ იგი ტკივილის და ტანჯვის გარეშე იმდენად სუსტი, იმდენად უმნიშვნელო არიან, რომ მას აღარ ძალუძს ადამიანის ინტერესი გაიღვიძოს; სწორედ ამიტომ ადამიანს შთაბეჭდილება ექმნება, თითქოს მისი განცდები, მათი ხასიათი, მათი სიმძლავრე ისეთი არა ჩვეულებრივი არიან, რომ ისინი მათ განმცდელ პიროვნებას სხვებისაგან ძირითადად განსხვავებულად, რიგს გარეშე თვისებების მქონედ ასახავენ.

თანდათანობით, ტანჯული ადამიანი ეთიშება თავის გარემოცულობას; თვით იგი სხვებისათვის და სხვები მისთვის გაუგებარი, საერთო საზომის, საერთო ინტერესების მოკლებულად ხდება. იბადება გაყრა ტანჯული ადამიანისა და ყველა სხვა ადამიანთა შორის; იმათი ჩათვლით, ვისაც ამ ადამიანისათვის თანაგრძნობის, სიყვარულის მიტანა და მისი ტანჯვის სიმწარის შემსუბუქება სურს; ისე, რომ, ბოლოს, ადამიანი ჰკარგავს სხვებთან კავშირის და ურთიერთობის სურვილსაც კი და ამრიგად ეთიშება იგი ყველა თანამოძმეებს, თავის ქვეყანას და მთელს მსოფლიოს. 4). გვ. 99,100,101.

ტანჯვით შეპყრობილი ადამიანი მასთან თანაგრძნობით და დახმარების განზრახვით მისულ მეგობრებს და მის მიმართ ვალდებულებათა მქონე პირთ ეუბნება; — „თქვენ არ შეგიძლიათ გაიგოთ ჩემი ტანჯვა და ჩემი ტანჯვის ხასიათი. დამანებეთ თავი“-ო. 4). გვ. 101. სწორედ ისე, როგორც ამას სიკვდილის პირად ტანჯვით შეზარებული ტარიელი ეუბნება მის საშველად მისულ ავთანდილს:

რა ადვილად გიჩნს მოთმენა ჩემთა სასჯელთა თმენისა.
მაწყენ, არა მცალს, დამეხსენ, არცალა ვახლავ თმობასა.

საშიში და მავნე აქ ის კი არ არის, რომ ტანჯვა და მწუხარება ადამიანს თავისი თავის „მე“-სკენ მიმართავს და თავისი შინა სამყაროსაკენ მიაბრუნებს; სავალალო და სამწუხარო ის არის, რომ ადამიანი მიეჩვიოს ასეთი განდგომით ცხოვრებას; იგი მიიღოს სასიამოვნოდ, თავის სასურველ იდეალად გაიხადოს; საბოლოოდ დაშორდეს ქვეყანას და ამით აბსოლუტურ ეგოიზმში ჩაიძიროს. რასაკვირველია, განდგომა ყოველთვის ასეთ უკიდურესობამდე არ მიდის; მას გააჩნია მრავალხარისხეულობა: იგი ხან მეტად მოკლე ხნისა და ზერელეა; ხან კი მეტად, თუ ნაკლებად, გრძელი ხანიერობისა და მეტად, თუ ნაკლებად ძლიერებისა.

მეფე როსტევანის განდგომა მოკლე ხნისა და არა ღრმა არის ;იგი მის ოთახს არ გასცილებია:

ესე თქვა და შემობრუნდა, დაღრეჯილი წამოვიდა.
მეფე საწოლს შემოვიდა, სევდიანი დაღრეჯილი;
ყველაკაი გაიყარა, ჯალაბი ჩანს არ დაჯრილი.
გაბედითდა სიხარული, ჩაღანა და ჩანგი ტკბილი.

ასეთივეა დროგამოშვებით ავთანდილის სევდაც.

როცა ტარიელის ძებნის დაწყების წინ ავთანდილი თინათინს გამოეთხოვა, იგი მეგობრებთან, ჯარში კი არ წასულა, არამედ თავის საწოლ ოთახში; მას სურდა განმარტოვება, ფიქრთა მოკრება, თავის საკუთარ თავთან ყოფნა; აგრეთვე თავისი ცრემლების, სევდის სხვებისაგან დამალვა და, შეიძლება, თავისი სევდის გამოვლენისათვის გზის გახსნა:

ბროლი და ლალი გასრულვარ ქარვისა უყვითლესად-რე
ბროლო და ლალო გასრულვარ ქარვისა უყვითლესადრე
მაშინ რაღა ვქმნა, ვერ-ჭვრეტა რა მომხვდეს კვლა
უგრძესად-რე. სტრ. 139.

საწოლს დაწვა, ტირს, მტირალსა ცრემლი ძნელად ეხოცების; ვითა ვერხვი ქარისაგან, ირხევის და იკეცების
რა მიჰლულნის, სიახლევე საყვარლისა ეოცების,
შეკრთის, დიდნი დაიზახნის, მით პატიჟი ეოცების.

განდგომა ზოგჯერ განსაკუთრებულად გაზვიადებულ ფორმას იღებს და ადამიანს ქვეყნისა და საზოგადოებრივისაგან სთიშავს. ტარიელი თვით ამბობს:

სევდად მეცა კაცთა ნახვა, ცეცხლი უფრო გავიალე,
არ მიუვე ახლოს შეყრად, თავი ჩემი შევიწყალე, . .
მათგან მკრთალი შემოვბრუნდი, ტყესა შიგან დავიმალე;

ვთქვი, „ნუთუმცა უკუმრიდა, რა გათენდეს, წავალ ხვალე“. სტრ. 271.

იმისთვის, რომ ეს განდგომა ტარიელს აბსოლუტურად გაეხადა, იგი, როგორც ჩვენ უკვე ვიცით, გადაიკარგა მხეცებით გავსილ და ძნელად გასავალ ტყეებით შემოქალტულ უდაბნოში, რომლის მიკვლევა ავთანდილს აგრე რიგად გაუჭირდა. **აქ ტარიელმა, ასმათთან ერთად, მრავალი წელი გაატარა ისე, რომ ტარიელს არასდროს უსურვებია ამ უდაბნოდან გასვლა და ადამიანთა წრეში დაბრუნება. აქ ტარიელმა იპოვა თავის სულიერ მდგომარეობასთან შეფარდებული გარემო, სადაც იგი თავისუფალ გასავალს აძლევდა თავისი სევდის კულტივირებას.**

ვინ იცის, თუ როგორ დამთავრდებოდა ტარიელის ასეთი გაზვიადებული განდგომა, ავთანდილს იგი რომ არ მიეგნო და თავისი აქტივობით არ დაეხსნა ამ ნებსითი ტყეობისაგან!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ). აყოლა. ტანჯვის აყოლა ლაველს ერთგვარ პარადოქსად მიაჩნია; იმის ნაცვლად, რომ ადამიანმა მოიშოროს, გარიყოს ტკივილი და ტანჯვა, იგი მათ ურიგდება და ეგუება. ტანჯვასთან, ტკივილთან შეგუება მწუხარე, სევდიან ცნობიერებაში იწვევს საკუთარ პიროვნების განსაკუთრებული მნიშვნელობის და ღირსების შეგნებას: რადგანაც ტანჯვა მეტად ძლიერი, თავისებური, ექსკლუზიური განცდაა, მისი მზიდველი პიროვნება ამ პიროვნების თვალში მეტად თავისებური და დიდ ბუნებოვან არსად ისახება. ასეთი ადამიანის შეგნებაში მწუხარება და ტანჯვა განარჩევენ მის პიროვნებას მისთვის განსაკუთრებულ, არა ჩვეულებრივ ღირსების მინიჭებით; ყოველ შემთხვევაში, მისი ბანალურ პიროვნებათა დაშორებით და გამონაკლისობის, უნიკუმობის, თავისებურობის კატეგორიაში აყვანით.

ტანჯვა - მწუხარებით მოცულ ადამიანის შეგნება თანდათან იმ აზრს ექვემდებარება, რომ მისი პიროვნება უფრო ფაქიზი ,განცდებით უფრო მდიდარი, თავისებურობით მეტად განსხვავებულია; რომ ტანჯვა-მწუხარება მას სხვებისაგან განარჩევს და აკეთილშობილებს. და ამრიგად ადამიანი იწყებს (რასაკვირველია, არა ყველანი, არამედ ზოგი მათგანი) თავისი ტკივილის, ტანჯვის ,მწუხარების, სევდის კულტივირებას; თავისი თავის ტანჯვითი შარავანდედით შემოსვას (კიულტიურ დე სუფრანს). ასეთ ადამიანს ეჩვენება, რომ ყველას არ შესწევს ძალა დიდი ტანჯვა აიტანოს და, თუ კი იგი ამას ახერხებს, ეს შეუცდომელი ნიშანია მისი პიროვნების ღირსებისა; **მისი რწმენით, ადამიანის გრძნობიერობის საზომია არა სიამოვნება, არამედ ტანჯვის ატანის მოცულობა** (კაპასიტე დე სუფრირ).

საშიშროებაც აქ სწორედ ისაა, რომ ადამიანი ასეთი წარმოდგენით თავის საკუთარ თავს ყველა სხვა ადამიანთ უპირისპირებს და ასეთი დაპირისპირებისთვის ამავე წარმოდგენაში გამართლების საბუთს პოვულობს. 4). გვერდი 102, 103, 104. სევდის ეს უკანასკნელი მომენტი, „აყოლა", ვეფხისტყაოსანში ნაკლები სიძლიერითაა მოცემული; ხოლო ზოგი სტროფის ინტერპრეტაცია საშუალებას გვაძლევს, რომ ეს მომენტიც ვიგულისხმოთ, განსაკუთრებით, ტარიელის სევდაში; ყოველ შემთხვევაში, ტარიელის სევდის უკანასკნელ პერიოდში.

ტარიელი თავის სევდასთან თითქმის ათი წელი განუშორებლად ცხოვრობდა; იგი მისი პიროვნების ძირითადი გრძნობა და მისი განცდების განუწყვეტელი, განუკვეთელი ფონი გახდა. ტარიელისათვის სევდა მისი წმიდათა წმიდა ქონებად ისახებოდა; და ამიტომაც მისი უვნებლად შენახვა, მისი კულტივირება, ტარიელისათვის ცხოვრების იდეალიც და აზრიც უნდა ყოფილიყო; სწორედ ისე, როგორც ნესტან დარეჯანის პიროვნების მოგონების უნაკოდ მეხსიერებაში შენახვა ტარიელისათვის ცხოვრების აზრი და იდეალი იყო. ეს განუზომელი, მრავალ-წლეული ტანჯვა მას თავის დაკარგულ საბრიფოს მოგონების შენახვას ემსახურებოდა; უკანასკნელ წუთებში, სიკვდილის მოახლოვების მომენტში, სწორედ ამ ტანჯვის სიმძიმე უსახავდა ტარიელს იმედს საიქიოში ნესტანის ხილვისას.

თუ ეს, ტარიელისათვის მწარე და ამავე დროს წმიდა ტანჯვა არ იქნებოდა, არც ნესტანის მოგონებაც არ იარსებებდა ასეთი ცოცხალი სახით. ამიტომ ტარიელის თვალში მის ტანჯვას ერთგვარი სიწმინდე, ღირებულება და აზრი ჰქონდა; ტარიელი თავის ტანჯვას მთლიანად არასდროს შერიგებია; იგი მას მთლიანად არასდროს აჰყოლია; ხოლო ამ ტანჯვის საიახლოვე და ინტიმობა მას ნესტანის სიახლოვეს და ინტიმობას აგრძნობინებდა; ამდენად ტარიელი თავის ტანჯვას ნაწილობრივ იწყნარებდა, იგუებდა და ითვისებდა. თუ ტარიელი ამ მძიმე ტანჯვას სიამოვნებით „მწარე ტკბუნებით" არ განიცდიდა, იგი, უდავოდ, მას არ ეწინააღმდეგებოდა; მისი დაშრეტის საშუალებებს არ ეძებდა. იმდენად, რამდენადაც ტარიელი ნესტანის მოგონებას, ხსოვნას კულტივირებდა; იმდენად, რამდენადაც ეს მოგონებები ტარიელის ტანჯვას უკავშირდებოდნენ, ცხადია, ტარიელი ამ ტანჯვას იწყნარებდა; მას სასურველად სთვლიდა. ამის მოწმეა ვეფხის ტყავი, რომელსაც იგი განუშორებლად ატარებდა და აგრეთვე ასეთივე ვეფხისტყავი, რომელსაც ასმათი მას ქვაბში მისვლისას დასაჯდომად და დასაწოლად უგებდა. აი, ასეთი არის სევდის, ტკივილის, ტანჯვის და მწუხარების განვითარების მომენტები.

საინტერესო და აღსანიშნავი ჩვენთვის ის არის, რომ ვეფხისტყაოსანში სევდა მარტო ზოგადი ნიშნების მსგავსებით კი არ ეგუება თანამედროვე ფსიქოლოგიის აღწერას სევდის ხასიათისას, არამედ აგრეთვე თითქმის ყველა დეტალებით.

აქ ჩვენ შეგვეძლო გაჩერება და სევდის ნეგატიური, პასიური განწყობის განათებაში განხილვით დაკმაყოფილება. ჩვენ ეს შეგვეძლო, ერთი იმიტომ, რომ ვეფხის ტყაოსანში მთავარი და უდიდესი სევდა ტარიელის სევდა არის, რომელიც უკვე ვიცით, ნეგატიურ, პასიურ განწყობის განათებაშია განცდილი. მაგრამ საკითხის უფრო მეტი სისრულის თვალსაზრისით უკეთესია. რომ განვიხილოთ აგრეთვე დადებითი, აქტიური განწყობის გავლენაც სევდის განცდაზე. ამისთვის ჩვენ მივმართავთ ლუი ლაველთან ერთად მაქს შელერს.

დადებითი განწყობა ტკივილს, მწუხარებას, ტანჯვას და სევდას არ სცვლის, მათ ბუნებას და მათ ხასიათს არ ასხვაფერებს; ეს განწყობა მათ იმორჩილებს, იქვემდებარებს და სძლევს; ეს განწყობა მათ გარკვეულ აზრს, შინაარს ანიჭებს; და ყოველივე ამით ადამიანის სული-

ერი არსის ამაღლებას ,მისი ფსიქიკის გამდიდრებას, გაზდას და გაფურჩქვნას იწვევს; მისი მოქმედების და ცხოვრების სიძნელეთა გადალახვის ახალ, მძლავრ საშუალებებს ანიჭებს. ამ მოსაზრებას ლუი ლაველი შემდეგნაირად ასაბუთებს:

ლაველის აზრით, ყოველგან, სადაც ტკივილი, მწუხარება, ტანჯვა ან სევდა არსებობს, არის აგრეთვე საშიშროება (პერილ), რომელიც ადამიანს ემუქრება. ტკივილი ადვილად ჰქმნის ადამიანის ფსიქიკაში უარყოფითი განწყობას ყველა მისგან გამომდინარე შედეგებით; ამის მიზეზია ის, რომ ადამიანი ტკივილს და, მაშასადამე, **ტანჯვას, მწუხარებას და სევდას წარმოიდგენს როგორც სრულიად დასრულებულ, დამთავრებულ ფაქტს. იგი ფიქრობს, რომ ტკივილის და ტანჯვის წინააღმდეგ ჩვენ არაფერი შეგვიძლია გარდა იმისა, რომ ტანჯვა მწუხარება განვდევნოთ, თავიდან მოვიშოროთ ან მთლიანად დავექვემდებაროთ მათ. ნამდვილად კი ადამიანმა უნდა ისწავლოს არა მარტო ტკივილის და მწუხარების ატანა, არამედ აგრეთვე მისი შეღწევა, მისი ჩაწვდომა (პენეტრე) და მისი დასაკუთრება (ა ლა ფერ სიენ);** ტკივილი - ტანჯვა არ არის მხოლოდ ადამიანის არსის აღკვეთა (პრივასიონ დე ლ.ეტრ) ინ მისი შემცირება; იგი გულისხმობს აგრეთვე პოზიტიურ ელემენტს, რომელიც ადამიანის ცხოვრებას ერთვის (ს ენკორპორ) და მას სახეს უცვლის.

ყოველი ადამიანი სცდილობს ტკივილის (ტანჯვა, მწუხარების, სევდის) თავიდან მოშორებას იმ მომენტში, როცა ტკივილი - ტანჯვა ადამიანზე მოქმედებს; ხოლო წარსულის პერსპექტივაში იგი დადებითად ჩანს; ადამიანი ამჩნევს, რომ წარსულში განცდილმა ტანჯვამ მასზე უდიდესი გავლენა მოახდინა; რომ მან მის ცხოვრებას სიღრმე და სერიოზულობა მიანიჭა; რომ ტანჯვა - ტკივილმა მას ღირებული, ძირითადი ცოდნა მისცა იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენდა მისი გარემოცულობა და მისი ხვედრი.

ლაველი გვიმტკიცებს: ჩვენ რომ დავაკმაყოფილოთ ყოველი ადამიანის უდიდესი კანონიერი, ბუნებრივი სურვილი — თავიდან აიცილოს ყოველი ტკივილი, ტანჯვა, მწუხარება, ბევრნი მეტს დაჰკარგავდნენ, ვიდრე მოიგებდნენ. აქ მთავარი იმდენად ის კი არ არის, თუ რის მოცემა შეუძლია მას ადამიანისათვის, როცა ადამიანის ნებელობა ტანჯვა-ტკივილის მიმართ განსაკუთრებული სახით მოქმედებს.

უდავოა, რომ ტკივილი, მსგავსად მწუხარებისა,სევდისა და ტანჯვისა, წარმოადგენს ერთგვარ გახევას (დეშირიურ), ადამიანის „მე"-ს ორად გაყოფას, ადამიანთა არსის სფეროში კონფლიქტის წარმოქმნას და მისი არსის გაბზარვას (ეკლატმან). ტკივილი-ტანჯვა ადამიანის პიროვნების მთლიანობას სპობს, რადგანაც ადამიანი ერთ და იმავე დროს არის არსი, რომელიც იტანჯება და არსი, რომელსაც ტანჯვა არ სურს.

მაგრამ განა მართალია ის აზრი, რომ ყოველივე ეს ადამიანის არსის დაღარიბებას წარმოადგენს, როგორც ამას ზოგნი ფიქრობენ?

ლაველის მიხედვით, ეს აზრი სწორიცაა და ყალბიც.

„იგი, მართალია, იმდენად, რამდენადაც ტკივილი და ტანჯვა მხოლოდ იქ არის, სადაც დაზიანება და ჭრილობა არის; მაგრამ იგი აგრეთვე მცდარია, რადგანაც ტკივილი და ტანჯვა ანიჭებს ადამიანის განცდებს საოცარ აგზნებას და არა ჩვეულებრივ რელიეფს; ადამიანის პიროვნებას შესამჩნევ გაფაქიზებას და გაღრმავებას, მისი შინაბუნების განწმენდის იარაღს და აგრეთვე სხვებთან ერთობის (კომუნიონ) დამყარების საშუალებას (დადებითი განწყობის შესახებ 4)). გვერდი 105.6-10.

ამავე საკითხს ეხება აგრეთვე მაქს შელერიც. იგი გამოდის იმ ძირითადი დებულებიდან, რომ ყოველი გრძნობა განსაზღვრული მნიშვნელობის, აზრის მატარებელია.

„ცოცხალ ქმნილებათა ყოველგვარი ტკივილი და ყოველგვარი ტანჯვა, — ამბობს შელერი, — შეიცავენ რაიმე აზრს (მნიშვნელობას), ყოველ შემთხვევაში, ამა, თუ იმ ობიექტურ აზრს, როგორც ეს არისტოტელმა აღნიშნა: სიამოვნება და უსიამოვნება წარმატებას, ან დაბრკოლებას აღნიშნავენ".

შელერი ამტკიცებს, რომ ტკივილი და ტანჯვა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ხვდება მას თვით ადამიანი, თუ როგორი სულიერი განწყობით იღებს იგი მათ; რასაკვირველია ,ადამიანს არ შეუძლია ტკივილსა და ტანჯვას თავისი სპეციფიური ხასიათი გამოუცვალოს; ტკივილი და ტანჯვა მუდამ ისეთი რჩებიან, როგორიც ისინი თავისთავად არიან. ხოლო ადამიანს შეუძლია თავისი განწყობის საშუალებით მათ გარკვეული აზრიანობა, გარკვეული მნიშვნელობა მისცეს და ამით ტკივილის და ტანჯვის ატანა გააძელოს, გააადვილოს, ან სასურველად გახადოს. როცა ადამიანმა იცის, რომ მისი შემაწუხებელი პატარა სიმსივნე კიბოს ქონების ნიშანია, ადამიანი განუზომელად დამწუხრებულია, რადგანაც იგი ამ მცირე ტკივილიდან სიკვდილს მოელის. ადამიანი ოპერაციის შემდეგ მაგარ და მწვავე ტკივილს სიხარულით იღებს, იმიტომ ,რომ დარწმუნებული არის: ოპერაცია წარმატებით და ავადმყოფობის სრული აღკვეთით დამთავრდა. აქ თვით ტკივილის ხასიათი, სიძლიერე და ხანგრძლივობა კი არ არის მთავარი, არამედ ის მნიშვნელობა, რომელიც მას აქვს ტკივილის განმცდელ ადამიანისათვის.

ამას შელერი შემდეგნაირად განმარტავს:

„ჩვენ შეგვიძლია აღვნიშნოთ ის, რომ ადამიანის „მე" ერთ და იმავე ემოციურ განცდას სხვა და სხვა მომენტში სხვა და სხვა სახეს აძლევს: ჩვენ შეგვიძლია ტანჯვას

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მთლიანად მივენდოთ"; ან მას წინააღმდეგობა გავუწიოთ; ჩვენ შეგვიძლია იგი „მოთმინებით ავიტანოთ", ან და უბრალოდ ვიტანჯოთ; ჩვენ შეგვიძლია აგრეთვე მისით დავტკბეთ, როგორც ალგოფილიის დროს. ეს ტერმინები ყოველთვის იმას აღნიშნავენ, რომ აქ საქმე გვაქვს შეგრძნების ცვალებად მოდალობასთან და ამ შეგრძნებისაკენ მიმართულ ნებელობასთან... ამ **„ემოციურ„ფუნქციების" ზევით ჩვენ ვხვდებით ჩვენი პიროვნების აქტებს, რომელთაც შეუძლიათ მისცენ ჩვენს გრძნობებს... სრულიად სხვა და სხვა გვარი ხასიათის სიდიდე, აზრი.. ნაყოფიერება ჩვენი კონკრეტული ცხოვრების მთლიანობაში"...** 5). გვ. 4.

ამ ციტა ბუნდოვანი გამოთქმით შელერს იმის თქმა სურს, რომ ყოველი გრძნობა, როგორც ყოველი განცდა, განისაზღვრება უარყოფითი ან დადებითი, პასიური ან აქტიური განწყობით; სწორედ ისე, როგორც ამას საფრანგეთში სხვებთან 12) ერთად ლუი ლაველი და საქართველოში დიმიტრი უზნაძე და მისი ღირსეული მოწაფეები ფიქრობენ

„ტკივილის, როგორც ობიექტური მოვლენის, ნებსით გამოწვევა უაზრობაა; ასეთივე სისულელე იქნებოდა, რომ ადამიანმა ეძებოს და ელოდოს ისეთ მოვლენას. რომელიც მას ტანჯვას მოუტანს; ასეთი ქცევა პათოლოგიურ ხასიათს აღიბეჭდავდა". 5). გვ. 13.

მაგრამ როცა ტკივილი ადამიანს იპყრობს, იგი ტკივილს განსაზღვრულ, დადებითი ან უარყოფითი, მნიშვნელობას ანიჭებს; ზოგჯერ იგი, მისი ნებისაგან დამოუკიდებელ ტკივილს და ტანჯვას სასურველადაც ილებს.

ტანჯვა ადამიანისათვის მაშინ არის დადებითი და სასურველი, როცა იგი რომელიმე სხვა დადებითი მოვლენის „სიმპტომი" და მაუწყებელია ან თანამგზავრია (მაგალით.: მშობიარობა). როცა ტანჯვა რომელიმე ღირებული მიზნის განხორციელებას გულისხმობს და წინ უსწრებს, როცა იგი „სხვისი" სამსახურის შედეგია; როცა იგი თავისი თავის სიკეთისათვის შეწირვას გამოსახავს. შელერი ამ თავშეწირვას დიდ მნიშვნელობას აკუთვნებს; მისი აზრით, თავშეწირვა (საკრიფის) თამაშობს დიდ როლს ტკივილისა და ტანჯვის დამორჩილებისა და კეთილად ატანისათვის.

თავშეწირვა ტანჯვისა და ტკივილის გააზრების მთავარი ფაქტორია. **ტკივილს და ტანჯვას მაშინ აქვს აზრი, იგი მაშინ არის სასიამოვნო და ადვილად ასატანი, როცა ისინი ნებსითი თავშეწირვის შედეგი არიან. ხოლო თავშეწირვა სიყვარულის აქტი არის;** იგი გულისხმობს სიხარულს იმისათვის, რომ იგივე ადამიანი თავის სიცოცხლის ერთ, ზოგჯერ უდიდეს ან უკეთეს ნაწილს იმას უთმობს, ვინც მას უყვარს. ამიტომ „თავშეწირვას იანუსის მსგავსად ორი სახე აქვს: ერთი იღიმება, მეორე კი ტირის. იგი იხედება ერთ და იმავე დროს ცრემლების სამყაროსკენ და სიხარულის სამფლობელოსკენ". 5. გ. 20

ამ მოსაზრებას ზედმიწევნით გვიდასტურებს ნამდვილი იდეური პოლიტიკური მოღვაწის, ან რომელიმე სხვა იდეალისათვის მებრძოლი ადამიანის ტანჯვა; უდავოა, რომ პოლიტიკური დევნილის ტანჯვა დიდია: ციხე, გადასახლება ცაძევება, არა ლეგალური ცხოვრება, ოჯახის და თავისი სოციალური წრის დაშორება, სოციალური მდგომარეობის და ზოგჯერ კულტურული დაქვეითება, თავისიანების და თავისი ქვეყნის ნატვრა, მრავალი გაჭირვება სიძნელეები, შიში საშიშროება, საფრთხე და მსგავსნი ასატანად მეტად ძნელი არიან. ხოლო ეს ტანჯვა და ეს ტკივილები არ გამორიცხავენ დევნილის ცნობიერებაში სიხარულს, ზოგჯერ დიდ განუზომელ სიხარულსაც და სიამაყეს იმ შეგნების შეგავლენით, რომ ყოველივე ამას თავისი ერის, კლასის, სარწმუნოების ან რომელიმე სხვა მაღალი იდეალის საკეთილდღეოდ ნებაყოფლობით იტანს; იგი ესალმება კიდევაც ამ ტანჯვას, რადგანაც იგი მის მიერ დასახული მიზნის განხორციელების პირობაა. რაც უფრო დიდია მისი შეგნება თავისი ღირებები, ნაკლულოვანებათა სიმრავლით ავსილ, თითქოს უშედეგოდ დაკარგული ცხოვრების ნამდვილი, ხალასი ღირება და შინაარსი.

ადამიანის დადებითი განწყობის მნიშვნელობაც სწორედ იმაშია, რომ იგი ტანჯვას და სევდას მიზანს უსახავს, აზრს და მნიშვნელობას ანიჭებს; რომ იგი უარყოფით, ბერწ, უნაყოფო მოვლენებს, სევდას და ტანჯვას, დადებით, პოზიტიურ, აქტიურ განცდებად გარდაქმნის; რომ აბსურდობის განმასახიერებელ, ყოველგვარ საზრიანობას მოკლებულ განცდებს, სევდას და ტანჯვას, აზრს, მნიშვნელობას და შინაარს უპოვის. იმდენად, რამდენადაც ტანჯვა და სევდა ადამიანის მიერ დასახულ მიზნის სიძნელეებთან ან კიდევ „სხვისი" ცხოვრების გაადვილების, გაუკეთესების და გამდიდრების ნებსითი ცდასთან არიან დაკავშირებულნი, ტანჯვა და სევდა სასურველად, სანდომად ისახებიან; და ამის შემწეობით სევდის და ტანჯვის მიერ გამოვლენილ შეწუხებას, ტკივილს, სიამოვნებას და მტრობას სიმახვილე, სიმძიმე და სიმწარე ეკარგებათ და ზოგჯერ სასიამოვნოდაც ხდებიან.

ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ ვეფხისტყაოსანი სრულქმნით წარმოგვიდგენს უარყოფითი განწყობის განათებაში მოცემულ სევდას.

ვეფხისტყაოსანი ასეთივე სისრულით გვისახავს პოზიტიურ, აქტიურ განწყობის სევდას.

ავიღოთ თუნდაც ავთანდილის მიერ ტარიელის ძებნა. ამ გზაზე მას მრავალი, თითქმის დაუძლეველი სიძნელე შეხვდა; თვითეული მათგანის ზემოქმედებით წარმოშო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბილი სევდა ისეთი მძლავრი იყო, რომ ზომაზე მეტი გამძლეობის მქონე ადამიანის სულის გატეხაც შეეძლო; ავთანდილმა კი თავისი აქტიური განწყობის შემწეობით მოახერხა თავისი თავის სასოწარკვეთილებისაგან დაცვა. ავთანდილის სულიერი მდგომარეობა ამ ხანაში, მართლაც, დიდად მძიმე, მისი სევდა განუსაზღვრელი და განუშორებელი იყვნენ; ამ სევდის მიზეზებიც მრავალნი იყვნენ. **პირველი:** ავთანდილს ძალიან აღონებდა თავისი სატრფოს, თინათინის დაშორება სწორედ იმ მომენტში, როცა მისი დაფარული სიყვარულის თინათინის მიერ გაზიარება ავთანდილმა თვით სატრფოს პირით მოისმინა.

ავთანდილ იგი მინდორი ოთხ-ახმით გარდაიარა, დააგდო მზღვარი არაბთა, სხვათ მზღვართა არე იარა, **მაგრა მის მზისა გაყრამან სიცოცხლე გაუზიარა.** სტრ.178 **ახალმან ფიფქმან დათოვა, ვარდი დათრთვილა ,დანასა, მოუნდის გულსა დაცემა ,ზოგჯერ მიმართის დანასა; თქვის: ,,ჭირი ჩემი სოფელმან ოთხმოცდაათი ანასა, .. მოვშორდი ლხინსა ყველასა, ჩანგსა, ბარბითსა და ნასა!" თქვის: ,,საყვარელო ,მოგშორდი, გული შენ დაგრჩა, ვთქვა ვისად? შენთვის სიკვდილი მეყოფის ლხინად ჩემისა თავისად".**

მეორე — ავთანდილი „უცხო უცხოთა ადგილთა საძებრად იარებოდა, მგზავრთა, ჰკითხვიდის ამბავთა, მათ თანა ემოყვრებოდა". სტრ. 180.

მაგრამ შემდეგ იგი გადაეყარა „ქვეყანასა უგემურსა მეტად მქისსა"; აქ უკვე იგი ველარავის ხვდებოდა; ველარავის ჰკითხავდა ამბებს და ველარავისაგან მიიღებდა დახმარებას და ცნობებს; ავთანდილი, რომელსაც ადამიანებთან ურთიერთობის, კავშირის, თანაზიარობის სურვილი და უნარი ჰქონდა; რომელიც დიდად გულზიარი იყო და რომელიც ადამიანებს, რუსთველის სიტყვებით, ადვილად „თანა-ემოყვრებოდა", მეტად უნდა გასჭირვებოდა იმ ქვეყანაში მგზავრობა, სადაც იგი თვეში ერთ კაცსაც ვერ შეხვდებოდა. მართლაც, ავთანდილს ეს გარემოება ისე უჭირდა, რომ რუსთაველი მის შესახებ შეწყალებით ამბობს: „იგი ჭირი არ უნახავს არ რამინს და არცა ვისსა". სტრ. 183. რასაკვირველია, ასეთ პირობებში თინათინის სევდა მას უფრო და უფრო გულზე აწვებოდა ;ავტორი იმასაც გვიდასტურებს; იგი ამბობს: „დღე და ღამე იგონებდა საყვარელსა მასვე მისსა" და ყოველივე ეს მის სულიერ მდგომარეობას კიდევ მეტად ამძიმებდა. **მესამე:** ამ ტყე-ღრეებში და უდაბნოებში სიარულის დროს მას დასვენების და თავისი დახარჯული ფიზიკური ძალების აღდგენა არ შეეძლო; ეს დაღლა აუცილებლად ასუსტებდა მას ფიზიკურად და სულიერად —

მუნ ეძებს, ცრემლი მტირალსა სდის ზღვათა შესართავისად, **უჩნდის ქვეყანა ტახტად და მკლავი სადებლად თავისად.** სტრ. 181. **მეოთხე** — მიუხედავად ამდენი წვალებისა, ტანჯვის და დიდ მწუხრაბის შემდეგ ავთანდილმა ტარიელის კვალი ვერ მიაკვლია და მის შესახებ ვერაფერი გაიგო: ყოვლი პირი ქვეყანისა მოვლო, სრულად მოიარა, ასრე რომ ცასა ქვეშე არ დაურჩა, არ იარა, მაგრა იგი მის ამბისა მსმენელიცა ვერ მიმხვდარა. ამაშიგან წელიწადი სამი სამ თვედ მიიყარა. სტრ. 182. ეს კი ავთანდილისათვის ნამდვილი ფიასკო იყო; მთელი მის მიერ გაწეული არა ჩვეულებრივი დამაძაბუნებელი შრომა უშედეგოდ იკარგებოდა; ასეთი სასოწარკვეთილი მდგომარეობა წამოწყებაზე ბევრს ხელს ააღებინებდა. მიუხედავად ყოველივე ამისა, ავთანდილი მაინც ახერხებს თავისი სულიერი სიმტკიცის პოვნას და წამოწყების ბოლომდე მიყვანისათვის საჭირო სულიერ და ფიზიკურ ძალებს. ამას უკარნახებდა მას მისი დამახასიათებელი სულიერი განწყობა, მისი პოზიტიური, ანუ აქტიური განწყობა, რომლის გავლენა ნათლად სჩანს ყველა მის ქცევაში: გაპარვის წინ მეფე როსტევანისათვის დაწერილ ანდერძში ავთანდილი ნათლად ამჟღავნებს თავის სახელმძღვანელო სამოქმედო იმპერატივებს: — **არას გარგებს სიმძიმილი, უსარგებლო ცრემლთა დენა:** არ გარდავა გარდუვალად მომავალი საქმე ზენა, **წესი არის მამაცისა მოჭირვება, ჭირთა თმენა,** არვის ძალ-უც ხორციელსა განგებისა გარდავლენა.

ასეთივე თვალსაზრისითვე არიგებს ავთანდილი შერმადინს: **ხამს მამაცი გაგულოვნდეს, ჭირსა შიგან არ დაღონდეს; მძულს, რა კაცსა სააუგო საქმე არა არ შესწონდეს.** სტრ. 795, 785.

ტარიელის სანახავად მეორედ გამობრუნებული ავთანდილი, ტარიელის ქცევით გაჯავრებული და დაღონებული, ასმათთან შელაპარაკების შემდეგაც თავს ამხნევებს: „კვლა იტყვის: მიკვირს ნავღელი კაცისა ჭკუიანისასა, **რა მჭმუნვარებდეს, რას არგებს ნაკადი ცრემლთა ბანისა? სჯობს გამორჩევა, აზრობა საქმისა დასაგვანისა,** აწ მეცა მიჯობს მონახვა მის მზისა, ლერწამ-ტანისა". სტრ. 863. უფრო მოგვიანებით, ფრიდონისკენ მიმავალ გზაზე, მოწოლილი სევდის გასაქარვებლად ავთანდილი თავის თავს ამხნევებს: აწ გულსა ეტყვის: „ვითამცა გდის ცრემლი, არ გაგხმობია, **რას გარგებს მოკლვა თავისა? ეშმა ძმად თურე გძმობია;** მეც ვიცი, ჩემსა ხელ მქნელსა თმად ყორნის ბოლო სთმობია, **მაგრა თუ ჭირსა არ დასთმობ, ლხინი რა დასათმობია!"** სტრ. 965.

ეს გამძლეობა, მხნეობა და სულიერი სიმტკიცე ავთანდილისა იმდენად დიდი იყვნენ, რომ იგი თავისთავსაც ამხნევებდა და სხვების დაიმედებასაც ახერხებდა: ცოცხალ-მკვდარს, სიკვდილისაკენ მიბრუნებულ ტარიელს იგი გულწრფელად და დარწმუნებით ეუბნებოდა: „თუ ბრძენი ხარ, ყოვლნი ბრძენნი აპირებენ ამა პირსა:

ხამს მამაცი მამაცური, სჯობს, რაზომცა ნელად ტირსა;
ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა, ვით ქვიტკირსა.
თავისისა ცნობისაგან ჩავარდების კაცი ჭირსა". სტ. 875

ავთანდილის ძირითადი სევდა, რასაკვირველია, პირადი ხასიათისა იყო: მას ღრმად უყვარდა თინათინი და მისი დაშორებით იტანჯებოდა; ხოლო თვით ეს დაშორება გამოწვეული იყო იმით, რომ ავთანდილი თავდადებით და თავშეწირვით სამსახურს უწევდა თვით მეფე როსტევანს და თინათინს: ავთანდილი თინათინის დავალებას ასრულებდა და როსტევანის სიამოვნებას სცდილობდა; ამავე დროს ავთანდილი თავდავიწყებით ტარიელის სატრფოს პოვნისათვის ზრუნავდა.

ავთანდილი ადასტურებს შელერის მოსაზრებას, რომლის მიხედვით, „თავგანწირვა გულისხმობს სიხარულს სხვათა სიყვარულისათვის და ტკივილს თავისი სიცოცხლის ერთი ნაწილის იმისთვის დათმობით, ვინც მას უყვარს". ავთანდილმა მსხვერპლად შესწირა თავისი სიცოცხლის ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი მეფე როსტევანის, თინათინის, ტარიელის და ნესტანის სიკეთეს. სწორედ ამ თავის შეწირვაში ჰპოვა მან თავისი სევდის დაქვემდებარება, მისი სიკეთის და სიხარულის საწყისად გარდაქმნა. სწორედ ამ თავშეწირვამ გააკეთებინა ავთანდილს ყოველივე ის, რამაც ავთანდილი ცოდნით, გრძნობებით და გამოცდილებით გაამდიდრა; რამაც ავთანდილი მიიყვანა ყველა დასახული მიზნის მიღწევასა და თავისი საკუთარი თავის სრულ დაკმაყოფილებასა და გახარებასთან. ის, რაც მისთვის ყოველივე ამას შესაძლებლად ხდიდა, ეს მისი სულიერი განწყობა იყო, მისი პოზიტიური აქტიური განწყობა.

მეტად საინტერესოა ამ მხრივ ნესტანიც; ამ დიდებული ქალის ბედი მწარეა; მისი ტანჯვა დიდია. ნესტანის განუზომელ სევდას და ტანჯვას ფატმანი ასე აგვიწერს: „ვით გიამბო საკვირველი მე, გლახ, მისი ყოფა-ქცევა, დღე და ღამე გაუწყვეტლად ტირილი და ცრემლთა ფრქვევა! შევეხვეწი: „დადუმდიო", წამ ერთ ჰქონდის ჩემი თნევა. აწ უმისოდ ვით ცოცხალ ვარ,ჰაი ჩემთვის, ვაგლახ მე, ვა!. შინა შევიდი, მას წინა ედგის ცრემლისა გუბები, შიგან მელნისა მორევსა ეყარის გიშრის შუბები, მელნისა ტბათათ იღვრების სავსე სათისა რუბები, შუა ძოწსა და აყიყსა სჭვირს მარგალიტი ტყუბები. ჟამი ვერ ვპოვე კითხვისა ნიადაგ ცრემლთა ღვრისაგან, თუმცა მეკითხა: „ვინა ხარ, ეგრე გასრული რისაგან? მჩქეფრად სისხლისა ნაკადი მოსდის ალვისა ხისაგან. მას ხორციელი ვით გასძლებს სხვა, კიდეგანი ქვისაგან! არად უნდის საბურავი, არცა წოლა საგებლითა. მიწყივ იყვის რიდითა და მით ერთითა ყაბაჩითა, მკლავი მისი სასთაულად მიიდვის და მიწვის მითა, ძლივ ვაჭამი ცოტა რამეთ, ათასითა შეხვეწითა". სტრ. 1145-1148.

თვით ნესტანიც თავის ტანჯვას მეტად მწარე, დამაღონებელი, ემოციით აღსავსე სიტყვებით, ტარიელისადმი მინაწერში გვამცნობს:

ხედავცა, ჩემო, სოფელი რათა საქმეთა მქმნელია!
რაზომცა ნათობს სინათლე, ჩემთვის ეგრეცა ბნელია!
ბრძენნი იცნობენ, სწუნობენ ,მით მათგან საწუნელია;
უშენოდ ჩემი სიცოცხლე, ვამე, რა დიდი ძნელია!
სხვად, ჩემო, ჩემი ამბავი ჩემგან არ მოგეწერების:
ენა დაშვრების, მოსმენით არვისგან დაიჯერების.
ფატმან წამგვარა გრძნეულთა, ღმერთიცა მას ეტერების!
აწ კვლა ქმნა იგი სოფელმან, რაცა მას შეეფერების.
აწ სოფელმან უარესი ჭირი ჭირსა მომისართა,
არ დასჯერდა ბედი ჩემი მათ პატიჟთა მრავალ გვართა,
კვლაცა მიმცა შესაპყრობლად ქაჯთა, ძნელთა საომართა
ბედმან გვიყო ყველაკაი, ჩემო, რაცა დაგვემართა!"

მიუხედავად ასეთი შეუნელებელი, განუზომელი სევდისა ნესტანი არ ექვემდებარება თავის სევდას; მართალია, დრო გამოშვებით, როცა მისი სევდა და ტანჯვა განსაკუთრებული სიმძიმით დააწვება მას, იგი ძალა-უნებურად საყვედურის სიტყვებით მიმართავს თავის ბედს; ხოლო ეს საყვედურიც მხნეობით და ტანჯვის ატანის მზაობით არის სავსე. ფატმანი ამბობს:

მან მითხრა: „დაო, ნუ გიკვირს, ეგე რაზომცა ძნელია!
ბედი უბედო ჩემზედა მიწყივ ავისა მქმნელია.
კარგი რამ მჭირდეს, გიკვირდეს, ავი რა საკვირველია!
სხვა და სხვა ჭირი ჩემზედა არ ახალია, ძველია".

ნესტანის ასეთი „სისუსტე" წამიერი იყო. იგი მას არ აბნევდა და არც საჭირო თავდაჭერის უნარს ართმევდა; საყვედურის გამოთქმასთან ერთად იგი ყოველ ახალ გასაჭირს განსაცვიფრებელი სიმტკიცით და მხნეობით **იტანდა.**

ნესტანისათვის მარცხის გარდაუვალობა არ არსებობდა; მას სურდა თვითონ გამოეჭედა თავისი ბედი. ამიტომ იგი უიმედო არასდროს ყოფილა; თითქმის განწირულ მდგომარეობაშიც იმედს ინახავდა; ყოველ ახალ გასაჭირს ვაჟკაცურად, მხნეობით ხვდებოდა: —

ქალი პირ-მზე ბედსა ეტყვის: „რა ბედი მიც ჩემი მკვლელი! სადაური სად მოსრულ ვარ, ვის მივჰხვდები ვისთვის ხელი. რა ვქმნა, რა ვყო, რა მერგების, სიცოცხლე მჭირს მეტად ძნელი!" სტრ. 1190.

კვლაცა იტყვის: „ნუ დავაჭნობ შეენებასა ვარდთა ფერსა, ვეცადო რას, ნუთუ ღმერთმან მომარიოს ჩემსა მტერსა! **სიკვდილამდის ვის მოუკლავს თავი კაცსა მეცნიერსა! რა მისჭირდეს, მაშინ უნდან გონებანი გონიერსა!"** სტრ. 1191.

განსვენებული ნოე ჟორდანია ნესტანის ხასიათის ანალიზის დროს სამართლიანად და მოხდენილად ამბობს:

„ეს ულამაზესი ქალიშვილი ამდენ ხიფათში გაბმული თავის ბედს იტანს დიდის ენერგიით, მტკიცე ნების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფით, ვაუკაცურად. მას „თავი მუდამ თან ახლავს". მან არ იცის სულიერი წაბორძიკება, სასოწარკვეთილება...

როგორ შეხვდა ის ისეთ საფრთხეს, როგორიცაა უსენის მიერ მისი სასახლეში გამყლავნება და მეფისაგან მისი გამოთხოვა? მეტად მამაცურად:

თვალთა ვითა მარგალიტი გადმოყარა ცრემლი ხშირი,
ალგა ასრე გულუშიშრად, ვეფხი იყო ანუ გმირი,
ლხინი ლხინად არად უჩნდა, მართ აგრეთვე ჭირად ჭირი.

გაჭირვება მას ზდის, ასალკლდევებს, ვეფხად აქცევს. როცა ის მეფეს გაექცა, მარტოდ, კაცურად ჩაცმული და ცხენით მიმავალი, ქაჯეთის ჯარს შეეხეჩება, შიშს არ განიცდის. თავს ხელმწიფის შიკრიკად აცხადებს და მათ უტევს: გზა მომეცითო!

„ვინ ხართ, ცხენოსანნო, თქვენ სახელი თქვენით თქვენით. გულანშაროთ მოციქული, ქაჯეთს მივალ, მერიდენით"...

ერთი სიტყვით, არც ერთ მომენტში ის სულიერ წონასწორობას არ კარგავს; ის დასრულებელი ტიპია მებრძოლისა". 10). გვ. 43, 44.

ეს სულიერი სიმტკიცე, თავისი პირადი გრძნობების დამორჩილება, საკუთარი სევდის და ტანჯვის „სხვისი" სიკეთისათვის გაყუჩება და დავიწყება, თავისი განსჯის უზადოდ შენახვა, მოწოლილი უბედურების წინაშე თავისი გონების საღი მოქმედების გადარჩენა არა ნაკლები სიძლიერით და სინათლით სჩანს ნესტანის ტარიელის მიმართ სასიყვარულო განწყობილებაში, რომელიც არსებითად, სხვის მიმართია და არა თავისი თავის მიმართი (ეს ორი კარგი ტერმინი ამოვიღე პროფ. ვ. ნორაკიძის წიგნიდან. 13). გვ. 385.

ნესტანის სასიცოცხლო მიზანია ტარიელის ხილვა, მასთან შეერთება, მისი სიახლოვის მუდმივი, განუწყვეტელი შეგრძნობა. ნესტანის მუდმივი ოცნებაა:

მუნა გნახო, მადვე გსახო, განმინათლო გული ჩრდილი.

ნესტანის უდიდესი ტანჯვაა იმაზე ფიქრი, რომ იგი ტარიელისაგან დაშორებული და მოწყვეტილია:

ჰხედავ, ჩემო, ვით გაგვყარნა სოფელმან და ჟამმან კრულმან?! **ველარ გნახე საყვარელი მხიარული მხიარულმან, ნეტარ რა ქნას უშენომან გულმან, შენგან დალახვრულმან!** გაგიცხადა დამალული გონებამან დაფარულმან. სტრ. 1305, 1295.

ეს ტანჯვა მით უფრო დიდია, რაც უფრო ხშირად იგონებს ნესტანი თავის მოტრფეს: **მომეგონოს მოშორვება, მემატების წყლული წყლულსა!** სტრ. 1306.

აქედან უთქმელადაც ნათელია, რომ ნესტანის უდიდესი სიხარულია ყოველივე, რაც ტარიელის სიკეთეს და კარგად ყოფნას ამცნობს მას:

„შენმან მზემან, აქანამდის შენ ცოცხალი არ მეგონე: ჩემი მეთქვა: გარდასრულდა სიცოცხლე და ყოვლი ლონე; აწ რა მესმა, შემოქმედი ვადიდე და ღმერთსა ვჰმონე; ჩემი ყველა აქანამდის ჭირი ლხინსა შევაწონე. შენი სიცოცხლე მეყოფის ჩემად იმედად გულისად, გულისა ერთობ წყლულისა და ასრე დადაგულისად! მომიგონებდე, გახსოვდე მე შენთვის დაკარგული სად; ვზი მზრდელი სიყვარულისა, მის ჩემგან დანერგულისად". სტრ. 1296, 1297.

ნესტან-დარეჯანის ყველა ფიქრი იქით არი მიმართული, რომ თავისი მოტრფე დაამშვიდოს, სულიერი წონასწორობა აღუდგინოს, საცხოვრებელი ენერგია გაუღვიძოს და სატრფოს სამუდამო დაკარგვას შეარიგოს:

ყოველივე ამისათვის საჭიროა ტარიელის დახსნა მისი სატრფოს დაკარგვით გამოწვეული მგლოვიარობისაგან და სწორედ ამიტომ ეუბნება იგი მას:

შენ, საყვარელო, ნუ სჭმუნავ ჭმუნვითა ამისთანითა,
ჩემი თქვა: სხვათა მიჰხვდეთ ეგი ალვისა ტანითა.
არამ სცოცხლე უშენოდ! ვარ აქამდისცა ნანითა;
ან თავსა კლდეთა ჩავიქცევ, ანუ მოვიკვლავ დანითა.
შენმან მზემან, უშენოსა არვის მიჰხვდეს მთვარე შენი,
შენმან მზემან, ვერვის მიჰხვდეს, მოცავიდენ სამნი მზენი!
აქათ თავსა გარდავიქცევ, ახლოს მახლვან დიდნი კლდენი; სული ჩემი შეიეედრე, ზეცით მომხვდენ ნუთუ ფრთენი. სტრ. 1302. 1303.

მე სიკვდილი აღარ მიმძიმს, შემოგვედრებ რათგან სულსა
მაგრა შენი სიყვარული ჩავიტანე, ჩამრჩა გულსა;
მომეგონოს მოშორვება, მემატების წყლული წლულსა;
ნუცა მტირ და ნუცა მიგლოვ, ჩემო, შენთვის დაკარგულსა. სტრ. 1306.

ნესტანის სიყვარულის არა ჩვეულებრივი სიმლძლავრე და სიღრმე კიდევ უფრო მეტი სიმკვეთრით გამოსჭვივის იმ ფაქტში, რომ ნესტანი ყოველთვის სცდილობს ტარიელს ხელი ააღებინოს მის დასახსნელად წამოსვლაზე და ამით თავისი სატრფო საკუთარი თავის შეწირვით სასიკვდილო საფრთხეს ააცდინოს.

როცა ნესტანმა გაიგო, რომ ტარიელი და მისი მეგობრები მზად არიან მის დასახსნელად მოვიდენო, მისი სიხარული მეტად დიდი იყო: არა იმით,, რომ მისი მეგობრები მისი გათავისუფლების ბრძოლისათვის ემზადებოდნენ, არამედ მხოლოდ იმით, რომ ტარიელი ცოცხალი იყო. ამ მომენტში მას საკუთარ თავზე ერთი წუთითაც არ უფიქრია; მისი ზრუნვა სხვებს: ტარიელს, ინდოეთის მეფე და დედოფალს ეკუთვნოდა...

ნოე ჟორდანია ნესტანის სულიერ განწყობილებას სწორედ ასახავს, როცა იგი ამბობს:

„... ის ტარიელს თავისკენ არ იბარებს, არ ემუდარება ცრემლით, მოდი და მიხსენიო; ის კვლავ ფიქრობს თვით ტარიელის სიცოცხლეზე და სამშობლოზე: ტარიელი ქაჯეთს ვერ დაამარცხებს, თვით გახდება ქაჯთა ნსხვერპლი; არ გაბედო აქეთ წამოსვლა"-ო. 10). გვ. 43.

მართლაც, ამ მომენტში ნესტანის პირველი ფიქრი და აზრი ის იყო, როგორც ამას ნოე ჟორდანია აღნიშნავს, რომ ტარიელისთვის უეჭველი სიკვდილის საფრთხე და საშიშროება აეცდინა.

ნესტანი ფატმანს ემუდარება თავის საპასუხო წერილში:

გეაჯები, საყვარელსა **შემიხვეწე, შემიბრალე,**
ნუ წამოვა ძებნად ჩემად, მიუწერე, შე-ცა-სთვალე.
მე რომ მჭირს, კმარის, ნუ მომკლავს ამისითავე სწორითა:
მას მკვდარსა ვნახავ, მოვკვდები მე სიკვდილითა ორითა.
ვერას ვერ მარგებს, დასტურად ვიცი, არ რამე ჭორითა,
არ დაგმორჩილდეს, დამჭოლე შავითა ქვისა ყორითა.

თვით ტარიელს კი სწერს:

წადი ინდოეთს, მიჰმართე, არგე რა ჩემსა მშობელსა,
მტერთაგან შეიწრებულსა, ყოვლგნით ხელ-აღუპყრობელსა; გულსა ალხინე ჩემისა მოშორვებისა მთმობელსა, . მომიგონებდი მტირალსა, შენთვის ცრემლ-შეუშრობელსა! სტრ. 1289. 1290. 1307.

და სწორედ ეს ქალი, ტარიელისადმი ასეთი ძლიერი სიყვარულით გამსჭვალული, ტარიელს ემუდარება:
მოგშორდი, დამთმე გულითა, კლდისაცა უმაგრესითა!

ნესტანის ასეთი, მისი გულის სიღრმიდან წრფელად ამონახეთქი, ტარიელისაკენ მიმართული რჩევა და მუდარა, თავშეწირვის და თავდავიწყების უბადლო მაგალითია. ვიდრე იგი ტარიელის კარგად ყოფნას გაიგებდა, ნესტანი თავის სიცოცხლეს გათავებულად, თავის ძალებს განიავებულად და თავის ცხოვრებას ულაზროდ სთვლიდა. ხოლო ამ საამო ცნობის შემდეგ ნესტანი სულიერად გაცოცხლდა; მისი წარსული და აწმყო სევდა, „ჭირი ლხინად გადაექცა"; მისი ულრმესი სურვილები ამიერიდან ყოველივე, რაც მას პირადად: რაც მის თავისუფლებას, მისი ტანჯვის შემსუბუქებას ეხებოდა, მეორე ხარისხოვანი გახდა; რა კი ტარიელი კარგად იყო, რაკი ტარიელს ნესტანი არ დავიწყებია და რაკი მისი სიყვარული ნესტანისადმი არ დასუსტებია, ნესტანს სხვა პირადი აღარაფერი აღარ აწუხებს; იგი ამიერიდან ყველაფერს ხალისით და კმაყოფილებით აიტანს:

ნესტანი აქ ერთ დილემის წინაშე იდგა: ტარიელის მოქმედების მიზნად დაესახა ან თავისი საკუთარი თავის მძიმე, ხანგრძლივ ტყვეობიდან გათავისუფლება ტარიელის მიერ საეჭვო, საშიშ რისკის გაწევით; ან კიდევ, ამ მოქმედების მიზნად დაესახა ტარიელის, სამშობლოს და თავისი მშობლების კეთილდღეობა საკუთარი თავისი სრული შეწირვით და, მაშასადამე, საკუთარ თავისუფლებაზე სრული და სამუდამო ხელის აღებით; ნესტანმა ამ საკითხის გადაწყვეტისათვის საჭირო არჩევანი უყოყმანოდ გააკეთა. ეს არჩევანი ნესტანმა სინამდვილის შეგნებულ, კარგად განსჯილ და დაფიქრებულ, ობიექტურ მდგომარეობის შესწავლით მოახდინა და არა უგულობით ან მჩატე, საფუძველს მოკლებულ ნაჩქარევად გადაწვეტით; სტრატეგიის არ მცოდნე ფატმანს ეგ-მოკლედ სწერს:

რასა ჰქვიან ძებნა ჩემი? არ ეგების, დაიჯერე. სტრ. 1287

სარდალ ტარიელს სამხედრო განწყობის დეტალების აღწერით უხსნის

„ციხეს ვზი ეზომ მაღალსა, თვალნი ძლივ გარდასწვდებიან; გზა გვირაბითა შემოვა, მცველნი მუნ ზედა დგებიან; დღისით და ღამით მოყვენი ნობათსა არ დასცდებიან: დღისით და ღამით მოყმენი ნობათსა არ დასცდეედებიან. ნუთუ ესენი გეგონნენ სხვათა მებროლთა წესითა?! ნუცა მე მომკლავ ჭირითა, ამისგან უარესითა; შენ მკდარსა გნახავ, დავიწვი, ვითა აბედი კვესითა; მოგშორდი, დამთმე, გულითა კლდისაცა უმაგრესითა".

ნესტანმა კარგად იცის, რომ ეს არჩევანი მისი საკუთარი, გარდაუვალი სასიკვდილო განაჩენია; ხოლო ეს არჩევანი ნესტანმა გააკეთა სრული შეგნებით, თავისი საკუთარი თავის დავიწყებით, ყველა აქედან გამომდინარე, ნესტანისათვის მომაკვდინებელ, შედეგების მიღებით. საკვირველი რამაა! ნესტანი უმწეო მდგომარეობაშია: მისთვის ყოველივე სიკეთე აღკვეთილია; მისთვის მზიანი დღეც სიბნელით მოცული სჩანს; ყველა საყვარელი ქმნილება მისგან უიმედოდ მოწყვეტილი; ყოველ გვარ თანაგრნობის, დახმარების და გულითადობის შესაძლებლობანი აღკვეთილნი; ყველა თავისუფლებისაკენ მიმავალი გზა დახშული არის; მისი ხორცი და სული განუკურნებელ, აუტანელ ტანჯვაშია.

ასეთ ჯოჯოხეთში მოქცეული ნესტანი მაინც ახერხებს თავისი საკუთარი თავის, თავისი მწვალებელი ტკივილების დავიწყებას და სხვებზე: ტარიელზე, ინდოეთზე, საკუთარ მშობლებზე ზრუნვას, ფიქრს, მსჯელობას.

ნესტანი ტყვეობაში ყოფნისას, ყოველგვარი სიმპათიის და რეალური დახმარების სრული უქონლობის პირობებში, ახერხებს ყველა ამათზე ზრუნვას და მათი მდგომარეობის ,მათი საჭიროების სწორად გათვალისწინებას. **განსაკუთრებით აღსანიშნავი აქ ისაა, რომ ნესტანს თავისი მოყვარული მამის სიმკაცრე სრულიად დავიწყებია და დედ-მამის მიმართ მხოლოდ ნაზი გრძნობები შეუნახავს: იგი ტარიელს თავისი მშობლებისათვის ავალებს არა მარტო საქმიანი პოლიტიკური თანამშრომლობის განახლებას, არამედ აგრეთვე ადამიანური, მამაშვილური წრფელი, უპირობო სიყვარულის მიტანას; ნესტანის დაკარგვის სიმწარის და, შეიძლება, მოსალოდნელი გლოვის სიმძიმის ყოველგვარი საშუალებით მათთვის შემცირების, გაქარვების ცდას; ერთი სიტყვით, შესაძლებლობის ფარგლებში, მისი დედ-მამის „დალხენას" და „დატკბობას"; სწორედ ისე, როგორც ამას ნორმალურ პირობებში თვით ნესტანი იქმდა.**

ნესტანის ფსიქოლოგიის თავისებურება ისაა, რომ იგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა თუ მუდამ პოვულობს საშუალებას თავის დუხჭირ ცხოვრებაში გზა გაიკაფოს, ყოველი მძიმე მდგომარეობიდან გამოსავალი იპოვოს, არამედ ისიც, რომ თავისი საკუთარი თავი, თავისი საკუთარი პიროვნება და სხეული არ დაამდაბლოს, არ დაალარიბოს, არ დააგლახოს და არ წაახდინოს. ამ მხრივ მეტად სიმპტომატიურია ნესტანის, ჩემ მიერ უკვე ნახსენები, სიტყვები:

კვლაცა იტყვის: „ნუ დავაჭნობ შვენებასა ვარდთა ფერსა; ვეცადო რას, ნუ თუ ღმერთმან მომარიოს ჩემსა მტერსა“. სტრ. 1191.

ეს სურვილი, ანუ უფრო სწორედ, ეს მტკიცე განზრახვა, ნესტანის ნებელობის ძირითადი სამოქმედო სტიმული, ნესტანის პირად ბედნიერებას არ ჰგულისხმობდა; იგი ტარიელისადმის განცდილ სიყვარულის გამოძახილი, ალტრუისტული, სხვისკენ, სხვის მიმართ, სახელდობრ, ტარიელისაკენ, სამშობლოსაკენ მიმართული, მის აქტივურ განწყობიდან გამომდინარე ქცევაა.

დადებითი განწყობის დახასიათებისათვის ჩვენ ვახსენებთ აგრეთვე უბრალო, მაგრამ მდიდარი პიროვნების მქონე ასმათს.

ასმათის სევდა გამოწვეულია სამი მიზეზით: ნესტანის უკვალოდ გადაკარგვით, ტარიელის გულის მოსაკლავი სევდის ჭვრეტით, ტარიელის სევდის გაქარვებისათვის ხმარებულ ცდების უშედეგობით. ამრიგად, ასმათი სევდით ძლიერ დატვირთულია. ასმათის სევდის სილრმე მრავალ სტროფში სჩანს; განვიხილოთ ისინი:

შეუმჩნევლად ტარიელის უკან მავალი ავთანდილი, ტარიელის ბინაზე მისვლისას ნათლად დაინახავს ასმათის დიდ სევდას —

რა ტყენი გავლნა მან ყრმამან, მოსილმან ვეფხის ტყავითა, ქვაბისა კარსა გამოდგა **ქალი ჯუბითა შავითა, ატირდა მაღლად ცრემლითა, ზღვათაცა შესართავითა.** იგი ყმა ცხენსა გარდახდა, ყელსა მოეჭდო მკლავითა. სტრ. 221. ყმამან უთხრა: „დაო ასმათ, ხიდნი ზღვასა ჩაგვიცვივდეს: ველარ მივჰხდითა ჟამიერად, ჩვენ ვისნიცა ცეცხლნი გვწვიდეს! **ესე თქვა და მკერდსა ხელნი იკრა, ცრემლნი გარდმოსწვიმდეს. ქალი შებნდა, მოეხვია, ერთმანერთსა სისხლი სწმიდეს.** სტრ. 222.

იგი ტევრი გაეხშირა დანაგლეჯსა მათსა თმასა, ერთმანერთსა ეხვეოდეს: ყმა ქალსა და ქალი ყმასა; იზახდიან, მოთქმიდიან, მოსცემდიან კლდენი ხმასა, ავთანდილ სჭვრეტს გაკვირვებით მათსა ეგრე ქცევა-ზმასა. სტ. 223

ტარიელის მიერ ხელახლად ბინის მიტოვების მომენტშიც ავთანდილს ასეთივე სევდით აღსავსე სურათი ეშლება თვალ წინ:

ქალი ტირს და მკერდსა იცემს, თმისა ტევრსა გაიგლეჯდა; ერთმანერთსა მოეხვივნეს, აკოცა და ცხენსა შეჯდა: ასმათ აგრე დაღრეჯილი, კვლა უფრორე დაიღრეჯდა. სტრ. 226.

როცა ავთანდილი ტარიელის წასვლის შემდეგ ვერ მოახერხებს ასმათისაგან ტარიელის ვინაობის გაგებას, იგი ასმათს სიკვდილით დაემუქრება:

გიჯავს, მითხრა; ამის მეტი მართ აღარა არ **გაწყინო,** თვარა ღმერთმან მტერი ჩემი მოკლას, ვითა მოგაკვდინო“. სტრ. 239.

ასმათს ეს მუქარა სრულებით არ აშინებს, რადგანაც ცხოვრება მას უმძიმეს და სევდა მას წამებით სტანჯავს:

კვლა ეტყვის: „ყმაო, რად მპოვე, ვინ მეუბნები მე ვინო? მე თავი ჩემი ნებითა ჩემითა მოგაკლვევინო, ვითა უსტარი ბედითი ადვილად დაგახევინო. ჩემი სიკვდილი შენ ჩემად პატიჟად ნურად გგონია, მით რომე დამხსნი ტირილსა, შემშრების ცრემლთა ფონია; ჩალად მიჩნს ყოვლი სოფელი, მისთვისვე შემიწონია. ვერ გიცნობ, ვინ ხარ, ვის გითხრნე სიტყვანი მისანდონია? სტრ. 241. 242.

ავთანდილის ბოდიშის, თვისი მიჯნურობის გამხელის, და იმის ახსნის შემდეგ, თუ რატომ ეძებს იგი ტარიელს, ასმათი აღელვებით და თანაგრძნობით ეუბნება მას:

„გითხრა, თუ ცოდნა გწადიან ჩვენისა შენ სახელისა: ტარიელ არის სახელი იმა მოყმისა ხელისა; **მე ასმათ მქვიან , რომელსა წვა მაქვს ცეცხლისა ცხელისა, სულ - თქმა სულთქმისა ბევრისა, მაშ თუ არ ერთხელისა.**

ყველა ჩვენ მიერ მოტანილი სტროფი გვარწმუნებს, რომ ასმათის სევდა მართლაც მრავალმხრივი, ღრმა განუწყვეტელი იყო. მიუხედავად ამისა, ავთანდილის და ნესტანის მსგავსად, ასმათი სევდას არ დამორჩილებია; პირიქით, თავის სევდას იგი სხვების სამსახურისათვის საჭირო ენერგიის, სულიერი სიმტკიცის და, უფრო გვიან, თავისი უდიდესი სიხარულის საწყისად აქცევს.

ასმათი იმ პირთა კატეგორიას ეკუთვნის, რომელთაც თავისი საკუთარი სიცოცხლე არ გააჩნიათ და მთლიანად სხვა სიყვარულს და სამსახურს ეწირებიან.

ეს თავშეწირვა არის ის მთავარი ფაქტორი, რომელიც თანახმად შელერისა და ლაველისა, სევდას, ტანჯვას, მწუხარებას და ტკივილს ადამიანის აქტივობის და სიხარულის საწყისად აქცევს.

ასმათს ნესტანი საკუთარი შვილივით უყვარდა; ნესტანის დაკარგვა მისთვის უდიდესი სევდა და გულის დაწვა იყო; ასმათის დისებრი სიყვარული ტარიელისადმი დიდი იყო; ტარიელის წამების ყოველდღიური ხილვა მას გულს უკლავდა; ასმათის შეგნებული ცხოვრების დიდი ნაწილი ნესტანის დაკარგვისა და ტარიელის ტანჯვის შემცირებაზე ზრუნვას შეეწირა; **შეეწირა ყოველგვარი გამორჩენის, უკანა აზრის, კომპენსაციების მოლოდინის გარეშე... უსასყიდლოდ, თავისი თავის დავიწყებით და სხვისთა მძიმე ხვედრის შემსუბუქების საშუალებათა გამუდმებული, დაუღალავი ძიებით.**

ასმათმა თავისი სევდა მთლიანად დაიმორჩილა, რადგანაც თავისი თავი სრულიად დაივიწყა და ნესტან - ტა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიელის ინტერესს თავისი თავი დაუზოგავად შესწირა.

რუსთაველმა ასმათს „შავოსანი“ უწოდა არა მარტო იმისთვის, რომ იგი სევდის სიმბოლოს, შავ სამოსს, არ იცილებდა, არამედ იმიტომაც, რომ ასმათი ვეფხის - ტყაოსანში ალტრუისტულ სევდის ნამდვილ, ცოცხალ განსახიერებას წარმოადგენდა. თუ შავოსანი ასმათი თავისი მძიმე სევდის ტარებისას ყვავის გულშემზარავი ჩხავილის ნაცვლად სხვათა განუჭვრეტ სიბნელის სიღრმეში ცხოველმყოფელი იმედის დანთებას ახერხებს, ეს მთლიანად მის თავდავიწყებას და მისი სიყვარულის მოკულობას მიეწერებოდა: ასმათი ტარიელისათვის ის შემაერთებელი ძაფი იყო, რომელმაც ტარიელს აიკდინა სიცოცხლესთან, კაცობრივობასთან და გონიერებასთან კავშირის სრული, აბსოლუტური გაწყვეტა.

წარმოუდგენელია იმის გათვალისწინება, თუ როგორ გაიზრდებოდა ტარიელის სევდის სიმწარე, მას რომ ასმათის მოყვასობა, ზრუნვა, გამხნევება, დარიგება და ყოველდღიური, განუწყვეტელი დახმარება მოჰკლებოდა!

პირიქით, ადვილია იმის მიხვედრა, თუ რა დაემართებოდა ტარიელს, მას რომ ასმათის „დედობრივ“ გრძნობათა სითბო არ რგებოდა.

ასმათმა თავის სუსტ, მაგრამ გამძლე მხრებზე ატარა მოთმინებით, მოყვასობით, დაუღალავად და დაუყვედრებლად ნესტანისა და ტარიელის სევდათა სიმძიმე..

სწორედ ამ თავდადების და თავგანწირვის წყალობით მან მოახერხა თავისი უძირო სევდის სხვათა დახსნისათვის საჭირო აქტივობის, ენერგიის, სულიერი სიმტკიცის, გამჭრიახობის და უსაზღვრო გულითადობის საწყისად გარდაქცევა.**სწორედ ამ თავდადების და თავშეწირვის წყალობით იპოვა ასმათმა თავისი ცხოვრების აზრი, მნიშვნელობა, მიზანი და სიდიადე; სწორედ ამ თავგანწირვით მიაგნო ასმათმა თავისი ნამდვილი მოწოდება.**

აი ასეთია სევდის გამოვლენა ადამიანის სულიერ სამყაროში; იგი ადამიანის ფსიქიურ და ფიზიკურ ფუნქციათა ამღრევია, თუ სევდა უარყოფითი, პასიური განწყობის ფონზე იშლება. პირიქით, იგი აღნიშნულ ფუნქციებს ხელს უწყობს; ადამიანის ადეკვატურ ქცევას აადვილებს, თუ სევდა დადებითი განწყობით განიცდება.

ვეფხისტყაოსანი სევდის ამ ორი სახეობის, ნათლად, მკაფიოდ, მდიდარი დეტალებით, დიდი ავტორიტეტით და მრავალი მაგალითით თანამედროვე ფსიქოლოგიასთან შეფარდებით გვიხსნის და გვასწავლის. უდავოა, ვეფხისტყაოსანი, უმთავრესად, პირველ რიგში, პოემაა სევდის შესახებ; ვეფხისტყაოსანის თითქმის ყველა გმირი: მეფე როსტევანი, ტარიელი, ავთანდილი, ნესტანი, ფრიდონი, ფატმანი, ასმათი, თინათინი სევდის გავლენას განიცდიან, ან პირდაპირ, ან სხვისი შუალობით; განიცდიან მას სხვა და სხვა გვარად, სხვა და სხვა მიზეზთუ შეგავლენით, სხვა და სხვა მომენტში, სხვა და სხვა ძლიერებით; სხვა და სხვა გამოსახულობით.

1. ვეფხისტყაოსანის გმირთა შორის ტარიელი სევდის უმთავრესი მსხვერპლია: იგი სევდით დამწვარი და დადაგული პიროვნებაა.

2. ტარიელი სევდისა და ტანჯვის ის ღერძია, რომლის გარშემო იშლება ამ წიგნის სიუჟეტიც და ყველა სხვა გმირთა ფიქრიც, მოქმედებაც და გრძნობიერებაც.

3. ვეფხისტყაოსანი ამ სიყვარულით დამწვარ გმირის თავგადასავალის პერიპეტიების შემცველი წიგნია.

ეს აზრი თვით ვეფხისტყაოსანის შინაარსიდან გამომდინარეობს და ამ აზრს დამატებით თვით რუსთაველი ხაზს უსვამს:

აწ ენა მინდა გამოთქმად, გული და ხელოვანება, —
ძალი მომეც და შეწევნა შენგნით მაქვს, მივსცე გონება;
მით შევეწივნეთ ტარიელს, ტურფადცა უნდა ხსენება,
მათ სამთა გმირთა მნათობთა სჭირს ერთმანერთის მონება. სტრ. 6.

მო, დავსხდეთ, ტარიელისთვის ცრემლი გვდის შეუშრობილი; მისებრი მართ დაბადებით ვინმცა ყოფილა შობილი! დავჯე, რუსთველმან გავლექსე, მისთვის გულს ლახვარ სობილი, აქამდის ამბად ნათქვამი, აწ მარგალიტი წყობილი. სტრ. 7.

რუსთაველს უყვარს ტარიელი, რადგანაც ტარიელი მის გმირთა შორის ყველაზე უფრო დიდი სევდით, მწუხარებით, ტანჯვით და ტკივილებითაა დატვირთული. მას უყვარს იგი ისე, როგორც დედას თავის შვილთა შორის ყველაზე უფრო „საწყალი“, „უბედო“ და „დამწვარი“. სწორედ ამ სევდით და ტანჯვით აღაფრთოვანებს ვეფხისტყაოსანი ყველა საუკუნის ყველა სოციალური ფენის ყველა კულტურული დონის ქართველებს; სწორედ ამიტომ ვეფხისტყაოსანის გმირთა შორის ქართველების შემეცნებაში ტარიელს პირველი ადგილი ჰქონდა და აქვს მიჩენილი. სწორედ ამიტომ განსაკუთრებული სიძლიერით და გულითადობით უყვარდათ ტარიელი წარსულში და უყვართ ეხლაც ორივე სქესის ქართველებს. სევდა და ტანჯვა ყოველთვის და ყოველგან აღელვებას, შეკოდებას და თანაგრძნობას იწვევს, განსაკუთრებით, მაშინ, როდესაც ისინი სიყვარულის მიერ არიან გამოწვეულნი. ამის მოწმეა თვით ვეფხისტყაოსანიც. ერთხელ კიდევ გავიხსენოთ ავთანდილისა და ასმათის პირველი შეხვედრა:

ავთანდილმა ყოველივე იღონა, როგორც ვიცით, იმისთვის, რომ ასმათისაგან ტარიელის ვინაობა გაეგო. იგი, ბოლოს, ასმათს სასიკვდილოდაც კი დაემუქრა; საკმარისი იყო, რომ ავთანდილს თავისი მიჯნურობა, სატრფოსთან დაშორების სიმწარე და სიმძიმე ეხსენებინა, რომ ასმათი მყისვე ავთანდილის მიმართ სიმპათიით განწყობილიყო; ასმათის ასეთი ქცევა სიყვარულისა და სიყ-

ვარულის მიერ გამოწვეულ სევდისა და ტანჯვის მიმართ მარტო მისი საკუთარი, პირადი, სულიერი თავისებურობის გამოძახილი არაა;

ასეთი განწყობა ადამიანთა უმრავლესობის, კაცობრიობის უდიდესი ნაწილის განწყობაა; და სწორედ ამიტომ არის დიდი ყველა შეგნებულ, გულისხმიერ ჭართველთა რწმენა იმისა, რომ ვეფხისტყაოსანი ბევრი, ძნელი დაბრკოლების გადალახვის შემდეგ გზას გაიკაფავს და კაცობრიობის გულს მიაღწევს, მას ჭართველთა მსგავსად ააღელვებს და იქ თავის მიმართ თანაგრძნობას, სიყვარულს და აღტაცებას გამოიწვევს.

სევდის განხილვის შემდეგ ჩვენ უნდა გავარკვიოთ აგრეთვე სევდის საწინააღმდეგო გრძნობა — სიხარული.

რა არის სიხარული? მაგრამ ვიდრე ამ კითხვის პასუხს გამოვთქვამდეთ, საჭიროა იმისი წინასწარი განმარტება, თუ რა არის სიამოვნება, რადგანაც სიხარული სიამოვნების ერთ-ერთი სახეობაა.

ამ საკითხით დაინტერესებულთა შორის არისტოტელს საპატიო ადგილი უჭირავს. და ამიტომაც პირველი სიტყვა ჩვენ არისტოტელს უნდა ვაკუთვნოთ, რომელმაც ამ საკითხის გადაწყვეტა სწორ ნიადაგზე დაამყარა; მიუხედავად იმისა, რომ მისი მოსაზრებანი ზოგადი ხასიათის არიან, ისინი სიხარულის განმარტებასაც კარგად უდგებიან და მის გარკვევასაც დიდად ადვილებენ.

არისტოტელის ძირითადი აზრი ისაა, რომ „სიამოვნება აგვირგვინებს უკვე გამოვლენილ აქტივობას არა მისი განწყობის ან მისი ბუნების თვისებების სახით, არამედ სამკაულის მსგავსად, რომელიც აქტივობას დამატებით დაერთვის, როგორც სილამაზე იმათ, ვინც ახალგაზრდობის გაფურჩქვნის ხანაში იმყოფებიან". 7). გვ.471. და რადგანაც თვით სიცოცხლე თავისი არსით ნამდვილი აქტივობაა, ცხადია, სიამოვნება, გარკვეულ პირობებში მასაც დაერთვის; რაც შეეხება იმას, თუ რომელი რომელს იწვევს: სიამოვნება სიცოცხლეს, თუ პირიქით, სიცოცხლე სიამოვნებას, არისტოტელისთვის ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარი და მნიშვნელოვანი აქ ისაა, რომ ეს ორი მიდრეკილება: მიდრეკილება სიცოცხლისადმი, მაშასადამე, მიდრეკილება აქტივობისადმი და მიდრეკილება სიამოვნებისადმი ერთმანეთთან მეტად მჭიდრო კავშირში არიან და მათი ერთმანეთისაგან დაშორება შეუძლებელია: „აქტივობის გარეშე სიამოვნება არ არსებობს და ყოველი აქტივობა თავის დასრულებას სიამოვნებაში პოვულობს". 7). გვ. 473.

აქტივობის დასრულება იმიტომ იწვევს სიამოვნებას, რომ აქტივობის ნაქმი პიროვნების თავისებურობის გამოვლენა, პიროვნების ანაბეჭდია. აქტივობის და ადამიანის პიროვნების ნათესაობა იმითაც მტკიცდება, რომ ადამიანი ხალისით იმას აკეთებს მხოლოდ, რაც მას უყვარს და რისი შესრულებისათვის მას განსაკუთრებული ნიჭი და უნარი გააჩნია; საამისოდ, თვითეული მათგანი ამ თავისი შეგრძნებითი ან გონებრივ უნარს მიმართავს, რომლებიც მისთვის უფრო ადვილად მოსახმარნი არიან და რომლებიც მას მეტს ეუბნებიან. ამიტომ მუსიკის ნიჭის მქონე ადამიანები, განსაკუთრებით და შერჩევით სმენას მიმართავენ იმ მელოდიების შეთვისებისათვის, რომლებიც მათ უყვართ. ადამიანები, რომლებსაც უფრო ცოდნის შეძენა ეხერხებათ და ურჩევნიათ, თავიანთ გონებას და გონებრივ განსჯას მიმართავენ მეტი სიადვილით და მეტი სიამოვნებით.

აღსანიშნავი არისტოტელის გაგებაში ისაა, რომ თუ სიამოვნება აქტივობის ერთგვარი შედეგია, აქტივობაც, თავის მხრივ, განსაკუთრებული თვალსაზრისით, სიამოვნების შედეგია.

ჩვენ ვთქვით, რომ სიამოვნება მოსდევს ისეთ აქტივობას, რომელიც ადამიანს უყვარსო; ესე იგი, რომელიც ადამიანის პიროვნების თავისებურობის გამოვლენაა; ხოლო ამ აქტივობის მიერ გამოვლენილი სიამოვნება, რიკოშეტით, თვით აქტივობაზე მოქმედებს და მას ადამიანისათვის უფრო ადვილ მისაწვდომად, უფრო ღრმა ჩასაწვდომად ხდის; ის, რაც ადამიანისათვის სასიამოვნო არის უფრო ადვილად დასაჭერია; უფრო ადვილად და უფრო დიდი ხნით ადამიანის ყურადღების არეში მყოფია. არისტოტელი ამბობს:

„სიამოვნება თვითეული სახის აქტივობისა ზრდის თვით ამ აქტივობას. ადამიანს მეტი შანსები აქვს მეტი განჭვრეტით (დისერნემან) და მეტი სიზუსტით განსაჯოს, ამიტომ ისინი, რომლებიც სიამოვნებით იხილავენ გეომეტრიას, უკეთესად იგებენ ამ მეცნიერების სხვა და სხვა ნაწილებს და თვითვე უკეთესი გეომეტრები ხდებიან. სწორედ იგივე ითქმის ყველა იმათ მიმართ, რომელთაც უყვართ მუსიკა, არქიტექტურა და სხვა.

ამ მტკიცებას არისტოტელი შემდეგი მოსაზრებითაც აძლიერებს: სიამოვნება ასუსტებს და სპობს ყველა იმ აქტივობას, რომლებიც ამ სიამოვნების გამომწვევ აქტივობის შემაფერხებელია.

„ისინი, რომელთაც უყვართ ფლეიტას მოსმენა, უძლურნი არიან ორატორს ყურადღებით მოუსმინონ იმ მომენტში, როცა მათ ფლეიტის მელოდიები ესმით; ისინი უფრო დიდ სიამოვნებას ამ მუსიკის მოსმენით განიცდიან, ვიდრე იმავე მომენტშივე მათზე სხვა რამის ზემოქმედებით, რომელიც მათი ყურადღების დაპყრობას ეძალება; ამრიგად, სიამოვნება ფლეიტას დაკვრის მოსმენით გამოწვეული, ახშობს იმ სიამოვნებას, რომლის აღძვრა ორატორს (სხვა მომენტში) შეეძლებოდა. აქტივობა, რომელიც მეტად ძლიერ სიამოვნებას აღძრავს, ყურადღებას არიდებს ყველაფერს სხვას; და ამას იგი შვრება მით უფრო დიდი სიძლიერით, რაც უფრო ძლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერია ეს სიამოვნება... როცა რომელიმე საგანი ჩვენში დიდ სიამოვნებას აღძრავს, ჩვენ თითქმის უძლურნი ვხდებით სხვა რამ მხედველობაში მივიღოთ". 7). გ. 475.

არისტოტელი მასაც აღნიშნავს, რომ ადამიანი ხელს იღებს ისეთ აქტივობაზე, რომელიც პიროვნების ბუნებიდან არ გამომდინარეობს და მას სიამოვნებას არ აღუძრავს; საამისოდ, არისტოტელს შემდეგი მაგალითი მოაქვს: „ერთისთვის წერა სრულიად არა სასიამოვნოა; იგი მას ეჯავრება; მეორესათვის — ასეთია ანგარიში; პირველი ხელს იღებს წერაზე; მეორე კი — ანგარიშზე".

არისტოტელი თავისი თეორიის დასასურათებლად მაგალითებს განსაკუთრებული სიმდიდრით ჩვენს ეპოქაში იპოვიდა და ამით უფრო მეტი კონკრეტულობით დაადასტურებდა თავის მოსაზრებებს. თანამედროვე საქარხნო მუშაობა, განსაკუთრებით კონვეიერის სახით წარმოდგენილი, აღარ ატარებს შრომის იმ თვისებებს, რომელნიც სიამოვნებით და კმაყოფილებით გვირგვინდებოდნენ. ჯორჯ ფრიდმანი მას „ნაფხვენებად ქცეულ" შრომას (ტრავაი ან მიეტ) უწოდებს; ვიალატუ კი — „პარსელერულ" ანუ „დაწვრილმანებულ" და ნაძალადევ შრომას. 14).

ასეთი შრომა, განსაკუთრებით კონვეიერის განსახიერებით, ყოველგვარ სიამოვნებას მოკლებულია: **მისი მთავარი მიზანია სისწრაფე და მოძრაობათა სიმრავლე;** იგი აღარ გულისხმობს თვით მომუშავის პიროვნების გავლენას, არც მის გონებრივ და ემოციურ უნართა გამოყენებას, არც მის დაინტერესებას (გარდა ფულადი გამორჩენისა), არც ინიციატივას და არც მისი ცნობისმოყვარეობის აღძვრას; კონვეიერზე მუშაობის დროს ადამიანის პიროვნება კი არ მოქმედებს, არამედ მხოლოდ მისი **უმცირესი და უმდაბლესი** ნაწილი; ამ შრომის მთავარი თვისება ისაა, რომ იგი აღკვეთს ადამიანის ინიციატივას, რომ იგი, სხვა პირობებში განუყრელ აზროვნება-მსჯელობას ერთი მხრივ, და აქტის შესრულებას, მეორე მხრივ, ერთმანეთისაგან აშორებს; კონვეიერის მუშის ერთადერთი დავალებაა: მის დაუკითხავად წინასწარ გამომუშავებულ ავტომატიური ჟესტების, რაც შეიძლება მეტი სისწრაფით და სიზუსტით შესრულება. ასეთ შრომაში აღარ სჩანს ადამიანის მონაწილეობის მიღება (პარტისიპასიონ); ეს შრომა მუშისათვის უცხოა, მისგან, მის პიროვნებისაგან, მის პირად ინიციატივისაგან სრულიად დამოუკიდებელია; იგი მას არაფერს ეუბნება და არაფერსაც ჰმატებს, გარდა ზოგჯერ კარგი ხელფასისა. რასაკვირველია, როგორც დაუმთავრებელი, ძალაუნებური, მხოლოდ მატერიული აუცილებელი საჭიროებით დაძალებული, ასეთი შრომა არ აღძრავს მუშის ფსიქიკაში არც სიამოვნებას და არც კმაყოფილებას; პირიქით, იგი ხშირად უკმაყოფილებას და უსიამოვნებას იწვევს, რაც მუშის თვალში განსახიერდება, როგორც მისთვის დაკისრებული ერთგვარი სასჯელი.

ჯორჯ ფრიდმანი აღნიშნავს: „შრომა, რომელიც თავისთავად ერთგვარ ვალდებულების ნებაყოფლობით მიღებას და პიროვნების გარკვეულ თანამშომლობას გულისხმობს, ხშირად სულ სხვაა და გაცილებით მეტია, ვიდრე ძალაუნებური აქტივობა, რომელსაც ადამიანი მხოლოდ პრაქტიკული მიზნისთვის ასრულებს (მაგალითად — ცოლ-შვილის გამოკვების მყვირალა საჭიროების გავლენით).

პირველი სახის შრომა წარმოადგენს ადამიანის სულიერი წონასწორობის და მისი სულიერი გაფურჩქვნის მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელსაც ადამიანი რეალობის და, განსაკუთრებით, მრავალგვარი ეკონომიურ და სოციალურ კოლექტივების ფარგლებში შეჰყავს". 11). გვ. 229. ფროიდიც ფიქრობს, რომ „შრომას ადამიანისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს; ის ფაქტი, რომ შრომა თავისთავად და აგრეთვე სხვა ადამიანებთან ურთიერთობის გავლენით, შესაძლებლად ხდის ლიბიდოს ნარცისისეულ, აგრესიულ და ეროტიულ იმპულსების განტვირვას, ადამიანისათვის არა ნაკლები მნიშვნელობისაა, ვიდრე ის ფაქტი, რომ იგივე შრომა ადამიანის მის საზოგადოებაში ყოფნას ამართლებს... **შრომა, განსაკუთრებული კმაყოფილების მომცემია, როცა თვით იგი ადამიანის მიერ არის შერჩეული, ესე იგი, როცა სუბლიმაციის წყალობით, შრომა ადამიანის შეძლებას უქმნის აამოქმედოს მისი პირადი მიდრეკილებები, ინსტინქტური იმპულსები, რომლებიც აქამდე შეფერხებულნი იყვნენ".** . .

ასეთი „ფხვნილად ქცეული" შრომა ადამიანის „სულიერი წონასწორობის დამკვიდრების და მისი პიროვნების გაფურჩქვნის, გამდიდრების და გაღრმავების ფაქტორი" აღარაა. პირიქით, იგი ადამიანის პიროვნების დაღარიბების, დაკნინების და სულიერი დაცემის მიზეზია; იგი დაუთავებელი, მაშასადამე, არისტოტელის მიხედვით, სიამოვნებას მოკლებული შრომაა.

იმისათვის, რომ ადამიანმა ქარხნის საკონვეიერო მუშაობის პირობებში თავისი დასუსტებული პიროვნება გააძლიეროს, იგი ცდილობს პარალელური, მარჯინალური სამუშაო გაიჩინოს, ხშირად თავისი დასვენების და ძილის საზიანოდ: ხატვა, წიგნების კითხვა, საღამოს კურსები, სათეატრო თამაში, სპორტი, სინდიკალური, მუნიციპალური, ან პოლიტიკური მოღვაწეობა და სხვა ასეთები, სადაც ადამიანი ნორმალურ, მისთვის საინტერესო და სასიამოვნო, მისი ძირითადი მისწრაფებების ამსახველ შრომას ეწევა; სადაც იგი ავარჯიშებს თავის გონებრივ ფუნქციებს; სადაც იგი თავის თავს ნამდვილ პიროვნებად გრძნობს და სხვებთან ერთად რაღაცას, მნიშვნელობის მქონეს ჰქმნის. ყოველივე ამას „შრომის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცნიერული ორგანიზაციის მეთაურებიც გრძნობენ და მდგომარეობის როგორმე გამოსწორების საშუალებას ეძებენ, რასაც ისინი სხვა და სხვა მიზეზების გამო ყოველთვის ვერ ახერხებენ. ამრიგად, თანამედროვე შრომის ეს მცირე ანალიზი არისტოტელის თეორიას სოციალურ ბაზისს უქმნის და მას კონკრეტული მაგალითებით ამაგრებს.

ჟან ლაკრუა არისტოტელის თეორიას მთავარ შტრიხებში მთლიანად იღებს იმ განსხვავებით, რომ არისტოტელი მხოლოდ სიამოვნების შესახებ ლაპარაკობს; ნამდვილად კი, ამ ტერმინით იგი ხან სიამოვნებას გულისხმობს ,ხან კი სიხარულს; ლაკრუა კი სიამოვნების და სიხარულის ახლო ნათესავობის აღნიშვნასთან ერთად, მათ სხვაობასაც განიხილავს. ამას იგი შემდეგნაირად ახერხებს.

ჟან ლაკრუა არისტოტელის მსგავსად ამბობს: **სიამოვნება გამოხატავს იმ ინტერესს, რომელიც მე მაქვს ჩემს საკუთარ მოქმედების და აგრეთვე მისი წარმატებით დაგვირგვინების მიმართ... სიამოვნება არის გამოხატულება მიდრეკილების დაკმაყოფილებისა, უფრო სწორედ, იგი დაკმაყოფილების პროცესში მყოფი მიდრეკილება არის**". 8). გვ. 114. ამდენად, სიამოვნება შეგრძნებების და სხეულებრივობის ხასიათს ატარებს; იგი უფრო შეგრძნებაა, ვიდრე ნამდვილი გრნობა; სიამოვნება იმ შემთხვევაში, თუ იგი მხოლოდ ასეთი დარჩებოდა და მას სხვა არაფერი დაერთვოდა, წამიერი იქნებოდა; მისი შინაარსი ერთი წამით (ენსტან) ამოიწურებოდა და მას ადამიანის ფსიქიკაში მეტად მცირე მნიშვნელობის რეზონანსი ექნებოდა. ჟან ლაკრუა ფიქრობს, რომ სიამოვნება სხვა წმინდა ფსიქიკურ ელემენტებსაც იძენს და ამით თავის წამიერობას გადალახავს; მისთვის სიამოვნების გამომსახველი მიდრეკილება მოთხოვნილებაა; მოთხოვნილება კი თავის დაკმაყოფილებას ყოველთვის აუშუალოდ არ პოვულობს; მოთხოვნილების განცდისა და დაკმაყოფილების შორის წყვეტია, რომელიც თავისი ხასიათით დროის ჩანასახია; დრო კი წამიერობის გადალახვაა; და ამიტომ „მცდარია იმის თქმა, რომ სიამოვნება ერთი წამით (ენსტან) ამოიწურება"-ო. 8). გვ. 114. შეიძლება სწორი იყოს იმის დაშვება, რომ პირუტყვის სიამოვნება მართლაც წამიერია; ხოლო უდავოა, რომ ადამიანის ფსიქიკაში სიამოვნება ხანგრძლივდება მეხსიერებისა და წარმოსახვის დანართვებით ისეთ ნაირად, რომ ზოგჯერ წინასწარ წარმოსახული სიამოვნება ადამიანისათვის განცდილ სიამოვნებაზე უფრო ძლიერია. ეს წმინდა ფსიქიკური (სპირიტიუელ) დანართვები სულიერ არსთა იერარქიის მიხედვით პროგრესიულად ძლიერდებიან და ღრმავდებიან; და როცა ამ დანართვების სიმრავლე, სიმდიდრე და ძლიერება განსაკუთრებით ინტენსიური ხდება, სიამოვნება სიხარულის სახით წარმოგვიდგება. ლაკრუა ამას ნათლად აღნიშნავს: „დავუშვათ, თუ გნებავთ, რომ სიამოვნება ძირითადად შეგრძნებითი ხასიათისაა; ხოლო ადამიანის „გონი" (ესპრი) თვით ამ შეგრძნობითობაში (სანსიბილიტე) იჭრება მისი გამდიდრების და მისი გაღრმავებისათვის"-ო. 8). გვ. 114. იმდენად, რამდენადაც სიამოვნება ზოგ შემთხვევაში პიროვნების თავისებურობის გავლენას აღიბეჭდავს, იგი ზოგ გონისებურ (სპირიტიუელ) ელემენტებს იძენს, წამიერობას უსხლტება და ყოველივე ამით სიხარულს უახლოვდება. პირიქით, იმდენად, რამდენადაც სიხარული თითქმის არასდროსაა სხეულებრივობისაგან მთლიანად მოწყვეტილი, იგი სიამოვნების მიერი, სიამოვნების მონათესავე რჩება. სწორედ ეს ფაქტი გვაძლევს საშუალებას ვთქვათ, რომ სიხარული სიამოვნების სახეობაა: სიამოვნებაზე უფრო მდიდარი ,უფრო რთული, უფრო ღრმა, მეტი მნიშვნელობით, მეტი აზრით დატვირთული. ხოლო ეს მათი ახლობელი ნათესავობა ხელს არ გვიშლის, რომ მათი მნიშვნელოვანი სხვაობაც აღვნიშნოთ. ფსიქოლოგიურად ხშირად ლაპარაკობენ ფსიქიკურ განცდების დონეზე. მეზონავი ფიქრობს, რომ ეს ცნება ემოციურობას კარგად ეგუება. იგი ამბობს:: „ძირითადი განსხვავება სიამოვნებასა და სიხარულს შორის სწორედ ამ ემოციურ დონეთა სხვაობა არის"-ო. სიხარული ემოციურობის უფრო მაღალი დონეა; სიხარული სიამოვნების უმაღლესი ფორმაა; სიხარული თავისი ხასიათით მეტია, ვიდრე სიამოვნება. იგივე მეზონავი ამტკიცებს: „სიამოვნება ვერ გახდებოდა სიხარული, თუ მას არ დაემატა ერთგვარი „აღტაცება" (რავისმან), ერთგვარი კმაყოფილება ადამიანის არსის სიღრმიდან გამომდინარე, რომელსაც ადგილი აქვს დიდი სიყვარულის დროს"-ო. 2). გვ. 60. სიხარულის და სიამოვნების სხვაობა ამით არ ამოიწურება. სიამოვნება, შეგრძნებითი წარმოშობის მქონე, შეგრძნებებთან მჭიდრო კავშირშია და ამდენად მას ლოკალური, ადგილობრივი ხასიათი აქვს: სიამოვნებას ვგრძნობ ყურში, ენაზე, ლოყაზე, ხელის კანზე და სხვა; „სიხარული კი, უპირველეს ყოვლისა, სიამოვნებისაგან განსხვავებით, ტოტალური, მთლიანობის ხასიათისაა; იგი ვრცელდება ცნობიერების მთელს შინაარსზე... იგი თვით სულის ამოხეთქვაა; სიხარული სავსეობაა;.!.. როგორც ეს კარგად აღნიშნეს კარტეზიანელებმა, — სიხარული სულის ერთგვარი განუწყვეტელი (ემპლისიტ) განსჯაა, რომელიც ჯამს უკეთებს ადამიანის ფსიქიკის მოგებ-წაგებებს,, მისი მოგების დადასტურებით; სწორედ ამიტომ სიხარულს თან სდევს გრძნობა ძალისა და ძლიერებისა, როგორც სევდას თან სდევს გრძნობა სისუსტისა და უძლურებისა. საკმაოა მივიღოთ ერთი დიდი სიხარული, რომ ჩვენთვის მრავალი დაბრკოლების გადალახვა ადვილი გახდეს და ჩვენი გამარჯვება გარემო სინამდვილეშიც ტრიუმფის სახით

წარმოისახოს"-ო. 8). გვ. 116.

„თუ სიამოვნება მოძრაობაა, სიხარული გადანაცვლებაა (პასაჟ, ტრანზიტიო);... გადანაცვლება ნაკლები სრულქმნიდან უფრო დიდი სრულქმნისაკენ; სიხარული შეგრძნებითია, რადგანაც სიხარული ჩვენ თავისკენ გვითრევს (ანტრენ); იგი გონისებურია (სპირიტიულ), რადგანაც იგი ნიშანია ღირების არსებობისა (პრეზანს)" (იქ.)

სიხარული, როგორც თვით ადამიანი, ვერასდროს აღწევს სრულქმნას; იგი ბედნიერებაზე უკეთესია, რადგანაც ბედნიერება ერთხელ და სამუდამოდ ნავთსადგურში მისვლაა; სიხარული თვით ადამიანის მსგავსად მუდმივი, დაუსრულებელი წინსვლა, პროგრესია; იგი მუდამ ბედნიერებისაკენ მიილტვის და მას ვერასდროს აღწევს; ხოლო ამ წინსვლაში იგი მრავალ ღირებულებას ჰქმნის, მრავალი სახის შემოქმედებას ეწევა, რომელთა შემწეობით იგი თვით ადამიანის პიროვნებასაც გამდიდრებით გარდაქმნის და მთელ ქვეყანასაც.

ბერგსონი განსაკუთრებული სიძლიერით, მისთვის ჩვეული ნათელი მჭევრმეტყველებით და სიღრმით აღნიშნავს შემოქმედების და სიხარულის კავშირს. „ყოველგან, სადაც სიხარულია, არის აგრეთვე შემოქმედება: რაც უფრო მდიდარია შემოქმედება, მით უფრო ღრმაა სიხარული"-ო. 9). გვ. 23. შემოქმედება კი წარმოდგენილის, მოფიქრებულის, ნავარაუდევის, პროექტის, სურვილის, მისწრაფების, სიყვარულის ობიექტის სინამდვილეში გამოვლენაა: „აზრი, რომელიც მხოლოდ აზრია; ხელოვნების ნაქმი, რომელიც მხოლოდ წარმოსახულია; ლექსი, რომელიც მხოლოდ ოცნების ობიექტია, არ საჭიროებენ ჯერ გარჯას (პენ); ძალის დაჭიმვა მაშინ ხდება აუცილებელი, როცა საკითხი დადგება მათი მატერიული ჩამოყალიბებისა: ლექსისა სიტყვებად, მხატვრული წარმოდგენისა (კონსეპსიონ) ქანდაკებად ან სურათად... ეს ძალის ხმევა შეუძლებელი იქნებოდა ნივთიერების (მატერ) გარეშე: წინააღმდეგობის გაწევის საშუალებით, რომლითაც იგი გვეპირისპირება და თვინიერქმნის საშუალებით, რომლითაც ჩვენ მის წაყვანას ვახერხებთ ,ნივთიერება ჩვენთვის ერთ და იმავე დროს წინაღობა, იარაღი და წამქეზებელია (სტიმულან); იგი გამოცდის (ეპრუვ) ჩვენს ძალას, ამ ძალის გავლენას აღიბეჭდავს და მის ინტესიფიკაციას უხმობს. ბუნება გარკვეული (პრეცი) ნიშნით გვამცნობს, რომ ჩვენი დანიშნულება (დესტინასიონ) მიღწეულია. ეს ნიშანი არის სიხარული. მე ვამბობ: სიხარული და არა სიამოვნება. სიამოვნება ბუნების მიერ გამოგონილი უბრალო ხელოვნური საშუალებაა (არტიფის), აიძულოს ცოცხალი არსი სიცოცხლე შეინარჩუნოს. სიამოვნება არ აღნიშნავს, თუ სადით მიიმართება ცხოვრება. სიხარული კი გვამცნობს ყოველთვის, რომ ცხოვრებამ მიზანს მიაღწია; რომ მან წინ წაიწია; რომ მან გაიმარჯვა. ყოველ დიდ სიხარულს ტრიუმფისებური გამოძახილი (აკსან) აქვს"-ო. 9). გვ. 22.24. ბერგსონი თავისი აზრის დასასურათებლად რამდენიმე მაგალითს მიმართავს: ყველა ამ მაგალითში იგი ხაზს უსვამს იმას, რომ სიხარული მიზნის მიღწევაა, რომ სიხარული — შემოქმედებაა. დედა, რომელიც თავის შვილს უცქერის, მხიარულია, რადგანაც მას შეგნება აქვს: თავისი შვილი თვით შექმნა; შექმნა სულითა და ხორცით. ქარხნის მეთაური, რომელმაც მოაწყო ეს ქარხანა და რომელიც მის წინსვლას, განვითარებას და გაფართოებას უძღვება, ხარობს; არა მარტო იმით, რომ ქარხანა მას მატიერიულ მოგებას აძლევს, არამედ, უმთავრესად და ძირითადად, იმით, რომ მან არარაობიდან გააკეთა, მოაწყო, აამუშავა, სული ჩაუდგა და შემდეგ გაავითარა ისეთი რამ, რასაც საზოგადოებრივი ღირება და ცხოველმყოფელობა აღმოაჩნდა. ხელოვანი, რომელმაც განახორციელა თავისი ნაფიქრი; მეცნიერი, რომელმაც გამოიგონა, აღმოაჩინა რაღაც მნიშვნელოვანი, ხარობენ იმით, რომ თვითეულმა მათგანმა თავისი ცოდნით, ნიჭით, უნარით, მოხერხებით და შრომით შექმნა, აღმოაჩინა ღირებით, აზრით, მნიშვნელობით, სილამაზით დატვირთული ნაქმები; ისეთი ნაქმები, რომლებიც ამდიდრებენ, ზრდიან და აღრმავებენ თვით შემოქმედების პიროვნებასაც და აგრეთვე ამ ნაქმთან კონტაქტში მყოფ საზგადოების წევრთა სულიერ არსსაც. თვითეული შემომქმედის სიხარული მით უფრო დიდია, რაც უფრო თავისებური, ღირებული, მნიშვნელოვანი და გავლენის მქონეა კერძო პირთა და თვით მთლიან საზოგადოებისათვის მის მიერ წარმოქმნილი, საკუთარი პიროვნების აღმბეჭდავი ნაქმი.

ხელოვანის, მეცნიერის, ტექნიკოსის მთავარი და, შეიძლება, ერთად-ერთი ძირითადი სიხარული ისაა, რომ მათ მოახერხეს თავიანთი ფიზიკური და სულიერი ძალების დაძაბვით, თავისი ნიჭით, უნარით და ცოდნით ისეთი საზოგადოებრივი მნიშვნელობის ნაქმის წარმოქმნა, ისეთი რამის გაკეთება, რომელიც თვითეული მათგანის პიროვნული თავისებურობის და დასახული მიზნის გამოვლენაა. სიხარული მათთვის ისაა, რომ თვითეულმა თავისებურად, გარკვეული წინასწარი წარმოსახვის მიხედვით, თავისი საკუთარი სურვილების მიდრეკილებების და მისწრაფებების თანახმად „გააკეთა ბევრი" ცოტაი, რაღაცა არარაობით" და მით თვისი წინასწარ დასახული მიზანი გაახორციელა.

ჩვენ ამ წერილში აქტივობის რამდენიმე სახეობა განვიხილეთ; ყველა ისინი, იმ აქტივობის ჩათვლით, რომელსაც სიცოცხლე ეწოდება, სიხარულს მაშინ იწვევენ, როცა ისინი კეთილად მთავრდებიან; როცა ისინი სასურველად დასრულდებიან; როცა ისინი ადამიანის ნაფიქრს, ნააზრევს, შემუშავებულ პროექტებს, დასახულ მიზნებს და მისწრაფებებს ეთანხმებიან; როცა ისინი ისეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულიერ ან უსულო ობიექტებს ეხებიან, რომლებიც აქტივობის ავტორს უყვარს. რასაკვირველია, ადამიანთა სიხარულის აღმძვრელი აქტივობა სიყვარული არ არის; ხოლო იგი აუცილებლად რაიმეს სიყვარულს გულისხმობს, რომლისათვისაც ძალთა დაძაბვა, თავის შეწუხება, მძიმე შრომის დაკისრება, ძნელი ძიების წარმოება, ბევრი სივიწროის ატანა მას სიამოვნებად მიაჩნია. გარეშე სიყვარულისა აქტივობის არც ერთ გამოვლენას არ ეწნებოდა არც სტიმულის მომცემი მიზანი, არც ამ მიზნის განხორციელების დაუძლეველი სურვილი, არც დაუბრკოლებელი მისწრაფება, არც მოუდრეკელი მამოძრავებელი ძალა და არც განუზომელი, უანგარო თავშეწირვა და თავდავიწყება; ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ სიხარულის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი სიყვარული არის. აი, ასეთია სიხარულის ბუნება. ხოლო როგორი არის მისი მოქმედება ადამიანის ქცევაზე?

ყველასათვის ცნობილია სიხარულის და კმაყოფილების მნიშვნელობა ადამიანის ფსიქიკურ და ფიზიკურ ფუნქციებზე: სიხარული ამ ფუნქციების მოქმედებას აადვილებს: ადამიანს მოქმედებისაკენ, აქტივობისაკენ მიმართავს. გახარებულ, მით უმეტეს, სიხარულით ავსილ ადამიანისათვის მოქმედების შიში, მოქმედების დაწყების სიძნელე აღარ არსებობს; იგი აქტივობით დუღს და ყოველი მოქმედებით ტკბება; ამიტომ სიხარული ადამიანის ფიზიკურ და ფსიქიკურ სამყაროში მოზღვავებულ ჭარბ ენერგიას ფართე გზას უხსნის. ადამიანი სიხარულის ზეგავლენით ვეღარ ეტევა თავის ნაჭუჭში; მას სჭირდება გარედ გამოვლენა: სამოქმედო მოედანზე გამოსვლა; სხვებთან კონტაქტის დაჭერა; თავისი კმაყოფილების, თავისი აღტაცების სხვისთვის გაზიარება; სხვისი თვალების, სხვისი ღიმილის, სხვისი ყურადღების თანხლება; ერთი სიტყვით, სხვათა მოყვასობის შეგრძნება; იგი ვერ ითმენს განმარტოვებას; მას უჭირს თავისი სიხარულის მხოლოდ საკუთარი თავისათვის შენახვა.. სიხარული ადამიანს თავისი საკუთარი თავის რწმენას, ნდობას ანიჭებს და გამბედაობას აღუძრავს. სიხარული ადამიანს თავისი მისწრაფებების, თავისი ცხოვრების ღირებულების შეგნებას წარმოუქმნის და ამით ადამიანის იმედებს ფრთებს შეასხამს. სიხარულით ავსილი ადამიანისათვის ყველაფერი მომხიბლავი და ღირებული ხდება; ყველაფერი ადვილად მისაწვდომად ისახება; ისე, რომ მისთვის დაბრკოლებათა გარდუვალობა ჰქრება; მისი გეგმები რეალური შესაძლებლობით ისახებიან. სიხარულის ზემოქმედება განსაკუთრებით დიდია, როცა იგი სევდას სცვლის და მის ადგილს იჭერს; როცა სევდის და სიხარულის მონაცვლეობა უშუალოა; როგორც ეს ტარიელის ცხოვრებაში მოხდა: ტარიელის მიერ ნესტანის კარგად ყოფნისა და მისი დახსნის შესაძლებლობის მოულოდნელად გაგების მომენტში.

ჟორჟ დიუმა სიხარულს ასე ახასიათებს: ჩვენ აქ ვპოვულობთ კარგად ყოფნის, სიმჩატის და ძლიერების გრძნობას.. როგორც სევდაში, სიხარული ადამიანს შთაბეჭდილებას უქმნის, რომ იგი მთელს სხეულშია გაფანტული...: თავში, რომელიც ზევით იწევა; გულში, რომელიც უფრო ჩქარა და უფრო მძლავრად ცემს; მკლავების და წვივების კუნთებში, რომლებიც უფრო მოძრავნი და უფრო ძლიერნი ხდებიან; კიდურებში, რომლებიც მეტ სითბოს გამოსცემენ; მთელს ორგანიზმში, რომელიც უფრო აქტიური და უფრო მძლავრია, სინესტეზიაში, რომელიც უფრო ცნობიერი და უფრო სასიამოვნოა. 1). გვ. 362.

სიხარული მოქმედებს აგრეთვე ადამიანის ფსიქიკაზეც: სიხარულით მოცული პირები ეუბნებიან ჟ. დიუმას, რომ „მათი წარმოსახვა უფრო მდიდარია, მათი გაგების უნარი უფრო სწრაფია, მათი მეხსიერება უკეთესად მომქმედია“...

სიხარულის ფსიქიკაზე მოქმედების დასასურათებლად ჟ. დიუმას მოაქვს კრეპელინის ერთი ავადმყოფის მაგალითი; ეს ავადმყოფი მჩატე მანიაკური აგზნებით იყო შეპყრობილი ;მჩატე მანიაკური აღგზნება კი ქრონიკული სიხარულის განსახიერებაა და ამიტომ მისი ანალიზი სიხარულის ბუნების საუკეთესო ილუსტრაციაა. კრეპელინის პაციენტი „ვერ იტანს ლოგინში წოლას; დილით ადრე ოთხი საათიდან, იგი ფეხზეა; ალაგებს სახლის ოთახებს; დაგვიანებულ კორესპონდენციას გასაგზავნად ამზადებს; შემდეგ დილის გასეირნებას და ექსკურსიებს აწყობს; მონაწილეობას იღებს სხვა და სხვა საზოგადოებათა აქტივობაში; არ აკლდება არც ერთ გართობა-სპექტაკლს; ხშირად სწერს გრძელ წერილებს; თავისი ცხოვრების დღიურს რეგულიარულად ავსებს; მუსიკას და ლიტერატურას სწავლობს; ჰუმორისტულ ლექსებსა სწერს; ინტერესს იჩენს მრავალი სხვა რამეების: პოლიტიკის, ავიაციის, ფემინიზმის მიმართ, რომელთა მიმართ წინ იგი სრულიად გულგრილი იყო; ბრავალ ნაცნობს იჩენს და თავისი ფამილიარობით ყველას აკვირვებს. (იქვე, გვ. 363).

„არის აგრეთვე წყნარი სიხარული, რომელიც მდიდარი არაა წარმოსახვის და იდეაციის თვალსაზრისით, რომლებსაც თან სდევს კარგად ყოფნის, ძლიერების, ფიზიკურ და ფსიქიკურ შესაძლებლობათა ქონების შეგრძნებით“. 6). გვ. 118.

მიუხედავად ასეთი ხარისხეული განსხვავებისა, სიხარული მუდამ ერთგვარია: ხარისხეულის სხვაობა მხოლოდ განცდის სიძლიერეზე მოქმედებს: მას ასუსტებს, ან აძლიერებს; თვით განცდა კი და ამ განცდის ადამიანის სხეულზე და ფსიქიკაზე მოქმედება ორივე შემთხვევაში ერთგვარი არის. სიხარულის გავლენას ექვემდებარება არა მარტო ადამიანის აწმყო, არამედ აგრეთვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი წარსული და მომავალიც; სწორედ ისე, როგორც სევდა ნაღვლიან ელფერში ასახავს დროის ყველა მომენტს: აწმყოს, ნამყოს და მყოფადს.

რუსთაველმა სიხარული განსაკუთრებული გამოკვეთილობით ტარიელის პიროვნებაში გამოსახა. სრულიად მულოდნელად, უცებ გამოჩენილმა ავთანდილმა ტარიელს სანუკვარი ამბავი აცნობა და ამ ამბის დადასტურების ნიშნად ტარიელს მისთვის კარგად ცნობილი რიდის ნაკვეთი გადასცა. ამ მოულოდნელმა სიხარულმა ტარიელის უკანასკნელი დაბნევის შემდეგ, სრულიად გაჰფანტა მისი წყვდიადი ღამე და იქ უცებ ცხრა-თვალა მზემ გაანათა; ტარიელის სულიერი და ხორციელი სამყარო შესცვალა: სევდა და მწუხარება განდევნა; ამ სევდის გაქარვებით ტარიელის ძარღვებში ჭარბი სისხლით გაავსო, მისი ფიზიკური ძალები გაზარდა; მის არსებაში შავი ფერი წითელით შესცვალა; სიბნელე — სინათლით; უხალისობა — მხიარულობით; შიში — გამბედაობით; ძალთა სისუსტე — ძლიერებით; სიზანტე — მოქმედების სურვილით; განმარტოება — მეგობართა ძიებით; სიჩუმე — ხმაურობის ძახილით; ტირილი — სიცილით; დაღვრემილობა — ღიმილით; ადამიანთა მიმართ უნდობლობა — გულითადი ნდობით; სასოწარკვეთა — სხივოსანი იმედით.

ჩვენ არ ვიტყვით: სიხარულმა ტარიელი თავის ეგოიზმს მოსწყვიტაო, რადგანაც ტარიელი ეგოისტი, თავისი ბუნებით, არასდროს ყოფილა; ხოლო სწორი იქნება ვთქვათ რომ ამ დიდმა სიხარულმა ტარიელი თავისი უბედურერების წრეში ჩაკეტილიდან დაიხსნა; თავისი პირადი ზრუნვების ექსკლუზივურ ბატონობიდან გაათავისუფლა. თავისი შინაბუნებისაკენ მიმართული ცნობიერი და არა ცნობიერი, ემოციურობა გარემო სამყაროსაკენ მიაბრუნა და ამით ტარიელს თავისი წონასწორობა აღუდგინა. ტარიელს, რომელსაც მრავალი წლის განმავლობაში თვალებზე ცრემლი არ შეშრობია; რომლის გული მუდამ წუხილით და ვარამით იყო სავსე; რომლის ტუჩები ვაისა და ვაშის ძახილზე მიჩვეული იყვნენ, ნესტანის დახსნის იმედის ანთებით სრულიად გადახალისდა. ამ სიხარულის მიერ წინამორბედ სევდის აღკვეთა იმდენად უცები და მძლავრი იყო, რომ მან ასმათიც კი მეტად გააკვირვა:

ქვაბისა კარსა ასმათი მარტო ზის, არ ბარგოსანი,
შეჰხედნა, იცნა ტარიელ, თანა ყმა ჭარმაგოსანი,
ორივე ტურფად იმღერდეს, ვით იადონი მგოსანი.
მაშინვე იცნა, ავარდა მოშლილი, პერანგოსანი.
აქამდის მიწყივ ენახა ქვაბს მისლვა მოტირალისა,
აწ გაუკვირდა დანახვა სიცილით მომღერალისა.
ზარ აღებული ავარდა, ცნობა უც ვითა მთრვალისა,
არ იცის სმენა ამბისა ჯერთ მისგან სასურვალისა.

მაგრამ მთავარი ისაა, რომ კარზე მომდგარმა სიხარულმა ტარიელი „გამოაღვიძა"; მას აქტივობა, სწორი განსჯა, სინამდვილის სწორი აღქმა დაუბრუნა; თავისი მდგომარეობის ნამდვილი სახე წარმოუდგინა, დავიწყებულ ვალდებულებათა და მოვალეობათა სრული შეგნება გაუღვიძა; ერთი სიტყვით, მისი სულიერი და ფიზიკური წონასწორობა აღუდგინა. სიხარულის შემდეგ ტარიელი, როგორც ბაიას თვალებზე ახდილი ,ან დიდი სიცხისაგან უცებ გათავისუფლებული, სიბნელიდან და სულიერი დაბნედიდან გამოვიდა: თუ სევდის ბატონობის დროს ტარიელს არც ერთხელ არ გახსენებია თავისი სამშობლო, უკანასკნელის სახიფათო მდგომარეობა და სამშობლოს დაცვაზე ფიქრი, სიხარულის გავლენით ტარიელმა უცებ მოიგონა ყოველივე; გაიხსენა სამშობლოში დაბრუნების სასწრაფო აუცილებლობის შეგნებით, თავისი პასუხისმგებლობის ძველებური, მძლავრი წარმოდგენით.

ტარიელ ჰგვანდის ვარდსა და იყვის ფიფქისა მთოველად.
ავთანდილ როსტანს წინაშე გაგზავნა დასათხოველად.
შესთვალა: „შენი სიახლე კმა ჩემად ლხინად ყოველად,
მტერთა აქვს ჩემი სამეფო, ვიცი, მუნ შიგან მძოველად.
უცებნი მოსრნის მცოდნელთა ცოდნამან, ხელოვნებამან,
წავიდე, ავი არ მიყოს მე აქა დაყოვნებამან...
ადრე კვლა გნახნე მორჭმულნი, ინებოს ღმრთისა ნებამან... სტრ. 1561. 1552.

ამ ძლიერი სიხარულის გავლენით და მისი ზემოქმედებით ტარიელი ისევ ის გახდა. რაც წინეთ იყო: აქტიური, გონიერი, საზრიანი, გამჭრიახი, გულითადი, სხვათა მოყვარე, სხვებზე მზრუნავი ,სხვების მსახური; სამშობლოს მოამაგე, სამშობლოს ბედნიერებისათვის თავდადებული. ნესტანის ტყვეობიდან გათავისუფლების შესაძლებლობის დასახვის შემდეგ, ტარიელი ყველა მომავალი ამბავის ინიციატორი გახდა; ამ მომენტიდან ყველაფერი ისე წარმართა, როგორც ეს ტარიელს სურდა და, როგორც ყოველივე თვით ტარიელმა გაიფიქრა, განსაჯა და გაითვალისწინა. ამავე დროს მან ყველაფერი საზრიანად, ლაზათიანად, შნოთი და მოხდენით გააკეთა, ცხოვრებაში გაატარა.

სიხარულის სრული სურათის მოცემის დროს რუსთაველს სიხარულის დეტალებიც კი არ გამოპარვია. ამ უკანასკნელის დასურათებისათვის ჩვენ ორ მაგალითს კიდევ მოვიტანოთ: პირველი—ჩვენ ვთქვით, რომ სიხარული, სევდის საწინააღმდეგოდ, ადამიანის ფსიქიკურ ფუნქციების მოქმედებას ხელს უწყობსო; ხოლო არის შემთხვევებიც, როცა სიხარული, პირიქით, სევდის მსგავსად, ადამიანის ფსიქიკური ცხოვრების აღრევას იწვევს; ეს ხდება მაშინ, როცა სიხარული მეტად ძლიერია და როცა იგი ადამიანს მოულოდნელად ეცემა, როგორც აფექტი. ამის საუკეთესო მაგალითია ტარიელის დაბნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ავთანდილის მიერ მისთვის ნესტანის ამბის ცნობის და ტარიელისათვის კარგად ცნობილი რიდის ნაკვეთის გადაცემის დროს:

წიგნი და კიდე რიდისა იცნა და გა-ცა-შალა მან,
პირსა დაიდვა, დაეცა, ვარდმან ფერითა მკრთალამან,
სულნი ცაექცნეს, მოდრიკა თავი გიშრისა ტალამან.
მისნი ვერ გაძლნეს პატიჟნი ვერ კაენ, ვერცა სალამან.
ავთანდილ უჭვრეტს ტარიელს, უსულოდ ქვე-მდებარესა,
შეფრფინდა, შველად მიჰმართა მას, ტკბილად მოუბარესა,
ვერა ვერ არგო დამწვარსა, სრულად ცეცხლ-ნადებარესა;
მისთა ნიშანთა სიცოცხლე მართ მისი მიიბარესა... ავთანდილ მკერდსა დაასხა მას ლომსა სისხლი ლომისა;
ტარიელ შეკრთა, შეიძრა რაზმი ინდოთა ტომისა;
თვალნი აახვნა, მიეცა ძალი ზე წამოჯდომისა.
ლურჯად ჩანს შუქი მთვარისა, მზისაგან შუქ-ნაკრთომისა... სტრ. 1341. 1346.

რით აიხსნება ასეთი მოვლენა?

ჟორჟ დიუმა ამგვარი მოვლენის შესახებ შემდეგს გვეუბნება: „(სიხარული) მისი დადებითი ფორმის მიხედვით ადამიანის ახალ ადაპტაციას ახდენს; იგი ახალ ორიენტაციას ანიჭებს ადამიანის ინსტიქტებს და ჩვეულებებს ან კიდევ სრულიად ახალ ჩვეულებებსა ჰქმნის. საუნივერსიტეტო ან სასკოლო გამოცდების ჩაბარების შემდეგ ახალგაზრდა მომავლის პროექტებს აწყობს; ამის მიხედვით მის ფსიქიკაში იქმნებიან ახალი სინთეზები, ახალი ასოციაციური კავშირები წარმოდგენების, იდეების და მიდრეკილებებისა. მისი ნეგატიური ფორმის მიხედვით, სიხარული წარმოადგენს დაბრკოლებათა აღკვეთას; აქამდე დაბრკოლებულ, ან სრულიად შეჩერებულ მიდრეკილებათა აშვებას; თავისუფალ მოქმედებათა აღდგენას; იძულებით შექმნილ და ძნელად ასატან ჩვეულებათა დაშლას, როგორც ეს ხდება ტყვეობიდან განთავისუფლებული ადამიანის ფსიქიკაში“. 6). გ. 207. როცა ადამიანის ფსიქიკა იძულებულია ასეთი დიდი რეორგანიზაცია, ასეთი რეადაპტაცია სწრაფად მოახდინოს; მით უმეტეს, თუ საქმე ეხება ფსიქიკაში ძლიერად ჩამჯდარ განცდებს, ადამიანის პიროვნების მთლიანობა, მისი აზროვნება, მისი ცნობიერი შეგნება მოკლე ხნით იკარგებიან და ადგილს უთმობენ ინსტიქტებს და მათთან დაკავშირებულ ავტომატიზმებს; ზოგჯერ ეს ცვალებადობა ისე ძლიერი და ისე სწრაფია, რომ ფსიქიკა ვერ ახერხებს მათ რეგულირებას; ეს კი იწვევს ადამიანის ფსიქიკის სრულ დეზორგანიზაციას ან კიდევ ნამდვილ გულის წასვლას (სინკოპ), როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება აფექტების მძლავრი და სწრაფი მოწოლის დროს. ამრიგად, ტარიელის დაბნედა მოულოდნელი სიხარულის ზეგავლენით რუსთაველის მიერ შემთხვევით და უმიზნოდ მოყვანილი განცდა კი არ არის, არამედ ფსიქოლოგიის მიერ ძირითადად მიჩნეული, ზოგადი ხასიათის მოვლენაა.

მეორე—ჩვენ ვიცით, რომ სიხარული აქტივობის, მოძრაობის განსახიერებაა; სიხარულით მოცული ადამიანი უმოქმედობას, უმოძრაობას ვერ იტანს; იგი მთელი თავისი არსებით მოძრაობასა და აქტივობას ითხოვს. ხოლო ეს აქტივობა ზოგჯერ სერიოზული, საქმიანი ხასიათისაა, ზოგჯერ კი სრულიად უმიზნოა: ადამიანი ხტუნავს, ყვირის, იცინის, ტირის, მღერის; უწესრიგო, უმიზნო მოძრაობებს ახდენს; სხვებს გულზე იკრავს; მათ მუჯლუგუნებსა ჰკრავს; ხელებს უმტვრევს, ხუმრობს, მასხარაობს, ოინებს აწყობს და სხვა. ასეთი ქცევა პიერ ჟანეს თვალსაზრისით, სიხარულის ზეგავლენის მიერ დაგროვილი ენერგიის, მოზვავებული ძალების, მოწოლილი გრძნობების გამოვლენაა; იგი სხვა და სხვა სახის სულიერ და ხორციელ სიჭარბეთა განტვირთვაა. ამიტომ სიხარულით მოცული ადამიანი ხშირად განსაცვიფრებელი სიადვილით, მუქთად, მხოლოდ საკუთარი სიამოვნებისათვის და აგრეთვე სხვათა საკუთარ სასიხარულო განწყობაში ჩათრევისათვის, უანგარიშოდ ჰფანტავს თავის ფსიქიკურ და ფიზიკურ სიმდიდრეს; მსგავსად თამაშობაში გართული ბავშვისა ან ჩვილი ბალღისა, რომელიც ხელებს, ფეხებს უწესრიგოდ, უმიზნოდ ამოქმედებს. პიერ ჟანე ასეთ ქცევას „გაფლანგვითი ქცევას“ უწოდებს. სწორედ ამ სიხარულის ზვიადობით; მხოლოდ და მხოლოდ ამ სიხარულის ზვიადობის მიერ გამოწვეული „გაფლანგული ქცევით“ აიხსნება ნესტანის განთავისუფლებისაკენ მიმავალი ტარიელის ქცევა ფრიდონის სამფლობელოში მისვლის მომენტში: იქ ტარიელმა ავთანდილი აიყოლია, რომ იმათ ერთად ფრიდონის საქონელზე თვალთმაქცობითი თავდასხმა მოეხდინათ. მეჯოგეები დაეფრთხოთ, აურზაური აეტეხათ, აფორიაქება გამოეწვიათ, რომ ბოლოს ეს ყოველივე ფრიდონთან ერთად სიცილის და ხუმრობის საგნად გაეხადათ.

იარეს და ზედან შეჰხდეს ნურადინის მეჯოგეთა;
ჯოგი ნახეს, მოეწონა, ფრიდონისთვის ეაგეთა.
მუნ ავთანდილს ინდო ეტყვის: „გაქნევ კარგთა სიშმაგეთა. მოდი, ფრიდონს ველაღობნეთ, ჯოგსა მისსა მოვადგეთა! ჯოგი წავიღოთ, მოსრულნი ვესმით ჯოგისა, წაღებად, გამოემართვის საომრად, ველთა სისხლითა დაღებად. ანაზდად გვიცნობს ,გაკრთების, გულსა შეჰლამის დაღებად. ამოა კარგი ლაღობა, ლაღსა შე-ვე-იქმს ლაღებად“ დაუწყეს პყრობა ტაიჭთა ფრიდონის უკეთესებსა, მუნ მეჯოგეთა ფანოსი შეექმნა, ეკრა კვესებსა, უყივლეს: „ვინ ხართ, მოყმენო, ვინ იქმთ საქმესა ზესებსა? ჯოგი მისია, ვინ მტერსა ჰკრავს ხრმალსა ,არ აკვნესებსა“. მათ მშვილდები დაიწვადეს, მეჯოგეთა გაიკდენეს. მეჯოგენი მიიზახდეს, ხმანი მათნი გაადიდნეს. „გვიშველეთო, გვიშველეთო, მეკობრეთა ამოგვწყვიდ-

ეს". ხმა შეიქმნა, შეიყარნეს, ფრიდონს ჰკადრეს, არ დაჰრიდნეს. შეეკაზმა ფრიდონ, შეჯდა, შეკაზმული გამოვიდა. ხმა შეიქმნა, შეიყარნეს, რაზმი ველთა დაჰფარვიდა. იგი მზენი მოეგებნეს, ვინ ზამთარი ვერ დაჰზრვიდა; დაეხურა ზარადები, პირსა მათსა უფარვიდა. რა ტარიელ ფრიდონ იცნა, თქვა: „ვნახეო! ვინცა მინა". მუზარადი მოიხადა, ცაილიმა, გაიცინა; ფრიდონს უთხრა: „რასა ჰლამი, ჩვენი მოსლვა რას გეწყინა? პურად ავი მასპინძელი მოგვეგებვი ომად წინა! ფრიდონ ფიცხლად გარდაიჭრა, დავარდა და თაყვანის-სცა. იგინიცა გარდაუხდეს, მოეხვივნეს, აკოცისცა. ფრიდონ ღმერთსა ხელ-აღპყრობით უსაზომო მადლი მისცა. დიდებულნი აკოცებდეს, იცნობდიან იგი ვისცა. სტრ. 1375-1381.

ამრიგად, სიხარულის დაუძლეველი მოთხოვნილებაა მოქმედება, დაგროვილი ენერგიის გარეთ გამოვლენა; ამ ენერგიის მიერ დაგროვილ ძალთა განტვირთვა. სიხარული ერთგვარი აფეთქება, აღტყინებაა; ზოგჯერ ეს აღტყინება იმდენად ძლიერია, რომ ადამიანს არ ძალ-უძს მოიკადოს, რომ გონებამ განსაჯოს შექმნილი ახალი მდგომარეობა და გაარკვიოს, თუ რას და როგორ მოახმაროს ეს თავისუფალი ენერგია. ამის გამო ადამიანი ზოგჯერ სიხარულის გავლენით ნაჩქარევად და შეუფერებლად იქცევა და სინამდვილესთან მცდარ დამოკიდებულებას, ან ადაპტაციის გამრუდებას ახდენს.

სიხარულისათვის საჭიროა დაუყონებლივი მოქმედება: მას ზოგჯერ მოთმინება აკლია და ამიტომ მის მიერ წარმოებული აქტები, შეიძლება, მთავარ მიზნებს სრულიად დაშორდნენ. სიხარულის სუსტი მხარე ის არის, რომ იგი ზოგჯერ ადამიანს ილუზიებს უქმნის: თავისი თავის ძალების გადაჭარბებულ რწმენას აღუძრავს და ამით მას უსაფუძვლოდ მოაჩვენებს, თითქოს მისთვის ყველა გზა თავისუფალი, თითქოს მისი შესაძლებლობანი განუსაზღვრელნი არიან. ერთი სიტყვით, სიხარული პოზიტიურ ქცევებთან ერთად უარყოფითი ქცევებსაც ადვილად წარმოშობს და ამითაც ადამიანს სწორი გზიდან ამოაგდებს: იმის ნაცვლად, რომ სასიხარულო აღგზნებამ ადამიანი საზრიანი მოქმედებისათვის განაწყოს, იგი მას ზოგჯერ უაზრო და უშინაარსო შფოთვაში, ფუქსავატ მიდებ-მოდებაში დააბნევს და დაახურდავებს.

აქედან საერთო დასკვნა —

სევდის, როგორც სიხარულის მოქმედება ადამიანის ფსიქიკაზე დამოკიდებულია იმ განწყობაზე, რომელიც მათ წინ უსწრებს: თუ განწყობა უარყოფითია, ადამიანი სევდას და სიხარულს პასიურად, სრული მორჩილებით, მთლიანი დაქვემდებარებით განუსჯელად აჰყვება, როგორც ალკოჰოლის მიერ აღძრულ უაზრო ევფორიას, ან აბსურდულ უძირო სულიერ დაცემას: აქ, ორივე შემთხვევაში, სიხარულიც და სევდაც მხოლოდ იმას გამოავლენენ, რაც ადამიანისათვის გარედან დაძალებული, თავზე მოხვეული, ნებელობის აქტივობის ჩარევას და, მაშასადამე, რეალობის ადეკვატობას აკლდენილია.

თუ განწყობა, პირიქით, პოზიტიური ანუ აქტიურია, სევდაც და სიხარულიც ისეთ ქცევებს წარმოშობენ, რომელნიც ადამიანის ნებელობის, მისი პიროვნების აქტივობის ნაწარმოები არიან; ეს ქცევები, ადამიანის გონების, მისი განსჯის და მსჯელობის განსახიერება, ინდივიდუუმს პოზიტიურ, თვით მიერ არჩეულ მიზნებისაკენ და სინამდვილის ადეკვატურ შეგუებისაკენ მიაბრუნებენ. ყოველივე ამას ჩვენ ნათლად გვიდასტურებენ თანამედროვე პირველხარისხოვანი ფსიქოლოგების ღირსშესანიშნავი, სერიოზული შრომები, საქართველოში, ევროპაში და ამერიკაში.

ალექსანდრე შათირიშვილი

1967 წ. საფრანგეთი.

(გაგრძელება იქნება)

წყაროები:

1) G. Dumas — Les emotions in nouveau traité de Psychologie. t. ch, iv. Paris, 1932.

2) J. Maisonneuve — Les sentiments. Paris, 1964.

3) ი. ჭავჭავაძე — თხზულებანი. თბილისი, 1957.

4) Louis Lavelle — Le Mal et la Souffrance. Paris, 1940.

5) Max Scheler — Le sens de la séuffrance. Paris 1936.

6) G. Dumas — La Tristesse et la Joi. Paris, 1900.

7) Aristote — Ethique de Nicomaque. Paris, 1950.

8) J. Lacroix — Le Sens du dialogue. Neufchateau, 1962.

9) H. Bergson — L'Energie spirituelle. Paris 1960.

10) ნოე ჟორდანია — ვეფხისტყაოსანი. პარიზი.

11) G. Fiedmann — Le Travail en miettes. Paris 1967.

12) Les Attitudes. Symposium de l'Association de Psychologie scientifique de Langue française. Paris 1961.

13) ვლადიმერ ნორაკიძე — ზოგადი ფსიქოლოგია. სახელმძღვანელო ფიზკულტურის სტუდენტებისათვის. თბილისი, 1967 წ.

14) J. Vialatoux — Signification humaine du travail. Paris 1962.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოწირულებანი

კავკასიონისათვის

	ფრ. ფრ.
ძველი მეგობარი ფანჩ. ტოროლა	550
ქართული სათვისტომოს გამგეობა, პარიზში	500
შ. ათასიანი	500
ვ. ნოზაძის მიერ წაკითხული ლექციიდან შემოსავალი	350
იოსებ (სოსო) გოგოლაშვილი, მაჭარაძე, კობა რამიშვილი, გრ. ბარამიძე, ნელი მდივანისა, ნელი ვოდისა, ევ. აბ. მ. მელუა, ტიტე აფხაზავა, მიშელ კაკიტელაშვილი, ელ. ბარნოვისა, ალანია, ანთაძე, კ. გუნია	300
მ. იმნაიშვილი	300
აკაკი შავგულიძე	250
მზია ჭეიშვილისა	250
ელენე წერეთლის ასული	250
თამარ	245
ლად. შარაბიძე (ამერიკა)	240
ვიქტორ ხომერიკი	200
ბოდბისხეველი	200
ნ. ცინცაძე	200
დრ. მედ. ილია მალლაკელიძე	200
სოშოს ქართველთა სათვისტომოს გამგეობა	200
ნესტორ პაპუაშვილი	200
ნიკო გულაშვილი	200
ლ. ზურაბიშვილი	150
ირაკლი ჯაფარიძე	150
მარტიან მგელაძე	150
დასავლეთ გერმანიაში მყოფ ქართველთა სათვისტომოს გამგეობა	120
დრ. მედ. გ. კორძახია	120
არისტო გველასიანი	100
ვასო ტუღუში	100
პროკოფი ინწკირველი	100
ინჟ. დავით ბერეკაშვილი	100
ამხანაგი	100
ისიდორე ქარსელაძე	100
კარლო ინასარიძე	100
ვანო ანდრონიკაშვილი (ამერიკა)	100
შალვა კალანდაძე	100
დავით ურატაძე	100
ქრისტეფორე იმნაიშვილი	100
სერგო დონდუა	100
დრ. ფილ. მიშელ ხუნდაძე	100
შალვა ცინცაძე	100
დრ. ფილ. კ. ვეკუა	60
პროფ. დრ. შ. ბერიძე	60
დავით ტორონჯაძე	60
არჩილ მჭედლიშვილი	50
მიშელ გაფრინდაშვილი	50
სევ. ჭირაქაძე	50
გრიგოლ ქარცხავა	50
გერ. ბოლქვაძე	50
ლ. ტიტვინიძე	50
ერ. აკოფაშვილი და ელიზბარ მაყაშვილი	50
პელო ბელაშვილისა	50
ლეონტი ბალანჩივაძე	50
ალექსანდრე ფანჩულიძე	50
აკაკი ასათიანი	50
ნამეტია გოგუაძისა	50
პ. ქიტიაშვილი	50
	ბელგ. ფრ.
დ. ანჯაფარიძე	500
	დოლ.
ბოდბისხეველი	100
პეტრე ხვედელიძე	100
ვანო ანდრონიკაშვილი (ამერიკაში)	100
ა. ჯინ.	60
მ. დადიანი	50
მ. ჯაყელი (ჩილე)	50
დრ. მედ. გ. კობახიძე	40
დრ. მედ. შ. გვასალია	20
რ. გაბლიანისა	15
ლილიან	10
ვანო ნანუაშვილი	5
გოგი ვაჩნაძე (ამერიკა)	5
	გერ. მარკა
ძველი ნაცნობი	500
პროფ. დ. თორაძე	100
გაბო	50
	რეალი
ანტონ კომპანიონ	400
ძუკუ გუგუშვილი	400
გრ. გამყრელიძე	200

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინა ჟორდანიას მოსახსენებელად (გვირგვინის ნაცვლად) კავკასიონს ვწირავთ ას ფრანკს. ლევან ფალავა

მერი წერეთლის ასულ დადიანის ხსოვნისათვის (გვირგვინის ნაცვლად) ასი ფრ. მეგობარი.

დედის — **ლუბა აბაშიძის ასული წერეთლისა** კეთილ-ხსოვნისათვის კავკასიონს ვწირავ სამას ფრანკს და ამასთანავე ულრმეს მადლობას მოვახსენებ მათ, ვინც სიტყვიერად ან წერილობით გაიზიარა ჩემი წუხილი, დედის გარდაცვალებით გამოწვეული. გოგი წერეთელი.

რუბენ ყიფიანის ხსოვნისათვის მისი გარდაცვალების სამი წლის თავზე — 230 ფრ. ალ .შათირიშვილი

კუჭია ალანიას მოსახსენებელად ათი დოლარი. გერ.

დარისპან მდივნის ხსოვნისათვის (გვირგვინის ნაცვლად) ასი ფრ. აფრასიონ ხვედელიძე

მიშელ ჩუბინიძის ხუთი წლის გარდაცვალების თავზე მის მოსახსენებლად 50 ფრ. ვალიკო.

ფილიპე შარაძის ხსოვნისათვის (გვირგვინის ნაცვლად) 150 ფრ. დრ. მარკოს ტულუში.

სარჩევი

გვერდი

რ. ბეთანელი — ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის 50 წლისთავზე. 5
უნივერსიტეტის დაარსების 50 წლისთავზე მოწვეული კრებულობა პარიზში — 8
ლ. ზურაბიშვილი — ქართული უნივერსიტეტის დაარსების 50 წლისთავზე პარიზში 9
დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის განათლების ყ. მინისტრის ნოე ცინცაძის სიტყვა 10
გიორგი ყიფიანი — ლევილის მზეს (ლექსი) 12
ალ. მანველიშვილი — დიდი წარსულის მემკვიდრეობა 13
მედეა ღამბაშიძის ასული-ნიკოლაძისა — ჩემი დღიურიდან 15
სევ. ჭირაქაძე — თბილისის უნივერსიტეტის დაარსების 50 წლისთავზე 16
შალვა კალანდაძე — უნივერსიტეტის 50 წლის აღსანიშნავად 18
ლ. ტიტვინიძე — მოგონებანი ჩვენს უნივერსიტეტზე 19
დრ. ინჟ. **ლეო ჭეიშვილი** — პატარა მოგონება 21
პროფ. **გიორგი ნაკაშიძე** — გახსენებისათვის 22
ექიმი **ვახტანგ ღამბაშიძე** — პეტრე მელიქიშვილის ხსოვნას 24
ევტ. აბულაძე — მაისის დილა (ლექსი) 31
გიორგი გამყრელიძე — შემოდგომა ქალაქგარეთ 32
გიორგი გამყრელიძე — სიზმარი-კარნავალი 32
შარლ ბოდლერი — შემოდგომის დღეს (ლექსი, თარგმანი გიორგი გამყრელიძისა) 33
გიორგი ყიფიანი — მზის ქალიშვილი (ლექსი) 33
ბ. ვარდანი — **ახალი საქართველო** — რესპუბლიკა 34
გიორგი ქართველი — სისხლი (ლექსი) 44
საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი — 45
საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია — 46
ბ. ბებურიშვილი — დამოუკიდებელი საქართველოს საკითხი უცხოეთში 51
სახელმწიფონი ,რომელთაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა იურიდიულად აღიარეს და იცვნეს 58
პ. სარჯველაძე — დამოუკიდებლობის ხანა 59
გივი შაორელი — ბებოს (ლექსი) 63
თამარ პაპავა — 26 მაისი ჩვენთან 64
ევ. აბულაძე — მშობლიურ მხარეს (ლექსი) 65
როგორ იდღესასწაულა 1920 წელს თბილისმა 26 მაისი (პ. სარჯველაძის ჩანაწერი) 66
როგორ იდღესასწაულეს 26 მაისი 1921 წელს (კერძო წერილიდან) 70
აკაკი პაპავა — ჩვენი პრეზიდენტი 71
ნოე ჟორდანია — ქართველ ქრს 75
ევ. აბულაძე — ლევილის სავანე (ლექსი) 76
ლევან ზურაბიშვილი — ნიკო ნიკოლაძის დაბადებიდან 125 წლის და გარდაცვალებიდან 40 წლისთავზე 77
გიორგი ყიფიანი — არჩევანი (ლექსი) 82
ყ. ფაშალიშვილი — დედის ალერსი (ლექსი) 82
გივი შაორელი — რაჭული პეიზაჟი (ლექსი) 83
გივი შაორელი — ეპილეპსია (ლექსი) 83
ლ. ჭ. — განშორებისას (ლექსი) 83
ლ. ჭ. — შებინდებისას (ლექსი) 84
ვასო წულაძე — მცირე მოგონებანი 85
ნაური — პატარა მოგონება 91
თამარ პაპავა — ორი კვირა ვირთხებთან 93
სოსიპატრე (ჭიჭიკო) ასათიანი — მცირე მოგონებანი 97
შალვა ამირეჯიბი — დაუბეჭდავი ლექსები (არქივიდან) 111
ალექსანდრე შათირიშვილი — ემოციური განცდები ვეფხისტყაოსანში. 3. გრძნობა. ბ). სევდა და სიხარული. 115

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყურადღებოდ: ლინოტიპისტის ავადმყოფობის გამო ალარ მოხერხდა კავკასიონის იმ სახით გამოცემა, როგორც გაზრახული იყო. იძულებული გავხდით გადაგვედო შემდეგი მასალა: —

დავით ვაშაძე — საბჭოთა კავშირისნახევარი საუკუნის იუბილე
მოსე იმნაიშვილი — საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობა
სევერიან ჭირაქაძე — სოციალიზმის იდეალიზაცია და განდიდება
ალექსანდრე მანველიშვილი — ეროვნული საკითხი საბჭოთა კავშირში
ბ. ვარდანი — საბჭოთა ადამიანი
თამ. ჩილაია — კომუნისტური რელიგია
რ. გაბაშვილი — კავკასიური რასის წვლილი მსოფლიო ცივილიზაციაში
ლიკსუსი — ორი ინგლისელი პროფესორი საბჭოთა ამერიკავკასიისა და ცენტრალ აზიის შესახებ
იოსებ ხანანაშვილი — სვეტლანა ალილუიევას დღიურები
გიორგი გამყრელიძე — არწივი და მამალი (მოთხრობა)
ელიზბარ მაყაშვილი — ოთხი ბალის ხე (მოთხრობა)
ევტიხი აბულაძე — მიწა და ადამიანი (ესკიზი)
ლადო არველაძე — ძველი გზით (მოთხრობა)
ვ. ნოზაძე — რუსთველოლოგიური საკითხები: 1. სალამან, 2. ტრისტანიანი, ვისრამიანი, ვეფხისტყაოსანი.
ვ. ნოზაძე — მოგონება მხატვარ შალვა ქიქოძეზე

I.M.P. - 40, rue des Jeuneurs - Paris-2e

3/4
n140/9
K7
ეროვნული
ბიბლიოთეკა